ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

7 8-9 1976

სამკითხველო
№ 2

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 52-ე | № 7 | ივლისი, 1976 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

ელიშე ჩარენცი — ლენინი და ალი. ლექსი. თარგმანი სომხურიდან ზუზვა მედულაშვილისა . . . 3
დილარ ივარდავა — ლექსები . . . 7
ელგუჯა მერაბიშვილი — მოთხრობები . . . 11
დალილა ბედიანიძე — ლექსები . . . 23
რამაზ კოზიძე — გვიმრის ფოთლები. რომანი. დასასრული . . . 27
ავთანდილ ხარაიშვილი — ლექსები . . . 61
თამაზ კანდელაკი — მთვარის ძილი. ლექსი . . . 63
ნიკოლოზ გაბაონი — აივნიანი ქალაქი. რომანი. გაგრძელება . . . 64
ჯანრი გოგეშვილი — მოთხრობები . . . 107
უილიამ შექსპირი — ტროილოსი და კრესიდა. პიესა. თარგმანი ინგლისურიდან გივი გაჩეჩილაძისა . . . 112

### ნარკვევები ხუთწლედის დღეებზე

ვანო ურჯუმელაშვილი — მუშა კაცი . . . 135
გიორგი პაპუაშვილი — მარტყოფელი მეცხოველეები . . . 146

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

რევაზ ჩხარტიშვილი — კრიტიკული შენიშვნები რომანზე — „იყო ერთი ქალი“ . . . 152
მანანა გვეტაძე — მრავალგვარობის ერთიანობა . . . 160
ოთარ გიორგაძე — „რაჭის ერისთავი როსტომ“ და მისი ისტორიულ-ხალხური წყაროები . . . 170

### ფაქტები, მოგონებანი

პაატა გუგუშვილი — კონსტანტინე გამსახურდია . . . 175
ალექსანდრე სიგუა — მწერალი და გამომცემელი . . . 179

### წიგნების მიმოხილვა

ლერი ალიმონაკი — ზამთრის ელეგიები . . . 185

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (პ/მგ მდივანი), ხ. ბერულავა, ო. გიგინეიშვილი, შ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, ბ. ქლენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ხ. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ნ. წულეისკირი, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11.
პ/მგ. მდივნის — 93-55-18, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 23/VI-76 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/VII-76 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12 პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 13, სააღ-საგამომცემლო თაბახი 16,58

უე 00154. ტირაჟი 14.650. შეკვ. № 2217.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

© საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა, 1976

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელიშე ჩარენცი

# ლენინი და ალი

მოსკოვი მსოფლიოს გულია,
თვით მექაზეც კია ძველი;
არ არის ქალაქი
მოსკოვზე ჩენილი,
იქ ცხოვრობს რადგანაც
ლენინი.

ჰაუ, სად მოსკოვი
და სად ტრაპიზონი!
ტრაპიზონიდან ხომ მოსკოვს
ფეხით ვერც კი ჩახვალ კაცი.
მაგრამ ოქრო თუ გაქვს —
გზა-მანძილს მოსპობს:
ჯერ გემით ბათუმში გასწი;
შემდეგ, მატარებლით —
თბილისი, ბაქო და,
აქედან ეწვევი როსტოვს;
მერე კი სულ ივლი,
ივლი და, ასე თუ
როგორმე მიაღწევ
მოსკოვს.

აი, იმ მოსკოვში,
სწორედ იმ მოსკოვში
ცხოვრობს
არხადაში[1] ლენინი, —
ის, ვინც ხალიფაზე უფრო დიდია,
მაგრამ ხალიფაა ისეთი,
რომ ესმის ფუხარას[2] ვარამი;

და სწორედ ამიტომ
ტრაპიზონელ ალის
უყვარს იგი, როგორც არავინ.

ერთ ნავზე
მენიჩბედ მუშაობს ალი,
თვეში სამნახევარს აძლევენ ლირას,
ის კი, საცოდავი,
ქცეულა ვირად, —
მუშაობს ბინდამდე
დილიდან.
...და უყვარს პატრონსაც,
როგორც სახედარი, —
რომ ტვირთოს
და აჰკიდოს იმდენი,
სული ძლივს ეჭიროს კბილითა.

ჰოდა, უყვარდა ჩვენს ალის ლენინი,
მასზე რუს მეზღვაურს
მოეთხრო ერთს;
ეჩვენებინა
ლენინის სურათი
და ეთქვა ალისთვის:
— ლენინ კაროშ![1]
ალისაც მიეგო:
— ჩოქ![2]
რუსს გაჰკვირვებოდა:
— ბიჭოს!
ალის ეთქვა:

---

1 არხადაში — თურქ. ამხანაგი;
2 ფუხარა — არაბ. — თურქ. — ღარიბი, ღატაკი.

1 კაროშ — გადათურქულებული რუსულით Хорош;
2 ჩოქ — ძალიან (თურქ.);

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ლენინ, ვარ, ბურჟუი იოქ¹!
ბურჟუა, ესე იგი — მდიდარი,
ესე იგი — ეფენდი,² აღა,³
რომელნიც განცხრომაში არიან,
სხვის ნაოფლარს ჭამენ
ლაღად;
უყვართ ზღვის ნაპირას ჯდომა და
გაშლა-გაგორება ნარდის...
და ასეც შეიგნო ალიმ,
რომ — ლენინ — ბეიუქ ხალიფ!"⁴
„ბეიუქ ხალიფი", მაგრამ —
რომ ესმის ფუხარას ვარამი...
და ჩვენს
ტრაპიზონელ ალის,
თავისი დუხჭირი სიყვარულით,
უყვარდა ლენინი შორეული,
როგორც არცერთი და არავინ.

2.

იმ დღეს გლოვა იდგა მოსკოვში,
გლოვა სასტიკი და ცხარი.
დაობლებულიყო პროლეტარი,
სდიოდა ცრემლების ღვარი.
ვინც იყო ახლობელი მისი,
მან უკვე იცოდა ნამდვილი:
აღარ გვყავს წითელი ბელადი! —
თვალი დაეხუჭა ამ დილით;
თვალნი დაეხუჭა არწივისა
და არც გაახელდა მეტად, —
მარად უღვიძარი
საღათას ძილითა
ჩასძინებოდა ბელადს.

იმავ დღეს უკვე
მთელი კომპარტია
წევრობით,
კუნთობით
იკრებდა ძალებს,
რომ აღმართულიყო
ვითა გალავანი —
მძიმე დანაკარგის
ღირსი და ცალი.

იმ დღეს
მთელი ქვეყნის პროლეტარს —
მოსკოვში,
ბაქოში,
თბილისში —
დუღაბად შეეკრა ძალი და ნება,
სული კი ექცია ფოლადად, თუჯად,
რომ მტკიცედ მდგარიყო ხვალიდან
ილიჩის მონაპოვრის
ბურჯად,
რომ ბევრათასეულ
ძარღვიანი ხელით
მტრის ყელი
ჩაებღუჯა.

მთელ ჩვენს ქვეყანაში
ყველა პროლეტარი
იმ დღეს ფიქრობდა და
გრძნობდა ერთს:
შემობრუნდაო თითქოსდა ხელახლა
დიდი ბრძოლისა და
შეტევის დღე;
რომ მუშტად უნდა შეკრას ძალები,
რომ მოსპოს ამ ქვეყნად
ბოროტის თარეში,
რომ ისევ დარჩეს
მშრომელის დიქტატურა
და აწ გაიმარჯვოს
ილიჩის გარეშე.

3.

იმავ დღეს რადიომ,
ვით ბასრმა მახვილმა
მსოფლიო გაჰკვეთა ორად,
აუწყა ტრაპიზონსაც
სიკვდილის ამბავი —
ნამდვილი, არ ნათქვამი ჭორად.

იმ დღისით იმდენი ემუშავა,
ალის აღარ ჰქონდა გნასი;
ოფლიანს უთრთოდა
ძარღვი თვითეული,
ფეხზე ძლივსღა იდგა კაცი;
შინ მილასლასებდა,
თავს ებოღმებოდა:
— გეყო, რაც იწუვიტე ქანცი!

¹ ვარ — ჰო, იოქ-არა!
²⁻³ ეფენდი, აღა — ბატონი;
⁴ ბეიუქ ხალიფ — დიდი ხალიფა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალამო იყო და
ზღვის ბნელ სანაპიროს
შინ მიუყვებოდა ალი,
როდესაც ანაზდად
ნაცნობ რუს მეზღვაურს
ზღვის პირას დაადგა თვალი.
სახალამ-ქალამოდ
მისკენ გაემართა
(ალის ძმაკაცია ძველი!),
რომ ხელი ჩამოერთვა
და ეთქვა ჩურჩულით:
— კარაშო ლენინ!

მაგრამ...
ნაღვლიანი იყო მეზღვაური,
სახეს აღარ ედო ფერი,
იდგა მარტოსულად,
როგორღაც უმწეოდ,
როგორღაც შტერად და ხიოდ,
არ უთქვამს ალისთვის
ჩვეული „დრასტი“,
არამედ — ჩურჩულით:
— ალი, ლენინ იოქ![1]

მეტი არაფერი.
გაშორდა. წავიდა.
ალის დაუბნელდა თვალი,
თითქოს ტალღა ეცა
ამთაგორებული —
მოსწყვიტა გონი და ძალი.
ბოლოს, როგორც იქნა,
აზრი დაადევნა
მის სიტყვას მენავე ალიმ.
ღამეა.
ღრმა ძილით
სძინავს ტრაპიზონს,
ძაღლიც კი არა ყეფს არსად,
ოღონდაც —
ძაღლივით ღვიძავს პოლიციელს,
ფხიზლობს და დარაჯობს
ქალაქს.

შავად შრიალებენ
ბნელში ალვისხენი,
ბნელს ეჩურჩულებიან თითქოს:
„თუნდაც მთელ ტრაპიზონს ეძინოს,
ალი ფეხზეა და
ფხიზლობს!“

ბნელში კედელ-კედელ
მიიპარება
ქურდის ნაბიჯებით ალი.
სად მიდის,
საითკენ, ვინ იცის?
თვით იცის გზაცა და ბილიკიც.
აჰა, ერთ შენობას მიუახლოვდა,
კედელზე ასულა სურო.
ბნელში ჩაკარგული
აქ სადღაც ფირნიშია,
ზედ რომ ახატია
ნამგალი და ურო.
ყოველთვის სუნსულებს
აქ პოლიციელი,
რომ მოჰგავს
ჯირკსა თუ ჭურს,
შენობას კი ქალაქში ეწოდება —
„კონსულატ რუს“[1].

შენობას გარს უვლის
პოლიციელი,
ალი — პოლიციელს
უვლის გარს.
გვერდულად გაუსხლტა,
კარს მიუახლოვდა,
ხელი დააჭირა ზარს.
ზარივით ზრიალებს
გულიც ალისა,
მკერდში იმ ზარივით
ვაიღებს ძგარს.

ღრიჭოში გამოჩნდა
დარაჯის ფარაჯა,
ალი თავის ქნევით
შეიხმო დარაჯმა.
იცნობს ყარდაშ ალის დარაჯი, —
ზღვაზე
ბევრჯერ საბანაოდ
წასულან ერთად.
მაგრამ ახლა ხომ
ღამეა გვიანი,
რა გასჭირვებია ნეტავ?

---

1 ალი, ლენინი აღარ არის!

1 რუსეთის საკონსულო

— რაო?
კონსულიო?
ხა-ხა-ხა!
ღამეა,
წადი, დაიძინე ძმაო!
— უყურეთ, — ხითხითებს დარაჯი, —
რისთვისა ყოფილა მოსული!..
მაგრამ ალის ბედზე
კარი გაიღო და
გარეთ გამოვიდა კონსული.

— ლენინ იოქ?
ჩურჩულით იკითხა ალიმ.
დუმილი უროსავით სცემს.
ალი უროსავით მუშტებს იბაგუნებს
მკერდზე:
— ნეთ კარაშო, ნეთ![1]
იატაკს ჩასცქერის
და ამბობს ნაღვლიანი:

[1] ცუდათა ვარ.

— ალი პლოხ, ალი აღლიორ![1]
უთქმელ მწუხარებით
თავსა ხრის ალი,
გულზე კაეშანი აწვება მწარე,
მერე მიბრუნდება,
კედელს მიეყრდნობა
და ასე, კედელ-კედელ,
გამოდის გარეთ...

5.

სხვა რა?
არცა რა.
სიცილის, ტირილის
მიზეზს ვერა ვხედავ აქ მე.
სალამი არხადაშ ალის!
დიდება ილიჩის საქმეს!

[1] ალი ცუდად არის, ალი ტირის!

თარგმანი სომხურიდან
ზეზვა მედულაშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილარ ივარდავა

## ელეგია სიყვარულზე

თუ რამეს ვიტყვი დღეს სიყვარულზე —
კვლავ მუსიკაა...
(რომელიც მერე მე გამაცილებს სასაფლაოსკენ);
თუ რამეს ვიტყვი დღეს სიყვარულზე —
ქართა სუნთქვაა...
(რომელიც მერე ამიშრიალებს საფლავზე ხეებს);
თუ რამეს ვიტყვი დღეს სიყვარულზე —
ჩიტთა სტვენაა...
(ჩიტები მერეც იჭიკჭიკებენ!);
თუ რამეს ვიტყვი დღეს სიყვარულზე —
კვირტთა სკდომაა...
(ისინი ჯერ ხომ არც კი არიან...);
თუ რამეს ვიტყვი დღეს სიყვარულზე —
ექოდ იქცევა...
(ის ექო საფლავს
ჭექა-ქუხილად მოევლინება!).
...უნდა დავტოვო
ამდენი ფერი,
ამდენი ხმა,
ამდენი დარდი
გასკდება გული, რა მომივა, აბა, მითხარით,
როდესაც ვიცი — გავა წლები და...
ჩემი ფიქრებით და სიყვარულით
  ვერა,
ვერ ივლის ქვეყნად ვერავინ.

## დაბრუნება

აქ ყველა ნივთი სახეშეცვლილად
მიმზერს და ადევს წლების ის მტვერი,
რომელმაც ჩემს სულს ხელი დარია.
რამ დამაბრუნა? ვის უხარია?
ეს დაბრუნება, ან ცივი სხივი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ ეცემა წიგნის კარადას.
კვლავ მაჟრიალებს,
მითხარ არა და
რაღა ვქნა, როცა ასე და... დიდხანს
ვერ დავიურვე ვერაფრით ვნება.
არა და წამი,
ფიფქზე უსწრაფეს,
ჩნდება და დნება,
არა და ვხედავ,
ხე სიცოცხლისა თანდათან ხმება...
დავბრუნდი, თუმცა ეს დაბრუნება,
თურმე არ არის ჩემი ბუნება...
დღეს სხვა მაწუხებს,
სულ სხვა ცდუნება,
რა მოსდევს მერე ამ დაბრუნებას?!

## სეზანი

მოდის მოხუცი ნაჯაფარი, — მკვდარია
თითქმის,
ამდაგვარ კაცზე ჯვარს აცვესო თამამად
ითქმის.
ხომ აწამესო რწმენისათვის, როგორც იესო,
და არაფერი, არაფერი აპატიესო...
მოდის მოხუცი ქვებს ესვრიან ქუჩის
ბავშვები, —
განმკითხავია არვინ:
— რას შვრებით?!
არც თითონა სურს დაუყვავოა —
მას სხვა დარდი აქვს,
მარადიული მისი ტანჯვა ნაღდზე ნაღდია.
მას სხვა ფიქრი აქვს,
სხვა საზომი,
მართალი პინა,
სამაგიეროდ ეულია —
არა აქვს ბინაც.
მისი ხატია მხოლოდ ფერი, ფერი და ფერი,
მშიერ ძაღლივით ფერს დარაჯობს და...
ფერიც მღერის.
ეს ნატურმორტი:
ფორთოხალი, ღვინო თუ ვაშლი —
გახედეთ ერთი! —
თვით ბუნება ვალშია, ვალში.
რა ხაზებია?
აწონილი სისხლით, მისხლობით,
სიამწამებით, დემონიური ვნების მისნობით.
მარტო მისია, მას ეკუთვნის ასეთი ფერი —

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც დაჰკრავს სითბო მზის და
მშობლიურ კერის.
ან იქნებ მეტის,
ალბათ მეტის,
ვერც იტყვი სიტყვით, —
იგი რწმენაა-აქვს თვისება აპრილის
კვირტის.
მან, მან იპოვნა,
მან მიაგნო ფერთა სამყაროს, —
და მარადიულ შექმნის
ჯვარცმას ვერვინ გაყაროს.

## კვირტები

მწვანე ხეები —
დედამიწის მწვანე ძარღვები...
ახლა მარტია —
ხეში წყალი ფაჩუნობს სისხლად...
მიაყურადე,
უფრო ფხიზლად მიაყურადე:
ხომ გესმის
კვირტში ჩვილი ბავშვი თუ როგორ ტირის,
რომლის ბაგიდან
რძე გადმოდის დედისეული?!

* * *

უეცრად, წუთით, ფიქრების მიღმა
გამოკრთა სახე ციაგით ნელით,
და ვიცი უკვე იმ ათას ნიღაბს,
ვერაფერი და ვერავინ შველის.

და რომ ეშვება დღეს ალად ფარდა,
მოიყოლია წკვარამი ბნელი,
რაც არ გვიგრძნია იმისი გარდა,
აქ ყველაფერი ძველია, ძველი.

ჰო, ჩაგასესხეს დრო-ჟამი მცირე —
მაგრამ რად გინდა, ვერ ანაწილებ, —
ვინ დაეწევა გაქცეულ ირემს,
ვინ დაიბრუნებს იმ სიყმაწვილეს.

თუ იძენ რამეს — კიდევაც კარგავ,
წონასწორდება პინა და პინა,
მითხარი ნიღაბს დღეს რისთვის ქარგავ,
რად დაგავიწყდა, ვინც იყავ წინათ?!

* * *

გადიჯღკნება მოგონება —
სიბერის სნებით,
შენც ივლი, სულო,
ალალბედზე მინაბრებული, —
მაღალი ღმერთის,
სატანის თუ დემონის ნებით,
ტანს დაგსევია
ყორნებივით დღეთა კრებული.
სავსეა კვერთხი,
ბედის კვერთხი
მადლით და ცოდვით,
ყოველ წამს ვიღაც გვათამაშებს,
გვაერთებს,
გვთიშავს...
და ჩვენი ხვალეც
სწორუპოვარ შხრიალით მოდის,
ვით თითებზშუა
ჩა-
შლი-
ლი
ქვიშა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

გახსოვს?
ხომ გახსოვს
მეთევზეების ჭრელი უბანი,
იქ, სადაც
მძიმე კარაპები ყოველდღიურად
ბუქსირით ეზიდებოდნენ,
უახლოესი კუნძულისკენ
ვეება კასრებს...
გახსოვს?
იქ, სადაც
ზამბარისებურად დაგრაგნილი
კვამლის თეთრი და ცივი ქულები,
ნავსადგურის ანძებს ეხვეოდა, როგორც
მაქოს ძაფი,
ან კიდევ თეთრი ემალის ქვაბს
ჩვილი ცომი.
გახსოვს?
იქ,
სადღაც
ქვევით, სულ ქვევით
იმსხვრეოდნენ ლურჯი ტალღები
და მოჩანდა
მეთევზეების ასიმეტრული ბაღები,
სწორედ იქ,
ჩვენ შეგვხვდა ერთხელ,
ზღვაში ფეხებმოტყლაშუნე,
აგვისტოს ირისისფერი საღამო...
რა ხანი გამოხდა მას აქეთ თურმე?
თუ გრძნობ და ხედავ?
მუქდება ფერი ატმის და შინდის...
მაგრამ მარადის მემახსოვრება —
შენი მკერდჭრელი სიზმრების გამა.
მემახსოვრება
ჩვენი ფიქრების უსასრულობა;
მე მახსოვს,
მახსოვს ჩვენი სული
თოლიასავით დაჰხაროდა
სიყვარულის ზღვას...
და ჩვენც გვეგონა
დღეები ასე
იტკარცალებდნენ ყოველთვის, —
მაგრამ ტალღები,
წლების ტალღები,
ყინულზე ცივი ყოფილა თურმე.

* * *

ო, სალომეა,
ზევით და ქვევით,
ან უფრო ზუსტად —
ჩვენში და ჩვენით,
ჩვენივე სულით,
სისხლით და ვენით,
ჩვენივე ვნებით,
მრწამსით და გენით —
ისა ვართ ისევ და ჩვენი ჟინი,
ახლაც გვახელებს,
წუთით არ გვინდობს
და იწვის,
იწვის ის თივის ზვინი,
რომელსაც ცეცხლი მოედო იმ დროს,
როდესაც ადამს ხელთ შერჩა ევა
და ევას კიდევ ადამი მარტო...
ამ მიწის ფსკერზე გულაღმა ვწევართ
და ოცნებებში გაფრენას ვნატრობთ.
რატომ?
ამას კი ვერავინ მეტყვის,
რა არის იგი —
სიკვდილზე შიში?
რადგან ცხოვრება ლუწის და კენტის
კრისტალია და... მზეს მონათიში.
ხომ აქვს თვისება ჰიპოპოტამის —
როს გეზიდება მაგნიტის არედ, —
ცას,
მიწას,
მთვარეს, —
ჩვენთვის მოტანილს,
ერთხელ მოტანილს —
დავუმსხვრევთ ზარებს.
პრეისტორიულ გზაზე მარები
ვართ სალომეა, და ასე მერე,
ჩვენი ზარები, გზა და კარები
მიემატება უთვალავ ფერებს.
მანამდე? როგორც ადამს და ევას,
გვქონდეს წუთები ვნებებით მთვრალი, —
ჭირდება ვინმეს დღეს სალომეა,
იოქანაანის მოჭრილი თავი?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელგუჯა მერაბიშვილი

# მოთხრობები

## შუქი გზაზე

თენდებოდა.

ავტოსადგურის მაღლივი შენობა მიმქრალი კონტურებით მოჩანდა ჩამოწოლილ ნისლში. ის იყო, ტაქსი გავისტუმრე და სულ მარტო დავრჩი უკაცრიელ ტროტუარზე. ჩემოდანი ავიღე და, რაკი ვატყობდი, რომ ადრე მომივიდა მოსვლა, ნელა წავედი. რაღაცით, ოღონდ ვერ მივმხვდარიყავი, რით — ეს ლამაზი შენობა აეროვაგზალს მაგონებდა. ნისლს მოეცილებინა მისთვის ქალაქის დასახლების მჭიდრო რკალი და მის წინ ფართო მოედანი ასაფრენი ზოლის ილუზიას ქმნიდა. ასე იყო თუ ისე, სამგზავრო განწყობილება თანდათან მეუფლებოდა და გამოუცნობ სიხარულს მგვრიდა.

ჩახჩახა შუქით განათებულ მოსაცდელ დარბაზში წამით შევდექი და მიმოვიხედე. სალაროებთან კანტიკუნტად მოჩანდნენ ნაადრევად მოსული მგზავრები. ფართო კიბით დავეშვი და ბაქანზე გავედი, ავტობუსების მისადგომებთან.

— ნომერ მეოცეს სადგომი სად იქნება? — მკითხა ქერათმიანმა ახალგაზრდა ქალმა.

მივასწავლე. მეც იქით მივდიოდი, მაგრამ არაფერი მითქვამს, გულში კი გავიფიქრე, ჩემი თანამგზავრი იქნება-მეთქი.

— პიატიგორსკის ავტობუსი არ ჩამოუყენებიათ? — იკითხა იმავ ხმამ მეოცე სადგომთან.

— არა... და მგონი არც აპირებენ, — უპასუხა კაცის ხმამ.

მეზობელი სადგომებიდან ერთიმეორის მიყოლებით აიძრნენ კომფორტაბელური ავტობუსები. დაცარიელებულ ბაქანზე ვიღაცას ეძებდა კუდამოძუებული პატარა ძაღლი, გამვლელებს ყნოსავდა და ნაღვლიანი თვალებით გაჰყურებდა მონისლულ სივრცეს.

— უმსგავსობაა და მეტი არაფერი,— ბუზღუნებდა სანოვაგით ამოჩხორილ ჩანთებზე და ბადურებზე კრუხივით გადაფოფრილი სქელი დედაკაცი.

— მოიშლება, მა რა მოუვა, ამხელა ტრასაზე დიდიხნის წინათ ჩამოსაწერ ჯართს დაათრევენ — შეუერთდა საერთო ყაყანს კაცის უკმაყოფილო ხმა.

— რა მოხდა? — ვკითხე ახალგაზრდა ოფიცერს.

— პიატიგორსკის ავტობუსი აგერ ის არის, გვერდზე რომ გადაუყენებიათ.

შოფრები მოტორში ჩხირკედელაობენ, ელექტრომუხტს ვერ ვპოულობთო,

იძახიან. ახლა ელექტრიკოსებს გამოუძახეს.

— წავიდეთ და ადმინისტრაციას მოვთხოვოთ, სხვა ავტობუსი მოგვცენ,— თქვა ქერათმიანმა ქალმა.

— როგორ მოსთხოვ, ავტობუსი პიატიგორსკის ავტოპარკს ეკუთვნის, — შეედავა ცისფერკოსტუმიანი შუა ხნის კაცი.

კაცს ისევ სველი ჰქონდა უკან გადავარცხნილი ჭაღარა თმა, მონისლული თუ ელამი თვალებით განზე იყურებოდა, იგი პირველად ჩაერია საუბარში, აქამდე განკერძოებულად ეჭირა თავი.

— მაინც მოვითხოვოთ, — არ ცხრებოდა ქერათმიანი, — სახელმწიფო ხომ ერთია. ისინი ვალდებული არიან, უზრუნველყონ ჩვენი დროულად გამგზავრება, მით უმეტეს, რომ ქორფა ბავშვიანი ქალი გვირევია.

ახლაღა შევამჩნიე ბავშვიანი ახალგაზრდა ქალი, რომელიც შორიახლო დაატარებდა სახეებიან თხელ საბანში გამოხვეულ პაწიას და ნანას ეუბნებოდა. ახალგაზრდა კაცი, ალბათ მისი ქმარი, ჩემოდნებთან იდგა და სიგარეტს ექაჩებოდა.

— ჩვენ უკვე ვიყავით მაგ პრეტენზიით მთავარ ინჟინერთან, — გაეპასუხა იგი ქერათმიან ქალს.

— მერე რაო, რა გიპასუხათ?

— ნახევარ საათს კიდევ გვაცალეთ, რამენაირად შევაკეთებთო.

— უმსგავსობაა და მეტი არაფერი,— ჩაიბუზღუნა ჩანთებზე გადამჯდარმა სქელმა დედაკაცმა.

ხელიხელჩაკიდებულმა ქალიშვილებმა, წეღან რომ ბუფეტში ჩემს გვერდით ისხდნენ და ცხელ ყავას მიირთმევდნენ, ავტობუსისაკენ გაისეირნეს, სადაც უკვე ტრიალებდნენ გამოძახებული ელექტრიკოსები. ეტყობოდა, ეს გოგოებიც ჩვენი ავტობუსის მგზავრები იყვნენ., მათგან ერთი იქცევდა საერთო ყურადღებას, სელისფერთმიანი და ტანშოლტა, დანარჩენი ორი, საშუალო ტანის ქორფლიანი გოგოები იყვნენ. ქალიშვილები სულ უფრო ხშირად მიდიოდნენ ავტობუსთან და ახალ-ახალი ამბები მოჰქონდათ.

ცოტახნით ყველა თავთავის საქმით გაერთო. მამაკაცებმა სიგარეტები გაიხსენეს, ქალებმა კი ხელჩანთებზე იკრეს ხელი და დილის დაუმთავრებელი ტუალეტი შეამოწმეს. მეც გამოვნახე აუცილებლად მოსაგვარებელი და ამასთან ყველაზე სასიამოვნო საქმე — ახალი გაზეთების საყიდლად წავედი.

უკან რომ მოვბრუნდი, ყველა ჩემი მომავალი თანამგზავრი ვაგზლის შენობის მეორე მხარეს, ბაქნის გასწვრივ გამწკრივებულიყო. სულ სხვა მხარეს იყურებოდნენ. მეც შევუერთდი და ძლივს მივხვდი, რაში იყო საქმე: ჩვენი ავტობუსი სხვა ავტობუსისათვის გამოებათ და გარაჟის მისადგომებთან ვრცელ ბულვარზე დაარბენინებდნენ, მაგრამ ჩანდა, არაფერი ეშველა მოტორს, ავტობუსი ძველ ადგილას მიაყენეს და ბაგირიც ჩახსნეს...

აქ კი საბოლოოდ უმტყუნა ქალებს ნერვებმა, ბავშვიანი ახალგაზრდა დედა წინ გაიძღოლეს და მთავარი ინჟინრის კაბინეტისაკენ დაიძრნენ. ავტოსადგურის მაღლივი შენობა ყურისწამღებმა გნიასმა მოიცვა. ცნობისმოყვარეობამ არ მომასვენა და შორიახლო ავედევნე.

მთავარმა ინჟინერმა დროულად იგრძნო საფრთხის მოახლოება, გაავებულ ქალებს მოპასუხედ დისპეტჩერი შეატოვა, თვითონ კი უკანა გასასვლელით ეზოში გავიდა და მსუბუქი მანქანით სადღაც გაემგზავრა.

— მთავარი ინჟინერი თვითონ დარბის აკუმულატორის საშოვნელად, სხვა რაღა ქნას, კაცო, — ხელებს შლიდა დისპეტჩერი.

ეტყობოდა, მთელი ადმინისტრაცია ფეხზე დადგა, რადგან იმავ წუთს რადიოკვანძით გამოაცხადეს: პიატიგორსკამდე მიმავალი ავტობუსის გასვლა საორიენტაციოდ ცხრა საათისათვის არის გადატანილიო.

ეს განცხადება ალბათ ქალების დასამ

შვიდებლად იყო გამიზნული და მართლაც გაჭრა: მგზავრებმა მაჯის საათზე დაიხედეს და თანდათან დაშოშმინდნენ: ცხრას ოცი წუთი აკლდა.

ყველამ კვლავ მეოცე სადგომთან მოიყარა თავი.

— გარაჟში არ უშვებენ, კუთხური კარჩაკეტილობა მეტი გინდა? — ჩაილაპარაკა ცისფერკოსტუმიანმა.

იქვე ადგილობრივი ავტოპარკის შოფრები იდგნენ, სიტყვა არ დაამთავრებინეს ცისფერკოსტუმიანს, თავისიანებს გამოექომაგნენ.

— ორჯონიკიძეში ავტობუსი მომეშალა, გარაჟთან ძლივს მივათრიე, მაგრამ ახლოსაც არ გამიკარეს... „ტუტ სვოეგო ხლამა ხვატაეტ, უბირაისია კ ჩორტუ", მითხრეს, — ამბობდა ბრგე ტანის ცხვირკეხიანი შოფერი და გულღიად იცინოდა.

— ახლა სამაგიეროს უხდით ხომ?

— რას ვუხდით, კაცო, განა ეს გადახდაა? ხალხი ლამის თან გადაჰყვა მაგ პიატიგორსკიდან გამოგზავნილ ჯართს, მთავარმა ინჟინერმა თვითონ მოუტანა ახალი აკუმულატორი, სხვა რაღა გინდათ?

— გარაჟში რატო არ უშვებენ? შოფრებს გაეცინათ.

— რას აგიხირებიათ, კაცო, ეს გარაჟი. ავტობუსს მხოლოდ აკუმულატორის გამოცვლა სჭირდება, — გაეპასუხა თხელი ტანის პირხმელი ბიჭი.

— უმსგავსობაა და მეტი არაფერი,— თითქოს მათი საუბარი შეაჯამაო, ჩაიბუზღუნა ხელჩანთებზე გადამჯდარმა სქელმა დედაკაცმა.

მოდღევდა. ყველას საბოლოოდ წაუხდა ხასიათი. ბრაზის ვულკანი თანდათან ცხრებოდა, მაგრამ საკმარისი იყო ვინმეს გამოჩენა სადგურის მომსახურე პერსონალიდან, რომ ახალი ძალით ეფეთქა.

— მოვა, აუცილებლად მოვა ავტობუსი, — დინჯი ბანით ამშვიდებდა ხალხს წითელსამკლავიანი ულვაშა კაცი და ნელა მიარღვევდა მოფუსფუსე ბრბოს.

ქალები ახალ დელეგაციას აკოწიწებდნენ და მორიგი იერიშის წამოწყებას აპირებდნენ. მამაკაცები შედარებით მშვიდად იყვნენ: რაკი ქალები ამდენ გულმოდგინებას იჩენდნენ, ეგონათ თავი ქუდში გვაქვსო.

სწორედ ამ დროს მეოცე სადგომთან ახალთახალი კომფორტაბელური ავტობუსი გამოჩნდა. ფართომინებიანი „იკარუსი" შინდისფერი ლაქით ბრწყინავდა. შოფერმა კარი გამოაღო და მხიარულად დაიძახა:

— აბა, პიატიგორსკელებო, გთხოვთ!

მგზავრებმა უნდოდ შეხედეს, ადგილიდან ფეხი არავის მოუცვლია. იმავე წუთს რადიოკვანძით გადმოსცეს, პიატიგორსკისაკენ მიმავალ ავტობუსში ჩასხდომა დაიწყოო. ახლა კი ყველამ იწამა.

— მობრძანდით, ამხანაგებო, ნუღარ აყოვნებთ, — გვეპატიჟებოდა მძღოლი.

ცხვირკეხიანი, ფართოულვაშა, საშუალო ტანის კაცი იყო, შავგვრემანი და შავთმიანი. ულმაზოდ ჩასთვლიდით, სანამ არ შემოგხედავდათ თაფლისფერი, მეტად მოძრავი თვალებით.

— მეტისმეტად დაგაგვიანდათ. გმართებდათ, ცოტა ადრე გამოგეჩინათ ასეთი თავაზიანობა, — ღვარძლიანად შეეპასუხა ქერათმიანი ქალი და ტყავის ჩემოდანი მიაჩეჩა ხელში.

— უმსგავსოებაა და მეტი არაფერი, — დაუდასტურა ჩანთებით ახორხლილმა სქელმა დედაკაცმა.

მძღოლი ღიმილით იგერიებდა ქალების ღვარძლიან მუქარას, ბარგის დალაგებაში ეხმარებოდა და აუღელვებლად პასუხობდა, დამშვიდდით, ყველაფერი რიგზე იქნებაო. როგორც იყო, ჩავბარგდით. მძღოლმა კარი მოიხურა, სალონი მოათვალიერა და საჭესთან მჯდომ კოლეგას ანიშნა, წავედითო.

ავტობუსი დაიძრა. ყველას თანდათან გამოგვიკეთდა ხასიათი. მალე ძუძუთა ბავშვის ღუღუნიც გაისმა და ქალის

კისკისიც. ავტობუსი უხმაუროდ მიჰქროდა ნამიან ასფალტზე. თბილისს რომ გავცდით, ერთგან უკლო სვლას.

შოფერმა სვანური ქუდი კოსროზე მოიგდო, ჯერ უკან მსხდომ ჭაბუკებს გასძახა, ჩვენთან არ ეწევიანო, შემდეგ კი დანარჩენ მგზავრებს მიუბრუნდა:

— წყალი მოიმარაგეთ, ამხანაგებო, კარგახანს ვეღარსად გავჩერდებით.

მცხეთას რომ გავცდით, ავტობუსი ერთგან კიდევ შეჩერდა.

— ვაჰიკ, მოდი რა, ახლა შენ დაჯექი საჭესთან, — სთხოვა ამხანაგმა სომხურად და შოფრებმა ადგილები გაცვალეს.

ახლა მე ვიქნები თქვენი სტიუარდესაო, თქვა მეორე შოფერმა და ხვნეშით მოკალათდა წინა გვერდულა სავარძელზე. ჟანგისფერი სახე ჰქონდა, ქუფრი თვალები და აჯაგრული თეთრი თმა. სტიუარდესა ვიქნებიო, კი თქვა, მაგრამ მთელ გზაზე კრინტი არ დაუძრავს, დროდადრო მხოლოდ ამხანაგს თუ გადაულაპარაკებდა.

საჭესთან მჯდომიც დუმდა. სარკიდან ვხედავდი: კუზოკრული ბლუზა ეცვა, დაკაპიწებული ბალნიანი მკლავები საჭეზე ეწყო და გზას გასცქეროდა.

ყინვალთან ხელების ქნევით შემოგვეგებნენ გზისპირას შეჯგუფებული მგზავრები. მძღოლმა მანქანა გააჩერა და ამხანაგს გადაულაპარაკა:

— კარენ, აბა შენს მხარეს საბურავებს შეხედე.

კარენმა საბურავები შეათვალიერა და ღია კარიდან გასძახა მგზავრებს, საით მიდიხართო. ყაზბეგში მიმავლები აღმოჩნდნენ. „სტიუარდესამ“ ბილეთები მოუხია მგზავრებს და ადგილები მიუჩინა.

მლეთაში ავტოინსპექციის საგუშაგოსთან გავჩერდით.

— ხომ არ გამსინჯავთ, უფროსო, დიდი აღმართების წინ... — გასძახა მძღოლმა ახალგაზრდა კაპიტანს და თითქოს თავისდაუნებურად გამოურია მოხევური კილო.

გენდობით, კარგი გული გაქვს, გაუძლებს აღმართებსო, ხუმრობითვე გამოსძახა კაპიტანმა და კვლავ ავიძარით.

გაუთავებლად მიიწევდა სულ ზემოთ და ზემოთ მთის კალთებზე სპირალივით დახვეული გზა. საკმაოდ შევიმაღლეთ და ცივ წყაროსთან შევისვენეთ. მძღოლმა ავტობუსიდან გასვლის უფლება აქ პირველად დართო მგზავრებს და თვითონაც ისკუპა კაბინიდან.

გზისპირას, ბეტონის პარაპეტზე, მთიელ ქალებს შემოდგომის ხილით სავსე ხის ჯამები გაემწკრივებინათ და ჩალისფასად ჰყიდდნენ.

ჩვენი თანამგზავრი ჩრდილოელი ქალები კლდის კბოდეზე შედგნენ და სამხრეთულ მზეს მიეფიცხნენ, სხვები კლდიდან გადმომჩქეფარე ჩანჩქერისაკენ ჩავიდნენ. მე უნებურად გავნაპირდი — გაღმით, სასაფლაოს ახლოს ასვეტილმა მახვილმა კოშკმა მომტაცა მზერა. ხევს გადაჰყურებდა კოშკის სამზარები; უპატრონობით ამოღამებულნი და ვერანანი, იდგნენ მიტოვებული ქოხები...

როგორ ხართ ქალაშავებოო, მოიკითხა მძღოლმა მთიელი დიაცები. ქალები თამამად გაეპასუხნენ, ჯალაბი როგორ გყავსო, თავის მხრივ მოიკითხეს.

— ჰაი, დედასა. რამდენი სიყვარულის წერილი მამიტანავს თქვენთვის, რამდენი წამიღავ, ახლა აბა რაღაი საჰირო ვარ... დაბინავდით, კერაზე ცეცხლი გაიჩინეთ.

ქალებს ეღიმებოდათ, თავს ნუ ისაწყლებ, არც შენ დარჩი ზარალშიო, ეუბნებოდნენ.

— ოთხი წელი აქ გავატარე, ფოსტის მანქანა დამქონდა, — ახლა ჩვენ მოგვიბრუნდა მძღოლი, — მთელი ხევი მიცნობს.

ერთმა დიაცმა მსხალი შესთავაზა ხის ჯამით, სხვებიც დაფაცურდნენ: რაკი შეატყვეს, წასვლას აპირებსო, ლოყაწითელ ვაშლებს სთავაზობდნენ, გზაში პირს გაისველებო. მძღოლი უარობდა, მაგრამ არც ვინმეს გაწბილება უნდოდა,

ადგა და ყოველი ჯამიდან თითო ვაშლი აიღო.

შუადღისას უკვე ჯვარზე ვიყავით. მზე მაღლით დაჰყურებდა საუკუნოვანი ნაოჭებით დაფშხალულ მწვერვალებს— ღრუბელთა ჩრდილები ჭორფლივით ეყარა მწვანედ მოხასხამე ალპურ მდელოებს. ქუმლის ციხესთან წამით შევჩერდით და საბოლოოდ გამოვხედეთ პირაქეთა კავკასიონს.

კობთან წვერაჯაგრული ახმახი მწყემსი დაგვემგზავრა. მის სალამზე სალმითვე უპასუხა მძღოლმა და რაღაც დასძინა მოხევურ კილოზე. მწყემსს გაეცინა, თუ სნოში მიდიოდა, იქაური მკვიდრი აღმოჩნდა. სიონის ეკლესიასთან შევჩერდით. მძღოლმა ხალხური იუმორის თითქოს ჯადოსნურ სკივრს ახადა თავი — რას აღარ ჰყვებოდა სნოელების გულუბრყვილობაზე. სნოელ მწყემსს ყაზბეგში მიმავალი მგზავრები გამოესარჩლნენ, ტყუილია, მოგონილია ყველაფერიო.

—— მაშ, ისიც ტყუილი იქნება, მოხევეები სადღეგრძელოს რომ იტყვით ხოლმე, როგორ იცით? ჯერ ნამდვილ ქართველებს — მოხევეებს გაუმარჯოს, მერე დანარჩენ ნაყარ-ნუყარსაო, ბარის ციცეებს რომ გვეძახით, ეგეც ტყუილია? — ღიმილით ეკითხებოდა მძღოლი.

ამაზე მთიელ ქალებს, როგორც დანაშაულში დაჭერილ ბავშვებს, მორცხვად ეღიმებოდათ.

შესაძლოა, ზოგ სიტყვას მათებურად ვერ ამბობდა, მაგრამ მძღოლის თავანკარა მოხევური კილო ეჭვს არ იწვევდა. მით უფრო საკვირველი იყო, როგორ შეეძლო სომეხ კაცს ასე ფაქიზად ეგრძნო ქართული ენის ყოველი კილოკავი?

დარიალის ხეობაში მძღოლმა საგრძნობლად უკლო სიჩქარეს და ამიტომ ყაზბეგში დაპირებული სადილი, საერთო გადაწყვეტილებით, ორჯონიკიძეში გადავიტანეთ.

ქვემო ლარსს გავცდით და სამოქალაქო არქიტექტურის სტილიც მკვეთრად შეიცვალა. გაქრა ქართული წყობის საცხურავები, კოტეჯები, ღია აივნები ტეხილი ფართო კიბეებით.

ჩემს წინ მჯდომმა ცისფერკოსტუმიანმა თავისებურად განმარტა:

— აჰა, მოთავდა მაღლივი მთებიც, მაღლივი შენობებიც და საქართველოც, ახლა ვაკე დაიწყება... ვაკე და მიწას გაკრული, თეთრად შეფეთქილი უამრავი ხატა.

რატომღაც მოუსვენრობამ შემიპყრო. ვეღარ მოვითმინე და ვკითხე:

— მერე?

— არაფერი. უბრალოდ, აქეთ სხვანაირი წესრიგია.

— მაინც როგორი?

— ისეთი არა, როგორც თქვენთან. გუშინ პირი გავიპარსე თბილისში. დავაპირე, ნიხრის მიხედვით გადამეხადა საფასური, ხურდა გავუწოდე დალაქს და იცით რა ქნა?.. არ აიღო, ალალი იყოსო, მიპასუხა...

კახერი ჩემკენ ჰქონდა მოღრეცილი, ლაპარაკობდა და თან ირონიული ღიმილი უკრთოდა პირის კუთხეებში.

— კერძო შემთხვევებზე ნუ ვილაპარაკებთ.

— ბიცოლა გარდამეცვალა თბილისში, მსახიობი ქალი იყო. მისი ნივთების წასაღებად ჩამოვედი, როგორც მემკვიდრე, მაგრამ ვერ იქნა და ვერ ვიშოვე კონტეინერი, სანამ ორმაგად არ მივეცი, — ჩაიქირქილა და მონისლული თვალები ამარიდა.

— კარგად უქნიათ! — გამოსძახა ვილიცამ.

— ეგეც კერძო შემთხვევაა, — დავუმატე მე.

— ტიპიური გნებავთ? — მკითხა გაავებით, — თქვენთან სულ არ ხმარობენ შავ ხურდას... არსად არ ხმარობენ.

— ნამდვილი თბილისი ვერ დაგინახავთ, მეგობარო. რა საჭიროა სანაგვეებზე ლაპარაკი, — გამოელაპარაკა ქერათმიანი ქალი, — მე მოსკოვში ვარ გათხოვილი, იქ ვცხოვრობ, მაგრამ თბი-

ლისში გავიზარდე. ამ მხრივ, რა ასპექტშიც თქვენ ლაპარაკობთ, თბილისი ძალიანაც არ გამოირჩევა სხვა ქალაქებისგან.

„სირცხვილი იმ თბილისელებს, ვინც საცოდავი გროშების გულისათვის სალანძღავად გვიხდიან დედაქალაქს“, — გავიფიქრე და მადლიერების გრძნობით აღვსილმა შევხედე ქერათმიანს.

— ცუდს რომ ამჩნევთ, კარგის დანახვაც უნდა შეგეძლოთ, — აღარ ცოეშვა ქალი ჩემს მოსაუბრეს, — ხედავდით, როგორ ტრიალებდნენ ავტოსადგურის თანამშრომლები? რა არ იღონეს, რომ ავტობუსი სასწრაფოდ შეეკეთებინათ და რაკი ვერ მოუხერხდათ, სხვა ხაზიდან მოხსნეს და ჩვენ დაგვითმეს ეს კომფორტაბელური მანქანა. აბა ახლა ამ მძღოლებს დააკვირდით, როგორ გულისხმიერებას იჩენენ ყოველი მგზავრისადმი და აბა, თუ ვისიმე კაპიკზე წასცდენიათ ხელი, აკურატულად ჰყიდიან ბილეთებს.

ბალთაში შევჩერდით. ავტობუსში ახალი მგზავრები ამოვიდნენ. სამნი იყვნენ, თავით ფეხამდე ტყავებში გამოწყობილები. ამოვიდნენ, იქვე მძღოლებთან გაჩერდნენ და საჭესთან მჯდომს გამოელაპარკნენ. საუბრის კილოზე ეტყობოდათ, რომ ერთმანეთს კარგად იცნობდნენ, მალე გულიანი სიცილი აუტყდათ.

— ხედავთ? ინგუშებსაც მათივე ენაზე ელაპარაკება. პირდაპირ მაკვირვებს ეს კაცი. სხვა სიკეთესთან ერთად ლინგვისტიც ყოფილა, — ახლა მე მომიბრუნდა ქერათმიანი.

თავის ქნევით დავეთანხმე. შუაპიანი თეთრწვერა კაცი ჩაგვერია საუბარში, აქამდე რომ ხმა არ ამოუღია.

— კარგი ადამიანია ჩანს, ისე გეპყრობა, შენიანი გეგონება.

ჩრდილო კავკასიის პირველ ქალაქს მივუახლოვდით და პირველი შემოგვეგება გზაზე დიდი ქართველი რევოლუციონერი... გრძელი ფარაჯის კალთებსა და ბუდიონურას ჩამოშლილ ყურებს ქარი უფრიალებდა, რევოლუციის ბობოქარი ქარი... გულზე დურბინდი უქანავებდა სერგოს და კავკასიონს გადაჰყურებდა, თითქოს ახლაც მეთერთმეტე არმიას მოუძღვოდა...

როგორ მინდოდა, ყველას დაენახა იგი და მათ რიცხვში ცისფერ კოსტუმიანსაც, ველარ მოვითმინე და დავიძახე:

— აგერ ჩვენი თანამემამულე!

ორჯონიკიძეში ორიოდე მგზავრი შემოგვემატა, სამაგიეროდ ნახევრად დაცარიელდა ავტობუსი. ყოველ მგზავრს გულთბილად ემშვიდობებოდნენ მძღოლები, განსაკუთრებით კი ის — კუბოკრულ ბლუზაში გამოკვართული, მკლავებდაკაპიწებული კეთილმომღიმარი კაცი.

ქალაქს კარგა მანძილით გავცდით, რომ მოულოდნელად ავტოინსპექციის საგუშაგოსთან გაგვაჩერეს. რა უნდა მომხდარიყო?

გულმა ველარ მომითმინა და უკან გავყევი შოფრებს. ახალგაზრდა ლეიტენანტი შემოეგება. ორჯონიკიძიდან დამირეკეს, ქართული ავტობუსი გამოივლის და შეაჩერეთო, აუწყა შოფრებს. ჯიხურიდან ახლაღა გამოვიდა მეორე ოფიცერი.

— გაკვრით რომ მიდიხარ და არ მესალმები, სადაური სამართალია? — შემოსცინა მან მკლავებდაკაპიწებულ მძღოლს.

ერთმანეთს ძმურად მოეხვივნენ, მოიკითხეს.

— ვერ შეგნიშნე... სინდისს გეფიცები, ასე იყო... ცოტა მეჩქარება და ალბათ იმიტომ. თანაც, მოგეხსენება, ტრასაზე ვარ, წინ უნდა ვიყურო, — შესცინა ინსპექტორს და ამხანაგს რაღაც გადაულაპარაკა.

კარენი გაბრუნდა და ავტობუსიდან მწიფე ბროწეულებით სავსე ბადურა მოიტანა.

— ბოდიში მომიხდია ,უცბათ წამოვედით და სხვა ვერაფერი გამოვიყოლე, ბორჯომის ხაზიდან მომხსნეს და აქეთ გადმომისროლეს დილა-უზმოზე.

მეგობრები გულთბილად დაემშვიდობნენ ერთმანეთს და კვლავ ავიძარით.

ამასობაში შემოგვაღამდა კიდეც. გზა შედარებით თავისუფალი იყო. მანქანები კანტიკუნტად გვხვდებოდნენ, ბრიალა თვალებს შემოანათებდნენ ჩვენს ჩაბნელებულ ავტობუსში და ჩაივლიდნენ.

შუქი გზაზე...

თანამედროვე მოუსვენარი ადამიანი... ვის საზრუნავი დააქროლებს უკიდეგანო გზებზე, ვის ოცნება, ვის მიზანი

არიან უმიზნოდ მოხეტიალე საშიშა ცეცხლებიც.

შუქი გზაზე...

ეს ჩვენ ვართ. ჩვენი პატარა ეფემერული კოლექტივი თავისი დღევანდელი დღით, რომელიც არც თუ ისე კარგად დაიწყო, მაგრამ საუკეთესოდ მთავრდება. ყველაფერს კი ამ კაცს უნდა ვუმადლოდეთ; კაცს, რომელსაც, ეტყობა, ძალიან უყვარს ადამიანები და თავისად მიაჩნია მათი ტკივილი თუ საფიქრალი. ის მთელ გზაზე იმის ცდაში იყო, უსიამოვნო განცდებისაგან განვეტვირთეთ და შესძლო კიდეც.

დიახ, ხალისისა და მხიარულების მღვივარ მუხტად უნდა ჩაგვეთვალა ჩვენი ავტობუსის შუქი გზაზე.

განა სხვა რა სჭირდება ადამიანს, თუ არა სიმხნევე და სიხალისე. საამისოდ კი სულ მცირე რამ ყოფილა საჭირო — მახვილი იუმორითა და გულის სიკეთით შეკაზმული უბრალო სიტყვა. მგზავრობამ შეიძინა თავისი შინაარსი. გზას უკვე ჰქონდა ის, რასაც საერთოდ ჩვენ სიცოცხლისაგან მოვითხოვთ... და სწორედ ამიტომ უკვე აღარავის არსაით აღარ მიეჩქარებოდა.

ვერ შევნიშნეთ, როგორ გაიპარა დრო. ავტობუსი რომ გაჩერდა, ძლივს მივხვდით, რომ უკვე პიატიგორსკში ვიყავით.

— გილოცავთ მგზავრობის კეთილ დასასრულს — მიკროფონში გამოაცხადა მძღოლმა, — ოღონდ გთხოვთ, ვისაც სიმღერა შეგიძლიათ, რამე გამოსათხოვარი გვიმღერეთ რამე, — ჩქარა და სასიამოვნო ხმით ჩაიღიღინა: — „იმღერე რამე“...

დაბლა ჩავიდა, მანქანის საბარგული გახსნა და ბარგის გამოლაგებას შეუდგა, ქალები ჩემოდნებს ითითოებდნენ.

სამეულიდან ყველაზე მაღალს, სელისფერთმიან ქალიშვილს ბარგი არ ჰქონდა, მან სავარძლის პრიალა სახელურზე გადაჰკიდა საწვიმარი და მიკროფონით ხელში გაჩერდა მძღოლის წინ...

მგზავრები აღარ აპირებდნენ დამშვიდობებას. და მღეროდა ქალიშვილი სიცოცხლის სილამაზეზე, მის ხანმოკლე გაზაფხულებზე და ფოთოლცვენის შრიალა სევდაზე...

სიმღერა დამთავრდა. ჯერ თვით მომღერალი — სელისფერთმიანი ქალიშვილი დაემშვიდობა მძღოლს, მერე რიგრიგობით — დანარჩენები. ყველა დიდ მადლობას უხდიდა ბედნიერი მგზავრობისათვის; ის კი კვლავ საჭესთან იჯდა, ბილეთებს სინჯავდა და თავისი განუყრელი კეთილი ღიმილით ემშვიდობებოდა ყოველ მათგანს. ავტობუსი დაცარიელდა. მე მძღოლს ბილეთი გავუწოდე და ათასი რამის თქმას რომ ვაპირებდი, მხოლოდ ესღა მოვახერხე:

— აბა, ნახვამდის... თუ არ ვცდები, ვაგიკ. არა?

გაეცინა. იქვე ჩამოკიდებული პიჯაკის ჯიბეში ჩაყო ხელი, სიგარეტი ამოიღო და გააბოლა. პიჯაკი წამით შემობრუნდა და მის ლაცკანზე თვალი მოვკარი „კომუნისტური შრომის დამკვრელის“ სამკერდე ნიშანს.

— ვაგიკას კარენი მეძახის სომხურ ყაიდაზე. ვახტანგი მქვია, ვახტანგ მემარნიშვილი.

— ასე უბრალოდ მეუხერხულება თბილისელ კაცთან დაშორება. ღამით სად რჩებით?

— ავტოსადგურში. ოთახი გვაქვს.

— თითო ჭიქით ხომ არაფერი გვეთ-



...ს. მარქსის სახ. სახ. რესპუბ.

ქვა? დავიცდი, სანამ მანქანას დააყენებთ.

— ძნელია, — ბოდიშად ისევ ის კაცური ღიმილი მოიშველია, — რეისში ვარ.

რამის თქმა ზედმეტად ჩავთვალე, მხოლოდ ესღა ვუთხარი გამომშვიდობებისას:

— კარგი ბიჭი ყოფილხარ. შენი ვაჟკაცობის ჭირიმე, რომ ამომყარე ზოგიერთების ჯავრი.

— როგორ? — აჯაგრული წარბები შეყარა.

— ზოგი სტუმარი ჩვენი ქალაქის ურიგოს ლაპარაკობდა გზაში, შენ რომ არა, ცუდად იყო ჩვენი საქმე, ახლა კი... ხედავ, როგორ დაგვემშვიდობნენ?

გაეცინა.

— მაშ როგორ. ხომ უნდა ვაცოდინოთ ყველას, როგორია თბილისური სერვისი.

კარენი ღია კართან იდგა და ჩვენს საუბარს უსმენდა. გამომშვიდობებისას ისე კეთილი სახე ჰქონდა, რომ ერთხელ კიდევ ვირწმუნე: ჰაოსი და ქართლოსი ძმები იყვნენ.

## პატარძლის ყვავილი

ცარიელ კლასში ღია ფანჯარასთან ვიდექი და ნამზევ ვენახებს გადავყურებდი. დირექტორთან საუბარმა ხასიათი წამიხდინა და აქედან გაცლას, ბუნების წიაღში გადაკარგვას ვაპირებდი. შემოვბრუნდი, წამით ფანჯრის რაფას მივეყრდენი და მერხებს გადავხედე— მაშინვე თვალწინ დამიდგნენ მათი პატრონები....

„აგერ იმ მელანგადასხმულ მერხზე წითელთმიანი გოგო ზის, ეშმაკის ფეხია, თუმცა არც დანარჩენები არიან უკეთესები. დგახარ მაგიდასთან და უყურებ, როგორ გნიასებენ, იცინიან, და გპასუხობენ თითაწეული სახიერი ქაჯები... წინა კვირას მაგარი ჩხუბიც მოხდა ამ კლასში, ორს ერთად ხცემა ვიღაცა ჯღარღალამ და ფანჯრიდან გადაეშვა. მგონი, ახლაც ეძებენ, მაგრამ სკოლაში მაინც ვერ მოიყვანეს... კიდევ კარგი, უარი ვუთხარი, სადა მაქვს ამათი მოვლის თავი“.

საკლასო ოთახიდან გამოვედი და კიბეზე დავეშვი. სახლში მივედი, სახელდახელოდ წავიხემსე, სანადირო თოფსა და პატრონტაშს წამოვავლე ხელი და ვენახებისაკენ წავედი. სოფელს გავცდი და რუსპირა ბილიკს დავადექი.

ქვემოთ, რუს გასწვრივ, სიმინდის ატეხილი ტევრი შრიალებდა, ზემოთ კი მომკილი მინდვრები იყო გადაჭიმული ვიდრე ტყიან მთამდე. სექტემბრის თბილი წვიმებით გაღვიძებული ბალახი შეზრდოდა ნაწვერალს. ხასხასა მდელოს ნამუწუკრებივით აჩნდა უბალახო წრეები — თივის ბულულები ახლახან აელოთ. თოფი უფრო შნოს გულისათვის მეკიდა, მონადირედ ვინილბებოდა, რადგან ვიცოდი, მეოცნებეებს და პოეტებს, ცოტა არ იყოს, ირიბად უყურებს სოფლელი კაცი.

ის დრო იდგა, როცა ნაზი ფერებით აპრილთან ქიშპობს სექტემბერი, ოღონდ შემოდგომის ყვავილების უმანკოებას, ფოთოლთა ლამაზ ფერიცვალებას წარმავალობის სიო ატოკებს. მხოლოდ სკოლაა ამ დროს ხალისით პირთამდე სავსე: ახალი წიგნების, რვეულების, გადაღებილი კედლებისა და მერხების, ზაბთებისა და ყელსახვევების მხიარული ფერებით ჰყვავის, ცხრილებით, განრიგებით იმოსება სამასწავლებლოს კედლები, სკოლის გული გაკვეთილების რიტმით სუნთქავს...

მწყერი ამიფრინდა, სიმინდის ტევრს გადაევლო თავზე და გაუჩინარდა. იქვე

ახლოდან ფაჩუნი მომესმა, ხმაურის მიმართულებით გავიხედე და ბიჭი დავინახე, ბილიკზე გამოვიდა და თვალმოჭუტვით შემომხედა.

— რატო არ ესროლე? — მკითხა და მზისგან ხელისგულით მოიჩრდილა შუბლი.

— სხვის მწყერს როგორ ვესროდი, ის ხომ შენ აგიფრინდა, — ვუპასუხე და იმავ წუთს სიმინდებიდან შლიგინით გამოვარდნილმა პოინტერმა მომტაცა მზერა. სინგურა ლაქებიანი, კანჭმაღალი ძაღლი იყო.

— მე არ ვნადირობ, უბრალოდ გამოვიარე, — მიპასუხა ბიჭმა და შუბლსქვემოდან შემომხედა, — ძაღლი მინდა გამოვცადო.

წინ წამოვარცხნილი შავი თმა ბლუჯად ეყარა შუბლზე, ცხვირკეხიანი, მსხვილტუჩება ბიჭი იყო. ერთი შეხედვით ულამაზო მეჩვენა. გახუნებული, აქა-იქ წმინდად ამოკემსილი შარვალხალათი კი მოხდენილად ადგა ტანზე. ბალახში სიარულისაგან ერთიან გამწვანებული კედები ეცვა. რაზე სცდი-მეთქი ძაღლს, შევეკითხე, მაგრამ არ მიპასუხა, ძაღლს მისდიეო, მანიშნა.

სიმინდებს შევერიეთ.

— მიდი ჰო, აშარ! — აქეზებდა ბიჭი. ფეხდაფეხ მივსდევდით.

ძაღლს ნაბული არ აცალა, წინასწარ აფრინდა მწყერი. ვესროლე. ჰაერში ქაღალდის ნაგლეჯები განიბნა, თვალთაგან დამეკარგა ნადავლი. ძაღლი შლიგინით მიარღვევდა სიმინდის ტევრს. ბიჭი გვერდით დამიდგა და ორივენი ძაღლს დაველოდეთ. წუთიც არ გასულა, პოინტერმა მოირბინა, მოკლული მწყერი პატრონის ფეხებთან დადო და გაბრუნდა. ბიჭმა ალერსიანი მზერა გააყოლა ძაღლს, მომიბრუნდა და მწყერი გამომიწოდა. შენ გქონდეს-მეთქი, მაგრამ არაფრით არ ქნა.

ძაღლს მივსდიეთ.

სანამ სიმინდის ტევრის მეორე ნაპირს გავატანეთ, სამი მწყერი კიდევ მოვინადირეთ. მიჯნაზე შევჩერდით. ძაღლს ქეჩოზე ხელი გადავუსვი, მოვეფერე.

— აშარი რატომ დაგირქმევია, თავი მოგაძულა? — ვკითხე ბიჭს.

— სხვისია, —მოკლედ მომიჭრა და წინ წავიდა.

— შენ თვითონ რა გქვია?

— თენგიზი. თენგიზ ფესანგიძე, — მომიგო უკანმოუხედავად.

ბიჭს პირველად ვხედავდი, მაგრამ ძალიან ხშირად მსმენოდა ეს სახელი და გვარი. სკოლაში სულ ორი კვირის მოსული ვიყავი და ჯერ ისევ ერთმანეთში მერეოდა ახლადგაცნობილთა სახელები, მაგრამ ეს იშვიათი გვარი?.. თითქოს რაღაცას მივხვდი.

— რომელ კლასში ხარ?

— მეშვიდეში... მაგრამ წელს არ ვყოფილვარ სკოლაში, — მიპასუხა და მხრებში ჩარგო გაუკრეჭავი თავი, — თუმცა.. ერთხელ მიმიყვანეს, მაგრამ მაშინვე წამოვედი.

„კი არ წამოხვედი, ორ ბიჭს ცხვირიდან სისხლი ადინე, მერე ფანჯრიდან ისკუპე და ყაჩაღივით გამოიქეცი“, — გავიფიქრე და მაშინვე თვალწინ დამიდგა ჭაღარათმიანი გამხდარი ქალი, ჩვენი მათემატიკის მასწავლებელი.

დირექტორის მაგიდასთან იდგა, ცარციან ხელებს ნერვიულად იფშვნეტდა და თვალცრემლიანი შესჩიოდა:

— აღარ შემიძლია, ბატონო შიო, მაგ კლასის გაძღოლა. დღეს ფესანგიძე ძლივს მოვიყვანე სკოლაში, მაგრამ რა გამოვიდა, ბიჭებს ცხვირ-პირი ამოანაყა, დაკრა ფეხი და გაიქცა... თვითონ მშობელსაც ვერ მოუაშიებია და აბა მე რას გავხდები...

— ოხ ეს ჯღარდალა!.. — ამოიხვნეშა დირექტორმა, — თუმცა არც სხვები გვყვანან მაგაზე უკეთესები...

„ნუთუ ეს ის ჯღარდალაა?“ — გავიფიქრე და ერთხელ კიდევ ყურადღებით შევათვალიერე.

მდინარისპირა რიყეზე გავედით. მეტს აღარ ვინადირებ-მეთქი, ვუთხარი ბიჭს და ნადავლის გაყოფა დავაპირე, მაგრამ

მაშინვე გამექცა, ძლივს მოვაბრუნე. მწყრები თასმაკავზე გავიკიდე და გვერდით მივყევი.

— აგერ იმ კაკლიდან იწყება ჩვენი ვენახი. ატმები გვიმწიფს, აქვეა, მიჯნასთან, — ბიჭი თვალებით მევედრებოდა, არ გამაწბილოო.

„მასპინძლობა კი სცოდნია ჯღარდალას, მაგრამ ის კია?“ — დავეჭვდი.

ვენახის პირას, მიჯნის გაყოლებაზე, მართლა ნაირფერად ღუოდა მწიფე ატმები: ბუსუსიანები, ყვითლები, ვარდისფერები, დაწინწკლულები. ყოველ ხეს განსხვავებული, განუმეორებელი ფერისა, გემოსი და სურნელის ნაყოფი ესხა. კარგი დეგუსტატორივით ვაჭაშნიკებდი, მაგრამ მჯობზე მჯობი აღარ დაილია. ქოხთან დავბრუნდი. ქოხი მსხლის ორყუჟელს ეყრდნობოდა, წმინდა თივით იყო გადახურული მის წინ ხმელი მორი იდო ჩამოსაჯდომად და იქვე კვამლიანი კოცონი ენთო. შიგნით შევიხედე: პაწია ტახტზე აკეცილი ლოგინი ელაგა, ხოლო ბოძზე გაკიდული ღია ჩანთიდან წიგნები მოჩანდა.

— აქ ცხოვრობ? — ვკითხე და მიმოვიხედე, — რა გაძლებინებს?

დამცინავი ღიმილი გაუკრთა ბუსუსიან ბაგეებთან, განზე გაიხედა, ჩაცუცქდა, მუგუზლები შეასწორა და მერელა თქვა:

— დედა ჩამოდის ხოლმე.

— მამა?

— მამა მთაშია. ახლა მალე ჩამორეკავენ ცხვარს.

მომეჩვენა თუ მართლა, ბიჭს მეოცნებე თვალები ჰქონდა, როცა ამას ამბობდა. ნუთუ იმედი ჰქონდა, რომ მამაც მოუწონებდა სკოლიდან განდგომას? ვკითხე.

მაშინვე არ უპასუხია, გვერდზე გამახედა და ერთი მუქფოთლებიანი ჯაგი დამანახა, რომელსაც მტევნებად ესხა შავი კენკრი. ნაყოფი დამსკდარიყო და მისი შავი, ოდნავ მომწვანო წვენი დიდრონ ლაქებად დაღვენთებოდა ფოთლებს.

— მაგ ტურტლიან ბუჩქს რამეთი ვგევარ? — მკითხა.

— რა ბუჩქია?

— შავჯაგა. ზოგი ჯღარადალასაც ეძახის... ისევე, როგორც მე მეძახიან. ბიოლოგიის მასწავლებელმა დამარქვა, რაკი წენგოიანი ხელები მინახა ერთხელ.

„მართლა ის ყოფილა. ჯიუტი ხასიათის ბიჭი ჩანს, თანაც, თავმომწონე ყოფილა“.

— სკოლიდან მაგის გამო გამოიქეცი?

— მარტო მაგის გამო არა. საქმეც გამომიჩნდა. აი ეს... აშარი ვიხსენი სიკვდილისაგან. წიწილებს ჭამსო, თოფით მოკვლას უპირებდნენ. მკვლელს ხელიდან გამოვგლიჯე და აქ ჩამოვიყვანე. საკვირველი ის არის, რომ დაუნდობლად ნაცემს ასე მალე მოუბრუნდა გული უბირ პატრონზე: ვატყობ, რომ დარდობს, ღამით ემაგ თივის ბულულზე შესდგამს ხოლმე წინა თათებს და მთვარეს შეჰყმუის ნაღვლიანი თვალებით.

„ერთი — წიწილების ჭამია, მეორე— აბეზარი და ჩხუბისთავი... ერთნაირი აცვენილები შეყრილან“.

— ორივენი უჭკუოები ვართ: ვინც სასიკვდილოდ, სასაცილოდ გვიმეტებს ისევ მათზე ვდარდობთ.

— შენ დარდობ სკოლაზე?

— საქმე რომ არ მაკავებდეს, შეიძლებოდა გამებედა და წავსულიყავი კლასში... აშარი მეცოდება, ჩემსავით უიღბლო, წიწილის ფეხი დაუნახეს პირში და მთელი ბუდობის გაწყვეტა მას დააბრალეს. იქნება სულაც თრითინა ხოცავდა, აშარმა კი მკვდარი წიწილი ნახა და მას წაატანა პირი. აქ იმიტომ წამოვიყვანე, თუ მართლა იწუწკა, იქნება გადაეჩვიოს-მეთქი... თუ უდანაშაულოა, მით უკეთესი. წელან, პირველად რომ ნადავლის მოსატანად გაიქცა, თქვენ არ შეგამჩნეინეთ, თორემ სული კბილით მეჭირა, არ შეჭამოს-მეთქი. ახლა კი ძალიან მიხარია... აშარს სოფელში დავაბრუნებ და თანაც ჩემი იქნება. ვატყობ, მასაც ვუყვარვარ. აღარ

ვაბამ, მაგრამ გვერდიდან არ მშორდება. თანდათან ვრწმუნდები, რომ აშარი ღამღამობით პატრონზე კი არ დარდობდა, უფრო თავის უკუღმართ ბედზე შესჩიოდა მთვარეს, — დასძინა ბიჭმა და ამოიოხრა.

ჩემს წინ იდგა ორი განდეგილი. ბიჭს ძაღლის თეთრ შუბლზე ედო ხელი და მე შემომყურებდა, პოინტერიც გატვრენილიყო, თითქოს ჩემს მსჯავრს ელოდა.

— კარგი ძაღლი გყავს, — ვუთხარი, მაგრამ ვერ გავბედე დამემატებინა, შენც კარგი ბიჭი ყოფილხარ-მეთქი, გულის სიღრმეში კი შემძრა მისმა საქციელმა.

ბიჭი მაშინ გამოექომაგა ძაღლს, როცა იგი ყველას დამნაშავედ მიაჩნდა და სასიკვდილოდაც გაიმეტეს, დიდსულოვნად აპატია დანაშაული და მისი გამოსწორება სცადა...

მზე ჩავიდა. კაკლის ხეს დიდი წითელი ღრუბელი ადგა თავს, ირგვლივ ყველაფერს მიმქრალი ნარინჯისფერი შუქი გადაჰკრავდა.

ქოხის გვერდით მობიბინე კორდს საკინძივით ჩაუდევდა ვიწრო რუ, რომლის ჩაყოლებაზე თეთრი ფოლაქებივით აჩნდა მდელოს ჯუჯა ტირიფები. თვითმფრინავის გუგუნმა ამახედა მაღლა — კრიალა ცას მკაფიოდ დაეტყო რეაქტიული ძრავის კვამლიანი ნაკვალევი.

— საშინაო დავალებას ასრულებს,— უკან მიმახედა ბიჭის ხმამ.

ცას შესცქეროდა. ცის კაბადონი მართლაც ცარცით დახაზულ დაფას ჰგავდა და ბიჭიც იმ ხაზებს აყოლებდა მაღლა აშვერილ თითს.

— ბლაგვკუთხა სამკუთხედი ჰქონიათ, — შემომცინა და ცაზე მიმითითა.

ახლოს მივედი და რატომღაც მხარზე ხელი დავადე, მეც ვერ ამეხსნა ჩემი საქციელი. რუს გავუყევით და ანაზდად ჯუჯა ტირიფთან ჩადგმულ პაწია წისქვილს წავადექით. სწრაფად ტრიალებდა დოლაბი, ზედ სარეკელა ცეკვავდა და ხვიმირასაც არხევდა, ღარიდან მოვარდნილი წყალი ციბრუტივით ატრიალებდა ბორბალს.

— ასეთი წყლის წისქვილები წინათ ყოფილა ამ ხეობაში... სასკოლო მუზეუმისათვის მინდოდა, იმად გავაკეთე.

ფეხი ვეღარ წავდგი წინ, ვუყურებდი პულა წისქვილს და გაკვირვებას ვეღარ ვმალავდი. ბიჭი წინ წავიდა და იმაზე მივხვდი, კიდევ რაღაცა უნდა ეჩვენებინა. რუს გავუყევი, უფრო სწორედ თვალმა გამიტყუა.

ლიანდებით შექსოვილ მაღალ ბარდებზე, ზღუდედ რომ ჩაუდევდა რუს, დიდრონი ყვავილები გიზგიზებდა— ბარდებზე წინ წამოწეულ ტოტებზე ვეება თეთრფურცელა ზანზალაკებად ეკიდა, მხოლოდ გული უღვიოდათ მეწამულად თითო ზანზალაკებს და მტვრიანებიც ცეცხლოვანი ფიფქით ჰქონდათ დაფერილი.

— უმოწყალო... თითქმის შეუვალი სილამაზეა, — დავიჩურჩულე ჩემდა უნებურად.

— თქვენ ღამით უნდა ნახოთ. ქოხთან რომ ცეცხლს ავანთებ და აქეთ გამოვიხედები, ისე კაშკაშებენ, ციდან ჩამოცვენილი ვარსკვლავები მგონია.

ახლოს მივედი, დაკიდულა ყვავილს მივწვდი და მაღლა ავუწიე თავი — სავსე მთვარის ნათებას ჰგავდა მისი ელვარება.

— რა ჰქვია?

— პატარძლის ყვავილი. ალბათ იმიტომ დაარქვეს, რომ ასე მორცხვია, არასოდეს მზეს არ შეხედავს თვალებში.

— ალბათ ფიქრობს, ისედაც შემამჩნევენო, არა? — ბიჭს აწეწილ ქოჩორზე დავადე ხელი და თავი ავუწიე.

მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ მან იცოდა, ვინც ვიყავი. მისმა შემოხედვამ მიმახვედრა. იცოდა თუ ახლა მიცნო, ვერ გამეგო.

ავჩქარდი. ბიჭს დავემშვიდობე და დაფიქრებული შევუყევი მდინარისპირა რიყეში გაბნეულ ბილიკს. ღამიანი რიყე რძიანებით იყო მოფენილი, რძიანის ტოტებზე ყვავილებივით თეთრად იყო

გადაპენტილი წვრილი ნიჟარები.

სოფელს გავხედე და მომეჩვენა, რომ ადამიანებიც ლოკოკინებივით თავიანთ ნიჟარებში იყვნენ ჩაკეტილნი. მათ სულ არ აწუხებდათ ჯლარდალად მონათლული ბიჭის ბედი.

მეორე დღესაც კვლავ იმ ბიჭზე ვფიქრობდი და ვერ გადამეწყვიტა, რა მექნა. გაკვეთილების შემდეგ დირექტორმა დამიბარა და წინა დღით შეწყვეტილი საუბრის გაგრძელება დააპირა. სწორედ აქ მივხვდი, რაც უნდა გამეკეთებინა.

— თანახმა ვარ, ვუხელმძღვანელო მეშვიდე მეორე კლასს, — მოკლედ მოვუჭერი.

გაკვირვებით შემომხედა, ახლოს მოვიდა და გახარებულმა ხელი ჩამომართვა — წარმატება მისურვა მუშაობაში.

მოსწავლეები აღარ ჩანდნენ სკოლაში, მაგრამ მე გადავწყვიტე, დრო აღარ დამეკარგა. უწყება ესთაფეტის წესით ვაფრინე მათთან — სიით პირველს რომ გადავეცი, სულ ბოლოლას უკან უნდა მოეტანა ყველას მიერ ხელმოწერილი. უწყებას უკან მოჰყვნენ მოსწავლეები. შეკრებას საერთო კრების სახე მივეცი. ჯერ მე მოვახსენე, რაც მინდოდა, მერე კი მათ ვთხოვე, გამოეთქვათ თავიანთი აზრი. ყველამ ერთსულოვნად დამიჭირა მხარი. კრებამ მიიღო დადგენილება, მოსწავლეთა თანაცხოვრების კანონად ექცია ამხანაგისადმი პატივისცემა.

თენგიზის მოსაყვანად წასვლა არსად დამჭირვებია. მეორე დილით, როცა კლასში შევედი, მერხთან მდგარი ვახოლე სწორედ იმ წითელთმიანი გოგონას გვერდით, რომელმაც პირობა დადო წინა დღით, სამუდამოდ დაევიწყებინა სამელნით ჩხუბი.

* * *

ასე დაამთავრა თხრობა ჭაღარათმიანმა სათნო შესახედაობის კაცმა, ჩემმა პირველმა მასწავლებელმა, რომელთანაც გაზეთის დავალებით მივედი, რომ ნარკვევი დამეწერა. მეტი აღარაფერი მიკითხავს, რადგან ჩავთვალე, რომ მან ამით ყველაფერი თქვა საკუთარ თავზე.

მასწავლებლის მთელი საქმიანობის შინაარსი ხომ სწორედ ეს არის — ეძიოს ყოველ მოსწავლეში სიკეთის მარცვალი, ჯერ გაუხსნელი კვირტი, რომელიც ზოგჯერ ბედისანაბარად აპირებს დაყვავილებას.

სულ ბოლოს მხოლოდ ეს ვკითხე:

— მას შემდეგ თენგიზისათვის ჯლარდალა არავის დაუძახია?.. სულ არავის?

პირზე ხელი მიიფარა.

— ცოტა ხმადაბლა. კაბინეტშია, არ გაიგონოს, — შემომცინა და ხმა დაიდაბლა, — მერწმუნე არავის წამოსცდენია, შენ ხარ პირველიც და უკანასკნელიც.

დირექტორის კაბინეტში ტელეფონი აზრიალდა, მერე ყურმილი მოხსნეს და ვიღაცა რიხით გაეპასუხა...

ალბათ ის თუ იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დალილა ბედიანიძე

* * *

ეს მე ვარ, ქალი...
ჩემს ღმერთს ყოველთვის
კაცის სახე და სიმკაცრე ჰქონდა
და ჩემს გარშემო ურყევად იდგა
მაღალი ღობე
მისი პირქუში ნაფეხურების.
სიარულისას მუდამ ვცდილობდი,
მის ნაკვალევში ჩამედგა ფეხი.
გადამიწმინდა წვიმამ თვალები,
ნაფეხურისგან ტალახი დარჩა
და დავინახე დედამიწის ნამდვილი ფერი.
მე აღარ მტკივა შენი ჭრილობა
და აღარ მჯერა შენი ფეხბურთის,
შენი ომების
და სადღეგრძელოს გაქვავებული ფორმულებისა.
მე აღარ მჯერა, რადგან
შენი კმაყოფილების ეკლიანი სამკუთხედებით ჩამოკაწრულ
ღამეებში
ჩემი დების და ჩემი დედების ცრემლი მოჟონავს.
შენ ჩამისაფრდი მარტოობის და უმწეობის შავ ქუჩაში,
და შემომავლე შიშის ალყა
და სიძულვილის გრძელ ფესვებზე ამოიზარდა
სიყვარული...
ჰო, სიძულვილის!
მაგრამ შენს გარდა ვინ დაიცავს ჩემი სახლის კარს
მეორე კაცის ხელყოფისაგან,
ვინ დამანახებს ტელევიზორში მოსულ გაზაფხულს,
ანდა ვინ მეტყვის, რომ მიწა არის არა შავი, არამედ-მწვანე.
ვინ მაზიარებს სიცრუის სიბრძნეს, რომ
ჩემმა მხრებმა ტვირთის სიმძიმე
დროდადრო მაინც გადაივიწყონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე შენი ცივი ფორმულების ჯადოსნურ წრეში,
შენს კანონებში და გამომთვლელი მანქანების
ციფერბლატებზე,
შენს კრივში და ჰოკეიში ვცდილობ გიპოვო და დაგეყრდნო,
რომ თავბრუსხვევამ არ წამაქციოს.
ქვეყნად სიკეთეც და სიავეც ღმერთისგან მოდის.
მე კი ქალი ვარ და ამიტომაც ღმერთის სახე
ჩემთვის მუდამ კაცის სახეა.

* * *

ნუ ელოდები, როდისმე გითხრა
მიყვარხარ-მეთქი
და უშენოდ არც სიცოცხლე არ შემიძლია.
ეს სიტყვები იმდენი ჩრჩილის შეჭმულია,
 აღარც წონა აქვს და აღარც — ფასი,
გინდა გითქვამს და გინდა ჯიბიდან
ხურდა ფული ამოგიყრია.
არც იმას გეტყვი,
შენი გულისთვის მთელი სიცოცხლე
გამთენიიდან დაისამდე
ბეწვის ხიდზე გავდივარ-მეთქი,
რადგან ცოტა უხერხულია —
ჩვენს დროში ხიდებს
არქიტექტურულ ნაგებობათა ფუნქცია შერჩა მხოლოდ და
მხოლოდ
და მათზე გავლით ვის გააკვირვებ.
წითელი ვარდის გახსენებას როგორ გავბედავ,
რადგან ნამდვილი წითელი ვარდი
ანტიკვარული რელიქვიაა,
ჩვენ კი სანთლის და ჩითის ქსოვილის ვარდები მიგვაქვს
ერთმანეთთან
დღესასწაულზე.
ღამის დარაჯებს მთელი ღამე
ხაძულველი დედაკაცივით ეტმასნება ტანზე სიცივე.
როცა მეტს ვეღარ გაუძლებენ
და ვერც ხელისკვერით მოიშორებენ,
ამსხვრევენ თავის მოთმინებას
ხის ცარიელ ყუთებთან ერთად,
დაბალ კოცონს გააჩაღებენ,
ხელებს ვედრებით მიაპყრობენ
და როცა ცეცხლი
სხეულიდან შეციებას გამოაძევებს,
რიგ-რიგობით იგრძნობენ ყურებს
თვალებს
ცხვირს და
კიდურებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერე ნელ-ნელა სიამაყეც მოემატებათ,
რადგან უკვე გაიხსენეს, რაც შეუძლიათ.
ყნოსვა და სმენა
და ასე შემდეგ...
და წინა კბილებს გამოაჩენენ...
მაგრამ კოცონს მალე ელევა საკვები და
ავიწყდებათ, ღამის დარაჯებს ისევ ყოველი,
გარდა იმისა, რომ სიცივეს უნდა ებრძოლონ.
აი, იმ კოცონს მე სიყვარულს დავარქმევდი...
მართალია, ადამიანებს
ხშირად უჭირთ, რომ აანთონ
და ცდილობენ იოლას გასვლას
თბილი ტანსაცმლით,
მაგრამ ზოგჯერ მაინც ანთებენ... ახერხებენ...
მე არ მინდა არავითარი თბილი ტანსაცმელი.
ჩემი ღამე გრძელია და
კოცონი ცას ეხვევა.
ნუ ელოდები, რომ ოდესმე გამოგიწოდო
დროის ტანზე შემოცვეთილი მოსასხამი
და თან გითხრა...
არა, არა!
მოდი და გათბი ჩემს კოცონთან,
უბრალოდ, როგორც — ღამის დარაჯი!

## მუსიკოსს

შენი სამშობლო მუსიკაა
და შენი დროშა — ვიოლინო.
შენ იღიმები, როცა მსოფლიოთ
ტელეფონის შავ ყურმილში
მოგუდული ხმით ლაპარაკობს ახალ წარღვნაზე
და შენი ფრაკის კალთას აფარებ
როგორც სიკვდილის მიწიან ხელებს,
ისე სიცოცხლის მარმარილოს საპირფარეშოს
შენ გულგრილი ხარ,
როცა ცრემლის ცხელი შეხებით
ქალიშვილები ცდილობენ, რომ
გაალხვონ შენი ყინულის თეთრი ნაჭუჭი,
მაგრამ როდესაც გააღვიძებ ოთხ სიმს,
რომელიც გაბმულია
შენგან მთელი ქვეყნის ყურამდე,
არ არსებობს ისეთი ყინვა,
რომ შენ ქედი არ მოგიხაროს.
შენ კეთილი ჯადოქარი ხარ
და მეზღაპრე შეუდარები...
ყოველდღიური საალლუმე სვლა მანქანების,
მუხრუჭის კვნესა,

მოტორების ხორხისმიერი ლაპარაკი
ცოტა ხანს მაინც რომ დაივიწყოს დედამიწამ,
შენ ჩამოუვლი თვითეული ჩვენგანის ჭიშკარს
და დაიძახებ:
„ნახე, თენდება!
გარეთ გამოდი!“
გემორჩილები, ჟიოლინოს მბრძანებელო,
გემორჩილები!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ალკოჰოლი

სახინკლეების ხორკლიან ჰაერს
ისუნთქავს ქუჩა
და დაკაწრული ფილტვები სტკივა.
შედი, შეაღე სიცრუის კარი.
აქ იშოვება ჭიქა არაყი
და ძილისნიღაბაფარებული თანამესუფრე.
ვერცხლის ფულივით ჩხრიალებენ მრგვალი სიტყვები
და საღამოს ჯიბეს ავსებენ.
აქ ორი ჭიქა არყის ფასად
კაი კაცი ხარ,
სამით — შენია
შენია ყველა ლამაზი ქალი,
მეოთხე ჭიქით
„ძვირფას სამშობლოს“ ადღეგრძელებ,
მეხუთე თვითონ გადღეგრძელებს და ჩაიცინებს:
„შე საცოდავო,
წადი, წადი,
ნუ იბერები იმ ბაყაყივით
მერე რომ გასკდა!
წადი, სახლის გზას გაუდექი!“
მათრახდაკრული ჯაგლაგივით გაიბრძოლებს შენი ღირსება
და სინამდვილის მოკლე აღვირი
შინისაკენ წაგაჩანჩალებს
და გულში იტყვი:
„აღარ მოვალ მე აქ!“
მაგრამ როდესაც ნამათრახალი მოგიშუშდება,
ისევ დაიწყებ სიცრუის სმას არყის ჭიქით...
სახინკლეების ხორკლიან ჰაერს ისუნთქავს ქუჩა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამაზ კოგიძე

# გვიმრის ფოთლები

რომანი

## თავი VIII

„ქალაქ თბილისის სიამაყესა და მშვენებას ნათია ავალიშვილს ჩემი უმდაბლესი სალამი და თაყვანისცემა! არ ვიცი, ამ წერილს გამოგიგზავნი, თუ არა. ამას წინათ უგრძესი უსტარი გამოგიგზავნე და უპასუხოდ დამტოვე. მაგრამ დაწერით კი უთუოდ უნდა დავწერო და ჩემი საფიქრალი ქალალდს მაინც გავუზიარო. ძალიან ხშირად ვგრძნობ მარტოობას. ჩემი უბანი ისევ საათივით მუშაობს, აქ ჯერჯერობით არაფერი შეცვლილა. მთელი ჩემი მოვალეობა კი მხოლოდ ის არის, რომ თავს ვიკატუნებ და ისე ვიქცევი, თითქოს ვერც კი ვამჩნევდე, უბანს ჩემს მაგივრად შახტის უფროსი და მთავარი ინჟინერი როგორ ხელმძღვანელობენ. მათაც თავი ისე უჭირავთ, თითქოს ჩემი უბნის არსებობა აღარც კი ახსოვდეთ და ყველაფერს ინჟინერი არჯევანიძე უძღვებოდეს. და ასე მიჰყვებიან ერთმანეთს დღეები...

ჩემი ოთახის მოზიარე გერონტი ჩაფიჩაძისა და გოგოლა ხომასურიძის „რომანზე", მგონი, ერთხელ უკვე მოგწერე. მას შემდეგ, რაც ეს წითურთმიანი და ლურჯთვალება ქალი ჩემს ოთახში ცოდვაზე შევისწარი, მან თვალით დასანახავად შემიძულა. სადმე შახტში რომ გადავეყრებოდი, სახეს მიიბრუნებდა და რაღაცა გაუგებარს წაიბურტყუნებდა ხოლმე. გულზე არც მის პარტნიორს ვეხატებოდი. ესეც გასაგებია. მაგრამ ერთი ხანია, რაც ჩვენს ურთიერთობაში რაღაც ცვლილებები მოხდა. ჩაფიჩაძეს უკვე აშკარად ვძულვარ და ზოგჯერ მაგიდას რომ მივუჯდები ხოლმე, მეშინია, უკანიდან რამე არ მესროლოს: გოგოლა კი... არა, შეყვარებით არც მაგას შევყვარებივარ. მაგრამ ამ ორიოდე დღის წინათ. მთავარ შტრეკზე შეხვედრისას აღარც პირი აღარ ამარიდა. პირიქით წამოდგა და, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის არაფერი მიკითხავს, სხაპასხუპით მომახსენა, თქვენმა ბიჭებმა ეს-ესაა ტყე დატვირთეს და წაიღესო. და იმ წუთში გოგოლას ლურჯი თვალები ისეთი სიკეთითა და გულითადობით ჰქონდა სავსე, რომ რაღა დაგიმალო, გული შემიტოკდა. მაგრამ არ და-

დასასრული. იხ. „მნათობი", № 6.

ვიზენი და სათქმელიც მყისვე მოვნახე.

— დიდი ხანია, რაც ჩაატარეს?

— ათი წუთი იქნება.

— კარგად მოუსწრიათ!

— თავებს არ იზოგავენ.

— კარგია! აბა, ნახვამდის, გოგოლა!

— ნახვამდის!

ისევ ჩემს გზას დავადექი.

ახლა ნეტავი ეს მაცოდინა, რატომ არ შეიძლება, რომ ეს ლამაზი და კეთილი ქალი ცოლად შევირთო? მეყოლებოდა ერთგული ცოლი (ჰო, რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ არასგზით არ მიორგულებდა), დედაჩემს თბილისში მოინახულებდა ხოლმე თვინიერი, მოყვარული რძალი, დაეხვეოდნენ ყლურტულა შვილიშვილები... მე კი სამუდამოდ გადავივიწყებდი ერთ ამპარტავან თბილისელ ქალიშვილს.

მაგრამ არა! არ შეიძლება. ჯერ ერთი, ეს თუ მოხდა, ჩემი უბნის მეშახტეები ჩემზე მაშინვე გულს აიყრიან და ზურგს შემაქცევენ — ასე რატომ მოხდება ეგ არ ვიცი, მაგრამ ნამდვილად ასე კი იქნება. მეორე და მთავარი კი ის არის, რომ საბოლოოდ ახლაც ვერ გამიგია, იმ ამპარტავან ქალიშვილს გულში რა აქვს და ხვალ რას მოიმოქმედებს.

თუმცა—

კარგი, მოვეშვათ.

საიდან გაიგო გერონტი ჩაფიჩაძემ, რომ იმ დღეს გოგოლამ ჩემთან გამოლაპარაკება ინება, ან რა ისეთი საფრთხე იგრძნო ამ უმნიშვნელო ეპიზოდის გამო, მე არ ვიცი. ეს კი იყო, რომ ის საღამოს ოთახში უსაშველოდ დაბღვერილი შემოვიდა, თავის ლოგინზე გაუხდელი მიეგდო და კარგა ხანს ხვნეშით და საწოლის ჭრიჭინით გულს მიწვრილებდა. მერე წამოჯდა, ფეხები ძირს ჩამოუშვა და მომთხოვა, თავი მტკივა და სინათლე ჩააქრეო.

— სამუშაო მაქვს.

— აბა, რა ვქნა?! აქედან გადავსახლდე?!

— ჯერ ადრეა. ჩაიცვი, გაიარ-გამოიარე და თავის ტკივილიც გაგივლის. თუ გინდა, პირამიდონს მოგცემ.

— ჩვენ პირამიდონებს მიუჩვეველნი არა ვართ.

— ?!..

ჩაფიჩაძე ისევ მიწვა და საწოლი გაგულისებით ააჭრაჭუნა. ხუთიოდე წუთის შემდეგ კი ისეთი ხვრინვა ამოუშვა, რომ იძულებული გავხდი, მე თითონვე ჩამეცვა და სასეირნოდ გამოვბრძანებულიყავი.

ჯერჯერობით ყველაფერი ამით დამთავრდა.

თუმცა-და, აქ მე არც ისე მარტო ვარ, როგორც წეღან გითხარი... სხვებს რომ თავი დავანებოთ, მარტო ჩემი და ირამ ნოსელიძის მეგობრობა რად ღირს! ეს ბიჭი თავდაპირველად სხვებზე უფრო უკმეხად და უდიერადაც კი მექცეოდა. მერე კი, მგონი, სრულიად უმიზეზოდ, გული მოიბრუნა და შემთხვევას არ გაუშვებს, რომ თავისი კეთილგანწყობილება არ გამოამჟღავნოს. ამასწინათ სამორიგეოში დამიმარტოხელა, ჯერ გაწითლდა, მერე გაყვითლდა და ბოლოს ძლივს ამოღერღა, მარტოხელა კაცი ბრძანდებით და თუ რამე ისეთი დაგჭირდეთ, ნუ მოგვერიდებით, ჩემი ცოლი ძალიან ავკარგიანი ქალიაო. კინაღამ ვუთხარი, რა დროს მაგისთანებია, ჯერ ახალი ცოლ-ქმარი ხართ-მეთქი. მაგრამ თავი დროზე შევიკავე და დავპირდი, თუ მართლა რამე დამჭირდა, უთუოდ თქვენ მოგაკითხავთ-მეთქი. უნდა გენახა, ამ სიტყვებმა როგორ გაახარა, სხვა ველარაფერი მოახერხა და სიგარეტი გამომიწოდა, თუმცა კარგად იცის, რომ თამბაქოს არ ვეწევი. ის სიგარეტი ახლაც მაგიდაზე მიდევს.

აი კიდევ ერთი ამბავი ჩემი უბნის ცხოვრებიდან. აქედან დაინახავ, თუ რატომ ვუჩივი მარტოობას.

მემონტაჟეები, სწორედ ისინი, რესტორანში რომ დამპატიჟეს და მითხრეს, დაიმახსოვრე, რომ ჩვენ კარგი

ცხოვრება გვიყვარსო, — აი, ისინი თითქმის აღარ მელაპარაკებიან. მაგათი ბრიგადირი გრიშა ოდიბაშვეი ისეთი ნატიფი და ხაზგასმული თავაზიანობით მესალმება, რომ ასე მგონია, ყინულეთში შემაგდეს. მომესალმება მხოლოდ, ოდნავ, სულ ოდნავ შესამჩნევად ჩაიღიმებს, ხელს სამხედრო კაცივით ჩაფხუტთან მიიტანს. (ოღონდ არ ვიცი, ჩვენ ორში გენერალი რომელია; მგონი, ის უფრო უნდა იყოს), — და მაშინვე გატრიალდება. დღე და ღამე იმაზე ვფიქრობ, ნეტავი, ამ ხალხს რა დავუშავე — მეთქი. ხელფასები უკვე რამდენჯერმე გამოვუწერე და მგონი, ჯიბრაილის დროს რომ იღებდნენ, იმაზე ნაკლები არ მიუღიათ. ყოველ შემთხვევაში, განსხვავება დიდი არ უნდა იყოს, სამუშაოს კი ისეთსავეს და იმდენსავეს ასრულებენ. მაშ, რაღა უნდათ?

ამ კითხვით შეწუხება სარდიონ რაჭველიშვილს ვერ გავუბედე და ისევ ჩემს მეგობარს, მოხუც გერასიმე ცნობილაძეს მივმართე. გერასიმე სანგრევიდან ახალი ამოსული იყო, დაღლილობისაგან მძიმედ სუნთქავდა და ბევრი ლაპარაკის თავი ნამდვილად არ ჰქონდა. მაგრამ მაინც არ დამზარდა და რაც იცოდა, ამიხსნა. ეს კი იყო, რომ სიტყვა მაინცდამაინც არ გაუგრძელებია. „ნუ სწუხარ, შვილოო, — მითხრა მან, — მეშახტეები ასეთი ხალხია. ხან აიმრიზებიან, მერე ისევ მტრედებივით მოგეფართქუნებიან. რას იზამ, კაცია და გუნება! ჯიბრაილზე შენ ცუდი არაფერი იფიქრო, — ის ჩაგვრით არავის ჩაგრავდა და სხვის კისერზე ჯიბეს არავის უსქელებდა, მაგრამ, — ეს ნუ გეწყინება, — გამოცდილება შენზე მეტი ჰქონდა და ამიტომ ზოგჯერ რისკზე მიდიოდა, ისეთ რამეს გაბედავდა, რაც სხვისთვის, — თუნდაც აგერ შენთვის, ჩემო შვილო და თვალო, — შეიძლება ნაადრევი იყოს. სიტყვაზე, მთელი ამ თვის მანძილზე სანგრევებში ჩვენ ძალიან კარგი მდგომარეობა გვქონდა. ჭერი სარკესავით იყო მოკრიალებული და ერთი ბიგაც კი ვაგლახად არსად გაგრიჯინებულა. ხომ? ჰოდა, ასეთ დროს ზოგჯერ ჯიბრაილი კანონზე თვალს დახუჭავდა და კომბაინს, ან საყელავ მანქანას სანგრევში ერთი-ორჯერ ზედმეტად გაატარ-გამოატარებდა მთელი სანგრევის სიგრძეზე. აბა! ესეც შენ ზედმეტი ქვანახშირი და მეშახტეებსაც ჯიბეში ზედმეტი თუმნიანები. ჯიბრაილი ასეთ რისკზე წასვლას რატომ ბედავდა? იმიტომ, რომ შეთვისებული ვიყავით. თავს შინაურულად გრძნობდა და რისკიანი საქმე კიდეც რომ ჩავარდნოდა, მეშახტეები იმას არც გაამტყუნებდნენ და არ გაჰყიდიდნენ. ყველაფერი ჩვენს შორის დარჩებოდა. შენ კი — თუ გაგიმართლა ასეთმა რისკმა — ხომ კარგი! მაგრამ თუ არ გაგიმართლა? არა... შენთვის ამისთანაები ჯერ ნაადრევია. მეშონტაჟეების ლაპარაკს კი ყურადღებას ნუ მიაქცევ.

— რომ გამექცნენ?

— სად უნდა გაიქცნენ?

— ადგებიან, განცხადებებს დაწერენ, გაგვანთავისუფლეო, და სხვაგან გადავლენ. მაშინ რაღა ვქნა?!

— ნუ გეშინია. არავინ არსად წავა.

— აი, ასე ვცხოვრობ.

მეტი რაღა მოგწერო? მომავალს მაინც იმედის თვალით შევყურებ, თუმცა ისიც ვიცი, რომ ბევრი აღმართდაღმართი მომელის.

თეიმურაზ არჯევანიძე"

თეიმურაზმა ეს წერილი კონვერტში ჩასდო და დააწება. ოღონდ მისამართი არ დაუწერია. მაგიდაზე დააგდო და რამდენიმე დღე ყოყმანობდა, გავაგზავნო, თუ არაო. მეოთხე საღამოს კი ნაკუწ-ნაკუწად აქცია და გადაჰყარა.

## თავი IX

ჯიბრაილ ხელთუფლიშვილს მალე გაუხდა სანანებლად ის ამბავი, რომ, — საკუთარი გულისთქმით იყო თუ კომბაინერი იულო სოფრომაძის ჩაგონებით, — სამუშაოდ სხვა შახტზე, მიტუშა კაიმამიშვილის უბანზე გადავიდა. საქმე მარტო ის კი არ იყო, რომ ამ ნაბიჯმა ჯიბრაილი ძველ ამხანაგებს სამუდამოდ ჩამოაშორა და ისინი ასეთ გამეტებას მას არასგზით აღარ აპატიებდნენ. მთავარი ის იყო, რომ ის, რაც კაიმამიშვილის უბანზე ხდებოდა, არაფრით წააგავდა არც პატიოსან შრომას, არც მეგობრობას, ურთიერთპატივისცემასა და დაფასებას. აქ წამლადაც არ იშოვნებოდა ის, რითაც ჯიბრაილსა და მის ძველ ამხანაგებს თავი მოჰქონდათ.

კაიმამიშვილის ამბები ჯიბრაილს ადრევეც ჰქონდა გაგონილი. ლაპარაკობდნენ, ის შეჩვენებული არც ყალთაბანდობას ერიდება, არც ხელმრუდობას და არც ბევრ სხვა საძაგლობასო. მაგრამ ეს განაგონები ჯიბრაილს კიდეც სჯეროდა და არც სჯეროდა. ფიქრობდა, რაც არ უნდა იყოს, ეგ მიტუშა სახელიანი ბიჭია, საქმეები აწყობილი აქვს, მეშურნეები ეყოლება და ალბათ, ისინია, ერთს ათად რომ უხდიანო. მაგრამ ახალ უბანზე სულ ორიოდე კვირა წაიმუშავა და თვალნათლივ დაინახა, რომ მეშურნეები არაფერ შუაში იყვნენ. რაც აქ ხდებოდა, ჯიბრაილს იმისი დაჯერებაც კი გაუჭირდა.

„სახელიან ბიჭს“ თავის გარშემო ათიოდე კაცი ჰყავდა შემოკრეფილი. სამი ცვლის უფროსი, ორიოდე მექანიზატორი, რამდენიმე რიგითი მეშახტეც (როგორც ჩანდა, ჯიბრაილის ყოფილი კომბაინერი იულო სოფრომაძეც ამ ჯგუფს მიტმასნოდა, სულ ამათში ტრიალებდა და კაიმამიშვილს დაუფარავად ელაციცებოდა). იმ ათიოდე კაცს მთელი უბანი მუშტში ჰყავდა გამომწყვდეული. ქვანახშირის ამოღების გეგმებს, ასე თუ ისე, ასრულებდნენ და „სახელმწიფოსთან პირნათლად იყვნენ“. ამის იქით კი ნამდვილი განუკითხაობა იწყებოდა.

თავის უკუღმართ საქმეებს კაიმამიშვილი და მისი ჯგუფი მეტად უბრალოდ აგვარებდნენ. მოპოვებული ქვანახშირის დიდ ნაწილს თვითონ იწერდნენ, დანარჩენს კი უბნის დანარჩენ ორმოცდაათ მეშახტეს უნაწილებდნენ. შედარებით უფრო გამორჩეულები, რა თქმა უნდა ამ ორმოცდაათშიც ჰყავდათ, და ამათ, სხვების გასაჩუმებლად იყენებდნენ. ასე რომ, პატიოსანი, მშრომელი მეშახტეები პურის ფულსაც ძლივს გამოდიოდნენ, კაიმამიშვილი და მისი „მოწინავე მეშახტეები“ კი ყელამდე ფულში ისხდნენ. ის „მოწინავე მეშახტეებიც“ კაიმამიშვილის მოჭახრაკებული საქმე იყო: თავის ერთგულებას იგი სხვის ნამუშევარს უწერდა და მათი „მაღალი“, „გაუგონარი“ მაჩვენებლებით მთელ ქალაქს აოცებდა. სულ ეს იყო და ეს. ყველაფერი ამის მოფიქრებასა და გაკეთებას სულ ცოტა ჭკუა და ძალიან დიდი უნამუსობა სჭირდებოდა. კაიმამიშვილს და მის დამქაშებს კი ღმერთმა სწორედ იმოდენა ჭკუა და უნამუსობა უწილადა.

შახტის უფროსი კაცრიელ არჩაიძე პატიოსანი, მაგრამ სნეული და დაღლილი კაცი იყო. ერთი სული ჰქონდა, სანამ პენსიამდე მიატანდა და მოისვენებდა. ის უკუღმართი ამბები კი მის ყურამდე მაინც არ აღწევდა. კაიმამიშვილს და მის თანამზრახველებს მაგარი მუშტები და ქვის გულები ჰქონდათ და „ენატანიებს“ სასტიკად უსწორდებოდნენ. ერთხელ უბანზე გამოჩნდა ვინმე თავმომწონე, ჯარიდან ახლად მობრუნებული ბიჭი. ის უკუღმართი ამბები ვერ მოითმინა და საჩივლელად არჩაიძესთან აიჭრა. კაცრიელმა ჯერ

ვერაფერი გაიგო. რასაც ის ბიჭი უამბობდა, ისეთი რამ ვერც კი წარმოედგინა. მერე დაბნეულმა ისევ კაიმამიშვილი გამოიძახა და ჩავარდნილი ხმით შეეკითხა, გესმის, ეს ყმაწვილი რას ლაპარაკობსო? კაიმამიშვილს წარბიც არ შეუხრია, რაღაცეები მიკიბ-მოკიბა, ყველაფერი ბუღალტერიასა და ნორმადარებს დააბრალა, კაცრიელი დაარწმუნა, გაუგებრობა მომხდარა და ყველაფერს მოვაწესრიგებო, და ის თავმომწონე ბიჭი კაბინეტიდან გამოაგდო. კაცრიელმა შვებით ამოისუნთქა და ცოლს დაურეკა, ალბათ, სახლში, მალე წამოვალ და ხომ არაფერი გინდაო.

ცოლს არაფერი უნდოდა.

კაიმამიშვილმა მომჩივანი დერეფნის კუთხეში გააჩერა:

— შენ მუშაობას სულ ასე აპირებ?

— როგორ?!

— როგორ და ჭრელად! ენატანიები ჩვენ არ გვიყვარს . გუშინწინ რატომ დაგვიანე.

— ავტობუსი გაჩერდა.

— ეგ მე არ მეხება. ავტობუსი თუ გაფუჭდა, ფრთები გამოისხი და სამუშაოზე წუთი არ დაიგვიანო. თორემ... შენ, ბიძია, მე ვერც ენატანიაობაში მაჯობებ.

თავმომწონე ბიჭი გაწითლებული და თავჩაღუნული იდგა.

— გასწი!

ბიჭი უკანმოუხედავად დაეშვა კიბეზე.

მაგრამ საქმე ამით არ გათავებულა. მეორე დღეს ის ბიჭი მიყრუებულ სანგრევში სამმა მეშახტემ მიიმწყვდია, — იმ სანგრევში თვითონ კაიმამიშვილმა გაგზავნა, შეამოწმეო, — და კარგა მაგრად მიბეგვა. რომ არაფერი დამჩნეოდა, მუშტებს სულ მუცელსა და კეფაში ურტყამდნენ. მერე კი საქმიანი კილოთი ურჩიეს, ერთი კვირა კიდევ წაიმუშავე, რომ არავინ არაფერს მიხვდეს, მერე კი განცხადება შენივე ხელით დასწერე და ამ შახტზე აღარ გნახოთო.

— შახტზეო?!.. — ვიღაც დაბალმა და მკერდგანიერმა, დაღლილობისგან სულს რომ ძლივს ითქვამდა, და შავ თვალებს ავად აბრიალებდა. — არა! ამ ქალაქში ნუღარ გაჩერდები, გესმის? აქ სულ მეშახტეებია და ენატანია კაცი მეშახტე მაინც არ გამოვა, უხ, შენი! და ბიჭს ერთი მაგარი სილაც სტკიცა.

— მართალს გეუბნება. — ბოხი ხმით უთხრა მეორემ, მაღალმა და წითურ სახიანმა. — აქ რომ აღარ ეგდები, გული უფრო საგულეს გექნება. ისე, თუ გინდა, მეც მოგაყოლებ.

და მუშტი ახწია. მაგრამ აღარ დაურტყამს.

ბიჭმა დაინახა, რომ ამ თავზე ხელაღებულებთან ბრძოლა გაუჭირდებოდა, და რაც მათ ურჩიეს, სწორედ ის გააკეთა. მას აქეთ იგი ქვანახშირის ქალაქში აღარავის უნახავს.

ეს ამბავი ჯიბრაილს ახალგაზრდა, ტანმორჩილმა და ფერმკრთალმა მეშახტემ, გიუნა კიკნაველიძემ უამბო.

— დანარჩენები რატომ არ ჩაერიეთ? — ჰკითხა ჯიბრაილმა.

— გვიან გავიგეთ.

— დროზე რომ გაგეგოთ?

კიკნაველიძე ჩაფიქრდა. მერე ხელი ჩაიქნია.

— მაინც არავინ ჩაერეოდა.

— ჰოდა — რატომ? ეს გამაგებინე.

— რა გითხრა, ჯიბრაილ ბატონო... სადაც უფროსი არ ვარგა, იქ ვინ რას გააწყობს! ეს ჩვენი არჩაიძე კაიმამიშვილით კმაყოფილია, გეგმებს უსრულებს, ვითომ მოწინავეებსაც უზრდის... ჰოდა... ჩვენ კი ყელამდე ვალებში ვართ. აღარც კი ვიცი, იმ ვალებს როდის გადავიხდი.

— იული რას აკეთებს?

— სოფრომაძე? ისიც მაგათთანაა. აქ კიდეც ლაპარაკობენ, ნეტავი, ჯიბრაილი მაგისთანა გველაძუას როგორ ითმენდაო.

— თუ არაფერი შემიმჩნევია?!

— ჰო... სადაც მოვიდა, იქაური ქუდი დაიხურა. ისე...

— ა?

— ჩვენს ხალხს, ჯიბრაილ ბატონო, თქვენი დიდი იმედი აქვს. რომ გავიგეთ, ჩვენთან ჯიბრაილი მოდისო, ზოგი სიხარულით ცას დაეწია.

— ეჰ! — ჯიბრაილმა ხელი უიმედოდ ჩაიქნია. არა, იგი მთისა და ბარის გასწორებას აღარ აპირებს. ეყოფა! იცის, სამაგიეროს როგორც გადაუხდიან და ამასაც როგორ დაუფასებენ.

მაგრამ ზოგ ადამიანს ხომ პირდაპირ შუბლზე აწერია, რომ დღენიადაგ ცხოვრების შუაგულში უნდა იტრიალოს და მუდამ ყველაზე მძიმე ტვირთი უნდა იტვირთოს. ამ ზოგთაგანია ჯიბრაილიც. გიუნა კიკნაველიძესთან ლაპარაკიდან ორი დღეც არ გასულა, რომ ცვლის დამთავრებისას ჯიბრაილთან სანგრევში ორი ხანდაზმული მეშახტე მივიდა. მიესალმნენ და ბიგების ძირში ჩამოსხდნენ. ერთ მათგანს, ორმოცდაათიოდე წლის, უწყინარ და ხმაამოუღებელ მელენტი ჯარიაშვილს ჯიბრაილი ადრეც იცნობდა, მეორე კი, მხარბეჭიანი, მოუხეშავი და ზღაპრულად ღონიერი იასონ ხურციძე სწორედ იმ დილას, შახტში ჩასვლის წინ გააცნეს და თან სიცილით უთხრეს, თუ როდესმე ბიგის გადახებვა დაგეზაროს, იასონს უხმე და მუხლზე გადაიმტვრევსო.

— მობრძანდით! — ჯიბრაილმა ურო მიაგდო და თვითონაც ბიგების ძირას ჩაჯდა. — ერთად დავისვენოთ.

— დავისვენოთ, ბატონო ჯიბრაილ! — მელენტიმ ჯიბრაილს ალერსიანად შესცინა.

— შენ უროს ქნევას გადაჩვეული იქნები. — ჩაიროხროხა ხურციძემ და ვეება, ჩაყვითლებული კბილები გადმოჰყარა. — იმდენი წელიწადი სულ უფროსად იყავი.

— ვიყავი, ძმაო, ვიყავი... ვიყავი და აღარა ვარ. რას იზამ!...

— რას იზამ!... — თავის ქნევით დაუდასტურა ორივემ.

იყუჩეს.

მერე მელენტი უფრო მოხერხებულად მოეწყო ბიგის ძირში, რაღაც წკირი თითებში მოიმწყვდია, გატეხა და გადააგდო. ჯიბრაილს თვალებში შეჰხედა.

— რას იტყვი, ბატონო ჯიბრაილ, ამნაირ დღეში ვითომ, კიდევ რამდენ ხანს ვიქნებით?

— რანაირ დღეში?!

მელენტიმ არაფერი უპასუხა. ისევ თვალებში შეჰხედა. ისევ რაღაც წკირი აიღო და შუაზე გადატეხა.

— ვითომ არ იცის... — ჩაიროხროხა ხურციძემ. — გუშინწინ გიუნა არ გელაპარაკა? ა?...

და ნიშნისმოგებით ორივე თვალი ჩაუპაჭუნა. -ო-ხო-ხო-ხო-ხო-!..

ხურციძე ისე გემრიელად, გადამდებად ხარხარებდა, რომ უნებლიედ ჯიბრაილსაც გაეღიმა.

„ეს ისე ხარხარებს, რომ აქაური ამბები დიდად არც უნდა აწუხებდეს. — გაიფიქრა მან. — ჰოდა, აბა, ჩემგან რაღა უნდათ?“

— აქაური ამბები შენ უკვე იცი, — თითქოს ჯიბრაილის ფიქრს უპასუხა მელენტიმ. მან ჯიბრაილს „შენობით“ ისე მიმართა, რომ იოტისოდენა უხერხულობაც კი არ უგრძვნია. — კიკნაველიძემაც ბევრი გითხრა და თვითონაც გაგებული ადამიანი ხარ. რაღა დაგიმალოთ, ჯიბრაილ და შენს ჩვენთან გადმოსვლას ისე ველოდებოდით, როგორც მზის ამოსვლას. ჭკუა შენ გიჭრის, ძმაო, გამოცდილება შენ არ გაკლია, შეუპოვრობა და ვაჟკაცობა. და ყველაფერი ჩვენ ვიცით. ჰოდა, თუ შენც ვერაფერი გვიშველე, მაშინ წყალს თუ მივცემთ თავს, თორემ სხვა აღარაფერი გაგვეწყობა. აი, ეს იცოდე ჩვენგან.

— მელენტი, ერთი ეს გამაგებინე, თუ ღმერთი გწამს, ამ შახტს უფროსი არ ჰყავს?

— ვინ? კაცრიელ არჩაიძე? ეგ რა უფროსიცაა, შენც კარგად იცი.

— სხვები? პარტკომი, პროფკომი...

— ეეჰ! პროფკომს რა შეუძლია, პარ-

ტკომი კი... შახტი პატარაა, განთავისუფლებული პარტკომის მდივანი არ გვეკუთვნის, ისე კი... პარტბიუროს მდივნად ვინც აირჩიეს, ყველა ისევ კაცრიელს მისჩერებია ხახაში... ჰოდა... ამბერკი კვიჟინაძე იყო და — სწავლის გაგრძელება უნდოდა და დახასიათება იმავე კაცრიელს უნდა მიეცა. იროდი ჩავლეიშვილი იყო, ბუღალტერიაში ცოლი ჰყავდა მოსაწყობი და კაცრიელს ვერ გადაახტებოდა. ისე სხვებიც... გეგმებს კი ასრულებს, ჩემო ბატონო, ავარიებიც ნაკლები აქვს... სიტყვაზე, შარშან სერიოზული ავარია ერთიც არ გვქონია... ჰოდა, ეს ხელფასი კი შიგნით როგორ ნაწილდება, ამის გამოსარკვევად თავს მაინცდამაინც არავინ იცხელებს. ჰოდა, ვართ ამ შავს დღეში. არა, შიმშილით, შეიძლება, არ მოვკვდე, მაგრამ — თავმოყვარეობა? სინდისი? შენ რომ ჩემს ნამუშევარს მიითვისებ და მე ცარიელზე დამტოვებ, ეს რა გულმა უნდა მოითმინოს!?

— მერე? რატომ ითმენთ? ეგ იმ კიკნაველიძემ ვერ გამაგებინა და... თქვენც... აგერ... რა ვიცი...

— მაგას ვერც ჩვენ გაგაგებინებთ. — ჩაიროხროხა ხურციძემ. — მაგი ჩვენ არ შეგვიძლია.

— აბა, მე რა გიშველოთ?!..

— ვინ გეუბნება, დღესვე გვიშველეო? შეისწავლე, დაუკვირდი... შენ რა გამოგეპარება. — ა, ჯიბრაილ? გვპირდები?

— ეჰ! — ჯიბრაილმა ამოიხვნეშა და წამოდგა. — რა გითხრა, მელენტი, ჩემო უფროსო ძმაო? ვინმემ რომ ახლა ის დამაბრალოს, უბნის უფროსს ებრძვი და მისი წაქცევა გინდაო, ამას სიკვდილი მირჩევნია. ისე კი... რატომ... მართლაც მოვიცადოთ, ვნახოთ... ასეთი უსაშველო რა უნდა იყოს?!

— აბა, შენი ჭირიმე, ჯიბრაილ! სწორედ ოქროს სიტყვები გვითხარი. შენი იმედი ისე გვექნება, როგორც — რა ვიცი... აბა, შენ იცი, თუ არ დაგვალალატებ. უფულობა ვიდარდო, თუ ეს ჩემი გათელილი მუშაკაცობა, ვიდარდო, აღარც კი ვიცი... აბა, ჰე, ჩვენო ჯიბრაილ, თუ თავსაც ისახელებ და ჩვენც ამოგვასუნთქებ, შენი ამბავი ჩვენს შვილიშვილებში გადავა, იცოდე!

დამშვიდობებისას ხელი ორივემ მაგრად ჩამოართვა.

მიტუშა კაიმამიშვილმა მალე იყნოსა, რომ მისით უკმაყოფილო ხალხი ჯიბრაილს ეტმასნებოდა.

შაბათ საღამოს, როცა ჯიბრაილმა პირველი ხელფასი აიღო, — მისთვის ყველაფერი ზუსტად, სულ მისხალ-მისხალ გამოეწერათ, — კაიმამიშვილმა დერეფანში გააჩერა, ხელი ჩამოართვა და ამხანაგური კილოთი უსაყვედურა, მუშაობაში მართლა ლომი ხარ, ამხანაგობის კი რა ვიციო.

— რატომ? მგონი, არც ამხანაგობა უნდა მეშლებოდეს.

— შე კაცო... ორი კვირაა, ჩვენთან ხარ, იმ ჩემს დასაწვავ კაბინეტში ერთხელ მაინც შემოგეხედა.

— კიდევ მოვესწრები.

— ეგ კი, მაგრამ... ყველაფერი იფიქრე ჩემზე, ჯიბრაილ, ოღონდ — თავი ყველაფრის მცოდნე ჰგონიაო, — ეგ კი არ იფიქრო. სანამ პირში სული მიდგას, სწავლა არ მომბეზრდება.

— ეგ კარგია.

— ხომ არაფერში გჭირდები?

— არაფერში.

— ნამდვილად?

— ნამდვილად.

— ისე... — კაიმამიშვილმა ისევ გულიანად გაუღიმა, — რამე რომ იყოს, თითო ჭიქა ღვინო... ა?

— კი, ბატონო! ეგ რა სალაპარაკოა!

— აბა, ნახვამდის, ჯიბრაილ!

— ნახვამდის!..

ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და დაშორდნენ.

ამ შახტიდან სახლში მისვლას ჯიბრაილი თითქმის ნახევარ საათს უნდე-

ბოდა. კიბეზე რომ ადიოდა, გაიფიქრა, ნამდვილად დრო კია ჩემმა ცოლმა ბუტიაობას თავი დაანებოს და შემირიგდესო. მაგრამ აბა, ყველაფრიდან ჩანდა, რომ ირინე ჯერჯერობით ამას არ აპირებდა. როგორც ყოველთვის, ჯიბრაილს სადილი ახლაც სამზარეულოში დახვდა გაწყობილი. მხოლოდ მისთვის, — ერთი კაცისთვის. ის იყო, ჯიბრაილმა ხელები გადაიბანა და მაგიდას მიუჯდა, რომ გოგუტუნა შემოვარდა და მამას უთხრა, მე და დედიკო კინოში მივდივართ და შენ ნუ დაგველოდებიო, დაწექი და დაიძინეო. ჯიბრაილმა ის-ღა მოასწრო, რომ გოგუტუნას თავზე ხელი გადაუსვა.

## თავი X

ნოემბრის შუა რიცხვებში სარდიონ რაჭველიშვილს ტრესტის მმართველმა აკაკი ნიშნიანიძემ დაურეკა და უთხრა, დიდად საჩქარო კი არაფერია, მაგრამ ამ დღეებში თუ კი როგორმე მოიცალო, ორიოდე წუთით მნახეო.

— რაღა ამ დღეებში, ახლავე მოვალ.

— აბა, ბარემ შემოიარე, ჩემო სარდიონ!

ხუთ წუთსაც არ გაუვლია, რომ სარდიონი ნიშნიანიძის კაბინეტში შევიდა. ტრესტის მმართველს უგუნებობა ეტყობოდა. სარდიონს ხელი ისე გაუწოდა, რომ რაღაც დაბეჭდილი ქაღალდიდან თავიც კი არ აუღია. მერე ის ქაღალდი გაგულისებით მიაგდო მაგიდის კუთხეში და მძიმედ ამოიხვნეშა.

— რეკლამაცია რეკლამაციაზე მოგვდის! მართლაც რა შვრებით, თქვე ჟურუმსაღებო, ნახშირს იძლევით, თუ ნაგავს?

— ნაგავს!

— ჰოდა, ნაგავში ფულს არავინ გადაგიხდით. ეს ახლავე იცოდე. თეოლინე რას შვრება?

— შახტის უფროსის ცოლი — რას იზამს? ზის, თვალებგამოღამებული, იმ ცარიელ ბინაში და მე მელოდება.

— დიდად დალხენილი და გალაღებული არც ტრესტის მმართველის ცოლია.

— ალბათ!...

— თევზის საცივს რომ დამპირდით, გახსოვს?

— როდის?!

— სულ ამ ცოტა ხნის წინათ.

— არა.

— რა — არა? არ დამპირებიხარ?

— არ მახსოვს.

— ჰოო... შეიძლება...

— შენ?

— რა — მე?

— ახალ კონვეიერს რომ დამპირდი, გახსოვს?

— კონვეიერი მომივა და მოგცემ.

— საიდან ელოდები?

— ქუთაისიდან.

— იჰ! მანამდე არაფერი არ გეტყინა... ავტობუსი?

— რა — ავტობუსი?!

— შორს მაცხოვრებელი მეშახტეებისათვის ავტობუსს რომ დამპირდი, აღარც ეს გახსოვს?

— რაღაც თევზის საცივში კონვეიერიც გინდა და ავტობუსიც?

— საცივს გააჩნია.

— ა?.. ოჰ, თეოლინემ მართლა კარგი საცივი კი იცის.. მიხაკ-დარიჩინიანი, ა! თუ ზაფრანიანი?, არა, მიხაკ-დარიჩინიანი. კი! მოიხედე, ჩემო სარდიონ: კონვეიერი მოვა თუ არა, მაშინვე მოგცემ, ბაზაში ერთ წუთსაც კი არ გავაჩერებ. ავტობუსზე კი ქალაქის საბჭოს ელაპარაკე. არაფერი დაშავდება, თუ მოედნიდან ერთი რეისიც დაუმატეს. მეტი ახლა ნამდვი-

ლად არაფერი შემიძლია. და შენი მეშახტეებიც ახლა ნამეტანს ნუ იმასიზამენ, რაქვია.. ხანდახან ფეხითაც გაისეირნონ. ამით არაფერი დაშავდება. დასხი ხოლმე, ჩემო სარდიონ, შენს გარშემო, და შენი ახალგაზრდობის ამბები მოუყევი. ეგ თუ არ ეყოფათ, მეც მოვალ. შენი არ ვიცი და, მე კი ეს მთები სულ ფეხითა მაქვს გადატკეპნილი.

— შენი რა ვიციო?!

— ჰო, კარგი ახლა... სიტყვამ მოიტანა. ჰოდა, ამაზე ახლა გავათავოთ. გვეყოფა.

ამ ხუმრობანარევმა ლაპარაკმა ტრესტის მმართველს გუნება მაინც არ გამოუსწორა. მაგიდიდან ახლა რაღაც მეორე ქაღალდი აიღო, ხელში უგულოდ შეატრიალა და ისევ მაგიდაზე დააგდო. ამოიხვნეშა და ისევ სარდიონს მოუბრუნდა:

— ვერ ხვდები, რისთვის დაგიბარე?

— ვერა.

— გაფიცებ!

— ღმერთმანი. ვერა, — ნიშნიანიძემ სარდიონს თვალებში ღიმილით ჩახედა და თავი რამდენჯერმე მძიმედ გადააქნ-გადმოაქნია.

აკაკი ნიშნიანიძე უკვე რამდენიმე წელიწადი იყო, პენსიაზე გასვლას აპირებდა. მაგრამ მისი შემცვლელი კაცის პოვნა ძალიან უჭირდათ და ყოველ წელიწადს ერთი ხვეწნითა და მუდარით ითანხმებდნენ, ეს ერთი წელიწადიც წაიმუშავე და მერე გაგიშვებთო. რა უნდა ექნა? საერთო საქმეს ვერ ღალატობდა, რჩებოდა, მუშაობდა და ტრესტს ყოველ წელიწადს კარგი მაჩვენებლები ჰქონდა. წელს კი, როცა აკაკიმ საბოლოოდ გადაწყვიტა ახლა კი არავითარი ხვეწნა-მუდარა ჩემთან აღარ გასჭრის, უნდა წავიდე და მოვისვენოო, — სწორედ წელს ტრესტი ქვანახშირის ამოღების გეგმას ვერ ასრულებდა და არც სხვა მაჩვენებლები უვარგოდა. აკაკი ნიშნიანიძე კი თავმოყვარე კაცი იყო და არავის ათქმევინებდა, თვითონ პენსიაზე გავიდა და მხარ-თეძოზე წამოგორდა, ტრესტის საქმეები კი ჩაოხრებული დასტოვაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წეღან სარდიონ რაჭველიშვილმა ცოტა იეშმაკა, როცა აკაკის უთხრა, ვერ მივმხვდარვარ, რისთვის გამომიძახეო.

— მართლა ვერაფერს ხვდები, ბიჭო?!

— პირდაპირ მითხარი რაც გინდა, დომენტოვიჩ!

სარდიონმა თვალები დაღლილად დახუჭა.

— გეტყვი, ძმაო, დასამალავი რა მაქვს... ტყუილ-უბრალოდ წუწუნი რომ არ მიყვარს, ეს შენც კარგად იცი, მაგრამ... არ იქნა, კაცო, და პირველ შახტს საშველი არ დაადგა. ეს ვაიუშველებელი უკვე მეექვსე თვეა გრძელდება. ახლა მეოთხესაც წელკავი ეცა. ყოველ დღე სამას, ოთხას, ზოგჯერ ხუთას ტონა ნახშირს მაკლებენ. აგერ, შენს მოსვლამდე კაკაურიძეს სელექტორით ორი საათი ველაპარაკე და ვერასგზით ამ უბედურების მიზეზი ვერ ამიხსნა. რა ვიღონო? ერთს გადაჰყვები, უბიძგებ, მხარში შეუდგები, როგორც იქნება, წამოაყენებ, — გაიხედავ და ხელიდან მეორე გამოგეცლება. სახლში ველარ წავსულვარ და წვერი ველარ გამიპარსავს. ჰოდა, აღარც შენ წამომეხმარები? აბა, მე აქ...

— აკაკი დომენტოვიჩ!

— მაცალე, მათქმევინე!

— ვიცი, რასაც მეტყვი.

— არ იცი!

— ვიცი!

— არ იცი!

— მიბრძანე, ბატონო.

— ხომ არ გეუბნები, ოთხასი და ხუთასი ტონა მომეცი-მეთქი, მაგრამ რაც შეგიძლია...

— რაც შემიძლია, იმაზე რაღა ლაპარაკი გვინდა?!

— ცოტას ვერ წამომიმატებ?

— ვერც ერთ გრამს!

— რა იყო, შე კაცო, რა იმედი გადამიწყვიტე!

— ნამდვილად არაფერი შემიძლია.

— ჰმ.. — ნიშნიანიძემ აშკარად მოიწყინა. სარდიონს მზერა აარიდა და ფანჯარაში გაიხედა. — რომ აღარ ვიცი, რა ვიღონო? აღარც მეშვებიან და აღარც მიგონებენ. ჩვენს ზემოურებს შარშანვე ვუთხარი გეგმა ძალიან დაძაბულია და ნამდვილად გამიჭირდება-მეთქი. მაგრამ ვარდოსანიძეს რამეს შეასმენ? არადა, იმასაც თხოვენ, ძმაო! ქვეყანა იზრდება, სულ უფრო მეტს თხოულობს... ერთი სიტყვით... ეჰ! — ნიშნიანიძემ სათქმელი აღარ დაამთავრა და ხელი ჩაიქნია.

სარდიონს შეეცოდა ეს დაღლილი, სახედაღარული ბერიკაცი.

— აკაკი, ტყუილად ხომ არ დაგპირდები და ისე, რასაც შევძლებ.

— გმადლობთ, ჩემო კარგო, გმადლობთ, ვიცი, რა დღეშიც ხარ. ისევ ხელები უნდა დავიკაპიწო, ამ კაბინეტში ვათენო, ვაღამო და იქნებ, რაიმე გავახერხო.

— მე თუ რამეს მოგიმატებ, თორემ დაკლებით ერთ გრამსაც არ დაგაკლებ. ეს იცოდე!

— გმადლობთ, ჩემო სარდიონ, გმადლობთ!

ნიშნიანიძე წამოდგა და სარდიონი კარამდე გამოაცილა.

ქუჩაში გამოსულმა სარდიონმა ზევით აიხედა და დაინახა, რომ ტრესტის ვეებერთელა შენობაში ყველა ფანჯარა ჩაბნელებული იყო. სინათლე მხოლოდ ნიშნიანიძის ფანჯრიდან გამოდიოდა.

* * *

მეორე დილით სარდიონმა შახტის მთავარი ინჟინერი კახაბერ გურასაშვილი იხმო და ჰკითხა, როგორ გვონია, ძალიან რომ მოვინდომოთ, წლის ბოლომდე ერთი ხუთი ათას ტონა ნახშირს თუ ამოვიღებთო.

— გეგმის ზევით?! — კახაბერს თვალები გაუფართოვდა.

— ჰო, რამ შეგაშინა, ბიჭო?! კარგად დაფიქრდი.

— აქ რა ფიქრი მიშველის!

— აბა, წადი და ჩაიცვი.

სარდიონი და კახაბერი შახტში ჩავიდნენ და ყველა კუნჭული მოიარეს. მთელი შახტი, ყველა უბანი — საექსპლოატაციოც და მოსამზადებელიც უნაკლოდ მუშაობდა და ეჭვი არ იყო, რომ ნიშნიანიძისათვის მიცემულ სიტყვას, ერთ გრამ ქვანახშირს არ დააკლებდა და სარდიონი უთუოდ შეასრულებდა. მაგრამ ზედმეტი კი...

— ახლა ჯიბრაილი გამოგვადგებოდა. — უთხრა გურასაშვილმა სარდიონს.

— ჯიბრაილი აღარა გვყავს. არჯევანიძის უბანმა კი ისევე იმუშაოს, როგორც აქამდე მუშაობდა. არა, აკაკი ნიშნიანიძის გაჭირვებას სარდიონი ახლა ვერაფრით უშველიდა.

* * *

იმავე დღეს, ნაშუადღევზე სარდიონს კაბინეტში გერასიმე ცნობილაძე და არქიფო ცალუღელაშვილი შეიდნენ. ამ შემომწყრალი ბერიკაცების დანახვა სარდიონს ისე გაუხარდა, რომ ღიმილი ვეღარ შეიკავა და ხელში რომ თეთრი კალმისტარი ეჭირა, ის მაგიდაზე მიაგდო.

— ეს თქვენა ხართ? თუ მეჩვენება?

— ჩვენა ვართ. — დაღლილად ჩაილაპარაკა გერასიმემ და იქვე, კარებთან მდგარ სკამზე დაეშვა.

— არ გეჩვენება. — დაუდასტურა არქიფომაც და ისიც გერასიმეს გვერდით ჩამოჯდა.

— აღარ მიწყრებით?

— გირიგდებით.

— გვიპატიებია.

— დროა, ძმაო, ნამდვილად დროა.

— ასე ხალისიანად მოღიმარი სარდიონი ძართლაც კარგა ხანი იყო, აღარავის ენახა.

— ჰოდა, ა, აგერ ვართ.

— ესე, კაცმა რომ თქვას, ან აქამდე რას გერჩოდით?

— არაფერს, ოღონდ... — არქიფომ

ადარ დაამთავრა და გერასიმეს ალმაცერად გადაჰხედა.

— ჩვენც ხალხი ვართ. — განმარტა გერასიმემ და თავისი ცალი თვალით ფანჯარაში გაიხედა. — მოგვწყინდა სულ წვალება. მოსვენებული ცხოვრება გვინდა...

— მოსვენებულები, ჩემო გერასიმე, ხომ იცი, სადაც არიან.

— ვიცი. ახლა მოგვისმინე.

— ბრძანეთ.

— წელან გურასაშვილმა ჩაგვიკრა რაღაც.

— ძალიან მიუქარავს!

— ჩვენც ეგ ვიფიქრეთ. ის საქმე რომ გადაგვეწყვიტა, შენ თითონვე გვეტყოდი.

— ტყავს გავაძრობ. მე იმას ვუთხარი, არჯევანიძის უბანს არაფერი მოთხოვო-მეთქი. თუ იცით, კაბინეტშია?

— სარდიონმა ხელი ტელეფონის ყურმილისაკენ წაიღო. — უყურე შენ იმას!

— არა, კაბინეტში არ იქნება, სახლში წავიდა. ცვლის ბოლოს მოვა. ახლა მოგვისმინე.

— რომ აღარაფერს მეუბნებით? — სარდიონმა ტელეფონი გასწია.

— გეტყვით. აგერ, მე და არქიფოს ქვედა სანგრევის ჭერი არ მოგვწონს. არა, ისეთი კი თითქოს არაფერია, მაგრამ... შარშანდელ ხაზზე გავედით. ხომ გახსოვს, ფეხად რომ ძლივს გამოვასწარით. ჰოდა, ახლაც რაიმე არ მოხდეს.

— ჰმ! — სარდიონს ეს ამბავი არაფრად ესიამოვნა. — ქვედა სანგრევში გუშინ ვიყავი და არაფერი შემიმჩნევია?

— გუშინ ჩვენც არაფერი შეგვიმჩნევია. დღეს კი... ეგერ, ერთი ბიგა გაბზარულიც კი დამხვდა.

— ჰმ!... არჯევანიძეს უთხარით?

— იცის, არადა, არც ის გვინდა, ეგ ბიჭი ახლავე დავაშინოთ. ვინ იცის, მაგისგან რა კაცი გამოვიდეს. ჰოდა, გამოცდილი თვალი ყოველ ცვლას სჭირდება. სიტყვაზე, მე რომ პირველ ცვლაში ვიქნები, არქიფო მეორეში იქნება, მესამეში კი, ვთქვათ, ჯიშკარიანი იქნება და ასე. ოღონდ... შენც უნდა შემოიხედო ხოლმე.

— ისედაც სულ თქვენთან არ ვტრიალებ!

— კი. ჰოდა ასე. მაგ უკუღმართ ადგილს რომ გავცდებით, მერე ისევ აღარაფერი გვიშავს. ოღონდ მემონტაჟეებს კი უნდა მოელაპარაკო.

— რა გვინდაო?

— არ იცი, რა ხალხიცაა? აღარაფერი ჰყოფნით. მე კი ვუთხარი არჯევანიძეს, შენ მაგათ არ აჰყვე და კანონი არ დაარღვიო-მეთქი. მაგრამ უკეთესი იქნება, თუ შენც ეტყვი.

— ვეტყვი. უსათუოდ ვეტყვი.

— ჰოდა, ასე, ახლა ნურც შენ აღელდები. როგორც ჰქუხს, ისე არ წვიმს, ხომ იცი. მაგრამ სიფრთხილე სჯობია. ახლა კარგად იყავი!

— ნახვამდის! მე ყოველ ცვლაში ჩამოვალ ხოლმე.

— ჩამოდი. იქ ან მე ვიქნები, ან არქიფო, ან ჯიშკარიანი. ამ სამში ერთი უსიკვდილოდ ვიქნებით.

— კარგი, გერასიმე, კარგი!

ბერიკაცები წავიდნენ.

* * *

სარდიონმა კარგა ხანს იფიქრა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ გადაწყვიტა, ბერიკაცებს რა უფრო აწუხებდათ, — ის რომ ქვედა სანგრევის ჭერი „ცუდად იქცეოდა“, თუ ის, რომ როგორც ეტყობოდა, ახალგაზრდა უბნის უფროსმა მემონტაჟეებთან საერთო ენის გამონახვა ვერ შესძლო. სარდიონს ჭერის ამბავი უფრო ნაკლებად აწუხებდა. თუ სანგრევში მუშაობა ჭერის მიზეზით მართლა სახიფათო გახდა, ბოლოსდაბოლოს, ერთი ან ორი ცვლით ნახშირის ამოღებას შეწყვეტენ და ჭერს გადაამაგრებენ. ესეც ხიფათიანი საქმეა, მაგრამ ბევრჯერ გაუკეთებიათ და ახლაც გააკეთებენ. მართალია, ამასობაში ხუთასი თუ ექვსასი ტონა ქვანახშირი დააკლდებათ

და სარდიონმა იქნებ, აკაკი ნიშნიანიძეს დანაპირებიც ვერ შეუსრულოს. მაგრამ მეტი რა ჩარაა? შახტი იმიტომაა შახტი, რომ ყოველ წუთს შეიძლება, მოულოდნელი რამ შეგემთხვას. წლის ბოლომდე კი ჯერ ბევრი დროა და იქნებ სარდიონმა მანამდე დანაკლისის ანაზღაურებაც მოახერხოს.

უფრო ცუდი არ იქნება, თუ მემონტაჟეები მართლაც ახირდნენ. სარდიონთან ისინი არ მოვლენ და არჯევანიძეს არ უჩივლებენ. კანონი ახალგაზრდა ინჟინრის მხარეზეა — ის მუშაობისას წესებს იცავს და არაფერს აშავებს. მაგრამ მემონტაჟეებს სწორედ ეს არ უნდათ. მათ უნდათ, რომ არჯევანიძემ ზოგჯერ წესებსა და კანონებს ზურგი აქციოს, რისკზე წავიდეს, მეტი ქვანახშირი ამოიღოს და მემონტაჟეებმა ჯიბე გაისქელონ. თუ არჯევანიძემ ეს არ გააკეთა, — სარდიონი კი ახალგაზრდა ინჟინერს ამის უფლებას არასგზით არ მისცემს, მაშინ მემონტაჟეები ადგებიან და შახტის უფროსს სათითაოდ განცხადებებს მიართმევენ, გთხოვთ, ოჯახური პირობების გამო სამუშაოდან გაგვათავისუფლოთო. მაშინ სარდიონმა რაღა ქნას? თუ იმ განცხადებებს რეზოლუცია არ დაადო, თანახმა ვარო, განმცხადებელი ორი კვირის მერე სამუშაოზე აღარ გამოვა, — კანონი ამის უფლებას აძლევს. ადგებიან და წავლენ. მუშახელის შოვნა კი ახლა ძალიან ჭირს, მემონტაჟეები, რაც არ უნდა იყოს, მაინც კვალიფიცირებული ხალხია, მაგათ ასე უცბათ ვერ შეცვლი... ერთი სიტყვით თუ ეს მოხდა სარდიონი პირდაპირ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდება. საქმე კი, როგორც ეტყობა სწორედ აქეთ მიდის.

## თავი XI

ღამის თორმეტის ნახევარზე მესამე უბნის სამორიგეოში შესულ სარდიონს, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი სურათი დახვდა. ცვლა უკვე ნახევარი საათის დაწყებული იყო. ჩვეულებრივ ამ დროს სამორიგეოში ვეღარავის ნახავდით, უბნის უფროსის, ან მისი მოადგილის გარდა. ამ დროს მეორე ცვლის მეშახტეები უკვე თავიანთ სახლებში იყვნენ ხოლმე, მესამე ცვლისანი კი — სანგრევებში.

ახლა კი სამორიგეოში ნემსიც არ ჩავარდებოდა. მეორე ცვლის მეშახტეებიც აქ ტრიალებდნენ და მესამე ცვლისაც. ცხელი, ჩახუთული ჰაერი თამბაქოს ბოლით იყო გაჟღენთილი. მაგიდას დაღლილი, საყელომოღეღილი არჯევანიძე უჯდა და თავის მოადგილეს ანთიმოზ ჩახუნაშვილს რაღაცაზე დაბალი ხმით ელაპარაკებოდა. ჩახუნაშვილი ყოველ სიტყვაზე თავს უქნევდა და თან ხელს რატომღაც მარჯვენა ყბაზე ისვამდა. სარდიონმა კი მაშინვე შეამჩნია, რომ არჯევანიძის ნათქვამს ჩახუნაშვილი არაფრად აგდებდა და ოთახიდან გასვლისთანავე გადაივიწყებდა.

კედელთან მდგარ გრძელ სკამზე, ერთი მეორის მიყოლებით ჩამომსხდარიყვნენ გერასიმე ცნობილაძეც, არქიფო ცალუღელაშვილიც და ტანდაბალი, ბეჭებგანიერი და გრძელხელებიანი სოლომონ ჯიშკარიანიც. დილით გერასიმემ სარდიონს უთხრა, ჩვენ სამნი ცვლებს გავინაწილებთ და ისე ვივლითო, ახლა კი თავი სამივეს ერთად მოეყარა და, როგორც ეტყობოდა, სახლში წასვლას არც ერთი არ აპირებდა. ისეთი რა უნდა მომხდარიყო? სარდიონს გურესაშვილმა წეღან აკი უთხრა, მეორე ცვლამ ნორმალურად ჩაიარაო.

— გამარჯობათ! — სარდიონმა ქუდი აუჩქარებლად ჩამოჰკიდა კარანჩხაზე. — სახლში წასვლას აღარავინ ფიქრობთ?

მეშახტეები წამოიშალნენ. არჯევანიძემ უბნის ფართო, ჭუჭყისაგან ჩაშავებული ჟურნალი გვერდზე გასწია, წამოდგა და ფანჯრისაკენ მიდგა — მაგიდასთან ადგილი სარდიონს დაუთმო.

სარდიონი აუჩქარებლადვე მივიდა მაგიდასთან, დაჯდა, ის ჟურნალი კიდევ უფრო იქით, — სულაც მაგიდისკენ მისწია და მზერა მებიგეებს — გერასიმესა და მის მეგობრებს შეავლო.

— რამე მოხდა?

— არაფერი.

— აბა?

ამაზე აღარავინ უპასუხა.

სარდიონმა წეღანვე, შემოსვლისთანავე შენიშნა, რომ ოთახში მყოფი მეშახტეები — მეორე ცვლისანიც და მესამენიც, შეფიქრიანებულნი იყვნენ. თეიმურაზ არჯევანიძე კი, დაღლილობის მიუხედავად, მხნედ და თამამად გამოიყურებოდა და არაფრის ცუდის მოლოდინი არ აწუხებდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მეშახტეებმა რაღაც მძიმე ამბავი იციან, მაგრამ უბნის უფროსს არ უმხელენ — მაინც არ დაგვიჯერებს და ტყუილად რატომ ავფორიაქდეთო.

ანთიმოზ ჩახუნაშვილმა საიდანღაც, გარშემო შემოჯარული მეშახტეების შუაგულიდან სკამი გამოათრია და არჯევანიძეს დაუდგა.

— აი, ეს მესმის! — სარდიონმა გულისგარეთ გაიღიმა. — რაც არ უნდა მოხდეს, უფროსის პატივისცემა არ უნდა დაჰკარგოთ, დაბრძანდი, ბატონო თეიმურაზ, პატივისცემა შეიფერე.

თეიმურაზი დაჯდა, ხელი სახეზე ჩამოისვა და ოდნავ შესამჩნევად ჩაიღიმა. არა, ახალგაზრდა ინჟინერი სრულიად მშვიდად იყო და არაფრის შიში არ ჰქონდა.

— დაღლილი ჩანხარ... — სარდიონმა ის ჩაშავებული ჟურნალი ახლა თავისკენ მისწია, გადაშალა, რაღაც გრაფები ყურადღებით დაათვალიერა — და ისევ დახურა. მეორე ცვლის ქვანახშირის ამოღების გეგმა მართლაც შეესრულებინა და სანგრევებიც წესრიგში იყო.

— აღარ იტყვით, რა მოხდა? გერასიმე, თქვენ სამივენი აქ რატომ ხართ?

— ისე... ლაპარაკს შევყევით...

— ჰმ!...

სიჩუმე ჩამოვარდა. სამორიგეოში ბუზის გაფრენას გაიგონებდით.

— აბა მეორე ცვლის ხალხს რაღა გინდათ? საქმე გაგიკეთებიათ, წადით და თქვენს ცოლშვილში მოისვენეთ.

მეორე ცვლის მეშახტეებმა — ბარე ათი თუ თორმეტი კაცი იქნებოდა, ჩაიღიმეს და ხმაამოუღებლად ერთი მეორის მიყოლებით გალაგდნენ ოთახიდან.

— შენ, ანთიმოზ?

— მე ჩვენს ბატონ თეიმურაზს არ ვშორდები. ყოველ ცვლაში ერთადა ვართ.

— ჰოო... გერასიმე, შენ?

— მე, სარდიონ, დავრჩები. სოლომონი წავიდეს, მე და არქიფო კი დავრჩებით. ან არქიფო წავიდეს, მე და სოლომონი კი დავრჩებით.

— თქვენი ნებაა, თქვენვე მორიგდით. ბატონმა თეიმურაზმა ყველაფერი იცის?

— კი, ბატონო, ყველაფერი წვრილად მოვახსენეთ.

— ჰოდა, ძალიან კარგი. აბა, წადით.

ჯიბრაილი სახლში წასასვლელად გაემზადა. დანარჩენები კი შახტში ჩაეშვნენ და მთავარ შტრეკს გაჰყვნენ.

გზადაგზა ხმა არავის ამოუღია. სარდიონს წეღან დიდად არაფრად მოეწონა, სამორიგეოში იმდენი ხალხი რომ დახვდა, რა პანიკას ჰქმნიანო. მაგრამ ახლა გუნება თანდათან გამოუსწორდა და გულში კიდეც სიამოვნებდა, რომ ეს გამოცდილი მებიგეები თან ახლდა.

მაგრამ საკონვეიერო შტრეკთან სარდიონს ახალი მოულოდნელობა ელოდა; როცა შტრეკთან მივიდნენ, შესასვლელთან ხუთიოდე ნაბიჯის დაშორებით კუნაპეტ სიბნელეში ვიღაც მეშახტე დალანდეს — ჩაცუცქულიყო, ნათურა ძირს დაედგა და თავის რეზინის ჩექმებს ერთი ხვნეშით ეძიძგილავებოდა, სარდიონმა ჩაცუცქულს ნათურა სახეზე მიანათა და... იორამ ნოსელიძე იცნო.

— შენ აქ რას აკეთებ, ბიჭო?

ერთი მეორის მიყოლებით დანარჩენებიც იორამს შემოეხვივნენ.

— ჩექმები გავისწორე... — იორამმა უხერხულად ჩაიღიმა. — ცოტა სრული მაქვს.

— შენ მესამე ცვლაში მუშაობ?

— მე?

— ჰო, შენ!

— არა.

— აბა?

სიჩუმე ჩამოვარდა. იორამმა სარდიონს სახე აარიდა. სრულიად უმიზეზოდ აკუმულიატორის ქამარი შეისწორა.

წესით იორამ ნოსელიძეს მესამე ცვლაში გადმოსვლა სწორედ ამ თვის დასაწყისში უწევდა, მაგრამ უბნის ხალხმა ასე განსაჯა, ახლადშეუღლებულებს მეტი ანგარიში უნდა გავუწიოთო და იორამი ისევ პირველ ცვლაში დასტოვეს. მან ჯერ დაიმორცხვა და იუარა, მერე კი, სხვა რაღა გზა ჰქონდა და დათანხმდა, მით უმეტეს, რომ შეატყო, სულის სიღრმეში მისი იამზე ამჯერად უბნის კოლექტივს უფრო ემხრობოდა, ვიდრე საკუთარ ქმარს. იორამი ისევ პირველ ცვლაში დარჩა და თავის ამხანაგებს კი ეს კიდევ ერთი პატივისცემა დაუხსომა და გულში მტკიცედ ჩაიმარხა, რაღა კაცი ვიქნები, თუ ამ ხალხს როდესმე ვუღალატე, ან რა წამსაც კი არ დავჭირდები, მაშინვე მხარში არ ამოვუდგებიო.

ახლა, ამ შფოთიან დღეებში, როცა უბნის ყველა გამოცდილი მეშახტე ამბობდა, ქვედა სანგრევის ბიგები ზოგჯერ მეტად საეჭვოდ ჭრიალებენ, ჭერის საქმე კარგად არ უნდა იყოსო, იორამმა იამზეს უთხრა, შეიძლება ზოგჯერ სახლში მობრუნება შემიგვიანდეს ხოლმეო.

— უბანს უშენოდ ველარ უძლვებიან? თუ უკვე მოგბეზრდი? — იამზე საჩაჰაპურე ცომს ზელავდა, — სტუმრები ხომ არასოდეს ელეოდათ, თავი დაღუნა, წინსაფრის შესაკრავი კბილებით გაიხსნა და მარჯვენა მხარი გაითავისუფლა. — თუ მოგბეზრდი, მაშინ...

— მე შენ კი არ გეხუმრები.

— აბა?

— საქმე სხვანაირად არის.

— სად?

— უბანზე.

— მერე?

— მერე და ზოგჯერ შეიძლება შემაგვიანდეს.

— ერთი აქეთ შემომხედე. — იამზემ ცომიანი ხელის ზურგით თმები გაისწორა და ქმარს თვალებში ჩაჰხედა. — ღალატით, მგონი, ჯერ არ უნდა მღალატობდე. ა? უბნის უფროსად ხომ არ დაგაწინაურეს.

— უფროსობა არაფერ შუაშია. დაღამებულზე თუ შეგეშინდეს, კვერნაძეებთან გადადი ხოლმე.

— შენ იმხელა უბნის საქმეები ეგებ დილამდე ვერ მოაწესრიგო და მე კვერნაძეებთან ღამეები ვათიო?

— კარგი ახლა გეყოფა.

— წყალი მომიტანე და თუ უბანზე არაფერი საჭირო იყო. ნუ მიეძალები. შენზე ნაკლები ვაჟკაცები არც ისინი არიან.

იამზე იორამმა ასე დაითანხმა, ასე მიაჩვია იმ აზრს, რომ შეიძლებოდა, უბანზე რაიმე ცუდი ამბავი დატრიალებულიყო და ამხანაგებს იორამის დახმარება დასჭირვებოდათ. მაგრამ მეშახტეები იორამის ხმობას მაინცდამაინც არ ჩქარობდნენ. არჯევანიძეს საერთოდ არ სჯეროდა, რომ ლავაში ჭერი ჩამოინგრეოდა, — სამთო საქ-

ჰისა ცოტა რაღაცა მეც გამეგება და მანდ არავითარი ხიფათი მოსალოდნელი არ არისო. სხვები კი იორამს ხელის აქნევით იშორებდნენ, მოგვეშვი, ბიჭო, ღმერთმა ანგელოზივით ცოლი გამოგიგზავნა და იმას მიხედეო. იორამი ნაწყენი დარჩა, მაგრამ რას იზამდა? თუ მისი დახმარება არავის ჭირდებოდა, მართლა ძალით ხომ არ შეეჩხირებოდა? დღეს კი მეორე ცვლის ბოლოს ხმა გავრცელდა, ქვედა სანგრევში ბიგები ისე ჭრიალებენ, რომ უბნის უფროსის არჯევანიძის გარდა ყველა შეფიქრიანებულიაო. არჯევანიძეს კი ჯერ რა ესმის? არა, მართალია, ბიჭად ძალიან კარგია და მეშახტეები ნამდვილად დიდ პატივს სცემენ, მაგრამ ნამდვილი სამთოელი ჯერჯერობით მაგას სწორედ არ ეთქმის. არა, ადამიანს ქვის გული უნდა ჰქონდეს, რომ ასეთ დროს ამხანაგებს გამოეთიშოს.

იორამმა ნაჩქარევად ივახშმა, გაოცებულ იამზეს უთხრა, თუ ცოტა შეჭაგვიანდეს, არ იდარდოო, და შახტს მიაშურა. იქ სამორიგეოში აღარ შესულა, სპეცტანისამოსი გარდერობში ჩაიცვა და შახტში ჩაეშვა. ეს წყეული ჩექმები რომ არა, ახლა უკვე სანგრევში იქნებოდა. სანამ ჩექმები გაიხადა, ფეხებზე გაზეთის ნახევები შემოიხვია და ისე ჩაიცვა, თავზე ესენიც წამოადგნენ. თუმცა, იორამმა რა იცოდა, რომ სარდიონს მისი დანახვა არ ესიამოვნებოდა? მოდი და ამ უფროსებს რამე გაუგე!...

— გამაგებინეთ, ეს კაცი რომელ ცვლაში მუშაობს? — სარდიონმა ნათურა ჩახუნაშვილს ზედ სახეზე მიანათა.

— პირველში, ბატონო სარდიონ! წესით მართლაც მესამე ცვლაში უწევდა, ესე იგი, ამ თვის დასაწყისიდანვე, მაგრამ უბნის ხელმძღვანელებმა და დანარჩენმა ამხანაგებმა გავითვალისწინეთ, რასაკვირველია, იორამის თავისებური მდგომარეობა და პირველ ცვლაში დავტოვეთ — ჩახუნაშვილმა ეს სულმოუთქმელად წარმოსთქვა და ხელები ისე გაშალა, თითქოს სარდიონს ეუბნებოდა, ასე კი მოვიქეცით და ახლა შენ იცი, დაგვსჯი, თუ შეგვიწყალებო.

— მერე?

სიჩუმე ჩამოვარდა.

სარდიონი წარბშეკრული იდგა. არა, ბოლოსდაბოლოს, მართლა რა მოხდა? თუ სანგრევს ხიფათი ელის, ნახშირს აღარ ამოიღებენ. და ჭერს გაამაგრებენ. მორჩა და გათავდა! ერთხელ უქნიათ, თუ ორჯერ?!

— გერასიმე!

— დიახ!

— იქნება, მითხრა, რა მოგელანდათ?

— არაფერი სარდიონ ბატონო, რა უნდა მოგვლანდებოდა!... სანგრევის ხაზი ცოტა სახიფათო ადგილზე გადის და ცოტას ვფრთხილობთ მეტი არაფერი.

— რაღა არაფერი, ქრისტიანო? დანა კრიჭას აღარ გიხსნით, სამორიგეოში ერთი მიტინგი გქონდათ გამართული, ახლა კიდევ ეს... ხიფათი გაგიჟვირდათ? თუ სარდიონ რაჭველიშვილი იმას გეტყვით, თავები დაიხოცეთ და ნახშირი კი მაინც ამოიღეთო? ეჰ! — სარდიონმა ხელი გაგულისებით ჩაიქნია, გატრიალდა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, დაიხარა და საკონვეიერო ტრეკში შეძვრა.

ნირწამხდარი გერასიმე სარდიონს უკან დაედევნა. სხვები გერასიმეს მიჰყვნენ. იორამისკენ ერთხელაც აღარავის მიუხედავს. ბიჭი სიწითლემორეული დარცხვენილი იდგა. ისე გამოდიოდა, თითქოს მეტიჩრობა დააბრალეს. ვითომ, ეს მეტიჩრობაა? იორამი უცბათ გაგულისდა, ჩაფხუტი გაისწორა და იმავე საკონვეიერო შტრეკში შეძვრა, ოღონდ ის იყო, რომ მას წელში მოხრა არ დასჭირვებია.

• • •

ჩაბნელებულ, ნესტიან სანგრევში სიჩუმე გამეფებულიყო. შავად მბზი-

ნავ ქვანახშირის ფენასა და მიყოლებით ჩამწკრივებულ ბიგებს შორის რკინის ბადურებში ჩასმული ნათურების ყვითელ, უძალო სინათლეზე გველივით მიიკლაკნებოდა და სიბნელეში იკარგებოდა მქრქალად მბზინავი, თითქოს ზეთწასმული რკინის კონვეიერი. საიდანღაც, სანგრევის ზედა ბოლოდან ყრუ, მოკლე ჟღრიალი მოისმა და მაშინვე მიწყდა. ალბათ, ვიღაცამ კონვეირზე რაღაც რკინის ნაჭერი თუ ხელსაწყო დააგდო. ქვედა შესასვლელიდან ათიოდე ნაბიჯზე მეშახტეების ჯგუფი შეგროვილიყო. სამი თუ ოთხი კაცი კონვეიერზე იჯდა, სხვები კი ბიგებს მიყრდნობოდნენ და რაღაცის მოლოდინში ხმადაბლა მასლაათობდნენ.

— გამარჯობათ! — სარდიონმა ღრმად ამოისუნთქა და შეჩერდა. — იჯექით, კაცო, იჯექით, ასე ყოველ შემოსვლაზე თუ წამომიდექით, კარგი დახლი დაგვიდგება. ცვლის უფროსი სად არის?

— აქ გახლავართ. — სიბნელეს ულვაშებშეჭაღარავებული გაბრიელ ცხენოსანიძე გამოეყო. ტანად მაღალი იყო, მაგრამ ბეჭები ვიწრო ჰქონდა, თეძოები კი ქალივით განიერი, და ეს ბრეზენტის მოუხეშავ სპეცტანსაცმელშიც კი ეტყობოდა. ამხანაგებში ხათრიანი, უთქმელი, და პატიოსანი ბიჭის სახელი ჰქონდა გავარდნილი.

— ახალს რას მეტყვი?

— რა მოგახსენოთ, ბატონო სარდიონ... ეს წუთია სანგრევი ყველამ ერთად ჩამოვიარეთ და... რა ვიცი. ისეთი არაფერი... ოღონდ სწორედ შუაგულში ჭერი ცოტა მოსუსტებული უნდა იყოს. აქა-იქ ბზარებიც კი მოჩანს. ჰოდა... რა ვიცი...

— აბა, მივიდეთ, შუაგული არ თქვი?

— აქედან, ასე, ორმოცდაათი ნაბიჯი იქნება.

ორმოცდაათი ნაბიჯი მალე გაიარეს. სარდიონი გაჩერდა და ნათურის შუქი ჭერს მიუშვირა. იმავე წამს ჭერზე დანარჩენების ნათურების შუქის ათამდე წრე არიალდა.

ჭერის ნაცრისფერ გლუვ ქანებს, ერთი შეხედვით, ვერაფერს შეატყობდით. ეს იყო, რომ აქა-იქ წყალი მოქონავდა. სარდიონმა ნათურის შუქი კარგა ხანს აფათურა ჭერზე და ბოლოს, როგორც იქნა, ოდნავ შესამჩნევი, ძაფზე უფრო წვრილი ბზარი შენიშნა. მერე და სულ ეს არის? ამაზე ათასჯერ უარესი და სახიფათო რამდენჯერ გაუვლიათ?

— გერასიმე სად არის?

— აქ გახლავარ.

— ამაზე ამბობ?

— მაგაზე მოგახსენებთ.

— ჰმ! — სარდიონმა ნათურა დაუშვა. ერთ წუთს ჩუმად იდგა. მერე ნათურა ისევ მოიმარჯვა, ბიგებს შორის გაძვრა და ჭერი ახლა უკვე გამომუშავებული სივრცის თავზე შეათვალიერა. იგივე სურათი იყო — გლუვი, სარკესავით პრიალა ნაცრისფერი ქანის შრე, მასზე აქა-იქ წყლის ზოლები და წვეთები, ხოლო ორიოდე — ძლივს შესამჩნევი, სწორედ ადამიანის თმის ბეწვის სისქე ბზარები. მეტი არაფერი. აქ ისეთი საშიში რა არის?

სარდიონი უკანვე გამობრუნდა. მეშახტეები მდუმარედ ელოდებოდნენ.

— კიდევ რას მეტყვით?

— მეტს არაფერს. — ცხენოსანიძემ გაიღიმა და მხრები აიჩეჩა.

— ჰმ! აფეთქებით სად უნდა ავაფეთქოთ?

— აგერ, ოცი ნაბიჯი თუ იქნება.

— ცოტა ქვევით რომ ჩავიწიოთ? ან ზევით წავიდეთ?

— სანგრევის ხაზი გამრუდდება. მერე უარეს დღეში ჩავცვივდებით.

— ეგ მართალია. ჰმ!..

სარდიონი აშკარად ყოყმანობდა. არც უნდოდა აკაკი ნიშნიანიძისათვის მიცემული სიტყვა გაეტეხა, — გეგმაზე ერთ გრამ ქვანახშირს არ დაგაკლებო, და მაინცდამაინც არც თუ ეს ჭერი აშინებდა, ამაზე უარესიც ბევრი უნახავთ და მშვიდობით გაუვლიათ, ისე

ჰგავს, რომ გერასიმემ და სხვებმა ნამდვილად ზედმეტი სიფრთხილე გამოიჩინეს, არჯევანიძე მათთან ცამდე მართალი უნდა იყოს, მაგრამ... ამ ოხერმა, ამ დაუნდობელმა და გაუტანელმა ჭერმა მართლაც რომ იხუვლოს და ჩამოშვავდეს, მაშინ? ო, ჰო-ჰო,ჰო! ღმერთო, სარდიონს არასოდეს უწამებიხარ, მართალია, მაგრამ ახლა გამოადექი, თუ სადმე ხარ და მერე... ან ის შეჩვენებული კახაბერი სად ეშმაკშია? ამისთანა საკითხებს მთავარი ინჟინერი უნდა წყვეტდეს, ის კი...

— სად იქნება გურასაშვილი?

— მეორე ცვლაში იყო. ალბათ, ისვენებს.

— ისვენებს...

დაბერდა, დაბერდა სარდიონ რაჭველიშვილი! აგერ, გარშემო მისივე მეშახტეები შემოხვევიან, მზერას არიდებენ, მაგრამ სარდიონი თვალებში მაინც ბევრი რამის ამოკითხვას ახერხებს. იმ თვალებში ახლა სიბრალულიცაა, თანაგრძნობაც, გაკვირვებაც და იმისი სურვილიც, რომ სარდიონ რაჭველიშვილი ამ მდგომარეობიდან გამოიყვანონ. მაგრამ ვის რა შეუძლია? დარწმუნებით ვინ რას იტყვის, ვინ რას გირჩევს? აგერ, ინჟინერი თეიმურაზ არჯევანიძე სულ ნახევარი საათის წინ, უბნის სამორიგეოში, ძალიან თამამად და თავდაჯერებულად იქცეოდა და გადაჭრით ამბობდა, სანგრევს ხიფათი არ მოელის და ამაღამ ნახშირი უნდა ამოვიღოთო; ახლა კი, ამ ჩამობნელებულ, ჩახუთულ და ნესტიან მიწისქვეშეთში ალბათ სხვების, მასზე უფრო გამოცდილების კრთომა და ყოყმანი გადასდებია და თვალებშიც შიში ჩასახლებია. „როგორც თქვენ მიბრძანებთ, ბატონო სარდიონ, — ამბობენ ახლა ის შემკრთალი თვალები, — როგორც თქვენ მირჩევთ, ისე მოვიქცევით". გერასიმე ცნობილაძე კი, პირიქით, ზევით დღეს მთელი დღე ფრთხილობდა და სარდიონსაც სიფრთხილეს ურჩევდა, ახლა კი იმ მოლიპულ ჭერს ნათურას წამდაუწუმ უშვერს, მერე ისევ ძირს დაუშვებს, სარდიონს თავის ერთადერთ თვალს შეავლებს და თითქოს ეუბნება, — „ნუ გეშინია, სარდიონ! თუ საჭიროა, გავბედოთ, ამისთანები გაგვიბედნია? რაც არ უნდა მოხდეს, ადამიანებს არ გავწირავთ და ჭერი თუ კიდეც ჩამოინგრა, რა ვუყოთ! ხვალ და ზეგ ისევ გავამაგრებთ. ჩვენ ხომ ძველი ხალხი ვართ, შიში და უკან დახევა არ გვეკადრება. შე კაცო, თუ ქვანახშირი ვერ ამოვიღეთ და საკუთარი თავიც და სხვებიც დავაღალატეთ, ამისთანა სანგრევს ისევ სულაც უსანგრევობა სჯობია". თუ ძალიან საჭიროა, ბევრჯერ გაგვიბედნია? და ამ ერთხელაც გავბედოთ. დილას სხვანაირად ვლაპარაკობდი? რა ვუყოთ, შე კაცო, სიფრთხილეს თავი არ ასტკივაო, მაგრამ მთლად კი ნუ დავგლახავდებით!".

ანთიმოზ ჩახუნაშვილი... თუმცა, ეს რა სათვალავში ჩასაგდებია" ეგერ, ორ ბიჭს შორის შეყუჟულა და... ეჰ, რატომ ახლა სარდიონს მაგ უნიათოს ნაცვლად ჯიბრაილ ხელთუფლიშვილი არ ახლავს? რა თამამად იქნებოდნენ სარდიონიცა და სხვებიც! რა ჯადო ბიჭი იყო! მაგრამ...

— რას იტყვით, ხალხო? ტყუილი რომ გითხრათ, ქვანახშირი არ გვჭირდებაო, რომელი დაგიჯერებთ? არადა... ეს ჭერი ცოტა საშიში მართლა უნდა იყოს. სხვა სხვაა და გერასიმე, ან არჭიფო ამაში მოტყუილდებოდნენ!

მეშახტეებმა ერთმანეთს გადაჰხედეს. ზოგმა კიდეც ჩაიღიმა.

— გერასიმე...

— ა?

— რას იტყვი?

— ის... რა ქვია...

— ჰო!

— ყველამ ერთად გადავწყვიტოთ, სარდიონ!

— კი, ბატონო, ერთად გადავწყვიტოთ. მაგრამ პირველი სიტყვა ხომ უნდა თქვას ვინმემ!

— კი ,პირველი სიტყვა ნამდვილად

უნდა ითქვას. პირველი სიტყვა თუ არ ითქვა, ისე საქმე არ გამოვა.

— მერე?

სიჩუმე ჩამოვარდა.

ორ ბიგს შორის შეყუჟული ანთიმოზ ჩახუნაშვილი შეინძრა და წაილაპარაკა:

— სახარებაშიც კი სწერია, პირველად იყო სიტყვაო.

— ამან სახარება გამიხსენა... — სარდიონ რაჰველიშვილმა ხელი ჩაიქნია. — კარგი, ბატონო, ისევ მე ვიტყვი. ოღონდ ახლა პირველი სიტყვაც ეს იქნება და უკანასკნელიც. ამ ორასი თუ სამასი ტონა ნახშირის დაკარგვა არც ჩვენ დაგვაქცევს, და არც სახელმწიფოს. მაგრამ თქვენც კარგად იცით, ჩვენ ახლა რომ ჩამომქცევებს გამოვუძახოთ...

— არა, არა, ეგ არ შეიძლება... — გერასიმემ ხელები გაასავსავა.

— ღმერთმა დაგვიფაროს! — დაუმატა არქიფომაც.

— ჰოდა, მეც მაგას ვამბობ. ჩამომქცევებმა ახლა რომ ეს ბიგები გამოჩეხონ და მერე კი ჭერი მაინც არ ჩამოიქცეს, თქვენც იცით, ამას რაც მოჰყვება. შეიძლება, სანგრევიც დავღუპოთ და ცოტა უარესიც კი მოხდეს. ამასაც ხომ მართალს ვამბობ?

— ნამდვილად ოქროს სიტყვებია, ბატონო სარდიონ! — გერასიმემ და არქიფომ ერთმანეთს გადახედეს.

— მართალია, ეგ ჩვენც ვიცით... — გაიხმაურეს სხვებმაც.

— ჰოდა, ახლა დასკვნაც თქვენვე გააკეთეთ. მე კი ერთსაც გეტყვით: ა. შვილებო და ძმებო, დილამდე თქვენთან ვიქნები და, რაც მოგვივა, მოგვივიდეს. ისე კი, თუ ჩემსას მათქმევინებთ, რა ვიცი... მგონია, რომ ყველაფერი კარგად უნდა დამთავრდეს.

— ღმერთმა გისმინოს!..

— ამფეთქებლები მზად არიან?

— მზად გახლავართ!

— აბა, თქვენ იცით!

კაცმა რომ თქვას, ყველაფერი ამ პირველ აფეთქებას უნდა გადაეწყვიტა. იგი სახიფათო ადგილიდან ოციოდე ნაბიჯზე უნდა მომხდარიყო... და თუ ჭერი მის ტალღებს გაუძლებდა, მერე ყველაფერი მოგვარდებოდა. არა, რისკი მაინც იყო, მაგრამ უკვე შეუდარებლად ნაკლები: ჭერში გაჩენილ ნაპრალებისათვის საჩქაროდ „პირი უნდა აეკრათ“, ეს უკვე მებიგეების ხელმარჯვეობაზე იყო დამოკიდებული. გერასიმესაც და არქიფოსაც ასეთი საქმე ბევრჯერ გაუკეთებიათ. თუ ამ ერთხელაც ივარგებდნენ, მერე მთელი ცვლა სამშვიდობოს იყო გასული. დილამდე ისე იმუშავებდნენ, რომ ფიქრი აღარაფრისა ექნებოდათ. ეგ კი არა, იქნებ, ცოტა ზედმეტი ქვანახშირიც კი ამოეღოთ. თუმცა არა, არა! ამაზე ახლა ლაპარაკი და ფიქრიც კი ნაადრევია. ჯერ აფეთქონ. ნათქვამია, ფონი გასავალს დალოცეო.

მეშახტეები სანგრევიდან გამოვიდნენ და საკონვეიერო შტრეკსა და წალოებს შეეფარნენ. ვიღაცამ სარდიონს კონვეიერზე ჩამოსაჯდომი ადგილი დაუთმო. სარდიონი ჩამოჯდა და, რაკი ამ სიბნელეში ვერავინ დაინახავდა, შუბლით ბიგას მიეყრდნო. ნეტავი, რატომ ვერავინ ჰხედავს, რომ სარდიონს სიბერე შემოეპარა და ბევრი აღარაფერი შეუძლია? წინათ ასეთ ხიფათს სარდიონი ჩალადაც არ ჩააგდებდა და სხვებსაც შეარცხვენდა, ამან როგორ შეგვშინთოო. ახლა კი... არადა, კაცმა რომ თქვას, სარდიონს არც აქვს იმისი უფლება, რომ უბნის უფროსის მაგივრობა გასწიოს და მის ფუნქციებში ჩაერიოს. მას მხოლოდ რჩევის მიცემა შეუძლია. ახლა რომ უბანზე უბედურება დატრიალდეს, თვითონ სარდიონის თავი ჯანდაბას, ამ ახალგაზრდა ინჟინერს, თეიმურაზ არჯევანიძესაც ორპირ ტყავს ააძრობენ, — ჭერის შეფასებაში რომ შეცდი, ეგ არაფერი, ეგ, ბოლოსდაბოლოს, ყველას ემართება, მაგრამ შახტის უფროსს უბნის საქმეებში ჩარევის უფლება როგორ მიეცი. აი, ასეთია მეშახტის ცხოვრება.

სანგრევიდან დამაყრუებელი გრია-

ლი მოისმა, თითქოს მიწაც იძრა და ჩაბნელებული, ნესტიანი ჭერიც შუაზე გაიპო. საკონვეიერო შტრეკში კი, სადაც მეშახტეები შეყუჟულიყვნენ, ჭერიდან აქა-იქ ქანის პაწია ნატეხები ჩამოცვივდა და ფაჩუნით დაეცა მიწაზე. სადღაც ბიგმა გაიჭრიალა. სანგრევში რაღა იქნება?

ორიოდე წუთი არავინ განძრეულა. სუნთქვა-შეკრულნი გარინდებულიყვნენ. სარდიონიც გაქვავებულიყო. ყველაფერი, ყველაფერი ამ წუთებში წყდებოდა. საკონვეიერო შტრეკში ტრუსის სუნმა შემოაღწია და თანდათან მთელი ჰაერი გაჟღინთა. მერე უეცრად სანგრევიდან ხმამაღალი ყვირილი შემოესმათ.

— რაო?! — მეშახტეებმა ერთმანეთს შეშფოთებით გადახედეს.

— მოიცა!.. გამაგონე!...

სანგრევიდან ისევ ხმამაღალი ყვირილი მოისმა. ვერც სიტყვებს გაარჩევდით, და ვერც იმას, ის ყვირილი სიხარულისა იყო, თუ ავისმომასწავებელი.

— ჰიჭიკოა! — ჩუმი ხმით გადმოაგდო ვიღაცამ.

— ნამდვილად!

უეცრად ყველანი ზეწამოიჭრნენ და სანგრევის შესასვლელისაკენ გაქანდნენ. მაგრამ სანამ სანგრევში შეაღწევდნენ, წინ აქოშინებული, სახეგამურული, მაგრამ მხიარულად მომღიმარი ამფეთქებელი შემოხვდათ. ნათურის ქნევით მორბოდა და სულს ძლივს-ღა ითქვამდა. მეშახტეები შეჩერდნენ, ამფეთქებელს კისერწაწვდილნი, სულწასულნი მოლოდინით შეაჩერდნენ.

— სად, ხართ, თქვე დალუპულებო, ყვირილით კინაღამ გავსკდი. ამისთანა მოსარკული ჭერი ჯერ არც კი მინახავს. კიდევაც რომ მოინდომო, ძვრას ვერ უზამ. აბა! მიდით ახლა და ხვალ დილას ხუთას ტონა ნახშირს მისხალი არ დააკლდეს, თორემ ცოცხალი ვეღარავინ გადამირჩება.

სარდიონმა მუხლებში სისუსტე იგრძნო. ისევ კონვეიერზე დაეშვა და თავი ხელებში ჩარგო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

მას აქეთ, რაც ცოლი შეირთო, დაოჯახდა და ნაცნობ-მეგობრების თვალში პატივისცემა მოემატა, იორამ ნოსელიძემ საბოლოოდ გადაწყვიტა, მეშახტის პროფესიისათვის აღარ ეღალატნა და ბოლომდე ამ გზაზე ევლო, ამით იგი მოიხდიდა ვალს თავისი ამხანაგების წინაშე, რომლებიც მისდამი ასეთ ყურადღებას და მზრუნველობას იჩენდნენ. ეს ერთი. მეორე კი ის, რომ ამ ძნელი და ხიფათიანი პროფესიის კაცს შეეძლო თვალი ყველასთვის თამამად გაესწორებინა და, თუ საჭირო გახდებოდა, ეგრძნობინებინა, ცხოვრება თავიდანვე უკუღმართად მომექცა და დამაობლა, მაგრამ არ გავტყდი, გავუძელი და ჩემი ადგილი ამ წუთისოფელში ალალი შრომით და ვაჟკაცობით მოვიპოვეო.

ახლა იორამი ჯერჯერობით მებიგის პროფესიას ეუფლებოდა. ეუფლებოდა კი არა, კიდეც დაეუფლა. რაც თავისი საქორწინო მოგზაურობიდან დაბრუნდა, სერიოზული საქმე უკვე არაერთხელ ანდეს, ნახელავი შეუმოწმეს და დარწმუნდნენ, მართლაც სანდო მებიგე ყოფილაო. ეს ჯერჯერობით. მერე კი — ყველაფერი წინ იყო. მერე იორამს შეეძლო ხელი რაიმე უფრო რთული პროფესიისათვის გამოეკრა და საშუალო სამთო განათლებაც მიეღო.

მას ხასიათიც შესამჩნევად გამოეცვალა. იამზეს გავლენით იყო, თუ რაიმე სხვა მიზეზებით, მაგრამ უფროსებთან თავშეუკავებელ, დაურიდალ აჯაჯღანებას უკლო, ამხანაგებსაც შეუდარებლად უფრო რბილად და გულისხმიერად ექცეოდა. ერთი-ორჯერ კიდეც გააგონეს, თუ ასე გააგრძელე, ნამდვილად სანაქებო მეოჯახე და ამხანაგების საყვარელი კაცი დადგებიო.

მაგრამ ერთ უბედურებას მაინც არაფერი ეშველა: ბიჭი მაინც უსაზღვროდ, პირდაპირ ავადმყოფურად თავ-

მოყვარე იყო. სრულიად შემთხვევით, უნებლიე წყენასაც კი არავის აპატიებდა. ძალიანაც რომ მოენდომებინა, ეს მაინც არ შეეძლო. ხშირად ისეთ ადამიანს შეებმებოდა, რომელსაც მასთან გასაყოფი ნამდვილად არაფერი ჰქონდა. ამ თავის ნაკლს თვითონაც კარგად ჰხედავდა და ძალიან ცდილობდა, როგორმე ამ სენისაგან განკურნებულიყო, მაგრამ ვერასგზით ვერ ახერხებდა და ამის გამო ხშირად იტანჯებოდა.

წელან მთავარ შტრეკზე სარდიონ რაჭველიშვილი რომ თავზე წაადგა და, ცოტა არ იყოს, უხეშად მოექცა (უფრო ზუსტად კი მოურიდებლად აგრძნობინა, ნეტავი აქ რამ ჩამოგიყვანაო!), იორამმა კარგად დაინახა, რომ სარდიონი მართლა პირადად მას კი არ უჯავრდებოდა, არამედ სულ სხვა მიზეზით, უბნის აწეწილი საქმეებით იყო ნერვებმოშლილი. იორამის ადგილას სხვა სარდიონს ამას მაშინვე აპატიებდა. იორამი კი არ იქნა და თავს ველარ მოერია. სარდიონსა და მის მხლებლებს სანგრევში აღარ წაჰყვა. მთავარ შტრეკზე, დაბორიალებდა, გაწითლებული, და ოფლმოდენილი, სიმწრისაგან კბილებს აკრაჭუნებდა.

მაგრამ, სიმართლე რომ ითქვას, ახლა საქმე მარტო იმაში არ იყო, რომ სარდიონმა იორამს უნებლიედ შეურაცხყოფა მიაყენა. იორამს ისიც ტანჯავდა, რომ თვალნათლივ დაინახა, თუ რა უადგილო, პირდაპირ რომ ითქვას, სწორედ მეტიჩრული საქციელი გამოუვიდა. ამ შუაღამისას შახტში ნამდვილად არაფერი ესაქმებოდა. იგი არც ისეთი დიდი სპეციალისტი იყო, რომ უამისოდ ველარ გაეძლოთ. თავისი საქმე პირველ ცვლაში გააკეთა და სახლში, იამზესთან უნდა დარჩენილიყო. მესამე ცვლა კი თავის საქმეს უიორამოდ უფრო უკეთესადაც კი გაუძღვებოდა. ასეთ არეულ და ხიფათიან სანგრევში ყოველი ზედმეტი კაცი ძალიან ხელის შემშლელია. ასეთ გაჭირვებაში ყველა დაძაბული და გაფაციცებულია და შენ, ეს ზედმეტი კაცი, ფეხებში რატომ-ღა ებლანდები?

ახლა ყველაფერს ის აჯობებდა, რომ იორამი სახლში მიბრუნებულიყო და იამზესათვის ეთქვა, არ დავჭირდით და გამომიშვესო. მაგრამ იორამის წასვლის შემდეგ სანგრევში მართლა უბედურება რომ მოხდეს? მაშინ იამზე რაღას იფიქრებს? არა! იორამი საკონვეიერო შტრეკში შეძვრა და ქვედა სანგრევისაკენ წავიდა.

სანგრევში შესვლა მაინც ვერ გაბედა. ვინ იცის, იქ რა დღეში იყვნენ. შეიძლებოდა, სარდიონი მართლაც ძალიან განრისხებულიყო და ეს არამკითხე მოამბე სანგრევიდან კარგა ლაზათიანი „ლოცვა-კურთხევით“ გამოესტუმრებინა. აქ იორამი სანგრევის შესასვლელთან, ბიგების ძირას მიყუჩდა და სმენად იქცა.

მთელი ის ხანი, სანამ სარდიონი და სხვები სანგრევში თათბირობდნენ, ქვანახშირის ფენა ავაფეთქოთ თუ არაო, იორამი სულგანაბული იჯდა და ერთი სიტყვაც კი არ გამოჰპარვია, თუმცა-ღა შახტის ნესტიანი ჰაერი ხმებს ძალიან ახშობდა. მერე, როცა მაინც ფენის აფეთქება გადაწყდა და მეშახტეები საკონვეიერო შტრეკისაკენ წამოვიდნენ, იორამმა აქედანაც გაცლა ამჯობინა. სარდიონი სარდიონია, უფროსს მაინც უნდა მოუთმინო, მაგრამ ახლა იორამისთვის სხვა ვინმესაც რომ დაეტატანებინა, ამას კი ნამდვილად ველარ მოითმენდა. არადა, მთავარი ხიფათი ჯერ კიდევ წინ იყო და იორამთან საბოდიშოდ არავინ მოიცლიდა. იორამი ისევ მთავარ შტრეკზე გამოძვრა, აქაც რომ არავინ წამოწყდომოდა, იქვე მოსახვევთან დაყენებული ცარიელი ვაგონების უკან შეძვრა, ხუთიოდე ნაბიჯი გაიარა და ვაგონეტის სველ, ჭუჭყიან ბუფერზე ჩამოჯდა. აქ ვერავინ დაინახავდა.

დრო ნელა გადიოდა. სიბნელესა და ნესტში, სველ რკინაზე მჯდომი იორამი სიცივემ აიტანა და ერთი პირობა

მართლაც აფიქრებინა, ნეტავი, რამ ამატრუა, რომელი მაშველი რაზმის წევრი მე ვარ, აქ რომ ვძიგძიგებო. მაგრამ ეს უკუღმართი ფიქრი მაშინვე უკუაგდო. იქ, სანგრევში, აქედან ორმოცდაათიოდე ნაბიჯის მანძილზე მისი ამხანაგები, ახლობლები და გულშემატკივრები ხიფათისა და სიკვდილის პირისპირ არიან. ვის შეუძლია იორამს ახლა აქ ყოფნა აუკრძალოს? ამაზე მეტი სიცივეც აუტანია და სხვა უარესიც.

აფეთქების ხმამ სველ ბუფერზე მიყუჟულსა და სიცივისაგან აძიგძიგებულს მოუსწრო, გული აუბაგუნა. კარგად იცოდა, რომ მისი ამხანაგების ბედი აი, ახლა, ამ წუთში წყდებოდა. ნელ-ნელა წამოდგა. ადგილიდან დაძვრას კი მაინც ვერ ბედავდა. მერე ყვირილის შორეული ხმები მოესმა. ის ყვირილი საერთო ჟრიამულად იქცა. იორამმა იაზრა, საქმე კარგად უნდა იყოსო. აბორგებული გული მკერდში აღარ ეტეოდა და ყელში ებჯინებოდა. ვაგონეტების უკანიდან გამოძვრა, საკონვეიერო შტრეკთან მიირბინა და შტრეკის სიღრმეში ერთადერთი, ციცინათელასავით მოფარფატე მრგვალი შუქი დაინახა. ნათურის პატრონი აქეთ, მთავარი შტრეკისკენ მორბოდა. არა, სარდიონი არ უნდა ყოფილიყო, სარდიონი ასე გამალებული არ ირბენდა. ან, გინდაც სარდიონი იყოს, ნუთუ ახლაც, ამ გახარებულ გუნებაზეც დაუყვირებს და გაუჯავრდება. არა, ალბათ არა. მაგრამ სარდიონი არ უნდა იყოს. ნათურის მრგვალი შუქი კი სწრაფად ახლოვდებოდა. წუთიც და — იორამმა მირიან მელექედური იცნო. აქოშინებული, სიხარულისაგან თვალებგაბრწყინებული მირიანი მთავარ შტრეკზე გამოძვრა და იორამს წამით გაკვირვებული მზერა შეავლო.

— შენ მაინც აქა ხარ?!

— აბა, სად უნდა ვიყო!

მელექედურს კიდევ რაღაცის კითხვა უნდოდა, მაგრამ აღარ ეცალა. ნათურა მარცხენა ხელში გადაიტანა და მოსახვევთან ჩამწკრივებულ ვაგონეტებისაკენ გაიქცა. ერთი წუთის შემდეგ იქიდან გადასაბმელი რკინების რახუნი მოისმა.

— ჰეი! — დაიძახა იქიდან მელექედურმა.

— რა გინდა?

— მოდი, ვაგონეტები მიმაგორებინე. სადაცაა, ნახშირი წამოვა.

იორამს სიხარულისაგან თავბრუ დაესხა. გადარჩნენ, ბიჭებიც გადარჩნენ და სანგრევიც გადარჩა! ყოჩაღ, ბიჭებო, სარდიონ, თეიმურაზ, ყოჩაღ!

— არ გესმის?

— მოვდივარ.

ცარიელი ვაგონეტები ადვილი საგორებელია. სველ რელსებზე ბორბლები რბილად და უხმაუროდ მიგორავენ. საკონვეიერო შტრეკთან თორმეტიოდე ვაგონეტი მიაგორეს და პირველი მათგანი გამოშვერილ კონვეიერს დაუპირისპირეს. ახლა მელექედური აქ დადგება, კონვეიერით მოზვავებულ და ვაგონეტში ჩაცლილ ქვანახშირს ნიჩბით მოასწორებს, გავსებულ ვაგონეტს წინ გააგორებს და მომდევნო ცარიელს ისევ კონვეიერს შეუყენებს. ერთი და ორი, ერთი და ორი მერე ელმავალი მოვა და სავსე ვაგონეტების პარტიას დაითრევს და გააქანებს. მორჩა და გათავდა! ყველაფერი ისე წავა, თითქოს როდისმე არც ხიფათი ყოფილიყოს და არც საეჭვოდ დაბზარული სანგრევის ჭერი.

— გესმის? — ეტყობოდა, მელექედურმა რაღაც გადაწყვიტა.

— რა გინდა?

— აქ დარჩები, თუ სანგრევში შეხვალ?

სანგრევში შესვლა იორამს მაინც ეფიქრებოდა. ვინ იცის, სარდიონს გუნება გამოუსწორდა, თუ არა? მაგრამ იორამმაც რა ჰქნას? ხიფათს გადარჩენილი ბიჭები ტყუილად მაინც არ მოინახულოს? ჯერ თორმეტ საათზე მეტი არც იქნება, იორამი სახლში წა-

სვლას და გამოძინებას თავისუფლად მოასწრებს.

— სანგრევში შევალ.

— შენ იცი. — ალბათ მელექედურს ერჩია, იორამი თავის მაგივრად აქ დაეტოვებინა და თვითონ სანგრევში შებრუნებულიყო. ვაგონეტებთან დგომა დიდ ვაჟკაცობად არ ითვლება. დღეს კი ყველა ვაჟკაცობის გუნებაზე იყო. მაგრამ რაღას იზამდა? მელექედურმა ხელი ჩაიქნია, რაღაც რკინის ნაჭერი აიღო და სავენტილაციო მილს რამდენჯერმე დაჰკრა. ამით სანგრევში მყოფთ ნიშანი მისცა, მზადა ვარ, შეგიძლიათ, კონვეიერი ჩართოთ და ნახშირი გამოგზავნოთო. ისე — შეეძლო, ტელეფონითაც დაერეკა, მაგრამ ასე უფრო ნაღდია.

— ბიჭებთან ხომ არაფერს დამაბარებ? — იორამმა ნათურა მოიმარჯვა.

— რა უნდა დაგაბარო?! — მელექედურმა წარბები გაკვირვებით ასწია.

— აბა, შენ იცი! მე მალე გამოვბრუნდები.

იორამი საკონვეიეროში შეძვრა და სანგრევისაკენ წავიდა. არა, სარდიონი ნამდვილად აღარ გაუჯავრდება. მაგრამ თუ მაინც რამე აკადრა, მაშინ... იორამი ოჯახს იმიტომ კი არ მოჰკიდებია, რომ პატარა ბიჭივით წარამარა ჭკუა ასწავლონ.

საკონვეიერო შტრეკის ნახევარიც კი არ გაევლო, რომ ზევიდან, სანგრევიდან მხიარული შეძახილები მოესმა. თითქოს იმავე წამს მანამდე გაჩერებული კონვეიერიც დაიძრა. განიერი შავი ლენტი ჯერ ცარიელი მოდიოდა, მაგრამ ორიოდე წუთიც და — მასზე შავად და ვერცხლისფრად მბრწყინავი ქვანახშირის ლოდები გამოჩნდა. ლოდები რწევით უახლოვდებოდნენ იორამს, კიდეც გაცდნენ და კიდევ ერთი წუთის შემდეგ მთავარი შტრეკიდან დამაყრუებელი გრგვინვა, გრიალი და ლაწანი მოისმა. ქვანახშირის პირველი ლოდები ცარიელი ვაგონეტის ფსკერზე ცვიოდა.

ეს გრიალი და ლაწანი ყოველ მეშახტეს ბულბულის გალობას ურჩევნია.

სანგრევში ფეხი შედგა თუ არა, იორამმა სარდიონი დაინახა. შახტის უფროსს ნათურა ჭერისთვის მიეშვირა და იქვე მდგომ გერასიმე ცნობილაძეს რაღაცას ღიმილით ეუბნებოდა. მაგრამ ამ საერთო ჟრიამულსა, გრიალ-გუგუნსა და ლიწინ-ლიწინში რას გაიგონებდი! სარდიონმა ნათურა დაუშვა, გატრიალდა და სანგრევის ზედა ბოლოსკენ აუჩქარებელი ნაბიჯით წავიდა. გერასიმე უკან გაჰყვა.

ცოტა უფრო ზევით, სწორედ სანგრევის შუაგულში ამწმენდების ჯგუფი მუშაობდა, ნიჩბებს ხალისიანად იქნევდნენ და კონვეიერი თვალის დახამხამებაში პირთამდე ივსებოდა. ჰაერში ნახშირის მტვერი იდგა. ნახშირის მბრწყინავ ფენაზე ასაწმენდების ვეება ჩრდილები ფარფატებდნენ. იორამს გული გამალებით უძგერდა. ახლა აქედან წამსვლელი ვინაა, სულაც კეტი მირტყანო, მხიარულად გაიფიქრა და ამწმენდების შორიახლოს გაჩერდა.

— რას გვეტყვი, იორამ? — სახემხიარულმა, სახელოდაკაპიწებულმა, ოფლში გახვითქულმა ცხენოსანიძემ ნიჩაბი ძირს დადო, ქვანახშირის ვეება ლოდი ორივე ხელით აიღო, — იმ ლოდს ნიჩაბი ვერ მოერეოდა, — კონვეიერზე დააგდო, წელში გაიმართა, ღრმად ამოისუნთქა და იორამს თვალი მხიარულად ჩაუკრა.

— ეგ სარდიონმა თუ დაინახა, კარგებს იქით ეტყვის. — ახორხოცდნენ დანარჩენები.

— იცოცხლე!..

— სულ კუდით ქვას ასროლინებს.

— ის მარწყვივით ცოლი ასე მალე მოგბეზრდა, ბიჭო?!

— თუ თვითონ იმას მობეზრდი? რაღაც სახლიდან გამოგდებულსა ჰგავხარ.

სანგრევიდან სარდიონი ერეკება და სახლიდან საკუთარი ცოლი.

— რა ქნას ჭრელმა პეპელამ? ო-ხო-ხო-ხო-ხო!...

იორამი ხმაამოუღებლად, ღიმილით ისმენდა ამ შეძახილებს. იქვე მის გვერდით კი ჭრიჭინებდა, რუზრუზებდა, ბორგავდა და ქვევით მიირწეოდა ქვანახშირის მბრწყინავი ლოდებით პირთამდე გავსებული კონვეიერი.

— ხელი მაინც წამოგვიკარი, ბიჭო! ეგერ ნიჩაბი.

— აჰ, ნიჩაბს ეგ ხელში როგორ-ღა აიღებს! იორამი ახლა მებიგე ბრძანდება.

— სწორია! კაცი ცხოვრებაში მუდამ წინ უნდა მიდიოდე.

— ყოჩაღ, ყოჩაღ, იორამ!

ზევიდან, სანგრევის მეორე ბოლოდან ამწმენდებისაკენ ნათურის მრგვალი შუქი იძროდა. ერთი წუთის შემდეგ სიბნელეს სახეგამურული თეიმურაზ არჯევანიძე გამოეყო. უბნის უფროსმა იორამს თვალი შეავლო და გაუღიმა.

— მე ხომ ვამბობდი! — და ცერა თითი აჩვენა.

იორამმა პასუხად ღიმილი შეაგება. შეხმიანებით კი იორამის მაგიერ თეიმურაზს ამწმენდები შეეხმიანენ, ოღონდ ნიჩბები ერთი წუთითაც არ გაუჩერებიათ.

— აბა, ჰე, ბიჭებო, აბა, ჰე!

თეიმურაზი დაიხარა, ქვანახშირის ვებერთელა ლოდს დაეჯაჯგურა, კონვეიერთან ძლივს მიაჩოჩა და ზედ გაღააგორა. ამწმენდები ხალისიანი ღიმილით მისჩერებოდნენ. ლოდი საკონვეიერო შტრეკისკენ დაიძრა.

— ამას ჩვენ მალე მოვრჩებით, — ცხენოსანიძემ თეიმურაზს კითხვით შემხედა, აქაოდა, ამის მერე რაღა უნდა ვაკეთოთო?

— ვიცი. — თეიმურაზმა სახიდან ოფლი გამურული ხელით მოიწმინდა. — მებიგეები სანგრევის შუაგულში სათადარიგო ბიგებს დგამენ. ყოველ შემთხვევისათვის ვფრთხილობთ. მერე ისევ ავაფეთქებთ. ზევით ახლაც შეიძლებოდა, მაგრამ სანგრევის ხაზის გამრუდება არ გვინდა.



— სარდიონი რაღას ამბობს?

— აი, რაც ახლა გითხარით, სარდიონის ბრძანებაა.

სარდიონისაა, თუ თქვენია, სწორედ ჭკვიანური კია. გეყურება, კვირიკე?

არჯევანიძემ იორამს გვერდი აუარა, მხარზე მეგობრულად ხელი დაჰკრა და ქვევით, საკონვეიერო შტრეკისაკენ დაეშვა.

ნეტავი, ამ წუთში ვინმე ღვთისნიერი გამოჩენილიყო და იორამისთვის ეღჩია, ყველაფერს ის აჯობებს, თუ ახლა სახლში მიბრუნდები, კარგად გამოიძინებ და ხვალ დილით სამუშაოზე დასვენებული გამოხვალ, ხომ ჰხედავ, აქ ახლა ყველაფერი კარგად მიდის და შენი დახმარება აღარავის სჭირდებაო. იქნებ, იორამს იმ ღვთისნიერი კაცისთვის მართლაც დიეჯერებინა. მაგრამ არავინ გამოჩნდა. იორამი კი სანგრევში გამეფებული ხალისიანი, ძლევამოსილი შრომის რიტმმა მოიტაცა და ჩაითრია. ბიჭი საკუთარ კანში ვეღარ ეტეოდა და რაღაც უჩვეულოს, გმირულის, რაღაც გაუგონარის გაკეთება ეწადა. სხვა რომ ვერაფერი მოისაზრა, ხოლო სარდიონთან მისვლა კი მაინც ვერ გაბედა, ისევ არჯევანიძეს დაედევნა და ჰკითხა, სად მიდიხარო.

თეიმურაზი სანგრევის ქვედა ბოლოსკენ მიდიოდა, ქვანახშირის ფენაში სახვალიოდ საყელავი მანქანისათვის წალო უნდა გამოეჭრათ და გაემაგრებინათ. უბნის უფროსი ახლა საამისო ადგილს შეათვალიერებდა და მერე მებიგეებს გამოგზავნიდა. ჩვეულებრივ ეს მეტად უბრალო საქმედ ითვლება, არა, სიფრთხილის დაცვა, რა თქმა უნდა, აქაც საჭიროა — შეიძლება, წალოს გამოჭრისას ჭერიდან ფუჭი ქანების ლოდები ჩამოცვივდეს და ქვეშ მოგიყოლიოს. მაგრამ ეს ისე იშვიათად ხდება, რომ უკანასკნელი ასეთი შემთხვევა უბანზე აღარც კი ახსოვდათ, როდის იყო. ასე რომ, კარგი გამოცდილი მებიგე წალოს ორიოდე საათში გამოსჭრის და ჭერსაც საიმე-

დოდ გაამაგრებს. დამხმარედ კი ხულ ერთი კაცი თუ დასჭირდება.

— ესე იგი, საყელავ მანქანას ამ ცვლაშივე ჩამოაბრუნებთ? — გახარებით ჰკითხა იორამმა.

ეს დიდი ამბავი იყო. ხვალ დილით პირველი ცვლა საქმეს დაუბრკოლებლივ შეუდგებოდა. მეორე ცვლაში კი გამომუშავებულ სივრცეს ჩამოაქცევდნენ და, ამრიგად, უბანს ერთი საათიც კი არ დაეკარგებოდა.

— უსიკვდილოდ! — ღიმილით მიუგო თეიმურაზმა იორამს. — ხვალ თუ თქვენმა ცვლამ მთელი ციკლი დაასრულა, მეტი აღარაფერი გვინდა.

— აი, ეს კი მესმის! — სიხარულისაგან აბორგებულმა იორამმა თეიმურაზი კინაღამ გადაჰკოცნა. მართლაც გაუგონარი ხდებოდა. ასეთ სახიფათო ადგილს გადააწყდნენ და ციკლიურობას მაინც ინარჩუნებდნენ. — თეიმურაზ, თუ ჩემი ძმა ხარ, — იორამმა უბნის უფროსს ყელი ხვეწნით გამოუწია, — თუ ჩემი პატარა სიყვარული მაინც გაქვს, ხახლში ხომ მაინც ვეღარ წავალ და მაგ წალოს მე გამოვჭრი. სხვა რატომ უნდა მოაცდინო? თუ ჩემი საყვარელი ძმა ხარ, ახლა ამაზე უარი არ მითხრა. მთლად უპატრონო საქონელივით დავბორიალობ ამ სანგრევში. გამოვჭრი, და ამასობაში კიდეც გათენდება. არც ტანისამოსის გამოცვლა დამჭირდება და არც შხაპის მიღება.

— ნეტავი, რას ლაპარაკობ? — თეიმურაზის ხმაში წრფელი გაკვირვება მოისმა. — იორამ, კაცო, რომ მოხვედი და დაგვხედე, ამისათვის დიდად გმადლობ, მეშახტე, მე მგონია, მართლაც ასე უნდა იქცეოდეს. მაგრამ... წალოს გამომჭრელების მეტი რა გვყავს? შენ კი წადი, დაისვენე.

— მე სულაც არ დავღლილვარ. ან ეგ ისეთი რა საქმეა. წალოს ნახევარ საათში გამოვჭრი და მერე წავალ. ხიფათი მანდ არ მომელის და არაფერი. დასვენებასაც მოვასწრებ. სახლშიც ახლავე დავრეკავ. ეგერ, ტელეფონი. თეიმურაზ, მეცი ეს პატივი, ნუ გამაწბილებ.

— ხიფათი არ მელისო, მაგას როგორ ამბობ, ადამიანო?!

— არა, მესმის, კი მელის... მაგრამ გავფრთხილდები. თეიმურაზ, თუ ჩემი ძმა ხარ...

— არა, იორამ! არა და არა! ახლა მცირე ხათრი შენც გამიწიე, სახლში წადი და გამოიძინე.

— თეიმურაზ!

— ტყუილად მთხოვ!

თეიმურაზი სანგრევის ბოლოს ჩავიდა, წალოს გამოსაჭრელად ადგილი შეათვალიერა, ჭერიც კარგად გასინჯა და რა დარწმუნდა, ყველაფერი წესრიგშიაო, ისევ ზევით ამობრუნდა. წალოს გამოსაჭრელად და ჭერის გასამაგრებლად შუახნის, სიტყვაძვირი, მეტად მკლავღონიერი მებიგე ფარნაოზ გოგისვანიძე და კიდევ ერთი ოციოდე წლის ბიჭი გამოგზავნა, თვითონ კი სარდიონთან და გერასიმესთან ერთად მეორე აფეთქების თადარიგს შეუდგა.

მეორე აფეთქებამაც მშვიდობიანად ჩაიარა. ახლა საშიში მართლაც აღარაფერი იყო. გახარებული ამწმენდები ერთი ჟრიამულით მიესივნენ კონვეიერის გასწვრივ უხვად დახვავებულ ქვანახშირის ლოდებს. ისევ აბორგდა, დაიძრა და არუზრუზდა პირთამდე გავსებული კონვეიერი. არჯევანიძე ერთხანს თვალყურს ადევნებდა ამწმენდებს. მერე დაღლილობისაგან სახეგაფითრებულ სარდიონთან მივიდა და ღიმილით უთხრა, მე მგონი, შეგიძლიათ, სახლში წაბრძანდეთო.

— მეც ეგრე ვფიქრობ, ჩემო თეიმურაზ!

— დღეს არ შევცდი, მაგრამ შეიძლება ხვალ შევცდე. თქვენ იქნებ, ხვალ უფრო დამჭირდეთ, ბატონო სარდიონ.

— ეგეც მართალია. უშეცდომო არავინ არის... ახლა რომელი საათია? საჩს აღარაფერი უკლია. აბა, მართლა წავალ, თორემ დილით ადგომა გამიჭირდება. გერასიმეც გამოუშვი, ახლა

საშიში მართლაც არაფერია. ხვალ დილით კი — ვნახოთ.

სარდიონმა თეიმურაზს მხარზე ხელი მოუთათუნა და მძიმე ნაბიჯებით დაეშვა საკონვეიერო შტრეკისაკენ.

ხუთიოდე წუთის შემდეგ იქიდან სავენტილაციო მილზე რკინის გამალებული რახუნი მოისმა. ვიღაცა რაღაცის სიგნალს იძლეოდა.

— რა ამბავი უნდა იყოს?!

ამწმენდებმა საკონვეიერო გამორთეს. სანგრევში ჩამოვარდნილ ყრუ სიჩუმეში ქვევიდან სარდიონის ხაფი შეძახილი მოისმა:

— არჯევანიძე! ახლავე ჩემსკენ, არჯევანიძე!

სანგრევის ბოლოში მივარდნილ თეიმურაზს თვალწინ შემზარავი სურათი გადაეშალა: სწორედ იმ ადგილას, სადაც მისი ბრძანებისამებრ წალო უნდა გამოეჭრათ, ქვანახშირში ჩარეული ფუჭი ქანების ვეებერთელა გროვა დაზვინულიყო. ამ გროვის ქვეშიდან ვიღაცის ჩექმები, ხოლო ცოტა უფრო იქით, — გაქვავებული მარჯვენა ხელი მოჩანდა; საიდანღაც გულისხეთქებით მივარდნილმა გოგისვანიძემ, — სწორედ იმ მებიგემ, თეიმურაზმა წალოს გამოსაჭრელად რომ გამოგზავნა, რამდენიმე ლოდი სწრაფად გადმოჰყარა აქეთ-იქით. მოგროვილებმა გროვის ქვეშ გულაღმა გართხმული იორამ ნოსელიძე დაინახეს, შუბლი, სახე და კბილები სისხლით ჰქონდა მოსვრილი. ღიად დარჩენილი თვალები ჰერს მისჩერებოდნენ. გოგისვანიძე სწრაფად დაიხარა და იორამს მკერდზე ყური დაადო. მერე წელში მძიმედ გაიმართა და ხელი უიმედოდ ჩაიქნია.

## თავი XII

იორამ ნოსელიძის დაღუპვის ამბავი მეხივით გავარდა მთელს ქალაქში. ეს ჯაჯღანა და უდარდელი, მაგრამ პატიოსანი, გულკეთილი და მშრომელი ახალგაზრდა ისე მოულოდნელად და უაზროდ დაიღუპა, რომ ბევრმა ეს ამბავი არც კი დაიჯერა და ვიღაც რეგვენის უხეირო ხუმრობად ჩათვალა. მაგრამ სიმართლეს სად წაუხვალ? ჯერ მზე არც კი ამოსულიყო, რომ აკივლებულმა, თმაგაწეწილმა და სახედაპოტნილმა იამზემ მთელი ქალაქი ფეხზე გადაიბინა, საავადმყოფოს ეზოში შეიჭრა და პროზექტურის შიგნიდან ჩაკეტილ კარებს მუშტები გააფთრებით დაუშინა. სიმწრისგან გონებადაკარგულ ქალს რამდენიმე ლომივით ვაჟკაცი ძლივს აკავებდა. პროზექტურაში ხომ არ შეუშვებდნენ! იმ ძიძგილაობაში მკლავები და მაჯები ერთიანად დაულურჯეს. ან ვინ იფიქრებდა, თუ ამ ტანმორჩილ სუსტ გოგონას ამდენი ძალ-ღონე აღმოაჩნდებოდა. როგორც იქნა, მთავარი ექიმის კაბინეტში შეიყვანეს. შეიყვანეს კი არა, შეიტანეს, აქ გული შეუღონდა. აბა, ეს ქაფურით, ეს ცივი წყლით საფეთქლების დაზელვით... როგორც იქნა, ისევ გაახილა უგონო თვალები. მაგრამ თეთრხალათიანი ექიმების დანახვაზე შეკრთა, თითქოს არაფერი ახსოვდა და ახლა ისევ გაახსენდაო, ზეწამოიჭრა და კივილით გაჰქანდა კარებისაკენ:

— იორამ, დამენახვე! იორამ, მითხარი, ეს ტყუილიაო.

იორამი გაუნძრევლად იდო სარეზექციო მაგიდაზე.

თორმეტ საათზე გვამი სახლში გადაასვენეს. მთავარი ექიმი დიდხანს ხვნეშით ავსებდა რაღაც ანკეტებს, მაგრამ ეს ქაღალდები ახლა ვის რაღაში ჰჭირდებოდა?

სამთო ზედამხედველი დამიანე ჰქონია შახტში დილის ოთხ საათზე ჩაე-

შვა, ოვარიიდან ერთი საათიც კი არ იქნებოდა გასული. სანგრევში ბარე სამი საათი დაჰყო და ვეებერთელა აქტი შეადგინა. ჰყვებოდნენ, შახტიდან რომ ამოვიდა და მანქანაში ჯდებოდა, თვალებს ისე აბრიალებდა და თავს ისეთი ქედიდლით იქნევდა, რომ ნამდვილად ვაი იმის, ვინც ახლა მაგას ხელში ჩაუვარდებაო.

იორამის დაღუპვის ამბის გაგონებაზე რაიკომის მდივანი ლონგინოზ ფეიქრიშვილი ისე გაცეცხლდა, რომ კაბინეტში ადგილს ვეღარ პოულობდა. ამ ბიჭის მთელი ცხოვრება მან კარგად იცოდა. შახტის პარტორგანიზაციის მდივანი ტერენტი ჩავუნავა გამოიძახა და ფიცხელი განკარგულება მისცა. დამიანე ჰყონია თავისას გააკეთებს, შენ კი შენის მხრივ ახლავე კომისია შეჰქმენი და ზეგ დაწვრილებით ყველაფერი მომახსენე, ეგ ბიჭი კი ისე გაასვენეთ, რომ ამ ქალაქს ასეთი არაფერი მოსწრებოდესო.

ერთი სიტყვით, მთელი ქალაქი იყო და ეს ამბავი. აჭაურებს, განსაკუთრებით ხანდაზმულებს ხომ ვერაფერი გააკვირვებთ, მაგრამ ასეთი ახალგაზრდა კაცის ასეთი უაზრო და გულსაკლავი დაღუპვა აქაც კი არავის მოსწრებია. ზოგი იმასაც კი ამბობდა, არ გვინდა, ბატონო, არც ასეთი ქვანახშირი და არც ასეთი გეგმების შესრულება, ოღონდ ასეთი ცოდვის ტრიალს ნუღარ შეგვასწრებთო. ზოგი უარესსაც კი ამბობდა, მაგრამ ყველას ყურის გდება ვის რაში არგია...

სარდიონ რაჭველიშვილი ამ რამდენიმე საათში ისე მოტყდა და დაბერდა, რომ ვეღარც კი იცნობდით. შახტიდან ამოსული კახაბერ გურასაშვილთან შეჩერდა, ენის ბორძიკით უთხრა, აი ძმაო, აგერ შენ და აგერ ეს შახტი, მე კი არაფერი მკითხო და აღარაფერი გამახსენოო. გამოვიდა და სახლისაკენ ბრუნდა ნაბიჯით წაბარბაცდა. მანქანა აღარც კი გახსენებია.

იორამის ჭირისუფლობა ისევ მარგალიტა ხეცურიანმა იკისრა. ამ პატივმოყვარე შინაბერამ სულ რამდენიმე ცრემლი თუ ჩამოაგდო, მერე კი, როცა დაინახა, რომ ნამდვილად გულმხურვალე დამტირებლები იორამს ძალიან ბევრი ჰყავდა, ის ნაძალადევი ცრემლები შეიშრო და გასვენების თადარიგში ჩაერია. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო — იორამის, მარგალიტას ნათესავი ბიჭის გასვენებით თვითონ რაიკომის მდივანი დაინტერესდა. ქვეყანამ იცის, იორამი შახტზე რომ მარგალიტამ მოაწყო — უნდოდა, ამ ბიჭისგან კაცი გამოსულიყო. და გამოვიდოდა კიდეც, — რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, იორამს ამხანაგებიცა და უფროსებიც სულ უფრო მეტად აფასებდნენ. ბიჭი ნამდვილად სწორ გზაზე იდგა. და ეს პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მარგალიტას დამსახურება იყო. ჰოდა, რაკი ახლა ეს უაზრო ამბავი მოხდა, იორამს უკანასკნელადაც ისევ მარგალიტამ უნდა უპატრონოს.

ნამდვილად კი გასვენების თადარიგს ისევ გერასიმე ცნობილაძე უძღვებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ბერიკაცს არც ამისი სურვილი ჰქონდა და არც საამისო ძალ-ღონე. იგი წელში მოხრილი, თავჩაქინდრული იჯდა უკანა ოთახში, დროგამოშვებით მძიმედ ოხრავდა, აცრემლებულ ერთადერთ თვალს იწმენდდა და ხელს ანჩხლად აუქნევდა ხოლმე ყველას, ვინც კი რამეს შეეკითხებოდა. მაგრამ ყველანი მაინც მასთან მიდიოდნენ და ყველაფერს მას ეკითხებოდნენ, — პანაშვიდები რომელი სათისათვის დაენიშნათ, გასვენების დღეს მიცვალებული შახტის კლუბში რომელ საათზე გადაესვენებინათ, გასვენების შემდეგ რესტორანში ჭირის სუფრა რამდენი კაცისათვის გაეშალათ (ამ სუფრის გაშლა, რა თქმა უნდა, ანთიმოზ ჩახუნაშვილმა ითავა), და სხვა ასეთები. ბერიკაცი ყველა ამ კითხვის პასუხს გულგრილი კილოთი იძლეოდა, ხვნეშოდა და თავს ისევ მძიმედ აქნევდა. მარგალიტა კი გერასიმეს სიტყვებს თავის ღირსეული დახრით ადასტურებდა და იქ-

ვე, კედელთან გულხელდაკრეფილი იჯგიმებოდა. მიცვალებულის თავთან ერთხელაც არ დამჯდარა, აქაოდა, გერასიმემ რაიმე განკარგულება უჩემოდ არ გასცესო, ყველაფერი მე უნდა შევამოწმოო.

სამმა დღემ თვალის დახამხამებაში გაირბინა. დადგა იორამთან გამოთხოვების უკანასკნელი წუთებიც. ტერენტი ჩაგუნავამ კლუბიდან გამოსვენების წინ კი მოახერხა გამოსათხოვარი სიტყვის თქმა, თუმცა ცრემლები ახრჩობდა, საფლავზე კი გადაჭრილი უარი განაცხადა, აღარც კი მთხოვოთ. სულ ერთია, არ შემიძლიაო. საფლავზე სიტყვის თქმა ვერც სხვა ვინმემ შესძლო, ყველანი როგორღაც გაოგნებულნი იდგნენ და გვიანი შემოდგომის ცივი, უძილო მზის სხივებით გაშუქებული მეგობრის სახეს ხმაჩავარდნილნი დასჩერებოდნენ. მერე ქალებმა აქეთ-იქით უაზროდ მაცქირალი, ხმაღაკარგული იამზე საფლავს მოაშორეს. მირიან მელექედური ჩაცუცქდა, მიცვალებულს ხელზე საათი შეხსნა, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, — ცრემლები კი ღვარად ჩამოსდიოდა წვერგაუპარსავ სახეზე, — და რაკი საათის გამომრთმევი ვერავინ დაინახა, ისევ ჯიბეში ჩაიდო. მესაფლავეებმა კუბო ერთი ხმაურითა და წვალებით დახურეს და საფლავში ჩაუშვეს.

* * *

ჭირის სუფრაზე თამადად ტერენტი ჩაგუნავა იყო. ამას იორამი უდიდამ გამორჩეულად უყვარდა. თავს მოერია, ცრემლი შეიკავა, იორამზე ძალიან დიდხანს ილაპარაკა და ბოლოს ასე დაამთავრა:

— ის, რაც ჩვენ ამ ბოლო დღეებში გადვიტანეთ, მხოლოდ ჩვენი, მეშახტეების ხვედრია, სხვა პროფესიის ხალხს ამისთანა არაფერი დაემართება. ყოველდღიურ სამუშაოზე წასული კაცი სახლში რომ აღარ მობრუნდეს — ამისთანა რამე მხოლოდ ჩვენ, მეშახტეებს გვემართება. ჯერჯერობით ასეა. მალე, ალბათ, ეს ყველაფერი შეიცვლება. ეს მეც ვიცი და მჯერა და თქვენც იცით და გჯერათ; მალე ისეთი დრო დადგება, რომ ადამიანს მიწისქვეშეთში ჩასვლა, ალბათ, სულაც აღარ დასჭირდება, ქვანახშირსაც ისე ამოიღებს და ბევრ სხვა რამესაც. ჩვენ ამ დროს ნამდვილად მოვესწრებით. მანამდე კი, მოდით, წმინდათ შევინახოთ ჩვენი იორამის ხსოვნა, მის დაობლებულ ოჯახს ყურადღებას ნუ მოვაკლებთ და იამზეს მარტოობას ნუ ვაგრძნობინებთ. ჩვენი იორამის, ჩვენი მართლაც კარგი და საყვარელი იორამის ხსოვნა იყოს!

— ხსოვნა იყოს! — ჩაილაპარაკეს მეშახტეებმა და ჭიქები ბოლომდე დასცალეს.

## თავი XIII

იორამ ნოსელიძის დაღუპვის ამბავი ჯიბრაილ ხელთუფლიშვილმა სამუშაოზე გაიგო. იმ ღამეს სწორედ მესამე ცვლაში მუშაობდა — კაიმამიშვილმა ერთი მიყრუებული, კარგა ხნის წინათ მიტოვებული სავენტილაციო გვირაბის გამაგრება სთხოვა. ჯიბრაილი მშვიდად, აუჩქარებლად მუშაობდა, თანაშემწეს, ოციოდე წლის, ბატკანივით მორჩილ და მორიდებულ გიგილო გოგისვანიძეს თითქმის არაფერს ავალებდა, და საქმის გათავებას დილის რვა-ცხრა საათისათვის ვარაუდობდა.

მანამდე მზიდავებს ჯიბრაილისათვის კიდევ ორი-სამი პარტია ბიგები უნდა მიეზიდნათ. მეორე პარტიის მოტანა რატომღაც ძალიან დაუგვიანდათ. ჯიბრაილმა გოგისვანიძე სასმელი

წყლის მოსატანათ გაგზავნა, თვითონ კი გვირაბის კუთხეში, ბიგის გადანაჭერზე ჩამოჯდა და ამ ბოლო ხანებში შეძენილ ფიქრს მიეცა, — ნეტავი, ირინე ჩემთან შერიგებასა და დალაპარაკებას თუ აპირებსო. ცოლის ხმის გაგონება ჯიბრაილს პირდაპირ სანატრელი გაუხდა. წინათ, სანამ ამ შახტზე გადმოვიდოდა, ფიქრადაც კი არ მოსვლია, რომ ირინე მას გაშორდებოდა და გოგუტუნას მამას დაუკარგავდა. ახლა კი, როცა ისევ უბრალო მებიგის ხელობას დაუბრუნდა და უწინდელი მდგომარეობა, უფლებები და პატივისცემა თანდათან მოსაგონებელი გაუხდა, სადმე მიყრუებულ სანგრევში მარტო დარჩენილს მაინცდამაინც სწორედ ეს უკუღმართი ფიქრი შემოაწვებოდა ხოლმე. კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა უერთგულოს ირინემ ჯიბრაილს? ეს შენი ჯიბრაილი ერთი უსაწვლელი კაცია და მეტი არაფერი. ახალგაზრდობა თვალსა და ხელს შუა გაუქრა, სწავლის თავი აღარც კი აქვს და თავისი წუთისოფელი უბრალო მებიგეობაში უნდა დაალიოს. ირინე კი ნასწავლი, სამთო საქმის კარგი მცოდნე, თამამი და შეუპოვარი ქალია. ვინ იცის, ცხოვრებაში როგორ სიმაღლეებს მიაღწიოს! ერთ მშვენიერ დღეს ჩიტივით შეიფრთხიალებს და... მე შენ გეტყვი, კენტად დარჩება. ვინ იცის, ამ სამმართველოებსა და ტრესტებში ახლაც რამდენ ახალგაზრდა, განათლებულ, მომავლიან ინჟინერს უჭირავს თვალი მოხდენილ, მუდამ სანაქებოდ ჩაცმულ, თავაზიან და ხალისიან ყმაწვილ ქალზე! სად მებიგე კაცის ცოლობა, სულ ღამეების თევა, მუდმივი ნერვიულობა და ხიფათის მოლოდინი, და სად კრიალა, შავი „ვოლგით" თბილისის ქუჩებში სრიალი, მშვიდი და უზრუნველი ცხოვრება, სახელი და პატივისცემა?

რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, ჯიბრაილს სულ უფრო მეტად უჭირდა ამ მწარე, დამამცირებელი ფიქრების თავიდან მოშორება. ნუთუ ირინე ვერა გრძნობს, ჯიბრაილს როგორ აწამებენ ეს ფიქრები? ყველაფერი ყველაფერია, მაგრამ ერთი უბრალო ხმის გაცემა რაღა გახდა?

ხე-ტყის მზიდავებს თითქმის მთელი საათი დააგვიანდათ. ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდნენ და ჯიბრაილს რატომღაც ხმადაბლა, ძალიან ფრთხილად, რაღაც თანაგრძნობის კილოთი შეატყობინეს, შენს ყოფილ უბანზე ასეთი ამბავი მომხდარაო.

ის სიფრთხილე და თანაგრძნობის კილო უადგილოდ და ზედმეტი სულაც არ ყოფილა. ჯიბრაილს ეს ამბავი პირდაპირ მეხად დაეცა. ამ შემაზრზენ ამბავში, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავი დაადანაშაულა, — ყველაფერს მნიშვნელობა აქვს, მე რომ იმ უბნიდან გაბუტული ბიჭუკელასავით არ გამოვქცეულიყავი, იქნებ, ეს უბედურება არც კი დატრიალებულიყოო. მერე აღარც კი ახსოვდა, სამუშაო როგორ დაამთავრა და შახტიდან როგორ ამოვიდა. უკვე კარგად გათენებულიყო. შახტის ეზო ხალხით იყო სავსე. ყველანი იორამის დაღუპვაზე ლაპარაკობდნენ. ჯიბრაილს ამ ამბის გაგონებაც კი აღარ შეეძლო. სახლში წავიდა და თავის ოთახში ტახტზე ჩამოჯდა. იმ ოხერმა ბედისწერამ რაღა ის ბიჭი გაიმეტა? რა ჰქნას ახლა ჯიბრაილმა, ამ ვაიუშველებელს რა სალბუნი დადოს? ან იამზესა და ძველ ამხანაგებს რაღა პირით შეხედოს?

ირინე სახლში პირველ საათზე მოვარდა, — ალბათ, სამმართველოც აფორიაქებული იყო და მუშაობის თავი აღარავის ჰქონდა. ჯიბრაილის ოთახის კარი შეაღო, — რამდენი ხანი იყო, ეს აღარ უქნია, — ქმარს გაფართოებული, შიშით სავსე თვალებით შეხედა, სახეზე შეატყო, უკვე ყველაფერი იცისო, და კარი ისევ ფრთხილად გაიხურა. ათიოდე წუთის შემდეგ კარი ისევ შემოაღო და ჯიბრაილს რატომღაც ხმადაბლა უთხრა, მე გოგუტუნა მყავს მოსაყვანი, შენ კი იქ

წადით თუ რას ნიშნავდა ეს „იქ“, ამას განმარტება აღარ სჭირდებოდა.

ჯიბრაილს „იქ“ წასვლისა პირდაპირ ეშინოდა მაგრამ რა უნდა ექნა? ქალაქიდან ხომ ვერ გადაიკარგებოდა! ტანისამოსი გამოიცვალა, რაც ფული მოეძებნებოდა, ჯიბეში ჩაიდო და სახლიდან გავიდა. მიდიოდა და ფეხები უკან რჩებოდა.

ჯიბრაილი წინათგრძნობას არ მოუტყუებია.

იორამის ეზო და აივანი ხალხით იყო სავსე, წინა აივანზე გამომავალი ოთახიდან ვიღაც ქალის, — ან იამზეს, ან იორამის დედის გაბმული კვნესის ხმა გამოდიოდა. აივნის მეორე მხარეს ჯიბრაილმა თავისიანები — გერასიმე ცნობილაძე და სხვები დაინახა. იმავე წამს ჯიბრაილს თვალი გერასიმემაც ჰკიდა. მაშინვე ჭაღარა თავი რამდენჯერმე ზიზღით ჩაიქნია, თითქოს რაღაც ჩაიბურტყუნა, გატრიალდა და თავის ყოფილ უფროსს ზურგი შეაქცია.

ჯიბრაილს სახეზე ცეცხლი წაეკიდა. თუ გერასიმე, მუდამ მშვიდი და აუღელვებელი გერასიმე ასე მოექცა, სხვებისგან რაღას უნდა მოელოდეს?

ჯიბრაილი დანარჩენებმაც დაინახეს. ზურგი არ შეუქცევიათ, მაგრამ მზერა კი ყველამ აარიდა. ჯიბრაილთან დალაპარაკებაც კი აღარავის უნდოდა.

თურმე ადამიანს იმისი უფლებაც არ ჰქონია, რომ საწყენი იწყინოს, და უსამართლობას გაექცეს. ვითომ, ჯიბრაილი, რომ სხვა შახტზე არ გადასულიყო, ეს ამბავი აღარ მოხდებოდა? ვინ იცის... იქნებ, უარესიც მომხდარიყო. და ეს თქვენ, ძმებო, ჯიბრაილზე უკეთ იცით, მაგრამ თქვენს ნაღველსა და გულისტკივილს გამოსავალი სჭირდება, და აჰა, საბაბად ჯიბრაილი აირჩიეთ. რას იზამ!.. ასე იყოს... ჯიბრაილს არც ეს უკვირს. ამას იგი ელოდა კიდეც. ამაზე უარესიც ბევრი გადაუტანია და ამ ერთსაც გადაიტანს.

ჯიბრაილმა აივანზე ასვლა და მიცვალებულის ოთახში შესვლა ვეღარ გაჰბედა. იამზე ახლა ჭკუაზე აღარ იქნებოდა და ვინ იცის, ჯიბრაილისათვის რაები არ ეკადრებინა. თუ თავს ბევრი მეშახტეები ვეღარ იკავებდნენ, გამწარებულ ახალგაზრდა ქალს რაღა მოეთხოვებოდა? არა! ჯიბრაილმა მარჯვნივ გაუხვია და ღობესთან მიგროვილ სხვა უბნის მეშახტეებს შეუერთდა. ამათთვის მაინც არაფერი დაუშავებია...

ღობესთან რომ გაჩერდა, ნაცნობებს მიესალმა და ჭიშკრისკენ მიტრიალდა, მოულოდნელი რამ დაინახა: ჭიშკარში ის-ის იყო შემოსული ირინე შუა ეზოში გაჩერებულიყო. ალბათ, ყველაფერი დაინახა, მაგას რა გამოეპარება! სახე აწითლებოდა, თვალებს კი რისხვით აელვარებდა. ხან აივნისაკენ, გერასიმესა და მისი ამხანაგებისაკენ გაიხედავდა, ხან აქეთ — ჯიბრაილისაკენ. მერე ღრმად ამოისუნთქა, თავი ძლივს შესამჩნევად ჩაიქნია და კიბე აუჩქარებლად, ამაყი და უკარება გამომეტყველებით აიარა.

„ხეტავი, ის მაინც მაცოდინა, შენ რაღაზე მიჯავრდები?“ — მწარედ გაიფიქრა ჯიბრაილმა. ღობესთან ცოტა ხანს კიდევ იდგა. მერე იმ ნაცნობ მეშახტეებს უთხრა, თუ ფულის შეგროვება იყოს, ნუ გამომტოვებთო, და წამოვიდა.

გოგუტუნა ირინეს ინასარიძეებთან დაეტოვებინა. კარგად მოუფიქრებია, ჯიბრაილს ახლა ბავშვის თავიც კი აღარ ჰქონდა. ტახტზე ლოგინი გაიშალა და ეს-ღა ინატრა, ღმერთო, თუ მთელი სიცოცხლე ასე უნდა ვეწამო, ისე მაგრად დამაძინე, რომ აღარც გამომეღვიძოსო. საბანი თავზე წაიხურა და მთელი დღე-ღამის უძილოს მკვდარივით დაეძინა.

როცა გამოეღვიძა, შუადღე გადასული იქნებოდა. გარშემო, ყველგან, სახლშიც და გარეთაც სრული სიჩუმე გამეფებულიყო. ჯიბრაილი სიგარეტს მისწვდა. ის იყო, ასანთი უნდა გაეკრა, რომ ოთახიდან კართან რაღაცამ გაიშრიალა. თითქოს სუსტმა, ძალიან სუს-

ტმა ხითმაც წამოუბერაო. მიიხედა. გაღებულ კარებში თეთრი პერანგის ამარა ირინე იდგა. ჯიბრაილს სიგარეტი ხელიდან გაუვარდა. ირინე სწრაფად მივიდა, საბანი გადასწია, ქმარს გვერდით მიუწვა, მაგრად, მთელი სხეულით მიეკრო და მარცხენა ხელი მაგრად მოუჭირა.

## თავი XIV

ქარხნიდან საერთო საცხოვრებელში მიბრუნებულ თეიმურაზ არჯევანიძეს უსიამო ამბავი ელოდა. ოთახში შესულსა ხელ-პირის დაბანა და დასასვენებლად წამოწოლა ვერც კი მოასწრო, რომ დერეფნიდან რამდენიმე კაცის მძიმე, არეული ნაბიჯების ხმა მოესმა. თითქმის იმავე წუთს კარი გაიღო და ოთახში ულმერთოდ მთვრალი ჩაფიჩაძე შემობარბაცდა. მარჯვენა ხელში ღვინის დოქი ეჭირა, მარცხენაში — გაქონილ გაზეთში გახვეული რაღაც ხორცეული. მას ვიღაც გამხდარი, შავხალათიანი, საყელომოღეღილი ახალგაზრდა შემოჰყვა. ამ ბიჭს თეიმურაზი პირველად ჰხედავდა. უცნობს ხშირი, ერთმანეთთან შეერთებული წარბების ქვეშიდან გესლიანად უბრწყინავდნენ წვრილი შავი თვალები. ისიც ნასვამი უნდა ყოფილიყო. ხშირი შავი თმა შუბლზე ჩამოშლოდა და იმ გაბანჯგვლულ წარბებამდე წვდებოდა. უბრალო შარვალი და ძალიან დაბალყელიანი ჩექმები ეცვა. ალბათ, წვიმის ქვეშ დიდხანს ეარა: ერთიანად სველი იყო და სადაც კი ფეხს დაადგამდა, სველ, ტალახიან ნაკვალევს ტოვებდა.

ამათ მესამე ვიღაცაც ახლდათ — ისიც ახალგაზრდა, ოღონდ მაღალი, ზონზროხა, მუცელგამოგდებული. სველი პალტო კი არ ეცვა, რატომღაც ბეჭებზე მოეხურა. გამომეტყველება კი კეთილი ჰქონდა. ღია კარებში გაჩერდა, თეიმურაზს გულღია ღიმილით თავი დაუკრა და რატომღაც უხმოდ აგრძნობინა, მე მაგ ორის ჭკუისა არ გეგონო, მაგათთან შემთხვევით მოვხვდი და, ალბათ, მალე გაგეცლებითო. ისე, ცოტა ნასვამი ესეც უნდა ყოფილიყო. ერთხელ დაასლოკინა კიდეც და პირზე ხელი მხიარული ღიმილით აიფარა.

ჩაფიჩაძემ და ხშირწარბებიანმა ოთახი თვალის დახამხამებაში არივ-დარიეს. ჩაფიჩაძემ ტყაპუჭი გაიხადა და საწოლისაკენ ისროლა. ტყაპუჭი იატაკზე დაეცა. ის რაღაც ხორცეული ჯერ ტაბურეტზე დააგდო, მაგრამ რატომღაც გადაიფიქრა, შეტორტმანდა და ჭროღა, მოყვითალო თვალები თეიმურაზს უაზროდ გაუშტერა.

— ამხანაგო ინჟინერო... ნება გვიბოძეთ, თქვენი მაგიდა დავიკავოთ... თუმცა... მაგიდა მარტო თქვენი ხომ არც კი არის... ა?

თეიმურაზმა გაიფიქრა, ჩემს აქედან გაცლას ახლა არაფერი აჯობებსო. მაგრამ ეს გაქცევას დაემსგავსებოდა — ჩაფიჩაძე აშკარად ჩხუბს აპირებდა. თეიმურაზი ხმაამოუღებლად ადგა, მაგიდიდან თავისი ქუდი, უბის წიგნაკი, კონვერტების დასტა აიღო და კარადაში შეინახა. მერე ისევ თავის საწოლზე ჩამოჯდა.

ჩაფიჩაძემ ხორციც და ღვინის დოქიც მაგიდაზე დაალაგა. მერე ჩექმიანს მიუბრუნდა:

— ამხანაგმა ინჟინერმა... მაგიდა გაგვითავისუფლა... მეტი რაღა გნებავთ, ა?

ოთახი ღვინონასვამი, უსუფთაო, წვიმაში ნასიარულევი კაცების სუნით გაიტენა.

ხშირწარბებიანმა თეიმურაზს დამცინავი მზერა შეავლო, მაგიდას ხელე-

ბით დაეყრდნო და თავი ჩაჰკიდა. ერთ ხანს ასე თავჩაქინდრული იდგა.

თეიმურაზს კარგად ახსოვდა, რომ ქელეხზე რესტორანში ჩაფიჩაძეც იყო. სხვებზე ადრეც არ წამოსულა — თეიმურაზი მას ბოლომდე ხედავდა. მაშ, ასე გამოთრობა როდის-და მოასწრო? თუ თავს იმთვრალებდა? მაინცდამაინც მაგარი მთვრალი არც ის ხშირწარბებიანი უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, თეიმურაზს ასე მოეჩვენა. მაგრამ გუნებაში რაღა აქვთ?

ჩაფიჩაძემ საიდანღაც პურიც გააჩინა და მაგიდაზე დააგდო. ჭიქებიც მოიტანა. არა, ძალიან მთვრალი ნამდვილად არ იყო. მერე ხელები ფართოდ გაშალა და თეიმურაზს თავი უმდაბლესად დაუკრა:

— ახლა, ამხანაგო ინჟინერო, მობრძანდით! გეპატიჟებით! ჩემი საყვარელი ძმის იორამ ნოსელიძის სულის მოსახსენიებელ სუფრაზე გეპატიჟებით. მე, გერონტი ჩაფიჩაძე — შენ, ამხანაგ თეიმურაზ არჯევანიძეს. დიახ!

თეიმურაზს გერონტი ჩაფიჩაძე და იორამი ერთად არასოდეს უნახავს. მათ მეგობრობასა და ურთიერთ სიყვარულზე არც რამე გაუგონია.

აშკარა იყო, რომ ჩაფიჩაძე თეიმურაზთან ანგარიშის გასწორებას აპირებდა. დროც კარგად შეურჩია: იორამის დალუპვით ამ საერთო საცხოვრებელში ყველა დაზაფრული იყო და ახალგაზრდა ინჟინრის დასაცავად, შეიძლებოდა, ხელიც კი არავის გამოეღო. ორ, ან, იქნებ, სულაც სამ კაცთან გამკლავება კი მარტო თეიმურაზს გაუჭირდებოდა. ესე იგი, თეიმურაზ არჯევანიძე, ახალგაზრდა ინჟინერი და უბნის უფროსი ხვალ შახტზე ნაცემი და დალურჯებული უნდა წასულიყო?

ამის წარმოდგენაზე თეიმურაზს ტანში გააჟრჟოლა, მაგრამ მაინც შეეცადა არაფერი შეტყობოდა. მხოლოდ ეს იყო, რომ გულხელი დაიკრიფა.

ხშირწარბებიანი შეტორტმანდა და თეიმურაზს მუხლებქვეშიდან გამოჰხედა. არადა, ის შუბლი ერთი თითის დადებაც კი არ იქნებოდა.

„იქნებ, იარაღიც ჰქონდეთ“, — თეიმურაზს გული აუბაგუნდა.

— მობრძანდი! — ხშირწარბებიანი თეიმურაზს თავის მოკლე აქნევით მაგიდისაკენ ანიშნა და სავსე ჭიქა აიღო. — ოღონდ... მე თუ კაცი მოვკალი, იმის შესანდობარს აღარც შევსვამ. მე ასეთი ხასიათი მაქვს. სხვამ თავისი საქმე თვითონ იცის.

— აბა! — ბრძანების კილოთი ისროლა ჩაფიჩაძემ და თეიმურაზს სავსე ჭიქა გამოუწოდა. მაგრამ ჭიქის გამორთმევა აღარც კი აცალა, ისევ მაგიდაზე დადგა და ხშირწარბებიანს მიუბრუნდა. — არა, ჩემო პეპელა! არა! ამხანაგ ინჟინრებს ჩვენი იორამი სულაც არ მოუკლავს. იორამმა თავი თვითონ მოიკლა. აბა! ლუმინალი დალია და — გათავდა. ლუმინალი რომ არ დაელია, ჩვენი იორამი ახლაც ცოცხალი იქნებოდა. აბა!..

ჩაფიჩაძე, ალბათ, გონებამახვილობდა. ამ მოკლეჩექმებიანს კი პეპელა რქმევია!

— მართალს ამბობ! — პეპელამ ჭიქა ასწია და სინათლეზე გახედა. — გაანათლოს! სასუფეველი დაუმკვიდროს!

ჭიქა სულმოუთქმელად დასცალა.

ჭიქა ჩაფიჩაძემაც დასცალა. ოღონდ აღარაფერი უთქვამს.

— აბა, მე წავედი, ხალხო! — მოისმა კარებიდან იმ ზონზროხას ხმა.

— კეთილად! — პეპელამ ქუსლი ქუსლს მიარტყა და ხელი მხედრულად აუღო.

ზონროხამ მხრებზე პალტო გაისწორა და კარი გაიხურა.

„რა გეჩქარებოდა, ოჯახაშენებულო!“

სიჩუმე ჩამოვარდა. პეპელა დაცლილ ჭიქას ჩასჩერებოდა. ჩაფიჩაძე თავისი მოყვითალო, უგონო თვალებით ხან პეპელას შეხედავდა და ხანაც თეიმურაზს. თეიმურაზს ახლა იგი ისევ უზომოდ მთვრალი ეჩვენა.

— თქვენ სად დაამთავრეთ? — ჰკითხა მოულოდნელად პეპელამ თეიმურაზს.

— ბატონო?

— გეკითხები, ინსტიტუტი სად დაამთავრე-მეთქი. ეგ დიპლომი ვინ მოგცა?

— თბილისში.

— ჰმ!... თბილისში. გასაგებია. — პეპელამ თავი რამდენჯერმე, მრავალმნიშვნელოვნად ჩაიქნია.

— ოოხ! — ჩაფიჩაძემ ისე ამოიოხრა, რომ იფიქრებდით, გულიც თან ამოაყოლაო.

— ერთი მიბრძანეთ... — პეპელამ თეიმურაზს ახლა ისევ „თქვენობით“ მიმართა, — იმ ინსტიტუტში რომ მივიდე, დიპლომს მეც მომცემენ?

— ახლა რა გინდა, ამ კაცისმკვლელს ამაზე რომ უპასუხო?“

— ალბათ, არა, ხომ? — პეპელამ თეიმურაზს უტიფრად გაუღიმა.

— რა მოგახსენოთ.

— ჰა?

— რა მოგახსენოთ-მეთქი.

— ესე იგი, არა, ხომ? — პეპელამ თეიმურაზს მზერა გაუშტერა.

— დიპლომებს სხვები არიგებენ.

— ვინ სხვები?

— რა ვიცი... პროფესორები, რექტორები, დეკანები...

— ჰოდა, მე მომცემენ, თუ არა?

— არა! — თავისდამოულოდნელადაც კი მტკიცედ მიუგო თეიმურაზმა.

— არა?! — სახტად დარჩა პეპელა.

— არავითარ შემთხვევაში! — თეიმურაზი წამოდგა და კარადისაკენ წავიდა.

— სად მიდიხარ? — პეპელას დაბნეულობა შეეტყო.

— „არა, იარაღი არ უნდა ჰქონდეს“.

— იმ პიჯაკის ჯიბეში რა გაქვს?

— ცხვირსახოცი.

— ჰე!

თეიმურაზმა კარადიდან პიჯაკიც გამოიღო და მაგიდასთან მიბრუნდა. რა უბრალოდ, როგორ მოულოდნელად გაირკვა ყველაფერი! თეიმურაზს აღარც ამ სალახანასი ეშინოდა და აღარც ჩაფიჩაძისა.

— მაშ, ნამდვილად არ მომცემენ? — საქციელწამხდარმა პეპელამ ეს კითხვა მექანიკურად გაიმეორა.

— არც დაგელაპარაკებიან!

— ჰო... იორამის შესანდობარს არ დალევ?

— იორამის შესანდობარი დღეს უკვე დავლიე.

— ჰო... სწორია... — პეპელას სახემ უეცრად გულგრილი, მოწყენილი გამომეტყველება მიიღო. — იცი, რა გითხრა? მე შენთან საქმე არა მაქვს. შენ იცი და აი, ამ დეგენერატმა. აქ ვიღაც გოგოა ჩარეული. ჰოდა, თუ შეგიძლია, ამ ტიპს ნუ აწყენინებ. თუ არა და... მახლას, მე წავედი! ოღონდ ერთს კი გეტყვი: იცი, ჩემი რატომ არ შეგეშინდა? იმიტომ, რომ არ მიცნობ. რომ მიცნობდე, ნაღდად შეგეშინდებოდა, კაცი, იცი, რა არის? აი! — პეპელამ მაგიდიდან დანა აიღო და თეიმურაზს მისი წვერი დაანახვა — აი, კაცი სულ ეს არი. ჩემგან ეს იცოდე.

წამოდგა, ერთი ჭიქაც გადაჰკრა და კარებისაკენ წავიდა.

ჩაფიჩაძე გამოლენჩებული უჯდა მაგიდას და თვალებს უაზროდ აპარპალებდა. ახლა ისევ ფხიზელს ჰგავდა. „გავეცლები, — გაიფიქრა თეიმურაზმა, — წავალ, ცოტას ვიხეტიალებ, ამასობაში ალბათ დაიძინებს და მერე დავბრუნდები“.

გარეთ გამოსულ თეიმურაზს შემოდგომის ცივი ქარ-წვიმა შეეგება.

## თავი XV

ანზორ კუპატაძის მკვლელობის ამბავი ნათია ავალიშვილს კარგა ხანს არ გაუგია. ძნელი სათქმელია, ამისი მიზეზი რა იყო. ამ ბიჭს, თითქოს, მტრები არ უნდა ჰყოლოდა და პირველ ხანებში პროკურატურამ ეჭვიც კი ვე-

რავისზე მიიტანა. ბესარიონი და მისი ამფსონები გასვენების საქმეებში ისე თავგამოდებით მონაწილეობდნენ, მოკლულის მშობლებს იმდენი ფული შეუგროვეს და, საერთოდ, ისეთი დამწუხრებულნი და გულმოკლულნი ჩანდნენ, რომ მათზე ეჭვის შეტანას პირდაპირ დიდი შორსმჭვრეტელობა და გაბედულობაც კი უნდოდა. სასამართლო ექსპერტიზამ დაადასტურა, ბიჭი მზის წნულშიც მაგარი დარტყმით არის მოკლულიო. მაგრამ. ეს სრულიადაც არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ მოკლულის ყველა ამხანაგი მეორე დღესვე დაეპატიმრებინა.თ პროკურატურის გამომძიებელმა დაკითხვით ყველანი დაჰკითხა, — ბესარიონიც, მირზა ჭირაქაძეც, თაზო ბულესკირიაც და თენგიზ ჯაველიძეც, მაგრამ ხელჩასაჭიდი ჯერჯერობით ვერაფერი იპოვნა. ყველა დაკითხულმა ასე აჩვენა, იმ დღეს, კუპატაძე საღამომდე მართლაც ჩვენთან იყო, მაგრამ მერე უქეიფობა მოიმიზეზა და სახლში წასვლა მოინდომა, ჩვენც აღარ ჩავციებივართ, იმიტომ, რომ ხშირად უფულოდ იყო ხოლმე, ამას ძალიან განიცდიდა და ჩვენც მის თავმოყვარეობას ვუფრთხილდებოდითო.

— ერთმანეთს სად დაშორდით?

— სადღაც პლეხანოვის გამზირზე... მოიცათ... ჰო, კი, პლეხანოვზე, კინო „ოქტომბერთან“.

— თქვენი ამხანაგი, თენგიზ ჯაველიძე ამბობს, ერთმანეთს „დინამოს“ სტადიონთან დავცილდითო.

— ვერ გეტყვით. შეიძლება... არ მახსოვს... ყურადღება არ მიმიქცევია.

— მერე თქვენ სად იქეიფეთ?

— „ნად კუროი“-ში. შეგიძლიათ ოფიციანტები დაჰკითხოთ.

— გასაგებია.

გამომძიებელს ამ ბიჭების ნალაპარაკევი ერთი სიტყვაც კი არ დაუჯერებია. მაგრამ ჯერჯერობით მაინც იძულებული გახდა, ყველანი სახლში გაეშვა. ეს კი იყო, რომ ყოველ მათგანს ხელწერილი ჩამოართვა, თბილისიდან არსად წახვიდეთო.

ნათია ავალიშვილი გაზეთებში სამგლოვიარო განცხადებებს არ კითხულობდა. ბესარიონის კომპანიას კი საერთოდ ჩამოშორდა, ამიტომ კუპატაძის სიკვდილი გასვენებიდან ორი კვირის შემდეგ, ქუჩაში შემთხვევით შეხვედრილი თენგიზ ჯაველიძისაგან გაიგო. საშინლად განიცადა, — თვითონაც არ ეგონა, თუ ის უსიტყვო, დაჩაგრული ბიჭი ასე ძლიერ უყვარდა, — და ჯაველიძეს მწარედ უსაყვედურა, რატომ არ შემატყობინეთო. ჯაველიძემ რაღაცეები მიკიბ-მოკიბა, ეგ ამბავი ჩვენთვისაც ისეთი მეხი იყო, რომ სულ თავგზა დავკარგეთ, თვითონაც კი არ ვიცოდით, რა გვექნა და როგორ მოვქცეულიყავითო, თორემ მართლაც როგორ გამოგტოვებდით. ჯაველიძის ქცევა და ნალაპარაკევი ნათიას როგორღაც არ ეჭაშნიკა, მაგრამ იმას მაინც როგორ წარმოიდგენდა, რომ ანზორი ამ ბიჭების — მისივე ამხანაგების მოკლული იყო. ჯაველიძეს თხოვა, ორმოცი, ან რაიმე ამის მსგავსი თუ გადაუხადონ, უსათუოდ შემატყობინე, ამას აი, პირადად შენ გთხოვო, და დაემშვიდობა.

ამ დროისათვის კი ნათიას ცხოვრებაში დიდი ცვლილებები მწიფდებოდა.

ნომალი დიხამინჯია ტრიუმფით დაბრუნდა საზღვარგარეთულ ტურნედან. გაზეთები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ამ წარმოსადეგი, სანდომიანი, ლაღად მომღიმარე ვაჟკაცის ფოტოსურათების ბეჭდვაში. ბოლო არ უჩანდათ ინტერვიუებს, საუბრებს კორესპონდენტებთან შეხვედრებს. თანაც არც ერთი კორესპონდენტი არ ივიწყებდა იმის ხაზგასმით აღნიშვნას, რომ ნომალი დიხამინჯია სპორტს შესანიშნავად უთავსებდა სწავლას და წარმატებით აბარებდა საკანდიდატო მინიმუმით გათვალისწინებულ საგნებს თბილისის უნივერსიტეტში. ნომალი დიხამინჯიას საყვარული თბილისელ ქალიშვი-

ლებს პირდაპირ სახადივით მოედოთ. წყალბურთელი და მისი დედ-მამა ვეღარ აუდიოდნენ ტელეფონის რეკვას და ნაცნობი თუ უცნობი თაყვანისმცემლების მოგერიებას.

ნომალი დიხამინჯიამ კი მართლაც შესაშური თავშეკავება გამოიჩინა. გაუთავებელ ბანკეტებს და თაყვანისმცემლებში ტრიალს თავი გაარიდა, ნათია ავალიშვილს დაურეკა, პაემანი დაუნიშნა, ახალთახალი „ვოლგით“ მცხეთისკენ გაასეირნა და იქ, სვეტიცხოვლის მრავალსაუკუნოვან ჩრდილში ცოლობა თხოვა.

— ცოტათი... ხომ არ ჩქარობთ, ნომალი?

— პირიქით, დამაგვიანდა.

— საერთოდ? თუ—

— სხვა ცოლი მე არ მეყოლება.

— ოჰო!

— არ გჯერათ?

ნათიამ იყუჩა.

— მიპასუხეთ, ნათია.

— თანახმა ვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

. . .

ნომალი დიხამინჯიას მამა, პლატონი, დიდი ქარხნის მთავარი ინჟინერი — გულკეთილი, ენერგიული, პურმარილიანი, ამხანაგებისა და ნათესავების საყვარელი კაცი ნათიას დანახვაზე ცას ეწია სიხარულით, — ჩემს ბიჭს რომ ყოველთვის სასიკეთო პირი უჩანდა, ეს კი ვიცოდი, მაგრამ თუ ასეთ რძალს მომიყვანდა, ეს კი აღარ მეგონაო. პლატონმა ყურიც კი აღარ ათხოვა ცოლის პროვინციულ ლაპარაკს, რომელმაც ერთი-ორჯერ სთქვა: მარტო შეხედულებას ნუ ვენდობით, მოვიცადოთ, სარძლო უკეთესად გავიცნოთო, — და ქორწილი საახალწლოდ დანიშნა. ნათიამ და ნომალიმ ხელი დეკემბერში მოაწერეს და მოსკოვში გაემგზავრნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავთანდილ ხარაძიშვილი

## ბუხარი თოვლში

თოვლით დაბინდულ ბონდის ხიდზე
შურდულით ხელში
გადაირბინა უდარდელმა, ცელქმა ბავშვობამ,
თხისურებით და ხარისტყავის ხმელ ქალამნებით
გახარებულმა ჩემმა ბავშვობამ.
კვალში მოსდევდა ერთგული მურა, —
ჩემი კეთილი, მშიერი ძაღლი...
თეთრი სუდარით შესუდრული,
ღრმა ხეობაში ჩაიძირა ძველი ძირულა.
მუმიასავით ფერმიხდილი.
გადანაცრული,
მიფერფლილ სახით.
თვალს ვავლებდი მიბნედილ მთა-ბარს.
ხვეტავდა ქარი ჩქარ ნამქერს და
სადღაც ლალავდა.
დგას იანვარი და ხარხარებს ელამ თვალებით
თოვლს მოარღვევენ ორღობეში ბრგე ვაჟკაცები.
მარჯვედ მოქნილი,
გამრჯე მკლავებით
ბეჭზე გაკიდულ ნანადირევით,
უშიშარ გულის უდრეკი ნებით
თოვლს მოანგრევენ მონადირენი.
რიგრიგად, რიხით შემოდიან მშრალ დერეფნებში
და რკინასავით ამტან მუხლებზე იბერტყავენ თოვლიან ქუდებს.

ღიმილნარევი გაიღება ქვიტკირის კარი.
ყივის კერაზე ალეწილი ცეცხლის ფრინველი
და ამირანის გვიყვება ამბავს.
თვლემს სოხანეზე ნაკვერჩხლების ჩუმი აჩრდილი.
ხურდება სახლი ლეგენდებით, ბნელი მითებით
და ეკარგება მწარე ფიქრი ბუხარს ზეცაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიხვინებს თავლა გაუხედნავი, ფიცხი ცხენებით
და ყრუ კუთხეში გატრუნულა ბიძაჩემის
ერთგული თოფი.

## იმედის ნანდი

ყარ დასიცხული
მდინარის თვლემა,
გადმოქროლება
ფრთიან ჩანჩქერის,
წამოფრენილი
მერნების რემა
და საქართველოს
ფიქრის ნამქერი.

მზეს მიფენილი
მთების ნათელი,
ძირი ენგურის,
ძირი არაგვის,
ერის სიცოცხლის
ერთი ხათქმელი,
არა ზღაპარი,
არა არაკი,

შენი ალალი —
სისხლი და ხორცი —
წყალმა წაიღოს
სხვა დანარჩენი;
არა გოდების
და არა ლოცვის,
არამედ რწმენის
და გადარჩენის.
შენი აპრილის
პრიალა წვიმა,
ვით სახვალიო
გზათა მიგნება.
გადაიმეწყროს
ეს ცაც და მიწაც,
ქვეყნად თუ შენი
ხმა არ იქნება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაზ კანდელაკი

# მთვარის ძილი

გრძელი დუმილით
იწყება ღამე,
სადღაც ვარსკვლავებს ძალა აკლდებათ,
მთვარე იჩქარის
გადვიდეს მთაზე,
სადღაც შორს
          სულის დასავანებლად.
ადის მთაზე და იქ მკრთალ ელვაში
ნათლით დაეძებს თავის სამყოფელს,
ხევებს გაახვევს ნისლის პერანგში,
თითქოსო მთვარე ჩიბუხს აბოლებს...
წავა,
მთის წვერებს გაჰყვება შუქი,
რა გაამუქებს ვარსკვლავთა სანთლებს,
სადღაც ჩასვლის წინ
შედგება წუთით
და თრთოლვით უმზერს ქვეყნიურ ამბებს.
მიდის, არავის არ ელოდება,
ივიწყებს ყველას, დაცხრება, ჩასთვლემს,
სადღაც იქნება ვინმე ღონდება
და ბნელ ღამეში გზას ველარ აკვლევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია

# აივნიანი ქალაქი

რომანი

## კარი მეთვრამეტე

### 1. ფერისცვალება

ეჰ, ქალბატონო! კაცებს რომ ჭკუა ჰქონოდათ, განა შეეძლებოდით მათ ათასჯერ მოტყუებას და მის გაკეთებას, რაც ჩვენა გვსურს?

**მირზა ფათალი ახუნდოვი, „მუსიე ჟორდანი. ბოტანიკოსი. დერვიში მესთალი-შაჰი, სახელგანთქმული ჯადოქარი“**

გრიგოლ ზანდაროვმა კარგად იცოდა, რომ დიდვაჭრის სარბიელი არა მარტო ქარვასლა იყო, არამედ მდიდრული ნადიმიც, რომელზეც მხოლოდ სასარგებლო და გავლენიანი სტუმრები უნდა ყოფილიყვნენ მოწვეულნი და დაპატიჟებულნი.

მიუხედავად ფირუზას ბუზღუნისა, გრიგოლმა ფერშანგოვის სახლის მთავარ დარბაზში ხელოსნებს ვეებერთელა ჭაღი ჩამოაკიდებინა, ოთახების კედლებზე კი კანდელიაბრები გაამწკრივებინა. ქარვასლის საწყობებიდან ფორტეპიანო და მდიდრული ავეჯი მოატანინა.

დარბაზი და ოთახები ისე მორთო და მოკაზმა, როგორც ეს მას პეტერბურგში, ვენაში და პარიზში ჰქონდა ნანახი. სუფრაც ისეთი გააშლევინა, რომ მის გულუხვობაზე და პურ-მარილზე ქალაქში რამდენიმე დღეს მაინც ელაპარაკნათ.

ფერშანგოვისთანა დარბაზი მხოლოდ შერმაზანოვს ჰქონდა აბას-აბადის მოედანზე. ფერშანგოვის სახლში სუფრის გაშლაც შეიძლებოდა, ცეკვების გაჩაღებაც და ბანქოს თამაშიც.

ევროპულად გამოწყობილი ბობოლების გასართობად სიმებიანი ორკესტრი იყო მოწვეული, ყურთმაჯებიანი სოვდაგრების დასატკბობად დუდუკის და საზანდრის დასტები.

ახალგაზრდა ზანდაროვი ხარჯს არ მოერიდა, რათა სტუმრებს ხალვათად ეგრძნოთ თავი, ესიამოვნათ, ექეიფნათ, ემასლაათათ, ქაღალდი ეთამაშათ და ცეკვა-თამაში გაემართათ.

მხოლოდ რჩეული სტუმრები იყვნენ დაპატიჟებულნი.

რჩეულებს შორის აღმოჩნდნენ ბართლომე და მაიკო კურტანიძეებიც.

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 6.

გრიგოლ ზანდაროვს არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია ბართლომე და მაიკო კურტანიძისათვის, რომელიც მთელ ქალაქში საოცრად მდიდარ ვაჭრად ითვლებოდა. ამას გარდა, მას მაიკოს გულის მოგებაც სურდა, რათა მისი ყოფილი საყვარელი მის მხარეზე დამდგარიყო, თუ ოდესმე ქარვასლაში მას ბართლომე კურტანიძე დაუპირისპირდებოდა. ანგარიშებით გართულ გრიგოლს რაღაცნაირად იმის იმედიც ჰქონდა, რომ კურტანიძეები ნადიმზე არ მოვიდოდნენ, რადგან ისინი არც თვითონ დადიოდნენ სტუმრად და არც სხვებს ჰპატიჟებდნენ. მხოლოდ ბიჭების ნათლობებს იხდიდნენ, მაგრამ ამასაც უნდა გადაჩვეულიყვნენ, რადგან ოთხი წელი სრულდებოდა, რაც მაიკოს ფეხმძიმობა არავის გაეგონა.

მაშასადამე, გრიგოლი მხოლოდ ზრდილობიანად მოიხდიდა თავის მოვალეობას მათს წინაშე. თუ ეს ასე არ მოხდებოდა და ისინი მაინც მოვიდოდნენ, მაშინ, გრიგოლი დარწმუნებული იყო, ბართლომე კურტანიძეს ერთხელ კიდევ მოუხდებოდა ყურთმაჯებიანი სოვდაგრული კაბის ჩაცმა.

გრიგოლ ზანდაროვი სხვების გაკვირვებას ფიქრობდა, მაგრამ თვითონ დარჩა გაოცებული.

კურტანიძეები მის ნადიმზე ევროპულად ჩაცმული მოვიდნენ.

სახტად დარჩენილმა გრიგოლმა პირი დააღო.

ფირუზამ თვალები დააჭყიტა.

თეთრმა ლიზამ ტუჩებზე ორი თითი დაიდო და განცვიფრებული ხან ბართლომეს შესცქეროდა, ხან მაიკოს.

ყურთმაჯებიანმა სოვდაგრებმა ერთმანეთს მხრების აწევით გადახედეს. მედიდურმა ბობოლებმა და სახეზე „ბრინჯ შეყრილმა" კოპწია „ხახვის ფრანტებმა" ბართლომე კურტანიძეს არავითარი ყურადღება არ მიაქციეს, სამაგიეროდ ნიაზით შეათვალიერეს მისი ლამაზი ცოლი.

ბართლომეს წენგოსფერი, მსხვილღილებიანი სერთუკი ეცვა (საღამოს ნადიმისათვის შეუფერებელი, მყისვე ყურადღება მიაქცია გრიგოლმა), ხოლო მაიკოს უსახელო, გრძელი თეთრი კაბა.

მართალია, ბართლომე კურტანიძე სერთუკში ისე იყო ჩაჭედილი, რომ განძრევის თავი არა ჰქონდა, ვერც მაღალ თეთრ საყელოში ამოძრავებდა კისერს და ერთ ადგილზე გაშეშებული იდგა, მაგრამ ჩვეულებრივზე მეტი სიდარბაისლე ეტყობოდა, რასაც მომგებიანად აგვირგვინებდა ხელმწიფის ორი მედალი და დიდი ცხვირი, რომლის მსგავსი ქალაქელებს ჯერ არ ენახათ .

გრიგოლს იმდენად ბართლომე კურტანიძის მაღრიბული სამოსი არ აკვირვებდა, რამდენადაც მისი პირწმინდად გაპარსული ნაყვავილარი სახე, მაღრიბულადვე შეკრეჭილი, ვაინაჩრობით გადავარცხნილი, მაგრამ მაინც ყალყზე შემდგარი ქოჩორი.

სადღა იყო კუკიელი ალაფის ნიჩბისოდენა წვერი!

დაობლებული ულვაშების, გადაფხეკილ-გატიტვლებული ნიკაპისა და ლოყების ფონზე უზარმაზარი ცხვირი კიდევ უფრო დაგრძელებოდა, ყურებიც ერთბაშად გაზრდოდა, წინათ შუქმოუკიდებელი ყავისფერი თვალები კი, თითქოს ვინმემ სველი ჩვარი გადაუსვაო, სერთუკის ბრჭყვიალა ღილებივით უპრიალებდა.

ახალგაზრდა ზანდაროვს სიცილი დაახრჩობდა, მაიკო კურტანიძის ყურებით რომ არ ყოფილიყო გატაცებული.

ხნიერი ზანდაროვიც ხან მუშტაკგადასმულ და გაპრიალებულ ბართლომე კურტანიძეს აშტერდებოდა, ხან იმის მაღრიბულად გაბიბინებულ ცოლს.

კურტანიძეების მოულოდნელი ფერისცვალება ვერაფრით ვერ აეხსნა და როგორც თვითონ თავს უტყდებოდა, „დავთრები უარესად დაებნა", აღარ იცოდა რა ეფიქრა, რა გზას დადგომოდა.

ერთი რამ ცხადი იყო: ბართლომეც და იმის ცოლიც გრიგოლ ზანდაროვის მხარეზე დგებოდნენ, იმის გავლენაში ექცეოდნენ და უპირატესობასაც იმან

ანიჭებდნენ. მაშასადამე, ფირუზა ზანდაროვს ორი ნაბიჯით წინ სიარული ვეღარაფერს უშველიდა, მის განაპირებას და განზე დაყენებას აღარაფერი უკლდა. ბობოლებიც და სოვდაგრებიც გრიგოლ ზანდაროვს ეხვეოდნენ, მხოლოდ მას ელაციცებოდნენ და ქათინაურებს ეუბნებოდნენ.

ფირუზა ზანდაროვს ერთდროულად გაჰკრა კლანჭი შურმაც და შიშმაც. გუნება აემღვრა. ცხვირი ჩამოუშვა. გულმოსული შესცქეროდა ჭაღის და კანდელიაბრების აუარებელ სანთლებს, რომელნიც, მისი აზრით, უსარგებლოდ იწვოდნენ, რადგან გარეთ ისეთი მთვარიანი ღამე იდგა, რომ მთელ ქალაქსაც ანათებდა და სახლების ოთახებსაც აშუქებდა. დაბნეული შეჰყურებდა ათასნაირი ჯურის სტუმრებს, რომელთა შორის ლაქიებს სინებზე გამწკრივებული მაღალფეხიანი ორთომელებით გამაგრილებელი და დამათრობელი სასმელები დაჰქონდათ. გრიგოლ ზანდაროვი არა ხუმრობდა. თავადური მეჯლისით თუ ნადიმით ყველას გაოცებას ლამობდა. ერთ ოთახში სათარას ამღერებდა, დიდ დარბაზში მემუსიკენი მაღრიბულ საცეკვაოებს უკრავნენ, სხვა ოთახებში მწვანე მაგიდების გარშემო შემომსხდარი ბანქოს მოთამაშეების წინ იმდენი ფული ეყარა, რომ თვალებაჭრელებულმა ფირუზამ ამდენი ფულის ყურებას ვეღარ გაუძლო და იმ ოთახისკენ გალასლასდა, სადაც მომღერალი სათარა თავისი საზანდრით ლოყებღაჟღაჟა სოვდაგრებს ართობდა.

ნირწამხდარ და დაფიქრებულ ფირუზას წინ გამხიარულებული თეთრი ლიზა შეეფეთა, ქმარს აღტაცებით უთხრა:

— ქა, ვერ უყურებ მაიკო კურტანიძეს ნამესტნიკის კაცები და სუდის დიდები რანაირად უყურებენ? ბართლომე ვიღას ახსოვს?!

არც ფირუზა ზანდაროვი ახსოვდა ვინმეს. ამ აზრმა გულიც ატკინა და სულიც დაუმდუღრა. ცოლს ხმა არ გასცა. ცალი თვალით მაიკო კურტანიძისაკენ გაიხედა, მერე კედელთან გამეშებულ ბართლომეს დაადგა თვალი და იქედნურად ჩაიღიმა.

იქედნურად გაღიმების საბაბი მას მაიკო კურტანიძესთან გატაცებით მოლაპარაკე გრიგოლმა მისცა.

ახლა ფირუზას არავითარი ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ გრიგოლ ზანდაროვს ბართლომე კურტანიძის სახლში მაიკო დამქაშად ეყოლებოდა, ხოლო ფირუზა ზანდაროვის სახლში თეთრი ლიზა.

ეჭვი და შიში კიდევ უფრო გაუძლიერდა.

გულში მტკიცედ გადაწყვიტა ჯავრი თეთრ ლიზაზე ეყარა, გრიგოლ ზანდაროვს კი მაგრად დასდგომოდა.

თეთრი ლიზა სოვდაგრების ცოლებში გალივლივებდა, ფირუზა კი მაღრიბულად ჩაცმულ მამაკაცებს მიაჩერდა.

მათ კისრები წაეგრძელებინათ და ისე უყურებდნენ მაიკო კურტანიძეს.

ფირუზამ ისევ იქედნურად ჩაიღიმა. ლამაზი ქალის წარმატება ქმრისთვისაც სასარგებლო იყო და იმისთვისაც, ვინც ახლა მაიკოს რაღაცას ცხარედ ელაპარაკებოდა და უმტკიცებდა.

დაბერებული ფირუზა ახლაც ყველაფერს მოგებისა და წაგების თვალსაზრისით ზომავდა.

## 2. ძველ ტრფიალს ჟანგი არ ეკიდება

*რა უნდა აქვნდეს სულსა უკვდავი, თუ მასში განჰქრეს კვლავ სიყვარული.*

**გრიგოლ ორბელიანი.**

მაიკო კურტანიძემ მყისვე მიიპყრო გრიგოლ ზანდაროვის სტუმრების ყურადღება.

გრიგოლისათვის ძნელი არ იყო იმის მიხვედრა, რომ მის სალუქ ნადიმზე უფრო მეტად სტუმრებზე შთაბეჭდილებას თვალწარმტაცი მაიკო კურტანიძე ახდენდა.

მიხვდა და გაუკვირდა.

ნადიმზე დიდვაჭრების დასქელებულ და ხნიერ ცოლებთან ერთად ბობოლე-

ბის ლამაზი და ახალგაზრდა ცოლე-ბიც იყვნენ, მაგრამ ისინიც ერთბაშად დაჩრდილა აშოლტილმა და დედოფ-ლური გარეგნობის მაიკო კურტანიძემ.

თვითონ გრიგოლი თვალს ვეღარ სწყვეტდა იმას, ვინც მას სამუდამოდ დავიწყებული ეგონა. თვალში მოსდი-ოდა მისი ნარნარი სიარული, მისი თე-თრი, ალისფრად ნაქარგ-ნაგვირისტები, ბოლოებში ფოჩებშემოვლებული კაბის და ვარდისფერი, ნახევრად გაშლილი მარაოს მოხდენილი ტარება, თეთრივე, თითებთან წაჭრილი და იდაყვებამდე აზიდული ხელთათმანები, საკმარისზე მეტად გაშიშვლებული მხრები და გუ-ლმკერდი, მოქნილი გრძელი კისერი, თავთუხისფერ თმებში კეკლუცად ჩარ-ჭობილი სპილოს ძვლის ჯიღა, ლალე-ბით და იაგუნდებით მოოჭვილი ოქროს გრძელი საყურეები, კოხტა მაღრიბული ფეხსაცმელები, რომლებიც სიარულის დროს კაბის ქვეშ დროგამოშვებით ჩნდებოდნენ და ისევ იმალებოდნენ.

მაღრიბულად მორთულ-მოკაზმული მაიკო კურტანიძე კიდევ უფრო გასა-ოცრად დაემსგავსა კნეინა გოსტაშაბი-შვილს. ლაპარაკი აღარ უნდოდა, პირ-წავარდნილი მავდა გოსტაშაბიშვილი იყო.

თვალგანცვიფრებული გრიგოლი თი-თით შუბლს ისრესდა და ყოყმანობდა, არ იცოდა ვისთვის მიეცა უპირატესო-ბა.

მაიკო კურტანიძე თითქოს სჯობდა კიდეც კნეინა გოსტაშაბიშვილს.

თბილელი ლამაზმანი რაღაც თავისე-ბური თბილისური ეშხით იყო თეთრად და ალისფრად აზრიალებული.

ახლა ზანდაროვი მზად იყო დაეჯე-რებინა, რომ მაიკო კურტანიძე ხელმ-წიფის ხარჯად იყო ნაშყოფი.

დაუყოვნებლივ მის გვერდით გაჩნდა და დრო უხელთა თუ არა, ყურში ცხა-რედ ჩასჩურჩულა:

— მაიკო... მაიკო...

მაიკომ მას პირზე მიფარებული მარაოდან თავისი თაფლისფერი თვალე-ბით გამოხედა. მარაო ქალის ცხვირის კეხთან მთელ სიგრძეზე იყო გადაშლი-ლი. გრიგოლი მხოლოდ მაიკოს თაფ-ლისფერ, ოდნავ გაოცებულ თვალებს უყურებდა და არ შეეძლო დაენახა მის ბაგეებზე ათამაშებული ეშმაკური ღი-მილი.

— მაიკო სადა გნახო? როდის გნა-ხო? — ეკითხებოდა სალერღელაშლილი გრიგოლი.

— მაგას რა კითხვა უნდა, გიგაჯან, ჩემს სანახავად დრო და საათი რათ გჭირდება?

მაიკოს „გიგაჯან" შერიგებას ნიშნავ-და, თუმცა გაბუტვით გაბუტული სულ არ ყოფილან, არც ძველებურად წაჩხუ-ბებულნი. გრიგოლს სახეზე სიამის ის-ეთი ღიმილი გადაეფინა და ისეთნაირად გამხიარულდა, რომ ფირუზამ ისევ ფლიდურად ჩაიცინა და ერთხელ კი-დევ იქედნურად გახედა კედელთან გა-შეშებულ ბართლომე კურტანიძეს.

იმ ნადიმზე მხოლოდ ორი ადამიანი არ ერეოდა საერთო მხიარულებაში: წარბშეკრული ფირუზა ზანდაროვი და მუდამ გაჩუმებული და პირშეკრული ბართლომე კურტანიძე.

ბართლომე კურტანიძესთან არავინ არ ჩერდებოდა, არავინ ყურადღებას არ აქცევდა. თუმცა ბევრს ეშინოდა მისი. პირფერები და მლიქვნელები მზად იყ-ვნენ მისთვის ფიანდაზი გაეშალათ, მა-გრამ აგონდებოდათ, რომ მდიდარი ალ-აფი აინუნში არ იგდებდა პირფერუ-ლად და მლიქვნელურად ნათქვამს. ყუ-რის დაგდება ყველაზე კარგად ეხერ-ხებოდა, კრინტის დაძვრა კი უჭირდა. არც არავის დახმარება სჭირდებოდა, არც თვითონ ეხმარებოდა ვინმეს. თა-ვის საქმეს თვითონ ჩარხავდა და ანგა-რიშითაც თვითონ ანგარიშობდა.

ფირუზას რამდენიმე დიდვაჭარი გა-მოელაპარაკა, მაგრამ უგუნებობა შეატ-ყვეს თუ არა, სწრაფად ჩამოშორდნენ.

გაჯავრებული ფირუზა ხან ცოლს უბ-ღვეროდა, ხან საოცრად გალამაზებულ მაიკო კურტანიძეს გაკვირვებული ათვა-ლიერებდა. ერთი-ორჯერ გარშემო შე-მოუარა და მის კაბაზე წელს ქვემოთ

უზარმაზარ პეპელასავით აკრულ და ფარშავანგის ბოლოსავით გაშლილ ბაბთას ისეთნაირად დააშტერდა, რომ რამდენიმე სტუმარმა ხმამაღლა გაიცინა.

მაიკომ ფირუზას ყურადღება შეამჩნია, გაუცინა და ჰკითხა:

— ეგრე რათ მიყურებ, ფირუზ?

— მომაგონდა, მაიკოჯან, ჩემი დუქნის წინ ფოსტლები რომ გვარდებოდა. ჰაი გიდი, რა დრო იყო!

მაიკომ წყნარად შეათვალიერა ფირუზა. მის ნათქვამში გაჯავრებული ადამიანის კილო აღმოაჩინა, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო ვის ეხებოდა მისი ჩამოკრული — გრიგოლ ზანდაროვს თუ თვითონ მას. პირგაბადრულ სოვდაგრებისაკენ გაიხედა და ფირუზას უთხრა:

— ის დრო რა მოსაგონარია? ამათი თაბახი და ქუჩის სასწორი ვილას ახსოვს? ან ჩემი ქმარი, ბართლომე კურტანიძე, ავიღოთ. ვის აგონდება ფქვილში ამოგანგლული ხაბაზი? — ფირუზას ისევ გაუცინა და მხიარულად ჩაულაპარაკა. — ფოსტლები კი ქუჩაში არ დამრჩენია, მპოვნელმა იპოვნა!

გატრიალდა და თეთრ ლიზას ამოუდგა გვერდში.

თეთრი ლიზა სიყვარულით უყურებდა ლამაზსა და წარმოსადეგ გრიგოლ ზანდაროვს, რომელიც ვიღაც მოხდენილ ქალთან ცეკვავდა. ვალსს კადრილი ცვლიდა, კადრილს — ვალსი. თეთრი ლიზა პირველად ისმენდა ამგვარ მუსიკას, პირველად უცქეროდა ამგვარად მოცეკვავე ქალ-ვაჟებს, თვალს უნცვიფრებდა და სიწითლეს ჰგვრიდა ერთმანეთის მკლავებში ჩახვეული წყვილები, მაგრამ თან აღტაცებას ვერ მალავდა, მოხიბლულმა და გატკრციალებულმა ქმართან მიირბინა, ყურთმაჯაში ხელი სტაცა, ლამაზ ქალთან მოცეკვავე გრიგოლი დაანახა და ენადგაკრეფილმა სხაპა-სხუპით მიახალა:

— ერთი ნახე, ფირუზჯან, ერთი იქით გაიხედე, ყველაზე კარგად ჩვენი გრიგოლი ტანცაობს!

ფირუზამ გესლი დაანთხია:

— ბრმა ხომ არა ვარ! კაცს ფული არ ენანება, ქალს ქმარი არ ებრალება. ბოზკურობა მეტი გინდა?!

— ქა, აქაც არ იშლი შენსას? სირცხვილია, არავინ გაიგონოს. რატომ არ გინდა მაგ ბიჭმა გაიხაროს?

— ლიზავ! გიგას ნუ აქეზებ, თორემ მალე ცხვირში ამოიკრავ!

თეთრმა ლიზამ უკმაყოფილოდ მოაბრუნა მისკენ ფერუმარილით თოჯინასავით აჭრელებული სახე, მაგრამ ქმრისთვის არა სცალოდა. იაობის გუნებაზე იყო. პირზე მომდგარი სიტყვა ალაგმა, გაჯავრებულ ქმარს ზურგი შეაქცია და ჩქარი გოგმანით მაიკო კურტანიძისაკენ გაინავარდა.

გაგულისებული ფირუზა ცოლს კინაღამ დაბასმულ ლეჩაქში სწვდა, ბრაზიანად მიაძახა:

— თერძის ქალო, ფრთხილად იყავ, თუ არ გინდა ეგ იასამნისფერი კაბა შემოგახიო!

ბოლმით გამწვანებული ფირუზა კედელთან მიდგმულ სავარძელში განმარტოებით ჩაჯდა, კრიალოსანი მოიმარჯვა და თვალები დახუჭა, რათა მის სახლში მონადიმე სტუმრებისათვის არ ეცქირა.

### 3. ბზარი

— არა, შენ გუნებაში რა გიდევს?

ქალაქური დიალოგი

მეორე დღეს ზანდაროვები დიდ დარბაზში ისხდნენ და წუხანდელ ნადიმს იგონებდნენ.

მსუბუქად ჩაცმული, ქოშებში ფეხწადგმულ ფირუზას ხელები ზურგზე დაეწყო, მოუსვენრად ბოლთას სცემდა და დედაბერივით ბუზღუნებდა. მერე დიდი ჭაღის ქვეშ შეჩერდა, თავის უკმაყოფილო ქნევით დაათვალიერა ძირამდე ჩამწვარი სანთლები და ნაყვედურით მიუბრუნდა სავარძელში ნებივრად გართხმულ გრიგოლს:

— თუგინდ ეს მოსკოვური სანთლები ვიანგარიშოთ! თითო რა ჯდება! ასე-

თი აქშუება როგორ იქნება? ფულს წყალში რათა ყრი?

გრიგოლმა ხმა არ გასცა.

მის მაგიერ ფირუზას თეთრმა ლიზამ უპასუხა. ის წითელხავერდიან სავარძელში კატასავით მოკალათებულიყო და ცალი თვალით ეძინა.

— ქა, მერე რა იყო?! რა მოხდა?!

— მამა გიცხონდება! — შეუტია ცოლს მოთმინებიდან გამოსულმა ფირუზამ,—მამაშენიც მაგისთანა კრესლოში არ მოკვდა! სულ უკან დაგდევდი, რომ შენისთანა ტუტუცისთვის ვინმეს შუბლის ქინძისთავი არ აეძრო. ამდენი მარგალიტები რათ გინდათ? თავადებივით ცხოვრება რათ მოინდომეთ? ყაირათი რათ დაგავიწყდათ? არ იცით, რომ ზღვა კოვზით დაილევა?

— დარდი ნუ გაქვს. — დაამშვიდა ფირუზა გრიგოლმა. — მილიონი მილიონს მოიტანს!

— ჰმ... რაც მოვიგეთ, ჩემი ჭკუით მოვიგეთ. თუ თავქარიანობას და ფულის ფანტვას არ მოიშლი, აქედანვე გეუბნები, კაპიკი სანატრელი გაგიხდება!

თეთრმა ლიზამ ქმარს ჩუმად ქოქოლა მიაყარა. ახალგაზრდა ზანდაროვი სავარძელში წამოიწია და ფირუზას ღიმილით მიმართა:

— ფირუზჯან! ფულმა ფული უნდა მოიგოს, შენ კი ჩამცივებიხარ, გვეყოფა, მოგებული განძი ვიკმაროთო. მე მეტი მინდა! — წამოიძახა ბედისგან გათამამებულმა მილიონერმა და თვალები აენთო. — მე განძს განძი უნდა მივუმატო, ფულს ფული მოვაგებინო! ამიტომ ხალხს ჩემი შეძლებაც უნდა დავანახო. წუხანდელ ნადიმზე ბევრი მეგობარი და მფარველი გავიჩინე კანცელარიაში, პალატაში, სასამართლოში და სავაჭრო დეპოში. ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს. ათადან ბაბადან ასე ყოფილა, არის და იქნება!

— ფიე! მე თურმე ჭკუას მასწავლიან! — ითაკილა ფირუზამ.

— მაგას რათ ამბობ? — მოწიწებით ჩამოართვა სიტყვა გრიგოლმა. — შენი გამჭრიახობა რომ არა, ეხლაც წისქვილებთან, საწვრილმანოში ვისხდებოდით.

ბიბლიოთეკა

— მაშ, მაშ, წისქვილებთან საწვრილმანოში ვისხდებოდით.

კვერი დაუკრა თეთრმა ლიზამ გრიგოლს.

— ჰმ. ეგეც კარგია, რომ ამაგი არ დაგვიწყნია.

„დაბერდა და ჭკუა დააკლდა“, გაიფიქრა თავისთვის გრიგოლმა, ფირუზას მაინც თავაზიანად ჰკითხა:

— ერთი კარგად გამაგებინე, ფირუზჯან, რა გაწუხებს? რა დარდი გაქვს? იქნებ მე ცუდ რამესა ვშვრები და გამოუცდელობით ვერ ვამჩნევ?

— არ გითხარი? კნიაზივით ნუ ირჯები, იალქნები დაუშვი!

— ლუყუჩივით რათ უნდა ვიყო? კაცი მქვიან.

მოიღერა კისერი ახალგაზრდა ზანდაროვმა.

ხნიერი ზანდაროვი გაბრაზდა:

— ის საათი დაიქცეს, რაც მე კაცად გაგხადე. ჩემი ქონების განიავებას არ მერჩივნა ისევ მხარზე სასწორგადაკიდებულს გევლო?

გრიგოლს თეთრი ლიზა გამოექომაგა.

— ქა, რა ილაჯი წაიღე! შენ ქონებას ვინა ფანტავს? ვინ ანიავებს?

ფირუზამ ცოლს ზედაც არ შეხედა, არც პასუხის ღირსად ჩათვალა. ისევ გრიგოლს მიუბრუნდა:

— უფროსი კაცი ვარ, უნდა დამიჯერო. როდის იყო, რომ წლოვან კაცს ლლაპები ჭკუას ასწავლიდნენ?

გრიგოლისათვის სავსებით გასაგები იყო სად რას უკაკუნებდა ნასტატარი. თავმდაბლურად მოახსენა:

— ეგ მე არ მიფიქრია, აზრადაც არ მომსვლია.

ფირუზას იამა. მოლბა.

— შენთვის მინდა, თორემ მე იქ რა უნდა წავიღო, სადაც თავის ფეხით არავინ მიდის. არა, შე დალოცვილო და კურთხეულის შვილო, ერთი მითხარ და კარგად გამაგებინე, კალთებს სხვებს რათ აგლეჯინებ? ჩვენი ჩვენთვის დავი-

ტოვოთ, ასარ-ბასარები რათ გვინდა?

— ქა, ასარ-ბასარებს სუდის დიდებს ეძახი! — წამოიძახა შეშინებულმა თეთრმა ლიზამ.

ფირუზამ ცოლს არც გახედა, არც ხმა გასცა. ისევ ბუზღუნს მოჰყვა:

— საკვირველსა ვარ, ღმერთმანი! მაგნაირი მეჯლისები ვინ გასწავლა? ოი, ბართლომე კურტანიძის მამა ვაცხონე: თავის სიმდიდრეს გარშემო ცხვრის ძაღლივით უვლის, ახლოს არავის აკარებს, სტუმარიც ისე ეჯავრება, ოთახის რიდეზე, შინ მისული, ჩუსტებსა და ქოშებსა თვლის, ხელში უცხო ვინმე არ შემრჩესო. შენა ხარ? ვის არ უღებ კარებს, ვინ არ შემოგყავს ჩემს სახლში, ვინ არ ესვრის ჩემს ჭერს სოვდაგრულ ბოხოხს და მაღრიბულ კელეპტარივით წაგრძელებულ ქუდს.

ახალგაზრდა ზანდაროვს სიცილი მოუნდა, მაგრამ თავი შეიკავა. სამაგიეროდ თეთრი ლიზა ეცა ქმარს:

— ქა, გრიგოლს ვის ადარებ? დიდიხანია ბართლომე კურტანიძე კონკებს აღარ აჟღარუნებს?!

ფირუზამ არც ახლა მიაქცია ცოლს ყურადღება. გრიგოლს უცებ პირში მიახალა:

— რატომ ცოლს არ ირთავ?

ახალგაზრდა ზანდაროვი დაიბნა. რადგან პასუხი შეაგვიანა, თვითონ ფირუზამ უპასუხა:

— იმიტომ, რომ საყვარლები გყავს! სხვის ცოლებზე გიჭირავს თვალი და იმათი შენახვა ოთუზბირი გიჯდება. სად გაგონილა სოვდაგარი ტანცაობდეს? თამამობ, დარდიმანდობ, გასტინიცებში დაბრძანდები და ფრანცუზულად ჩაცმული ქალებიც თან დაგყავს. მახლას! მე კაპიკი კაპიკზე დამიდვია, შენ კი არ იცი ფული სად და რაში გადაყარო!

თქვა და ნაშეგირდალს გამომწვევად გაუსწორა თვალი.

## 4. ბანხეთქილება

ასეთი რამ დაიკვეხე, რომ არ შეგვეძლოს,
თორემ ავკაცობა შენი ხელობაა.

**გაბრიელ სუნდუკიანი, „დაქცეული ოჯახი"**

ახალგაზრდა ზანდაროვს ალმური აუვიდა სახეზე.

— ეგრე რათა მლანძღავ, ფირუზჯან?

— ნუ გწყინს, როცა სიმართლეს გეუბნევი. — შეაწყვეტინა სიტყვა ფირუზამ, — როგორც გითხარი, ისე უნდა მოიქცე. ცოლი უნდა შეირთო, ფუქსავატობა ხელს არ მოგცემს.

თეთრი ლიზა ეხლა ქმარს გამოექომაგა.

— მაშ, მაშ, გიგაჯან, ეგრე სალთად როდემდის გინდა იარო? მეც, შენმა მზემ, აბანოში სიარულით ფეხები მეტკინა. სოვდაგრების ქალებში ლამაზებიც ურევიან, შორიდან დაგანახვებ და თუ მოგეწონა, წინ რაღა უდგა? მაჭანკალი ვაფრინოთ და ქორწილი გავაჩაღოთ.

ფირუზამ ცოლს სიტყვა მოუწონა, კმაყოფილებით თავი დაუქნია. გრიგოლი ხმას არ იღებდა. ფირუზა ისევ გაჯავრდა.

— არა, ეგ ცოლის შემრთველი არ არის. შარს ეძებს და მალე იპოვნის. ბართლომე კურტანიძის ცოლთან კურკური ხეირს არ დააყრის.

თეთრმა ლიზამ თავი გაკვირვებით ასწია მაღლა, ქმრის ნათქვამი გაიოცა:

— ქა, მაგ კაცით ვის აშინებ? ეგ არის რაღა, ჩვენს გრიგოლს ერთბაშად წინ არ დაუდგეს!

ფირუზა ცოლს დააშტერდა, სვენებსვენებით უთხრა:

— თერძის ქალო! როცა მე ვლაპარაკობ, შენ ხმა უნდა ჩაიწყვიტო! გაიგე, რაც გითხარი?

— გავიგე, ამინ და კრიალოსანი!

თეთრი ლიზა სავარძელში მოიკუნტა და თავი მოიმძინარა. ფირუზა ისევ გრიგოლს მიუბრუნდა:

— შენ გგონია, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, მაიკო შენს გვერდით დადგე-

ბა? შენ იმას ნუ უყურებ, რომ ეგ ქალი საყვარლებს დახეულ პერანგებს უკერებდა, ქმარი კი დაკონკილ-დაგლეჯილი დაჰყავდა. მაიკო ქმრის ქისას არავის დაანებებს, ისეთნაირად არის ზედ გადაფაფრებული. თუ ბართლომემ შენი გაკოტრება მოინდომა, ან შენ მოუნდომე რამე ბართლომეს, იმის ცოლიც ადვილად დაგთმობს, შენს ლამაზ თვალებს ქმრის აყროლებულ ქისას ამჯობინებს, — ფირუზამ ხმას დაუდაბლა და ჩურჩულით განაგრძო, — დამიჯერე, მაიკო ბართლომე კურტანიძეს გვერდში რომ არა ჰყოლოდა, მელქო ფერშანგოვზე უარეს საქმეს უზამდი, მაგრამ ვერც ქმარსა და ვერც ცოლს ვერსაიდან გზა ვერ ვუპოვნე.

გრიგოლმა მშვიდად დაუბრუნა.

— მე ალაფობას არ ვაპირებ. ფულს მაღრიბული საქონლით ვაჭრობითაც კარგად ვიგებ. ეგეც არ იყოს, ფულის მოსაგებად სხვა საშუალებაც არის.

ფირუზა დაინტერესდა, გრიგოლის წინ გაჩერდა, დაკვირვებით შეათვალიერა და ნიაზით ჰკითხა:

— მაინც რა არის?

გრიგოლმა ფრთხილად შეაპარა:

— ქალაქი იზრდება, ფირუზჯან, ხალხი მატულობს, მუშტარი მრავლდება. რა იქნება, რომ საპნის ქარხანა ავაშენოთ? ან, თუ გინდა, აგურხანა ავაგოთ? სხვა რამეც შეიძლება მოვისაზროთ. რას იტყვი? მტკვართან ალაგი მოვაზომინოთ, ვიყიდოთ, შემოვღობოთ და ხე-ტყე მხერხავებს სახლის მასალად დავახერხინოთ? არც ლურსმნის ან შუშის ქარხანა იქნება ურიგო...

ფირუზას პირკატა ეცა. ერთხანს ხმა ვერ ამოიღო. სახის ფერი ათასნაირად შეეცვალა. გონზე რომ მოვიდა, გრიგოლს ყველაფერი ზედიზედ მიაყარა და ჩაუნისკარტა:

— მაგით ჯერ ფული ვის მოუგია, რომ ჩვენ მოვიგოთ? კასტელასავით კუტრი გინდა რომ გახდე? ჩემი ნაწვავნადაგი ქარს გინდა გაატანო? მე შენ ვაჭრად გამიზრდიხარ, შენთვის ვაჭრობით მოგება მისწავლებია, შენ კი კასტელასავით ქისა როსკიპებისთვის და ტუსაღებისთვის გინდა გახსნა? დიდი ხანია შენზე თვალი მიჭირავს და მართალი გამოვდექი. არა, შენ არც ფულის ყადრი იცი, არც გაფრთხილება. აქედანვე ვატყობ, თუ თადარიგი არ დავიჭირე, ისევ წისქვილებთან, საწვრილმანოში დაგვაბრუნებ. არა, ეგრე არ იქნება, არ გამოვა, დღეიდან რასაც დახარჯავ, ყველაფრის ანგარიში უნდა ჩამაბარო. ჩემი სიტყვა ეს არის და, იცოდე, ამ სიტყვიდან ფეხს აღარ მოვიცვლი. არა, არა, ვერც საპნით, ვერც ლურსმნით, შუშით და ხე-ტყის მასალით ფულს ვერ მოვიგებთ... ჩვენი ადგილი ქარვასლაა, ჩვენი მოედანი ბაზარია, ჩვენი მოგება თავნის სარგებელია... ჩვენი დოვლათი და შემოსავალი სამკაულებით და დიბა-ატლასით ვაჭრობაა... სოვდაგარი ამნაირებით მდიდრდება და მუდამ ამით იქნება მდიდარი... მე ქარვასლის სოვდაგარი ვარ, მხერხავებს თავზე ვერ დავადგები, ვერც შუშის მკეთებლებში გავერევი და ვერც აგურხანაში დამაყენებს ვინმე, ვერც ფულის გასესხებას მომაშლევინებს, ვერც იაფად ყიდვას და ძვირად გაყიდვას... თუ ამეებში ჩემი ოჩხუბობა არ გინდა, გზა დამილოცნია — შენ შენთვის მე ჩემთვის. ამაზე კარგი სიტყვა რა გინდა?

თეთრმა ლიზამ ისევ ამოჰყო თავი თავის სავარძლიდან, გაკვირვებით ხან ქმარს უყურებდა, ხან შვილობილს. მათი ღავის მიზეზს ვერა ხვდებოდა, თან უკვირდა, რომ გრიგოლი დამშვიდებით უგდებდა ყურს გაბრაზებულ ფირუზას, არც თავს იმართლებდა და არც სიტყვას უბრუნებდა მას.

ფირუზა ჩხუბის გაგრძელებას აპირებდა, მაგრამ გრიგოლმა, რომელსაც მღელვარების და სიბრაზის ნატამალი არ ეტყობოდა, ზრდილობიანად მოუჭრა სიტყვა:

— უშენოდ ხელს არაფერს მოვკიდებ, ფირუზ, როგორც შენ მეტყვი, ისე მოვიქცევი.

ცოლ-ქმარს თავი დაუკრა და დარბაზიდან გავიდა.

თეთრმა ლიზამ გაიკვირვა:

— ქა, ამ ნაშუადღევს სად მიდის ჩვენი გრიგოლი?

ფირუზამ გაიცინა.

— ალაფები ნაშუადღევს შინ არ არიან. იმათი ცოლები სწორედ ამ დროს გამოდიან სახლებიდან.

თქვა და ისევ სინანულით შეხედა ჭაღის საშანდლეებში ჩამწვარ სანთლებს.

## 5. ჩხუბი

ჩემი მანეთები ეგრე იაფები არ გეგონოს. თითოსათვის ოცჯერ სული გამიყიდნია.

**გაბრიელ სუნდუკიანი, „დაქცეული ოჯახი".**

სოლოლაკის დიდ სახლში ფირუზა ზანდაროვი მოუსვენრად გრძნობდა თავს. გამუდმებით ჩხუბობდა და იღრინებოდა. ხან თეთრ ლიზას ლანძღავდა, ხან გრიგოლს ედავებოდა. მსახურებს და მოახლეებს ეჭვის თვალით უყურებდა და ყველას უკან დასდევდა, რათა არავის არაფერი აეწაპნა, არ მოეპარა და არ მიეთვისებინა.

ყველაზე მეტად მაინც ახალგაზრდა ზანდაროვის ხელგაშლილი ცხოვრება ალიზიანებდა და აბრაზებდა.

გრიგოლი თავისას არ იშლიდა. თავის გამოსაჩენად და გასართობად ფულის ხარჯვას არ ერიდებოდა. ფირუზა ჯავრობდა, ჩხუბობდა, ყვიროდა და იგინებოდა. ერთხელ ქონების გაყოფა და სასამართლოში წასვლაც კი მოინდომა. გრიგოლი ამაოდ აშოშმინებდა. ვერაფრით ვერ უმტკიცებდა, რომ მათ საერთო ქონებას არავითარი საფრთხე არ მოელოდა.

ახალგაზრდა ზანდაროვი შესანიშნავად მართავდა ქონების, ქარვასლის, დუქნების, მაღაზიების და საწყობების საქმეს. ფულს იღბლიანად იგებდა და ხვეტდა. ფირუზა მაინც უკმაყოფილო იყო. არ მოსწონდა მისი დიდკაცური ჩაცმა-დახურვა, ეტლით სიარული, გამუდმებული ქეიფები. დაეჭვებულს გრიგოლი გადაგვარებულ და ქარაფშუტა ვაჭრად ეჩვენებოდა.

ერთხელ, როცა ზანდაროვები სადილად ისხდნენ, ფირუზამ ისევ მოაგონა გრიგოლს:

— ვაჭარმა ფულის ყადრი უნდა იცოდეს, ყაირათიანი უნდა იყოს.

— ეგ დიდი ხანია ვიცი, — ხმის ოდნავი ამაღლებით შეედავა გრიგოლი, — მარტო ის არ მესმის, თუ რათ უნდა მოვიკლო სიამოვნებანი? მაშ რისთვის მინდა ახალგაზრდობა და სიმდიდრე? სოვდაგარ სარდაროვივით ხმელ პურზე და წყალზე ხომ არ დავჯდები? მართალია, ბევრ ფულსა ვხარჯავ, მაგრამ ფუქსავატი არა ვარ...

— არა ვარო? რაში გეტყობა, რომ არა ხარ? ამდენი მსახური და მოახლე რათ გინდა? თვეში თითოს რამდენს აძლევ?

— ამოდენა სახლსა და ბაღს ბევრი მომვლელი სჭირდება. ჩვენც ბატონკაცურად უნდა ვიცხოვროთ, ისე არავინ დაგვაფასებს, მაღლა არავინ გაგვიშვებს.

— ჰმ. მერე იცი, რომ ეს მსახურები და მოახლენი გქურდავენ?

— შენ ყველგან ქურდები გელანდება! — ველარ მოითმინა და სიტყვა შეუბრუნა გულმოსულმა გრიგოლმა.

— ადამიანის გეშინოდეს, მილიონერო! — წამოიძახა გრიგოლის უდიერი პასუხით შეურაცხყოფილმა და გაბრაზებულმა ფირუზამ. — ადამიანისავით დაუნდობელი და მუხანათი ამ ქვეყანაზე სხვა არავინ არის. ცხოვრებას ჩემი თითებივით ვიცნობ. ქვეყანაზე ბევრი ვეთრიე და ათასნაირ ადამიანს გადავეყარე. ვის არ შევხვდი, ვინ არ შემხვდა, ვინ არ მომატყუა, ვინ არ მოვატყუე? ყური დამიგდე და კარგად დაიხსომე, ბოლოს მოგებული დარჩები. ადამიანს ნუ ენდობი! ქურდო! ქურდების გეშინოდეს!

— ქა, ქურდს ვის ეუბნევი? — გაიკვირვა თეთრმა ლიზამ და ქმარს შეუბღვირა.

ფირუზა ცოლს მიუბრუნდა, დიდხანს უყურა, თავით ფეხამდე დამცინავად

აათვალიერ-ჩაათვალიერა, იმის ბეჭდებმა და მარგალიტებმა სახის ფერი შეუცვალა და უეცრად დამფრთხალ ცოლს მუქარით მიახალა:

— თერძის ქალო, როცა მე ვლაპარაკობ, შენ ხმაგაკმენდილი უნდა იჯდე. გაიგე?

— გავიგე. რა ვქნა, ყრუ ხომ არა ვარ!

ფირუზა ისევ გრიგოლს მიუბრუნდა. თეთრმა ლიზამ ზურგსუკან ქოქოლა მიაყარა, მაგრამ მყისვე ღვთისმკრეხელურმა სიტყვებმა ზაფრანის ფერი დაადო სახეზე.

რაღაცასა და ვიღაცაზე გაბრაზებული ფირუზა ნიშნისმოგებით იძახდა:

— მე ჯერ ლოცვა არ მითქვია და არც ვიტყვი. მე ჯერ სანთელი არ დამინთია და არც დავანთებ. პირჯვარსაც იმის ღმერთზე ვიწერდი, ვინც ფულს მაძლევდა. ავკაცობას ღმერთის ცხვირწინ ჩავდიოდი, რადგან არც იმის ეშმაკების მეშინოდა, არც იმის ანგელოზების. რა იყო, დედაკაცო? გული ხომ არ მიგდის? წადი, ილოცე...

ფირუზამ გადაიხარხარა.

— იქ მოგეთხოვება პასუხი, იქა... — ეუბნებოდა ხმაჩახლეჩილი თეთრი ლიზა და შეშინებული პირჯვარს იწერდა. — მიქელ-გაბრიელის სასწორზე რომ დაგდებენ, მაშინაც მოიგონე ეგ სიტყვები, მაშინაც იხარხარე...

— მე ადამიანის მეშინია! — დაბალი, სულ დაბალი ხმით წარმოთქვა ფირუზამ და მოულოდნელად დასაწყლებული კილოთი იკითხა: — რატო მელქო ფერშანგოვი არ გაგონდებათ?

გრიგოლ ზანდაროვი უსიამოვნოდ შეიშმუშნა. თეთრმა ლიზამ პირჯვარი გადაიწერა. ყველას მოაგონდა ძველი და დავიწყებული ავკაცობა. ერთმანეთს შიშით უყურებდნენ და კრინტს ვერა სძრავდნენ. ახალგაზრდა ზანდაროვი და თეთრი ლიზა მხოლოდ ეხლა მიხვდნენ ფირუზას შიშის მიზეზს. ყველანი თავჩაქინდრულნი ისხდნენ, დამფრთხალნი და შეშინებულნი.

სასადილოში მსახური შემოვიდა.

ზანდაროვები უსიტყვოდ წამოიშალნენ და ერთმანეთს უმძრახებივით დაშორდნენ.

ცრუმორწმუნე გრიგოლ ზანდაროვმა იმავე ღამეს თეთრ ლიზას გრძელი კელაპტარი დაანთებინა ეკლესიაში.

ერთბაშად შემონთებული შიში ქეიფებში გადაავიწყდა.

ფირუზა კი ისე სახედატანჯული გამოიყურებოდა, როგორც ზანდაროვების ახალი სახლის თმა-წვერ-ულვაშმოშვებული, განზე თავგადაგდებული და ჭიპის ქვემომდე გაშიშვლებული ის გოლიათები, რომელთაც პირი უსასოოდ დაეღოთ და მაღლააწვდილი მკლავებით ქვის მძიმე აივნები ეჭირათ.

## 6. შიში

ხომ ხედავ, მთელი ქალაქი მგლებით გავსილა.

გაბრიელ სუნდუკიანი, „პეპო“

დაბერებულ ფირუზას სულ უფრო და უფრო იპყრობდა ქონების დაკარგვის შიში. გახდა. მის ღაჟღაჟა სახეს ძველი ჟინჟღლი ჩამოეცალა და სიყვითლე შეეპარა. მისი დაფანჩული, ხშირი, თეთრი წარბების ქვემოდან ოდესღაც ცუღლუტად მომცინარე თვალები ახლა შიშითა და ძრწოლით იყურებოდნენ. ძილი გაუკრთა. ღამეები თეთრად ათენდებოდა. ოდნავ ჩათვლემილს ავი სიზმრები ელანდებოდა. ძილში წვალობდა, ბორგავდა და ყვიროდა. გამოღვიძებული შუბლიდან ჭირის ოფლს იწმენდდა და დაფეთებული თეთრ ლიზას ხმას კანკალით ეუბნებოდა: „ძილში ყაჩაღები დამესხნენ, თოკებით შემკრეს და მომკლესო“. თეთრი ლიზა თავს გაჯავრებით აკანტურებდა, არც ეძინა, არც ეღვიძა, ამთქნარებდა, თან პირჯვარს იწერდა, რათა პირში ეშმაკი არ ჩაძრომოდა, ძილისთვის თავი უკვდებოდა, თვალები ებლიტებოდა, მაგრამ ქმარი ძილის ნებას აღარ აძლევდა. მარტოდყოფნის ეშინოდა. თავმობეზრებული

თეთრი ლიზა უკმაყოფილოდ ბურტყუნებდა: „ქა, ეს რა ღვთის რისხვაა! ეს კაცი აღარც დღე გვასვენებს, აღარც ღამე. ქა, გაგონილა ესეთი ამბავი?!“

ფირუზა მსხურებს აღარ ენდობოდა და ყველა კარს და ფანჯარას თვითონ კეტავდა. დიდ ბნელ ბაღში დამფრთხალი იყურებოდა და გულში შეშინებული ამბობდა: „ბაღი კი არა ტყე არის, თითო ხის ქვეშ თითო ყაჩაღი და ავაზაკი დაიმალებაო“. ღამ-ღამობით ვეება ნაგაზებს უშვებდნენ ჯაჭვებიდან. ალაყაფთან შეიარაღებული მცველი მიდიმოდიოდა. ფირუზას მოუსვენარი თვალები მაინც მაღალ ფანჯრებისკენ ეჭირა და კედელზე მიდგმულ კიბეზე ამომავალი ქურდები ელანდებოდა. გრიგოლი ამაოდ ცდილობდა მის დაშოშმინებას. თვითონ მას გატენილი დამბაჩა დაჰქონდა თან იმ შემთხვევისათვის, თუ ვინმე ეტლში აუხტებოდა, როცა გვიან ღამით პაემნიდან ან ნადიმიდან ბრუნდებოდა.

იმ ხანებში სოვდაგარ სარდაროვის შუაღამისას სახლში ყაჩაღები შეუცვივდნენ, ცოლ-შვილი აუწიოკეს, თვითონ სარდაროვი მძიმედ დაჭრეს და დიდძალი ფული გაიტაცეს. ამ ამბავმა ფირუზას თავზარი დასცა. ძილი სანატრელი გაუხდა. მცირე ფაჩუნი და ჩქამი აფრთხობდა, თავგზას უკარგავდა. წინათ სანთლებს უფრთხილდებოდა, „ადრე დავწვეთ, რათ გვინდა ამდენი სანთლები რომ გვინთიაო“, ახლა თავის ხელით ანთებდა შანდლებსა და ჭაღებს. გათენებამდე ჩახჩახებდნენ სანთლები, რათა ბაღის კედლებზე ამოცოცებულ ქურდებს ჰგონებოდათ, რომ ზანდაროვების სახლში ჯერ ისევ ღვიძათ.

ფირუზა შიშმა ჩამოახმო. ლოყები ჩაუცვივდა. გაყვითლდა. ისედაც დაბალი თითქოს კიდევ უფრო დადაბლდა. სულმთლად გათეთრებული და პირდაბნელებული ფირუზა ახლა საკვირველად ჰგავდა მელქო ფერშანგოვს. შიშით დაზაფრულ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა და ყველგან ქურდები ელანდებოდა.

ერთ ღამეს გიჟივით წამოვარდა ლოგინიდან და ღრიალი მორთო: „ქურდები... ქურდები...“ ახალგაზრდა ზანდაროვი შინ არ იყო. გულგახეთქილი თეთრი ლიზა საცვლების ამარა შევარდა მსახურებთან და ისინი წივილ-კივილით ფეხზე წამოჰყარა. კედელზე ლანდივით გაკრული ფირუზა ცახცახებდა და ტახტს თვალს არ აშორებდა. მსახურების დანახვისთანავე ლუღლუღს მოჰყვა. „ქურდები ტახტის ქვეშ შეძვრნენ და მანდ არიან დამალულებიო“. მსახურებმა ერთმანეთს გადახედეს. ყველაზე გამბედავი ტახტთან მივიდა, ყოყმანით დაიხარა, ტახტის ქვეშ შეიხედა, მაგრამ იქ ვერავინ აღმოაჩინა. მსახურებმა ბევრი იცინეს. თეთრი ლიზა ქმარს გაუწყრა. „კაცო, რა ღმერთი გიწყრება? რა გემართება? რაზე გვაფეთიანებ?“ იმედმოცემული ფირუზა მსახურებს და ცოლს არწმუნებდა, რომ წელან მის ოთახში ქურდები ფეხაკრეფით დადიოდნენ და ჩემს ყვირილზე დაფრთხნენო. მისი სიტყვით, ისინი შორს არ უნდა გაქცეულიყვნენ და ახლომახლო სადღაც უნდა დამალულიყვნენ.

ფირუზამ მსახურებთან ერთად დარბაზების და ოთახების ყველა კუთხე მოჩხრიკა. ათვალიერებდა ფარდებს, მაგიდებს, კარადებს, სავარძლებს, დერეფნებს, ტალანებს, კიბის ფოლორცებს, კიდეებს, მოფარებულ ადგილებს, მიყრუებულ კუთხეებს. ხელში სანთელი ეჭირა, მსახურებს წინ მიუძღოდა და გზას უნათებდა, თუმცა სახლში ჯერ კიდევ არ იყო ყველა კანდელიაბრი და ჭაღი ჩამქრალი. მსახურები კიბეებზე აჰყავდა და ჩამოჰყავდა. ყველა საეჭვო ადგილს აკვირდებოდა და ზვერავდა. მსახურებს დაუსრულებელი სიარული მობეზრდათ, მაგრამ ხმას არ იღებდნენ, ფირუზას უკან მორჩილად დასდევდნენ და ჩუმჩუმად იცინოდნენ. ამ ყოფაში მოუსწრო მათ შეზარხოშებულმა გრიგოლ ზანდაროვმა.

ფირუზას მისი მოსვლა გაეხარდა. მივარდა და სხაპა-სხუპით უთხრა: „გრიგოლ, გვიშველე, სახლში ქურდები არიან და დავიჭიროთო“. გრიგოლმა შუბლი შეჭმუხნა. შეშინებული ფირუზა დააშოშმინა, თეთრი ლიზა განზე გაიყვანა და ყურში ჩასჩურჩულა:

— ეგ ავათ არის.

თეთრმა ლიზამ თვალებიდან ცრემლი მოიწმინდა.

— ღვთისაგან არის შერისხული. სანამ საკუთარი ხელით სანთელს არ დაუნთებს, მანამდე ვერ მოისვენებს. ჩემი ლოცვა-ვედრება არა შველის.

გრიგოლმა აღარაფერი თქვა. თეთრ ლიზას შეშფოთება არ უნდოდა.

## 7. ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲗᲐᲮᲩᲐ

სულ ფული, ფული და კიდევ ფული.

**გაბრიელ სუნდუკიანი, „დაქცეული ოჯახი“.**

ქმრის სიყვითლით შეფიქრიანებულმა თეთრმა ლიზამ მრავალგზის ასუნებინა მას კრიალოსნის ქარვის მარცვლები, ტანსაცმელი და ლოგინი ნაკურთხი წყლით დაუნამა, ეკლესიაშიც მოუხშირა სირბილს და მარჩიელ-ექიმბაშებსაც მიაკითხა.

ცოლ-ქმრის საწოლ ოთახში თათრული აფთიაქის სუნი დატრიალდა. ეს აფთიაქი სიონის მახლობლად მდებარეობდა, ბნელ ჩიხში. იქ აღმოსავლური წამლები იყიდებოდა. იქიდან მოჰქონდა თეთრ ლიზას ბასმა, ინა, ფერუმარილი, ნიამფური და გულმოდგინედ ნალესდანაყილი ნელსაცხებელი და დასალევი.

თეთრი ლიზა ქმარს წამლებსაც აშველებდა და ღმერთსაც ავედრებდა. შინ გაუქრობლად ენთო წვრილი სანთლები. ეკლესიებშიც კი ყველა ხატს თითის სიმსხო, რგოლებ-რგოლებად ოქროდაკრულ სანთლებს უნთებდა. არც უშველებელი კელეპტრისათვის იშურებდა ფულს. მაგრამ ფირუზას არაფერი შველოდა,სიყვითლე სულ უფრო და უფრო ერეოდა, წინათ მთვარესავით გაბადრული სახე ფილხაზა გაუხდა, დაუშნოვდა, დაეღრიჯა, თვალები გაეცრიცა და ნაცრისფერი გადაეკრა, სულ ერთიანად დაილია, რაღაცნაირად შეიკუმშა და შარვალ-ხალათი ტომარასავით ჩამოეკიდა. შიგადაშიგ ენასაც ურევდა. ზოგჯერ ისე საწყალობლად ლუღლუღებდა, რაღაცით დამფრთხალი და შეშინებული, რომ მის შეშფოთებულ ცოლს არც სიტყვა ესმოდა, არც ნათქვამის აზრი.

თეთრი ლიზა მალე მიხვდა, რომ კაცებში ყველაზე ჭკვიანი ფირუზა ზანდაროვი ახლა ჭკუადაკარგული იყო.

ერთხელ ფირუზამ გრიგოლს ნიშნისმოგებით გადაულაპარაკა:

— მართალია, ენგი-დუნია მოიარე, მაგრამ ცარიელზე მაინც ვერ დამტოვებ.

გრიგოლმა მხრები აიჩეჩა. თეთრ ლიზას ჩუმად ჩაულაპარაკა:

— მაგას ეგ კრიჟანგობამ უყო.

ფირუზას კი საყვედურით მიმართა:

— კარგი ერთი და, ეგ საიდანღა მოიტანე?

კომშივით გადაყვითლებულ ფირუზას თვალების უაზრო ცეცება დასჩემდა და ცეტივით ლაპარაკიც.

ერთხელაც, როცა ყველანი გარეთ გაიგულა, თეთრ ლიზას ხვეწნით შეეხვეწა თხოვა:

— ლიზაჯან, გრიგოლს კარგად უყურე, სასმელში ან საჭმელში საწამლავი არ ჩამიყაროს.

თეთრი ლიზა ჯერ შეკრთა და გაჯავრებით წამოიძახა: „ქა, მაგას რას ამბობ?! შვილივით გაზარდე და ფეხზე დააყენე, ეგ სიტყვები გრიგოლზე პირიდან როგორ ამოგივიდაო“, მაგრამ მის საცოდავად გაცრეცილ და დაზაფრულ სახეს რომ შეხედა, მყისვე ყველაფერს მიხვდა.

თეთრმა ლიზამ ფირუზას ნათქვამი გრიგოლს უამბო. გრიგოლისათვის ეს მოულოდნელი არ იყო. თეთრ ლიზას სამძიმარივით გამოუცხადა:

— აკი გითხარი, ავათ არის-მეთქი.

ორივემ თავი ჩაჰქინდრა.

იმ დღის შემდეგ გრიგოლი ფირუზას თვალს აღარ აშორებდა.

ფირუზას მან ერთი უცნაურობაც შეამჩნია: იგი დიდხანს რჩებოდა იმ პატარა ოთახში, სადაც განძი იყო დამალული. ახალგაზრდა ზანდაროვი შეფიქრიანდა. ახლა მას გაუჩნდა დაგროვებული სიმდიდრის დაკარგვის შიში, რადგან ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ მისი ოჩხუბი შეშლილი იყო და შეშლილივით იქცეოდა.

იმ ოთახიდან ფირუზა ყოველთვის კმაყოფილი გამოდიოდა ხოლმე, აშოლლანურ სიმღერას ღიღინებდა, ან გაგუდულ-ჩახლეჩილი ხმით ხითხითებდა. ხელებსაც ისეთნაირად იფშვნეტდა, რომ რაღაცით ძალზე კმაყოფილი უნდა ყოფილიყო. დაეჭვებული გრიგოლი იმ ოთახის ფარდებში დაიმალა. ფირუზასთან პირისპირ შეხვედრის არ ეშინოდა, რადგან სერიოზულად იყო შეშფოთებული. შეშლილს შეეძლო მთელი ოქრო გარეთ გაეზიდა და ახალგაზრდა ზანდაროვი ცარიელზე დაეტოვებინა.

გრიგოლს დიდხანს არ დასჭირვებია ლოდინი. ფირუზა ოთახში ფეხაკრეფით შემოვიდა. ოთახის კარი გასაღებით დაკეტა. ხალიჩასთან მივიდა. ხალიჩა ჩამოხსნა. საიდუმლო თახჩა გაალო და იქიდან ოქროთი სავსე მძიმე ქილა გადმოიღო. სავარძელში ჩაჯდა. ქილა ფერხთით დაიდგა. შიგ ორივე ხელი ჩაჰყო, იქიდან ოქროები ჩხრიალით ამოიღო, ოქროს ფულებით გავსებულ მუჭის პეშვებს აღგზნებული თვალებით დააცქერდა. დიდხანს უყურა, დიდხანს ტკბებოდა და ერთობოდა ოქროების ხელებში თამაშით. მერე ოქროს ფულები ისევ ქილაში ჩაჰყარა, იქიდან მხოლოდ ერთი ოქრო ამოიღო, პირთან მიიტანა და გადაყლაპა. გრიგოლი ფარდის იქით ისეთნაირად შეინძრა, რომ კინაღამ თავი გასცა.

ფირუზამ ქილა ისევ თახჩაში შედგა. ახლა იქიდან სხვა ქილა გადმოიღო, წელანდელივით ოქროს ფულებს თამაში დაუწყო და ერთი ოქროს ფული კიდევ გადაყლაპა. ბოლოს ეს ქილაც ისევ თახჩაში შედგა და თახჩა დაკეტა (თახჩის გაღება და დაკეტა მხოლოდ ფირუზას და გრიგოლს შეეძლოთ საიდუმლო გასაღებით). ზედ ხალიჩა ჩამოაფარა. დაკეტილი კარები გააღო და ოთახიდან ღიღინით გავიდა. ამ უცნაური სანახაობით თვალგაშტერებული გრიგოლი მხოლოდ ახლა მიხვდა, თუ რატომ ჰქონდა ფირუზას ოქროსავით ყვითელი სახე. თან შვებით ამოისუნთქა. ფირუზას ბევრი ოქროს წაღება არ შეეძლო იქ, სადაც მისი წასვლა უკვე გარდუვალი იყო.

ამ ამბის გამო გრიგოლმა თეთრ ლიზასთან კრინტი არ დასძრა. საერთოდ, თეთრმა ლიზამ სახლში განძის არსებობის თაობაზე არაფერი იცოდა.

გრიგოლი იმ ოთახში აღარ შედიოდა. ჩაფიქრებული უყურებდა განძის ოთახისაკენ მიმავალ ფირუზას და შეუმჩნევლად პირჯვარს იწერდა. ფირუზას საქციელი უკვირდა და ანცვიფრებდა სოვდაგრებში ახალგაზრდა ზანდაროვს გაგონილი ჰქონდა, რომ მაშრიყის ქვეყნებში დიდვაჭრები ქარავნებით მოგზაურობის დროს ლალებსა და მარგალიტებს ყლაპავდნენ, როცა ყაჩაღები თავს ესხმოდნენ, მაგრამ რასაც ფირუზა ზანდაროვი აკეთებდა, სულ სხვა რამ იყო. ეს მის აღსასრულს ნიშნავდა.

## 8. სამნაირი სურვილი

ფული სჯობია თუ ჯანი?

გაბრიელ სუნდუკიანი, „პეპო“

მალე ფირუზა ლოგინად ჩავარდა.

დაბარებულმა მარჩიელებმა შეულოცეს, ექიმბაშებმა რაღაც ბალახბულახების წვენი დაალევინეს. მაგრამ ვერც შინაურმა წამლებმა, ვერც შეშინებულის და თვალდაკრულის შელოცვებმა, ვერც თათრის მოლების ავგაროზებმა ფირუზას ვერაფერი უშველეს. უარესად გახდა. ენით აუწერელი ტკივილები დაეწყო მუცლის არეში. გასივდა და რუმბივით დამრგვალდა. ექიმბაშებმა ეს წყალმანკს დააბრალეს და ახალი ბალახ-

ბულახების ხარშვას შეუდგნენ.

გრიგოლს ექიმი არ მოჰყავდა. თავმობეზრებული აუღელვებლად მოელოდა ფირუზას აუცილებელ დასასრულს.

სიბრალულის გრძნობა თანდათან უქრებოდა, ხოლო იმის შეგნება, რომ ფირუზა ზანდაროვის სიკვდილის შემდეგ აურაცხელი სიმდიდრის ერთადერთი მფლობელი გახდებოდა, სრულიად გულგრილს ხდიდა ყოფილი მფარველის, აღმზრდელის და ახლანდელი ოჩხუბის მიმართ.

გასავათებული თეთრი ლიზა ქმრის სარეცელს არ შორდებოდა. ქმარიც ებრალებოდა და საკუთარი თავიც. არ იცოდა ფირუზას ხელიდან გამოცლის შემდეგ როგორ იცხოვრებდა იმ კაცთან, რომლის ნამდვილი სახელი და გვარი ახლაც არ იცოდა.

ერთ დღეს ფირუზამ რაღაცნაირად მოიხედა, ცოლს ალერსიანად მიაცქერდა და უთხრა:

— ლიზაჯან, თუ გრიგოლმა სახლიდან გაგაგდოს, სასამართლოში უჩივლე.

თეთრ ლიზას გულმა რეჩხი უყო.

— ქა, მაგას როგორ იზამს, განა შვილივით არ გავზარდეთ?!

ფირუზამ გაიცინა.

— საქმეც ეგ არის, ლიზაჯან, ჩვენი გაზრდილია, ამიტომ კიდევ უფრო უნდა გვეშინოდეს.

თეთრმა ლიზამ ერთბაშად ვერ გაიგო, მერე როცა ქმრის ნათქვამის აზრს მიხვდა, ქმარს ფრთხილად შეაპარა:

— თადარიგი უნდა დავიჭიროთ, ფირუზჯან.

— ვერა ხედავ, რა დღეში ვარ? მე რაღას გიშველი?

— უიმე, უწინ დღე გამქრობია, — აწუწუნდა თეთრი ლიზა, — ანდერძი დასწერე და მოწმეებს დააბეჭდინე. მაშინ რაღას იზამს?

ფირუზამ ხელები გაიქნია, ცოლს შიშითა და ვედრებით შეხედა:

— არა, არა... სიკვდილს ნიშანი რათ უნდა მივცე...„ აი, ნახავ, მე კიდევ ფეხზე დავდგები...

რამდენიმე დღის შემდეგ ფირუზას მუცლის არეში ისეთი ტკივილები აუვარდა, რომ დაჭრილივით ღრიალებდა, გველივით იკლაკნებოდა, თავს კედელს ურტყამდა და ჰირის ოფლში იწურებოდა. ახალგაზრდა ზანდაროვი ფირუზას შეძრწუნებული დაჰყურებდა, გადაყლაპული ოქროები აგონდებოდა, მაგრამ ამის გამო სიტყვას არა სძრავდა, პირზე კლიტე ედო. არც ექიმს ეძახდა. თეთრ ლიზასაც ექიმების არაფერი სწამდა და მხოლოდ განთქმულ ექიმბაშებს აგლეჯდა კალთებს და ქალაქის ყველა უბნიდან მოჰყავდა, რათა ისინი მის ქმარს თავზე დასდგომოდნენ და ენითუთქმელი ტანჯვისაგან მოერჩინათ.

ექიმბაშებმა ავადმყოფს წყალში გახსნილი ხაშხაში დაალევინეს. ხაშხაშმა ავადმყოფი ჯერ გააბრუა, მერე ტკივილები გაუყუჩა. ფირუზამ თითქოს ჩასთვლიმა კიდეც, მაგრამ მალე ისევ მოუსვენარი წრიალი დაიწყო და ბოდვას მოჰყვა. წარამარა ფერმანგოვს ახსენებდა. შიგადაშიგ ახალგაზრდა ზანდაროვს ემუქრებოდა. ვიღაც ახარ-ბახარებს აგინებდა, რომელნიც მისი ფულით ღორებივით სუქდებოდნენ. ალაგ-ალაგ თეთრ ლიზასაც გადასწვდა, „თერძის ქალს“ეძახდა და გრიგოლის დოსტობას უსაყვედურებდა. გრიგოლმა და თეთრმა ლიზამ ერთმანეთს გადახედეს. ექიმბაშები და მარჩიელები დაუყოვნებლივ ოთახიდან დაითხოვეს.

ნაშუაღამევს ფირუზას ისევ აუვარდა ტკივილები. ექიმბაშებმა ისევ ხაშხაში გახსნეს წყალში. ხაშხაშით გააბრუეს და ტკივილები გაუყუჩეს.

მეორე დღეს თეთრმა ლიზამ მღვდელი დააძახებინა და სახლი გაანათვლინა, ავადმყოფსაც და მის ოთახსაც ნაკურთხი წყალი აპკურებინა. წამდაუწუმ პირჯვარს იწერდა და ხატებს მუხლისჩოქვით უვლიდა, მსახურებს კი სხვადასხვა ეკლესიებში გზავნიდა სანთლების დასანთებად. თვითონ სახლიდან ფეხს აღარ იცვლიდა, რადგან ქმრის გადარჩენის იმედი აღარა ჰქონდა. მის აღსას-

რულს ყოველწამს მოელოდა, სასთუმალთან მოუშორებლად უჯდა და გახურებულ შუბლზე ხან ყინულის ნაჭერს ადებდა, ხან ცივ წყალში გაწურულ ტილოს უცვლიდა.

აუტანელმა ტკივილმა და აუწერელმა ტანჯვამ ფირუზა გამოაფხიზლა. გონება დაეწმინდა. გონზე მოსული ახლა სიკვდილის შიშმა შეიპყრო. სიკვდილს ემალებოდა. სიკვდილს გაურბოდა. სიცოცხლეს ეპოტინებოდა. ფანჯრებისაკენ სულწასული იყურებოდა, მზის ოქროს მტვერში მოლივლივე ცარგვალს და ახალგადამწვანებულ ფოთლებს ხარბად აშტერდებოდა. სიცოცხლეს ებღაუჭებოდა. ყველას სიკვდილისაგან დახსნას ეჭვეწებოდა და ყელამდე ოქროში ჩასმას ჰპირდებოდა, ვინც კი მას სიკვდილისაგან დაიხსნიდა და სიცოცხლეს აჩუქებდა. გულაჩუყებული თეთრი ლიზა ქმარს ლოცვების თქმას ურჩევდა, მაგრამ ფირუზამ არცერთი ლოცვა არ იცოდა. სიკვდილის შიშმა მოულოდნელად მას ღმერთი გაახსენა, მაგრამ მყისვე ხელი აუქნია. ცოლს მღვდლის მოყვანასა და ზიარებაზე უარი უთხრა. თვალებიდან ცერისოდენა ცრემლები წამოსცვივდა. ძალ-ღონე მოიკრიბა და ჩაფიქრებულ გრიგოლს ნაწყვეტ-ნაწყვეტ უთხრა:

— გრიგოლ, სამი რამ უნდა ამისრულო...

— მითხარი, ფირუზჯან, გაუჩენარს გავაჩენ.

— მე დიდი დღე აღარ დამრჩენია... ამას ჩიჩინი აღარ უნდა... და ამასლა გთხოვ... აზარფეშით წითელი ღვინო დამალევინე... თარი მომიტანე... თექვსმეტი წლის გოგო ტანგახდილი მაჩვენე...

— უი, დამიდგეს თვალები! — შეჰყვირა თეთრმა ლიზამ და ტუჩებზე ორი თითი დაიდო.

გრიგოლმა ფირუზას თხოვნა არ გაიკვირვა, გაუღიმა და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— ამ ქვეყნად, — ამბობდა მომაკვდავი ფირუზა, — კაცი სიხარულისთვის არის გაჩენილი... თავი და თავი სიცილი, სიმღერა და სიყვარული არის... თავიდანვე ვიცოდი, მაგრამ ბოლოს ჭკუა დავკარგე... თეთრი და წითელი ნეტარების სასყიდელია... რასაც ფულით იყიდი და გაიხარებ, ის რატომ უნდა დასთმო... მე კი რა ვქენი... ახლა ამას აღარაფერი ეშველება... — გრიგოლს მუდარით შეხედა და თხოვნა გაუმეორა. — ამისრულე რაც გითხარი... სანამ ჩემს მუცელში ეშმაკები ისევ ფერხულს დაუვლიან... სანამ გონება მაქვს... სანამ ყურს ესმის და თვალი უყურებს.

ფირუზა გაჭირვებით, სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა, თან ცრემლები სდიოდა თვალებიდან. თეთრი ლიზა უკვე მოთქმით ზლუქუნებდა. ფირუზამ გაცინება სცადა, ცოლს გაეხუმრა:

— ლიზაჯან, შენსავით არავინ მიტირებს... კარგი ქალი იყავი, რა ვუყოთ, რომ მაკა გჯობდა, სამაგიეროდ შენ ყველა ცოლსა სჯობდი... შენს ამაგს არც ჩვენი გიგა დაივიწყებს... გიგაჯან, არ გეწყინოს, მაგრამ ამოდენა სიმდიდრეს ისევ წისქვილებთან, ჩვენს საწვრილმანოში ტკბილად ცხოვრება გვერჩივნა...

თეთრ ლიზას გული ამოუჯდა.

გრიგოლსაც ცრემლები მოადგა თვალებზე.

— ფირუზა ზანდაროვი თუ ალაპარაკდა... ხომ იცი რომ აღარ გაჩუმდება... რაღას უცდი, გიგაჯან.

ღვინისა და თარის შოვნას ფიქრი არა სჭირდებოდა. ძნელად შესასრულებელი ფირუზას მესამე თხოვნა იყო. თექვსმეტი წლის გოგოს პოვნა და მისი სნეულის წინ გაშიშვლება ადვილი საქმე არ იყო. მაგრამ გრიგოლ ზანდაროვმა მტკიცედ გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ნაამაგდარი ალმზრდელისათვის სამივე თხოვნა პირნათლად შეესრულებინა.

თეთრი ლიზა ცალკე გაიხმო, დასხდნენ და დიდხანს ილაპარაკეს. ღარიბი მეზობლების გოგოები გაიხსენეს და სათითაოდ ჩამოთვალეს. თეთრმა ლიზამ თავი გაიქნია, გრიგოლს გადაჭრით უთხრა:

— არა, გრიგოლჯან, აქედან არაფერი გამოვა. ღარიბები უფრო პატიოსნები არიან, ვიდრე მდიდრები. არავინ დაყაბულდება.

— ეგ მეც ვიცი, ლიზაჯან, მაგრამ ხერხს უნდა მივმართოთ. ძველი მეზობლები ჩამოიარე, ლამაზებში ყველაზე ლამაზი ამოარჩიე, დედ-მამას ფირუზა შეაცოდე, უთხარი ეს ამბავი მარჩიელის კარტში ამოვიდა-თქო, ისიც უთხარი, რომ ერთბაშად გავამდიდრებთ და სიღარიბიდან ამოვიყვანთ.

თეთრმა ლიზამ უარის ნიშნად ისევ თავი გაიქნია.

— არა, გრიგოლჯან, არც ეგ იქნება. ჩემსავით შენ ღარიბებს არ იცნობ. ეგეც არ იყოს, მეც ცოდო ვარ. ხალხში როგორღა გამოვჩნდე? ფირუზა როგორღა ვიტირო? ეჰ, ეგ რომ მაგ დღეში არ იყოს, მეც ჩემს იალქნებს აუშვებდი, მაგრამ რაღას ვიზამ? არ გაიგონე? სიკვდილის წინ ისევ მაკა აგონდება და ის ღვთისპირიდან გადავარდნილი დედაკაცი ეხლაც ენატრება! — თეთრმა ლიზამ გრიგოლს თამამად შეხედა. სახეზე ოდნავ წამოწითლდა და ურჩია. ისევ ის სჯობს, გასტინიციდან ან სამიკიტნოდან ახალგაზრდა გოგო მოუყვანო. მეც სირცხვილს გადავრჩები და ფირუზასაც თხოვნას შევუსრულებ.

გრიგოლი ჩაფიქრდა. თეთრი ლიზას რჩევა ჭკუაში დაუჯდა. ეტლით დაუყოვნებლივ ავლაბარში გაჭქანდა. ნაცნობ მიკიტანს მოელაპარაკა და ახალგაზრდა გოგოებში ყველაზე ტანადი და ლამაზი გოგო ამოარჩია.

## 9. მეძავი

საწყლის პური იაფად არ იშოება.
**გაბრიელ სუნდუკიანი, „პეპო"**

მიკიტანმა ჯერ ბევრი იცინა, მერე თავის ქნევით მოიგონა მთელ ქალაქში განთქმული „ლხინის პაპა".

მეძავი ქალი გრიგოლმა გადმოხურულ ეტლში წინა სკამზე დასვა, თვითონ უკანა სკამის ბალიშებზე მოთავსდა, ხელჯოხის კაუჭი მეეტლეს ზურგზე დაადო და ეტლი სოლოლაკისკენ გაარეკინა.

გზაში როსკიპს სხვათა შორის ჰკითხა:

— ვინ გაგყიდა?

— დავით გერმანოზიშვილმა.

გრიგოლმა გოგო ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა.

— სადაური ხარ?

— ბერთუბნელი.

ბერთუბანი ფანდურაანთ იოსების სოფელი იყო. ზანდაროვი ისეთნაირად შეიშმუშნა, როგორც ეს ადამიანებს დავიწყებული ამბის გახსენების დროს ემართებათ ხოლმე.

— რა გქვიან?

— ნათია.

ზანდაროვს ფანდურაანთ იოსების სახელი გაახსენდა და წარბი ასწია.

— რა გვარი ხარ?

— ფანდურაშვილი.

ეს ზანდაროვის ნამდვილი გვარი იყო. თუმცა ცნობისმოყვარეობა გაუცხოველდა, მაინც უხალისოდ იკითხა:

— ეგ სახელი ვინ დაგარქვა?

— ნათია მამიჩემის ბიძაშვილის ცოლს რქმევია, — რაღაცნაირის სიამაყით წარმოთქვა როსკიპმა გოგომ, — მამაჩემს ყოჩაღი და ლამაზი ბიძაშვილი ჰყოლია. იმის პატარძალი საყდრიდან ბატონს მოუტაცნია. იმასაც ბატონი მოუკლავს და გაქცეულა. პატარძალს კი ძუძუს თავზე დაუკრავს დანა. ჩვენს სოფელში ეხლაც სიმღერებში მღერიან ნათიას და იოსებას ამბავს. თურმე ძალიან ჰყვარებიათ ერთმანეთი. მამაჩემს თავის პატარაბიჭობაში ჰყოლია ნანახი ნათიაც და იოსებაც. მე რომ დავბადებულვარ, ჩემთვისაც ნათია დაურქმევია.

ზანდაროვი ერთხანს გაჩუმებული იჯდა. მერე მეძავს გულგრილად ჰკითხა:

— მერე, დაიჭირეს იოსება.

— არა, სათათრეში გადაიკარგა.

— საწყალი. — წარმოთქვა ზანდაროვმა. — იცი რა უნდა გააკეთო ჩემს სახლში? — ისევ გაუბა საუბარი გრიგოლმა სამიკიტნოს გოგოს.

— ვიცი. სუთია მიკიტანმა მითხრა.

— სუთიამ დაგაყენა მაგ ხელობაზე? მეძავმა გაიცინა.

— ავლაბრის სამიკიტნოებში სოფლელ გოგოებს მაშ რისთვის ყიდულობენ?

— სოფლელი გოგო მაგ ხელობას როგორ იტან?

— ობლობაში ვარ გაზრდილი, უპატრონო. ჩემთვის ყველაფერი სულერთია.

ზანდაროვმა დაამთქნარა. ღამე ნათევს და უძილოს თვალები ებლიტებოდა. წარსული ცხოვრებიდან და თავვადასავლიდან იგი იმდენად მოკვეთილი იყო, რომ თავად დავით გერმანოზიშვილის ხსენებამ მას მხოლოდ უბრალო ცნობისმოყვარეობა აღუძრა. არც ქორწინების იმ ღამის გახსენებას და ახლო ნათესავთან შეხვედრას აუღელვებია იგი.

მეძავად გადაქცეულ ნათესავისადმი არავითარ სიბრალულს არ გრძნობდა, პირიქით, მეეტლეს აჩქარებდა, რათა სანამ ფირუზას ჯერ კიდევ პირში სული ედგა, მისთვის მიესწრო და მისი თხოვნა შეესრულებინა.

## 10. ფირუზას სიკვდილი

ბაჰ! ბაჰ! ვინ აკაკუნებს კარებზე: ვინ არის მანდ? სიკვდილი. მოემზადე წასასვლელად.

**კლოდ ტილლიე „ჩემი ძია ბენჟამენი“**

გრიგოლმა მეძავი გოგო თეთრ ლიზას ჩააბარა. ავადმყოფის ოთახში კარებთან ჩამომსხდარი ექიმბაშები და მარჩიელები დაითხოვა. მსახურებიც მიფანტ-მოფანტა და თვითონ დადგა კარებთან დარაჯად.

მეძავს ტანსაცმლის გახდაში თეთრი ლიზა ეხმარებოდა, თან „სულითხორცამდე წაწყმედილ“ ქმარზე ბრაზდებოდა. გოგო თვინიერად იდგა. არც რცხვენოდა, არც წითლდებოდა. თეთრმა ლიზამ ავად შეუბღვირა, მაგრამ მყისვე მოაგონდა რომ მის წინ ავლაბრის სამიკიტნოს კახპა იდგა.

გაშიშვლებული და თმაჩამოშლილი გოგო ფირუზა ზანდაროვს ოთახში შეუგდეს.

ეროვნული

გრიგოლ ზანდაროვმა ისე გაეცინა, როგორც ასეთ დროს ფირუზა ზანდაროვი იცინოდა ხოლმე.

თეთრი ლიზა აწუწუნდა:

— ქა, გაგონილა?! მთელი ცხოვრება ფირუზას გოგოებსა და ბიჭებს ვსდიე, ეხლა კვდება და მაინც თავისას არ იშლის. თუ ეს ამბავი გამჟღავნდა, თავი სადღა გამოვყო?

გრიგოლმა სიცილით ანუგეშა:

— ფირუზა ზანდაროვი ისე კვდება, როგორც ცხოვრობდა. დარდი ნუ გაქვს, ლიზაჯან, ჩემი ქისა ვისაც გინდა გააჩუმებს.

ქისის ხსენებაზე თეთრ ლიზას დაუწერელი ანდერძი გაახსენდა. საყვედურით წარმოთქვა:

— მაგისთანებს ისევ ის არა სჯობდა, რომ ანდერძი დაეწერა და დაებეჭდა!

გრიგოლმა გულდასმით შეათვალიერა თეთრი ლიზა. მისი შიშის მიზეზი მისთვის მყისვე გასაგები გახდა, ყელზე ღედამშვილურად მოეხვია, მხურვალედ აკოცა და ალერსიანად უთხრა:

— ჩვენ ქაღალდები რათ გვინდა, ლიზაჯან? რასაც ხელს დაადებ, შენი არ არის? შენ ოღონდ მითხარი რა გინდა და რა გჭირდება!

თეთრმა ლიზამაც მადლიერებით შეხედა ფირუზას აღზრდილს, ხმაში ცრემლი გაუჩნდა:

— მაშ, მაშ, ფირუზას დამკარგავს შენს გარდა სხვა ვისი იმედი უნდა მქონდეს!

— მეც შენს მეტი ვინა მყავს?

წამოიძახა გრიგოლმა და ერთხელ კიდევ მოეხვია თეთრ ლიზას, რომელსაც მისმა სიტყვებმა გულიც აუჩუყა და ეჭვიც აღუძრა.

მის თვალში დაბეჭდილ „ანდერძის ქაღალდს“ უფრო მეტი ფასი ჰქონდა, ვიდრე ახალგაზრდა სოვდაგრის აღთქმას.

იმ ოთახში, სადაც ფირუზა კვდებოდა, ბევრი ძვირფასი ნივთი გაქრა. გრი-

გოლმა ეს შეამჩნია, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია. მას არც ის ვეებერთელა სკივრი მოხვედრია თვალში, რომელიც სხვადასხვა სამკაულებით იყო გავსებული და რომლის გასაღები თეთრ ლიზას ჯვართან ერთად ყელზე ეკიდა. იმით იძინებდა და იღვიძებდა. მრავალჭირნახული, ათასნაირ ჯავრსა და დარდს გამოვლილი დედაბერი თადარიგს იჭერდა.

ფირუზას ოთახის წინ კედელთან გამწკრივებულ მსუბუქ, მოოქროვილ სავარძლებზე გრიგოლ ზანდაროვი და თეთრი ლიზა მასლაათით გართულნი ისხდნენ და იმ ოთახიდან მეძავი გოგოს გამოსვლას უცდიდნენ.

კარებთან ოდნავ შემკრთალი გოგო გამოჩნდა.

თეთრმა ლიზამ ის მყისვე მეზობელი ოთახისაკენ გააქანა, გრიგოლი კი ფირუზას ოთახში შევიდა.

ფირუზა კედლისკენ პირშებრუნებული იწვა.

— ღვინო მომიტანე... — მოესმა გრიგოლს მისი მისუსტებული ხმა, — მაგრამ შიგ წყალი არ გაურიო...

გრიგოლმა ნათქვამის აზრი ვერ გაიგო.

— დალოცვილო... აშოღლანი კვდება თუ სოვდაგარი? გარყვნილი ვიყავი... მაგრამ სამიკიტნოს გოგოებს ახლოს არ გავკარებივარ... კარგი... კარგი... ეს ფლუსტი იყოს... ორი რამე მაინც შემისრულე...

გრიგოლმა აზარფეშით ღვინო მოურბენინა. თავისი ხელით დაალევინა აღმზრდელს, რადგან ფირუზას გრძელტარიანი აზარფეშის ხელში დაჭერის თავი აღარა ჰქონდა. თეთრი ლიზაც იქვე იდგა. ქმარს თეთრ-ყვითელ ულვაშებზე, ნიკაპზე და პერანგის საყელოზე დაღვრილი წითელი ღვინის ლაქები ხელსახოცით მოწმინდა და ბალიშები მზრუნველობით გაუსწორა. ფირუზა თვალდახუჭული იწვა. მძიმედ სუნთქავდა. თეთრი ლიზა ქმრისკენ სწრაფად დაიხარა და ყურში კვლავ მღვდლის მოყვანის თხოვნა ჩასჩურჩულა.

— თარი...

ამოიხრიალა მომაკვდავმა.

თარი იქვე მაგიდაზე იდო. ფირუზას ხელში მისცეს და ძლივს დააჭერინეს. ძველ დამკვრელსა და მომღერალს თითები არ დაემორჩილა. სუსტად ჩამოჰკრა სიმებს და უსიამოვნოდ ააჟღარუნა. თარი ხელიდან გაუვარდა, საბანზე გადაუგორდა და იატაკზე ზრიალით დაეცა. ფირუზამ თვალები დახუჭა. თეთრი, გაბურძგნული წამწამები მსხვილი ცრემლებით დაუსველდა. თეთრმა ლიზამ პირზე ხელსახოცი მიიფარა, რათა ქვითინი ჩაეხშო და მომაკვდავი ქმარი არ შეეწუხებინა.

ერთი წამით თვალწინ დაუდგა მეტეხის ციხესთან მრგვალ აივანზე დაირით ხელში გადმომდგარი ტანმორჩილი გოგო და ციხის პატარა სარკმელზე მომდგარი მწითური ბიჭი. გული ყელში მოებჯინა, მაგრამ თავი შეიმაგრა. ქმარს დაბნეული დასცქეროდა და დროგამოშვებით პირჯვარს იწერდა.

ფირუზას თვალებზე რული ეკიდებოდა. სთვლემდა და ძილი ერეოდა.

თეთრი ლიზა ქმარს სასთუმალთან მიუჯდა, გრიგოლი შორიახლო დაჯდა.

შუაღამისას ფირუზამ გრძნობა დაჰკარგა და განთიადზე საშინელი ტანჯვით გარდაიცვალა.

თვალები თეთრმა ლიზამ დაუხუჭა.

გრიგოლი წელში გასწორდა.

ახლა ის ერთადერთი ზანდაროვი იყო.

## 11. ჯვარისწერის ქაღალდი

შენ ქაღალდს უყურე, სიტყვას რას კითხულობ!

**ქალაქური დიალოგი**

ფირუზა ზანდაროვის სიკვდილის ამბავი მთელ ქალაქს მოედო.

სოვდაგრები ქარვასლებიდან მოცვივდნენ.

ყველას ერთბაშად მოაგონდა მხიარული „ლხინის პაპა“.

ყველა მის კარგკაცობაზე ლაპარაკობდა, ავი არც არავის უთქვია და არც ვინმეს გახსენებია.

გრიგოლ ზანდაროვმა თავისი აღმზრდელი ისეთნაირად გააპატიოსნა, რომ ქალაქში დიდხანს ელაპარაკათ.

პანაშვიდებზე მართმადიდებელი მღვდლები, სომხის ტერტერები და კათოლიკე პატრები ერთმანეთში იყვნენ არეულნი. არავის გაკვირვებია, რომ მდიდარსა და განთქმულ სოვდაგარს სხვადასხვა სარწმუნოების მღვდელმსახურები უგებდნენ წესს. არც ის გაუკვირდებოდათ ფირუზა ზანდაროვის პანაშვიდზე თათრის მოლები რომ გამოჩენილიყვნენ.

ამის ნამდვილი მიზეზი კი სულ სხვა იყო.

სომხური ეკლესიის დავთრებში გეურქა ზანდაროვის სახელი მოჩხრიკეს, ხოლო კათოლიკურ ეკლესიაში ფრანჩესკო ზანდაროვის სახელი. საბუთები ტერტერებმა და პატრებმა გრიგოლ ზანდაროვს წინ დაუდეს. გრიგოლი შეფიქრიანდა, თეთრ ლიზასთან ჩურჩული გააბა. თეთრმა ლიზამ ეს აინუნში არ ჩააგდო. მან მართმადიდებლების ეკლესიაში გიორგი ზანდარაშვილთან ჯვარისწერის ისე კეწკეწად შენახული ქაღალდი გამოაჩინა, რომ ტერტერების და პატრების საბუთები მყისვე გააბათილა.

მიუხედავად ამისა, პანაშვიდებზე სომხის ტერტერები მაინც გეურქა ზანდაროვს ავედრებდნენ ღმერთს, ხოლო კათოლიკე პატრები ფრანჩესკო ზანდაროვს.

მართლმადიდებელი მღვდლებიც გულმოდგინედ ასრულებდნენ წესს.

მღვდლებიც, ტერტერებიც და პატრებიც გრიგოლ ზანდაროვის მიერ გულუხვად იყვნენ დასაჩუქრებულნი.

ყველაზე მეტი მან მაინც ტერტერებსა და პატრებს მისცა, რადგან ეშინოდა ამ საქმეში ეგზარხოსი არ ჩარეულიყო და მართლმადიდებელთა ეკლესიას იმაზე მეტი არ წაეღო, რაც უკვე მიცემული ჰქონდა.

პანაშვიდების დროს დაქვრივებულ თეთრ ლიზას მარცხნივ მაიკო კურტანიძე უჯდა, მარჯვნივ ფერშანგოვის დედა.

ჰირისუფლისა და ქვრივის როლს ის ისევე კარგად ასრულებდა, როგორც ცოლის როლს ასრულებდა. ხან ცივად გაჰკიოდა, ხან გულსაკლავად იმდუღრებოდა. მხოლოდ მაშინ ჩუმდებოდა. როცა მიცვალებულის ოთახში გრიგოლ ზანდაროვის ნაცნობი დიდკაცები სამძიმრისათვის შემოდიოდნენ. მეზობლებს, თავდახურულ დედაკაცებს და სოვდაგრების ჯალაბებს კი არ ერიდებოდა .პირიქით, მათ დასანახად და გასაგონად თავში ხელებსაც იშენდა და ხმამაღლაც მოსთქვამდა.

ისინიც ტოლს არ უდებდნენ მოთქმა-ტირილში.

სერთუკიანი ბართლომე კურტანიძე კედელთან ფეხმოუცვლელად იდგა. ბაღდადი ხელში არ ეჭირა, რადგან ტირილს არ აპირებდა, სადღაც, ყავისფერი თვალების სიღრმეში იდუმალად გაციებული ღიმილით დასცქეროდა სულერთიანად გამოცვლილ და საოცრად გადაყვითლებულ ფირუზა ზანდაროვს, რომელიც აღარც მისთვის და აღარც სხვებისთვის საშიში აღარ იყო. უხაროდა, რომ კუბოში ფირუზა ზანდაროვი იწვა და არა ბართლომე კურტანიძე. მისი ჩაბნელებული თვალების გუგებში მაცდურად მიმალული ღიმილი ამ აზრის გამონაკრთომი იყო.

ფირუზა ზანდაროვი გაქვავებული იწვა მუხის კუბოში. თავით და ფერხთით ოთხი გრძელი კელაპტარი ენთო. ძლიერი სინათლით განათებული მისი ყვითელი სახე ყველას თვალში ხვდებოდა. მკერდზე ორი მრგვალი პური ედო. როცა საიქიოში ფირუზა ბეწვის ხიდზე გაივლიდა და სამოთხის კარს მიადგებოდა, ჯერ ერთი პური, მერე მეორე სამოთხის ალაყაფთა დარაჯად ამართული ორი ასლანისათვის უნდა გაეგდო. სანამ ასლანები პურს დასწვდებოდნენ, უნდა მოესწრო და სამოთხეში შევარდნილიყო.

ერთი სიტყვით, ფირუზა ზანდაროვი საიქიოშიც ისევე უნდა მოქცეულიყო, როგორც სააქაოში იქცეოდა.

## კარი მეცხრამეტე

ეროვნული ბიბლიოთეკა

### 1. მოგზაურობა თბილისის მოედნებზე

აქ ერთმანეთს ხელს უწვდიან ევროპა და აზია.

**ფრიდრიხ ბოდენშტედტი, „1001 დღე“**

მეცხრამეტე საუკუნის 40-იან წლებში თბილისმა ევროპული იერი მიიღო. სოლოლაკმა და გარეთუბანმა უკან მოიტოვა ანჩისხატის უბანი, თათრის მოედანი, მეტეხი, აბანოების რიგები, ხარფუხის აღმართ-დაღმართები და ნარიყალა.

ძველი ქალაქი, თავისი პატარა და აივნიანი სახლებით, სადღაც ქვემოთ, მტკვარზე მიკრული აღმოჩნდა, ხოლო ახალი ქალაქი ახალ უბნებში ღონივრად შლიდა მხრებს, ფართოვდებოდა, ლამაზდებოდა და მშვენდებოდა.

ქალაქი აქეთ შაიტახტისკენ მიიწევდა, იქით — მამა-დავითისაკენ. სწრაფად ქრებოდნენ ჯაგნარი და ხევ-ხუვები ვერის მიდამოებში.

ნიკოლოზის, ერევნის და ალექსანდრეს მოედნებზე. ხანის, ველიამინოვის და ინჟინრების ქუჩებზე ხუროთმოძღვრები იტალიური სტილის ქვის სახლებს აშენებდნენ, ვენეციური და ფლორენციული შენობები თავს იწონებდნენ ძველი, პირდაუბანელი ქუჩებისა და შუკების შორიახლო.

თბილისი იერსა და ელფერს იცვლიდა.

„ირაკლის ფაიტონის“ (მამა-პაპური ურმის) გვერდით ეტლებიც გამოჩნდნენ. ყურთმაჯებიან სოვდაგრებს და ჩოხა-ახალუხიან თავადაზნაურებს გვერდში ახალგაზრდა „ხახვის ფრანტები“ ამოუდგნენ. გამრავლდნენ პოლიციელნი, მოხელენი, წვრილი მრეწველნი, ჯამბაზები, ქურდები, როსკიპები, გლახები და გაურკვეველი ხელობის ადამიანები.

გაჩნდა ევროპული სანახაობანი და გასართობები.

დიდკაცობა კეთილშობილთა საკრებულოში ერთობოდა, მოხელენი რუსულ დრამატულ თეატრში ატარებდნენ დროს, ვაჭრები და ხელოსნები მოხეტიალე მსახიობების ბალაგანებს ეტანებოდნენ, მდაბიონი და ძველი ყაიდის ვაჭარ-ხელოსნები ყარაგოზას ჩრდილების თეატრს, ნაღდს, სალაყბოს, კრივსა და არიფანას.

საკრებულოში ბანქოს თამაშობდნენ. ისინი, ვინც მწვანე მაგიდებს არ უსხდნენ, ცეკვით ერთობოდნენ. მეფის ნაცვლის თეატრად გადაკეთებულ მანეჟში რუსული დასი ფარსებს, ვოდევილებს და მელოდრამებს არდგენდა. ხალხმრავლობა იყო ევროპული ემიგრანტების სასტუმროებში, რესტორნებსა და ყავახანებში.

ხალხის ფუსფუსი თბილისის ბოღლნებსა და ბულვარებზე ნაშუადღევს იწყებოდა.

ზოგნი სეირნობდნენ, ზოგნი გრძელი ხის მწვანე სკამებზე ისხდნენ, ზოგნი უთავბოლოდ დაბორიალობდნენ და ზოგნი ახლადტანაყრილ ცაცხვებ ქვეშ ნაცნობებს უცდიდნენ და წამდაუწუმ საათს დასცქეროდნენ.

ხელიხელგაყრილი ქალ-ვაჟნი სანახაობათა საყურებლად გარბოდნენ, ხნიერნი ნელი ტაატით დასეირნობდნენ და ერთმანეთს მდაბლად თავს უკრავდნენ.

ვოლტიჟორ ჟან პოლს ერევნის მოედანზე ბალაგანი ჰქონდა გამართული. გერმანელი შულცის მხატვრულ კაბინეტში თბილისელებს ჰამბურგიდან ჩამოტანილ სანთლის ფიგურებს უჩვენებდნენ. ნიკოლოზის მოედანზე მექანიკოს კრამერის პატარა თეატრში თოჯინებს ათამაშებდნენ. ჯამბაზი ფრანც ბრონი სათამაშო ქაღალდების საშუალებით ხელის სისწრაფის დემონსტრაციას ახდენდა და გულუბრყვილო მაყურებლებს თვალს უნცვიფრებდა.

გრიგოლ ზანდაროვმა ყველა გასარ-

თოკზე სათითაოდ ჩამოუარა, ყველგან ცხვირი შეჰყო და ყველგან გამოჩნდა, რათა პარიზულად მორთულ-მოკაზმული წარმოსადეგი მამაკაცი ყველას დაენახა და ყველას მასზე ელაპარაკა.

ნაადრევი გაზაფხულის მზიანი ამინდი იდგა.

მოედნებსა და ბულვარებზე ხალხი ზიმზიმებდა.

სოლოლაკის ხევთან, ბაზრის ფარდულების მახლობლად, ნავებიანი საქანელაა ამართული. საქანელას ნავებით ქალ-ვაჟები დაქანაობენ. იქვე კარუსელი ბრუნავს. კარუსელის ხის, ჭრელ-ჭრულად შეღებილ ცხენებსა და ეტლებში ბავშვების მაგივრად მოზრდილები სხედან. სამაგიეროდ კარუსელი ფეხშიშველა პატარა ბიჭებს მოჰყავთ მოძრაობაში. ისინი კარუსელის პატრონს ფრაკში გამოწყობილ ფრანგს დროგამოშვებით კარუსელის შიგნითა კიბით მაღლა აჰყავს და წრისებური ფიცარნაგის გამოშვერილ ბოძებთან აყენებს. ზარის დარეკვისთანავე თითოეული ბიჭი თავის ბოძს ხელებით აწვება, კარუსელი ჯერ ნელა იწყებს მოძრაობას, მერე, როცა ბიჭები სრიალს უჩქარებენ, მთელი კარუსელი, ხის ცხენები, ეტლები და მათი მგზავრები თავბრუდამხვევად ტრიალებენ. პატარა ბიჭები არა ჩანან, რადგან წრისებურ ფიცარნაგს შავი ხავერდის განიერი, ოქროსფრად მოხატული არშია აქვს შემოვლებული. ამიტომ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს კარუსელი რაღაც უხილავი ძალით ბრუნავდეს და ტრიალებდეს.

კარუსელისა და საქანელას გარშემო აუარებელი მაყურებელი სეირს უყურებს. მაგრამ ბრბო მარტო აქ არ იყრის თავს. სადღესასწაულოდ ჩაცმულ-დახურული ხალხი მრავლად ეტანება ძველებურ ქალაქურ გასართობსანახაობებსაც.

მხიარულ ბრბოში ოჩოფეხებზე შემდგარი აბელი მარდად დაიარება და გამვლელ-გამომვლელს აცინებს. ორ მაღალ ბოძს შუა ჰაერში გაჭიმულ თოკზე ჯამბაზი თამაშობს. მას ჩოხაზე პაწაწინა ზარები და წმ. გიორგის ჯვრები აქვს ჩამოკიდებული — და თოკზე ხტუნაობის დროს ზარები და ჯვრები ყურისწამღებად ჟღარუნობენ. თოკის ქვეშ გრძელქუდიანი ტაკიმასხარა დახტის, დარბის, მალაყებს გადადის და მერე სასაცილო ქუდით ბრბოში გროშებს აგროვებს.

ტაკიმასხარა გრიგოლ ზანდაროვთან სხარტი მალაყით გაჩნდა, წინ დაუხტა, ქუდი მოუხადა და სამოწყალოდ გაუშვირა.

ზანდაროვმა ხელი შარვლის ჯიბეში ჩაიყო, იქიდან მუჭით ვერცხლის ფულები ამოიღო და ტაკიმასხარას ქუდში ჩაუყარა. ტაკიმასხარამ ნადავლი მკერდზე მიიკრა, ისევ განზე გახტა, რამდენიმე მალაყით თოკის ქვეშ გაჩნდა და ქუდი თოკზე გაჩერებულ ჯამბაზს აუგდო.

მაყურებლებმა ცნობისმოყვარეობით შეათვალიერეს გულუხვი მწყალობელი. ბრბოში ჩურჩული გაისმა. ვიღაცამ „მილიონერი" ახსენა. ამ სიტყვაზე გრიგოლ ზანდაროვისკენ ერთმა ლამაზმა ქალმა მოიხედა, რომელსაც თან ახალგაზრდა კორნეტი ახლდა. ქალს ისეთი კეთილი სახე და საოცრად ნათელი შავი თვალები ჰქონდა, რომ ზანდაროვმა უნებლიედ მას ისე გაუღიმა, როგორადაც ის არასოდეს არ იღიმებოდა. იმ ქალის და გრიგოლ ზანდაროვის თვალები ერთი წამით შეხვდნენ ერთმანეთს.

ქალმა ერთხელ კიდევ მოიხედა მისკენ, მაგრამ იმწამსვე ამოძრავებულმა ბრბომ ჩაითრია და გაიტაცა.

ზანდაროვი სწრაფად გაექანა მისკენ, მაგრამ თვალი ველარსად მოჰკრა. ხან საქანელას ეცა, ხან კარუსელს მივარდა, აქეთ-იქით იხედებოდა, მაგრამ იმ ქალს ვერსად პოულობდა. თვითონაც ბრბოს მორევში მოქცეული ძლივსძლივობით იკვლევდა გზას. ისედაც მაღალი თავს უფრო მაღლა სწევდა, თვალებით ყველგან იმ ქალს დაეძებდა, იდაყვების ჩქარი მოძრაობით მიარღვე-

ვდა ბრბოს, ბევრს ტლანქად ჰკრავდა ხელს, თვითონაც ხვდებოდა მუჯლუგუნები, სულ განზე და წინ წასვლას ცდილობდა, მაგრამ ის ქალი აღარსად ჩანდა.

ბოლოს, როგორც იქნა, ბრბოს თავი დააღწია, სამშვიდობოს გავიდა, შორიდან დაუწყო გამვლელ-გამომვლელს თვალიერება, ყავახანებშიც შეიხედა, მაგრამ ის ქალი ვეღარსად იპოვა.

ყავახანების წინ დიდხანს იტკეპნებოდა. ირგვლივ მოუსვენრად იყურებოდა. თვითონაც არ იცოდა რატომ ღელავდა ან რისთვის სწყუროდა იმ ქალის ხელახლა დანახვა.

ნაცნობები თავს უკრავდნენ, მაგრამ გრიგოლი ვეღარავის ამჩნევდა. ყველგან იმ ქალის თეთრფრთებიანი ქუდი ელანდებოდა.

## 2. მტრედებზე ნადირობა

*მობრძანდით და იგემეთ ნადირობის სიამოვნებანი.*

*ჩარლზ დიკენსი, „ჩვენი საერთო მეგობარი“*

ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ ზანდაროვი ნიკოლოზის მოედნისაკენ გაემართა. უეცრად კრამერის თეატრთან იმ ქალს კვლავ მოჰკრა თვალი. კორნეტი სალაროში ბილეთს ყიდულობდა. ქალი ოდნავ განზე იდგა. როცა მათი თვალები ისევ შეხვდნენ ერთმანეთს, ქალი მას ერთი წამით ცნობისმოყვარეობით დააცქერდა და მყისვე სწრაფად მიაბრუნა თავი. თამამი ზანდაროვი მისკენ გაბედულად გაემართა, შიუახლოვდა კიდეც, მაგრამ სწორედ ამ დროს კორნეტმა ქალს მკლავი შეავება და ორივენი თეატრში შევიდნენ.

ზანდაროვი მათ ფეხდაფეხ მიჰყვა. სალაროსთან მისვლით თავი არ შეუწუხებია. კონტროლიორს ხელში დაჭმუჭნული ქაღალდის ფული ჩაუდო და თვითონაც თეატრში აღმოჩნდა.

ქონის სანთლებით სუსტად განათებულ პატარა დარბაზში ძნელი იყო იმის გარჩევა, თუ სავარძლების რომელ რიგში დასხდნენ ახალგაზრდა კორნეტი და მისი მხლებელი ქალი. ზანდაროვი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა თოჯინების თამაშს და სკამებს ჩაწნულებულ მწკრივებში იმ ქალის ფრთიანი ქუდის დანახვას ცდილობდა. წარმოდგენის დამთავრებისთანავე იგი გარეთ გავარდა, რათა იმ ქალს წინ დადგომოდა, მისთვის ქუდი მოეხადა და თავი დაეკრა, როგორც ამას „ხახვის ფრანტები“ სჩადიოდნენ თბილისის ბულვარებზე.

ზანდაროვი საშინლად გაოცდა, როცა დაინახა, რომ თეატრიდან გამოსული ქალი და კორნეტი ეტლში სხდებოდნენ. ქალს ზანდაროვის დანახვისთანავე ბაგეზე ღიმილი აუთამაშდა და მას ცნობისმოყვარეობით გადმოხედა. ეტლი ვერის მიმართულებით გაგრიალდა. ეტლის შოვნა ადვილი არ იყო. იღბალზე ერთი გაბღენძილი ვაჭარი იმდენხანს ევაჭრებოდა ერთ მეეტლეს, რომ მობეზრებულმა მეეტლემ ცხენები კალოუბნისკენ მიატრიალა. ზანდაროვი თვალის დახამხამებაში აიტა ეტლში და მეეტლეს უბრძანა წინ წასულ ეტლს დასდევნებოდა. გაბღენძილმა ვაჭარმა მას „გიჟ ვრაცუა“ მიაძახა და თავისა და ხელების ქნევით გაბუტულ ცოლ-შვილს მიუბრუნდა.

წინ წასული ეტლი ვერის ბაღთან იმ ადგილზე გაჩერდა, სადაც თბილისის „ოქროს ახალგაზრდობა“ იკრიბებოდა და მტრედების ნიშანში ამოღებით ერთობოდა. ვერის ბაღი მუდამ სავსე იყო დარდიმანდი და არშიყი ახალგაზრდებით. აქ არც ვაჭრები მოდიოდნენ და არც დარბაისელი თავადები.

უცნობი ქალი ნიაზით ადევნებდა თვალს მტრედების ნიშანში ამოღებას. მის შორიახლო „ხახვის ფრანტები“ დაბორიალობდნენ, თავიანთი ლორნეტიდან სრულიად მოურიდებლად უფრო ლამაზი ქალის მაღალ კისერს და თეთრფრთებიან ქუდს უყურებდნენ, ვიდრე უფოთლო ხეების ტოტებზე ერთიმეორის მიყოლებით დაკიდებულ მავთულის რგოლებზე დასმულ მტრედებს.

ზანდაროვი უცნობი ბანოვანის უკან დადგა. ქალმა ინსტინქტურად იგრძნო ეს, მისკენ მოიხედა და წყნარად გაუღიმა. გათამამებული ზანდაროვი ისის იყო მას გვერდში უნდა ამოდგომოდა, მაგრამ მან ამაყად მოიღერა კისერი, კორნეტს გატენილი თოფი ჩამოართვა და ერთ-ერთ მტრედს დაუმიზნა. თოფის გავარდნისთანავე მტრედი ფეხებით დაეკიდა მავთულის რგოლზე. „ხახვის ფრანტებმა“ ქალს ტაში დაუკრეს, გოგოსავით გაწითლებულმა კორნეტმა კი მას წარმატება მიულოცა. ბანოვანმა ისევ ზანდაროვისკენ მოიხედა, მაგრამ აღარ გაუღიმა, პირიქით, წარბი შეკრა და ტუჩები გაბრაზებით მოკუმა. ზანდაროვმა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, რადგან მიხვდა, რომ მას ჩვეულებრივი სითამამე ღალატობდა. ქალის ამრეზილმა გამომეტყველებამ მასთან გამოლაპარაკება ვერ გააბედვინა.

ქალს მალე მოსწყინდა მტრედებზე ნადირობა. კორნეტს რაღაც უთხრა და როცა ზანდაროვს გვერდით ჩაუარა, დაკვირვებით შეხედა და გაიფიქრა: „ლამაზი კაცია, მაგრამ ჩემი კორნეტივით ახალგაზრდა აღარაა. მერე რა ვუყოთ? აღარც მე ვარ ნორჩი. საინტერესოა, მაინც ვინ არის? ანგლიელივით არის ჩაცმული, მაგრამ ქართული სახე აქვს, სურათოვანი ცხვირი, ლამაზად მოკრიალებული თვალები და გაწყობილი ტუჩ-კბილი. ეტყობა, უცოლოა ან ქვრივი, რადგან ცოლიანი კაცები ასე არავის არ ეტორღიალებიან“. ასეთმა დასკვნამ ქალს კოპები გაუხსნა და ზანდაროვს ეტლიდან ერთხელ კიდევ დაკვირვებით გადმოხედა.

ქალის გამამხნევებელმა ღიმილმა ზანდაროვი ბზრიალასავით დაატრიალა. ეტლს დაედევნა და თავისი მეეტლე დაარიგა იმ ეტლისათვის თვალი არ მოეშორებინა, არამც და არამც მხედველობიდან არ დაეკარგა და შორიახლო ევლო. ამის შესრულება ძნელი არ იყო, რადგან იმდროინდელ თბილისში ეტლები თითზე ჩამოითვლებოდა.

უცნობი ბანოვანი და მისი კავალერი ეტლიდან ცელერიუსის საკონდიტროსთან ჩამოხტნენ, შიგ შევიდნენ, სტრასბურგული ქადა და ლიმონათი მოითხოვეს და საუბარი გააბეს.

ზანდაროვიც საკონდიტროში შევიდა და მათ მახლობლად მაგიდას მიუჯდა. ქალმა მას პირი აღარ უჩვენა, კორნეტი კი ისეთი შეფრფვინვით შესცქეროდა წლოვანებით აშკარად უფროსს, მაგრამ მეტისმეტად ლამაზ ქალს, რომ ჯიუტად ატორღილებული ზანდაროვი მას ერთხელაც არ შეუმჩნევია.

სანამ ქალი ქადას ჰრიდა და მიირთმევდა, ზანდაროვი თავისთვის ფიქრობდა: „ნეტავი ვინ არის ან სადაურია? ეს ლამაზი ქალი არსად არ შემხვედრია, ქართველი რომ არის, ამას ლაპარაკი არ უნდა, მაგრამ თავადის, მოხელის თუ ვაჭრის ასულია? ხანიც კარგა მაგრად ეტყობა, თუმცაღა გაუთხოვარი უნდა იყოს. ქმრიან ქალებს ასეთ ადგილებში ასეთნაირად არ შესციცინებენ, როგორადაც ეს ჩვენი თმახუჰუჭა კორნეტი ირჯება. მაინც ვინ უნდა იყოს? თუ ქალაქელია, ამნაირი სილამაზის ქალი მე რატომ არ მეცოდინებოდა? ან მდიდრების წვეულებაზე გამოჩნდებოდა ან თეატრში“.

ზანდაროვი ამგვარი ფიქრებით იყო გართული, როცა ქუჩაში რამდენიმე ქართველი ოფიცერი გამოჩნდა. ქალმა მათ შორიდან გაუღიმა და ერთ მათგანს ხელი დაუქნია. საკონდიტროში დავით გერმანოზიშვილი შემოვიდა. მას ორი სხვა ოფიცერი შემოჰყვა თან. ეს უკანასკნელნი ჟივილ-ხივილით მისცვივდნენ ქალს და დიდი ამბით მოიკითხეს. ახალგაზრდა კორნეტი ფეხზე იდგა და ყველას ხელს ართმევდა.

ქალი ოფიცრებს საკოცნელად უწვდიდა ხელს და ეტყობოდა მათი ნახვით ნასიამოვნები და გახარებული იყო.

გრიგოლ ზანდაროვმა ჯერ თავი ჩაღუნა, მერე ინსტინქტურად წამოდგა და საკონდიტროდან ისე გავიდა, რომ

მისი წასვლა არავის შეუმჩნევია. ქალი და მისი ნაცნობი ოფიცრები მხიარული სალამ-ქალამით იყვნენ გართული.

ნაიოსებარმა გრიგოლმა მყისვე იცნო დავით გერმანოზიშვილი. თოთხმეტი წლის შემდეგ იგი პირველად და მოულოდნელად ხვდებოდა მას. ცელერიუსის საკონდიტროში ჩის ცხვირწინ უცებ ის კაცი აიმართა, ვინც მას დიდი ხნის წინათ ყველგან დაეძებდა, რათა მამის მკვლელი შეეპყრო და წამებით მოეკლა. ცხოვრების ჩარხის ტრიალით გათამამებულ-განებივრებულ გრიგოლ ზანდაროვს შიშის გრძნობა აღარ ეკარებოდა, მაგრამ საკმარისი იყო ეცნო დავით გერმანოზიშვილი, რომ მისი გულის სიღრმეში ძველ, დავიწყებულ შიშს ისევ გაეფაჩუჩებინა. იგი ცელერიუსის საკონდიტროდან არ გაქცეულა, მაგრამ ხიფათს თავი ჭკვიანურად და წინდახედულად გაარიდა. ამავე დროს მის გამოცდილ თვალს შეუმჩნეველი არ დარჩა, რომ ოდესღაც გულზვიადი თავადი ახლა ნაადრევად დაბერებული, გახუნებული და ნირწამხდარი გამოიყურებოდა.

### 3. დოკი

შენ უნდა ნახო ჩემი ყოკეი და ჩემი ცხენები.

**შარლ დე ბერნარი, „იკაროსის ფრთები“**

ზანდაროვმა უხალისოდ ისადილა გიუტიხის რესტორანში. მერე ეტლი დაიქირავა და გერმანელების კოლონიისაკენ გაქანდა დოღის საყურებლად. მას იმედი ჰქონდა, რომ დოღზე იმ ქალს კვლავ შეხვდებოდა, რადგან, თუ ის შეძლებულ და წარჩინებულ ოჯახს ეკუთვნოდა, აუცილებლად მივიდოდა იქ, სადაც თვითონ მეფისნაცვალი უნდა ყოფილიყო თავისი ამალით.

მართლაც, ზანდაროვმა ის ქალი ბრწყინვალე კნეინებსა და თავადებს შორის აღმოაჩინა; არ ესიამოვნა და უკმაყოფილოდ გაიფიქრა: „კნეინა ყოფილაო“.

ზანდაროვის საყვარლებში კნეინაც ერია. პარიზიდან დაბრუნებული მაგდა გოსტაშაბიშვილი მას ჩრდილივით დასდევდა თან და არც თვითონ გაურბოდა, რადგან სურდა მაღალ საზოგადოებაში მისი კნეინასთან ურთიერთობის გამო ელაპარაკათ.

გაამპარტავნებული და გამედიდურებული გრიგოლ ზანდაროვი საცოლეს ვაჭრის ასულებში კი არ დაეძებდა, არამედ ხელმოკლე აზნაურების ოჯახებში. მდაბიოს გააზნაურების აზრი ხიბლავდა და იტაცებდა.

ვაჭრის დასქელებულ ასულებს, რომელნიც იაქთაღიანი სახლების ეზოებში გუშინ ფეხშიშველნი და პირდაუბანელნი დარბოდნენ, დღეს კი ფრანგი მასწავლებლებისაგან რასინის და ვოლტერის ენას სწავლობდნენ, იგი ახლოს არ ეკარებოდა. თეძოგანიერ და სქელ გოგოებს ვერ იტანდა. ამასობაში დრო გადიოდა. გრიგოლ ზანდაროვს ოცდაათი წელი უსრულდებოდა და ცოლის შერთვას უკვე სერიოზულად ფიქრობდა.

როცა ერევნის მოედანზე ჯამბაზების თოკზე თამაშის დროს მან თვალი მოჰკრა იმ ქალს, მყისვე გულს განეწონა და დაინტერესდა. ის ქალი თავისი სილამაზით და გარეგნობით არ ჩამოუვარდებოდა არც მაიკო კურტანიძეს და არც მაგდა გოსტაშაბიშვილს. რაღაცნაირად თითქოს სჯობდა კიდეც მათ, თუმცა ეს ქალიც იმათსავით უკვე დახნებული იყო.

მაგრამ ესეც იყო, ფირუზასავით ანგარიშიან გრიგოლს თექვსმეტი წლის გოგოს მაგიერ ცოლად ჭკუადამჯდარი, ოცდახუთ წელს მიტანებული ქალი ერჩივნა.

ზანდაროვს ხელები ჩამოსცვივდა, როცა იმ ქალის არისტოკრატობა შეიტყო. იგი მხოლოდ მდიდარი ვაჭარი იყო და თავადის ასულის ცოლად შერთვა აზრადაც არ შეიძლებოდა მოსვლოდა.

მაგრამ თუ ის ქალი ღარიბი ან ხელმოკლე იყო?

ზანდაროვმა გულდახმით დაათვალი-

ერა მოწონებული ქალი. მის გამჭრიახ თვალს არ გამოეპარა, რომ მას არც თუ ისე ძვირფასი კაბა ეცვა. იგი თავისი სილამაზით გვერდში მდგარ კნეინებს ჩაგრავდა, მაგრამ კნეინები თავიანთი მდიდრული ჩაცმულობით მას აშკარად ჩრდილში აყენებდნენ.

ზანდაროვმა თითით შუბლი მოისრისა და ფირუზასავით ანგარიშს შეუდგა. დაფიქრებულს გაკოტრებულ თავადებზე დაქორწინებული ვაჭრის ასულები გაახსენდა. რატომღაც ნაადრევად დაბერებული, გახუნებული და ნირწამხდარი დავით გერმანოზიშვილიც დაუდგა თვალწინ.

წელში გასწორდა. თავი მაღლა ასწია.

დოღის ტრიბუნების წინ ამაყად ვაიარა.

იმ ქალს დაენახვა და მდაბლად დაუკრა თავი. მისი დანახვა ქალსაც გაეხარდა და თვალები გაუბრწყინდა. ძნელი არ იყო იმის მიხვედრა, რომ არც ის ქალი იყო მისდამი გულგრილად განწყობილი. ისიც გაფაციცებით დაეძებდა მას, თუმცა ახლაც გვერდში თმახუჭუჭა კორნეტი ედგა.

იმ დღეს ისინი ერთმანეთს უსიტყვოდ ხვდებოდნენ და შორდებოდნენ. მათ შორის ჯერ ისევ იდუმალი ტრფიალი შუამავლობდა. ისინი დუმდნენ, მაგრამ მათი თვალები მეტყველებდნენ, თვალებით საუბრობდნენ და ერთმანეთს ხვაშიადს უმხელდნენ.

მეფისნაცვლის ტრიბუნის მახლობლად სამხედრო ორკესტრი უკრავდა. მხედრები სტარტთან იდგნენ და ზარის ჩამოკვრასღა უცდიდნენ.

მეფისნაცვლის არაბული ჯიშის ცხენის გვერდით ტანმორჩილი კავკასიური ცხენები იდგნენ, მათ შორის მეფისნაცვლის ცხენიც ისევე გამოირჩეოდა, როგორც თვითონ მაღალ-მაღალი და პირხმელი, შავ სამხედრო სერთუკში გამოწყობილი ვორონცოვი გამოირჩეოდა თავის მხლებლებსა და ამალაში.

ინგლისელი ჟოკეი ამაყად და გამომწვევად იჯდა არაბულ ბედაურზე. კავკასიელი მხედრები კი ოდნავ დაბნეული და დარცხვენილი გამოიყურებოდნენ.

პირველი ზარი ჩამოჰკრეს.

მხედრები სტარტის ხაზს მოსწყდნენ. მრავალი თვალი მიაწყდა მიმქროლავ ცხენებს. მეფისნაცვალი ფეხზე მდგარი გაჰყურებდა მხედრებს; ისინი მოსახვევს გასცდნენ და ტრიბუნებს დაუპირისპირდნენ. ინგლისელი ჟოკეი უკვე შუა გზაზე დაწინაურდა და პირველობა აღარავის დაანება. ფინიშის ხაზი მეფისნაცვლის ცხენმა გადასჭრა. ვორონცოვმა კმაყოფილებით გაიღიმა. სხვებმა ტაშით დააჯილდოვეს გამარჯვებული ინგლისელი ჟოკეი. კავკასიელ მხედრებს დაბნეულობა აღარ ეტყობოდათ, ოღონდ უფრო მეტად ჩანდნენ დარცხვენილნი, ვიდრე სტარტის წინ. მეორე დღეს გაზეთის რეცენზენტი ფილოსოფიური სერიოზულობით ამტკიცებდა, რომ კავკასიური ცხენები ევროპული დოღისათვის არ ვარგიან, მარულაში კი საუცხოონი არიან, რადგან მარულაში წმინდა სისხლის ცხენები ზანზე ქალებივით დაიქანცებოდნენ, მათი ჟოკეები კი ცხვირს მოიმტვრევდნენ. რეცენზენტის ამ სიტყვებს მხოლოდ ვორონცოვმა მიაქცია ყურადღება. ისიც იმის გამო, რომ მარტო მან არ იცოდა მისი ცხენის გამარჯვების ნამდვილი მიზეზი.

მეფისნაცვალი ალტაცებით მიეგება ინგლისელ ჟოკეის და ინგლისურად გამარჯვება მიულოცა. ყოველგვარი ინგლისური რამ მას ისეთნაირად მოსწონდა, რომ რუსულად მხოლოდ ზოგოლებთან ოფიციალური თათბირების დროს ლაპარაკობდა. მეფისნაცვლის აღტაცება ყველას სწრაფად გადაედო. ყიჟინა და ტაში გრიალი არა სწყდებოდა. ამალის მხლებლებმა ერთმანეთს სიამოვნებით გადახედეს. მათ კარგად იცოდნენ, რომ კმაყოფილი ვორონცოვი წყალობას და ჯილდოს არ მოაკლებდა იმათ, ვინც კავკასიის დედაქალაქში ევროპულ დოღს მართავდა.

დოღის დამთავრებისთანავე გრიგოლ ზანდაროვმა ჟან-პოლის ქვრივის რესტორაციაში დაუწყო ლოდინი იმ ქალს, რადგან დოღზე მოსულთ ამ რესტორაციის წინ უნდა გაევლოთ.

ზანდაროვი ეტლში იცდიდა. მის გვერდით ეტლი ეტლს მისდევდა, ეკიპაჟი ეკიპაჟს. ზანდაროვს მრავალი ნაცნობი ჰყავდა და ყველას თავაზიანად უკრავდა თავს. ბობოლების და მდიდარი თავადების ეკიპაჟებს და ეტლებს უკან სამხედრო დროშკები და დაქირავებული ეტლები მოსდევდნენ. როცა იმ ქალის ეტლი გამოჩნდა, ზანდაროვი მას შეუმჩნევლად აედევნა წინ მიმქროლავი ეტლის დაკეცილი გადმოსახურის ზემოდან თეთრი ფრთებით შემკული ქალის თავსაბურავი და კორნეტის ქუდი მოჩანდა. ზანდაროვი თვალს არ აშორებდა თაბახივით მრგვალი თავსაბურავის განიერ ფარფლებს.

კორნეტმა ის ქალი მთაწმინდის უბნის ერთი ძველი სახლის წინ ჩამოიყვანა ეტლიდან, სადარბაზო კარამდე მიაცილა და ხელზე ამბორით გამოეთხოვა.

ყაყაჩოსავით გაწითლებულმა ჭაბუკმა ვერც ახლა შეამჩნია გრიგოლ ზანდაროვი, რომელიც იქვე ქუჩის პირზე გაჩერებული ეტლიდან მას დამცინავად უყურებდა. ორ ეტლს ვიწრო ქუჩა ისეთნაირად ჰქონდათ შეკრული, რომ გამვლელებისთვის ადგილი აღარ რჩებოდა. კოფოზე წამოსკუპებული მეეტლეები ერთმანეთთან დინჯად ლაპარაკობდნენ.

გაოგნებულ ყმაწვილს, რომელსაც პირტიტველა სახეზე ბედნიერების ღიმილი დასთამაშებდა და ზედ ჰაპუკური ტრფიალება ეხატა, თვალი იმ ქალის სახლზე რჩებოდა და ისე უახლოვდებოდა ეტლებს. ზანდაროვი თვალს არ აშორებდა ლამაზი ბანოვანის ნორჩ თაყვანისმცემელს. მისთვის სულ უფრო და უფრო გასაგები ხდებოდა, რომ ყმაწვილკაცურად გატაცებული კორნეტი მას საშიშარ მეტოქეობას ვერ გაუწევდა. ეტლში არხეინად იჯდა და სრულიად არ გაჰკვირვებია, როცა კორნეტმა მისი ეტლის საფეხურზე შედგა ფეხი. ყმაწვილმა თვითონვე მოისაზრა თავის შეცდომა, უარესად გაწითლდა, უცნობ ბატონს დაბნეულად მოუხადა ბოდიში, ხელის მაღლა აწევით თავის მეეტლეს ცხენები მოატრიალებინა, ეტლში ახტა და თავი ქალის სახლის ფანჯრებისაკენ მოაბრუნა. უეცრად სახე მოეღუშა, რადგან ფანჯრებთან ის არ გამოჩნდა, ვის გამოჩენასაც გულისფანცქალით მოელოდა. ზანდაროვი გაუნძრევლად იჯდა. მეეტლეებმა ერთმანეთს გადახედეს, მაგრამ თვალის ჩაკვრა ვერ გაბედეს.

როცა ადგილიდან დაძრული კორნეტის ეტლის ბორბლების ხმაური მისწყდა, ფანჯარას უცნობი ქალი მოადგა და ქუჩაში გადმოიხედა. ზანდაროვმა ქუდი მოუხადა და ისევ მდაბლად დაუკრა თავი. ქალი ერთი წამით დააცქერდა მას, მაგრამ მყისვე გულგრილი გამომეტყველება მიიღო და საჩქაროდ გაშორდა ფანჯარას.

ზანდაროვმა გამარჯვებულივით გაიღიმა. ქალის გულგრილი გამომეტყველება ქალურ ფანდად მიიღო. მართლაც, ქალი მხოლოდ იმ დროს გამოჩნდა ფანჯარასთან, როცა ეტლი უკვე ქუჩის ბოლოში იყო და ქვემოდან ყრუდღა მოისმოდა მისი ბორბლების ხმაური. აშკარა იყო, ქალს აინტერესებდა არა ახალგაზრდა კორნეტი, არამედ უცნობი ბატონი. გამოცდილმა ზანდაროვმა ეს ადვილად შეამჩნია და მიხვდა კიდეც მის მნიშვნელობას. გაიბადრა, თავზე მაღალი ქუდი თავმომწონედ გაისწორა (ისევე როგორც ამას გამარჯვებული ფირუზა აკეთებდა ხოლმე), მეეტლეს ცხენები მოატრიალებინა და თავდაღმართში დაეშვა.

## 4. ალტაცება

უყურებდი, ვითარცა გასათხოვარი ქალნი და უშვილო დედაკაცნი ეკითხებოდნენ ეკლესიას თავიანთ ბედსა კედელზე ქვის მიკვრით.

**გრიგოლ რჩეულიშვილი, „შეშლილი“**

მანანა გერმანოზიშვილი ოთახში ცეკვით შემოტრიალდა, წელში ოდნავ

გადატეხილი ისე ტრიალებდა, როგორც ძველი ფრესკის „სამაიას“ მოცეკვავე ქალი. ბებერი გამდელი ფინიასივით მიელაქუცა და შესცინა:

— ეგრე რამ გაგახარა, გენაცვალოს გაიანე?

— იცი, ჩემო გამდელო, მე მალე გავთხოვდები, ლამაზსა და ძალიან მდიდარ კაცზე.

ეს სიტყვები მანანამ ისეთნაირად წარმოთქვა, ვერ გაარჩევდით რა უფრო მოსწონდა — იმ კაცის სილამაზე, თუ სიმდიდრე.

გახარებული გამდელი მის ფერხთით დაემხო, მისი კაბის კალთებს შემოეჭდო, სიხარულის ცრემლებით დანამული თვალებით შეხედა და შეჰღაღადა:

— მაშ, თხოვდები, შემოგევლოს გაიანე! ეხლავე ეკლესიებში გავიქცევი, ყველა ხატს სანთლებს დავუნთებ და ღმერთს შენს ბედნიერებას შევავედრებ.

— ვთხოვდები, ჩემო გამდელო, ვთხოვდები. — იძახდა აღტაცებული მანანა.

გამდელი მუხლის ჩოქვით უვლიდა გარშემო, ფეხის მტვერს უკოცნიდა, ლოცვებს ბუტბუტებდა, ცრემლს აფრქვევდა და გოგნებული ერთსა და იმავეს ღაღადებდა:

— მაშ, ჩემი ლამაზი გოგო თხოვდება! მეც ეგ მინდა, მტლად დაგეცოს გაიანე! განა იმიტომ არ დავდივარ ფეხშიშველა, რომ შენს ბედნიერებას მოვესწრო და გვირგვინის ქვეშ დაგინახო?! შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, შენ შემოგევლე..

მანანამ წარბი შეჰკრა, ბაგიდან ღიმილი გაუქრა, ზიზღით გადახედა ბებერი გამდელის ბელტებივით დახეთქილ, მუგუზლებივით გაშავებულ, ქალამნის ტყავივით გამაგრებულ ფეხებს, მხეცის თათებს რომ დამსგავსებოდნენ და ფრჩხილებიც მხეცის ბრჭყალებივით წაზრდოდათ. მისი გამდელი ამინდსა და ავდარში ფეხშიშველი დადიოდა, რადგან აღთქმა ჰქონდა დადებული ფეხსაცმელი არ ჩაეცვა მანამდე, სანამ მისი ქალბატონი არ დაქორწინდებოდა. წელი წელს მისდევდა, მანანა გერმანოზიშვილს ხანი ემატებოდა, გამდელის ფეხები მუგუზლებს ემსგავსებოდნენ, უმზითვო თავადის ასული კი ისევ გაუთხოვარი იყო.

ბებერი გამდელის მზით გახურებულ მიწაზე, ტლაპოსა და თოვლში სიარულით გადაგვარებულმა ფეხებმა კალმით დახატულ შინაბერას საკუთარი სიდარიბე გაახსენეს.

მანანა ფანჯარასთან მივიდა და შეშინარევი ჩურჩულით წარმოთქვა:

— ღმერთო, შენ მიშველე! — თქვა და სასოებით პირჯვარი გადაიწერა.

ცოტახნის შემდეგ მამა დავითის ტაძრის გალავანში ორი მანდილოსანი გამოჩნდა. ხნიერს თალხი ჩაჰქსაულა ეცვა, ახალგაზრდას ყვავილებიანი ჭრელი კაბა. მანანა გერმანოზიშვილი ტაძრის კედელს მიუახლოვდა, ზედ თეთრი კენჭი მიაკრა და ზეცას მუდარით ახედა.

## 5. ᲡᲐᲦᲐᲛᲝ ᲮᲐᲜᲖᲔ

ვილა იცნობს ამ ნახევრად პარიზულ ფრანტს.

**ვ. სოლოგუბი, „ივან ვასილის ძე კავკასიაში“.**

იმავე საღამოს გრიგოლ ზანდაროვი კვლავ შეხვდა მანანა გერმანოზიშვილს. თავადის ასული მეფისნაცვლის ბაღში დასეირნობდა ახალგაზრდა კორნეტთან ერთად.

დღისით დაწყებული ზეიმი და გართობა საღამო ხანზეც გრძელდებოდა. ბაღის ფერადი ფარნებით განათებულ ხეივნებში წყვილები დასეირნობდნენ. გრძელ მწვანე სკამებზე მანდილოსნები და ხანდაზმული მამაკაცები ისხდნენ. ცენტრალურ ფანჩატურში ერევნის პოლკის სასულე ორკესტრი უკრავდა. მეფისნაცვლის ბაღში მხოლოდ კეთილშობილნი სეირნობდნენ, რადგან ისინი ბალ-მასკარადებით, შინაურული ფრანგული სპექტაკლებით, სალონებ-

ში სტუმრების მიღებით ერთობოდნენ და ცდილობდნენ მდაბიოთა თავშესაყრელი ადგილებიდან შორს მდგარიყვნენ.

გრიგოლ ზანდაროვს მეფისნაცვლის ბალში გზა კნეინა მაგდა გოსტაშაბიშვილმა გაუხსნა. მანვე გააცნო იგი თავადებს და თავისი სალონის რჩეულ სტუმრებს. მუდამ ფაქიზად და გემოვნებით ჩაცმულ, წარმოსადეგ და ლამაზ ზანდაროვს ათვალწუნებით არავინ უყურებდა. ამას გარდა, ყველამ კარგად იცოდა, რომ ვორონცოვი გამდიდრებულ ვაჭრებს სწყალობდა, ხუმრობით კი ოქროსთუმნიანს პირდებოდა იმ ქართველს, ვინც ვაჭრობას მოკიდებდა ხელს.

მეფისნაცვლის კანცელარიის მოხელეების სიტყვით, ახალგაზრდა ქართველ მილიონერს სწორედ ამის გამო ჰქონდა მიღებული პირველი მედალიონი იმპერატორისაგან.

სიტყვა „მილიონერი“ ანდამატივით მოქმედებდა და გრიგოლ ზანდაროვს ყველგან გზას უხსნიდა.

თვითონ მეფისნაცვალმა რამდენჯერმე მიიწვია იგი თავისთან სასაუბროდ და, როგორც ამბობდნენ, კმაყოფილებით აღნიშნავდა მის ადამიანურ და კომერციულ ღირსებებს: ჭკუას, გამჭრიახობას, ნატიფ გემოვნებას და, განსაკუთრებით, ფრანგულად საკმაოდ ღალაგებით ლაპარაკს.

ინგლისურად აღზრდილ და კავკასიაში ინგლისური პოლიტიკის გამტარებელ ვორონცოვს გრიგოლ ზანდაროვის მსგავსი პიროვნებანი თავისი მოღვაწეობის წარმატებათა დადასტურებად მიაჩნდა.

ბედის თამაშით განებივრებულ მილიონერს თავი მედიდურად ეჭირა, სოვდაგრებს აღარ კადრულობდა და აზნაურთა ოჯახებს ეტმასნებოდა.

მეფისნაცვლის ბალში კნეინა მაგდა გოსტაშაბიშვილთან ერთად სეირნობა მას ფასს უმატებდა, მაგრამ ცალი თვალი აზნაურთა გასათხოვარ ასულებზე ეჭირა.

იმ საღამოს ზანდაროვი შადრევანთან იდგა და იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ დახვედროდა ანაზდად [illegible] სატრფოს და რანაირად მოეხერხებინა მასთან გამოლაპარაკება. ხელი კნეინა მაგდა გოსტაშაბიშვილმა შეუშალა. გვერდში ამოუდგა და მორიჯის სასტუმროში პაემანი დაუნიშნა. გრიგოლმა მოკლედ მოუჭრა:

— არა მცალიან, მაგდაჯან.

კნეინამ გამწვანებული თვალები შეანათა და გაბრაზებით უთხრა:

— კარგი, ეგრე იყოს, რა გაეწყობა? თუ ბართლომე კურტანიძის ცოლმა მერიამ-ბეგუმის სახლში დაგპატიჟა, ხელს არ შეგიშლი. კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო ზანდაროვო!

გრიგოლმა ხელები გაშალა, მაგრამ კნეინამ მის სიტყვებს აღარ მოუცადა, გატრიალდა, შადრევანს შემოუარა და ფერადი ქაღალდის ფარნებით განათებულ ხეივანში შევიდა.

ზანდაროვი მას არ დასდევნებია, მყისვე იქითკენ გაიხედა, სადაც ის ქალი ეგულებოდა, მაგრამ არც ის ქალი და არც მისი ახალგაზრდა კორნეტი იქ აღარ დახვდა. გულმა რეჩხი უყო. აღელვებულმა და აფორიაქებულმა მთელი ბაღი შემოირბინა, ყველგან იმ ქალს დაეძებდა და ვერ პოულობდა. აღრენილი და გაბრაზებული მაგდა გოსტაშაბიშვილს გულში ძაღლისუბნელი ზაქარას სიტყვებით ლანძღავდა. ჩაბნელებულ ხეებს ქვეშ წყვილებს მოურიდებლად და თავხედურად ათვალიერებდა. რომელ ქალსაც თავზე ფრთებით შემკული და ფართეფარფლებიანი ქუდი ეხურა, გვერდში უდგებოდა, ყველა ჯილოსანში ის ტანაქნილი და ნარნარა ქალი ელანდებოდა. სადაც ქალთან მოსეირნე კორნეტს მოჰკრავდა თვალს, იქით ბიჭივით გარბოდა. თან თავისი საქციელი უკვირდა და ბრაზდებოდა კიდეც, რადგან ამგვარ მღელვარებას დიდი ხნის შემდეგ სრულიად მოულოდნელად ერთხელ კიდევ განიცდიდა. რატომღაც ნათიაც მოაგონდა და შუშანიკიც, გაჯავრდა და

საკუთარ თავს დასცინა, მაგრამ იმ ქალის ძებნაზე ხელი მაინც არ აიღო. ეძებდა და ვერ პოულობდა. არც ის და არც მისი ახალგაზრდა კორნეტი აღარსად ჩანდნენ. მოღუშული ზანდაროვი ისევ შადრევნისაკენ გაემართა. იქ ხალხის ჭაჭანება აღარ იყო. ზანდაროვმა საათი ამოიღო და დახედა. თეატრის დაწყების დრო იყო.

ზანდაროვმა ერთხელ კიდევ შემოირბინა ხეივნები და მანეჟისაკენ გაუხვია.

თეატრის წინ აუარებელი ხალხი ირეოდა.

## 6. მანეჟის თეატრი

მე ვოდევილი ძალიან მომწონს, სხვა დანარჩენი ფუჭი მგონია.

ა. გრიბოედოვი, „ვაი ჭკუისაგან“

ჩვეულებრივ ცარიელი თეატრი კვირა დღეს და დღესასწაულების დროს მაყურებლებით იყო გაჭედილი. ბილეთები თვალისდახამხამებაში იყიდებოდა. იმ საღამოსაც თეატრის მოლარე მხოლოდ ფეხზე სადგომ ბილეთებს ჰყიდდა. ზანდაროვი დაუკითხავად პირდაპირ სალაროში შევიდა, მოლარე მაქსიმეს სალაროს პაწია რაფაზე ოქროს თუმნიანი აუწკრიალა და უბრძანა: „გაუჩინარი გააჩინეო“. მაქსიმემ მოწიწებით მიართვა მილიონერს პარტერის გადამალული ბილეთი, ოქროს თუმნიანი გულის ჯიბეში ჩაიდო და სალაროს კარი ცხვირწინ ჩაუკეტა აყაყანებულ წვრილფეხა მოხელეებს. მიუხედავად ამისა, მილიონერს ყველამ მოკრძალებით დაუთმო გზა.

რუსული დრამატული თეატრის პარტერი, ორივე იარუსის ლოჟები და ბენუარი მაყურებლებით იყო დახუნძლული. მანეჟის თეატრში მეტად ჭრელი საზოგადოება იყრიდა თავს. მრავლად იყვნენ „ხახვის ფრანტები“ და გამდიდრებული ვაჭრების ვაჟები. ლოჟებში მდიდარი თავადები და ბობოლები ისხდნენ. უმრავლესობას მაინც წვრილი მოხელენი, მათი ცოლები, დასაქორწინებელი ასულები და ვაჟები შეადგენდნენ.

თეატრის დარბაზი სანთლებით იყო განათებული. ანტრაქტებში ორკესტრი გაცვეთილ ვალსებსა და პოლკებს უკრავდა. ბევრი მაყურებელი პაპიროსს ისე უთავბოლოდ ეწეოდა, რომ მეჭიანურე, რომელიც ანტრაქტების დროს ჩამოშვებული ფარდის წინ ჭიანურზე უკრავდა, თუთუნის სქელ ბოლში იყო ხოლმე გახვეული.

მაყურებლები მსახიობებს ანებივრებდნენ კიდეც და არცთუ იშვიათად ყურისწამღები ღრიანცელით და სტვენით სასოწარკვეთილებამდე მიჰყავდათ.

ყველაზე საყვარელ მსახიობ ქალად ჯერ ქალბატონი მარქსი ითვლებოდა, მაგრამ ქალბატონ ავენარიუსის ჩამოსვლის შემდეგ მას ყველა გადაუდგა და ყველამ ერთხმად ახლად მოვლენილ აქტრისას დაუკრა ტაში. დიდი პოპულარობით სარგებლობდა ბატონი დრეიხისი, რომელიც პირველი საყვარლის როლებს ასრულებდა. ეს რიხიანი და თვალტანადი მსახიობი განსაკუთრებით გიმნაზიელ ქალებს მოსწონდათ, გიმნაზიელი ვაჟები კი ქალბატონ ავენარიუსს ყველგან გზას ულობავდნენ და, ჭარხალივით აწითლებულნი, სოფლელებისაგან ნაყიდ ენძელებისა და იების პატარა თაიგულებს თავაზობდნენ.

ხელმოკლე და ნახევრად მშიერ მოხელეებს თეატრში ნანახი და განცდილი ერთი კვირის განმავლობაში ჰყოფნიდათ სალაპარაკოდ და სალაყბოდ, სამაგიეროდ გაზეთი და წიგნი არავის აგონდებოდა.

ზანდაროვს თეატრი უყვარდა და სიამოვნებით უყურებდა: „უცნაურ საიდუმლოს“, „სიყვარულის არიფებს“, „ახირებულ საქმროებს“, „სიყვარულის შეგირდს“, „საიდუმლო სტუმარს“, „უკრაინელ საცოლეს“, „ტიტულიარნი სოველნიკის კერძო ცხოვრებას“ და სხვა უამრავ ფარსებსა და ვოდევილებს.

თეატრის დასმა მხოლოდ ერთხელ დადგა შექსპირის „მაკბეტი“, მაგრამ

დარბაზში ისეთი მთქნარება ატყდა, რომ მალე ისევ „უცნაურ საიდუმლოს“ და „ახირებულ საქმროებს“ დაუბრუნდნენ.

ზანდაროვმა იცოდა, რომ კეთილშობილნი იშვიათად ესწრებოდნენ წარმოდგენებს (მათი გასართობი კერძო სახლებში დადგმული ფრანგული კომედიები იყო), მაგრამ რაკი კვირა დღის საღამო იყო, იმედს არ კარგავდა, რომ იმ ქალს თეატრშიც შეხვდებოდა. მან პარტერის მესამე რიგში დაიკავა ადგილი. ლორნეტი მოიმარჯვა და ლოჟებს დაუპირისპირა. ერთ-ერთ ლოჟაში ის ქალი და ახალგაზრდა კორნეტი აღმოაჩინა. ქალი მისკენ იყურებოდა და თვალს არ აშორებდა. ზანდაროვი სიამოვნებისაგან გაიბადრა, თავი მედიდურად მოიღერა, ხელში ლორნეტი მოხდენილად შეათამაშა და გვერდით მჯდარ მანანა ორბელიანის ვაჟს, ცნობილ ფრანტს, რომელიც მსახიობ ქალებთან იყო დაახლოებული და კულისებში შინაურ კაცად ითვლებოდა, ვითომც სხვათა შორის ჰკითხა:

— კნიაზო, ის ლამაზი კნეინა ვინ არის? პირველად ვხედავ თეატრში.

ალექსანდრე ორბელიანმა სწრაფად განუმარტა:

— ეგ მანანა გერმანოზიშვილია, თავად დავით გერმანოზიშვილის და. აქამდე სოფელში ცხოვრობდა, ტყვეობიდან დაბრუნებულმა ძმამ ჩამოიყვანა ქალაქში. — ორბელიანებს გერმანოზიშვილები არ უყვარდათ. ჭორიკანა ფრანტმა გესლნარევი ღიმილით დასძინა — წინათ ყველაზე ღირსეულ საცოლედ ითვლებოდა, ეხლა კი მარტო პირტიტველა ყმაწვილები დასდევენ.

გრიგოლ ზანდაროვს თავზარი დაეცა. ორბელიანმა მას მღელვარება შეატყო და მასთან გაშინაურებულმა ხუმრობით უთხრა:

— ხომ არ მოგეწონა, გრიგოლჯან? მაგრამ რა? მაგასთან საქმის დაჭერა ხელს არ მოგცემს, ძალიან ამპარტავანი ვინმეა. ის ჩემი ახლო ნათესავი კორნეტიც ტყუილუბრალოდ ირჯება. გაგონილა ყმაწვილი კაცი ათი წლით უფროსი ქალისთვის იწვოდეს და იდაგებოდეს, მაგის მამამ უკვე თადარიგი დაიჭირა, ან თავის შესაფერ ცოლს შერთავს, ან პეტერბურგში გაისტუმრებს.

გადაფითრებულ ზანდაროვს ფარდის ახდამ უშველა. მის მეხსიერებაში გასაოცარი სიცხადით აღსდგა იარალ გერმანოზიშვილის მკვლელობის ღამე. მკაფიოდ მოესმა შეშინებული მანანა გერმანოზიშვილის ყვირილი: „ქურდი... ქურდი...! მას ისიც მყისვე გაახსენდა, თუ როგორ მიიყვანა იმ ავდრიან ღამეში საკუთარი მხრით. როგორც ცხენმა, მთავარმართებლის სასახლემდე ის ქალი, რომელმაც დღეს მას რამდენჯერმე გაუღიმა, ხოლო ცოტა ხნის წინ ლოჟიდან უყურებდა და თვითონაც თვალი ვეღარ მოაშორა. ზარდაცემული ზანდაროვის მეხსიერებაში თავბრუდამხვევი სისწრაფით ცოცხლდებოდა მთელი მისი თავგადასავალი, სოფლის პატარა საყდრიდან დაწყებული მანეჟის თეატრამდე. მხოლოდ ახლა მოაგონდა ის, რაც აღარ ახსოვდა და სამუდამოდ დავიწყებული ეგონა. უეცრად ბედნიერი და ნებიერი ცხოვრების დამხობის შემაძრწუნებელმა შიშმა შეიპყრო. თანდათან ხვდებოდა და რწმუნდებოდა, რომ თუ ბედის უცნაური ტრიალი მოინდომებდა, მას გლახის ძონძებზე უკეთესად ვერც მილიონერის პატივი და დიდება დაიცავდა. ცელერიუსის საკონდიტროში გაფაჩუნებული შიში სულ უფრო და უფრო ხმიანდებოდა, ძლიერდებოდა და მთელ მის არსებას ძრწოლით და დრტვინვით ეუფლებოდა. მუდამ მედიდური გრიგოლ ზანდაროვი თავის სავარძელში საცოდავად მოიკუნტა და მოიბუზა. მაყურებლებს ვეღარ ამჩნევდა, არც სცენაზე მსახიობების ლაპარაკი ესმოდა. გაოგნებული და გაშტერებული ძლიერი ტაშის ცემამ გამოაფხიზლა.

მაყურებლები ტაშის კვრით იწვევდნენ ავანსცენაზე ქალბატონ მედვედე-

ვას. ფრანტები ყურისწამღებად ყვიროდნენ:

— ფორა! ფორა! ფორა!

მსახიობი ქალი ავანსცენაზე გამოვიდა, მაყურებლებს მდაბალი რევერანსით მიესალმა და თავი მოკრძალებით დახარა.

— მიაუ! — დაიკნავლა ვიღაცამ პარტერის შუა რიგებში. მაყურებლებს სიცილი წასკდათ.

— მიაუ! მიაუ! — დაიწყო კნავილი მთელმა პარტერმა. მხოლოდ ზოგიერთნი ყვიროდნენ წელანდელი აღფრთოვანებით:

— ფორა! ფორა!...

— მიაუ! მიაუ! მიაუ!

— ფორა...

„ხახვის ფრანტები“ და ახალგაზრდა მოხელენი დაწუნებულ მსახიობ ქალს ყიჟინით და ყვირილით დასცინოდნენ. დარბაისელნი ამაოდ ლამობდნენ ყმაწვილი კაცების გაჩუმებას და შერცხვენას. ვიღაცამ დაბნეულ მსახიობ ქალს დამპალი ვაშლი ესროლა ფეხებში. პარტერის უკანასკნელ რიგებში საშინელი სტვენა ატეხეს. მსახიობი ქალი ატირებული გავარდა კულისებში. იგი ხარხარით და ღრიანცელით გააცილეს. ფარდა სასწრაფოდ ჩამოუშვეს. ფარდის წინ მეჭიანურე დადგა და ჭიანური დასაკრავად მოიმარჯვა. პარტერის სავარძლების რიგებში რამდენიმე პოლიციელი გამოჩნდა.

ყვირილი და სტვენა თანდათან ცხრებოდა. თუთუნის ბოლის სქელ მოლურჯო ნისლში გახვეული მეჭიანურე არავინ იცოდა რას ან რატომ უკრავდა.

თეატრში ჩვეულებად იყო გადაქცეული ათვალწუნებული მსახიობი ქალის მოტყუებით გამოძახება და მერე მისი ყვირილით და სტვენით გაწბილება. ასე ერთობოდა თბილისის „ოქროს ახალგაზრდობა“. მას მხარს აძლევდნენ ახალგაზრდა მოხელენი, რომელნიც მთელი კვირის განმავლობაში კანცელარიებში თავჩაღუნული დასცქეროდნენ მათთვის საზიზღარ ქაღალდებს და ბოლმის გადმოსანთხევად ფარულ ენერგიას, ახალგაზრდანი და ჯანღონით აღსავსენი, კვირა საღამოსათვის ინახავდნენ.

ზანდაროვმა არეულობით ისარგებლა და მაყურებელთა დარბაზიდან გავიდა.

თეატრის წინ მას კნეინა მაგდა გოსტაშაბიშვილი უცდიდა. ზანდაროვმა საყვარელი ვერ შეამჩნია, გვერდში გაუარა და გზა განაგრძო.

მაგდა მას უკან აედევნა და მხოლოდ მორიჯის სასტუმროსთან მიხვდა, რომ ზანდაროვი იქ მის სანახავად მიდიოდა.

## კარი მეოცე

### წარსულის ფურცლები

სანამ თავჩაქინდრული გრიგოლ ზანდაროვი მორიჯის სასტუმროს კიბეებზე ადის, ხოლო მანეჟის თეატრის ლოჟაში მანანა გერმანოზიშვილი დაფიქრებული ზის, აუცილებელია ცოტა ხანს მაინც დავუბრუნდეთ 1832 წელს და კვლავ განვაგრძოთ შეწყვეტილი თხრობა მეჯლისის დედოფალთან დაკავშირებით.

### 1. წარსულის პირველი ფურცელი

(მეჯლისის შემდეგ)

დარდი კი — თურმე ჩვენ კუთხიდან გვითვალთვალებდა.

ა. გრიბოედოვი, „ვაი ჭკუისაგან“

მანანა გერმანოზიშვილს დიდხანს ძალიან დიდხანს ახსოვდა მაღალ საზოგადოებაში პირველი გალივლივება და იმ საღამოს განცდილი ნეტარება.

ბარონ როზენის მეჯლისზე მოპოვებულმა წარმატებამ მას ცათაფრენა შე-

უყენა. თავბრუდახვეულს თავისი მომავალი ცხოვრება წარმტაც ფერებში ეხატებოდა. ამის საწინდრად მთავარმართებლის ყურადღება მიაჩნდა. გახარებული იყო დავით გერმანოზიშვილიც, დის წარმატებამ მას დაწინაურების რწმენა გაუცხოველა.

ერთი საქორწინო გვირგვინზე ოცნებობდა, მეორე — ჩინ-მედლებზე.

მეჯლისიდან იმედით და ღრმა რწმენით დაბრუნდნენ.

მეჯლისის ნადედოფლარმა თავისი ბედნიერება და სიხარული გამდელს ახარა. აღფრთოვანებულს და აღტაცებულს ლაპარაკი და ტიტინი სწყუროდა. გამდელს ყელზე მოეხვია და სანამ ძოახლე სამეჯლისო კაბას ხდიდა, გატაცებით ლაპარაკობდა:

— მთავარმართებლის სასახლეში გამოვჩნდი თუ არა, ყველამ მე დამიწყო ყურება. მთავარმართებელმაც დიდად შემაქო და მეჯლისის დედოფლად გამომაცხადა. მთელი ყმაწვილკაცობა მე დამედო და ყველას ჩემზე დარჩა თვალი. იჰ, ვინ იცის, რამდენი ლამაზი ქალი შურით დავწვი და დავდაგე! ორბელიანების გომბიოები ბრაზით ხან ყვითლდებოდნენ, ხან წითლდებოდნენ. კატინკა ჭავჭავაძეც სადღაც დაიმალა. იმათ ბღვერას მე რას ვაქნევდი? ვნებივრობდი და ვდედოფლობდი.

— ნეტარება მე, ნეტარება მე! — იძახდა გამდელი და წარამარა პირჯვარს იწერდა.

მანანამ ტაში შემოჰკრა და აღტაცებით წამოიძახა:

— იცი, ჩემო გამდელო, მე მალე გავთხოვდები!

— ვიშ, ვიშ! შემოგევლოს გაიანე! როდის დაქორწინდები? როდის გამახარებ? მტლად დაგედე, დამაცა, ფეხთა მტვერი დაგიკოცნო.

— სულ მალე, მალე, — ტიტინებდა მანანა, — სულ მალე გავფრინდები ამ ჩიტის საბუდარიდან!

— ჰოდა, მეც აღთქმა დამიდვია, შენს ქორწილამდე ფეხშიშველამ ვიარო. დარი თუ ავდარი მე რას მიზამს? ზამთარი ჯერ შორსაა, ღვინობისთვეს და გიორგობას შენი ქორწილი არ გადასცდება. ეხლავე ქაღალდს გავშლი, ნახავ, თუ მართალს არ ვამბობ!

გამდელი ქაღალდის მოსატანად გაიქცა. მანანა ყურადღებად გადაიქცა. ცრუმორწმუნემ ჯერ პირჯვარი გადაიწერა, მერე სავარძელში ნებივრად ჩაჯდა და გამდელს ანთებული თვალებით მიაცქერდა. გამდელმა მრგვალი სპარსული მაგიდის წინ დაიჩოქა და ქაღალდის გაშლას შეუდგა გაცრეცილი ტუჩების ცმაცუნით და ლოცვების ბუტბუტით. ქაღალდი კარგი ამოდიოდა. გამდელი თავისი პატარა ქალბატონის გასახარებლად ვალეტებს ჰაერში აფრიალებდა და უფრო ღაღადებდა, ვიდრე იძახდა:

— შენ გენაცვალოს გაიანე, მდიდარსა და ლამაზ ყმაწვილზე გათხოვდები.

— მდიდარსა და ლამაზზე! — ოცნებით წარმოთქვა მანანამ.

— ბედნიერი იქნები!

— შენს პირს შაქარი, ჩემო ერთგულო გამდელო.

— ის ყმაწვილი ბოლოს იარანალი გახდება, ხელმწიფე ჯვარ-მენდლებით დაუმშვენებს მკერდსა.

— რა კარგია!

მანანამ მეჯლისის სტუმრებს შორის ახალგაზრდა ოფიცრები გაიხსენა, მაგრამ სულ სხვა გრძნობამ თვალწინ ჰაიდარ-ბეგი დაუყენა. ქრისტიანმა ასულმა მყისვე ხელი აუქნია მაჰმადიან ჭაბუკს და საბედოს ისევ ახალგაზრდა რუს და ქართველ ოფიცრებში დაუწყო ძებნა.

— ხელმწიფე კნიაზ დავითსაც ხელს მოჰკიდებს და წყალობას არ მოაკლებს. — განაგრძობდა ღაღადისით წინასწარმეტყველებას გამდელი. მანანას ესეც ესიამოვნა, პირჯვარი გადაიწერა და სასოებით წარმოთქვა:

— ამინ! ამინ! ამინ!

გამდელმა ქაღალდი გადააბრუნა და მანანას შესცინა:

— სამი ბიჭი და სამი გოგო გეყოლება!

— უიმე! — მხიარულად გადაიკისკისა თავადის ასულმა.

— ქალალდი ამას ამბობს, შემოგევლე! — გამდელმა ქალალდი აურია და ინატრა, — მამაზეციერმა მომასწროს შენს ბედნიერს ქორწილსა. მეტს არაფერსა ვსთხოვ იმის წმინდანებსა და ანგელოზებსა. შენ ოღონდ წითელი ფეხსაცმელები მიყიდე, მეც ვარდისფერ კაბას ჩავიცვამ და დავლურს დავუვლი.

— გიყიდი... გიყიდი... — საჩქაროდ უპასუხა მანანამ. გამდელი დაითხოვა და თავი კვლავ ოცნებას მისცა.

მანანა გერმანოზიშვილმა კიდევ რამდენჯერმე წარმატებით გაიელვა თბილისის მაღალი საზოგადოების მეჯლისებსა და რაუტებზე, მაგრამ მალე მისი ოცნებანი ერთბაშად დაიმსხვრა და გაცამტვერდა.

რამდენიმე თვის შემდეგ მთავრობამ ახალგაზრდა ქართველ თავადთა შეთქმულება აღმოაჩინა. ზედიზედ დააპატიმრეს დიდგვაროვანი თავადები და პეტერბურგში ნასწავლი ინტელიგენტები. ისინი, ვინც დავით გერმანოზიშვილს სძაგდა და ვერ იტანდა, ავლაბრის ყაზარმებში დატუსაღებულნი აღმოჩნდნენ. ალექსანდრე ბატონიშვილის ყოფილ ემისარს ერისთავების, ორბელიანების და ჭავჭავაძეების ღალატისა და ორგულობის გამოაშკარავება უხაროდა, მაგრამ სადღაც, გულის სიღრმეში სწყინდა და თაკილობდა, რომ მას ქართველი თავადები არ ენდნენ და საიდუმლო არ გაანდეს. თუმცა ამაზე დიდხანს არ უფიქრია. თვალი და ყური ფხიზლად ეჭირა და მოუთმენლად მოელოდა, თუ როდის გამოიძახებდნენ და იმპერატორის ერთგულ ოფიცერს ალექსანდრე ჭავჭავაძის ან რომელიმე ორბელიანის ადგილს შესთავაზებდნენ. მოლოდინი არ გაუმართლდა. ისიც სხვებსავით კომისიაში გამოიძახეს და ცივი კილოთი ჰკითხეს: „შეთქმულებთან როგორი ურთიერთობა გქონდათო?“ შეურაცხყოფილი დავით გერმანოზიშვილი მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ მას არც თავისიანები ენდობოდნენ და არც რუსი გენერლები. როცა ჯაშუშების მიერ შეგროვებული ცნობები შეისწავლეს, სავსებით აშკარა გახდა თავად დავით გერმანოზიშვილის საწყალობელი მდგომარეობა. ქეიფებს გადაყოლილი თავადი არავისთვის საშიშარი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. იგი არც გაზეთს კითხულობდა, არც წიგნს და ქონების უთავბოლო ხარჯვით გაკოტრებამდე იყო მისული.

დავით გერმანოზიშვილს ხელი არ ახლეს, მაგრამ დაუყოვნებლივ მთიელების წინააღმდეგ საომრად გაისტუმრეს. ვიღაცამ სასურველად არ მიიჩნია ალექსანდრე ბატონიშვილის ყოფილი ემისრის თბილისში დატოვება.

## 2. წარსულის მეორე ფურცელი

(კნეინა მზეხათუნის სალონი)

მხოლოდ თეატრი და მასკარადი.

ა. გრიბოედოვი, „ვაი ჭკუისაგან“

შეთქმულთა დაპატიმრებისთანავე მრავალი ოჯახის ფანჯრებზე გლოვის ნიშნად თალხი ფარდები ჩამოუშვეს. შეწყდა მეჯლისები და სტუმრიანობა. დაპატიმრებულთა ჭირისუფლებმა თავიანთი სახლის კარები მაგრად ჩაკეტეს. ყველგან ფრთხილი ჩურჩულით ლაპარაკობდნენ. თავადთა ოჯახებში შიში და უნდობლობა დასადგურდა. მეჯლისებზე ვიღას შეეძლო ფიქრი, როცა შეთქმულთ ბორბლებზე წამებით სიკვდილი მოელოდათ. მანანა გერმანოზიშვილს კი ნავარდი სურდა, მაღალ საზოგადოებაში თავისი სილამაზის გამოჩენა. მოვლენათა მსვლელობამ იგი ოთხ კედელს შუა გამოამწყვდია. განმარტოებულმა საშინლად მოიწყინა ხელმოკლე თავადის დაძველებული სახლის პატარა და ბნელ ოთახებში.

გაავებული გაიანე შეთქმულებს სწყევლიდა. მანანაც უდიერად ახსენებდა მათ და აინუნში არ მოსდიოდა მათი მძიმე განსაცდელი. დროგამოშვებით თავისი მამიდის კნეინა მზეხათუ-

ნის სალონში დადიოდა და ამაოდ ცდილობდა იქ გართობას.

კნეინა მზეხათუნის სალონში მისთვის მოსაწყენ თემებზე მუსაიფობდნენ. ტონს ყოველთვის კნეინა მაგდა გოსტაშაბიშვილი იძლეოდა. მას მეტად განათლებულ ქალად თვლიდნენ და ყველანი გატაცებით უგდებდნენ ყურს მის დარბაისლურ საუბარს. მანანა მისდამი თავისებური პატივისცემით იმსჭვალებოდა, თუმც თავის თავს იმაშიც უტყდებოდა, რომ მას არ მოსწონდა უკმეხი და მედიდური კნეინა.

კნეინა მზეხათუნი და კნეინა გოსტაშაბიშვილი ერთმანეთს მეგობრობდნენ და უერთმანეთოდ ვერ ძლებდნენ. ძველი მანდილოსნები, დარეჯან და მარიამ დედოფლების ჯერ ისევ ცოცხალი სეფე-ქალები, გაევროპელებულ კნეინებზე პირჯვრის წერით და ხელების გაშლით ლაპარაკობდნენ. განსაკუთრებით აღშფოთებდათ მათ კნეინა მზეხათუნისა და კნეინა გოსტაშაბიშვილის ღრმად ამოჭრილი დეკოლტე და გაშიშვლებული მხრები. მანანა გერმანოზიშვილი გულში მათ თანაუგრძნობდა, რადგან ღრმადმორწმუნე აუმღვრეველ ტრფიალს ელტვოდა და ქალის ღირსებად მედიდური თავდაჭერილობა მიაჩნდა. ამიტომ უპირატესობას მუდამ კისკასა და მამაკაცებთან ლაციცს მიჩვეულ კნეინა მზეხათუნს კი არ ანიჭებდა, არამედ დინჯსა და სიტყვაძუნწ კნეინა მაგდა გოსტაშაბიშვილს.

კნეინა მზეხათუნის სალონის სტუმრებთან მანანა მუსაიფს ვერ ახერხებდა. მისთვის უცხო ხილი იყო ფორტეპიანოც და ახალი პარიზული რომანიც.

საეკლესიო გალობა მას ღვთისმოსაობას უნერგავდა და უძლიერებდა, კნეინა გოსტაშაბიშვილის მიერ შესრულებული მოცარტი ან ბეთჰოვენი კი არ ესმოდა. ამიტომ თვალზე რული ეკიდებოდა და მთქნარებას ძლივს იკავებდა.

სოფელში გაზრდილი თავადის ასულისათვის სრულებით გაუგებარი იყო ევროპულ სალონში გამართული ბაასი.

კნეინა მზეხათუნის სალონში ხშირად ახსენებდნენ გამოჩენილ პოეტებს, მწერლებს, მუსიკოსებს, მხატვრებს და ფილოსოფოსებს, ყველას პირზე ეკერა რასინი, კორნელი, ვოლტერი, ჟან-ჟაკ რუსო, გოეთე, შილერი, ბაირონი, პუშკინი, ჟუკოვსკი, ვიაზემსკი და მიცკევიჩი. ეს სახელები მანანა გერმანოზიშვილს არაფერს ეუბნებოდნენ და არც მათი ვინაობის გაგება აინტერესებდა. ამიტომ მამიდის სალონში იშვიათად იყო და უფრო მაშინ უხშირებდა იქ სიარულს, როცა რომელიმე ახალგაზრდა ოფიცერს მისკენ შეფრფვინვით ცქერას შეატყობდა ხოლმე.

შეთქმულების აღმოჩენამდე კნეინა მზეხათუნის სალონის მუდმივი სტუმრები იყვნენ: პოეტი და მთარგმნელი ალექსანდრე ჭავჭავაძე, დიპლომატი სოლომონ რაზმაძე, ჟურნალისტი და ფილოსოფოსი სოლომონ დოდაშვილი, მასწავლებელი ავთანდილოვი, დიმიტრი ყიფიანი და პოეტი თუმანიშვილი. როცა ესენი შეთქმულებაში გარეული აღმოჩნდნენ, კნეინა მზეხათუნს ხუმრობით რევოლუციის დამა უწოდეს. სალონის თავქარიან დიასახლისს ეს იამა და შეიფერა კიდეც, მაგრამ, თავქარიანობის მიუხედავად, მაინც მკაცრად დატუქსეს. ქმრისგანაც მკაცრი საყვედური და გრძელი დარიგება მოისმინა. შეცბუნებული კნეინა მზეხათუნი ერთხანს განზე გადგა და თვალს მიეფარა. მაგრამ მალე მის სალონში მისვლა-მოსვლა კვლავ განახლდა.

ხუთშაბათობით თბილელი მადამ რეკამიეს სალონში რჩეული საზოგადოება იყრიდა თავს. სტუმრები ლექსებს კითხულობდნენ, პეტერბურგიდან ან პარიზიდან მიღებულ ახალ წიგნზე ლაპარაკობდნენ. კნეინა მაგდა გოსტაშაბიშვილის მიერ ფორტეპიანოზე დაკრულ მუსიკას ისმენდნენ და ზოგჯერ პატარა სცენებს არდგენდნენ ლაფონტენის ზნეობის მქადაგებელი არაკების მიხედვით.

ამასობაში ავლაბრის ყაზარმები დაცარიელდა.

შეთქმულნი ბორბლებზე სიკვდილით დასჯის მაგიერ რუსეთის შიდა ქალაქებში გადაასახლეს.

თანდათან დაცხრა შიში და მღელვარება.

კნეინა მზეხათუნი ახლა უფრო თამამად იქცეოდა. ქმარიც აღარაფერს ეუბნებოდა.

ერთ საღამოს გაკვირვებულ მანანა გერმანოზიშვილს მამიდის სალონში მოულოდნელი სტუმრები დახვდა: გრიბოედოვის ქვრივი ნინო ჭავჭავაძე, მისი და ეკატერინე, მანანა ორბელიანი, დაპატიმრებას გადარჩენილი თავადები, მთავარმართებლის კანცელარიის ახალგაზრდა მოხელენი, ოფიცრები, მანდილოსნები, ბანოვნები და გასათხოვარი ასულები.

თვალგანცვიფრებულმა მანანამ ვერ გაიგო ამდენი სტუმრის ერთბაშად მოსვლის მიზეზი და ილიკო ორბელიანს ჩურჩულით ჰკითხა:

— რა ამბავია, ილიკო? მამიდაჩემს წვეულება ხომ არა აქვს?

ილიკო ორბელიანმა ჩურჩულითვე უთხრა:

— მამიდაშენი თეატრსა მართავს. უნდა პეტერბურგიც შეარცხვინოს და პარიჟიც. ამ საქმეში კნეინა გოსტაშაბიშვილიც ეხმარება. მაგის ქმარი წუხელ მეტივეებმა მტკვარში გადააგდეს, მერე კაბის ყოშებით ამოათრიეს და მოქეიფენი ბევრი გვაცინეს. ასეთ ჭკვიან ქალს ესრეთი ქმარი უნდა ჰყავდეს, ვექო“ — გასცინა ენამოსწრებულმა ილიკო ორბელიანმა თავად ანდუყაფარ გოსტაშაბიშვილს და ისევ ხმადაბლა განაგრძო, — მაგრამ ეტყობა ქმარი აინუნში არ მოსდის. ნიძლავსა ვსდებ, თუ ეგ თეირანიდან ჩამოსული რუსი ყმაწვილი, ჩვენი ელჩის მდივან-მწიგნობარი მაგის საყვარელი არ იყოს?!

მანანამ წარბი გაკვირვებით ასწია, ილიკო ორბელიანის ნათქვამი ჭორად მოეჩვენა, ნაწყენივით თქვა:

— რას ამბობ, ილიკო?! კნეინა გოსტაშაბიშვილს თავი ისეთნაირად უჭირავს, რომ მაგას ვინ რას შეჰბედავს?

ილიკო ორბელიანმა გაუცინა და ხმას უფრო დაუმდაბლა:

— მერე რა ვუყოთ? მაშ, მაკასავით ქუჩაში ლოგინს ხომ არ გაშლის? თუ ვინმე მოეწონა, ხელიდან არ გაუშვებს.

მანანამ მიამიტად იკითხა:

— მაკა ვიღა არის?

ილიკო ორბელიანმა გემრიელად გაიცინა:

— ეგ მოქეიფე თავადებმა ვიცით, იმის სახელი კნიაჟნების ყურამდე ვერ მიაღწევს, — მანანას სიტყვა ბაწზე აუგდო და თანაგრძნობით ჰკითხა — დავითისაგან წიგნი არ მიგიღია?

მოქეიფე და ქალალდის მოთამაშე ილიკო ორბელიანი დავით გერმანოზიშვილს მეგობრობდა, მის დასთანაც გაშინაურებული იყო. მანანას ისე არსად შეხვდებოდა, რომ დავითი არ მოეკითხა.

მანანას სახე მოეღრუბლა. ილიკოს უხალისოდ უპასუხა:

— ამას წინათ მივიღე.

ორბელიანმა ცნობისმოყვარეობით შეხედა.

— რასა გწერს? რას იწერება?

მანანამ უკმაყოფილო კილოთი მიუგო:

— მოკითხვას, პირზე კოცნას და ფულს.

ილიკო ორბელიანმა ჩაიფრუტუნა:

— მაშ, ქალალდის თამაშს იქაც არ ეშვება ჩვენი ლოთბაზარა კნიაზი? ჩემი რჩევა ეს არის, ეცადე, იმან ცარიელ-ტარიელზე არ დაგსვას, მზითვის სიაში ნულები არ დაგიწეროს. თორემ! თორემ მონასტერი არ აგცდება, ჩვენო ლამაზო კნიაჟნავ!

მანანა ძმის ძაგებას ვერ იტანდა, კოპებშეკრულმა მყისვე გაჰკენწლა ილიკო ორბელიანი:

— რა გაეწყობა, კნიაზო! ილიკო მარტო ორბელიანებს არა ჰყავთ, გერ-

მანოზიშვილებშიც რომ გამოერიოს, დიდ ცოდოდ არ ჩაგვეთვლება.

გაცილებით ხნიერ დავით გერმანოზიშვილს ნორჩმა ამფსონმა ისევ ტკბილად გაუცინა:

— კურკას სიტყვებს ამბობ, კნიაჟნავ! რა ვუყოთ, რომ იმისავით რევოლუციონერი არ გამოვედი. ჭკუას მე მარიგებდა, თვითონ კი ნაობახტში ამოჰყო თავი.

ვიღაცამ მათკენ უკმაყოფილოდ მოიხედა. ორივემ პირზე კლიტე დაიდო და ყალბი ყურადღებით მიაცქერდა კნეინა მზეხათუნს.

სალონის სტუმრები რიგ-რიგად ჩამწკრივებულ სკამებზე ისხდნენ და სერიოზული გამომეტყველებით უსმენდნენ კნეინა მზეხათუნს, რომელიც ცალკე მაგიდასთან, ორ გაჩახჩახებულ შანდალს შუა იჯდა და მკაფიო ხმით გრიბოედოვის კომედიის მორიგ მონოლოგს კითხულობდა. თან გზადაგზა დარიგებებს აძლევდა იმათ, ვისაც „ვაი ჭკუისაგან" უნდა წარმოედგინათ.

კარატიგინის და სემიონოვას მოტრფიალე კნეინა მზეხათუნს გრიბოედოვის კომედიის დადგმა ჰქონდა განზრახული. თეატრს მონატრებული საზოგადოება ადვილად აიყოლია და როლებიც სწრაფად განაწილდა. ჩაცკის როლი საგანგებო მინდობილობათა მოხელეს უნდა შეესრულებინა, სრულიად ყმაწვილკაცს, რომელსაც ღამე ქაღალდის თამაშში ათენდებოდა, მაწანწალასავით ლოთობდა, მაგრამ ბაირონის თავი და დენდის გარეგნობა ჰქონდა. სოფიოს როლის განსახიერება კნეინა მზეხათუნმა თავის გულითად მეგობარს მაგდა გოსტაშაბიშვილს მიანდო, ხოლო სკალოზუბი მის ქმარს, გენერალ-მაიორ ივან პეტროვიჩ პლატოვს უნდა ეთამაშა.

მანანა გერმანოზიშვილი პირველად ცნობისმოყვარეობით უყურებდა მსახიობთა თამაშს და კნეინა მზეხათუნის რეჟისორობას, მაგრამ მალე მოიწყინა და მთქნარება აუტყდებოდა, რომ მის გვერდით ილიკო ორბელიანი არ მჯდარიყო.

რეპეტიცია ვახშმით მთავრდებოდა. მანანა აუწერელი მოთმინებით უცდიდა იმ მომენტს, როცა დაღლილი და კმაყოფილი კნეინა მზეხათუნი ტაშის შემოკვრით რეპეტიციას ამთავრებდა და ყველანი სუფრას შემოუსხდებოდნენ. ამ დროს მთავარმართებლის ახალგაზრდა ადიუტანტი აწითლებული სახით თავაზობდა მძიმე სკამს მანანა გერმანოზიშვილს და მის გვერდით მოკრძალებით იკავებდა ადგილს.

ვახშმობამდე მანანა მუდამ მხიარული ილიკო ორბელიანის მიერ დახატულ კარიკატურებს ათვალიერებდა, ანდა ტატო ბარათაშვილის გამკილავ კალამბურებს ისმენდა. ამით ერთობოდა და გულში იმათ დასცინოდა, ვინც თავად ორბელიანის ცელქი ფანქრით ქაღალდზე სასაცილოდ იყვნენ გამოხატულნი.

ტატო ბარათაშვილს კნეინა მზეხათუნი მფარველობდა და ამხნევებდა. უნიჭიერეს ყმაწვილად თვლიდა და როცა ერთხელ ქართველების ბაირონობა უწინასწარმეტყველა, კნეინა გოსტაშაბიშვილს სიცილი წასკდა, თავისი ლამაზი ოქროსფერი თვალები ერთი წამით პოეტის ფერმკრთალ სახეზე და კოჭლ ფეხზე შეაჩერა და ივან პეტროვიჩს ფრანგულად რაღაც გადაულაპარაკა. ტატო აწითლდა და იმ დღიდან პირიქით შეიძულა კნეინა მაგდა გოსტაშაბიშვილი.

ტატო ბარათაშვილი ყოველ საღამოს მოდიოდა კნეინა მზეხათუნის სალონში, თან ახალი ლექსი მოჰქონდა. ხან დაღვრემილი და შუბლგაუხსნელი იყო, ხან არაჩვეულებრივად ხალისიანი და პირმოცინარე. მას ეკატერინე ჭავჭავაძე უყვარდა, მაგრამ მანანა გერმანოზიშვილს ყურში ჩასჩურჩულებდა:

— კატინა თავისი მამის მიმრქმელის სახელს ატარებს, ვინძლო ეკატერინობა არ მოინდომოს.

გაღარიბებული მანანა თანდათან შუ-

რიანი ხდებოდა. ალექსანდრე ჭავჭავაძის ნებიერ ასულზე ჩამოკრულად ნათქვამი ესიამოვნა, მაგრამ გარეგნულად კოპი შეკრა, ტატოს საყვედურით უთხრა:

— შენი კატინასთან ტრფიალი ყველამ ვიცით, ეგრეთი სიტყვა სატრფოსათვის რად გჭირდება?

ტატო გაბრაზდა:

— ჩემს ტრფიალზე შენ ვინ რა გითხრა?

— თვითონაც ვხედავ.

— კარგად ვერ დაგინახავს.

მანანამ სიცილით მოუჭრა:

— მაშ, ცისა ფერს, ლურჯსა ფერს ვის დაუწერე? ცისფერი თვალები მარტო კატინასა აქვს და ცისფერი კაბაც ძალიან უხდება.

ტატო დაიბნა. გაჩუმდა. დაღონდა. უეცრად გამხიარულდა და მანანას ჩაუღიღინა:

— ნუ დაიჯერებ! ნუ დაიჯერებ!

ისევ მოიღუშა, რადგან უმალვე მწვავე სინანულმა შეიპყრო. თავბედს იწყევლიდა იმის გამო, რომ სატრფო გაკილვით მოიხსენია, ისიც ისეთ ქალთან, რომელიც გასაოცრად ლამაზი იყო, მაგრამ ეკატერინე ჭავჭავაძის ელვარება და სიკისკასე აკლდა. ამას გარდა, ყველამ კარგად იცოდა, რომ გერმანოზიშვილების ასული „დავითიანზე“ და „დაუჯდომელზე“ იყო აღზრდილი, ჭავჭავაძიანთ ქალები კი მუსიკასაც უკრავდნენ, ფრანგულადაც ლაპარაკობდნენ და ახალი მწერლების წიგნებს კითხულობდნენ. გულკეთილი ტატო ბარათაშვილი მანანასთან გახუმრებულ-გაშინაურებული იყო, მაგრამ შინაგანად არ მოსწონდა მისი მონოტონურად გულჩახვეული ხასიათი. საერთო მათ მხოლოდ ხვედრი ჰქონდათ. ოდესღაც მდიდარი და ყმა-მამულიანი იარალ გერმანოზიშვილის ოჯახი ისევე ემხობოდა და დაბლა ეშვებოდა, როგორც მელიტონ ბარათაშვილისა. დაკვირვებული ტატო იმასაც ამჩნევდა, რომ ახალგაზრდა ქართველი თავადები მანანა გერმანოზიშვილს ერიდებოდნენ და საცოლოებს შეძლებული თავადების ოჯახებში ეძებდნენ, ეს მას მასთან რაღაცნაირად ახლოვებდა, მაგრამ თავის კალამბურებში არც მას ინდობდა.

— კნიაჟნა გერმანოზიშვილი, —ი ეუბნებოდა იგი ეკატერინე ჭავჭავაძეს, — ძალიან ამპარტავანი ბრძანდება. რაღა ეგ და რაღა კნეინა გოსტაშაბიშვილი. ყველას ხელმწიფის ქალივით გვიყურებს, მაგრამ წიგნს თავის კანტურით კითხულობს.

ეკატერინე ჭავჭავაძეს პირზე ღიმილი ადგებოდა. არც მას უყვარდა ლამაზი, მაგრამ ამპარტავნულად მდუმარე მანანა გერმანოზიშვილი.

ცოტა ხნის შემდეგ ტატო ბარათაშვილი თავის ნათესავ ილიკო ორბელიანს ხმის კანკალით ეკითხებოდა:

— მითხარი... მითხარი, ილიკოჯან... შემიყვარებს კნიაჟნა კატინა...

— აბა მე რა ვიცი? იმის გულში ხომ არა ვზივარ? აგრძნობინე, გაუარშიყდი, თავი მოაწონე.

— თავი მოვაწონო...

ტატო გულისტკივილით უყურებდა თავისი ტრფიალების საგანს, თავადის ლამაზ ასულს, რომელიც ანცი ღიმილით ისმენდა თეირანიდან ჩამოსული ახალგაზრდა დიპლომატის ქათინაურებს. ამ დროს მას ისეთი დაფიქრებული სახე ჰქონდა, როგორიც „სულო ბოროტოს“ ავტორს უნდა ჰქონოდა.

ვახშმის შემდეგ ზოგნი ვისტის და ბოსტონის სათამაშოდ რჩებოდნენ, ზოგნი თავ-თავიანთ სახლებში ბრუნდებოდნენ. მანანა გერმანოზიშვილს მთავარმართებლის ახალგაზრდა ადიუტანტი აცილებდა, ეკატერინე ჭავჭავაძეს — ახალგაზრდა დიპლომატი. მხოლოდ ტატო ბარათაშვილი გამოდიოდა მარტოდ-მარტო კნეინა მზეხათუნის სახლიდან და უკაცრიელი, ბნელი ქუჩებით კოჭლობით მიდიოდა ანჩისხატის უბნისკენ.

## 3. წარსულის მესამე ფურცელი

(უღიმღამო მიჯნური)
მე ცეცხლივით ვწითლდებოდი.
*ჟორჟ ზანდი, „ლეონე ლეონი“*

მთავარმართებლის ახალგაზრდა ადიუტანტი მანანას გერმანოზიშვილების სახლის სადარბაზო კართან ემშვიდობებოდა. პაემანის დანიშვნის მოლოდინში თავადის ასული ერთხანს აყოვნებდა შინ შესვლას, მაგრამ მორცხვსა და მოუქნელ ყმაწვილს ენა სწორედ მაშინ ებმოდა, როცა გატრუნული მანანა მისგან სასურველი სიტყვის თქმას მოელოდა.

ისინი მხოლოდ კნეინა მზეხათუნის სალონში ხვდებოდნენ ერთმანეთს.

მანანას უნებლიედ აგონდებოდა ბარონ როზენის თავხედი ადიუტანტი, რომელმაც მას პირველ მეჯლისზე კინაღამ სიყვარული აუხსნა. თავადის ასულს მორცხვი ადიუტანტის მოკრძალება ისევე აბრაზებდა, როგორც იმ დროს იმ ადიუტანტის უტიფრობა. თვითონ კი ქალურ თილისმებს არასოდეს არ მიმართავდა.

მანანას ახალგაზრდა ადიუტანტი მოსწონდა, მაგრამ არ უყვარდა. მას ეხამუშებოდა თავისი მიჯნურის ოდნავ ჭორფლიანი სახე, გაცრეცილი წარბები, ახლად მოცელილი ბალახის ღეროებივით ამოშვერილი მოქერო ულვაშები, უცნაურად გადაშლილი დიდი ყურები, მაგრამ ფასსა სდებდა მის შნოიან ტანსა და საერთო გარეგნობას. მთავარი მისთვის მაინც ის იყო, რომ სახელმოხვეჭილი სენატორის ეს ვაჟი აუარებელი მამულების და ყმაგლეხების ერთადერთ მემკვიდრედ ითვლებოდა. თავადის ასული მდიდრული ცხოვრებისაკენ მიილტვოდა, რათა მისი მომაჯადოებელი სილამაზე სიმდიდრის შარავანდედით შემოსილიყო.

თავის გულს იგი არაფერს ეკითხებოდა, რადგან თვალწინ ყოველთვის ომარ ჰაიდარ-ბეგი ედგა. მისი ვაჟკაცური სილამაზით მოხიბლული სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ სხვა მამაკაცის სიყვარული მას არ შეეძლო. ამავე დროს ფიცსა სდებდა ერთგული ცოლი და სანაქებო რძალი ყოფილიყო.

მას თავისი „ჰო“ უკვე ბაგეზე ეკერა; მის წარმოთქმას მხოლოდ ახალგაზრდა ადიუტანტის გახანგრძლივებული დუმილი უშლიდა ხელს.

ასე მისდევდა დღე დღეს, კვირა — კვირას და თვე — თვეს.

კნეინა მზეხათუნის მიერ დადგმული „ვაი ჭკუისაგან“ აღარავის ახსოვდა, თბილისიდან გამგზავრებული კნეინა მაგდა გოსტაშაბიშვილი უკვე პარიზში ცხოვრობდა, სალონებში ახალი მთავარმართებლის დანიშვნაზე დაჟინებით ლაპარაკობდნენ, შამილის დაჭერასაც ოპტიმისტურად წინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ახალგაზრდა ადიუტანტი მხოლოდ გატკეპნილი გზით დადიოდა — კნეინა მზეხათუნის სალონიდან გერმანოზიშვილების სახლამდე.

მანანას გული უბრაზდებოდა, მზად იყო თავისი მოუხერხებელი მიჯნურისათვის ხელი აექნია და ჩამოეშორებინა, მაგრამ როცა მისი მამულები და ყმა-გლეხები აგონდებოდა, თავს იკავებდა, მოთმინებით ალჭურვილი მის წარმოუთქმელ სიტყვას უცდიდა.

ერთ მშვენიერ დღეს თბილისში ახალგაზრდა ადიუტანტის მამა გამოჩნდა. სენატორმა მიიხედ-მოიხედა, შეძლებული თავადების ოჯახები დაყნოსა და მეორე კვირის ბოლოს თავისი ვაჟი გენერალ სავარსამიძის ძმისწულზე დანიშნა.

მანანას გული შეუტოკდა.

ახალგაზრდა ადიუტანტის შეფრფვინვით სიყვარული მშობლის ნების წინაშე უძლური აღმოჩნდა.

მანანა ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ მისი მეტოქე მაია სავარსამიძე მდიდრული მზითვის წყალობით ბედნიერდებოდა. უმზითვობა კი მას მხოლოდ შინაბერობას უმზადებდა.

ქორწილის გადახდისთანავე მაია სავარსამიძის მზითვის დარიალზე გატა-

რებას დიდძალი ურმები და პოვოსკები დასჭირდა.

მანანა გერმანოზიშვილის მზითვს კი ერთი ჩარდახიანი ურემიც ეყოფოდა.

თბილისში მხოლოდ მაია სავარსამიძის ქორწინებაზე და შამილის მოსალოდნელ დაჭერაზე ლაპარაკობდნენ.

დაწუნებულ მანანა გერმანოზიშვილს ყველა შემოეცალა. მარტო ტატო ბარათაშვილი მივიდა მასთან, მდუმარედ გადაეხვია და გადაკოცნა. მანანას შური ხერხავდა და ტატოს თანაგრძნობა მის გულს არ გაეკარა. პირიქით, წარბიც ასწია და ტუჩიც აიბზუა.

ტატო ბარათაშვილს ხელები ჩამოსცვივდა, კოჰლი ფეხი უარესად აითრია, გერმანოზიშვილების სახლიდან გამოვიდა და მთაწმინდის გრძელი აღმართის ნაცნობ ბილიკს დაფიქრებული დაადგა.

კნეინა მზეხათუნმა ძმისწული ერთხელ კიდევ დაარიგა:

— ეგრე თვალის დასანახად მამაკაცთან სიარული ვის გაუგონია? დილით შენი სიძე ივან პეტროვიჩი მომეწონა, საღამოს კი უკვე იმის ცოლი ვიყავი. ჩემმა ძმა იარაღმა იმოდენა ქონებიდან არამცთუ რამე მომცა, ხმაც არ გამცა. ცოლ-ქმარს გული არ გაგვტეხია. სადაც ომი იყო, ჩვენც იქ ვიყავით. ეხლა კი, შენც კარგად იცი, არამცთუ თბილისში, პეტერბურგშიც არავინ მჯობია. ეგრე ცხვირის ჩამოშვება არა გმართებს, კნიაჟნავ! მე ერთი კაბით გავთხოვდი, სხვა არაფერი მებადა-რა, შენ მაინც რამდენიმე ყმა-გლეხის პატრონი ხარ (თუ ისინიც შენმა ბედოვლათმა ძმამ არ გაგიყიდა). მიიხედ-მოიხედე. ჩვენს გარშემო ცოტა პატიოსანი ოფიცრობაა?! ვიზედაც გული შეგივარდეს, იმას გაჰყევი. რა ვუყოთ? ჯერ გაჭირვებით იცხოვრე, მერე, ღვთის მადლით, ყველაფერი რიგზე დადგება და ჩემსავით გაბედნიერდები.

თავმოყვარე მანანამ მამიდის ნათქვამი სიტყვები ითაკილა, ნაწყენმა და შეურაცხყოფილმა მის სალონში ფეხი აღარ დადგა. არც კნეინა მზეხათუნს გახსენებია გაბუტული ძმისწული. ახლო ნათესავებისადმი იგი გულგრილად იყო განწყობილი, რადგან მხოლოდ საკუთარი თავი უყვარდა და საკუთარი სიამოვნებისათვის ცხოვრობდა.

მანანა ისევ თავის „ჩიტის საბუდრებში“ გამოემწყვდა. საზოგადოებაში მხოლოდ მაშინ ჩნდებოდა, როცა ახალი კაბის შეკერვას ახერხებდა. თვალისმომჭრელი სილამაზით შემკულ თავადის ასულს არ სჯეროდა, არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ მისი ბედი განწირული იყო. თავი ამაყად ეჭირა და მიუკარებელი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ამ მზეთუნახავის ნახვასა და ყურებას მართლაც არაფერი სჯობდა, მაგრამ მისი სილამაზით მოხიბლული ახალგაზრდა და სანდომიანი თავადები გრძნობას ლაგამს სდებდნენ და განზე დგებოდნენ.

ცხოვრება ძნელდებოდა.

ყველა მამულ-დედულის გადარჩენას ცდილობდა და ვალზე ვალის მომატებას ერიდებოდა. ვინც ამ რკინის კანონს არღვევდა, თავზე მშობლების რისხვა ატყდებოდა და გულწრფელ სიყვარულს გაჭირვებული ცხოვრებით უხდიდა ხარკს.

სანამ შეძლებული თავადები მანანა გერმანოზიშვილს უმზითვობის გამო წუნობდნენ, ხოლო ხელმოკლენი ახლოს მიკარებასაც ვერ ბედავდნენ, დრო და ჟამის სრბოლა თავისას აკეთებდა.

გაღატაკებულ თავადის ასულს შინაბერას სახელი დაუვარდა.

მისი გამდელი ზამთარ-ზაფხულ ფეხშიშველა დადიოდა, მაგრამ მის გაზრდილს არც ეს სასოებით დადებული აღთქმა შველოდა, არც ხატების წინ და ეკლესიების გარშემო მუხლისჩოქვით სიარული.

ბედი მის კარზე დაკაკუნებას არ აპირებდა.

ბოლოს ქალაქში ცხოვრება გაუჭირდა, სოფელს მიაშურა და მამაპაპეულ სახლში საცხოვრებლად დასახლდა.

## 4. წარსულის მეოთხე ფურცელი

(გუნიბის ტყვე)

*როდესაც წითელი ჩაჩი ფანჯარასთან გამოჩნდება, თერთმეტის ჩარექზე მას თავს მოჰკვეთენ და ყველაფერი გათავდება.*

**ალფრედ დე ვინი, „სენ-მარ“**

ერთ დღეს ფოსტალიონმა მანანას ავი ამბავი მოუტანა. მთიელებს მისი ძმა დავითი ტყვედ შეეპყრათ.

— ეხლა რაღა ვქნა? — წამოიძახა სასოწარკვეთილმა მანანამ და თვალები ცრემლებით გაევსო.

ომში უშიშარი და მამაცი დავით გერმანოზიშვილი თავს არ ზოგავდა, რათა რუსი გენერლების ყურადღება მიეპყრო. იგი ცეცხლსა და ბრძოლაში ეძებდა სახელს, ჯილდოს და პატივს. თავისი რაზმით ყველგან ზარსა და სიკვდილს თესდა, ხოლო დაპყრობილ სოფლებში, სასტიკი და ულმობელი, მთიელთა სახლებს ხანძრის ალში ხვევდა, არ ინდობდა არც მოხუცებს, არც ქალებს, არც ბავშვებს.

თავის გამოჩენით გატაცებული დავით გერმანოზიშვილი ომშიც ისევე იქცეოდა, როგორც მწვანე მაგიდაზე აზარტული თამაშის დროს. სახელისა და ხელმწიფის წყალობის მოსახვეჭად რისკსა და ხიფათს არ ერიდებოდა.

ერთხელ თავადი ხეობიდან გამოსულ მთიელ ცხენოსნებს წააწყდა და რაკი, წითელჩოხიან მხედარში ჰაჯი მურატი შეიცნო უზანგებზე შედგა, თავის რაზმს გამამხნევებელი „ურა“ შემოსძახა, მერე ერთხელაც არ მოიხედა უკან, ალტყინებული ხმლის ქნევით და ყვირილით ეგებებოდა მისკენ ქაჯებივით მომქროლავ მთიელებს. მან თავისიანებისაგან მოწყვეტა მხოლოდ მაშინ შეამჩნია, როცა მთიელებმა ქამანდით ცხენიდან ჩამოაგდეს და ტყვედ შეიპყრეს. მსუბუქად დაშავებულ გერმანოზიშვილს მოხუცმა მთიელმა იქვე, ბალახებში უდასტაქრა, ჭრილობა სათუთად მობანა, შეუხვია, ფეხზე წამოაყენა, წარბშეკრულმა შეხედა და დაწყევლა.

ალექსანდრე ბატონიშვილის ყოფილმა ემისარმა უკლებლივ გაიგო არაბულად წარმოთქმული წყევლის ყველა სიტყვა. თავი ჩაღუნა და ბედისწერას ერთხელ კიდევ დაემორჩილა.

დავითი დილეგში ჩააგდეს. აქ მას ტყვე რუსი ოფიცრები დახვდნენ. ყველა ტყვეს მძიმე ბორკილი ედო. ტყვეებს ფხიზლად დარაჯობდნენ, რადგან მათ გამოსასყიდად დიდი თანხა იყო დაწესებული. ნათესავები ამ თანხას იხდიდნენ და თავისიანებს დილეგიდან და ხაროვან ანთავისუფლებდნენ. ზოგიც ტყვედჩავარდნილ თვალსაჩინო მთიელზე იცვლებოდა.

მხოლოდ დავით გერმანოზიშვილი იყო ყველასგან მივიწყებული.

დიდგვაროვან თავადზე ისეთი დიდი გამოსასყიდი იყო დაწესებული, რომ მისი შეგროვება მანანამ ვერაგზით ვერ შეძლო. ახლო ნათესავები მხოლოდ ცარიელი ნუგეშით დაკმაყოფილდნენ. ასე მოიქცნენ მამიდა მზეხათუნიც და პიძა ანდუყაფარიც.

დავითის ტყვეობა დაუსრულებლად გრძელდებოდა. იმედდაკარგული ნელნელა ტყდებოდა. შავი ნაღველით შეპყრობილს უძილობა დასჩემდა, ხმელ ჩალაზე წრიალებდა და ღამე თეთრად ათენდებოდა. სულს უჭრარებდა მუეძინის ყვირილი მეჩეთის მინარეთზე და სალოცავად დამხობილი მცველების ბუტბუტი და ლაღადისი. მას არავინ არ ამცირებდა, არავინ შეურაცხყოფას არ აყენებდა, მაგრამ გულგატეხილს თავი დილეგის სველ კედელზე ჰქონდა მიყრდნობილი, ხმას არ იღებდა და არავის არაფერს ელაპარაკებოდა. ხანგრძლივმა ტყვეობამ თავადი გერმანოზიშვილი წელში გასტეხა, გაათეთრა და ნაადრევად დააბერა.

მხოლოდ ერთხელ გაუღეს ტყვეებს მცველებმა დილეგის კარები და ბორკილების ჩხარა-ჩხურით მზის სინათლეზე გაიყვანეს. „სად მივყევართ? რას გვიპირებენ?“ — ფიქრობდნენ უსია-

მოვნო წინათგრძნობით აფორიაქებული ტყვეები. ისინი თავჩაღუნული მიაბიჯებდნენ და ბნელიდან უცებ გამოყვანილნი მზის სინათლეს თვალს ვერ უსწორებდნენ.

როდესაც ტყვე ოფიცრები აულის დიდ მოედანზე ჩაიყვანეს, მათ ფერი ეცვალათ და ერთმანეთს შიშით გაღახედეს. მოედანზე, დიდროვანი ასწლოვანი წიფლების წრეში, აულის მცხოვრებლებს და შეიარაღებულ მთიელებს მოეყარათ თავი. ხეებზე ბავშვები აცოცებულიყვნენ, ზოგნი კენწეროებზე იყვნენ მოქცეულნი, ზოგნიც ცელქი მაიმუნებივით ტოტებზე ჩამოკონწიალებულიყვნენ, რათა კარგად დაენახათ ის, რაც მოედანზე უნდა მომხდარიყო.

აულის მაღლა აზიდულ, ერთმანეთზე კოლოფებივით დადგმული სახლების ბანებზე ქალები გადმომდგარიყვნენ და თავების და ხელების ქნევით გაცხარებით ლაპარაკობდნენ. ბანებზე ყურისწამღები გნიასი იდგა. მამაკაცები კი მდუმარედ იდგნენ მოედანზე. როცა ტყვე ოფიცრები ქალების წინ ჩაატარეს, მათ თავები საჩქაროდ მთებისკენ მიაბრუნეს და ქვებივით დადუმდნენ. დედაკაცების სამარისებური დუმილი შეკავებულ ზიზღს უფრო გამოხატავდა, ვიდრე მუსლიმანი ქალის ჩვეულებრივ მოკრძალებას. ტყვეების შიში თანდათან ძლიერდებოდა. მოედანზე კი თვით ყველაზე უშიშარი განწირულივით ათრთოლდა.

ტყვეებს მყისვე თვალში მოხვდათ მოედნის შუაგულში ამართული თავის მოსაკვეთი კუნძი. იქვე ღონიერი, მხარბეჭიანი ჯალათი ფუსფუსებდა. მწითური გოლიათი, რომელიც მუშტის ერთი დარტყმით ხარს წააქცევდა, უდარდელი გამომეტყველებით ნაჯახს ფხას უსინჯავდა. ყველანი მას უყურებდნენ და შესცქეროდნენ, თვით ის პატარა ფეხშიშველი ბიჭი, რომელიც სპილენძის გრძელი სურიდან ხამუშ-ხამუშ ვეება სიპ ქვაზე წყალს ასხამდა, რათა ჯალათს ნაჯახის პირი ერთხელ კიდევ მოელესა.

ყველა ტყვემ გოლიათ ჯალათში თავისი სულთამხუთავი აღმოაჩინა. „თავებს მოგვკვეთენ“ — გაისმა ვიღაცის გაბზარული, შიშით გათანგული ხმა. ასე ფიქრობდა ყველა ტყვე. ყველამ ამ სასჯელის მიზეზიც კარგად იცოდა.

სამი დღის წინ ერთი რუსი გენერლის ბრძანებით თხუთმეტი მთიელი ჩამოახრჩვეს. ერთი მათგანი, მძიმედ დაჭრილი ხნიერი ჩეჩენი, ცხენზე დაკრული მიიყვანეს სახრჩობელის თოკთან, ცხენის ფაფარზე თავდავარდნილს ყულფი გაუკეთეს, ცხენს მათრახი გადაჰკრეს და სახრჩობელას მოაშორეს.

ეს ამბავი ტყვეებმა მცველებისაგან შეიტყვეს. მაგრამ ამის გამო მათთვის შეურაცხყოფა არავის არ მიუყენებია, არც არავინ გამასპინძლებია ლანძღვა-გინებით, არც მუქარა წამოსცდენია ვინმეს. მცველები მდუმარედ უვლიდნენ დილეგს გარშემო და მხოლოდ დროგამოშვებით მოისმოდა მათი ბუტბუტი და ღაღადისი.

სამაგიეროდ დღეს უზღვავდნენ მისაგებელს. ის მწითური, გოლიათი ჯალათიც მათთვის ლესავდა ნაჯახს.

მაგრამ მოედანზე სულ სხვა რამ მოხდა.

ხმალამოწვდილმა ახალგაზრდა ჩერქეზებმა მოედანზე ომარ ჰაიდარ-ბეგი შემოიყვანეს. აქამდე მოყაყანე ბრბო უეცრად დადუმდა. ყველას ზიზღი და სიძულვილი გამოეხატა სახეზე.

მოტყუებით შეპყრობილ ომარ ჰაიდარ-ბეგისთვის შამილის ნაიბებს სიკვდილი მიესაჯათ. მას ტყვიით არა ჰკლავდნენ, როგორც სამხედრო ტყვეს, მას თავს ჰკვეთდნენ, როგორც გამცემს.

ომარ ჰაიდარ-ბეგს შავი შალის მოკლე ჩოხა ეცვა, სპილოს ძვლის თეთრი მასრებით შემკული. წვრილ წელზე ძვირფასი თვლებით მოოჭვილი უსატევრო ქამარ-ხანჯალი ერტყა. სატევარი ერთ-ერთ ახალგაზრდა ჩერქეზს ეჭირა ხელში.

თავლია ომარ ჰაიდარ-ბეგს საოცრად შვენოდა შავი ხუჭუჭი თმები. მის გამხ-

დარ, ვაჟკაცურ სახეს შიშის. არავითარი ნატამალი არ ეტყობოდა, სახის ფერიც ჩვეულებრივი ჰქონდა, ოღონდ ტუჩებზე ბრაზიანი და დამცინავი ღიმილი დასთამაშებდა. იგი მოღალატედ არ თვლიდა თავის თავს. ფეოდალური შუღლის ნიადაგზე აღმოცენებული მტრობა დანაშაულად არ მიაჩნდა. წინათაც და ახლაც თავს იმართლებდა ომარ ჰაიდარ-ბეგი, ზოგი ფეოდალი ოსმალეთისაკენ იყურებოდა, ზოგი რუსეთისკენ. რუსთა მომხრე ომარ ჰაიდარ-ბეგი თავის საქციელს და მოქმედებას ისევე ამართლებდა, როგორც თვითონ შამილი თავის ოსმალეთთან დამოკიდებულებას.

ამაყად და გამომწვევად მაცქერალი ომარ ჰაიდარ-ბეგი მშვიდად და აუღელვებლად ამოუდგა გვერდში ჯალათს, რომელმაც მხოლოდ ერთხელ, ალმაცერად მოხედა მას.

ხალხი დუმდა. ხეების ტოტებზე მსხდარი ბიჭები, წეღან მხიარულად რომ ყრიამულობდნენ, ახლა დიდებივით გაჩუმებულიყვნენ. ხალხი დუმდა. ხალხთან ერთად თითქოს ბუნებაც გაჩუმებულიყო. წიფლების ფოთლები უძრავად ეკიდნენ კაშკაშა მზის სხივებზე. მხოლოდ ახლომდებარე ჭიუხების ჩაბარუხების ყრუ ხმაური არღვევდა დუმილს. ცხენებსაც, აქამდე გაჩქარებით რომ ხრავდნენ ლაგმებს და მოუსვენრად ფრუტუნებდნენ, თავიანთი მხედრების უძრაობა გადასდებოდათ და თავები დაბლა დაეხარათ, როგორც წვიმიან ამინდში სჩვეოდათ. კრიალა ზეცაში ამაყად დაცურავდა ფრთაგაშლილი ორბი.

მრისხანე დუმილში ერთადერთმა სიტყვამ დაიქუხა:

— მოღალატევ!

ეს შემზარავი სიტყვა გრგვინვასავით გაისმა.

ცხენები დაფრთხნენ, ყალყზე შედგნენ.

ბრბო ამოძრავდა და ახმაურდა.

— მოღალატევ!

ზანი მისცეს ერთმანეთს აულის სახლებმა, ჭიუხებმა და შორეულმა მთებმა.

— მოღალატევ! მოღალატევ!

ომარ ჰაიდარ-ბეგი გაფითრდა. აცახცახდა. თვალებში ხვეწნა და მუდარა გამოეხატა. „მოღალატევ! მოღალატევ!" ესმოდა მას ყოველი მხრიდან და რწმუნდებოდა, რომ ეს ფეოდალების გადაწყვეტილება კი არ იყო, არამედ ხალხის განაჩენი. ბრბო თითქოს გრძნობდა, თუ რა ტკივილს აყენებდა ამ სიტყვით უშიშარ ვაჟკაცს და ულმობელად გუგუნებდა:

— მოღალატევ! მოღალატევ!

ომარ ჰაიდარ-ბეგი შერისხულივით ტრიალებდა ერთ ადგილზე, თითქოს სურს ამ სიტყვას სადმე გაექცეს და დაემალოსო. მას ამ სიტყვის უფრო ეშინოდა, ვიდრე ჯალათის ნაჯახის. ეს სასტიკი და დაუნდობელი სიტყვა მას ყოველი მხრიდან ესმოდა: ცხენებიდან, ხეებიდან, ბანებიდან, ჭიუხებიდან, შორეული მთებიდან და აულებიდან. ომარ ჰაიდარ-ბეგს ერჩივნა ხალხს ჩაექოლა, ნაკუწ-ნაკუწ ექცია, ვიდრე მისთვის მოღალატე ეწოდებინა.

— მოღალატევ!

— გამცემო!

— გიაურო!

გუგუნებდა ბრბო.

ომარ ჰაიდარ-ბეგს თვალებზე სიმწრის ცრემლი აუბრჭყვიალდა, მაგრამ მყისვე თავი დაბლა დახარა, რათა უფრო მეტად არ შერცხვენილიყო.

„მოღალატეს არა სჯიან, ის ყველაფრის ღირსია", მოაგონდა ვახტანგ VI-ის სიმართლის სიტყვები სიკვდილივით გაფითრებულ დავით გერმანოზიშვილს და თვალწინ ალექსანდრე ბატონიშვილი დაუდგა.

როცა ომარ ჰაიდარ-ბეგმა ერთი წამით თავი მაღლა ასწია, მან ქართველ თავადს მოჰკრა თვალი და სახეზე გაოცება გამოეხატა. იცნო და გაიკვირვა. ერთბაშად დაწყნარდა. გაიღიმა (ამ ღიმილმა ბრბო შეაკრთო და მისი ყვირილ-ღრიანცელი ოდნავ გაანელა). დავით გერმანოზიშვილის დანახვამ მას

მეხსიერებაში ერთბაშად აღადგინა ბარონ როზენის სასახლის მეჯლისზე მოცეკვავე ქალი. სულ უფრო და უფრო ცხადად ესახებოდა თვალწინ იმ თვალმწყაზარი გოგოს სათნო სახე და სიკვდილის წინ აუწერელ სიხარულსა და ნეტარებას განიცდიდა. „მე ეხლა დამშვიდებით მოვკვდები“, თქვა მან თავის გულში და ერთ-ერთ მცველს ანიშნა მასთან მისულიყო.

ომარ ჰაიდარ-ბეგმა ქამარ-ხანჯალი წელიდან მოიხსნა, მცველს გადასცა და უთხრა:

— ჩემი ქამარ-ხანჯალი იმ ტყვეს წაუღე. გადაეცი, რომ მე მაგის და მიყვარდა.

— ის კაცი ქრისტიანია! — თქვა გაკვირვებულმა მცველმა.

ომარ ჰაიდარ-ბეგმა ახალგაზრდა ჩერქეზსაც ისეთი თვალით შეხედა, როგორც იმ მეჯლისის ღამეს ხნიერ ჩერქეზს, რომელმაც მას ქრისტიანი ასულისადმი შლეგური ტრფიალი უსაყვედურა და ეს საბედისწერო დღე უწინასწარმეტყველა.

— მერე რაო? მე მიყვარს მაგის და!

— ახლაც ჯიუტად გაიმეორა ომარ ჰაიდარ-ბეგმა და მცველის ზიზღს დამცინავი ღიმილი მიაგება.

მან ისეთი უდარდელი მოძრაობით დაიჩოქა კუნძთან, კაცს ეგონებოდა, ცხენს მტკივანი ფეხი უნდა გაუსინჯოსო. უკანასკნელად დააცქერდა დავით გერმანოზიშვილს, უკანასკნელად აღადგინა გონების თვალით იმ თვალმწყაზარი ქალის სათნო სახე, უკანასკნელად გაიღიმა და თავი კუნძზე დადო. ჯალათმა ნაჯახი აღმართა. ხალხმა ხმა გაკმინდა. ჯალათმა ნაჯახის ერთი დარტყმით მოაშორა თავი ტანს. მოკვეთილი თავი კუნძიდან მიწაზე გადმოგორდა. ჯალათმა გასისხლიანებული თავი მაღლა აიტაცა და ხალხს დაანახა. ხალხი დაფრთხა და ზარდაცემულმა უკან დაიხია. სიკვდილით დასჯილის გაფითრებული ტუჩები ღიმილით იყო დაგრეხილი.

შეძრწუნებული ტყვეები დილეგში დააბრუნეს.

— ველურნი! — წამოიძახა ერთმა ოფიცერმა.

— რატომ გავიწყდებათ გუშინწინდელი ამბავი? — გაეპასუხა მას ნაოფიცრალი ჯარისკაცი, რომლისთვისაც დეკაბრისტების აჯანყების შემდეგ რუხი შინელი ჩაეცვათ, — მათ მოღალატე დასაჯეს, თქვენ კი რილეევი დაახრჩვეთ, პოეტი და ადამიანი.

დეკაბრისტს ტყვე ოფიცრები რისხვით მისცვივდნენ, მაგრამ სწორედ ამ დროს თავად გერმანოზიშვილს ომარ ჰაიდარ-ბეგის ოქროს ქამარ-ხანჯალი გადასცეს იმ პირობით, რომ თუ ოდესმე განთავისუფლდებოდა, თავისი დისათვის გადაეცა და სიკვდილით დასჯილის უკანასკნელი სიტყვებიც ეთქვა.

— ამ ოქროს ქამარ-ხანჯლით თოფების და ტყვია-წამლის ყიდვა შეიძლებოდა, რადგან ფასდაუდებელი ჩანს, — თქვა დეკაბრისტმა, — მაგრამ ამ „ველურებმა“ თავიანთ მტერს უკანასკნელი სურვილი პირნათლად შეუსრულეს.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანრი გოგეშვილი

# მოთხრობები

## ზედმიწევნით ახირებული კაცი

ვასიკოს ბრგე, მოხდენილი მამაკაცი ეთქმოდა, მაგრამ ამას იშვიათად თუ შეამჩნევდა ვინმე, რადგან პირისახეს ზამთარ-ზაფხულ ხშირი, ჩაბურდული წვერი უფარავდა, სხეულს კი — იისფერი ყვავილებით მოხატული ხალათი, ტილოს თეთრად შენაძრახი შარვალი, შავი, უსაშველოდ გრძელი ლაბადა და თავზე ჰაიჰარად დახურული, ნაცრისფერი, კიდეებშემოჭმული მაღალი ქუდი.

ასეთი ჩაცმულობით, რა თქმა უნდა, პირველსავე შემხვედრს აოცებდა, ან ღიმილს გვრიდა. ამასთანავე იმიტომაც თვლიდნენ ახირებული ჭკუის პატრონად, რომ სათქმელის დამალვა არ უყვარდა, არც განწყობილების შენიღბვას ცდილობდა .ემღერებოდა — მღეროდა, ეტირებოდა — ტიროდა, გამიზნული მოჩვენებითობაზე წარმოდგენაც არ ჰქონდა.

ხალხს უყვარდა ვასიკო, ზოგს ეცოდებოდა და იმიტომ. ზოგი კი თავშესაქცევს ხედავდა მასში, სხვები სიმართლისა და გულუბრყვილობისათვის აფასებდნენ.

ვასიკოსაც უყვარდა ხალხი, მაგრამ უღრესად სწყინდა, როცა ხვდებოდა, ჩემი ნათქვამის არ სჯერათ და დამცირებას მიპირებენო. მაშინ შეიძლება ატირებულიყო კიდეც. ის კი არა, ერთხანს ბაზრიდანაც გადაიკარგებოდა და პატარა ქალაქის პატარა ბაზარიც უამისოდ თითქოს ეშხს და მარიფათს ჰკარგავდა: მალე ისევ მობრუნდებოდა, რათა თავისი ალალმართალი შრომით ლუკმაპურის საფასური ეშოვა.

ბაზარში ვასიკო მაღაზიის გამგეების, მებუფეტეების, მყიდველებისა და გამყიდველების იაფფასიანი, დაუზარელი მეკურტნე გახლდათ. აქ იგი ჭკუასაკითხავ კაცად შეიძლებოდა მიეჩნიათ, თუ ვინმე სამოცდაოთხ უჯრიან შაშით დაინტერესდებოდა. სადაც არ უნდა ყოფილიყო ვასიკო, ყოველთვის ხელმისაწვდომზე ჰქონდა შენახული ხმარებისაგან კიდეებშემოფცქვნილი ქვები და ფერგადასული, ალაგ-ალაგ გაყვითლებული მუყაოს დაფა. ხუმრობით ბაზრის ჩემპიონსაც კი ეძახდნენ, რითაც ამაყობდა კიდეც. თუ ვასიკოს გულის მოგება გსურდათ, მასთან შაშის თამაშზე უარი არ უნდა გეთქვათ; შემოთავაზებით აუცილებლად შემოგთავაზებდათ, თუკი შეამჩნევდა, რომ თავისუფალი დრო გქონდათ.

ბევრი თამაშობდა ვასიკოსთან შაშს, ზოგი თავშესაქცევად, ზოგსაც ენიძლავებოდნენ, თუ ბაზრის ჩემპიონს მოუ-

გებ, ამდენ და ამდენ ბოთლ ღვინოს ვკისრულობო, ზოგიც თავად იყო დაინტერესებული ვასიკოსათვის მოეგო.

ღვინოს ნაკლებად სვამდა ვასიკო, თითქმის იშვიათად, მაგრამ ზედიზედ რამდენიმე პარტიას რომ მოიგებდა, მაშინ ნამდვილად შეზარხოშებული გეგონებოდათ. სახეგაბადრული და თვალებგაბრწყინებული, გაიჩაჩხებოდა და კმაყოფილებით იტყოდა:

— ასე უნდა თამაში, აბა!..

— ვინ გასწავლა, კაცო, ასე კარგად „დამკის" თამაში? — უმალ შეპარვით ჰკითხავდა ვიღაც.

ვასიკოს კიდევ უფრო გაებადრებოდა სახე.

— ჩემმა მეუღლემ, — ამაყად განაცხადებდა და თითებით ჩაბურდულ წვერს მოიქექავდა.

— რომელმა, ცოლი რომ არ გყავს?! — განგებ გაიკვირვებდა ვიღაც.

— მყავდა, აბა ყოველთვის ასე ხომ არ ვიქნებოდი, — ხელებს გაშლიდა ვასიკო და ხალისიანად დაიწყებდა ყველასათვის ცნობილი ამბის მოყოლას.

მსმენელები ერთხანს მზაკვრული ყურადღებით უსმენდნენ, მერე რომელიმე ერთბაშად გადაიხარხარებდა და ვასიკოს შარს მოსდებდა... შენ იმ ქალს ისე არ გაუშვებდიო. იგი კი მთელი სიდინჯით მოყვებოდა მტკიცებას, ხელი არ წამიკარებია, დედის სულს გეფიცებითო.

— აბა შენი ცოლი საიდან იყო?! — იღრიალებდნენ მაშინ ბიჭები.

— იყო, — მარჯვენას აღმართავდა ვასიკო, — ჩვენ ერთმანეთი გვსურდა და გვეწადა, მეტი რაღა გინდათ! — და ისე ერთბაშად შეიცვლებოდა, ეჭვი შეგეპარებოდა, მართლაც ვასიკოა ეს თუ არაო. როცა აღარ დაუჯერებდნენ, ხელს ჩაიქნევდა და წავიდოდა, ანუ როგორც შემდეგ ერთი პენსიონერი ინტელიგენტი იტყოდა, „თვალებზე ცრემლმომდგარი მოხარხარე ბრბოს მიატოვებდა".

ის ამბავი კი მოკლედ ასე ითქმოდა:

...ოცდაათ წელს მიტანებული ვასიკო თბილისის რკინიგზის სადგურში მუშაობდა მტვირთავად. „შეძლებული ვიყავი და შესახედავადაც არა მიშავდა, აბა..." — თამამად იტყოდა იგი.

ერთხელ, საღამოხანს, მოსკოვის მატარებელს ვიღაც ქალი ჩამოჰყვა. „პირდაპირ ცურავდა კაბაში. დაბრაწული ლოყები ჰქონდა." კაბაში ცურავდაო, სიგამხდრეს კი არ აყვედრიდა, ზოგჯერ იმასაც დაუმატებდა, „ისე იყო გათქვირებულიო." ჰოდა, ვასიკომ ამ ქალის ჩემოდნებს დასტაცა ხელი. მიდის ვასიკო, მიაქვს ორი ვეებერთელა ჩემოდანი, მისდევს ქალი უკან და ხმას არ იღებს. ბოლოს დაიღალა კაცი, დადგა ჩემოდნები, მიბრუნდა და თანამგზავრს მიაჩერდა. „ბინა მაქვს მოსაძებნი," — დაბნეულად უმხელს ქალი და თითქოს ბოდიშით უღიმის. ვასიკოს რცხვენია, წითლდება კიდეც და წუხს... „ამ ანგელოზ ქალს ამ ღამე ბინის საძებრად რაზე უნდა ჰქონდეს საქმე." მერე გამბედაობას იკრეფს: „თუ ჩემთან იკადრებთ..." ქალი დაკვირვებით ათვალიერებს და მხრებს იჩეჩავს. ვასიკო უცინის, ჩემოდნებს იღებს და მიდის. იგი სადგურთან ახლოს ცხოვრობს, პატარა ოთახი უკავია, ქუჩის განაპირას. იმ ოთახში ისტუმრა ქალი.

„...ვახშმად, რაც კი სასმელ-საჭმელი გააჩნდა, ყველაფერი სუფრაზე გამოიტანა. „ისე მადიანად ჭამდა, სიხარულისგან აღარ ვიყავი კაცი, შემხედავდა და ღიმილად იქცეოდა..." ეს იყო, საუბარს ვერ მოაბეს თავი. ვასიკოს სატრფიალო გამოთქმების არცოდნა ბოჭავდა, ქალიც მორცხვად ახამხამებდა თვალებს. ამიტომ ნავახშმევს ჩემოდნიდან შაშს იღებს და მასპინძელს ორაზროვნად უცინის. „რომ ვუთხარი, თამაში არ ვიცი-მეთქი, გაკვირვებად იქცა, რა იცოდა, ბალნობიდან ტვირთი, რომ მედო მხრებზე", — ოხვრით იტყოდა ვასიკო და უმალ დაუმატებდა, „მერე სიცილ-სიცილში ისე ჩქარა მასწავლა. ერთი-ორჯერ კინაღამ მოვუგე".

ბოლოს დაქანცულ სტუმარს ძილი მოეძალა. „გავშალე ლოგინი და გარეთ

გამოვედი, აბა ქალს თავზე ხომ არ დავადგებოდი.“ გასვლით კი გავიდა, მაგრამ უკან მიბრუნებას კარგა ხანს ველარ ბედავს. სულაფორიაქებული, უთავბოლოდ ხეტიალობს სახლის გარშემო, მერე გამბედაობას იკრეფს, ოთახში ფეხაკრეფით შედის და უგემურად წვება მაგიდასთან, იატაკზე.

წევს ვასიკო, განძრევისა ეშინია და იმ ქალზე ფიქრობს: „პირდაპირ ცეცხლის ალში ვიყავი გახვეული, ვგრძნობ, იმ დალოცვილსაც არ ძინავს და ჩემზე ფიქრობს, სუნთქვა გვესმის ერთმანეთის...“

ესაა და ეს... იმ ღამეს თეთრად ათენებს ვასიკო, ალიონისას კი ცოტა ხნით ჩასთვლემს. აი, მაშინ მიდის ის ქალი. ადგა და წავიდაო, ამბობდა ვასიკო; „გაიპარაო,“ არასდროს იტყოდა და სხვისგან რუ გაიგონებდა ამისდამაგვარს, უმალ მოიღუშებოდა. წავიდა — გაიმეორებდა მტკიცედ, თან იმაზე წუხდა, იმოდენა ჩემოდნები როგორ წაიღო, წელს მოწყვეტდაო. მერე ერთბაშად გაიღიმებდა — „დამკა“ კი სამახსოვროდ დაეტოვებინა — კმაყოფილებით ჩაიდუდუნებდა და თითებით ჩვეულებისამებრ წვერ-ულვაშს მოიქექავდა.

...იმ დღესაც ასე იყო. ვიღაც მემწვანილეს ვასიკომ ზედიზედ მოუგო ხუთი ხელი შაშის პარტია და ახლა თავის ამბავს ჰყვებოდა ხალისიანად... ჯერ ის მემწვანილე აუხირდა, თუ არ გაკარებიხარ, შენი ცოლი საიდან იყოო, მერე სხვებმა ათასნაირი სისულელე უთხრეს. ზოგს უკვე ეჭვი ეპარებოდა, ეს კაცი ნამდვილად რაღაცას გვიმალავსო და ცდილობდნენ იმ ამბიდან რაიმე ახალი ეთქმევინებინათ.

— იყო, — მტკიცედ განაცხადა ვასიკომ, — იყო. იმ ღამეს იმ ქალმა იფიქრა ნეტა ეს კაცი ჩემთან მოვიდესო და მეც ვიფიქრე, ნეტა მიმიყვანა-მეთქი.

ღრიანცელმა საგრძნობლად იმატა.

— ვაა! — შესძახა მემწვანილემ, — რამდენი რამე მე მიფიქრია...

— თუ გიფიქრია, გაგიკეთებია კიდეც, — დინჯად მიუგო ვასიკომ.

— ეჰე, გუშინ ვინატრე, რასაც ლადიკოს მაღაზია ივაჭრებს, ნეტა ამაწაპნია-მეთქი, ამიწაპნია ხომ? — სიცილისაგან ჩაბჟირდა ვიღაც მთვრალი.

— მოგიპარავს, — გასაოცარი სიდინჯით დაუმოწმა ვასიკომ.

— არ გამაგიჟო, — არ მოეშვა ის ვიღაც, — აბა მე ქურდი ვარ ხომ?..

— კი, — არ აწყენინა ვასიკომ და მშვიდად თქვა, — ვინც რას ფიქრობს, იმაზე უნდა აგოს პასუხი, შენ კი, თუ სიმართლე გინდა, ქურდობაზე უნდა ჩაგსვან, — და უცებ, ყველასდა მოულოდნელად, აღიმაღლა ხმა, — შენ კი მკვლელობაზე... — ახლა ცხვირგაწითლებულ მსუქან ყასაბს შეხედა, — ხომ გიფიქრია, ნეტა ჩემს კონკურენტ გერონტის სული გავარდებოდეს; ჩათვალე, გინდა მოგეკლას. ხომ ვთქვი, ყველამ თავის ფიქრსა და სურვილზე აგოს პასუხი-მეთქი, — თითქოს დაიქადნა: — ერთი კაცის ცოლი ვიცი, რამდენ კაი ვაჟკაცს დაინახავს, თვალებად იქცევა, წყალი არ გაუვა, იმ ქალს ფიქრით ერთ ას კაცთან შეუცოდავს, ტყუილად ფიქრობს მისი ქმარი, პატიოსანი ცოლი მყავსო. თუ დრო და პირობები შეექმნა, არაფერს არ დაიკლებს, არც შენ დატოვებ ლადიკოს მაღაზიას გაუქურდავს და შენც არ დაგწყდება გული, გერონტი მეყასბე ხარის რქებზე აცმული რომ ნახო: ასეა ეს, აბა რატომ არ გჯერათ,ის ქალი რომ ჩემი მეუღლე იყო, მარტო მე კი არ მიფიქრია მასზე, ისიც ჩემზე ფიქრობდა. სიმორცხვე და უდროობა რა სახსენებელია ფიქრთან და სურვილთან. ხომ ვგრძნობდით ერთმანეთს, ხომ ვგრძნობდით...

ვინლა უსმენდა ვასიკოს, ერთი აურზაური იდგა, იმ მთვრალმა დასარტყმელადაც კი წაიწია.

— უყურე ერთი ამ გლახაკს, — ჩახლეჩილი ხმით ყვიროდა იგი, — ქურდები, მკვლელები და კახპები არ გაგვხადა ეს პატიოსანი ხალხი? ვინ გაქურდეთ და

ვინ მოკალითო, ფიქრის და ნატვრის ანგარიში არ მოგვთხოვა? მე მაგის...

— შეეშვი, გიჟიაო! — ამშვიდებდნენ. პენსიონერი ინტელიგენტი კი ავტორიტეტულად ამტკიცებდა, ზედმიწევნით ახირებული კაციაო: მაგრამ უკვე არც ვასიკო აქცევდა ვინმეს ყურადღებას. შაშის ქვები ლაბადის ჯიბეში ჩაედო, მუყაოს ძველისძველი დაფა კი სათუთად მიეკრა მკერდზე, ხალხის რკალს მიარღვევდა და თავისთვის ჩურჩულებდა:

— ღმერთმა ყველას თქვენ-თქვენი სურვილი შეგისრულოთ, ღმერთმა ყველას... ერთ დღეს, ერთბაშად...

ბრაზობდა თუ შენდობას უცხადებდა მოკამათეთ, ძნელი შესამჩნევი იყო.

## სინამდვილე

„მივალ და ვეტყვი, მისვლა სჯობს..." — ასე ფიქრობდა და მისვლაც ეწადა, მაგრამ მაინც თავს იკავებდა. ალბათ ეშინოდა, გოგონასი კი არა, სხვისა — იმ მაღალი, ნიადაგ წვერგაუპარსავი კაცისა. ერთხანს სულით ავადმყოფი ეგონა, დამთხვეული მაინც, რადგან მეტწილად უაზრო გამოხედვა ჰქონდა და ერთ ადგილზე გაქვავება და ჩაშტერება სჩვეოდა. მერე გაიგო, გარდაცვლილ მეუღლეს გლოვობდა თურმე... და კაცის ახირებასაც სხვა ელფერი მიეცა. ახლა რამდენადაც მეტ უსიცოცხლობას ამჩნევდა, იმდენად მეტად ხარობდა. გოგოსაც ისე ვეყვარები, როგორც მამამისს — დედამისიო. გენებზე რაღაცები წაეკითხა და იმიტომ სჯეროდა ასე. იქნებ იმიტომაც უფრო ილტვოდა იმ გოგოსაკენ. დიდი სიყვარულის იმედი ჰქონდა. იმასაც ფიქრობდა, გოგო დანახვის დღიდან მეტრფისო. მთელ ამ სამ კვირას მისი შორიდან ცქერით ვერა ტკბებოდა. გოგოც ხომ მასავით უტეხად ვერ დაუწყებდა თვალთვალს. თითქოსდა ვერც ამჩნევდა მის სიახლოვეს. იშვიათად შეხედავდა. თუ შეხედავდა, ისიც მხოლოდ მაშინ, როცა ხალხში იდგა, გამარჯობასაც მაშინ თუ ეტყოდა. მორცხვობს და კიდეც შვენისო, უხაროდა ბიჭს. სხვებისგანაც გაეგონა, მოკრძალებული და ჩუმი გოგოა, კარგი მეოჯახეო. სხვა რაღა უნდოდა, შესახედავად ხომ თავდავიწყებამდე მოსწონდა.

როგორც იქნა, გაბედა პირისპირ შეყროდა. სოფლიდან ორიოდ დღეში უნდა წასულიყო და მეტად ველარ დააყოვნებდა. კინოდან მომავალს გზის გასაყართან დახვდა. იმას თითქოს არც გაკვირვებია მისი გამოჩენა. ჩვეულებრივად შეხედა, ისე, როგორც ყოველ ნაცნობს უმზერდა.

ბიჭი წინ გადაუდგა, მკერდზე ხელი მიიდო და, რაინდს რომ სჩვევია, ისე ამცნო:

— მიყვარხარ...

მუხლებში სისუსტე იგრძნო. გულისცემას ხომ ნუღარ იკითხავთ, ეგონა, სული გასძვრებოდა.

გოგონამ ოდნავ გაიღიმა და აუჩქარებლად უთხრა:

— მამაჩემს უთხარი.

ფული რომ ეთხოვა, ალბათ, ასევე ეტყოდა, მამაჩემს ესესხეო.

— რაო, რა მინდაო? — იკითხა მამამისმა, მოსახვევში მოაბიჯებდა.

გოგო სულაც არ დამფრთხალა. ოდნავ მიაბრუნა თავი.

— ცოლობასა მთხოვს, — მშვიდად მიუგო.

— ცოლობას, ჰე... — მამამისი კვლავ მძიმედ მოაბიჯებდა, — მერე სხვა დრო ვერ ნახა, ეგ არჩილის შვილიშვილია არა? ჰო... თუ მართლა აგრე ფიქრობ,

მშობლებს უთხარი, მშობლები ხომ გყავს. ვნახოთ, ქუჩაში არ წყდება ეგ საქმე, — ისე, სხვათაშორის თქვა, არც კი შეჩერებულა.

ქალიშვილიც გაჰყვა. არც რაიმე უთქვამს, არც რაიმე უნიშნებია, არც გაუღიმია წესიერად. გვერდი რომ აუარა, მხარი გაჰკრა ოდნავ, ეს იყო და ეს.

მერე იქვე შეჩერდნენ

— გაჰყვები? — ჰკითხა მამამისმა.

— რა ვიცი, მიკითხვ-მოკითხვა უნდა, — დინჯად უპასუხა გოგომ.

— ჰო, მგონი შეძლებული ხალხია, ვნახოთ... წამო.

ორთავე ზანტად მიაბიჯებდა, გოგომ ერთი კი სცადა უკან მოხედვა, მაგრამ რატომღაც თავი შეიკავა.

ბიჭს თითქოს გულ-მკერდი ჩამოფარცხეს. სითბო დაკარგა. არ შეციებია, მაგრამ გვარიანად გააჟრჟოლა.

... მერე გრძელი ნაბიჯებით მიიჩქაროდა სადგურისაკენ. იცოდა, მატარებლის გასვლამდე ცოტა დრო დარჩენილიყო. მიიჩქაროდა და უხაროდა, ასე სწრაფად სიარული რომ შეეძლო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უილიამ შექსპირი

# ტროილოსი და კრესიდა

მოქმედი პირნი:

პრიამე — ტროის ხელმწიფე
ჰექტორი
ტროილოსი
პარისი
დეიფობოსი
ჰელენოსი — მისი შვილები
მარგარელონი, პრიამეს უკანონო შვილი
ენეასი
ანტენორი — ტროელი სარდლები
კალხასი — ტროელი ქურუმი, ბერძენთა მომხრე
პანდაროსი — კრესიდას ბიძა
აგამემნონი, ბერძენთა მთავარსარდალი
მენელაოსი — მისი ძმა
აქილევსი
აიაქსი
ულისე
ნესტორი
დიომიდე
პატროკლე — ბერძენი სარდლები
თერსიტე, გონჯი და უხეში ბერძენი
ალექსანდრე, კრესიდას მსახური
ტროილოსის მსახური
პარისის მსახური
დიომიდეს მსახური
ელენე, მენელაოსის მეუღლე
ანდრომაქე, ჰექტორის მეუღლე
კასანდრა, პრიამეს ასული, წინასწარმეტყველი
კრესიდა, კალხასის ასული
ტროელი და ბერძენი მეომრები და მხლებლები

მოქმედების ადგილი — ტროა და ბერძენთა ბანაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### პროლოგი

სცენაზე ტროა აღმართულა, ამაყ მბრძანებლებს
გაუგზავნიათ საბერძნეთის კუნძულებიდან
ათენში მათი ხომალდები სისხლამღვრეულებს,
სასტიკი ომის საჭურველით დატვირთულები.
მათი დროშები სამოცდაცხრა გემზე ფრიალებს
და ათენიდან ფრიგიისკენ მიეშურება.
დაუფიციათ, შევმუსრავთო თავგასულ ტროას,
რომლის შეუვალ კედლებს იქით ტურფა ელენეს,
მენელაოსის მოტაცებულ დედოფალს სძინავს
ურცხვი პარისის სარეცელზე. ეს მიზეზი აქვთ
და აჰა, უკვე ტენედოსში ჩაუშვეს ღუზა
წყალში ღრმად მჯდარმა, დატვირთულმა მძიმედ გემებმა.
დასვენებულმა, უთვალავმა ბერძნების ჯარმა
დასცა ბანაკი დარდანიის გაშლილ მინდორზე.
ექვსჭიშკრიანი აღმართულა მათ თვალწინ ტროა,
მეფე პრიამეს მიუვალი, მტკიცე ქალაქი
და მტრისგან ჭფარავს საიმედო საკეტით შვილებს.
სასტიკი ომის მოლოდინი გულებს აღაგზნებს
და ტროელებსაც და ბერძნებსაც წინ უსწრებთ სული.
მეც გეახელით იარაღში ჩამჯდარი, მაგრამ
არა იმიტომ, რომ წარვმართო მწერლის კალამი,
ან მსახიობის ხმა შევცვალო, არამედ, რათა
შესაფერისი სამოსით და აღჭურვილობით
შეგატყობინოთ, დიდებულნო მაყურებელნო,
რომ ჩვენი დადგმა გამოსტოვებს ამბის დასაწყისს
და შუაგულით დაიწყება იმის ჩვენება,
რისი დანახვაც თქვენს სულსა და გულსაც ენება.
ვითარცა ომში მოლოდინი ჩვენი დიდია:
ჩვენი მარცხიც და გამარჯვებაც თქვენზე ჰკიდია.

### მოქმედება პირველი

#### სურათი I

ტროა. პრიამეს სასახლის წინ.
(შემოდიან ტროილოსი, იარაღასხმული და პანდაროსი)

ტროილოსი

მსახურს მოუხმეთ. საჭურველი უნდა მოვიხსნა.
რატომ ვიომო, აბა, ტროის გალავანს გარეთ,
როცა ჩემს გულში გამართულა სასტიკი ომი?
ომში წავიდეს თავის გულის ბატონ-პატრონი,
ტროილოსმა კი, ვაგლახ, გული ტყვედ სხვას ჩაუგდო.

პანდაროსი

ნუთუ მაგ ამბავს არაფერი არ ეშველება?

ტროილოსი

ბერძნებს ძალა აქვთ, ხელოვნებაც ომისა მოსდგამთ,
არც სიმამაცე აკლიათ და არც სისასტიკე,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე კი, უღონო, ქალის ცრემლზე უფრო სუსტი ვარ
და თვინიერი უფრო, ვიდრე მძინარე კაცი;
უვიცზე უფრო მიამიტი: ნაკლებ თამამი,
ვიდრე ღამეში მიმავალი ქალწული ქალი
და გულუბრყვილო ბავშვზე მეტად გამოუცდელი

პ ა ნ დ ა რ ო ს ი

კარგია, გეყოფა, თუ ღმერთი გწამს. მაგაზე საკმაოდ გელაპარაკე და ახლა მეტს აღარ გავერევი მაგ საქმეში. ვისაც გამომცხვარი პური უნდა, ხორბლის დაფქვას უნდა მოუცადოს.

ტ რ ო ი ლ ო ს ი

მერედა განა არ ვუცადე?

პ ა ნ დ ა რ ო ს ი

მართალია, დაფქვას კი უცადე, მაგრამ გაცრასაც უნდა დაელოდო.

ტ რ ო ი ლ ო ს ი

მერედა განა არ ველოდე?

პ ა ნ დ ა რ ო ს ი

მართალია, გაცრასაც ელოდე, მაგრამ ცომის აფუებასაც უნდა მოუცადო.

ტ რ ო ი ლ ო ს ი

მაგასაც ვუცადე.

პ ა ნ დ ა რ ო ს ი

მართალია, ცომის აფუებასაც უცადე, მაგრამ ცომს მოზელა უნდა, ცეცხლს — დანთება, პურს — გამოცხობა, მერედა, გაცივებაც ხომ უნდა აცალო, თორემ პირსაც დაიწვავ.

ტ რ ო ი ლ ო ს ი

თვით მოთმინება, რა ქალღმერთიც კი უნდა იყოს,
ასეთი ტანჯვით ჩემებრ მაინც არ გაფითრდება.
პრიამეს მეფურ სუფრას როცა ვუზივარ ხოლმე,
შემომეჭრება ფიქრში უცებ ტურფა კრესიდა,
შემომეჭრება მოღალატევ, მაგრამ სად არის?

პ ა ნ დ ა რ ო ს ი

წუხელ მართლაც რომ მეტად მშვენიერი იყო. ასე ლამაზი ჯერ არც თვითონ ყოფილა და არც სხვა ქალი ვინმე.

ტ რ ო ი ლ ო ს ი

იმას ვამბობდი, როცა გული ჩემი მზად არის,
ჩემივე ოხვრით გამსჭვალული ორად გაიპოს,
ვშიშობ, ჰექტორმა არ გამიგოს, ან მამაჩემმა,
და ისე, ვით მზე გაანათებს საავდრო ღრუბელს,
ოხვრას ღიმილის საბურველით დავმალავ ხოლმე.
მაგრამ შესცდება ამ ღიმილით ჩემი მნახველი,
რადგან უეცრად ხელს ისევე დამრევს ნაღველი.

პ ა ნ დ ა რ ო ს ი

თმა რომ ელენეს თმაზე ცოტა უფრო მუქი არა ჰქონდეს, უნდა გითხრა, არც კი ვიცი, რომელი აჯობებდა მათ შორის. მაგრამ ეგ ხომ ჩემი ნათესავია და მე ქება არა მმართებს, თუმცა გუშინ რომ ვისმე ჩემსავით მოესმინა მისი ლაპარაკი! მე არ ვამცირებ შენი დის კასანდრას ჭკუა-გონებას, მაგრამ...

ტ რ ო ი ლ ო ს ი

ეჰა, პანდაროს! გეუბნები, ჩემო პანდაროს!
გულის სიღრმეში ჩამიხრჩვია ყველა იმედი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ნუღა მკითხავ, რა სიღრმეზე მაქვს ჩამარხული.
გავგიჟდი-მეთქი, გეუბნები, ამ სიყვარულით,
შენ კი ერთგვარად გაიძახი, „მშვენიერია“.
პირდაღებული გულის წყლული გამიშიშვლებია
და ჩასახულა შიგ მისი ხმა, თვალები, თმები,
მისი ღაწვები, მიხრა-მოხრა და სიარული.
ნუ მეუბნები, თვითონ ვიცი, მისი ხელები
ისე თეთრია, რომ მათ გვერდით შავად ჩანს ყველა
თეთრი სხეული და სირცხვილი სწვავს ყოველ მათგანს,
მათი შეხების შემდეგ გედის ნაზი ბუმბული
გლეხკაცის უხეშ და ტლანქ ხელად მოგეჩვენება.
შენც მეუბნები, რომ ის მიყვარს და მართალს ამბობ,
მაგრამ ამის თქმით მალამოს კი არ მადებ წყლულზე,
არამედ უფრო მიწყლულებ გულს, გრძნობით დაკოდილს,
გულში მცემ დანას.

პანდაროსი

სიმართლის მეტს რას მოგახსენებ?

ტროილოსი

ასე მგონია: სრულ სიმართლეს არ მეუბნები.

პანდაროსი

არა, ღმერთმანი, მაგ საქმეში არ გავერევი. ის ქალი, თავისთვის იყოს. თუ ლამაზია, მით უკეთესი მისთვის, თუ არ არის და თავის გალამაზებაც მის ხელთაა.

ტროილოსი

ჩემო პანდაროს, რა ვქნა-მეთქი, ახლა პანდაროს?

პანდაროსი

მე უკვე მივიღე კიდეც, რაც დავიმსახურე ჩემი ტანჯვა-წვალებისათვის: იქით ის მემდურება და აქეთ — შენ. ვშუამავლობ, ვშუამავლობ და მადლობასაც არავინ მეუბნება.

ტროილოსი

რაო, ჯავრობ, პანდაროს? მე მიჯავრდები?

პანდაროსი

ის რომ ჩემი ნათესავია, ამიტომ ისე მშვენიერი არ მეჩვენება, როგორც ელენე. ჩემი ნათესავი რომ არ იყოს, ის პარასკეობით ისეთივე მშვენიერი იქნებოდა, როგორც ელენე კვირაობით, მაგრამ მე რა მესაქმება? თუნდაც მავრის ქალივით შავტუხა იყოს, ჩემთვის სულერთია.

ტროილოსი

განა მეც არ ვამბობ, ლამაზია-მეთქი?

პანდაროსი

რა ჩემი საქმეა, ამბობ, თუ არ ამბობ. ის ქალი სულელია, რომ მამამისს აჰყოლია. არ ურჩევნია ბერძნებთან წავიდეს? როგორც კი შევხვდები, სწორედ ასე ვურჩევ. თუმცა რა ჩემი საქმეა, არც მინდა ჩავერიო და არც არაფერი.

ტროილოსი

პანდაროს!

პანდაროსი

არა-მეთქი.

ტროილოსი

საყვარელო პანდაროს!

პ ა ნ დ ა რ ო ს ი

გეხვეწები, აღარაფერი მითხრა-მეთქი. რაც იყო-იყო, აღარაფერი მესაქმება. მორჩა და გათავდა (გადის).

(განგაშის ხმა ისმის)

ტ რ ო ი ლ ო ს ი

დადუმდით ხმებო! ჩუმად-მეთქი, უგვანო ხმებო!
ორივე მხარეს ბრიყვები ვართ — ჩვენც და ბერძნებიც.
ელენე მართლაც მშვენიერი რამ უნდა იყოს,
თუკი ყოველდღე ჩვენი სისხლით ვამტკიცებთ ამას.
მე ამ მიზეზით მეტი ომი არ შემიძლია, —
მას საკმარისად არ მიიჩნევს ჩემი მახვილი.
მაგრამ პანდაროს, ...ოჰ, ღმერთებო, როგორ მაწამებთ!
პანდაროსს იქით გზა არა მაქვს კრესიდას შევხვდე.
ის კი ისეთი ჭირვეული და ჯიუტია,
როგორც კრესიდა არის კერპი და უკარება.
მარქვი, აპოლოვ, დაფნასადმი ტრფიალს გაფიცებ,
რაა კრესიდა, პანდაროსი, ან ჩვენ რანი ვართ?
კრესიდა, როგორც ინდოეთის თვალი ძვირფასი,
ელვარებს თავის სარეცელში; თითქოს ჩვენ შორის
აღქაფებული და ველური მოჰქუხს მდინარე.
მე ვარ ვაჭარი, პანდაროსი — მეგზური ჩემი,
ჩემი იმედიც, იჭვნეული, ნავიც, მენავეც.

(განგაში. შემოდის ენეასი)

ე ნ ე ა ს ი

ბატონიშვილო, ბრძოლის ველზე რატომ არა ხართ?

ტ რ ო ი ლ ო ს ი

იმიტომ. ვიცი ეს პასუხი დიაცს შეფერის
და ბრძოლის ველის მიტოვებაც არის სიმხდალე.
მაინც მითხარი შენ, ენეას, ბრძოლის ამბავი.

ე ნ ე ა ს ი

მობრუნებულა შინ პარისი. დაჭრილი გახლავთ.

ტ რ ო ი ლ ო ს ი

მითხარ, ვინ დასჭრა?

ე ნ ე ა ს ი

როგორც ვიცი, მენელაოსმა.

ტ რ ო ი ლ ო ს ი

ახია. ჭკუას ხასწავლებლად ეყოფა ეგეც;
წამოუგია მენელაოსს პარისი რქებზე (განგაში)

ე ნ ე ა ს ი

არ გესმის? გარეთ გამართულა კარგი თამაში!

ტ რ ო ი ლ ო ს ი

შინ ყოფნას ვარჩევ, თუ გმირობა არის ამაში.
მაგრამ გარეთ სჯობს. შენც, გეტყობა, იქით იჩქარი.

ე ნ ე ა ს ი

ვჩქარობ.

ტ რ ო ი ლ ო ს ი

მაშ ერთად გადავლახოთ ტროის ჭიშკარი.

(გადიან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

### სურათი II

იქვე, ქუჩა.

(შემოდიან კრესიდა და ალექსანდრე)

კ რ ე ს ი დ ა

კინ იყვნენ ნეტავ, ასე ახლოს რომ ჩაგვიარეს?

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე

ეგ დედოფალი ჰეკუბა და ელენე იყო.

კ რ ე ს ი დ ა

საით წავიდნენ?

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე

აღმოსავლეთ კოშკს მიაშურეს.
იქიდან კარგად გამოჩნდება მთელი ხეობა
და ბრძოლის ველი. ომის ხილვა უნებებიათ.
ჰექტორი, რომლის მოთმინება და ზნე კეთილი
ცნობილი გახლავთ, დღეს უეცრად განრისხებულა,
მეუღლისათვის საყვედური უკადრებია,
თავის მეაბჯრეც გაულახავს და გლეხკაცივით
გათენებამდე წამომხტარა და ტანთ ჩაუცვამს,
შემდეგ წასულა ბრძოლის ველზე მთლად აღჭურვილი.
ყვავილებსაც კი ცრემლი დასდით თურმე მდუღარე,
რადგან იციან, რა მოჰყვება ჰექტორის რისხვას.

კ რ ე ს ი დ ა

რამ გააჯავრა?

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე

ერთ უცნაურ მიზეზს ამბობენ:
ტროელთა სისხლის კაცი ვინმე აღმოჩენილა
ამ ბერძნებს შორის, თვით ჰექტორის ძმისწული თურმე.
იმ კაცს აიაქსს უწოდებენ.

კ რ ე ს ი დ ა

კიდევ რას იტყვი?

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე

უძლეველ ვაჟკაცს და მეომარს თურმე ამბობენ,
მარტოხელასაც ხელს ვაგლახად ვერვინ დარევსო.

კ რ ე ს ი დ ა

აგრეა ყველა ვაჟკაცი თუ მთვრალი არ არის, ან ავადმყოფი, ანდა უფეხო.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე

ამ კაცს, ქალბატონო, მრავალი მხეცისთვის წაურთმევია თვისებები: ლომივით მამაცია, დათვივით მოუხეშავი, სპილოსავით ნელი. ამ კაცში იმდენ რამეს მოუყარა თავი ბუნებამ, რომ მისი სიმამაცე სიბრიყვეს აღწევს, მისი სიბრიყვე კი — კეთილგონიერებითაა შეზავებული. არც ამდენი სიკეთე აქვს ვისმე და არც ამდენი მანკი. უმიზეზოდ ნაღვლიანობს და უცნაურად მხიარულობს. ყველაფერი აქვს და მაინც ჭკუანაღრძობია. გეგონება ბრიერეუსივით ნიკრისის ქარი სჭირსო, ბევრი ხელები აქვს და ხეირი კი არაფერი. ბრუციანი არგუსივით უამრავი თვალი აქვს და ვერაფერს კი ხედავს.

კ რ ე ს ი დ ა

მერე და მაგნაირმა კაცმა, მე რომ მაცინებს, ჰექტორი როგორ-ღა გააბრაზა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე

ამბობენ, გუშინდელ ბრძოლაში ჰექტორი ძირს დასცაო. ეს ისეთი სირცხვილი უჭმევია, რომ ჰექტორი მას მერე აღარაფერს ჭამს და ძილიც დაკარგა.

კრესიდა

ვინ მოდის?

(შემოდის პანდაროსი)

ალექსანდრე

ბიძათქვენი პანდაროსი, ქალბატონო.

კრესიდა

ჰექტორი დიდი ვაჟკაცია.

ალექსანდრე

უმამაცესი მთელ ქვეყანაზე, ქალბატონო.

პანდაროსი

რას ამბობთ? რას ამბობთ?

კრესიდა

დილა მშვიდობისა, ძია პანდაროს.

პანდაროსი

დილა მშვიდობისა, ჩემო დისწულო. რას მასლაათობდით? დილა მშვიდობისა, ალექსანდრე. როგორ ბრძანდები, დისწულო? როდის იყავი ილიონში?

კრესიდა

ამ დილას, ბიძაჩემო.

პანდაროსი

რაზე საუბრობდით, მე რომ მოვედი? ჰექტორი ომში წასული დაგხვდა, როცა ილიონში მიხვედი? ელენე ამდგარი იყო თუ არა?

კრესიდა

ჰექტორი წასული დამხვდა, ელენე კი ჯერ არ ამდგარიყო.

პანდაროსი

რაღა თქმა უნდა: ჰექტორი დილაადრიან წამოდგა.

კრესიდა

სწორედ მაგაზე ვლაპარაკობდით და მის გაჯავრებაზე

პანდაროსი

განა გაჯავრებული იყო?

კრესიდა

აი, ეს კაცი ასე ამბობს.

პანდაროსი

მართალია, გაჯავრებულია და მიზეზიც ვიცი. ჰო-და, ეგ დღეს ამბავს დაატრიალებს, შენს მტერს. არც ტროილოსი ჩამორჩება. იმასაც უნდა ერიდოს კაცი. ისიც შენ მტერს ეცა.

კრესიდა

რაო, ისიც გაჯავრებულია.

პანდაროსი

ვინა, ტროილოსი? ტროილოსი ჰექტორსაც აჯობებს!

კრესიდა

ოჰ, იუპიტერო! მაგათი შედარება როგორ შეიძლება!

პანდაროსი

რაო, მაგათი შედარება არ შეიძლებაო? განა შეიძლება ერთი ნახვით კაცის შეცასება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრესიდა

თუ ადრეც მინახავს და მცნობია კიდეც?

პანდაროსი

ერთი სიტყვით გეუბნები, ტროილოსი ტროილოსია-მეთქი.

კრესიდა

შენ ხომ ჩემს სიტყვებს იმეორებ. მეც მჯერა, რომ ის ჰექტორი არ არის.

პანდაროსი

ჰო-და არც ჰექტორია ტროილოსი ზოგ რამეში.

კრესიდა

რაც მართალია, მართალია. ყველა თავის თავს ეკუთვნის და ტროილოსიც ის არის, რაც არის.

პანდაროსი

რაც არის! ვაგლახ, საბრალო ტროილოს, ნეტავი მართლაც ის იყო, რაცა ხარ.

კრესიდა

სწორედაც, რომ ის არის.

პანდაროსი

აგრე რომ იყოს, ფეხშიშველა ჩავიდოდი ინდოეთში!

კრესიდა

ის ჰექტორი არ არის.

პანდაროსი

რაც არის! არა, ის არ არის. ის რომ მართლაც თავის თავს ეკუთვნოდეს! თუმცა ღმერთებია მოწამე, დრო უშველის ან გაათავებს. ეჰ, ტროილოს, ეჰ, ნეტავ ჩემი გული იყოს ამ ქალის მკერდში! არა, ჰექტორი ტროილოსს ვერ აჯობებს, ვერა!

კრესიდა

უკაცრავად.

პანდაროსი

ის უფროსია

კრესიდა

ბოდიში, ბოდიში.

პანდაროსი

ტროილოსს მისი ხანი აკლია. აი მაშინ კი სხვას იტყვი, მისი ხნისა რომ გახდება. ჰექტორს ახლაც კი მაგის ჭკუა-გონება არა აქვს.

კრესიდა

მაგის ჭკუა-გონება არცა სჭირდება. საკუთარი აქვს.

პანდაროსი

არც სხვა იმისთანა ღირსებები აქვს.

კრესიდა

არა უშავს-რა.

პანდაროსი

არც იმისთანა სილამაზე გააჩნია.

კრესიდა

იმისთანა სილამაზე არც მოუხდებოდა. საკუთარი ურჩევნია.

პანდაროსი

სწორად არა სჯი, ძმისწულო. იმ დღეს ელენემ დაიფიცა, ტროილოსი შავგვრემანიაო, — მეც უნდა ვაღიარო, შავგვრემანია, მაგრამ ისე კი არა...

კრესიდა

არა, ის მაინც შავგვრემანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პანდაროსი

მართალი გითხრა, არის და არც არის.

კრესიდა

მართალი გითხრა, მართალიცაა და არც არის მართალი.

პანდაროსი

ისე აქო, პარისზე მაღლაც კი დააყენა.

კრესიდა

პარისს თავისი ღირსება აქვს.

პანდაროსი

აგრეა.

კრესიდა

მაშ. ტროილოსი პარისზე მაღლა დააყენა. თუ ელენემ აგრე აქო, მაშ მართლაც აგრე ყოფილა. ვაი თუ მეტისმეტი მოუვიდა. ელენეს ისეთი ოქროს ენა აქვს, ტროილოსის სპილენძის ცხვირსაც კი ხოტბას შეასხამს.

პანდაროსი

გეფიცები, ასე მგონია ელენეს პარისზე მეტად უყვარს ტროილოსი.

კრესიდა

მაშ ის მართლაც რომ მხიარული ჭკუის პატრონი ბერძენი ყოფილა.

პანდაროსი

არა, მართლა უყვარს. ის დღესაც მიუახლოვდა ტროილოსს, როცა ის სარკმელთან იდგა, თუმცა ტროილოსს სამი-ოთხი ბეწვი თუ მოეძებნება ნიკაპზე...

კრესიდა

მართლაც, მაგდენის ანგარიშს მეფუნდუკეც კი მოახერხებს.

პანდაროსი

ძალიან ახალგაზრდაა და მაინც თავის ძმა ჰექტორზე სამი გირვანქით მეტს ასწევს.

კრესიდა

აგრე ახალგაზრდა და ძველი ამწევი კია?

პანდაროსი

ელენეს რომ მართლაც ძალიან უყვარს, ამის საბუთიცა მაქვს: მოვიდა და თავისი თეთრი ხელი ორად გაყოფილ ნიკაპზე მოუცაცუნა...

კრესიდა

იუნონავ, შენ შემიწყალე! ორად რაღამ გაუყო?

პანდაროსი

აბა, რა გითხრა, ნიკაპი ეკუჭება. ღიმილიც ისე უხდება, რომ მთელ ფრიგიაში კაცი არ შეედრება.

კრესიდა

ოჰ, მართლაც ძალიან მამაცურად იღიმება.

პანდაროსი

განა არა?

კრესიდა

როგორ არა, როგორც შემოდგომის ღრუბელი.

პანდაროსი

კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს. თუ გინდა დაგიმტკიცო, რომ ელენეს მართლაც უყვარს ტროილოსი...

კრესიდა

მაგ მტკიცებას კი გაუძლებს, თუკი დაუმტკიცებ.

პანდაროსი

ტროილოსს კი ის იმაზე უფრო ძვირად არ უღირს, ვიდრე მე — ლაყე კვერცხი.

კრესიდა

თუ ლაყე კვერცხიც ისე გიყვარს როგორც ცარიელი თავი, შეიძლება გამოუჩეკავი წიწილებიც შემოგეჭამოს.

პანდაროსი

მეცინება, როცა მაგონდება, როგორ უღიტინებდა ნიკაპში. მართლაც რომ განსაცვიფრებელი თეთრი ხელები აქვს, უნდა გამოვტყდე.

კრესიდა

ისე რომ წამებაც არ დაგჭირდება.

პანდაროსი

თანაც ერთი თეთრი ბეწვი უპოვა ნიკაპზე.

კრესიდა

ვაგლახ, საბრალო ნიკაპო! ბევრი ხალია შენზე უფრო მდიდარი.

პანდაროსი

ისეთი სიცილ-ხარხარი ატყდა, დედოფალმა ჰეკუბამ იმდენი იცინა, რომ თვალებიდან ცრემლი წყალივით წამოუვიდა.

კრესიდა

თან დოლაბიც მოჰყვა.

პანდაროსი

და კასანდრამ ბევრი იცინა.

კრესიდა

მაგას კი არც ისეთი ცეცხლი უნთია, რომ დიდი მღელვარება მოსკდეს თვალებიდან.

პანდაროსი

ჰექტორმაც ბევრი იცინა.

კრესიდა

მაინც რა აცინებდათ?

პანდაროსი

თეთრი ბეწვი, ელენემ რომ ტროილოსის ნიკაპზე იპოვა.

კრესიდა

მწვანე რომ ეპოვნა, მეც ბევრს ვიცინებდი.

პანდაროსი

იმდენი თმაზე არ უცინიათ, რამდენიც მის პასუხზე იხარხარეს.

კრესიდა

რა ისეთი პასუხი იყო?

პანდაროსი

ელენემ უთხრა, შენს ნიკაპზე სამოცდათერთმეტი ბეწვია და ერთი მათგანი თეთრიაო.

კრესიდა

ეს ხომ ელენეს კითხვაა?

პანდაროსი

მართალია, მაგას კითხვაც არ უნდა. ტროილოსმა მიუგო, სულ ორმოცდათერთმეტი ბეწვია და ერთი თეთრია. თეთრი მამაჩემია და დანარჩენი მისი შვილებიო. ელენემ შესძახა, იუპიტერო, ჩემი ქმარი პარისი რომელიაო. ტროილოსმა უპასუხა, აი, ეს გაყოფილი, რქიანი, ამოაძრე და პარისს მიართვიო. ისეთი ხარხარი ატყდა, ელენეს სახე აელეწა, პარისი გაცეცხლდა და ყველანი სიცილით დაიხოცნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრესიდა

დაიხოცნენ და ეყარნენ აგრე.

პანდაროსი

ერთი სიტყვით, ჩემო დისწულო, გუშინ ერთი რამ გითხარი და იმაზე იფიქრე.

კრესიდა

ვფიქრობ კიდეც.

პანდაროსი

გეფიცები, რასაც ვამბობ, მართალია. ისე ტირის, როგორც აპრილის თვეში დაბადებული.

კრესიდა

მეც ისე მოვირწყვები და გავიზრდები მაგის ცრემლების წყალობით, როგორც ჭინჭარი მაისის თვეში.

(ჯარის უკუქცევის ხმა ისმის)

პანდაროსი

გესმის, ბრძოლის ველიდან ბრუნდებიან. დავდგეთ და ვუყუროთ როგორ გაივლიან ილიონისკენ. გთხოვ, ჩემო კარგო, დისწულო, ჩემო მშვენიერო კრესიდა!

კრესიდა

როგორც გენებოს.

პანდაროსი

აქეთ, აქეთ, აქ მარჯვე ადგილია. აქედან უკეთ დავინახავთ. მე გეტყვი, ვინ რომელია, როდესაც ჩაგვივლიან, მაგრამ ტროილოსს ყველაზე მეტი ყურადღება დაუთმე.

კრესიდა

აგრე ხმამაღლა ნუ ლაპარაკობ.

(ენეასი გაივლის სცენაზე)

პანდაროსი

ეს ენეასია. განა მამაცი არ არის? ტროის სამკაულია-მეთქი, გეტყვი, მაგრამ მაინც ტროილოსს მიაქციე ყურადღება. საცაა გამოჩნდება.

(ანტენორი გაივლის სცენაზე)

კრესიდა

ეს ვიღაა?

პანდაროსი

ეს ანტენორია. ცოტა არ იყოს, გესლიანია, მაგრამ მაინც კარგი ვინმეა. ტროის ერთი ყველაზე თავიანი კაცია, ვაჟკაცია. ტროილოსი რაღა იქნა? ახლავე გაჩვენებ. თუ შემამჩნია, ნახავ, თვალს როგორ ჩამიკრავს.

კრესიდა

თვალს ჩაგიკრავს, რა, ქაღალდს გეთამაშება?

პანდაროსი

აი, ნახავ, რაც არის.

კრესიდა

თუ აგრეა, ვისაც აქვს, იმასვე შეემატება.

(ჰექტორი გაივლის სცენაზე)

პანდაროსი

ეს ჰექტორია, ნახე, ნახე, აი ეგ არის. ვაჟკაციც მაგას ეთქმის. შენი გამარჯვებისა იყოს, ჰექტორ! მართლაც რომ, მამაცი ვინმეა, ჩემო დისწულო! ჰეი, მამაცო ჰექტორ! ერთი ნახე, როგორ გამოცოცხლებული იყურება! აი შეხედულებაც ამასა ჰქვია. განა ნამდვილი ვაჟკაცი არ არის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრესიდა

ჰო, მართლაც რომ ვაჟკაცია.

პანდაროსი

განა არა? შემხედვარეს გულს უხარებს. ნახე, რამდენ ადგილას აქვს მუზარადი დაჟეჟილი. ნახე-მეთქი, ხედავ თუ არა? კარგად ნახე, ჰა, როგორი საქმეა. აი, ხმლის ნაცემიც ამასა ჰქვია!

კრესიდა

მართლაც ხმლითაა დაჟეჟილი?

პანდაროსი

ხმლითაო? რითაც გინდა იყოს, მაგას შიში არაფრისა აქვს. გინდ ეშმაკიც დაესხას თავს, არაფრად დაგიდევს. ღმერთმანი, გული გაგინათდება, მაგას რომ შეხედავ, აი, პარისიც მოდის, აგერ პარისიც.

(პარისი გაივლის სცენაზე)

უყურეთ აქეთ, დისწულო, განა მართლაც მშვენიერი კაცი არ არის? მამაციც არის. ვინა თქვა, დღეს დასჭრესო? დაჭრილს არა ჰგავს. ელენეს გულს გაუხარებს. ნუთუ ტროილოსს ვერ ვნახავ? ახლავე დაგანახვებ ტროილოსს.

კრესიდა

ეს ვიღაა?

(ჰელენოსი გაივლის სცენაზე)

პანდაროსი

ეგ ჰელენოსია. მიკვირს, ტროილოსი სად დაიკარგა? ეგ ჰელენოსია. ის ეტყობა დღეს ომში არ წასულა. ეგ ჰელენოსია.

კრესიდა

ჰელენოსს ბრძოლა შეუძლია, ბიძაჩემო?

პანდაროსი

ჰელენოსს? არა, თუმცა არ უშავს-რა, იბრძვის მიკვირს, ტროილოსი სად დაიკარგა? გესმის! ხალხი იძახის, „ტროილოს"! ჰელენოსი ქურუმია.

კრესიდა

ეს ვიღა მოიპარება?

(ტროილოსი გაივლის სცენაზე)

პანდაროსი

სადა? იქ? ეგ დეიფებოსია. არა, ტროილოსია! აი, კაცი მაგასა ჰქვია, დისწულო. ჰმ! მამაცი ტროილოსი! ლაშქრის თვალი!

კრესიდა

ჩუმად, გრცხვენოდეს, ჩუმად!

პანდაროსი

შეხედე, შეხედე! ო, მამაცო ტროილოს! კარგად დაუკვირდი, დისწულო. დაუკვირდი, ხმალი როგორ სისხლში აქვს შესვრილი. მუზარადი კი ჰექტორზე უფრო მეტად აქვს დაჟეჟილი. მერე როგორ გამოიყურება, როგორი სიარული აქვს! ო, სათაყვანებელო ჭაბუკო! ჯერ ოცდასამისაც არ არის. შენი გამარჯვებისა იყოს. ტროილოს, შენი გამარჯვებისა იყოს! გრაციასავით და რომ მყოლოდა, ან ქალღმერთივით ქალიშვილი, ტროილოსს მივანდობდი არჩევანს. ო. სათაყვანებელო ვაჟკაცო! პარისიო? რის პარისი, რა პარისი, პარისი მაგასთან რას მოვა! გეუბნები, ელენე არაფერს წააგებდა, პარისი რომ ტროილოსზე გაეცვალა.

კრესიდა

აი კიდევ მოდიან.

(მეომრები გაივლიან სცენაზე)

პ ა ნ დ ა რ ო ს ი

ვირები, ბრიყვები და სულელები! ქატო და ნაგავი ქატო და ნაგავი! შემწვარის მერე ფაფა! მარტო ტროილოსის თვალებში მინდა ვიცოცხლო და მოვკვდე. ნუღარავის უყურებ, ნუღარავის უყურებ! არწივებმა გადაიფრინეს, ყვავები და ჭილყვავები მოდიან. ყვავები და ჭილყვავები. მირჩევნია ტროილოსი ვიყო, ვიდრე აგამემნონი და თუნდაც მთელი საბერძნეთი მეკუთვნოდეს.

კ რ ე ს ი დ ა

ბერძნებს შორის აქილევსია. ტროილოსს ბევრად ჯობს.

პ ა ნ დ ა რ ო ს ი

აქილევსიო! მეჯაგვე, მეკურტნე, ნამდვილი აქლემი.

კ რ ე ს ი დ ა

გეყოფა, გეყოფა!

პ ა ნ დ ა რ ო ს ი

„გეყოფა, გეყოფა!“ ჭკუა გაქვს? თვალები გაქვს? იცი, ვაჟკაცი რა არის? განა კეთილშობილება, სილამაზე, ახოვანება, მჭერმეტყველება, ვაჟკაცობა, ცოდნა, გულკეთილობა, სიქველე, სიჭაბუკე, სიუხვე და სხვა ამისთანანი განა კაცის საკმაზი და მარილი არ არის?

კ რ ე ს ი დ ა

როგორ არა, თუ კაცი ნამცხვრად ჩავთვალეთ. მაგრამ მაინც ყველა თვისება არ ჩამოგითვლია.

პ ა ნ დ ა რ ო ს ი

იხუთი ქალი ხარ, კაცმა არ იცის, საით მიტრიალდები...

კ რ ე ს ი დ ა

ზურგით მოვტრიალდები, რომ მუცელი დავიცვა; ჭკუას ეშმაკურად დავატრიალებ, რომ თავი დავიცვა; პატიოსნებას საიდუმლოებით ვიცავ, ნიღაბით — სილამაზეს. შენ კი ამას ყველაფერს ერთად უნდა მცველად უდგე. მეც ხომ ათასი მცველი მდარაჯობს.

პ ა ნ დ ა რ ო ს ი

თქვი, ერთი ჩემი მცველი-თქო.

კ რ ე ს ი დ ა

არა, მე თვითონ შენი მცველი ვარ და ეს არის მთავარი. თუ ის ვერ დავიცავი, რაც დასაცავი მაქვს, შენ მაინც პირს დაგიცავ, რომ ამაზე არ ილაპარაკო. თუ ნატკენი არ დამისივდა, არც არაფერი მექნება დასაცავი.

პ ა ნ დ ა რ ო ს ი

ამისთანა არაფერი მინახავს!

(შემოდის ტროილოსის მსახური ბიჭი)

ბ ი ჭ ი

ჩემს ბატონს ნებავს თქვენთან საუბარი დაუყოვნებლივ, ჩემო ბატონო.

პ ა ნ დ ა რ ო ს ი

სად?

ბ ი ჭ ი

თქვენს საკუთარ სახლშია ამჟამად და საჭურველს იხსნის.

პ ა ნ დ ა რ ო ს ი

უთხარი, ჩემო კარგო, ახლავე მოვა-თქო (ბიჭი გადის) ვშიშობ დაჭრილი არ იყოს. მშვიდობით, კეთილო დისწულო.

კ რ ე ს ი დ ა

მშვიდობით, ბიძაჩემო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პანდაროსი

მალე უკანვე მოვტრიალდები, დისწულო.

კრესიდა

რომ მომიტანო რამე?

პანდაროსი

ჰო, ტროილოსის დანაბარები.

კრესიდა

ჰოდა, ეგ დანაბარები გაგხდის შენ მაჭანკლად (პანდაროსი გადის)
შექება, ფიცი, დაპირება, ცრემლი და სიტყვა,
ეს ყოველივე ტროილოსის გულისთვის ითქვა.
მაგრამ ტროილოსს უკეთ ვიცნობ, ათასჯერ მეტად,
რასაც მეხოტბე პანდაროსის სარკეში ვხედავ.
მაინც შორს ვიჭერ. ანგელოსებს გვიხმობენ ქალებს,
ვიდრე ვუნდივართ; მოვწყინდებით ხოლმე კი მალე.
ნუ დაივიწყებს ნურასოდეს ჩვენი დობილი:
კაცი მას აქებს, ვინც არა ჰყავს ჯერ დაპყრობილი.
მაგრამ მაშინვე ქრება ცეცხლი, სურვილიც გადის,
როგორც კი იგი შეისრულებს გულისა წადილს.
სიყვარულისგან ამის სწავლა არც თუ ძნელია:
მთხოვნელი — გმონებს, დამპყრობელი — მბრძანებელია.
ჩვეც, თუმცა გულში ტროილოსის მაქვს სიყვარული,
არ გასცემს თვალი, რაც გრძნობაა გულს დაფარული.
(გადის)

სურათი III

ბერძენთა ბანაკი. აგამემნონის კარვის წინ.
(საყვირები. შემოდიან აგამემნონი, ნესტორი, ულისე, მენელაოსი და სხვენი).

აგამემნონი

გვირგვინოსანნო,
რა მწუხარებამ დაგიკარგათ სახის იერი?
დიდნი ზრახვანი, რაც იმედმა წარმოგვისახა,
დაგვიქვეითდნენ და თანდათან დაჰკარგეს ფერი
სიდიადისა, აქამომდე რასაც ველოდით.
უბედურება მოგვეძალა ყოველი მხრიდან
და ათასგვარმა დაბრკოლებამ წამოჰყო თავი.
როგორც კვანძები აფერხებენ ჯანსაღი ფიჭვის
გულში მდინარ წვენს წინ და უკან ატრიალებენ
და მისსავ ნაყოფს ზრდას და კვებას აღარ აცლიან.
გვირგვინოსანნო, თქვენ თავადაც მოგეხსენებათ,
როგორ მოვტყუვდით ანგარიშში და შვიდი წელი
ალყაშემორტყმულ ტროის კედლებს ვჭვრეტთ შეუმუსრავს.
ადრეც ყოფილა, რომ დიდებულ ჩვენთა წინაპართ
ზრახვათა თვისთვის ვერ შეუსხამთ ხორცი ასევე.
მაშ დღეს რატომღა დაგვიკარგავთ ფერი სახისა
და ჩვენი მარცხი სამარცხვინოდ მიგიჩნევიათ?
ეს განსაცდელი მოგვივლინა იუპიტერმა,
რამეთუ ამით ერთგულება განსაჯოს ჩვენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუკი ფორტუნა გადმოხედავს მოწყალე თვალით,
აბა, მითხარით, რა ლითონი არ ილაპლაპებს!
მხნე თუ ჯაბანი, მწიგნობარი თუ უმეცარი,
ბრძენი თუ ბრიყვი, უდრეკი თუ დამყოლი კაცი,
მისთვის ერთია, ერთმანეთთან ანათესავებს.
მაგრამ თუ გაწყრა ქარიშხალი დაატრიალა,
განიერი და მძლავრი ფრთებით, როგორც მარაო,
დაბერავს და, რაც მსუბუქია, მიფანტ-მოფანტავს,
ხოლო, რასაც აქვს სიმძიმე და სიმკვრივე მტკიცე,
ის გადარჩება ხელუხლები ამის წყალობით.

ნ ე ს ტ ო რ ი

ღვთაების სწორო, დიდებულო, აგამემნონო,
ნესტორი ბედავს ჩამოგართვას ეგ შენი სიტყვა.
ადამიანის გამოცდაა ბედის ტრიალი:
დამშვიდებულ ზღვას წვრილი ნავი სერავს მრავალი
და მის წყნარ მკერდზე დასრიალებს მოურიდებლად
ხომალდთა გვერდით!
მაგრამ უხეში ბორეასი თუ განარისხებს
კეთილ თეტიდეს, მაშინ ნახეთ ზვირთებთან შებმა:
მძლავრი ხომალდი, აპობს ზვირთებს, მთისებრ აღმართულთ,
ვით პერსეოსის ბედაური, ყალყზე შემდგარი.
სად არის მაშინ ის თავხედი პატარა ნავი,
რომელიც ხომალდს ეს-ეს არის ექიშპებოდა?
ის ნავსადგურში გაპარული იქნება მაშინ,
ანდა ნეპტუნის მცირე ლუკმად ქცეული უკვე.
ასე გამოსცდის ბედისწერის ქარიშხალი კაცს
და გამოაჩენს გარეგანს თუ ნამდვილს ღირსებას.
ნათელ დღეშიც კი გაფანტული პირუტყვის ჯოგი
კრაზანის კბენით უფრო მეტად შეწუხდებოდა,
ვიდრე ავაზას შემოტევით, მაგრამ როდესაც
ქარიშხლის მძლავრი იერიში მუხასაც ლეწავს
და დააჩოქებს მის კვანძოვან მუხლმაგარ სხეულს,
მაშინ ბუზები თავშესაფარს ჩრდილში ჰპოვებენ,
ხოლო ისინი, მრისხანების ძალი რომ შესწევთ,
რისხვას რისხვითვე მიაგებენ და ბედის ღრიალს
ისევ დიდი ხმით სცემენ პასუხს.

უ ლ ი ს ე

დიდო სარდალო,
შენ, აგემემნონ, საბერძნეთის სისხლო და ხორცო,
მხედრობის ჩვენის წინამძღოლო, სულო და გულო,
ვის გონებაშიც ჩვენი აზრი, ზრახვა, შეგნება
მოთავსებულა, — მოისმინე ულისეს თქმული.
ჭეშმარიტად, რომ დიდი ხოტბის შესხმის ღირსია
(აგამემნონს) შენი სიტყვები და მაღალი შენი დიდება,
(ნესტორს) ასევე წლებით დატვირთული გამოცდილება
და სიბრძნე შენი უაღრესად პატივსადები.
ორივეს ნათქვამს ღირსს მივაგებ: აგამემნონის
სიტყვები უნდა საბერძნეთმა ზე აიტაცოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გამოჰკვეთოს ბრინჯაოში, ხოლო ნესტორის
ღირსეულ სიბრძნეს, ვერცხლში ჩამჯდარს, ღერძისებრ მტკიცეს,
რასაც ეყრდნობა გადაშლილი ზეცის კამარა,
ბერძენთა სმენა შეუბორკავს ენამჭევრობით.
და მაინც გვეღრებთ, უბრძნესო და უდიადესო,
ულისეს სიტყვას ყურადღებით მიაპყრათ ყური.

აგამემნონი

ბრძანე, ითაკის მბრძანებელო. ჩვენ კარგად ვიცით,
რომ შენი ბაგე ჰბადებს სიბრძნეს, ტკბილმოუბარი
და სულ არა ჰგავს ის უგვანო თერსიტეს სიტყვას,
რომელიც ბინძურ ტალღად მოდის მყრალი პირიდან.

ულისე

დიდი ხანია ტროის ფუძე დაემხობოდა
და თავის პატრონს დაჰკარგავდა ჰექტორის ხმალი,
რომ ეს მიზეზი არ გვიშლიდეს ხელს:
წესი და რიგი ერთიანი გვაკლია ბერძნებს.
გახედეთ, როგორ არეულად დგანან კარვები
ამ გაშლილ ველზე, არეული გვაქვს ასე ჭკუაც.
თუკი მხედრობა ფუტკრების სკას არ მოგვაგონებს,
სადაც ყოველი მთავარსარდალს ემორჩილება,
რა თაფლს მოველით? არ ფასდება კაცის ხარისხი
და უღირსები გვაჩვენებენ თავს ღირსეულად.
თვით ზეცა გვაძლევს მორჩილების ნათელ მაგალითს:
ცთომილები და დედამიწა უფროს-უმცროსის
ადგილს, ღირსებას, პირველობას ემორჩილება,
აქვთ თავის წესი, უფროსობა, მიმართულება,
ყველამ თავისი დრო და ჟამი იცის მუდმივი,
წესჩვეულება და ურთიერთ პატივისცემა
და ამიტომაც დიდებული მნათობი ჩვენი
მზე — კეთილშობილ თავის ტახტზე დაბრძანებულა
ცთომილთა შორის და გამჭრიახ გონების თვალით
მას უთვალთვალებს, სწორ გზას არვინ გადაუხვიოს,
ვით მბრძანებელი კუთვნილს უზღავს მიუკერძებლად
კეთილს და ბოროტს. მაგრამ ცთომილთ თუ განიზრახეს
თავის ნებაზე გზა და კვალი წარმართონ ურჩად,
რა მღელვარება და რა შფოთი დატრიალდება!
ზღვა აზვირთდება, დედამიწა დაიწყებს რყევას,
დაერევიან ქარიშხლები ერთიმეორეს,
შიში და დრტვინვა გამეფდება და დაინგრევა,
რაც ერთიანი და მთლიანი იყო მანამდე
და სიმშვიდეში ბუნებრივად განისვენებდა.
ოჰ, თუ დაირღვა კიბეები უზენაესი,
უფროს-უმცროსის მიმდევრობა, წესი და რიგი,
დაავადდება ავი სენით მთელი სამყარო.
აბა, სცადეთ და დაარღვიეთ თემთა ერთობა,
ქალაქის ამქრის განრიგება, სკოლის წესრიგი,
მშვიდობიან და პატიოსან ვაჭართა საქმე,
პირველშობილთა წარმოშობა უპირატესი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანდაზმულობის, გვირგვინის თუ სკიპტრის პატივი,
ეს ყოველივე მორჩილების კანონს მიყვება.
ერთი ეს წესი დაარღვიეთ და მაშინ ნახავთ
თვით აირევა სიმთა ჟღერა ხმაშეწყობილი
და თანხმოვნება უთანხმობად გადაიქცევა.
აღელვებული ზღვის ტალღები ნაპირის ზემოთ
ასწევდნენ მკერდებს და მთელ ხმელეთს გადალახავდნენ,
მთელ დედამიწას მოუვლენდნენ მეორე წარღვნას.
უსუსურობის მბრძანებელი გახდება ძალა
და მხეცი შვილი მამას მოჰკლავს დაუფიქრებლად.
ძალას უფლება დაერქმევა. მართალს და მტყუანს,
რომელთა შორის უნდა იდგეს მართლმსაჯულება,
ვერვინ გაარჩევს, აირევა მათი სახელი
და ვერც გაიგებ ვინღა უნდა იყოს მსაჯული.
გაბატონდება მარტოოდენ უხეში ძალა,
ძალა იქცევა თვითნებობად და გააღვიძებს
მადას, რომელიც მგლისებრ ძალას და ნება-სურვილს
დაიჯავშირებს, და როდესაც შთანთქავს ყველაფერს,
ბოლოს საკუთარ თავსაც შესჭამს. დიდო სარდალო,
შენ, აგამემნონ, შენ იცოდე, თუ ეს წესრიგი
დაემხო, ყველგან გამეფდება მხოლოდ ქაოსი.
აი, ეს არის, ხელს რომ გვიშლის, ამის არ-ცოდნა,
უკან გვეწევა იმის ნაცვლად, რომ წინ წაგვწიოს.
თუ მთავარსარდალს მისი შემწე არ ეპუება,
თანაშემწეს კი — მასზე დაბლა მდგომი მოხელე,
და ასე ყოველ საფეხურზე ეს მაგალითი, —
ავადმყოფური, როგორც შურის ციებ-ცხელება, —
გამსჭვალავს ყოველს, სისხლისაგან დაცლა მოგველის.
ტროას ამტკიცებს სწორედ ჩვენი დაავადება
და არა მისი ძლიერება. მე არა ვმალავ:
ჩვენს სისუსტეში მდგომარეობს მეტოქის ძალა.

ნ ე ს ტ ო რ ი

მართლაც რომ ბრძნულად განგვიმარტა ულისემ ჩვენი
დაავადება, უძლურების ჩვენის მიზეზი.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ულისე, ჩვენი სნეულების ბუნებას ჩასწვდი,
მაგრამ გვასწავლე, რა ვუშველოთ?

უ ლ ი ს ე

თვით აქილევსი,
რომელიც ჩვენი ლაშქრის მკლავი და იმედია
გალაღებული დიდებითა და ხოტბის შესხმით,
ამპარტავნულად საკუთარი ღირსებით ტკბება,
თავის კარავში დროს ატარებს და ჩვენს განზრახვებს
მასხარად იგდებს. მასთან ერთად პატროკლეც ხარობს,
მთელი დღე ასე ზარმაცულად გდია ლოგინზე
და უწმაწურად ილანძღება.
მაიმუნური საქციელით და მიხრა-მოხრით, —
რისთვისაც თურმე წარმოდგენა დაურქმევია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ყველას გვბაძავს.
ზოგჯერ ის, დიდო აგამემნონ, შენს დიდებასაც
ეპოტინება და ვაგლახი მსახიობივით
შენ ჭკუამოკლე, ბრიყვ მოუბრად, მყვირალად გსახავს,
გაურანდავი და უხეში ენის ტარტარით
შეუფერებელ და საბრალო ქმნილებად აქცევს
თქვენს სიდიადეს და ურიგო სიტყვათა ნაკადს
აფრქვევს ღრიალით, ვით ტიფონი — ძველ ეგვიპტელთა
უნაყოფობის და წყვდიადის ავი ღვთაება,
თითქოს ეს მართლაც დიდებული სიტყვები იყოს.
აქილევსი კი, ახოვანი, საწოლზე გორავს,
სიცილით კვდება, ხარხარითა და ტაშის ცემით
ყვირის, „ეგ არის დიდებული აგამემნონი!
ახლა ნესტორიც დამანახვე, ოღონდ ჯერ ხელი
წვერზე მოისვი, სიტყვის თქმის წინ რომ იცის ხოლმე“.
პატროკლეც სურვილს შეუსრულებს და ნესტორს ბაძავს,
როგორც ვულკანს და მის მეუღლეს, და აქილევსიც
ისევ გაჰყვირის: „ნამდვილია, დიდებულია!
ეგ ნესტორია. აბა, ახლა ის დამანახვე,
ღამის განგაშზე იარაღს რომ ისხამს საჩქაროდ“.
და ამას მოსდევს მოხუცობის მასხრად აგდება,
მუხლის კანკალი, აბჯრის შეკვრა ხელის ცახცახით,
კვნესა და ხველა და ნახველის დაბლა ფურთხება
და ამ სურათის დანახვაზე კვდება მამაცი,
ყვირის „გეყოფა, გევედრები, პატროკლე, კმარა,
რკინის ნეკნები მომე, თორემ გავსკდები კიდეც!“
ჰოდა, ამ წესით, ამნაირად მასხრად იგდებენ
ჩვენს ნიჭს და უნარს, ჩვენს თვისებებს, მარცხს და მიღწევას,
ჩვენს სახელგანთქმულ წინამძღოლთა ბრძანებებს, საქმეს,
ბრძოლის ველზე თუ დაზავების ჟამს მათ საქციელს,
ეს ყოველივე ასაგდებად მიუჩნევია
და დასაცინად უქცევია ამ ორ ვაჟბატონს.

ნ ე ს ტ ო რ ი

ჰოდა, ამ ორი ვაჟბატონის წაბაძულობით,
ვისაც საერთო აზრი მეტი დიდებით მოსავს,
როგორც ულისემ მოგახსენათ, ბევრი სხვაც წახდა.
აიაქსს თურმე თავს გასვლია, ცხვირსა სწევს მაღლა,
და სიამაყით აქილევსის მიბაძვას ცდილობს.
თავის კარავიც თურმე მისებრ მოუკაზმია,
მართავს ნადიმსა და ღრეობას დაუსრულებლივ,
გესლავს და თათხავს ომს და სარდლებს ეს არამკითხე,
ჩვენს წინააღმდეგ თერსიტესაც აგულიანებს,
ამ მდაბალ მონას, ათასნაირ ჭორებს რომ აცხობს,
ლამის მიწასთან რომ გვასწორებს ლანძღვა-გინებით,
რათა ჩვენდამი რწმენა ლაშქარს დააკარგვინოს
და შეგვასუსტოს სახიფათო შებრძოლების ჟამს.

უ ლ ი ს ე

ჩვენს ქცევას გმობენ და სიმხდალედ მიუჩნევიათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭკუა-გონებას არცა სთვლიან ომში საჭიროდ,
წინდახედული მოსაზრება არაფრად უღირთ
და მკლავის გარდა არა სცნობენ არაფერ ძალას.
გონების ძალას, წარმმართველსა უთვალავ მკლავთა,
რომელმაც უწყის, სად და როგორ უნდა მოიქცეს,
ასწონ-დასწონოს მტრის ლაშქარი და ბრძოლის წესი,
მათ თვალში ცალი თითის ფასიც არა აქვს იმას,
ტყუილ ლაყბობას უწოდებენ, ლოგინის საქმეს.
კედლის მნგრეველი იარაღი მეტი ჰგონიათ,
ვიდრე ის ხელი, რომელიც ამ იარაღს მართავს,
მის უხეშ ძალას მიაგებენ უფრო მეტ პატივს,
ვიდრე გონებას, რომელმაც ის გამოიგონა.

ნ ე ს ტ ო რ ი

ეს თუ გაგრძელდა, აქილევსის ცხენის ღირსება
მალე თეტიდეს ვაჟებისას გადააჭარბებს.

(საყვირების ხმა გაისმის)

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

საყვირის ხმაა! მენელაოს, ნახე ვინ არის?

მ ე ნ ე ლ ა ო ს ი

ტროელი ელჩი.

(შემოდის ენეასი)

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

რა საქმეზე მობრძანებულხარ?

ე ნ ე ა ს ი

ეს კარავია დიდებული აგამემნონის?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

დიახ, ეს გახლავთ.

ე ნ ე ა ს ი

ძალმიძს თუ არა, ელჩს და თავადს, დანაბარები
ღირსებისამებრ მოვახსენო მის მეფურ სმენას?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ამის თავდები აქილევსის მახვილი იყოს
და ჩვენს წინაშე მდგარ ბერძენთა თავები, ერთხმად
აგამემნონი მთავარსარდლად ვინც აირჩია.

ე ნ ე ა ს ი

უშფოთველობა და მშვიდობა ნუ მოგეშალოთ.
მიბრძანეთ უცხოს, ამ ღირსეულ მთავართა შორის
ვით გავარჩიო თვით ხელმწიფე?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ვით გაარჩიო?

ე ნ ე ა ს ი

დიახ, მაგას გთხოვთ, რომ თაყვანი ვცე მუხლმოდრეკით
და ღაწვნი წითლად შევიფაკლო, ვით მორცხვმა დილამ
ჭაბუკ ფებოსის დანახვაზე.
სთქვით, რომელია ღმერთი იგი, კაცთ წარმმართველი,
სად არის მძლავრი და დიადი აგამემნონი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგამემნონი

ჩანს ვეზიზღებით ამ ტროელ კაცს, ან ტროელები
არიან ასე მოჭარბებით ზრდილობიანნი.

ენეასი

ზრდილობიანნი, იარაღი თუ არ ასხიათ,
ანგელოსივით თვინიერნი, მშვიდობიანნი.
მაგრამ თუ ომმა მტერთან შებმა მოსთხოვა, მაშინ
ნაღველიცა აქვთ, იარაღიც, მუხლიც და მკლავიც,
მარჯვენაც უჭრით, გულიც ერჩით და ხმალიც კაფავს,
ზევსის მადლით. მაგრამ ჩუმად, წყნარად, ტროელო!
ენეას, კმარა! დაიფარე ბაგეზე ხელი!
იცოდე მაშინ დაეცემა ქების ღირსება,
თუ მაქებარიც საპასუხო ქებით ივსება,
მაგრამ თუ მტერი ყურადღებით მოგეკიდება
და ის შეგაქებს, ამას ჰქვია მართლაც დიდება.

აგამემნონი

მაშ, შენ, ტროელო, ენეასი გქვია სახელად?

ენეასი

დიახ, ბერძენო, აგრე მქვია.

აგამემნონი

რამ მოგიყვანა?

ენეასი

ეგ აგამემნონს მოვახსენო უნდა პირადად.

აგამემნონი

ის ტროის ამბავს მარტოდმარტო არ ისმენს ხოლმე.

ენეასი

არც მე მოვსულვარ საიმისოდ, რომ ვეჩურჩულო.
საყვირი მომაქვს — მისი სმენა გამოვაღვიძო,
მივიპყრო მისი ყურადღება და ვთქვა სათქმელი.

აგამემნონი

ილაპარაკე გულახდილად, ნუ გეფიქრება,
არა სჭირდება აგამემნონს გამოღვიძება,
უნდა იცოდე, იგი მუდამ ფხიზლობს, ტროელო,
და ამას თვითონ გეუბნება.

ენეასი

სჭექე საყვირო,
შენმა თითბერის ხმამ კარვებიც გამოაღვიძოს,
რათა შეიტყოს სათითაოდ ყველა ბერძენმა,
რა უნდა ტროას განაცხადოს სააშკარაოდ.

(საყვირების ხმა)

ჩვენ გვყავს, დიადო აგამემნონ, ტროაში ერთი
სახელგანთქმული უფლისწული, სახელად ჰექტორ.
იგი პრიამეს, ჩვენი მეფის პირმშო შვილია.
მას დაზავება მოეწყინა კარგა ხანია
და დღეს მიბრძანა მოვსულიყავ თქვენთან საყვირით
და ასე მეთქვა: მეფეებო, უფლისწულებო!
თუ საბერძნეთის გმირთა შორის მოიძებნება
ვინმე, რომელსაც ძვირად უღირს მისი ღირსება,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეძიებს სახელს და სიკვდილის შიში არ ახსოვს,
ან საკუთარი სიმამაცე არ ეეჭვება;
რომელსაც სატრფო მართლა უყვარს და არა სიტყვით
და სიყვარულის ფიცს საქმითაც დაადასტურებს;
ვინც გაბედავს და დაამტკიცებს სატრფოს მშვენებას
თავის მახვილით — მას ჰექტორი იწვევს საომრად.
ყველა ტროელის და ბერძენის დასანახავად
და გასაგონად განაცხადებს ჰექტორი ხვალვე,
რომ მისი სატრფო ქალბატონი იმაზე უფრო
გონიერია, ლამაზია და ერთგულია,
ვისაც ბერძნები ეტრფიან და გულს იხუტებენ,
ტროის კედლებსა და ბერძნების კარავთა შუა
ხვალვე საყვირით მოუწოდებს იგი იმ ბერძენს,
ვინც თავის სატრფოს სიყვარულის არის ერთგული.
თუ ვინმე მოვა, მას პატივით მოეკიდება
და თუ არავინ, მაშინ, როცა შინ დაბრუნდება,
გამოაცხადებს, რომ ბერძენთა ქალები მზისგან
დამწვრებია და მახინჯები და შუბის ქნევად
არ ღირებულან. ამისი თქმა მევალებოდა.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ეგ მიჯნურთათვის გაგემხილა სჯობდა, ენეას!
ვისაც ეგოდენ ნაზი გული ჰქონდა, შინ დარჩა,
და აქ მოვედით მარტოოდენ ჯარისკაცები.
მაგრამ ვაჟკაცად იგი მაინც არ ჩაითვლება,
ვისაც ვისიმე სიყვარული არ უდევს გულში.
ბერძენთა შორის ამისთანას ვიპოვით მრავალს
და თუ ვერ ვპოვეთ, ამ ბრძოლაში მე თვითონ გავალ.

ნ ე ს ტ ო რ ი

ნესტორიც უთხარ, ის, ვინც მაშინ იყო ვაჟკაცი,
როცა ჰექტორის პაპა წოვდა ძუძუს დედისას.
ასე უთხარი, დღეს ნესტორი მოხუცია-თქო,
მაგრამ ბერძენთა მხედრობაში თუ არ აღმოჩნდა,
ვის გულში მართლაც სიყვარულის ცეცხლი არ ღვივის,
ოქროს მუზარადს ჩამოვაცმევ ამ ჩემს ვერცხლის წვერს
და დამჭკნარ მკლავებს სამკლავურთა რკინით დავფარავ,
მე გამოვიწვევ ხმალში ჰექტორს და მოვახსენებ,
რომ დიდედამისს სილამაზით ჩემი მეუღლე
ათასჯერ სჯობდა და ყველაზე უმანკოც იყო.
მას სიყმაწვილეს ვუპასუხებ მოხუცის რისხვით
და ჩემს სიმართლეს დავუმტკიცებ ჩემივე სისხლით.

ე ნ ე ა ს ი

ჰფარავდეს ზეცა სიყმაწვილის ამ ნაკლებობას.

უ ლ ი ს ე

ამინ.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

მინდა შეგეხოთ, დიდებულო ენეას, ხელით,
და ჩვენს კარავში თქვენ პირველი შეგიპატიჟოთ.
დაე, იცოდეს აქილევსმაც თქვენი ნათქვამი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ კარვიდან კარავამდე ყველა ბერძენმა.
შენც ჩვენთან ერთად ინადიმებ, ვიდრე შინ წახვალ,
კეთილშობილი მტრის დახვედრას თვითონვე ნახავ.

(ყველანი გადიან ულისეს და ნესტორის გარდა)

ულისე

ნესტორ!

ნესტორი

რას ბრძანებ?

ულისე

ახალმა აზრმა გამიელვა უეცრად თავში,
შენ მომეხმარე, გამოვხატო იგი მკაფიოდ.

ნესტორი

მაინც რა აზრი?

ულისე

აი, მისმინე:
ბლაგვი სოლები ძაფჩახვეულ კუნძებს არღვევენ.
მოგეხსენება აქილევსის ამპარტავნება
ყველას აღელვებს და თუ დროზე არ აღმოიფხვრა,
ამ მღელვარების გავრცელება შობს ბოროტებას
და საბოლოოდ ძირს დაგვამხობს.

ნესტორი

მერე რა გვიხსნის?

ულისე

ეს გამოწვევა, ჰექტორმა რომ შემოგვითვალა,
ვითომც ყოველი ბერძნის მიმართ არის აღძრული,
მაგრამ ნამდვილად აქილევსის გამოხმობა სურს.

ნესტორი

ეგ რომ დღესავით ნათელია, ცხადზე ცხადია,
მაგის გაგება არც არავის გაუჭირდება,
და არც აქილევსს, დამერწმუნე, თუნდ მისი ტვინი
გამომშრალიყოს ვით ლიბიის უდაბნოს ქვიშა,
— იცის აპოლომ, რომ ის მართლაც გამომშრალია!
მაინც როგორმე მოახერხებს ამდენ მსჯელობას,
შეიცნობს სწრაფად, რომ ჰექტორის ფარული ზრახვა
სწორედ რომ მასთან შებმა არის.

ულისე

და შენ გგონია, აქილევსი პასუხსაც გასცემს?

ნესტორი

დიახაც გასცემს. აბა, მითხარ ვის შეუძლია,
დაამარცხოს და გამოსტაცოს ჰექტორს ღირსება,
თუ არ აქილევსს? თუმც იქნება ეს შეჯიბრება
თვალის სეირი, მაინც მასში ღრმა აზრი ბუდობს.
აქ გაუგებენ ტროელები ჩვენს უძვირფასეს
ულუფას გემოს თავის პირით. ენდე, ულისე,
მოხუცის სიტყვას, გადავწონით ამ საქმით ტროელთ,
ამ სასტიკ ბრძოლას შეუძლია გამოარკვიოს,
ვის უნდა დარჩეს გამარჯვება საერთო ომში.
წინასწარ ვხედავ უმნიშვნელო ნიშნებში თითქოს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მომდევნო ამბის დიდ შედეგებს. განა არ ვიცით,
ის, ვინც შეებმის ჰექტორს, უნდა რჩეული იყოს,
და არჩევანიც თავად განა ჯილდო არ არის?
ჩვენი რჩეული ჩვენს ღირსებას ატარებს ყველას,
ჩვენი ყოველი დაწურვილად თავსდება მასში,
იმისი მარცხი ჩვენი ყველას მარცხი იქნება
და ამით მხოლოდ გაიხარებს ჩვენი მტრის გული.
თითქოს ის იყოს ჩვენი მკლავი და იარაღად
მას ვიყენებდეთ არანაკლებ, ვიდრე ხმალს და მშვილდს,
რასაც თვითონვე მართავს მკლავი.

ულისე

მაშ მომიტევე,
სწორედ მაგიტომ აქილევსი არ გამოდგება
ჰექტორთან ომში. ჯერ ვაჩვენოთ, — როგორც ვაჭრებმა
იციან ხოლმე, — საქონელი ხარისხით მდარე
და გავასაღოთ: თუ არადა კარგის ჩვენებას
წინ რაღა უდგას? უკეთესი მერე ვაჩვენოთ.
ნუ დათანხმდები აქილევსის ჰექტორთან შებმას,
თუმც შესაძლოა მოვიხვეჭოთ ამით სახელი,
მაგრამ სირცხვილიც შეიძლება ვჭამოთ ადვილად.

ნესტორი

ეტყობა, მოხუცს თვალთ დამაკლდა: მიზეზს ვერ ვხედავ.

ულისე

დიდება, რითაც აქილევსი შეიმოსება,
სხვა დროს უთუოდ იქნებოდა ჩვენი დიდებაც,
აქილევსი რომ გულზვიადი არ ყოფილიყო,
მაგრამ ის ახლა მეტისმეტად გაგვითავხედდა
და ახლა გვიჯობს აფრიკის მზემ შეგვწვას მცხუნვარემ
ვიდრე ამაყმა, ზიზღით სავსე მისმა თვალებმა,
თუკი ის ჰექტორს მოერია. მაგრამ. თუ ვერა,
ჩვენი სახელიც მასთან ერთად დაიღუპება.
არა და არა! არჩევანი უნდა შევცვალოთ:
ჰექტორს რეგვენი აიაქსი უნდა შეებას,
ის მივიჩნიოთ ჩვენს ლაშქარში საუკეთესოდ
და მირმიდონელს სამკურნალოდ ესეც ეყოფა.
გალაღებულა მეტისმეტად ეგ თავგასული
და მის ბიბილოს მოუხდება დაბლა დაშვება.
თუკი აიაქსს, ამ ყეყეჩსა და გონებაჩლუნგს,
შემთხვევით დარჩა გამარჯვება, ის განვადიდოთ,
ქება-დიდება უსაზომო შევასხათ ერთხმად
და თუ დამარცხდა, ჩვენ ხომ მაინც სახელს არ ვკარგავთ.
ვიტყვით, კიდევ გვყავს უკეთესი ბევრი ვაჟკაცი,
ჩვენთვის ერთია დამარცხება და გამარჯვება,
ჭკუანასწავლი აქილევსი თუკი დარჩება.

ნესტორი

ულისე,
ახლა კი ვხვდები შენი რჩევის აზრსა და მიზანს
და აგამემნონს დაჩქარებით მინდა ვაცნობო.
ნუ დავაყოვნებთ, მივაშუროთ და თვითონ ვნახოთ,
ორი ნაგაზი ერთმანეთს რომ წაეკიდება
ძვალზე, რომელსაც ეწოდება კაცის დიდება.

(გადიან)

ინგლისურიდან თარგმნა **გივი გაჩეჩილაძემ**

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვანო ურჯუმელაშვილი

# მუშა კაცი

## მამა

ფარნაოზი ოჯახში მეექვსე შვილი იყო. სულ კი მამამისს, გაბრიელ თურქიშვილს ექვსი ვაჟი და ოთხი ქალიშვილი ჰყავდა. გაბრიელი სოფელში თითით საჩვენებელი ვაჟკაცი გახლდათ. რა საქმისთვისაც უნდა მოეკიდა ხელი, ზედ შეელეოდა და დაუმთავრებელს არ დატოვებდა. ბაღ-ვენახი ისე კარგად ჰქონდა მოვლილი ,მნახველს თვალი ზედ დარჩებოდა.

გუთნისდედობა იყო მისი ტრფიალი. ხშირად მეხრეებად თავისი ცეროდენა ვაჟიშვილები მიჰყავდა.

გაბრიელი მინდორში ალამებდა და ათენებდა, შვილებს კი დღეგამოშვებით ამორიგებდა.

მავ::ნი და მავანი გაბრიელს უკიჟინებდა, ბიჭებს ჯერ ტუჩებზე დედის რძე არ შეშრობიათ, რა დროს მაგათი მეხრეობაა, გაიზრდებიან, მათი დროც დადგება, და მერეც ეყოფათ გარჯა და ოფლისღვრაო.

— იცი, რა გითხრათ? — უპასუხებდა თურმე გაბრიელი. — შრომა იოლი როდია?! ადამიანი მუშაობას პატარაობიდანვე უნდა შეეგუოს, ოფლის სიმლაშე იწვნიოს, თორემ მერე გვიანღა იქნება. კაცი რასაც ბავშვობიდანვე შეეჩვევა, მთელი თავისი სიცოცხლე ეყვარება. უშრომლად და ხელგაუნძრევლად კი შიმშილით სული ამოსძვრება , რას იზამ? ღმერთს ასე დაუწესებია: ოფლის დაუღვრელად დოვლათს ვერ შექმნი, ბედნიერებას ვერ ეზიარები!

ფარნაოზ თურქიშვილის ყველაზე ადრინდელი მოგონებები დაკავშირებულია იმ დროსთან, ჯერ კიდევ შვიდი-რვა წლის ბიჭი გუთნეულის ხარ-კამეჩს რომ მწყემსავდა... ყველაზე ტკბილმოსაგონარია იმ დღეთა გახსენება, როცა უღელზე შემომჯდარი, ძმებთან ერთად, გუთნეულს მეხრეობდა. დღესაც ყურში უდგას კვალში ჩამდგარი, გუთნის სახელურებს დაყრდნობილი მამის ომახიანი შეძახილი: „ეჰეი, ბიჭებო, რა ცხვირპირი ჩამოგტირით, წელში გაიშალეთ, თავი მაღლა ასწიეთ, ხარ-კამეჩს რიხით, ომახიანად შესძახეთ, მარჯვედ სახრე გადაუქნიეთ!"

რა კარგი იყო მინდორში ღამის თევა! ვარსკვლავებით მოჭედილი ცა მშვიდად დაჰყურებდა მიძინებულ არემარეს. ირგვლივ უძირო სიწყნარე სუფევდა.

გუთნისდედა და მეხრეები ჩანავლულ კოცონს უსხდნენ. ბიჭებს ძილი ერეოდათ, კისერი სწყდებოდათ და ტკბილ ბურანში იძირებოდნენ.

გაბრიელი ნამდვილი შვილი იყო მიწისა, იმაზე ძალიან არაფერი სწყინდა, თუ ვინმე მიწას, სოფელს, ერთი სიტყვით, იმას, რასაც ძალა და ღონე შეალია, აუგად მოიხსენიებდა. განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდა პირუტყვისა: ხარ-კამეჩია გლეხკაცის ყველაზე დიდი მეგობარი, დამხმარე, მარჩენალიო, ამიტომ უნდა გვიყვარდეს, მოვუაროთ მას, საზრდო არ მოვაკლოთო.

გაბრიელს იღბლიანი კაცის ხახელი ჰქონდა გავარდნილი. მეზობლები შვილებს ანათვლონებდნენ, დაცდილი გვაქვს, შენი მონათლული ბიჭები კარგი გლეხები იზრდებიანო.

იგი ხალხის ნდობით, სიყვარულით სარგებლობდა. ამიტომაც იყო, სოფელ მარტყოფში კოლმეურნეობა რომ ჩამოყალიბდა, გაბრიელი ამ საქმის ერთ-ერთი მოთავე და სულისჩამდგმელად ითვლებოდა, მერე კი წლების მანძილზე კოლმეურნეობის თავმჯდომარე და სოფლის თავკაცი იყო.

დღეგრძელი იყო გაბრიელი, თითქმის ასი წელი იცხოვრა.

გაბრიელი ისეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, ვისაც შესწევს უნარი სხვებს გადასცეს თავისი საუკეთესო თვისებები: ნებისყოფა, შრომის სიყვარული, სამართლიანობა, ვაჟკაცობა. ყველაფერი ეს გაბრიელის შვილებმა მამისაგან მემკვიდრეობით მიიღეს.

## ძმები

ფაშისტური გერმანია ჩვენს ქვეყანას თავს რომ დაესხა, გაბრიელ თურქიშვილის ოთხი ვაჟიშვილი: არჩილ, დავითი, სოლომონი და რევაზი საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს.

უფროსი ძმა, არჩილი სტალინგრადის გმირულ დაცვაში მონაწილეობდა. ქალაქის ქუჩებში გამართულ ხელჩართულ ბრძოლებში ანადგურებდა მოძალადე ფაშისტებს. როცა ფრონტის ამ უბანზე ჩვენი ჯარები შეტევაზე გადავიდნენ, არჩილი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

აი ,რას წერდა ქვეგანაყოფის კომისარი არჩილის მშობლებს:

„არჩილ თურქიშვილის ძვირფასო მშობლებო! ჩვენ, არჩილის მებრძოლმა მეგობრებმა, არ შეგვიძლია მადლობა არ გადაგიხადოთ სამშობლოსათვის ასეთი თავდადებული ვაჟკაცის გაზრდისათვის. არჩილი იყო წესიერი, გულადი, მამაცი ჯარისკაცი, მრისხანე ბრძოლებში არაერთხელ ისახელა თავი. სტალინგრადის კარიბჭესთან გამართულ ხელჩართულ ბრძოლაში იგი ანადგურებდა პირსისხლიან ფაშისტებს, არაერთ გერმანელს დაუბნელა მზე, მაგრამ ბედმა უმტყუნა: მტრის ტყვიამ განგმირა იგი! დიახ, თქვენი ვაჟიშვილი გმირულად დაიღუპა. და ვიმედოვნებთ, თქვენც — მისი მშობლები სულით არ დაეცემით, მით უმეტეს, რომ თქვენი სიცოცხლე აუცილებელია არჩილის შვილებისათვის, რომლებსაც შემწეობა და დახმარება ესაჭიროებათ.

ძვირფასო, კეთილო ადამიანებო, მაგრად გართმევთ ხელს, გისურვებთ სულის სიმტკიცესა და დიდხანს სიცოცხლეს“.

მომდევნო ძმა დავითი რევოლუციის აკვანს იცავდა, დიდი ლენინის სახელს რომ ატარებს. ისიც ქველი ჯარისკაცი იყო, მამაცი, მტრის მოძულე.

დავითმა ომის დაწყების პირველ თვეებში ორი წერილი გამოუგზავნა მშობლებს. მერე წერილები შეწყდა. ომი ისე დამთავრდა, მის შესახებ ველარაფერი გაიგეს. ბოლოს კი თავდაცვის სამინისტროდან პატარა ცნობა მიიღეს: „დავით გაბრიელის-ძე თურქიშვილი გმირულად დაიღუპა ფაშისტურ ურდოებთან ბრძოლაში ლენინგრადის მისადგომებთან“.

მესამე ძმა, სოლომონიც, სტალინგრადს იცავდა. ერთ-ერთ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა, კონტუზია მიიღო. განკურნების შემდეგ ჯარში სამსახურისათვის უვარგისად ჩასთვალეს და შინ გამოისტუმრეს. ჯერ რუსთავის მეტალურგიულ ქარხნის მშენებლობაზე, ხოლო შემდეგ ამავე ქარხანაში დაიწყო მუშაობა. ამჟამად პენსიონერია და ცოლშვილით ქალაქ რუსთავში ცხოვრობს.

მეოთხე ძმა რევაზიც ქველი ჯარისკაცი იყო. ისიც მამაცურად იცავდა სტალინგრადს და მის კარიბჭესთან მძიმედ დაიჭრა.

გაბრიელი შვილების მამაცობით მუდამ ამაყობდა, ამბობდა, ჩემი ბოკვერები იქ არიან, სადაც ყველაზე ძალიან უჭირს ქვეყანას და ხალხსო. ტყუილად კი არ უთქვამთ, კვიცი გვარზე ხტისო. ჩვენი მამა-პაპანიც ასეთები იყვნენ, საქართველოს სადაც უფრო გაუჭირდებოდა, იქ დაერჭობოდნენ და ხმლით კაფავდნენ გადამთიელ დამპყრობლებსო.

ფარნაოზი და მომდევნო ძმა მაშინ პატარები იყვნენ. ისინი დილით სკოლაში დადიოდნენ, ნაშუადღევიდან კი მამას უდგნენ მხარში, ბარავდნენ, თოხნიდნენ, პირუტყვს მწყემსავდნენ. თურმე სულ იმას ნატრობდნენ, ნეტავი დიდები ვიყოთ, რომ ჩვენც ფრონტზე წავიდეთ და მომხვდურ მტერს შევებრძოლოთო.

ომის მიწურულს თხუთმეტი წლის ფარნაოზს სამხედრო კომისარიატში განცხადებაც დაუწერია, გთხოვთ ფრონტზე გამგზავნოთ მოხალისეთო. რაკილა ტანდაბალი იყო, თურმე ფეხსაცმელების ძირზე ორი ლანჩა დააკერა, რომ მაღალი გამოჩენილიყო.

კომისარს აუხედავს-დაუხედავს, მხრები აუჩეჩია და უთქვამს — „ჩასხმული ბიჭი ხარ, არც ტანი გაქვს ურიგო, მაგრამ მოხალისედ მაინც ვერ გაგგზავნით, რადგან უწლოვანი ხარო“. „დაბადების მოწმობაში სწორად არა სწერია, მე უკვე ჩვიდმეტი წლისა შევსრულდიო“, უმტკიცებდა კომისარს ფარნაოზი და იმდენი ქნა, დაითანხმა რომ კომისიაზე გაეძლო.

ეჰ, კომისარი კი დაიყოლია, მაგრამ ახლა სამედიცინო კომისიაზე იყო საქმე!

ფარნაოზმა ტანსაცმელი მარჯვედ გაიძრო, მაგრამ ფეხსაცმელებს არ იხდიდა.

ფეხსაცმელებით კი კომისიაზე არ უშვებდნენ. კარებთან გაჩერებულ სამედიცინო დას

ბევრი ეხვეწა, ბევრი ემუდარა, გამიშვით, მაგრამ იმან ქვა შეაგდო და თავი შეუშვირა. რა ექნა, ბოლოს ადგა და გაიხადა ფეხსაცმელები, და თხე შევიდა კომისიაზე.

სამედიცინო კომისიის თავმჯდომარემ თურმე კარებიდანვე გამოაბრუნა, საბჭოთა არმია დღეს-ხვალ ბერლინში შევა და, რა გაგვჭირვებია, რომ უწლოვანი ბიჭები ჯარში გავიწვიოთო! ნუ ჩქარობ, შენი დროც დადგება, ახლა კი სკოლაში ისწავლე და უფროსებს მუშაობაში დაეხმარეო.

1946 წელს ფარნაოზ თურქიშვილმა, ხოლო მომდევნო წელს მისმა უმცროსმა ძმამ ვახტანგმა მარტყოფის შვიდწლიანი სკოლა დაამთავრეს.

ძმებმა მაშინვე კოლმეურნეობაში დაიწყეს მუშაობა.

სწორედ იმხანად სოფელში პროფტექნიკურ სასწავლებელში ჩასარიცხად ახალგაზრდებს არჩევდნენ. გამოიძახეს ძმები თურქიშვილებიც.

ფარნაოზმა ბევრი იყოყმანა, უნდოდა კიდეც რაიმე ხელობის შესწავლა, თან მიწის, მამა-პაპური სახლ-კარის მიტოვებაც უმძიმდა. სოფელზე ზოგიერთი გულაყრილი ნათესავი აცივდებოდა, შე კაი კაცო, ხელიდან რატომ უშვებ ასეთ შესაძლებლობას, წადი ქალაქში, ხელობას ისწავლი, კაცად იქცევი, სოფელში რა ყრიაო?! რა სარგებლობა ნახეს შენმა მამა-პაპამ, თავისი დღე და მოსწრება მიწას რომ ჩაჰკირკიტებდნენ, წელში ვერ სწორდებოდნენ, ოფლს ღვრიდნენო! ხომ ხედავ ერთი ხეირიანი სახლიც ვერ ააშენეს და ვერც შვილებს მისცეს იმდენი სწავლა-განათლება, რომ მიწაზე აღარ ყოფილიყვნენ მიჯაჭვულნიო.

ერთი სიტყვით, დიდი ფიქრისა და სჯა-ბაასის შემდეგ ფარნაოზი დათანხმდა პროფტექნიკურ სასწავლებელში წასულიყო სასწავლებლად.

უმცროსმა ძმამ ვახტანგმა კი სასტიკი უარი განაცხადა, სოფლიდან ფეხს არ მოვიცვლი, მიწის შვილები იყვნენ მამაჩემიც, პაპაჩემიც, ჩემი წინაპრებიც... მეც მინდა აქ დავრჩე, მიწას შევალიო ჩემი ძალა და ღონე, მთელი ჩემი სიცოცხლეო.

ფარნაოზი 1959 წელს რუსთავის პროფტექნიკურ სასწავლებელში ჩარიცხეს. ლითით საჩვენებელი მოსწავლე იყო, ბეჯითი, მუყაითი, დაუზარებელი, რაღას არ ასწავლიდნენ: დურგლობას, კალატოზობას, ქვის თლას, ავეჯის კეთებას, მონტიორობას, მაგრამ ფარნაოზს ყველაზე უფრო კალატოზობა მოსწონდა. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მოწაფეობაშივე როგორც კი ხელში ქაფჩას დავიჭერდი, ვხალისდებოდი, ძალღონე მემატებოდაო.

სხვებს თუ ულაროდ და უთარაზოდ არ შეეძლოთ აგურის აგურზე დადება, შენება. ფარნაოზი თვალით ზომავდა, აგურს მარჯვედ აწყობდა, სწრაფად აჰყავდა კედელი. მისი შემყურე ოსტატები და მასწავლებლები აქებდნენ, ამხნევებდნენ, ყოჩაღ, ბიჭო, გამჭრიახი თვალის პატრონი ხარო, მარჯვენაც ოქროსი გაქვს, შენგან ბრწყინვალე კალატოზი დადგებაო.

ბეჯითმა მეცადინეობამ, დაუზარელმა შრომამ სასურველი შედეგი გამოიღო. იგი სულ უფრო ეუფლებოდა კალატოზის ხელობას, ისე იყო მეცადინეობით, მუშაობით გატაცებული, ვერც კი გაიგო, როგორ გაირბინეს თვეებმა, როგორ შეტრიალდნენ წლები.

და აი დადგა ის ბედნიერი დღე, რომელზეც ასე ბევრს ოცნებობდა! ხვალიდან იგი ხარაჩოზე დადგება, აახმიანებს, აამღერებს ქაფჩას და აზიდავს, ცაში აღმართავს საცხოვრებელი ბინების, სკოლების, საავადმყოფოების, სასახლეების მყარ, მკვიდრ კედლებს. და ისევე როგორც სწავლაში, მოწინავე იქნება შრომაშიც. თავდადებით იშრომებს, ამასთან ისევე გულმოდგინედ იმეცადინებს, ცოდნას გაიღრმავებს, ადამიანს ხომ ყველაზე უფრო დიდ სიამოვნებას საყვარელი საქმის კეთება ანიჭებს?! იქნებ ვინმემ კიდევაც გაიოცოს, მაგრამ იმას ასე ჰგონია, რომ ქვეყნად არცერთი პროფესია არ შეედრება კალატოზობას. საბჭოთა ქვეყანა ხომ მშენებლობის ქვეყანაა?! ალბათ არსად, არცერთ ქვეყანაში ისე არ აფასებენ მშენებელს, როგორც ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში მაშ, როგორ არ იამაყოს, ღირსეულად როგორ არ ატაროს ეს საპატიო სახელი?!

## ძმათა ნაკვალევზე

ჩვიდმეტი წლის ფარნაოზ თურქიშვილი ქალაქ რუსთავის მშენებელთა რიგებშია, იგი პირველდღიდანვე კალატოზად მუშაობს.

ინჟინრები, ბრიგადირები, მშენებლობის ხელმძღვანელები. ყველა ვინც კი ნახულობდა მის სწრაფ, მოხდენილ ქაფჩის ტრიალს, ულაროდ და უთარაზოდ აგურის დალაგებას, განცვიფრებას გამოთქვამდნენ, ეს კალატოზი კი არა, ჯადოქარია, ნამდვილი ჯადოქარიო.

ერთი წუთით არც თვითონ ჩერდებოდა, არც დამხმარე მუშას აძლევდა მოსვენებას, აჩქარებდა, მარჯვედ, ყოჩაღად მომაწოდეთ აგური და ბათქაშიო.

დამხმარე მუშები ცდილობდნენ საშენი მასალით ადრევე მოემარაგებინათ, მაგრამ ხელმარდ ოსტატს, როგორც მაქო საქსოვ დაზგაზე, ისე რომ დაქროდა კედლის გასწვრივ, ვერ ასდიოდ-

ნენ. ამიტომაც იყო, რომ მუშები გაურბოდნენ, იმასთან მუშაობა არავის უნდოდა.

ინჟინრებს, ბრიგადირებს ფარნაოზ თურქიშვილთან მიჰყავდათ ახალგაზრდა მუშები, რათა ეჩვენებიათ მისი ხელმძღვანელობით, თუ როგორ შეწყობილად, შეუნელებლად მიმდინარეობდა შენების პროცესი, თუ როგორ ჯდებოდა აგური თავის ადგილას, და, რა სწრაფად, ლამაზად იგებოდა, მაღლდებოდა მყარი კედელი.

ფარნაოზი თურქიშვილი დღეს სიამაყის გრძნობით იგონებს იმ დღეებს, როცა იგი აშენებდა რუსთავის წყალს საფილტრავს, ელექტროსადგურსა და მრავალ საცხოვრებელ სახლს.

რა დასამალია, ადვილი როდია კალატოზის შრომა! აბა წარმოიდგინეთ დილიდან საღამომდე ქარსა და წვიმაში, სიცხესა და სიცივეში იდგე ხარაჩოზე, ხშირად ღამითაც პროჟექტორების შუქზე ასხამდე ტონობით ბათქაშს, ალაგებდე ათასობით აგურს!

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ფარნაოზ თურქიშვილს დღეში ხომ სულ ცოტა ტონა ბათქაშისა და ათასი აგურის აწევა, დაწევა მოუხდებოდა.

დიახ, ტონა ხსნარი და ათასი აგური დღეს, ამდენივე ხვალ, ზეგ და ასე ყოველდღე, ყოველკვირა, წელიწადი — თორმეტი თვე.

**1952** წელს ფარნაოზ თურქიშვილი საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს. ბრიგადის წევრებმა თურმე გაცილება მოუწყვეს და საგანგებოდ გაკეთებული ქაფჩა მიართვეს.

ფარნაოზი გაოცებულა:

— თქვე კაი ხალხო, ქაფჩა რაღ მინდა, ჯარში მივდივარ, მშენებლობაზე ხომ არა?

— ეჰ, ჩემო ძმაო, ქაფჩა ისეთი რამეა, საცა არ უნდა წახვიდე, ყველგან გამოგადგება! მითუმეტეს ახლა, როცა ჩვენს ქვეყანაში ასეთი დიდი მშენებლობაა გაჩაღებულიო, — მიუგო თურმე ერთმა ბრიგადის წევრთაგანმა.

საბჭოთა არმიის რიგებში მიმავალი ფარნაოზი, ქაფჩას ჩანთაში მალავდა, არავის უჩვენებდა, ვაითუ, ამხანაგებმა სიცილი დამაყარონო.

რამდენიმე დღე მიჰქროდა მათი ეშელონი ჩრდილოეთით, მერე აღმოსავლეთით აიღო გეზი. ვაგონში სიცილ-ხარხარი იდგა. ვინ ანეგდოტებს ჰყვებოდა, ვინ ფოკუსებს აკეთებდა, მომღერლებიც აღმოჩნდნენ.

კვირის თავზე, მატარებელი, რომელიღაც სადგურის საბარგო ბაქანთან შეჩერდა.

ეშელონის უფროსმა ბრძანება გასცა, წვევამდელებო ბარგი-ბარხანით ვაგონებიდან ჩამოდითო.

ბაქანი შეღერებული ბიჭებით აივსო...

— სად ვართ? — იკითხა რომელიღაც წვევამდელმა.

— სტალინგრადში! — მიუგო ეშელონის უფროსმა.

დიახ, ისინი სტალინგრადში იყვნენ, ლეგენდარულ გმირ ქალაქში.

სტალინგრადი ხომ ჰიტლერული არმიის მზის ჩასვენება იყო. აქ მომხდარ ხოცვა-ჟლეტის შემდეგ გერმანელებმა ველარ შეძლეს წელში გამართვა.

ქვეყნად არ მეგულება ადამიანი, ვინც თაყვანს არ სცემდეს ამ გმირ ქალაქს, ქედს არ იხრიდეს იმათ ხსოვნის წინაშე, ვინც აქ მრისხანე **1942** წელს, როცა სწყდებოდა საბჭოთა წყობილების ყოფნა არყოფნის საკითხი, საბჭოთა ხელისუფლებისათვის გასწირა სიცოცხლე!

ფარნაოზ თურქიშვილისათვის სამუდამოდ დასამახსოვრებელია სტალინგრადი, აქ დაიღუპა მისი ძმა არჩილი, აქ იბრძოდნენ და სისხლი დაღვარეს მისმა ძმებმა: რევაზმა და სოლომონმა!

დაადგა თუ არა სტალინგრადის მიწაზე ფეხი, ისეთმა გრძნობამ შეიპყრო, თითქოს მისი ძმა არჩილი ცოცხალი იყო და, ჰა და ჰა, საცაა გამოჩნდებოდა. მერე ეს გრძნობა თანდათან გაუქრა, მაგრამ მაინც დარწმუნებული იყო, რომ ძმის საფლავს ნახავდა, ან ისეთ ადამიანს შეხვდებოდა, ვინც იცნობდა არჩილს და მისი დაღუპვის ამბავიც ეცოდინებოდა.

ფარნაოზმა ჯარში სამსახურის პირველ დღიდანვე მონდომებული მეცადინეობითა და წესიერი ყოფაქცევით მეთაურთა სიყვარული დაიმსახურა. ამიტომ იყო, რომ როგორც მოწინავე ჯარისკაცს, თითქმის ყოველ დასვენების დღეს მოკლევადიან შვებულებას აძლევდნენ.

დილიდან-საღამომდე სტალინგრადის ქუჩებში დაბორიალობდა. ხან ვის გამოელაპარაკებოდა, ხან ვის, და ყველას იმას ეკითხებოდა, ომის დროს სად ბრძანდებოდითო, სტალინგრადში გაჩაღებულ ბრძოლებში ხომ არ მონაწილეობდითო.

ბევრი ახალი ჩამოსული იყო ქალაქში. იყვნენ ისეთებიც, ვინც იარაღით ხელში იცავდა საკუთარ სახლს, ქუჩას, მაგრამ, ვაგლახ, რომ არავინ არაფერი იცოდა, სტალინგრადში დაღუპულ ქვეითი ჯარისკაც არჩილ თურქიშვილის შესახებ!

ძმათა საფლავებზე წაკითხული ქართველი მებრძოლების გვარები გულს სიამაყით უვსებდა. ეს საფლავები ხომ ჩვენი უღალატო ხალხის საბჭოთა ერებისადმი ერთგულებასა და თავდადებას ღაღადებდნენ.

ფარნაოზს განსაკუთრებით უზომო სიამაყის გრძნობით აევსო გული, როცა პავლოვის სახლი დაათვალიერა. მემორიულ დაფაზე გაკეთებულ წარწერით შეიტყო, რომ სერჟანტ პავლოვის მეთაურობით რუს, უკრაინელ, ყაზახ მებრძოლებთან ერთად ქართველი ჯარისკაცები — მოსიაშვილი და სტეფანიშვილი **58** დღის განმავლობაში რიცხობრივად ჭარბ გერ-

მანელთა გამუდმებულ შეტაკებებს იგერიებდნენ და გმირულად იცავდნენ ამ ლეგენდარულ სახლს.

იყო მამაის ყორღანზეც. იმ მრისხანე დღეებში აქ დიდი ბრძოლები იყო გაჩაღებული. მტრის ავიაცია გამუდმებით ბომბავდა მამაის ყორღანს არტილერია ფიცხელ ცეცხლს უშენდა მის კალთებს, ქვემეხები რომ ჩაჩუმდებოდნენ, გერმანელი ქვეითები იწყებდნენ შეტევას. და იმართებოდა არნახული ხელჩართული ბრძოლები, გაუგონარი ხოცვა-ჟლეტა, დიდი სისხლისღვრა.

ახლა კი სამარისებური სიჩუმე სუფევდა გორაკზე. სევდისმომგვრელი იერი დაჰკრავდა ირგვლივ ყველაფერს.

ალბათ, ამ ბორცვზე იმდენი ბალახის ღერიც არ იყო ამოსული, რამდენი ყმაწვილი კაციც დაეცა მის გადაშლილ გულმკერდზე.

ვინ იცის, იქნებ არჩილ თურქიშვილის სისხლითაცაა მამაის ყორღანი დამბალი, იქნებ მის ძმის ძვლებიც აქ ჩაიმალა, აქ ჩაიფშვნა.

და უცებ, დაუოკებელი სურვილი აღეძრა მთხვეოდა ამ წმიდათა-წმიდა ადგილს, თაყვანი ეცა მისთვის, ფრთხილად ჩაიჩოქა და ერთი მკლავის მოდება ბალახი მკერდში ჩაიკრა.

ომის დროს ქალაქი სტალინგრადი მთლიანად დაინგრა. ცეცხლმა დაწვა, დაბუგა მრავალი სახლი, დაზიანდა არაერთი ფაბრიკა-ქარხანა.

იმხანად სტალინგრადში გრანდიოზული მშენებლობები იყო გაჩაღებული. ახალ, თანამედროვე, კეთილმოწყობილი ქალაქის აგებაში სამხედრო ნაწილებიც მონაწილეობდნენ.

ქვეგანაყოფი, ფარნაოზ თურქიშვილი რომ მსახურობდა, ქალაქის გარეუბანში სკოლას აშენებდა.

ფარნაოზი ხარაჩოზე იდგა და ამხანაგების ნაჩუქარი ქაფჩით აჰყავდა კედლები.

ყველა გაოცებული იყო მისი სისწრაფით, სიმარდით, აგურის სწრაფი დალაგების საოცარი ხელოვნებით.

საარმიო გაზეთმა მისი სურათი დაბეჭდა, ვრცელი სტატია გამოაქვეყნა, სათაურით: „ოქროსმარჯვენიანი კალატოზი", რომელშიც ვკითხულობთ:

„1942 წელს სტალინგრადში იბრძოდა სამი ქართველი ძმა — თურქიშვილები, რომელთაგან ერთი — არჩილი მტერთან ბრძოლაში დაიღუპა, ორი ძმა კი მძიმედ დაიჭრა.

დღეს კი თურქიშვილების უმცროსი ძმა, ოქროსმარჯვენიანი კალატოზი ფარნაოზ თურქიშვილი სკოლის მშენებლობის ხარაჩოზე დგას და აშენებს ახალ სტალინგრადს!

გაოცებას იწვევს მისი ხელის სიმარდე, ციბრუტივით ტრიალი, დაუღლელობა. აბა, ერთი თვალი შეავლეთ მის მიერ უარმატუროდ აგებულ თაღებს, მკვრივად ნაგებ სწორ, ულოჯო, უხინჯო კედლებს?! და უთუოდ იტყვით, რომ ეს არის დიდი ოსტატის ნახელავი!

მზიურო საქართველო, იამაყე, რომ შენ დაბადე, გაზარდე, დაავაჟკაცე ძმები თურქიშვილები!"

ფარნაოზ თურქიშვილმა სტალინგრადის არაერთ საცხოვრებელ სახლის, საბავშვო ბაღისა თუ სკოლის მშენებლობაზე იმუშავა.

იგი ამას ფრიად საპატიო და საამაყო საქმედ თვლიდა. ამიტომაც არზოგავდა არც ძალღონეს, არც ცოდნა-გამოცდილებას, რათა ომის დროს დანგრეული დიდი სამრეწველო და ყველასათვის სანუკვარი ქალაქი ომამდელზე ლამაზი, მკვრივი და კეთილმოწყობილი აგებულიყო.

სარდლობამ, სტალინგრადის საქალაქო საბჭომ ფარნაოზ თურქიშვილს, როგორც მოწინავე მებრძოლსა და მშენებელს, არაერთხელ გამოუცხადეს მადლობა, ფასიანი საჩუქრებითა და საპატიო სიგელებითაც დააჯილდოვეს.

## ცხოვრების კარიბჭესთან

1955 წელს ფარნაოზ თურქიშვილი საბჭოთა არმიის რიგებიდან შინ დაბრუნდა, ცოტა მიიარ-მოიარა, ცოლი შეირთო და გადაწყვიტა ლილოს № 2 რკინა-ბეტონის ქარხანაში კალატოზ-მეარმატურედ დაეწყო მუშაობა.

ერთმა მისმა მეზობელმა, სოფლის გზებზე უსაქმურად რომ დაეხეტებოდა, ფარნაოზს არჩევანი არ მოუწონა. შე კაი კაცო, ქარხანაში რა ყრია, რა ხეირი უნდა ნახო, იმდენსაც ვერ აიღებ, რომ ცოლ-შვილი გამოკვებო. ჩემს ჭკუაზე იარე და ბედნიერებას ეზიარებიო.

— მაინც რას მირჩევ?! ხომ არ გინდა, რომ მეც შენსავით უსაქმურად ვიხეტიალო — უთქვამს ფარნაოზს არამკითხე მრჩევლისათვის.

— შენ რა, უსაქმური გგონივარ!

— აბა, მაშ რა მოხელე ხარ?

— ნარდად სახლებს ვაშენებ! ერთ თვეს რომ ვმუშაობ, მეორე თვეს ვისვენებ, მხართეძოზე ვკოტრიალობ. ჰოდა, შენც გირჩევ ჩემს გზას დაადგე.

მარტო მარტყოფსა და ახლო-მახლო სოფლებში ასობით ახალი სახლი შენდება. კალა-

ტოზები კი სანთლით საძებნელია. ჰმ, შენნაირი კარგი ხელოსანი კი, ალბათ მთელ საქართველოში თითზე ჩამოითვლება! თუ გინდა საქმე საამხანაგოდ ავილოთ. ხალხი მიცნობს, კლიენტები არ მოგვაკლდება.

ჯერ მარტო ის რადა ღირს, თავზე რომ არავინ დაგვადგება, უფროსი და მბრძანებელი არ გვეყოლება! ესეც რამეა: პატრონი დღეში სამჯერ მამაპაპურად პურს გვაჭმევს, წაგვაქეიფებს. ფულიც ჩეჩქივით გვექნება, ეჰ, როგორ გეტყობა, რომ ახალგაზრდა ხარ?! ჯერ კარგად არ იცი ფულის ყადრი!

უფულო კაცი ქეციანი ძაღლივითაა: ყველა გაურბის, ყველა ზურგს აქცევს, ლაყედ, უქნარად თვლიან.

ფარნაოზი ისე იყო შეჩვეული კოლექტივში მუშაობას, ისეთ დიდ ნეტარებას ანიჭებდა სახალხო საქმის კეთება, რომ არამკითხე მრჩეველს ყური არ ათხოვა და გადაწყვეტილება არ შეცვალა.

ქარხანა ახალი აშენებული იყო, და ბუნებრივია, საკმაო რაოდენობის კვალიფიციური მუშა-ხელი არ ჰყავდათ.

ფარნაოზ თურქიშვილი ყოჩაღი, მოწადინებული მუშა იყო, ხათრიანი, დაუზარელი, და მალე მთელი ქარხნის საყვარელ ადამიანად გადაიქცა. ამასთან მან გამოავლინა სხვადასხვა სპეციალობის შესწავლის საოცარი ნიჭი, უნარი. მოკლე დროში დაეუფლა: მეარმატურის, მებეტონის, ხსნარის ამრევის, საარმატურო რკინის მჭრელის მძიმე, რთულ პროფესიებს.

ამიტომ იყო, რომ ქარხნის ხელმძღვანელობამ პირველივე წელს იგი მეარმატურეთა კომუნისტურ ბრიგადას ჩაუყენა სათავეში.

ფარნაოზ თურქიშვილმა ხელმძღვანელისათვის საჭირო დიდი ნიჭი, უნარი გამოიჩინა.

აგერ უკვე თვრამეტი წელია იგი ბრიგადას ხელმძღვანელობს და არ ყოფილა არცერთი დღე, არცერთი თვე, კვარტალი, წელიწადი, რომ მის ბრიგადას დიდი გადაჭარბებით არ შეესრულებინოს გეგმები და საამშენებლო მასალების ეკონომია არ გაეწიოს.

ძნელი როდია უხელმძღვანელო ოცდაათ კაცისაგან შემდგარ ბრიგადას, რომელიც სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისაგან შედგება, და ამასთან ისინი ქარხნის ვრცელ ტერიტორიაზე არიან გაფანტულნი. ვინ საარმატურო რკინას სჭრის, ვინ ჩარჩოებს ჰკრავს, ვინ ხსნარს ურევს, ვინ ბეტონს ასხამს.

ვიდრე შეუდგებოდე სხვის ბრძანებლობას, ჯერ თავად უნდა შეეჩვიო სხვისი ბრძანების შესრულებას, მორჩილებას!

თუ ბრიგადირი მთელი დღე ციბრუტივით არ ტრიალებს, არაფერი გამოუვა. ამასთანავე ყველა პროფესიას კარგად უნდა ფლობდე, რომ შეგეძლოს ამა თუ იმ ნაკლის, ხინჯის დანახვა.

ბრიგადის წევრები სხვადასხვა ხასიათისა და ბუნების ადამიანები არიან. ვის დაყვავება რგებს, ვისთვის ნუგეშია უებარი წამალი, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ მუშაში უწინარეს ყოვლისა. ადამიანი უნდა დაინახო! ადამიანებს კი ხელის შეწყობა, დახმარება ესაჭიროებათ. არავითარი ბრძანება, აგიტაცია, ისე არ მოქმედებს მუშაკაცზე, როგორც ხელმძღვანელის პირადი მაგალითი.

თუ მუშას არ შეუქმნი კარგ სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობებს, ქუდს მოგიხდის და გამოგემშვიდობება. მე შენ გეტყვი სამუშაოს ვერ იშოვის. ზოგი ფაბრიკა-ქარხანა ხომ მუშახელის ნაკლოვანებას განიცდის!

გინდა მოიგო მუშის გული? მაშ დაუფასე შრომა! ჩასწვდი მის ფიქრებს, გულისნადებს! ჭირში თუ ლხინში გვერდში ამოუდექი, მისი სიხარული საკუთარ სიხარულად ჩასთვალე, ჭირვარამი — საკუთარ ჭირვარამად.

ეს შეხედულებები ფარნაოზს ცხოვრებამ, ბრიგადირად მუშაობის ლიდმა გამოცდილებამ გამოუმუშავა.

## ახალგაზრდობის მეგობარი

ფარნაოზ თურქიშვილი, თითქოს იმისთვის გაჩენილა ამ ქვეყანაზე, რომ უყვარდეს, ზრუნავდეს, პატივს სცემდეს ადამიანებს. და ამასთანავე სხვებსაც გადასცეს, გულში ჩაუნერგოს ეს ძვირფასი თვისებები.

თურმე ამ რამდენიმე წლის წინათ ერთმა საშუალო სკოლა დამთავრებულმა ჭაბუკმა მის ბრიგადაში დაიწყო მუშაობა, ცოცხალი, სხარტი დაუზარელი ბიჭი იყო. რა საქმეც არ უნდა მიენდოთ, ყველაფერს გულმოდგინედ, დიდი სიყვარულით აკეთებდა. ყოველდღიურ დავალებებს გადაჭარბებით ასრულებდა. ამასთანავე უკეთილშობილესი ადამიანი იყო. უფროსებს ბავშვივით თვალწარბში შესცქეროდა, სულ იმას ცდილობდა ვინმესთვის რაიმე ესიამოვნებინა, პატივი ეცა,

იმხანად ქარხნის კანტორაში ერთი ტანადი, შემართული, შავთვალწარბა გოგონა მუშაობდა მზექალავად. იმასაც იმ წელს დაემთავრებინა საშუალო სკოლა. ორივენი ნორჩები იყვნენ, სისხლი უჩქეფდათ, სიყვარული ენატრებოდათ და, ბუნებრივია, რომ გული ერთ-

მანეთისაკენ მიუწევდათ, სხვებისაგან განცალკევებას, მუსაიფს ცდილობდნენ.

ჯერ შესვენების დროს ჭაბუკი კანტორაში მიდიოდა და მბეჭდავ გოგონასთან საუბრობდა, მერე ქუჩაშიც დასეირნობდნენ, კინოშიც ერთად მიდიოდნენ, ერთი სიტყვით, ქალ-ვაჟი იმ სიხარულსა და ნეტარებაში იყვნენ, რაც ყველა ახალგაზრდას სიცოცხლეს აყვარებს. ისინი ქვეყანას უღიმოდნენ, ერთმანეთს თავს ევლებოდნენ, ერთმანეთი უყვარდათ.

მუშა-მოსამსახურეებს მათი ტრფობა შეუმჩნეველი არ დარჩათ. ბევრი ამბობდა კარგი წყვილია, ალბათ, მალე ხელს მოაწერენ და ქორწილში ვიქეიფებთო.

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ახალგაზრდამ განცხადება დაწერა და სამუშაოდან განთავისუფლება მოითხოვა.

ვილამ არ გამოუძახა, ვილა არ ელაპარაკა, გაგვაგებინე რაშია საქმე, ასე ერთბაშად რამ გადაგაწყვეტინა ქარხნიდან წასვლაო. იგი მიზეზს არ ასახელებდა, ყველას ერთიდაიგივეს პასუხობდა, აქ აღარ მინდა მუშაობაო.

ბოლოს, თურმე მას ბრიგადირიც გამოელაპარაკა, იმასაც იგივე უთხრა, არ მინდა თქვენთან მუშაობა, მორჩა და გათავდაო, მაგრამ ფარნაოზი ჩასციებია, მითხარი, გამაგებინე, რა გეწყინა, რამ მოგიკლა გული, რაღაც მიზეზი რომ არ იყოს, შენ აქედან ასე იოლად არ წახვიდოდიო. ჩვენც კარგად ვგრძნობთ შენს სიყვარულს და, ალბათ შენც კარგად უწყი, როგორ გაფასებთ და გვიყვარხარო.

— მართალს ამბობ, პატივცემულო ფარნაოზ — გულდაწყვეტილი ვარ და აქედან იმიტომ მივდივარ! — უთქვამს ჭაბუკს.

— ნუ მომერიდები, მითხარი, გამაგებინე, ისეთი რა გაწყენინეთ, რაზე მოგიკალით გული, რომ ვერ გამოვასწოროთ?!

— არა, თქვენ სულაც არ გემდურით! — მიუგო გულდაწყვეტით ჭაბუკმა, ხმა დაიმორჩილა და მშვიდად განაგრძო, — სამწუხაროდ, ამის გამოსწორება აღარ შეიძლება!

— განა ისეთი რა არის, რომ ვერ გამოვასწოროთ?!

— რა არის და... — ჭაბუკი ცოტა შეყოყმანდა, უცებ ატირდა და ეტყობა თითონვე შერცხვა თავის ცრემლებისა — ბრიგადირს ბოდიში მოუხადა მაპატიეთ, არ შემიძლია ახლა ამაზე ლაპარაკიო და თავჩაღუნული გასცილდა.

თურმე წინა დღეს ჭაბუკმა თავის გულისწორს მიაკითხა. რაკი ოთახში არავინ იყო, ისინი მხიარულად საუბრობდნენ, გულიანად იცინოდნენ.

ამ დროს ქარხნის ერთი მუშაკი კანტორაში შესულა და ამ ბიჭისთვის უყვირია, ტყეში ხომ არ გგონია თავი, რას ხითხითებო. ან კანტორაში რა გესაქმება, რას დაბორიალობ, ახლავე აქედან მოუსვიო.

საწყალ ბიჭს კრინტი არ დაუძრავს, სირცხვილისაგან ყურებიც გასწითლებია, დაბნეულა და ისიც კი ვერ მოუხერხებია, რომ ოთახიდან გასულიყო.

ბიბლიოთეკა

შეურაცხმყოფელს კი, ალბათ, ეგონა არ მემორჩილებაო, და უფრო გაცეცხლებულა, რაც გითხარი, ვერ გაიგე, რას გაჩერებულხარ, ახლავე გაეთრიეო.

განა, გასამტყუნია ბიჭი, კაცი ხომ ყველაზე მძიმედ იმას განიცდის, როცა სატრფოსთან შეურაცხყოფენ, ფეხით გათელავენ მის ღირსებას?!

ამიტომაც იყო, რომ მიუხედავად ხელმძღვანელების დიდი თხოვნისა, დაპირებებისა, გადაწყვეტილება არ შესცვალა და ქარხნიდან წავიდა.

ერთ ასეთ შემთხვევასაც ჰქონია ადგილი.

ამ ორიოდე წლის წინ, თურმე ქარხანაში მუშაობა დაიწყო მარტყოფელმა თექვსმეტი წლის ჭაბუკმა, რომელმაც ის-ის იყო რვაწლიანი სკოლა დაამთავრა.

ფარნაოზ თურქიშვილს ბრიგადაში ჩაურიცხავთ იგი დამხმარე მუშად. საქმეში ცეცხლი იყო, უზადო, მაგრამ თურმე თითქმის ყოველ საღამოს სახინკლეში მიეშურებოდა და თავის ტოლ ბიჭებთან ქეიფობდა.

ბრიგადირმა არაერთხელ გააფრთხილა, არ მომწონს შენი საქციელი, ჯერ ისევ ბავშვი ხარ და რა დროს შენი არყის სმააო.

— პატივცემულო ბრიგადირო, სკოლაში ხომ არა ვარ, რომ მასწავლებელივით მელაპარაკები?! მე უკვე მუშა ვარ, გინდა ღვინოს დავლევ, გინდა ყირაზე დავდგებიო, უთქვამს ჭაბუკს.

ფარნაოზ თურქიშვილი კიდევ არაერთხელ ელაპარაკა ყმაწვილკაცს, უმტკიცებდა, გადაჭარბებული სმით, ქეიფით გზა-კვალი აგერევა, რაიმე შარს გადაეყრებიო, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია! ის კი არა, ჭაბუკმა უფრო მოუმატა სმას, და დილითაც რამდენიმეჯერ სამუშაოზე არაყით გამომთვრალი გამოცხადდა.

ფარნაოზმა ბიჭის მშობლები ინახულა და უთხრა: — ვთქვათ, საღამოთი ცდუნებას ვერ სძლევს, ბიჭებთან მიუწევს გული, სვამს, ის მიკვირს, დილით სადღა ასწრებს გამოთრობას?

— დილით, სახლში სვამს არაყს, მადისათვისა და გამოსაფხიზლებლად — უთქვამს მამას.

— შე კაი კაცო, ჭერზე ერთ ბატკანს შეჭამს და რა მადის გაღვიძება უნდა?! ყოველ საღამოს თავს იქცევს, თვრება და დილითაც არაყს სვამს?

— ეჰ, განა, არ ვიცა, მაგრამ რა ვქნა?! ბევრი ველაპარაკე, ვეხვეწე, დავემუქრე კიდეც; მაგრამ ვერაფერს გავხდი. ბოლოს, ავდექი და ხელი ჩავიქნიე, ჯანაბას, ახალგაზრდობაში

სვას, დაცოლშვილდება და მერე მოიშლის ამ ცუდ ჩვევას მეთქი.

ფარნაოზს ღვინის სმას გადაყოლილი ჭაბუკის მშობლები გემოზე შეუთათხავს; მერე კი გაუფრთხილებია, დილით შვილს არაყი კი არა, ჩაი დაალევინეთ, რომ სიმხნევე, ხალისი შემატოსო. საღამოთი კი მე წამოვიყვანო მანქანით სოფელში და სახინკლეში ფეხს აღარ შევადგმევინებო.

თურმე ფარნაოზ თურქიშვილს თანასოფლელი ჭაბუკი საკუთარი მანქანით დიდხანს მიმყავდ-მომყავდა მარტყოფში და იმდენი იყოჩაღა, რომ სმას გადააჩვია.

## ბრიგადა და ბრიგადირი

ლილოს რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნის დირექტორად აგერ უკვე მეხუთე წელია მუშაობს ახალგაზრდა, მაგრამ საკმაოდ გამოცდილი, ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული ინჟინერი გურამ ბახტაძე.

გურამს რომ ვესაუბრებოდით, პასუხებს მოკლედ სჭრიდა, თუმცა სხვანაირად არც შეეძლო, რადგან მალი-მალ ტელეფონი რეკდა, თანაც კაბინეტში ხან ვინ შემოვიდა, ხან ვინ. რალას არ ეკითხებოდნენ, რალას არ სთხოვდნენ. მაოცებდა ამ კაცის სიმკვირცხლე, სიხალისე, საქმის დიდი ცოდნა, მახვილგონიერება, ამა თუ იმ ტექნიკურ საკითხში სწრაფად გარკვევის უნარი. თან ცოტა იუმორის ნიჭითაცაა დაჯილდოებული და, ვინც არ უნდა შემოსულიყო, როგორ შუბლშეკრულიც არ უნდა ყოფილიყო, კაბინეტიდან კმაყოფილი და გაღიმებული გადიოდა.

ხომ ვთქვი, ჩემს კითხვაზე პასუხს მოკლედ სჭრიდა, მაგრამ როცა იმით დავინტერესდი ქარხანამ მეცხრე ხუთწლედი როგორ დაამთავრა, ჩემკენ მოიწია, თვალები გაუბრწყინდა და დიდი სიამაყის გრძნობით განაცხადა:

— ქარხნის კოლექტივმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა მეცხრე ხუთწლედით გათვალისწინებული გეგმა. გასული წლის მეოთხე კვარტალის შედეგების მიხედვით ქარხანას გადაეცა საკავშირო სასოფლო მშენებლობის სამინისტროს გარდამავალი დროშა. ამასთანავე, მოვიპოვეთ საქარხნო რაიონის პარტიის რაიკომისა და რაიაღმასკომის გარდამავალი დროშა. ასევე ჩვენმა ახალგაზრდებმა დაისაკუთრეს კომკავშირის რაიკომის გარდამავალი დროშა. მრავალი მუშა-მოსამსახურე დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით. და რაც ფრიად საყურადღებოა, ჩვენს მოწინავე ბრიგადირს ფარნაოზ თურქიშვილს, ადრე ლენინის ორდენით რომ იყო დაჯილდოვებული, სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა. ბუნებრივია, ეს ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს ფრიად გვეამაყება, მაგრამ ამასთანავე უფრო დიდ პასუხისმგებლობის წინაშე გვაყენებს!

ამ საუბარში ვიყავით, რომ კარები გაიღო და ოთახში ფარნაოზ თურქიშვილი შემოვიდა, იგი ორი დღის წინ გავიცანი, მთელი დღე მასთან გავატარე და ახლა ძველი მეგობარივით გამიღიმა და თავისი მსხვილი, დაკოჟრებული ხელი მაგრად ჩამომართვა.

რაკი რამდენიმე საკითხი დასაზუსტებელი მქონდა, ვთხოვე, სკამზე დაბრძანდი, მინდა თქვენი ბრიგადის წევრების შრომით საქმიანობაზე ზოგი რამ ჩავიწერო-მეთქი.

ფარნაოზი ჩაფიქრდა, თითქოს გულში რაღაცას სწყვეტდა, და ვერ გადაეწყვიტა, ბოლოს კი მორიდებით მითხრა:

— იცით რა, ბრიგადაში წამობრძანდით, ყველაფერს საკუთარი თვალით ნახავთ, ჩვენი ბიჭების შრომას უკეთ გაეცნობით.

გარეთ რომ გავედით, ფარნაოზმა მანქანაში ჩაჯდომა მთხოვა, ბრიგადა ქარხნის ვეებერთელა ტერიტორიაზეა გაშლილი, მის დასათვალიერებლად დიდი დროა საჭირო, თქვენ კი, ალბათ, გეჩქარებათო.

არსადაც არ მეჩქარება, მივუგე. ფეხით წავიდეთ, ყველაფერს უფრო უკეთ ვნახავ მეთქი.

ქარხნის ვრცელ ტერიტორიაზე, საითაც არ უნდა გაიხედოთ, დაინახავთ რკინა-ბეტონის ნაკეთობათა მთებს. თვალში გეცემათ შენობების გადასახურავი ვეებერთელა ფილები, რკინა-ბეტონის სვეტები, კოჭები, კიბის საფეხურები, აივნის ბლოკები... პირამიდებივით აღმართულან ელევატორების უშველებელი ძაბრები.

ფართო საამქროში დაგა-დუგი გაუდით რკინის საჭიმ და საჭრელ დანადგარებს.

საამქროში შესვლისთანავე ფარნაოზს სიმკვირცხლე მოემატა, გახალისდა მის გამჭრიახ, გამოცდილ თვალს არაფერი რჩებოდა შეუმჩნეველი. მითითებებს აძლევდა დანადგარზე მომუშავე ოსტატებს, მეარმატურეებს, რომლებიც უმალ ასწორებდნენ ამა თუ იმ დეფექტს!

გაოცებული ვიყავი, ნეტავი ეს დალოცვილი თვალის ერთი გადავლებით როგორ ამჩნევს ამა თუ იმ ნაკლსა თუ ხინჯს მეთქი.

საამქროში მყოფი ქარხნის მთავარი ინჟინერი გურამ გრძელიძე, თითქოს მიხვდა ჩემი გაოცების მიზეზს, გამიცალკევა და ამაყად მითხრა:

— ფარნაოზ თურქიშვილი თავის საქმის პროფესორია. კარგი ინჟინერივით შეუძლია გაარჩიოს რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ნახაზები. ეს კიდევ არაფერი — რომ იცოდეთ, ფარნაოზი გამომგონებელიცაა. მისი არაერთი ნოვატორული წინადადება წარმოებაშია დანერგილი! რაღა შორს წავიდეთ! აი, ეს საჭიმსაჭრელი დანადგარი 1958 წელს მივიღეთ. ურიგო მანქანა როდია, მაგრამ ერთი ნაკლი ჰქონდა: მუშაობის პროცესში რკინის ნაჭრებს მოხლეტით განზე ისროდა. ეს კი მუშაობას მნიშვნელოვნად აფერხებდა, ამასთანავე დანადგარზე მომსახურე პერსონალისათვის სახიფათო იყო. ფარნაოზ თურქიშვილმა დანადგარისათვის ახალი ხრახნსაჭრელი გააკეთა, რითაც შესძლო ამ დეფექტის აღმოფხვრა.

ფარნაოზ თურქიშვილმა ეს ამბავი ქარხანას აცნობა, რომლის საკონსტრუქტორო ბიურომ მიიღო მისი წინადადება და წარმოებაში დანერგა. ფარნაოზ თურქიშვილი კი ამ მნიშვნელოვან ნოვატორული წინადადებისათვის საპატიო სიგელითა და ფულადი პრემიით დაჯილდოვდა.

მთელი საამქრო შემოვიარეთ, ყველგან შევჩერდით, ყველას გამოველაპარაკეთ.

სიყვარულით, მოკრძალებით შესცქეროდნენ ჭაბუკებიცა და ხანდაზმული მუშებიც საყვარელ ბრიგადირს. ისინი მასში ხედავენ უფროსს, მოსიყვარულებ, მზრუნველ ამხანაგს, გამოცდილ, საქმის მცოდნე ხელმძღვანელს.

## ბეჯითი, გამრჯე მუშები

უბის წიგნაკი ხელში მეჭირა, ფანქარი მომარჯვებული მქონდა და ნახულსა და გაგონილს მოკლედ ვიწერდი.

ფარნაოზი მალი-მალ ჩემს ბლოკნოტში იხედებოდა, იმის გაგება ეწადა, რას ვიწერდი და რას არა.

მისი საქციელი, ცოტა არ იყოს, მეუცნაურა, ნეტავი ასე რამ დააინტერესა, ეს კაი კაცი, რასაც მეუბნება იმას ვნუსხავ, სხვა რა უნდა ჩავიწერო მეთქი.

მინდოდა მისი ცნობისმოყვარეობა დამეკმაყოფილებინა და გაშლილ ბლოკნოტს არ ვარიდებდი, წაკითხვის შესაძლებლობას ვაძლევდი.

ფარნაოზმა რამდენიმეჯერ თვალი გადაავლო ჩემს ნაწერს, და ერთბაშად გულმოსული კაცივით მომახალა:

—მაპატიეთ, კადნიერებად არ ჩამითვალოთ. ჯერ ერთი, სწორად არ ჩაგიწერიათ, მე კი არა, ბრიგადის წევრები ასრულებენ გეგმას 200-220 პროცენტით. თანაც რა სულ ჩემს შესახებ სწერთ?! ბრიგადა მე კი არა, ესენი არიან! — და ხელი მუშებისაკენ გაიშვირა. — უჩემოდ ბრიგადა მაინც ბრიგადაა, მე კი უამათოდ არაფერს წარმოვადგენ. ამიტომ გთხოვთ, რაც შეიძლება მუშებზე გაამახვილოთ ყურადღება! მართლაც, რა დაშავდება, დაწერეთ, ამათზე, ერთიერთმანეთზე უკეთესი, ბეჯითი, გამრჯე მუშები არიან, ნამდვილად ქებასა და სიყვარულს იმსახურებენ.

გრძელ საამქროს გავყევით. მუშები მშვიდად განაგრძობდნენ მუშაობას, ფარნაოზი ზოგიერთ მათგანს შენიშვნებს, მითითებებს აძლევდა, ლაპარაკობდა საქმის ცოდნით, რწმენით, დამაჯერებლად.

— აი, ეს ვაჟკაცი! — ბრიგადირი ხელით მაჩვენებს, შუახანს გადაცილებულ მაგარი აგებულების მუშაზე — საუცხოვო მეარმატურე შოთა მაჭავარიანია. დალოცვილი მარჯვენა აქვს. ეს რომ არმატურას შეკრავს, იოტის ოდენა წუნს ვერ უპოვი. ქარხნის დაარსების პირველდღიდანვე აქ მუშაობს. ყოველდღიურ გეგმას ორმაგად ასრულებს. თვეში ოთხასამდე მანეთს ხელფასს იღებს.

ერთი სიტყვით, ნამდვილი მუშაკაცია და უკეთილშობილესი, გულისხმიერი, საამხანაგო ადამიანიცაა. მშვენიერი ცოლ-შვილი ჰყავს და ცხოვრობს ბედნიერად.

ფარნაოზი მუშებს სათითაოდ აცქერდება, თითქოს ვერ გადაუწყვეტია, რომელზე შეჩერდეს. ბოლოს კი, თითქოს რაღაც გაახსენდაო, ერთბაშად მეუბნება:

— აი, ეს მებეტონეები კი მამა-შვილი ვაჟა და ოთარ გუგუნაშვილები არიან. მამა კაი ხანია ჩვენთან მუშაობს, ბეჯითი, გამრჯე მუშაა, ყოველდღიურ გეგმებს ესეც თითქმის ორმაგად ასრულებს. ვაჟმა გასულ წელს, საშუალო სკოლა დაამთავრა თუ არა, ქარხანაში დაიწყო მუშაობა. თურმე მომდევნო ბიჭიც ყელყელაობს, ამბობს, სკოლას დავამთავრებ თუ არა, მეც ქარხანაში უნდა ვიმუშაოო. რა ვქნა, რაკი მოწადინებულია, იყოს ნება მისი, შრომა საძრახისი როდია, პირიქით, აკეთილშობილებს, ალამაზებს ადამიანსო, ამბობს ვაჟა გუგუნაშვილი, ტყუილად კი არ ამბობენ, კვიცი გვარზე ხტისო.

ოდითგანვე ჩემი წინაპრები მუშა ხალხი იყო, და ჩვენც მუშები ვიქნებით! ეტყობა ასეთია ჩვენი მოდგმაო.

— აგერ ის ჭაბუკი! მებეტონე ოთარ იორამაშვილია. — განაგრძობს ბრიგადირი და ხან ჩემს ბლოკნოტს ჩასცქერის, ხან მე მაცქერდება, რითაც ეტყობა იმის თქმა უნდა, ჩაიწერე, ესეც კარგი ბიჭიაო.

უარს არ ვამბობდი, მაგრამ წიგნაკშიც არაფერს ვიწერდი.

ბრიგადირი კი დაჟინებით მომჩერებოდა, ვატყობდი, რომ უკმაყოფილო იყო, მის ნათქვამს რომ არ ვითვალისწინებდი; ამიტომ მე ვუთხარი.

— ერთი ახალგაზრდა მუშაც საკმარისია... ესეც რომ არა, თქვენზე მაქვს დავალებული დავწერო ნარკვევი...

— იცი რა გითხრა, ჩემო ძმაო, მე ისიც მეყოფა, რომ შრომის გმირის წოდება მომანიჭეს. რესპუბლიკურმა და, ასე გასინჯეთ, საკავშირო გაზეთებმაც ჩემი სურათები დაბეჭდეს, ჩემს შესახებ წერილები გამოაქვეყნეს, საკმარისია, სულ ჩემზე ხომ არ უნდა იწერებოდეს! რახან სიტყვამ მოიტანა, არ შემიძლია ერთ ამბავზე არ შევჩერდე. ამასწინათ ქუთაისის ავტომშენებლებზე ნარკვევი წავიკითხე. ჩამომსხმელი საამქროს უფროსი ზურაბ კლდიაშვილი სამართლიან უკმაყოფილებას გამოსთქვამდა, რას ჰგავს ეს, აიჩემებთ ერთ-ორ მუშას, ან რომელიმე ბრიგადირს და ყველგან იმათზე წერთ, სურათებს ბეჭდავთ, მალიმალ ტელევიზორშიც გამოგყავთო. ეთერშიც იმათზე ლაპარაკობთო. ყველაფერს იმათ მიაწერთ, ახალი ცხოვრების მშენებლებად, სასწაულმოქმედებად აცხადებთ! მართლაც რას ჰგავს ეს! ერთეულები მაინც ერთეულები არიან. როგორი თავგამოდებითაც არ უნდა იმუშაონ, მთელი კოლექტივის გარეშე ვერაფერს გახდებიან, წარმოების საქმეს წინ ვერ წასწევენ. ათასეულები ჰქმნიან დოვლათს, აშენებენ ახალ ცხოვრებას, და ამიტომ ყველაზე უნდა ვწეროთ, ყველას შესახებ უნდა მოვუთხროთ ხალხს!

ფარნაოზი ცნობისმოყვარეობით დამაცქერდა, თითქოს ჩემს სახეზე იმის ამოკითხვას ლამობდა, სწორედ ვმსჯელობ თუ არაო. რაკი პასუხი შევუგვიანე, მორიდებით შემეკითხა:

— რატომ არაფერს მეუბნები? იქნებ ვცდები, სიმართლეს არ ვლაპარაკობ?

— როგორ გეკადრება, მართალი ხარ! — ვუპასუხე მე.

— რახან ასეა, მაშ ჩაწერე! — წახალისდა ბრიგადირი — დიახ, ეს ყმაწვილკაცი მებეტონე ოთარ იორამაშვილია! ენერგიული, მოწადინებული, საქმის ერთგული მუშაა. მართლაც ოქროს მარჯვენა აქვს, საქმეში არავის უდებს ტოლს!

ფარნაოზი დინჯად, აუჩქარებლად ლაპარაკობდა, უფრო სწორად მკარნახობდა და ცალი თვალი გამუდმებით ბლოკნოტისაკენ ეჭირა. მოვრჩი თუ არა, წერას, განაგრძო:

— აი-აი-აი, კინაღამ გურამ გიუნაშვილი არ დამავიწყდა! რაღა დღეს გავგზავნე ქვიშის მოსატანად?! ყოველმხრივ უნაკლო, საქმის მცოდნე, დაუზარელი ადამიანია. გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს. რა საქმეც არ უნდა მიუჩინო, ყველაფერს სიფაქიზით, მონდომებით აკეთებს!

ამხანაგები უყვარს, პატივს სცემს. ახალგაზრდა მუშებს ეხმარება, გამოცდილებას უზიარებს, და თვითონაც ყველასაგან პატივცემული და დაფასებულია!

ფარნაოზ თურქიშვილს რომ გამოვემშვიდობე, ქარხნის დირექტორი ვინახულე. მოკლედ ვუამბე ყველაფერი, რაც ვნახე და შევიტყე — ფარნაოზ თურქიშვილზე, მისი ბრიგადის წევრებზე, მათ შრომასა და ცხოვრებაზე. და ბოლოს ვკითხე:

— ამხანაგო გურამ, იქნებ რაიმე გამოგვრჩა მნიშვნელოვანი, გთხოვთ მირჩიოთ სხვა რაზე გავამახვილოთ ყურადღება?

დირექტორი ერთ წუთს ჩაფიქრდა, თითქოს რაღაცას იხსენებსო, მერე კი თქვა:

— ფარნაოზ თურქიშვილს, რაც ბრიგადის წევრებზე უთქვამს, ყოველივე ეს ითქმის პირადად მასზეც! ეს კაცი შრომისთვის არის გაჩენილი ქვეყანაზე. მასაც საყვარელი საქმის კეთება უსაზღვრო სიხარულს, ბედნიერებას ანიჭებს. ამასთანავე მინდა ერთ გარემოებასაც მივაქციოთ თქვენი ყურადღება: ვგონებ ეს უმნიშვნელო არ უნდა იყოს: ფარნაოზი მარტო ბრიგადირი, მუშების ხელმძღვანელი კი არა, რკინა-ბეტონის ნაკეთობათა დიდი სპეციალისტიცაა. გასულ წელს მახარაძეში რკინა-ბეტონის ქარხანა აშენდა. ქარხნის გაშვებისას ფარნაოზ თურქიშვილი მივლინებული იქნა მახარაძეში. მახარაძელი ამხანაგები დიდად კმაყოფილი დარჩნენ ფარნაოზ თურქიშვილისა, რომელმაც ქარხნის მუშებს, ბრიგადირებს წლობით შეძენილი ცოდნა, დიდი გამოცდილება გაუზიარა. მისი ხელმძღვანელობითა და დახმარებით მახარაძელმა მუშებმა რკინა-ბეტონის ნაკეთობები სწრაფად, შეუფერხებლივ დაამზადეს, მთელი პროცესი ლაღი ნაკადულივით წავიდა, დაუბრკოლებლივ, შეუნელებლად.

რკინა-ბეტონის ქარხანა აშენდა იორზეც.

ქარხნის დირექციამ 55 ახალგაზრდა მუშა მოავლინა ჩვენს წარმოებაში, რათა ესწავლათ, დაუფლებოდნენ რკინა-ბეტონის ნაკეთობათა დამზადების რთულ, ძნელად ასათვისებელ პროცესს. ჩვენმა ინჟინერ-ტექნიკოსებმა მათთვის მოაწყეს ლექციები, საუბრები. პრაქტიკულ მეცადინეობებს კი ფარნაოზ თურქიშვილს ემადლიერებოდნენ, უბრალოდ, გასაგე-

ბი ენით გველაპარაკებოდა, ყველაფერს პრაქტიკულად გვიჩვენებდა, მისაწვდომსა და გასაგებს ხდიდა.

ფარნაოზ თურქიშვილს სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება რომ მიანიჭეს, მრავალმა ნათესავმა, მეგობარმა გამოუგზავნა დეპეშა. ისინი მაღალ ჯილდოს ულოცავენ, ჯანმრთელობას, ბედნიერებას უსურვებენ სახელგანთქმულ მშენებელ-ბრიგადირს.

ასეთივე არაერთი მისალოცი დეპეშა, წერილი გამოუგზავნეს მისმა ბრიგადის ყოფილმა წევრებმა, ახლა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მშენებლობებზე და ქარხნებში რომ მუშაობენ. ასეთი დეპეშა და წერილი ბევრია. მათი ჩამოთვლაც კი დიდ დროს მოითხოვს. მხოლოდ ერთ მათგანზე შევჩერდებით, ბრიგადის ყოფილმა წევრებმა რომ გამოუგზავნეს:

„ძვირფასო ფარნაოზ! ჩვენო უფროსო ძმაო, თქვენ შეგვაყვარეთ კალატოზის პროფესია. თქვენში დავინახეთ მშრომელი კაცის საქმიანობის მთელი სილამაზე. აი, ახლა, როცა ჩვენ თვითონ კალატოზები, ბრიგადირები ვართ, ყველაფერში შენ გბაძავთ, ვცდილობთ შენსავით გულმოდგინედ ვაშენოთ საცხოვრებელი ბინები, სკოლები, საავადმყოფოები. გვინდა ვიყოთ მუშებისადმი შენებრ ალერსიანი და მზრუნველი, მაგრამ ამასთანავე მკაცრი მომთხოვნი და სამართლიანი. მაშინაც კი, როცა რაიმე სიძნელეს შევხვდებით, უმალ ფიქრით თქვენსკენ მოვისწრაფით, და ვეკითხებით ჩვენს თავს, ასეთ შემთხვევაში თქვენ როგორ მოიქცეოდით, რა გადაწყვეტილებას მიიღებდით. დღესაც გვახსოვს თქვენი რჩევა-დარიგება, მზრუნველობა, მხარდაჭერა. თქვენ მართლა ღირსი ხართ გმირობისა, დიდი ჯილდო კეთილშობილური და თავდადებული შრომით დაიმსახურეთ!“

დიახ, ფარნაოზ თურქიშვილს შემთხვევით როდი მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება. ეს დიდი ჯილდო მან ხანგრძლივი და მძიმე შრომით დაიმსახურა.

ამიტომაც მოწონებით, აღტაცებით შეხვდნენ ლილოს № 2 რკინაბეტონის ქარხნის მუშამოსამსახურენი ფარნაოზ თურქიშვილისადმი სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების ამბავს.

კითხულობ მისალოც დეპეშებს, წერილებს, ესაუბრები ბრიგადის წევრებს, ქარხნის მუშებს და რწმუნდები, თუ რა გულწრფელად, სათუთად უყვართ ფარნაოზ თურქიშვილი ამხანაგებს, თანასოფლელებს, ყველას — ვინც კი იცნობს ამ ყოველმხრივ შემკულ, ლამაზი სულის მუშაკაცს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი პაპუაშვილი

# მარტყოფელი მეცხოველეები

„იყო რევოლუციონერი — დღეს ეს ჩვენთვის ნიშნავს გადაჭრით, სწორედ რევოლუციური გზით ვამსხვრიოთ დრომოჭმული წარმოდგენა თითქოს რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო განვითარებისათვის მეცხოველეობა სპეციფიკური არ იყოს. ეს ნიშნავს გადაჭრით, სწორედ რევოლუციური გზით მივაღწიოთ ამ დარგის მკვეთრ აღმავლობას და გავიდეთ მის ყველაზე მოწინავე მიჯნებზე“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის სექტემბრის პლენუმის მასალებიდან.

— დღეს რამდენ რძეს მოგვცემს შენი ბრიგადა?

— აბა, წინასწარ რა გავიგო? ეგ ძროხებზეა დამოკიდებული.

— როგორ? განა აქამდე არ იცი, თვითეული ფური რამდენს იწველის? ბრიგადირმა მხრები აიჩეჩა.

— შინ ხომ გყავს მეწველი პირუტყვი? — მოულოდნელად შეეკითხა დირექტორი.

— მყავს.

— ის, თუ იცი, რამდენს იწველის?

— ის კარგად ვიცი, მაგრამ მეურნეობისაზე ვერაფერს გეტყვი.

— რატომ?

— შინ ჩემი ცოლ-შვილი უვლის და აბა გაბედონ, დააკლონ რამე: ან მოამშიონ, და ან მოაწყურონ. ბოსელიც კარგადა მაქვს დათბუნებული და მეწველ საქონელს კი მეტი არაფერი უნდა.

— როგორ? განა მეურნეობის საქონელს ასევე არ უნდა მოუაროთ.

— აბა, რა ვიცი... ხან ასეა და ხან კიდევ ისე...

— მაშინ განცხადება დაწერე განთავისუფლებაზე. ბრიგადირად არ გამოდგები.

— ათი წელია ბრიგადირად ვმუშაობ და ასეთი ქართული არავის უკადრებია. ყველაზე მოწინავე ჩემი ბრიგადაა და მე თუ არ გამოვდგები...

— მოწინავე რომ არის, იმიტომ დაგიძახე. შენ კი...

— რა ჩემი ბრალია? ნათქვამია, როგორც დამიკრავ, ისე დაგიტრიალდებით. მომიტანთ საკვებს, მომიწყობთ კაი ბინებს და თავზე სალვრელად გვექნება რძე. არა და ჩემი მოხსნა ვერაფერს უშველის... განცხადება დაწერეო? განცხადების დაწერა ადვილია, მაგრამ საქმეა ძნელი.

— კარგი. ჩამოვალ და იქ ვილაპარაკოთ.

და მერე ასეთი საუბარი გაიმართა ბრიგადირსა და მწველავებს შორის ფერმაში:

— რაო, ახალმა დირექტორმა?

— რაო და დღეს რამდენ რძეს ჩამაბარებთო.

— რა უპასუხე?

— აბა, რა ვიცი-მეთქი.

— კარგად გითქვამს. იმან რაღა გითხრა?

— ჩამოვალ და იქ ვილაპარაკოთო.

— ოჰო... ნეტავი რა უნდა გველაპარაკოს?

— ისეთს ვერას იტყვის, რაც დღემდე სხვებს არ უთქვამთ.

— ჰმ, მაგისთანები კი მოსულან დიდი ფახიფუხითა, მაგრამ ვერა გაუწყვიათ რა და ისევე უკან წაბრძანებულან.

— ეგეც ერთ ხანს იფართიფურთებს და მალევე გაჩუმდება. ახალი ცოცხი იმისია, რო კარგად დაგავოს.

ნაშუადღევს მართლა ჩავიდა დირექტორი

საძროხე ბინებზე და იქ კი რა ნახა: ცივი და მოუწყობელი ბინები, წუმპიანი ეზო-ყურე, აობებული ნამჯა და თივა, დამძაღებული სილოსი და ერთი სიტყვით, ისეთი უხარისხო საკვები, რომელსაც ძალიან დამშეული პირუტყვი თუ დასუნავდა.

„აი თურმე რაში ყოფილა საქმე, — გაიფიქრა დირექტორმა, — ასეთი მოვლა-პატრონობით რა რძე უნდა მისცეს ამ გაუბედურებულმა საქონელმა! ფურები იხოცებიანო? დაიხოცებიან, მაშ, რა დარდუბალა შეუდგებათ! თურქული და ბრუცელოზიაო? ეგეც რომ არ იყოს, მაინც დაიხოცებიან“.

ხმამაღლა კი ესლა იკითხა:

— ნეტავი როგორა სჭამენ ამ საჭმელს ეს საცოდავები?

— ნათქვამია, ღორის ქონმა და ჭიმურმა შვილები დამიმშიაო... — შუბლი გაეხსნა ბრიგადირს, რაკი იგრძნო, რომ დირექტორს ნირი წაუხდა, — ჩვენი საქმეც ესეა.

— რაო, რაო? — გამოფხიზლდა ფიქრში წასული დირექტორი.

— რაო და ერთ ახალგაზრდა ქვრივს დაუჩივლია უბანში, ღორის ქონმა და ჭიმურმა შვილები დამიმშიაო. მეორე, უფრო ხნიერ ქვრივს უკითხავს, კიდევა გაქვს ღორის ქონიო?... არაო. როგორც იყო, გავათავეო. აბა, მაშ, ახლა დაინახავ შვილების დამშევასაო. ეგ აობებული ნამჯაცა და დამძაღებული სილოსიც გათავების პირზეა და მაშინ დავინახავთ ჩვენი საქონლის დამშევას. თქვენ კიდევ მეკითხებით, დღეს რამდენ რძეს მოგვცემს შენი ბრიგადაო?

—ჭიმური როგორი საჭმელია? — მწარე ღიმილით იკითხა დირექტორმა.

— ჭიმური ღორის ქონში დაწითლებული პურია. ზედაც თუ კვერცხს მოასხამთ, ჭამით ვერ გასძღებით.

— აბა, მაშ, მსუყე საჭმელი უჭმევია იმ ქვრივს თავისი ბავშვებისთვის და რაღა აწუწუნებდა?

— უკეთესი უნდოდა იმ მამაცხონებულს, მაგრამ, რასაც აჭმევდა, ისიც გამოელია თურმე. ჰოდა, ჩვენც ესე არ მოგვივიდეს-მეთქი, იმისი მეშინია.

— გასაგებია, — ჩაილაპარაკა დირექტორმა, მანქანაში ჩაჯდა და უკან გაბრუნდა. გზაზე კი ერთადერთი სიტყვა აწვალებდა: საკვები, საკვები, საკვები... ჭიმურიო? სწორედ ჭიმურივით მსუყე საჭმელი უნდა ვაძლიოთ პირუტყვს, თუ გვინდა, რომ ბევრი მოიწველოს. მაგრამ ამ შუაზამთარში შოვნა არ უნდა? საკვებს ვინ მოგვცემს?

და მაშინ გაახსენდა სოფელი მოხე, ადიგენის რაიონში. ჯერ ისევ ახალგაზრდა იყო, როცა იქ მეურნეობის დირექტორად დანიშნეს. ბევრმა შეაშინა, თავს ვერ გაართმევო. თავადაც დაინახა, რომ მეურნეობა ძალიან ჩამორჩენილი იყო, მაგრამ არაფერს შეუშინდა. ენერგია დიდი ჰქონდა და იფიქრა, შეუძლებელს გავაკეთებო. დაიწყო მუშაობა და... აღმოჩნდა, რომ მართლა შეუძლებელი იყო ამ კოლექტივის წინწაწევა და კალაპოტში ჩაყენება. ერთ ღამეს იფიქრა, იფიქრა და... მეორე დილას რაიკომის პირველ მდივანთან შევიდა: სამუშაოდან გამათავისუფლეო.

ნაცადმა მდივანმა ყველაფერი უთქმელად გაიგო, დამამშვიდებლად გაიღიმა და დინჯად დაიწყო:

— შენ ახლა ადიდებული მდინარის შუაგულში დგეხარ, ჩემო ერთაოზ. თუ წინ წახვალ შეიძლება, გააღწიო როგორმე და დახრჩობას გადარჩე. თუ უკან გამობრუნდი, ნაღდი დახრჩობა გემუქრება. ჰოდა, აირჩიე, რომელიც გინდა! მე თუ მეკითხები, იმას გირჩევ, რომ მოდი, გარისკე და წინ წასვლა ამჯობინე. თუ გააღწიე როგორმე, ხომ კარგია და ქება-დიდებას დაიმსახურებ, თუ დაიხრჩვები და არავინ დაგცინებს: შეეშინდა და შიშმა დაახრჩოო. აბა, იფიქრე: სად ფრონტიდან გამოქცეული კაცის სიკვდილი, ზურგში რომ ტყვია წამოეწევა და სად კიდევ — ხმალამოწვდილი მეომრისა, ტყვიას რომ მკერდს უშვერს?!. დღეს უარს გეუბნები განთავისუფლებაზე. წადი და იფიქრე: თუ ჩემი სიტყვა ჭკუაში დაგიჯდეს, იმუშავე, თუ არა და დღეისწორს ისევ ამ მაგიდასთან ვიჯდები ჩემი ვარაუდით.

რაიკომიდან ღრმადდაფიქრებული გამობრუნდა და მთელი ორი თვე იქითკენ აღარ გაუხედავს, სანამ პლენუმზე არ გამოუძახეს. პლენუმზე კი აი, რა თქვა რაიკომის მდივანმა:

— ბოლოს და ბოლოს, კადრები წყვეტს ყველაფერს, ამხანაგებო. ერთაოზ ლილუაშვილი სულ რამდენიმე თვეა, რაც მოხეს საბჭოთა მეურნეობას სათავეში ჩაუდგა და ყველაფერს თავისი ხელი დაატყო. შეიძლება ითქვას რომ უკვე ფეხზე წამოაყენა.

მეტიც აღარ უნდოდა ახალგაზრდა კაცს. მას შემდეგ გაათკეცებული ენერგიით შეუდგა მუშაობას და საქმესაც დღითიდღე უკეთესობა დაეტყო. მერე უკვე მოწინავეთა რიგებში მოაქცია მეურნეობა... მარტყოფი რაღა აუღებელი ციხე-სიმაგრეა, იარაღი რომ ზედ შეალეწოს და ვერაფერს გახდეს? მაგრამ საკვები, საკვები, საკვები... იყიდოს? გაკოტრებულია. ცხრაასი ათას მანეთამდე ზარალი აქვს მეურნეობას და როგორ იყიდის? ღორის ქონმა და ჭიმურმაო... რა მწარე ანდაზა თქვა იმ კაიკაცმა. იქნებ ისესხოს? მაგრამ ვის რა გააჩნია ამ შუა ზამთარში? სჯობია, თავის ყოფილ მეურნეობასა სთხოვოს შემწეობა. მოლონივრდება და გადაუხდის. ზოგსაც სხვას დაესესხება და მერე თვითონ იცის, რაკი როგორმე გამოიზამთრებს. იმდენ თივასა და სილოსს დაამზადებს, რომ ორ წელიწადს ეყოს. დაამზადებს კი? ამ-

ბობენ, მარტყოფის მინდვრები მწირია და რუსეთში დადიანო ნამჯის შესაგროვებლად. რუსეთში წასვლას კი სახსრები უნდა. თვითღირებულებაც ერთიორად გაიზრდება. აი, თურმე რა იწვევს მეურნეობის ზარალს.

და მერე ამ საკითხზე ცალკე ითათბირა სპეციალისტებთან და გამოცდილ მეურნეებთან. კარგად შეარჩიეს ნაკვეთები მრავალწლიანი ბალახებისა და სიმინდისათვის. უნაკლოდ დაამუშავეს, სასუქი შეიტანეს, მორწყეს, მოუარეს და თურმე არც ისეთი მწირი ყოფილა მარტყოფის მიწა: აუარებელი მწვანე მასა მიიღეს იმავე წელიწადს. მწვანე მასამ კი თივაც კარგი იცის და სილოსიც, თუკი თავის დროზე გათიბავ და მოუვლი. პირუტყვის სადგომი ბინებიც კარგად მოაწყეს ზამთრის დამდეგამდე და უკვე ყოყმანს აღარ იწვევდა ასეთი შეკითხვა: დღეს რამდენ რძეს მიიღებს შენი ბრიგადაო.

— ჩემი ბრიგადა? ტონანახევარს. — პასუხობს ყინჩად ის ბრიგადირი, ვისაც წინა წელს ძალიან გაუკვირდა, წინასწარ როგორ უნდა გავიგო, ძროხები რამდენს მოიწველიანო.

— დაწერე და ხელი მოაწერე!

— როგორ? ხელწერილსა მთხოვთ?

— დიახ, ხელწერილს.

— რომ ვერ შევასრულო, მერე?

— ერთხელ არ შეასრულებ დაპირებულს, მეორედ, მესამედ და...

— გასაგებია... რაკი ესეა, ცოტა ხანს დამაცადეთ და ზუსტად ვიანგარიშებ. ხატულა ხან თვრამეტ ლიტრას იწველის და ხანაც — თექვსმეტსა. რომელი ციფრი ავიღო?

— როდის იწველის თვრამეტ ლიტრას?

— როცა არცა სცხელა და არცა სცივა. თანაც კიდევ ძღომისად იკვებება.

— ხაკვები ხომ გაქვთ?

— თავზე საყრელად.

— ბინები?

— ბინებიც დათბუნებული გვაქვს.

— აბა, მაშ, ხელს რა გვიშლის?

— არაფერი. თვრამეტ ლიტრას ავიღებ.

— თვრამეტი არ გინდა. თექვსმეტი იანგარიშე. თუ თვრამეტს მოწველი და გეგმას გადააჭარბებ, წლის ბოლოს პრემიას მოგცემთ.

— კაცი ვბერდები და პრემია არ გამიგია, როგორია. მარტო გაზეთებში წამიკითხავს, პრემიას აძლევენო. სინამდვილეში კი... საჩვენოდ პრემიას ვინ გახდის?

— შენ რასაც ივალდებულებ, პირი არ გატეხო და დაინახავ, თუ არ გახდიან.

— ამასაცა ვნახავთ. წაბლა თექვსმეტ ლიტრას იწველის დღეში.

— თხუთმეტი იანგარიშე!

— შენ აგაშენა ღმერთმა! ახლა მე თვითონ მოვახერხებ. ავგრე მივჯდები კუთხეში და...

— ახე უყავი... შენ რაღას იტყვი? — მიუბრუნდა მეორე ბრიგადირს.

— მეც ჩემთვის ვიანგარიშებ და მერე დაგიწერ.

ასე გააკეთა ფერმის ყველა ბრიგადირმა და ჯერი ახლა მებოსტნეებზე მიდგა.

— რამდენ კილოგრამ პამიდორს მოკრეფს დღეს შენი ბრიგადა? — შეეკითხა ყველაზე გამოცდილს.

— მაგისი თქმა ძნელია, უფროსო. განა პამიდორიც ძროხაა, ზუსტად ვიცოდე, რამდენს ჩამოიწველის.

— ძნელი არაფერი არ არის. ჯერ ის გაიხსენე, რამდენ ჰექტარზე უნდა დაკრიფო დღეს პამიდორი. მერე — ჰექტარზე რამდენი ძირი გიდგას, მერე თითო ძირზე რამდენს მოკრეფ და... მაგის გამოანგარიშებას რა უნდა. ლენინმა ხომ იცი, რა გვითხრა? ჩვენ, კომუნისტებმა ანგარიში უნდა ვისწავლოთო.

— მაინც ძნელია.

— ძნელი რატოა, კაცო? ერთ ძირზე ორ პამიდორს მოწყვეტ?

— ხამ-ოთხსაც მოვწყვეტ.

— სამი ავიღოთ. თითო პამიდორი ორმოცდაათი გრამი იქნება?

— ახიც ნუ გშურდეს.

— ნაკლებს ვიანგარიშოთ. თითო ძირიდან ორას გრამს ხომ მიიღებ.

— თავისუფლად.

— ათასი ძირიდან ორასი კილო დაიკრიფება?

— ეხე გამოდის.

— ახლა ის გაიხსენე, ჰექტარზე რამდენი ძირი პამიდორი გიდგას, რამდენ ჰექტარზე უნდა დაკრიფო და ყველაფერი ცხადი გახდება.

— კარგი. მეც ავგრე მივჯდები და ვიანგარიშებ.

მას შემდეგ აღარავის არ უკვირს ასეთი შეკითხვა:

— როგორ არის ხაქმე, დღეს რამდენ რძეს მიიღებს შენი ბრიგადა?

— ტონასა და შვიდასორმოცდაათს. — პასუხობს ზუსტი ციფრით.

— დაწერე და ხელი მოაწერე!

— დიდი სიამოვნებით. — ეთანხმება კმაყოფილი, რადგანაც დარწმუნებულია, რომ ნაკისრ ციფრს გადააჭარბებს.

— შენი ბრიგადა? — ეკითხება მეორეს.

— ტონასა და ექვსასოცდაათს.

— რამდენ პამიდორს მოკრეფავენ შენი ბრიგადის წევრები?

— ტონანახევარს.

— კომბოსტოს?

— ორ ტონას.

— სტაფილოს?

— ორას კილოგრამს.

— დამიწერე!

— კი, ბატონო!

საღამოთი კი შემოწმებაა. ზოგს ზუსტად შე-

უსრულებია წინასწარი ვარაუდი, უმეტესობას გადაუჭარბებია, მაგრამ შეინიშნებიან ისეთებიც, რომელთაც სიტყვა გაუტეხიათ, თუ კარგად ვერ დაუანგარიშებიათ და სხვა მონაცემები აღმოაჩნდათ. სამაგიეროდ მეორე დღისთვის ასრულებენ დათქმულ პირობას. ეს ადრე ხდებოდა, თორემ ახლა არავითარი შეკითხვა არ სჭირდებათ, თვითონვე წერენ, რაც შესაძლებლობა გააჩნიათ და დილის თათბირის დაწყებისთანავე ხელწერილს მაგიდაზე უდებენ დირექტორს. საღამოს დაანგარიშებით კი იმაზე მეტი აქვთ გაკეთებული, რამდენსაც მათი ხელწერილები ითვალისწინებდა.

სწორედ ასეთი, ერთი შეხედვით, „დაწვრილმანების“ შედეგია, რომ მარტყოფის მეურნეობაში ნიშანდობლივი გახდა გეგმიურობა და მომჭირნეობა. ამიტომაც გააკეთა რაღაც დაუჯერებელი ნახტომი და თითქმის სამჯერ გადააჭარბა ადრინდელ მაჩვენებლებს.

ჯერ კიდევ ახალი დირექტორი იყო ლილუაშვილი, როცა მეცხოველეებთან თათბირზე განაცხადა: — დადგება დრო, როცა პრემიებსაც მიიღებთ და რაიონულ გარდამავალ წითელ დროშასაც დავისაკუთრებთო. ასეთ გაბედულ განცხადებაზე ბევრს გაეღიმა, მაგრამ პირში შეკამათება ველარ გაუბედეს. ერთმა მათგანმა კი მეორე დღეს ასე გაანდო თავის მეგობრებს: ჩვენი საშველი არცა ყოფილა და არც იქნება. სხვა დირექტორებს თუ სხვა ნაკლი ჰქონდათ, ეს კიდევ გიჟი ყოფილა. რატომ? იმიტომ, რომ მეურნეობას რვაასი ათასი მანეთი ზარალი აქვს და გარდამავალ დროშაზე გველაპარაკება. რვაასი ათასი ძველ ფულზე რვა მილიონია, ხუმრობა ხომ არ არის!

და როცა ხანი გავიდა, აღმოჩნდა, რომ მართლა შესაძლებელი ყოფილა გარდამავალი დროშის დასაკუთრებაც და პრემიების მიღებაც. მარტო ფულადი პრემია კი არა, ხბორებიც გადაეცათ აქაურ მეცხოველეებს. ირონიული ღიმილი ყველას წაეშალა სახეზე და უკვე სერიოზულად დაიწყეს მსჯელობა.

— ესეც მე ვარ? — დირექტორმა გაზეთი გაშალა, რომელშიც სექტემბრის პლენუმის მასალები იყო დაბეჭდილი, — მოუსმინეთ: „არიან ისეთი ურწმუნონიც, სკეპტიკოსები, რომლებსაც ჰგონიათ, თითქოს საქართველოში არ იყოს საკმაო პირობები მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრი გადიდებისათვის“. თქვენც ხომ ასე ფიქრობდით და რადა შორს წავიდეთ. აბა, კიდევ მოუსმინეთ: საქართველო უნდა დარჩეს და დარჩება კიდეც მეჩაიეობის რესპუბლიკად, მევენახეობის, მეხილეობისა და სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების რესპუბლიკად, მაგრამ ამასთანავე, საქართველო ხდება და უეჭველად გახდება კიდეც თანამედროვე მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკა“.

— საკვები, საკვები? — შენიშნა ვილაცამ.

— სწორედ საკვებზეა აქ ლაპარაკი. ხუთი პრობლემაა აქ გადასაჭრელი და მათ შორის პირველ რიგში საკვები ბაზაა დასახელებული. ჩვენ ეს საკითხი დიდი ხანია გადავჭერით და ყოველწლიურად ორი წლის საკვებს ვამზადებთ.

— სხვა რა პრობლემებია?

— სულადობის ზრდა. ეს პრობლემაც თითქმის გადაჭრილი გვაქვს. ჯიშთსაშენე საქმე, პირუტყვის ვეტერინარული მომსახურების პრობლემა... აი, სადა ვართ წაბორძიკებული. დღემდე ვერა და ვერ ჩამოვიშორეთ ეს რაღაც ბრუცელოზი. ფაქტიურად ეს ერთი პრობლემა გვაქვს გადასაჭრელი და ძალ-ღონე არ უნდა დავიშუროთ.

პლენუმის მასალები თვითეულ მწველავს, თვითეულ მეცხოველეს გააცნეს და ახალი პერსპექტივა გადაიშალა მათ წინაშე. 1975 წლის დასაწყისში მათ მოწოდებით მიმართეს ჩვენი რესპუბლიკის მეცხოველეებს, რათა ორი თვის გეგმა საქართველოს კომპარტიის ოცდამეხუთე ყრილობის გახსნის დღისთვის შეესრულებინათ, ხოლო პირველი კვარტლის გეგმა — სკკპ ოცდამეხუთე ყრილობის გახსნის დღისათვის. მარტყოფელმა მეცხოველეებმა სიტყვა საქმედ აქციეს და ნაკისრი ვალდებულება გადაჭარბებით შეასრულეს.

ჩვენ ახლა მეურნეობის კომპლექსურ ფერმაში ვართ. სადილიო წველის დამთავრების შემდეგ მეცხოველეები წითელ კუთხეში შეკრებილან და მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივან პეტრე შოშიაშვილთან საუბრობენ საჭირბოროტო საკითხებზე. აი ის, შუახნის კაცი, საქმიანი გამომეტყველება რომ არ სცილდება სახეზე, მწველავი გიგლა ზინდრიშვილია. ოც წელზე მეტია, მეცხოველეობაში მუშაობს და ამ დარგის ყველა საიდუმლოება კარგად გაეგება. ამიტომ იყო, რომ გასულ წელს რვა ტონით მეტი რძე ჩამოწველა თავისზე გაპიროვნებული ძროხების ჯგუფიდან, ვიდრე ამას გეგმა ითვალისწინებდა. ხბორებიც უნაკლოდ შეინარჩუნა, რისთვისაც მეურნეობის ხელმძღვანელობამ ფული და ერთი ხბო მისცა პრემიად.

არც ლადო ფრეწუაშვილსა აქვს ნაკლები გამოცდილება. მასაც ოცი წელი გაუხდა, რაც აქ მუშაობს. მის ანგარიშზე ექვსი ტონა ზეგეგმითი რძე იყო გასულ წელს. რაც შეეხება, ხბოსა და ფულად პრემიას, ეს უკვე თითქმის ყველა მეცხოველის წილხვედრია. თუ 1974 წელს თორმეტი ხბო გაიცა მეურნეობაში, გასულ წელს 24 დარიგდა. იქნებ იკითხოთ, მეურნეობას რაღა რჩება, ამდენს რომ არიგებს საჩუქრადო? ოცდაოთხით იმაზე მეტი ხბო დარჩა, რამდენსაც გეგმა ითვალისწინებდა. აქ ასე იციან: გეგმის ზემოთ თუ ორ ხბოს გამოზრდის მე-

ცხოველე, ერთი მისია და ერთი მეურნეობისა. ამიტომ არიან დაინტერესებულნი საერთო საქმის წარმატებით.

აქ ერთი საინტერესო კაცი ზის კიდევ, მიხეილ ლორიაშვილი. ნაპატიმრალია ეს კაცი. სიტყვა ნაპატიმრალი ნუ შეგაკრთობთ, ნურც ის გაგაკვირვებთ თუ გეტყვით, რომ პატიმრობა მას იმიტომ შეხვდა, რომ გულუბრყვილო და დამჯერე კაცია. მოწინავე მშრომელად ითვლებოდა და არა ერთი ჯილდო დაუმსახურებია. მერე ასეთი ამბავი მოხდა. ოცდახუთი ხბო მოუკვდა მეურნეობას. მეურნეობის მაშინდელმა დირექციამ ურჩია — განგაშს ნუ ატეხ (მეხბორე იყო მაშინ ლორიაშვილი) და საახალწლოდ ჩამოგაწერთო. რატომ საახალწლოდ? სულადობის გეგმაში ჩაეთვლებოდა მეურნეობას მკვდარი ხბორები. დაუჯერა ხელმძღვანელებს და მართლა გაჩუმდა. ამასობაში კი რევიზია დაესხა ახალი წლის დადგომამდე და მთლიანად ლორიაშვილს დააწერეს ეს დანაკლისი, სასამართლოზე გაიყვანეს, ხბორების ანაზღაურებაც დააკისრეს და თავისუფლების აღკვეთაც მიუსაჯეს. სინამდვილეში კი მას არავითარი დანაშაული არ მიუძღოდა. ხბორები ცუდი მოვლით კი არ დაიხოცნენ, ცუდმა ვეტერინარულმა მომსახურებამ დახოცა. დაბალ ლობედ კ. ლორიაშვილი გამოიყენეს. აბა, მაშ, ხელმძღვანელ ამხანაგებს ხომ არ გაიყვანდნენ სასამართლოზე?

ეს კაცი რომ უაღრესად შრომისმოყვარეა, ამას ახლანდელი დირექციაც ადასტურებს და მისი დღევანდელი საქმეც ლაღადებს. გასულ წელს 38 ტონა რძე უნდა ჩამოეწველა მასზე გაპირობებული ძროხების ჯგუფიდან, მაგრამ 54 ტონა ჩამოწველა. ახალი ხუთწლედის პირველ წელიწადს კი 70 ტონა რძის მიღება ივალდებულა. ეს მაჩვენებელი ყველა მაჩვენებელს აღემატება არა მარტო მეურნეობაში, არამედ მთელ რაიონში, უმწიკვლოა ლორიაშვილის განვლილი გზა, ომშიც ვაჟკაცურად იბრძოდა, მეურნეობაშიც კარგად მუშაობდა, მაგრამ სახელი უხეირო თავკაცებმა შეუბღალეს. მართალია, უკვე განვლილი ამბავია, მაგრამ ის ამბავი ხიწვად ჩარჩენია გულში. ამ უსიამოვნო ფაქტს პარტიის რიგებიდან გარიცხვაც დაემატა და ადვილად წარმოიდგენთ ამ კაცის სულიერ განწყობილებას. თუმცა პარტკომის მდივანს სავსებით შესაძლებლად მიაჩნია პარტიაში მისი ხელახლა მიღება.

ცხოვრების მძიმე და გრძელი გზა გაუვლია მეხბორე ვასილ ხახაშვილს. ობლობაში გაუტარებია ბავშვობა. წამოზრდილა და ცხვარში გაუგზავნიათ მწყემსად. მერე ომში გაუწვევიათ და აქ მოხდა, რაც მოხდა.

— ბუდაპეშტის მიმართულებით ვიბრძოდით, — გვიყვება მისივე თანასოფლელი და თანამებრძოლი ლუკა ითარაშვილი, — გერმანელთა მთელი ბატალიონი უტევდა ჩვენს ოცეულს. ძალლონე გამოგველია და სხვა გზა აღარ იყო, უკან უნდა დაგვეხია. მეთაურმა გვიბრძანა კიდეც უკანდახევა, მაგრამ ვასო თავის ტყვიამფრქვევთან ჩაწოლილიყო და ფეხს არ იცვლიდა. უბრძანეს კიდეც, ვეხვეწენით კიდეც, მაგრამ არაფერმა არ გასჭრა. წამოვედით. უეცრად ვასოს ტყვიამფრქვევის კაკანი შემოგვესმა. თურმე მტერმა რომ გადმოუარა, გაუხსნა ცეცხლი უკანიდან და სულ მუსრი გაავლო. ჩვენც მიუბრუნდით და.. იქიდან გასოს ტყვიამფრქვევი, აქედან ჩვენა და მტრის ბატალიონი თითქმის მთლიანად გავანადგურეთ. პირველად სწორედ მაშინ მიიღო ვასომ სტალინის მადლობა.

რა ბევრნი არიან მარტყოფში კარგები და რა ცოტა ჩამოვთვალე! როგორ შეიძლება, მათი სახელი და გვარი მაინც რომ არ გაგაცნოთ. აი, თუნდაც რაისაბჭოს დეპუტატი და რაიკომის წევრი იულია ხახიაშვილი, რომელიც ამჟამად 110 ხბოს უვლის და დღემდე კი ათასობით ხბო გაუზრდია. სასახელოდ შრომობენ ანტონ ზინდრიშვილი, თენგიზ რაზმაძე, ასიკო ხახიაშვილი, თამაზ ფერაშვილი, ანტონ ბეჟანიშვილი, ნიკოლოზ შოშიაშვილი, შოთა თურქიშვილი, მარიამ ჯამასპიშვილი, ლამარა ფურცელაძე, ზინა ივანაშვილი, შურა და ვინელი ჩიტრეკაშვილები, იულია გიგაური და ერთი სიტყვით, ყველა ისინი, რომლებმაც გასულ წლებში ზედიზედ დაიმსახურეს პრემიები და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის სამკერდე ნიშნები.

სამოცდაათ წელს გადასცილებია ანტონ ეპიტაშვილი, მაგრამ არაფერს უჩივის. მკლავმუხლიც ერჩის, გულიც ხალისობს და ლექსებში კი, თვითონ რომ ლექსებს თხზავს, არც თუ იშვიათად გაურევს ხოლმე სატრფიალო სტრიქონებს. მოდით და ამისთანა კაცს სიბერე უხსენეთ. აი, მის მიერ მარტყოფზე ნათქვამი სიმღერა როგორია:

უნდა გიმღერო, იალნოვ,
ლექსი არ დაგიგვიანო,
დიდი მარტყოფის მშობელო,
ლალიან-ბარაქიანო,
ზაფხულში ათასფერადო,
ზამთარს — თეთრქათიბიანო,
რა ლამაზი ხარ საცქერლად
დაბლა ტყევ, მაღლა მთიანო,
გამკობენ მწვანე ველები,
ლენინის შუქით მზიანობ,
შენი გაზრდილი ირმები
ხუთ საქენზედა ხტიანო,
ეფარებიან შენს კალთებს,
პატარა ნუკრებს ზრდიანო,
გულში ჩაგიკრავს თეთრი კლდე,
ცივი წყარონი სდიანო,
იმით დაზრდილი შვილები

სამშობლოს უმღერიანო,
შრომობენ დაუღალავად,
მდუღარე ოფლსა ღვრიანო,
ერთის გზით, ყველა ერთის ხმით
სამშობლოს დოვლათს ქმნიანო“.

ამ ლექსის მთქმელი, ცხადია, ჯერ არ ფიქრობს სიბერეზე და მოხუცობას როგორ ვუხსენებ? თუმცა ასაკი მაინც თავისას მოითხოვს და უნებურად დამებადება კითხვა, რატომ ახალგაზრდები არა ჩანან-მეთქი. აქ მხოლოდ ერთი ახალგაზრდა ქალი შემხვდა, ვეტექიმი როზა ცხოვრებაძე. მას გასულ წელს დაუმთავრებია ინსტიტუტი და აქ გამოუგზავნიათ სამუშაოდ. ყოჩაღი გოგო ჩანს და არც აპირებს აქედან სხვაგან წასვლას. ყოველდღიურად თბილისიდან დადის ავტობუსით და ცოტათი ეს უძნელებს მუშაობას. მართალია, დილის შვიდ საათზე უკვე ადგილზეა, მაგრამ, ხომ წარმოგიდგენიათ, ყოველდღე რა ადრიანად გაღვიძება მოუწევს. აქ გათხოვდი და სიარული აღარ დაგჭირდება-მეთქი. კარგი მთხოვნელი ჯერ არ გამოჩენილა, თორემ მეც ამ აზრისა ვარო.

— ამ საქმესაც ეშველება, — ამბობს პარტკომის მდივანი, — სპეციალისტებისთვის გამოყოფილ ფინურ სახლში ოთახები გაგვითავისუფლდება და იქ გადავიყვანთ. თბილისიდან სიარული მართლა ძნელია ვეტექიმისთვის. საქონელს დღედაღამ თავზედგომა და ზრუნვა სჭირდება... რაც შეეხება ახალგაზრდობის დასაქმებას, ჯერჯერობით მართლაც სულ რაღაც ოცდათექვსმეტი ახალგაზრდა გვყავს ჩაბმული.

— ძალიან ცოტაა.

— რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა. მეურნეობაში ექვსასი მუშაა და აქედან რომ მარტო ოცდათექვსმეტი იყოს ახალგაზრდა, ცხადია, ცოტაა, მაგრამ ჩვენ მაინც იმედს არა ვკარგავთ და ვფიქრობთ, თვითონვე მოვლენ. მოდიან კიდეც.

— თვითონ როგორ მოვლენ?

— ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს ეკონომიკა წყვეტს. რამდენიც უნდა ვიქადაგოთ ენთუზიაზმზე, პატრიოტულ სულისკვეთებაზე, თუ მატერიალური დაინტერესებაც არ ურევია, ვერაფერს გავხდებით. ადრე ძალიან ცოტა ხელფასს ღებულობდნენ და იმიტომაც გაგვირბოდა ახალგაზრდობა, ახლა კი ჩვენი მუშის საშუალო ხელფასმა ასორმოც მანეთს გადააჭარბა.

— ადრე რამდენი იყო?

— სამოცდაათ მანეთს არ აღემატებოდა. ქარხნებსა და ფაბრიკებში კი გაცილებით მეტს იღებდნენ... ახლა უკვე ის აღარ არის მარტყოფი, რაც ადრე იყო. მეურნეობის მუშის სახელი საამაყო გახდა. მერვე ხუთწლედში მეურნეობამ 2,5 მილიონი ზარალი აჩვენა სახელმწიფოს და რით უნდა მიგვეზიდა ახალგაზრდობა? მეცხრე ხუთწლედში კი 692 ათასი მანეთი მოგება ვნახეთ. პრემიაც ბევრი დავარიგეთ და სახელმწიფოსაც ბევრი ვასარგებლეთ. ამიტომ არის, რომ რესპუბლიკური გარდამავალი დროშა მესამედ მოვიპოვეთ და რაიონული — მეხუთედ. ამას წინათ კი ჩვენი მეურნეობა საპატიო ნიშნის ორდენით დააჯილდოვა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა.

ვბრუნდებით ფერმიდან და ისევ გონებაში მიტრიალებს შოშიაშვილის ნათქვამი სიტყვები: „ახლა უკვე ის აღარ არის მარტყოფი, რაც ადრე იყოო“. და მართლაც მიდიხარ მარტყოფის გზებზე და ხედავთ, რომ ეს სოფელი მთლიანად შეცვლილა. სოფლის სახელი უკვე შეუფერებელია მისთვის, ქალაქს კი ვერ დავარქმევთ მისი სპეციფიკის გამო. ოდესღაც ლატაკი სოფელი ახლა დამშვენებულია მდიდრული ორსართულიანი საცხოვრებელი ბინებით, მრავალსართულიანი საშუალო სკოლით, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატითა და შესანიშნავი კულტურის სახლით. რაღა შორს მივდივართ: მეურნეობის ადმინისტრაციული სახლი და მისი ეზოყურე დაათვალიერეთ. ეს ხომ ნამდვილი წალკოტია! რა სახის ვარდსა და დეკორატიულ მცენარეს არ ნახავთ აქ. სიამოვნებით ათვალიერებთ ამ დიდებულ სოფელს, ხედავთ აქაურ რჩეულ ვაჟკაცებს, ახოვან ქალ-რძალთ და გული სიამაყით გევსება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ჩხარტიშვილი

# კრიტიკული შენიშვნები რომანზე— „იყო ერთი ქალი"

„იყო ერთი ქალი" უთუოდ საყურადღებო რომანია არა მარტო ოტია იოსელიანის შემოქმედებაში, არამედ ბოლო პერიოდის მთელ ქართულ პროზაში. თუმცა ამ რომანს ჩვენი სალიტერატურო კრიტიკა რატომღაც დუმილით შეხვდა. ახლა, როცა ასე ბევრს ვლაპარაკობთ სალიტერატურო კრიტიკის გამოცოცხლების აუცილებლობაზე, უცნაურად გამოიყურება ამ რომანისადმი კრიტიკის უყურადღებობა, მით უფრო მაშინ, როცა ნაწარმოები საკმაო მასალას იძლევა მისი ყოველმხრივ „განჩხრეკისათვის". კრიტიკის ეს დუმილი ბოლოსდაბოლოს რ. დევდარიანმა დაარღვია (ალმანახი „კრიტიკა," № 6, „დიდი ტრაგედიის ცხრაკლიტულთან"). თავის წერილში კრიტიკოსმა მშვენივრად შესძლო რომანის ცენტრალური გმირის მაკა ლეჟავას გაორებული სულის ანალიზი მოეცა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ანალიზი ცალმხრივად იყო მოცემული. მოგეხსენებათ, მედალს ორი მხარე აქვს და მისი ცალმხრივად წარმოსახვა, რასაკვირველია, სრულ სურათს ვერ მოგვცემს. ამიტომ რა ძლიერადაც არ უნდა იყოს მოცემული ამა თუ იმ გმირის ხასიათი, უწინარესად, ყურადღებას მივაპყრობთ მის საფუძველს, ამ ხასიათის განმაპირობებელ მიზეზს, ვინაიდან მიზეზი და შედეგი, ეს ფილოსოფიური კატეგორიები, ურთიერთისაგან გამომდინარეობენ და მათი ცალცალკე განხილვა ყოვლად დაუშვებელია. ამიტომ მოგვეჩვენა, რომ წერილის ავტორმა არსებითად შედეგზე (გმირის ხასიათზე) ილაპარაკა და მხედველობიდან გამორჩა მედლის პირველი მხარე — ამ შედეგის საფუძველი, განმაპირობებელი მიზეზი. ამას, ალბათ, ვერც ავტორი უარყოფს, რადგან წერილის ბოლოს თვითონვე აღნიშნავს: „მაკა ლეჟავას სულიერი გარდასახვის კარგად მოფიქრებული, ოსტატურად დახატული ფსიქოლოგიური სურათი ცხოვრებისეულ, დამაჯერებელ საფენელს მოითხოვს".

„დამაჯერებელი საფენელი" კი ნაწარმოებში ის ძირითადი ხერხემალია, რომელიც მტკიცედ ჰკრავს ყველა სხვა მხატვრულ აქსესუარა მისი სისუსტე სერიოზულ ხარვეზად მიიჩნევა ნაწარმოებში. მაგრამ ვიდრე ამ ნაკლოვანებებზე ვიტყოდეთ რამეს, შევეხებით ამ რომანის პოზიტიურ მხარეს.

ამა თუ იმ სუსტ ნაწარმოებში მწერლის ჩანაფიქრი იმთავითვე საცნაური ხდება. მაგრამ ოტია იოსელიანი საბედნიეროდ არ ეკუთვნის იმ მწერალთა რიცხვს, რომლის შემოქმედებაში ცხოვრებისეული მოვლენების ზედაპირული ასახვის გამო წინასწარვეა ცნობილი, თუ როგორ განვითარდება პერსონაჟთა ხასიათების ისტორია. პერსონაჟთა ხასიათების ზრდისა და განვითარების ისტორია ის წარმმართველი ფაქტორია, რომლის გარეშე საერთოდ კარგავს მხატვრული ნაწარმოები თავის ესთეტიკურ და შემეცნებით ღირებულებას.

ოტია იოსელიანის რომანში „იყო ერთი ქალი" მთელი სიუჟეტური ქარგა იქითკენ მიემართება, რომ რაც შეიძლება სრულად გვიჩვენოს მაკა ლეჟავას სულიერი სამყარო მისი ხასიათის განვითარების კვალდაკვალ. სწორედ

იმის გამო, რომ ადრინდელი მაკა ლეჟავა ერთი მთლიანი და გაუბზარავი ხასიათია, მკითხველი რამდენადმე შეცბუნებული დარჩა მაკას ახლანდელი საქციელით. მაგრამ თუ რამდენად თანხვდება მაკას ამჟამინდელი მოულოდნელი საქციელი მისსავე ადრინდელ ხასიათს, ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი, ახლა კი მისი ხასიათის, უფრო სწორად, მისი გაორებული სულის მიმდინარე პროცესზე შევჩერდებით.

მაკას მამის ავადმყოფობა აცნობეს და ქმართან ერთად ჩამოვიდა თავის რაიონში. სადგურში ძმა დახვდა ვიღაცის მანქანით. ცოტა ხნის შემდეგ ძმამ ვიღაცას მანქანა გაუჩერა და საჭეს ის ვიღაცა მიუჯდა. მაკა შეცბუნდა. უცნობი ჯუმბერ ტყავაძე აღმოჩნდა.

პირველი ფიქრი აქედან აღეძრა. ეს ხომ ის ჯუმბერ ტყავაძე იყო, „მოუხეშავი, დაუბანელ-დაუვარცხნელი ბიჭი“, რომელსაც „ნიკაპი და კისერი სურსულით ჰქონდა მოტყაული და აქერცლილი“. მისი „გახსენება ქალში მარტო უსიამოვნებას თუ იწვევდა“, მაგრამ ახლა ჯუმბერ ტყავაძე ერთიანად გამოცვლილი წარმოუდგა: გალამაზებული, დავაჟკაცებული, ღვინის ქარხნის დირექტორი, საკუთარი „პობედით“ (ეს ის დროა, როცა მსუბუქი მანქანები იშვიათობას წარმოადგენდა). ამასთან, უფრო თამამი, უფრო შემტევი, რომელსაც შეუძლია ქმრის გვერდით მჯდომ ქალს თვალებში უყუროს პირდაპირ, დაჟინებით და იმ თვალებით ჯიქურ მოაგონოს წარსული, ის წარსული, რომელიც ქალის გულში მხოლოდ ზიზღს და სიძულვილს იწვევს.

ეს იყო პირველი ფსიქოლოგიური შეტევა, რომელმაც საკმაოდ შესამჩნევი ბზარი შეიტანა მაკა ლეჟავას მთლიან ხასიათში. ამ პირველი შეტევის სიძლიერე იგრძნო თვით ჯუმბერ ტყავაძემაც და წარმატებამ ფრთები შეასხა, უფრო გაბედული და უფრო შემტევი გახადა. მან ყველა ხერხს მიმართა. მიმართა თვითმკვლელობის ინსცენირებასაც, რომლის სასურველი შედეგი მატარებლის ვაგონში გამოჩნდება.

საბოლოოდ აქ გატყდა მაკა. თუმცა იგი კარგა ხნის მანძილზე ცდილობს საკუთარ თავს სძლიოს, ქალური ღირსება დაიცვას, მაგრამ ქვეშეცნეულად გრძნობს, რომ იგი უკვე საკუთარ თავს აღარ ეკუთვნის. ადამიანი, რომელიც საკუთარ თავს აღარ ეკუთვნის, დედამიწას ამძიმებს. ასე ფიქრობს მაკა, ეს ფიქრი აწუხებს მას, იგი უკვე არარაობას წარმოადგენს და სწორედ ამ არარაობით ამძიმებს მიწას.

მაკამ საკუთარი სახე დაკარგა, დაკარგა ის მთავარი, რითაც ეამაყებოდა ამქვეყნიური არსებობა. ეს იყო მისი ტრაგიკული წერტილი. მაგრამ აქ სრულიადაც არ უთამაშია გადამწყვეტი როლი ბედისწერის საკითხს, როგორც ფიქრობენ ხოლმე. მაკა ლეჟავას „ბედისწერა“ ჯუმბერ ტყავაძე თუ არის მხოლოდ, მაგრამ ჯუმბერ ტყავაძე ჩვეულებრივი ადამიანია, რომელსაც მიწიერი სიყვარულით უყვარს მაკა ლეჟავა და ამ სიყვარულისათვის გაუწირავს თავი. და კაცმა, რომელმაც საკუთარი თავი გასწირა, დაუფიქრებლად გასწირავს სხვასაც, ეს სხვა თუნდაც მისი სიყვარულის საგანი იყოს. ჯუმბერ ტყავაძე არ არის იმგვარი ტიპი, რომელიც საყვარელი არსების სიკეთისათვის ყველაფერს დათმობს. პირიქით, ჯუმბერ ტყავაძე საყვარელ არსებას გაიმეტებს, ოღონდ თავისი წადილი აისრულოს. ასეთია ჯუმბერი და სწორედ მისი ხასიათის ეს „უხეში“ თვისება იქცა მაკა ლეჟავას ტრაგედიის მიზეზად.

მაკას მთლიან ხასიათში გაჩნდა ბზარი, იგი ველარ ერევა საკუთარ თავს.

ადამიანი მარტო დარჩა საკუთარ თავთან. იმ საბედისწერო დღეებში მის გვერდით არავინ აღმოჩნდა, მარტოობამ წარუკვეთა სასო, ფეხქვეშ ნიადაგი გამოაცალა და გარიყულივით აღმოჩნდა. ქალის ამ უმწეობით სარგებლობს ტყავაძე და წლების მანძილზე დაგროვილ შურისძიების ბოღმას ბოროტად ანთხევს. მას წინ არავინ ელობება, კაციშვილი არ ედავება მის საქციელზე.

მაგრამ ის წრე, რომელშიც აღიზარდა მაკა, ნუთუ ვერ ხედავს ტანჯვით აფორიაქებულ ქალს, ნუთუ ასე შეუმჩნეველია გაორებული მაკა?

სწორედ გაორებული მაკაა შეუმჩნეველი. ადამიანი განსაკუთრებული დაკვირვების საგანი მაშინ ხდება, როცა საამისო საბაბს იძლევა. ამგვარი საბაბი მაკას არასოდეს მოუცია და არც განსაკუთრებული დაკვირვების საგანი გამხდარა ოდესმე. ეს იყო სწორედ მწარე შეცდომა საზოგადოების ამ ინერტულმა უყურადღებობამ დალუპა მაკა. ამ უკანასკნელმა სწორედ მაშინ დაჰკარგა საზოგადოების ყურადღება, როცა ნდობა მოიპოვა. მაკა საზოგადოების ღირსეული წევრი იყო, ზნეობრივად კეთილშობილი, განათლებული, კულტურული. მისი ეთიკური ნორმები სავსებით თანხვდებოდა საზოგადოების ეთიკურ ნორმებს და საზოგადოებაც, სრულიად დამშვიდებული, მაკა ლეჟავას თავის ერთ-ერთ ღირსეულ წევრად თვლიდა.

კვლავ ვიმეორებთ, ეს იყო სწორედ შეცდომა. მაკას მახლობლად არავინ აღმოჩნდა და მარტო დარჩენილი ქალი ბოროტად გასთელეს.

მაკას ჰყავს მეუღლე, რომელიც უყვარს, ყოველ შემთხვევაში, სიყვარულით დაქორწინდა მასზე. გენო ნიჟარაძე პატიოსანი, პრინციპული ჟურნალისტია რაიონში, აქტიურად ერევა რაიონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თავგამოდებით შრომობს ოჯახშიც. მაგრამ იქნებ ამ ტვირთმა ოდნავ მოადუნა მისი ყურად-

ლება ოჯახური ინტიმისადმი, მთელი გულისყური ოჯახის ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრების მხარეს დაუთმო? ასეთ შემთხვევაში ირღვევა ჰარმონია. მეუღლისადმი ქმრის ყურადღების შენელება, გამოწვეული მთელი რიგი ობიექტური მიზეზებით, უარყოფითად მოქმედებს ქალის ფსიქიკაზე? მაგრამ ადამიანი ხომ რთული ინდივიდია, მისი ფსიქიკაც ხომ ათასგვარი წვრილმანებითაა დამუხტული. ყოველდღიური ცხოვრების საჭირბოროტო საკითხები განა იძლევა იმის საშუალებას, რომ ჩვენი სურვილისდამიხედვით გამოვეთიშოთ გარემო მოვლენებს და ოჯახურ მყუდროებაში მთელი სისავსით მივეცეთ ინტიმურ ცხოვრებას? რა ვუყოთ იმ ფსიქიკურ მოვლენებს, რომლებიც ჩვენი სურვილის გარეშე მოქმედებენ ჩვენზე?

გენო ნიჟარაძე მიწიერი ადამიანია, იგი ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრებით ცხოვრობს და ნაპარავი სიყვარულიც არ არის მისთვის უცხო ხილი. თებროსთან მისი ინტიმური კავშირიც გარკვეულ დროს ართმევს მას. ნუ ვიკამათებთ იმაზე, გამართლებულია თუ არა გენოს საქციელი ამ შემთხვევაში. მაგრამ არაფრით არ არის საკამათო ის ფაქტი, რომ გენო ნიჟარაძე ვერ ჩაწვდა მეუღლის ფსიქოლოგიას, პირიქით, იგი რამდენადმე დაშორდა მაკას სულიერ სამყაროს და სრულიად გაუგებარი გახდა მისთვის მეუღლის სულში დატრიალებული ტრაგედია. სწორედ იმ საბედისწერო დღეებში დაშორდა ქმარი ცოლს და სულიერად გაძარცული ქალი ტრაგიკულად განწირული აღმოჩნდა.

მაგრამ ახლა გავარკვიოთ, რამდენად სწორადაა მოტივირებული ამ ტრაგედიის მიზეზი.

როგორც გაკვრით აღვნიშნეთ ზემოთ, დიდი მხატვრული ძალითაა წარმოსახული მაკა ლეჟავას არა თუ გაორებული სული, არამედ ამ გაორების პროცესიც. აქ მწერალი თავის მხატვრულ სიმაღლეზე დგას, ვერაფერში შეედავები. დანახული აქვს გაორებული პიროვნების აფორიაქებული სულის სამყარო, მისი უმცირესი კუნჭულები, შეუმჩნეველი ნიუანსებიც კი. მაგრამ სადავოა მისი გაორების საფუძველი. ეს საფუძველი, რა თქმა უნდა, ღრმაა და შორეული, მაგრამ, ჩვენი აზრით, მეტად სუსტი და უნიადაგო. აი, რატომ: „სიმართლე რომ ითქვას, — წერს ავტორი, — ტყავაძეს ხეირიანად არც იცნობდა მაკა. ერთ დროს ვიღაც უფროსკლასელმა ამოიჩემა თვალში. მოუხეშავი, დაუბანელ-დაუვარცხნელი ბიჭი იყო. ნიკაპი და კისერი სურსულით ჰქონდა მოტყაული და აქერცლილი. მაკას ისე სძულდა იგი, ისე შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს, თუ ვინმე მასზე რაიმეს გაეხუმრებოდა — უბედური ვარო — ფიქრობდა. რამდენი კარგი ბიჭი იყო და მაინცდამაინც ტყავაძე გადაეკიდა! გოგო არ ესალმებოდა, მისკენ არც იხედებოდა. თუ სადმე ახლომახლო ეგულებოდა, ისე იქცეოდა, ვითომ ვერც ამჩნევდა. მის სახელსა და გვარს არასოდეს ახსენებდა. მუნიანს ეძახდა. ისედაც არ დაენახვებოდა და მერე დევნა დაუწყო. მაკას შინ დაბრუნება არ უნდოდა. გაკვეთილების დამთავრებისას ეკლესიაზე იჯდა". ცოტა ზემოთ ავტორი ასე წერს: „გოგო ღელის პირზე ბაყაყებს მეტ ყურადღებას აქცევდა, ვიდრე მას". უფრო ზემოთ კი ასეა: ტყავაძის „გახსენება ქალში მარტო უსიამოვნებას თუ იწვევდა". იქვე: „მაკას ჯუმბერის გახსენებაზე თმის ძირები ეწვოდა, თავის კანი უბჟუოდა, სახე უხურდა და ყოველთვის ერთნაირი გრძნობა ეუფლებოდა: როგორმე მალე მოეშორებინა მასზე ფიქრი, როგორც შეურაცხმყოფელი, თავმომაბეზრებელი წარსული, წარსული ყოველნაირად რომ გინდა წაშალო, მაგრამ მაზუთის ლაქასავით იზიზნება და ხელსაც გისვრის".

მაკას ამგვარი დამოკიდებულება ტყავაძისადმი მრავალჯერაა ხაზგასმული რომანში, მაგრამ ყველას მოტანა არაა საჭირო. მაშ, როგორ მოხდა, რომ მაკა ლეჟავა, რომელიც შეჰხარის ქმარს, რომელსაც სიყვარულით მისთხოვდა, სიგიჟემდე უყვარს შვილი, ერთგული და დაუზარელი დიასახლისია ოჯახში, სანიმუშო მასწავლებელია სკოლაში (თუმცა ეს ნაწარმოებში არ ჩანს), კეთილია დედამთილისა და ქმრის ნათესავების მიმართ, უზომოდ უყვარს მამის ოჯახი, გული შესტკივა ძმის თავაშვებულ საქციელზე, უეცრად, ტყავაძესთან შეხვედრის შემდეგ, ერთბაშად უბრუნდება ბავშვობის იმ „ავადმოსაგონარ" წლებს და უჩნდება გამუდმებული და მოუშორებელი ფიქრი „მუნიან" ტყავაძეზე, რომელიც ასე აუტანელი ზიზღით სძულდა?! ჩვენი აზრით, არაა საკმარისი ამ „გამუდმებული და მოუშორებელი ფიქრის" მოტივაციისათვის ის, რომ მაკა ლეჟავა ოდესღაც ძლიერ უყვარდა ჯუმბერ ტყავაძეს და ეს სიყვარული კვლავინდებურად ძლიერი დარჩენილა. ჩვენ ვეთანხმებით ავტორს იმაში, რომ ვაჟის ამგვარი უსაშველო სიყვარული ერთგვარი სიამაყით, თითქმის უპირატესობითაც ავსებს ქალს, მაგრამ საეჭვოა, მაკა ლეჟავაზეც იმოქმედოს ტყავაძის ამ „უსაშველო სიყვარულმა" და გული და გონება შეუძრას. მაკა ლეჟავა რომანში სრულიადაც არაა ისე დახატული, რომ ასე პრიმიტიულად, ერთბაშად აჰყვეს ტყავაძის ვნებებს. ამასთან, მაკას, როგორც აღვნიშნეთ, წმინდა სიყვარულით უყვარს ქმარი, ოჯახი, პატიოსნებით ალსავსე გარემო წრე და საშინლად ვერ იტანს ჯუმბერ ტყავაძის სახელის გაგონებას, რომელსაც „ხეირიანად არც იცნობდა", ანდა „ბაყაყებს მეტ ყურადღებას აქცევდა, ვიდრე მას", მისი „გახსენება ქალში მარტო უსიამოვნებას თუ იწვევდა" და სძულს ფიზიკურ ტკივილებამდე დაყვანილი სიძულვილით.

ყოველივე ამის შემდეგ ძნელია დაიჯერო მაკას გაორების პროცესი. აქ სავარაუდო რჩება ერთი რამ: იქნებ მაკა ახლანდელი ჯუმბერ ტყავაძით იმის გამო მოიხიბლა, რომ იგი დირექტორია და საკუთარი „პობედა“ ჰყავს? საკითხის ამგვარი გაგება, ცხადია, ტექსტის ზერელე გადახედვის შედეგი იქნებოდა. ამგვარი რამ რომანში გაკვრითაც კი არ აღუნიშნავს მწერალს. იქნებ სხვა საფუძველი არსებობს? არა, სხვა არავითარი საფუძველი არ არსებობს. გვრჩება მხოლოდ ერთი, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ: მაკა ლეჟავას გული და გონება აუფორიაქდა იმის გამო, რომ იგი ოდესღაც უყვარდა ტყავაძეს და ეს უკანასკნელი ერთხელაც არ შებრალებია ამ სიყვარულისათვის. ეს კი მეტისმეტად დაუჯერებელი საფუძველია. საეჭვოა, რომ ამ გარემოებამ შეარყიოს ქალის ნებისყოფა, მით უმეტეს, მაკა ლეჟავასთანა ქალის ნებისყოფა. მაკა მტკიცე, გონიერი და კეთილშობილი ქალია, რომლისთვისაც მთავარია ჭეშმარიტი, უანგარო სიყვარული და საზოგადოებრივი მდგომარეობა. მას მაშინაც არ უცდია ოდნავი თანაგრძნობა გამოეხატა მისი სიყვარულით გამწარებული ტყავაძისათვის, როცა სრულიად ახალგაზრდა იყო; მითუმეტეს არ ეცდებოდა ეს თანაგრძნობა გამოეხატა ახლა, როცა ქმარშვილისა და ოჯახის სიყვარულით ხარობდა და ახაკითაც იმ ხნისა იყო, როცა გონიერება წინ უსწრებს გრძნობებს და სავსებით უმტკივნეულოდ შეუძლია ემოციური და ფიზიოლოგიური ვნებების შეკავება.

ანდა, რამდენად დამაჯერებელია მაკას მოქმედება მას შემდეგ, როცა მან შეიტყო, რომ მისი ღალატი ცნობილი გახდა ქმრისათვის. ჩვენ მხედველობაში გვაქვს საბედისწერო ღამე ჯუმბერთან ერთად. გასაგებია, რომ ეს არის მისი უკანასკნელი, განწირული ნაბიჯი, მას სხვა გზა ალარა აქვს, სულიერი განწმენდისათვის მხოლოდ ერთადერთი საშუალება არსებობს — თვითმკვლელობა. ეს მან მტკიცედ გადაწყვიტა. ამიტომ მისთვის ახლა ყველაფერი სულერთია, ის უკვე თავისთავს აღარ ეკუთვნის, მისთვის უკვე აღარ არსებობს არც ქმარი, არც შვილი, არც ოჯახი, გონება დახშული აქვს და ანგარიშს არ უწევს თავის მოქმედებას. ეს არის აზრდაცლილი ადამიანის საქციელი. მაგრამ ყოვლად წარმოუდგენელია, სიკვდილის წინ, როცა მისმა ტრაგედიამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, ერთი წუთით მაინც არ მოსულიყო გონზე და არ გადაევლო თვალი ახლო წარსულისათვის. მაშინ იგი აშკარად დაინახავდა ამ დამღუპველი გზის მიზეზს და ერთიორად შეზიზღდებოდა ტყავაძე, რომლის სიყვარული არასოდეს ჰქონია. ცხადია, მაკა ლეჟავას ხასიათის ქალი იმ მომენტში მართლაც განიზრახავდა თავის მოკვლას, მაგრამ არავითარ შემთხვევაში მთელ ღამეს არ აჩუქებდა თავის დაღუპვის მიზეზს. გარდა ამისა, თვითმკვლელობა ხშირ შემთხვევაში ფსიქოლოგიური აფექტის შედეგია, ხოლო მის განკარგულებაში მთელი ღამე იყო. და ეს ღამე გაატარა სწორედ მასთან, ვინც აქამდე მიიყვანა.

რაკი აქამდე მიიყვანა მწერალმა თავისი პერსონაჟი, მაშინ სიუჟეტი სხვა გზით, უფრო ლოგიკური გზით უნდა წარემართა. განა ჯუმბერ ტყავაძეს მაკა გაგიჟებით არ უყვარდა?! განა ჯუმბერ ტყავაძე, რომელიც ასე „წინდახედული და გონიერია“, ვერ მიხვდებოდა იმის მიზეზს, შუაღამისას რამ მიიყვანა მასთან მაკა ლეჟავა?! აქ ნაწარმოების სიუჟეტი უეჭველად სხვაგვარ განვითარებას ითხოვდა. შესაძლოა აქ მკითხველს შეკამათების სურვილი გაუჩნდეს და ცხოვრებაში მომხდარ ფაქტზე მიგვითითოს, მაგრამ ეს ჩვენი აზრის გასაბათილებელ არგუმენტად არ გამოდგება, რადგან ნაწარმოებში, უპირველეს ყოვლისა, მთავარია მხატვრული სიმართლე. ვფიქრობთ, რომანის სიუჟეტის ამგვარ განვითარებას სწორედ ეს მხატვრული სიმართლე აკლია.

ახლა ვნახოთ ჯუმბერ ტყავაძის მხატვრული სახე, რამდენად ტიპიური და მართალია იგი.

ჯუმბერ ტყავაძე თავისთავად მეტად საინტერესო, ღრმა და რთული პიროვნებაა. ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, ჯუმბერი ჯიუტი და კერპია; ხასიათი მკვეთრადაა გამოკვეთილი — იგი ბნელი პიროვნებაა, რომელსაც შეუძლია პირადი ინტერესებისათვის გასწიროს ყველა, ვინც მის გარშემო ტრიალებს.

იქნებ რეალური და ტიპიურიც იყოს ტყავაძის გახელებული სიყვარული მაკა ლეჟავას მიმართ, მაგრამ რაოდენ მტკივნეული და განუზომელი არ უნდა იყოს ეს გრძნობა, ის მაინც დროის განსაზღვრულ ლოკალშია მოთავსებული, ვინაიდან დრო ყველაფრის მკურნალია, მითუმეტეს უიმედო ცალმხრივი სიყვარულისა. მათი ხელახალი შეხვედრა რვა წლის შემდეგ მოხდა. ამ რვა წლის მანძილზე კი ერთხელაც არ უნახავთ ერთმანეთი. ჩვენ სავსებით გვჯერა ტყავაძის მტკიცე გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მაკას არ შეხვდეს მანამ, სანამ თავისას არ მიაღწევს(?!), მაგრამ, ეჭვი გვეპარება ამ სურვილის ხანგრძლივობაში. ეს როგორღაც დაუჯერებელია, უფრო ზღაპარს ჰგავს, სადაც ზღაპრის გმირი მრავალ ფათერაკს გაივლის დასახული მიზნის მისაღწევად. მაგრამ აქ ჩვენ ზღაპართან არ გვაქვს საქმე. ეს ცხოვრება, ამასთან მხატვრის თვალით დანახული ცხოვრება, რაც უთუოდ განსხვავდება (ყოველ შემთხვევაში, უნდა განსხვავდებოდეს) რეალური ცხოვრებისაგან. რა გარანტია ჰქონდა ტყავაძეს, რომ მრავალი წლის შემდეგ (მისი მიზნის განხორციელებას დიახაც მრავალი წელი სჭირდებოდა. ხუმრობა ხომ არაა, დირექტორის თანამდებობა დაისახო მიზნად და მიაღწიო კიდეც) მაკა ლეჟავა მასზე გულს მოიბრუნებ-

და და თანაგრძნობას გაუწევდა?! მართლაცდა, „ნეტავ რისი იმედი ჰქონდა? ფიქრობს ტყავაძე ,— თუ ის დაივიწყებდა ხკოლისდროინდელ ჯუმბერს, რომელიც დასანახავად სძულდა, რატომ შეიყვარებდა ახლანდელ ტყავაძეს?“ ფრიად საფუძვლიანი ეჭვია. ეს ეჭვი თვით მწერალსაც რომ გასჩენოდა, ალბათ სიუჟეტს ასე არ განავითარებდა.

ეჭვი, რომელიც მართლაც რომ არც თუ ისე უსაფუძვლოდ უჩნდება ტყავაძეს, ასევე აწუხებს მკითხველსაც: მაკა ნუთუ იმის გამო შეიძულებდა ქმარს და შეიყვარებდა ახლანდელ ტყავაძეს, რომ ამ უკანასკნელს მაკას გამო არ შეურთავს ცოლი, არ შეურთავს არც ვინმე დოდო, რომელსაც ასე უყვარდა ტყავაძე, უარი თქვა „ალმასკომის თავმჯდომარის კალმით ნახატ გოგოზე“?! ან რატომ ჰქონდა ტყავაძეს იმის იმედი, რომ ჯაჭვი იქ გაეწყვიტა, სადაც ეს ყველაზე ნაკლებად იყო მოსალოდნელი?! „ჯუმბერმა იცოდა, რომ მაკა ამაყი, ოჯახისათვის თავდადებული, თავისიანების უსაზღვროდ მოყვარული ქალი იყო და სწორედ აქ უნდა გაწყვეტილიყო ჯაჭვი“. როგორც ვხედავთ, ის ადგილი, სადაც ტყავაძეს ჯაჭვის გაწყვეტის იმედი აქვს, ყველაზე ძლიერია მაკას ცხოვრებაში და რატომ უნდა გაწყვეტილიყო აქ ჯაჭვი? ჯაჭვი ხომ მხოლოდ იქ წყდება, სადაც სუსტი რგოლია. მაშასადამე, იმ ამბის განვითარებისათვის, რასაც ადგილი აქვს რომანში, ეს მოტივი არ გამოდგება. ყოველ შემთხვევაში, ეს დაუჯერებელი მოტივია. საჭირო იყო მართლაც სუსტი ადგილის მონახვა, რაზეც შეეძლო ხელი ჩაევლო ტყავაძეს.

ან ნუთუ სწორია და ლოგიკური მაკას მსჯელობა ტყავაძის თვითმკვლელობის ცდის შესახებ! „უმადური ვარ, საძაგელი უმადური, პატივმოყვარე... საცოდავი, თურმე არ გადარჩება. მე კი ვფიქრობდი, აიცილა და ისე წამოვედი, არ ვნახე... არც ვიკითხე. ბიჭის რომ არ ეთქვა, იქნებ გადარჩესო, არც ეს მეცოდინებოდა. ყველაფრის მიზეზი კი თურმე მე ვარ. არასოდეს, მის მიმართ არასოდეს ადამიანური არ ვყოფილვარ“... კი, მაგრამ რა იგულისხმება მაკას ამ უკანასკნელ სიტყვებში? როგორ უნდა გამოეჩინა „ადამიანურობა?!“ რა უნდა ექნა ქმარშვილიან ქალს?! ევლო ტყავაძესთან, ანგარიში გაეწია იმისი გახელებული სიყვარულისთვის, გაჭირვება შეემსუბუქებინა იმისათვის, რომ ტყავაძეს ტყვია არ ეკრა გულში?! მწერალს მაშინ სხვა, უფრო დამაჯერებელი და ლოგიკური მოტივი უნდა მოეცა. ერთი სიტყვით, ამ ადგილს, რომელიც უმთავრეს როლს წარმოადგენს სიუჟეტის განვითარებისათვის, კვლავ გადახედვა სჭირდება, რადგან მიზეზი და შედეგი ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირში არ იმყოფებიან. ამ ფაქტორთა კავშირის დარღვევა კი მხატვრული სიმართლის დარღვევას იწვევს, რაც საკმაო დისონანსს ქმნის ნაწარმოებში.

ჩვენი აზრით, მეტისმეტად უადგილოა და ხელოვნური მაკას და ტყავაძის დიალოგი მაკას ოჯახში ბიჭის ცოლის ნათესავების სტუმრობის დროს. გავიხსენოთ ეს სცენა. სოფელში სტუმრად ჩამოვიდნენ ბიჭის ცოლის ძმები, ნათესავები. ჩამოვიდა მაკაც, მისი ქმარიც (ვგონებ, მაკას ქმრის აღრე წასვლაც ხელოვნურია. ეს იმისათვის დასჭირდა მწერალს, რომ ხელი შეეწყოს მაკას და ტყავაძის შეხვედრას). აქაა მეზობლებიც, მათ შორის მთელ დაბაში საკმაოდ ცნობილი და პატივსაცემი ჯუმბერ ტყავაძე, რომელსაც ყველა თავზე ეხვევა და მოკრძალებით ეპყრობა. სხვათაშორის, იგი თამადადაც კი აირჩიეს ბიჭის ქორწილში. ცხადია, იგი ამ სუფრაზეც ყურადღების ცენტრში მოექცეოდა. მაგრამ, ისიც ცხადია, რომ მაკაც ყურადღების ცენტრში იქნებოდა, როგორც ბიჭისა და მერის დაქორწინების აქტიური ორგანიზატორი და როგორც ოჯახის ერთადერთი, გათხოვილი ქალიშვილი, რომელსაც ჰყავს რაიონში გამოჩენილი, გონიერი და ნიჭიერი ჟურნალისტი ქმარი. (სოფლად ეს პატარა ფაქტორი არაა, „დიდი კაცის“ ცოლი განსაკუთრებული ყურადღების საგნად იქცევა). მაშ როგორღა შეიძლებოდა ასეთი მწვავე საუბარი გამართულიყო ხალხით გაჭედილ სუფრასთან მაკასა და ტყავაძეს შორის?

მოვიტანოთ ეს ადგილი:

— „ნუ ადგებით, იჯექით.

მაკამ წარბები მოწკურა, გაიღიმა და ადგომისას ჩაილაპარაკა:

— ვითომ რატომ?

— იჯექით, — გაიმეორა ტყავაძემ ქალის გასაგონად, — არაფერი არ დაგიშავდებათ, რომ იჯდეთ.

— თუ არ მინდა?

— მაშინ წადით, მაგრამ ნუ დააგვიანებთ, მალე მოდით.

მაკამ თავი გაიქნია, — „არაო“, ორიოდე გამოცვლილი თეფში ერთმანეთზე შედგა, რომ წასვლისას გაეძლვანებია.

— აუცილებლად მოდით!

მაკა წინ გადაიხარა. ტყავაძის ახლოს ღვინის ხელადა აიღო.

— უნდა მოხვიდეთ.

— მე რაც არ მინდოდა, არასოდეს გამიკეთებია.

— მოდით.

— თუ არ მოვალ?

„ღმერთო ჩემო, როგორ ველაპარაკები, ხომ არ დავმთვრალვარ“, — ხელადა წინ დაიდგა და ტყავაძეს შეხედა.

— მოხვალთ, — დამაჯერებლად გაიმეორა ჯუმბერმა.

მაკამ შუბლი შეიკრა. „შემატყო, რომ მასზე

ვფიქრობდი და შემეცოდა: მაგრამ თუ მიხვდა, როგორ გამიბედა... არ ვაპატიებ“.

— არ მოვალ!

— მოდით, — ახლა უფრო ხვეწნას ჰგავდა მისი ნათქვამი.

— რომ არ მოვიდე?

— ინანებ.

— მე?! — მაკამ იგრძნო, რომ ქვედა ტუჩი აუცახცახდა სიბრაზისაგან. „მემუქრება!“

— სანამ აქ იქნები, არ მოვალ. მაგრამ იცოდე, დღეიდან აქ ფეხს ვერ დაადგამ!

— ინანებ.

— მე? — ისევ წამოცდა მაკას, ხელადა აიღო. წასასვლელად მოტრიალდა, მაგრამ რაკი აღარ აპირებდა სუფრასთან დაბრუნებას და, საერთოდ, არ ფიქრობდა ოდესმე შეხვედროდა ტყავაძეს, სახე მისკენ მიაბრუნა და ჩაილაპარაკა:

არასოდეს არ მოინდომო ჩემი ნახვა.

— შეუძლებელია.

— გზაში ხომ არ მიპირებ დახვედრას?“

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ასეთი საუბარი არ გაიმართებოდა საპატიო სტუმარსა და ოჯახის უფროს, გათხოვილ ქალიშვილს შორის ხალხით გაჭედილ სუფრასთან. რასაკვირველია, ჩვენ გვესმის, რომ ტყავაძისთანა მამაკაცი უარესსაც იკადრებს, მაგრამ უმთავრესი არ უნდა დაგვავიწყდეს: მათ იციან სად რა იკადრონ, ვის რა კადრონ. გარდა ამისა, ისიც უნდა მოვაგონოთ მკითხველს, რომ ქართველი კაცის ბუნებაში გამორიცხულია (ნორმალურ შემთხვევაში, გამონაკლისი კი ამ რომანში არ გვაქვს), გათხოვილ ქალთან იმგვარი დამოკიდებულება, როგორსაც ტყავაძე იჩენს მაკას მიმართ. ასე თვით საზოგადოებრივი მდგომარეობით უჩინო ახალგაზრდა არ მოიქცევა, თუ ის თავზე ხელაღებული ხულიგანი არ არის. ყველაფერი ეს ანგარიშგასაწევი დეტალებია მხატვრულ ლიტერატურაში. ან ნუთუ ქალის გადამჭრელი პასუხი “არასოდეს არ მოინდომო ჩემი ნახვა,“ საკმარისია იმისათვის, რომ ტყავაძემ ტყვია იკრას გულში?! განა ოდესმე დადებითი პასუხი მიუღია მისგან?! ანდა, სულ სხვა საკითხი: განა დირექტორის თვითმკვლელობის ამბავს მის რიგით თანამშრომელს ბიჭის გააგებინებდნენ გამთენიისთანავე?! რატომ, რისთვის?! ბიჭი რამეს უშველის?! ცხადია, ამ მომენტს ერთი დანიშნულება აქვს: როგორმე მაკამ გაიგოს ტყავაძის თვითმკვლელობის ამბავი, რომ მერე ფიქრთა კორიანტელი დააყენოს. მაგრამ ყველაფერს ხომ საბუთიანი მოტივირება უნდა. ეს მოტივი კი საერთოდ ნაკლებად ჩანს რომანში.

აქ უნებურად გვახსენდება ლევ ტოლსტოი. ერთხელ მას უსაყვედურეს: „...თქვენ მკაცრად მოექეცით ანა კარენინას, აიძულეთ ის თავისი სიცოცხლე დაემთავრებინა მსრბოლავი მატარებლის ვაგონქვეშ მხოლოდ იმის გამო, რომ ბოლოს და ბოლოს არ შეეძლო მუდამ მორჩილებაში ყოფილიყო ალექსი ალექსის ძესთან“. ტოლსტოიმ გაიღიმა. „ეს აზრი, — თქვა მან, — მაგონებს ერთ შემთხვევას. ერთხელ პუშკინმა რომელიღაც ახლობელს უთხრა: წარმოიდგინეთ რა მოხერხებულად გამისხლტა ხელიდან ტატიანა! ის გათხოვდა. ამას კი არაფრით არ მოველოდი მისგან. იგივე შეიძლება გავიმეოროთ ანა კარენინას შესახებ, — დასძინა ტოლსტოიმ, — საერთოდ ჩემი გმირი და გმირები ზოგჯერ აკეთებენ იმას, რაც უნდა კეთდებოდეს ცხოვრებაში და არა იმას, რაც მე მსურს“. ეს არის უტყუარი ხელოვნების ერთ-ერთი ნიშანდობლივი თვისება, მხატვრული სიმართლის პრინციპი. გმირების მოქმედებას რეალური საფუძველი თუარ გააჩნია, მაშინ მათი მოქმედება არავითარ შემთხვევაში არ იქნება ბუნებრივი და დამაჯერებელი. „იყო ერთი ქალის“ გმირები კი აკეთებენ იმას, რაც მწერალს სურს, რაც მას ზრახავს და არა იმას, რასაც უნდა აკეთებდნენ შინაგანი ლოგიკის ძალით. სწორედ ამიტომ გვეპარება ეჭვი: რამდენად რეალურია ტყავაძის მიერ თვითმკვლელობის ცდა?! რისთვის დასჭირდა ეს მწერალს, ან თვით ტყავაძეს? ნუთუ ესაა ყველაზე საუკეთესო გზა, რითაც ტყავაძე შეძლებს მაკას გულის მოგებას?! აქ, უეჭველია, ვრონსკის აშკარა ვარიაციაა „ანა კარენინადან“, მაგრამ განსხვავებაა მთავარში და არსებითში: ჯერ ერთი, ვრონსკის ჭეშმარიტი სიყვარულით უყვარს ანა კარენინა, მეორეც, იგი იტანჯება იმის გამო, რომ ანა კარენინა შემბოჭველი გრძნობების გამო ვერ ახერხებს აშკარად გაუწიოს თანაგრძნობა მას და თავის მხრივაც განიცდის ტანჯვა-წამებას. ვრონსკის სურს ამ ტანჯვისაგანაც იხსნას ანა. სხვა გზა მან ვერ იპოვა და სცადა თავი მოეკლა, მაგრამ სრულიადაც არ უფიქრია თვითმკვლელობის ცდა საშუალებად გამოეყენებინა ქალის გულის მოსაგებად. ამდენად, ვრონსკის თვითმკვლელობის ცდა სინამდვილეში რომ განხორციელებულიყო, ეს თვით მის სურვილს შეადგენდა (გახსოვთ, მან მეორედ სცადა რევოლვერის აღება, რომ განზრახვა სისრულეში მოეყვანა). მაგრამ ტყავაძის თვითმკვლელობის ცდაც რომ „წარმატებით დამთავრებულიყო“, მაშინ ვისზე მოუბრუნდებოდა გული მაკას?! განა საკმარისი იქნებოდა ტყავაძის უსულო გვამისათვის მაკას სინანული იმის გამო ,რომ სიცოცხლეში არ უთანაგრძნო?! ყოველ შემთხვევაში, ტყავაძეს თავი მაშინ უნდა მოეკლა (თუნდაც, ეცადა), როცა მაკამ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ უკანასკნელად გაიარა ღელის პირზე და ტყავაძეს მასთან დაახლოების იმედი თითქმის გადაუწყვიტა ან მაშინ, როცა მაკას გათხოვების ამბავი გაიგო და წყალი საბოლოოდ გადაეწურა. ახლა კი რაღა დროს თვითმკვლელობაა?! ვფიქრობთ, ეს მომენტი მეტისმეტად ხელოვნურია და დაუჯერებელი, ისევე

როგორც ხელოვნურია და დაუჯერებელი ტყავაძის „ღრმა ჩანაფიქრი" იმ გზების გამოძებნისა, რითაც შეძლებდა მაკასთან დაახლოებას. აქ მართლაც გორდიასის კვანძის გახსნაა საჭირო, რომ თავი და ბოლო ერთმანეთს დავუკავშიროთ. ჯერ მოვიტანოთ ერთი მაგალითი, სადაც მაკა ეკითხება მერის, რომელიც ბიჭის შეუცდენია:

„— სად გაიცანი ბიჭი?

— ვასასი დეიდასთან.

— ჩემი დედამთილის დეიდაშვილია. მისი ქალიშვილი, ვარდო, მერის კბილაა, ჩვენთან მუშაობს, ბიბლიოთეკაში. — დაუმატა მარგომ. (მკითხველს ვთხოვთ დაიმახსოვროს მარგოს სახელი, იგი მაკას ქმრის დეიდაშვილია — რ. ჩ.)

— საიდან მოხვდა მათთან ბიჭი?

— ვასასი ჯუმბერის დედობილია...

(ახლა ეს დაიხსომეთ: საიდანაა ვასასი ჯუმბერის დედობილი — რ. ჩ.).

— ვასასი დეიდას მეზობლად ერთ დროს ჯუმბერის ბიძას — ვიღაც ტყავაძეს უცხოვრია. იქედან დაახლოებულან"...

ერთი სიტყვით, გარდა იმისა, რომ ხელოვნურია და თვითმიზნური მაკას იურიდიული კითხვები იმის დასადგენად, თუ როგორ გაიცნეს მერიმ და ბიჭიმ ერთმანეთი (ეს მწერალს იმისთვის დასჭირდა, რომ მაკა ერთხელ კიდევ დააფიქროს, თუ რამდენად ძლიერად უყვარს ტყავაძეს მაკა), დაუჯერებელიცაა იმის გამო, რომ შექმნილ სიტუაციაში არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა მერის და ბიჭის წარსულს, თუ სად, როგორ და რა ვითარებაში ხვდებოდნენ ისინი ერთმანეთს. მთავარი აქ ფაქტი უნდა ყოფილიყო: ბიჭიმ მერი შეაცდინა და ახლა მათი დაქორწინება უნდა მოეხერხებინათ, რომ ქალი საქვეყნოდ სირცხვილს აეცდინათ და ბიჭი „დაღუპვისაგან" ეხსნათ. სრულიად გაუგებარია აქვე მაკას შეკითხვა: „როცა მერი და ბიჭი ერთად რჩებოდნენ მანქანაში, ტყავაძე დედობილთან რჩებოდა?" რა აზრობრივ-ემოციური დატვირთვა აქვს ამ კითხვას? რა მნიშვნელობა აქვს მაკასთვის, სად რჩებოდა ტყავაძე? ეს აუხსნელი რჩება. მაგრამ ჩვენ მაინც გადავუხვიეთ. ისევ იმ საკითხს დავუბრუნდეთ, თუ როგორ „მოახერხა" ტყავაძემ მაკასთან მისასვლელი გზის მონახვა. აქ უსათუოდ უნდა მოვიტანოთ ოდნავ გრძელი ამონაწერი:

„ტყავაძეს დროსტარებისაკენ მაინცდამაინც გული არ მიუწევდა. მხოლოდ მაშინ ხვამდა, როცა საჭირო იყო. მისი თანამშრომლის ძმის ქორწილში რომ დაპატიჟეს, იქნებ იქ მაკაც იყოსო და დათანხმდა. ქორწილში ვიღაც ნახევრად სულელმა და გიჟმა თამადამ — თავისი მკვიდრი ბიძაშვილი — დაჭრა, — ყანწი შესმული მქონდა და, როგორ მაკადრე არ დაგილევიაო. ატყდა ჩოჩქოლი და მითქმა-მოთქმა. დამნაშავე ვინააო და, ღიბრაძეა, ვასასის დისშვილიო. ვასასი ნეფის გამზრდელი ბიცოლა იყო და იქვე, მეზობლად ცხოვრობდა. ტყავაძეს საიდანღაც გაახსენდა ამ ქალის სახელი. ამ სოფელში ადრე ჯუმბერის ბიძა იყო ჩასიძებული...

დაჭრილი თამადა რომ გაიყვანეს, ვიღაცამ ჩაილაპარაკა: ჯაბა ღიბრაძეს არ დაიჭერენ. მისი ერთი ძმა მილიციის უფროსის მოადგილეა. ორი — თბილისში მუშაობს, საქმეს მოაკვლევენო. ის კი არა, ცოლისძმა რედაქციაში გადაუყვანიათ და მასაც დიდკაცობას უპირებენო. ერთ გამსვლელ დედაკაცს სცოდნოდა, რომ ჯაბას ცოლისძმა არ ჰყავდა, მარგო ძნელაძე და ვენო ნიჟარაძე ერთმანეთის დეიდაშვილებიაო.

— ნიჟარაძეო?! — ეს ხმამაღლა წამოსცდა მაშინ ტყავაძეს.

ისიც ითქვა, მაგ ოხერ ღიბრაძის შიშით მის დას ვერავინ დალაპარაკებიაო.

„აჰა, და ჰყოლია, ნეტა ვინაა?"

ისიც აქაა, საოცრად ალალი და მიმნდობი გოგო.

„ბიჭი ლეჟავამ რომ სიყვარული აუხსნას, უარს ეტყვის?.. იცის, საცოლშვილო კაცი რომ არაა? კიდევაც რომ იცოდეს... ქალები ასეთ ასაკში ამას არ დაგიდევენ. ვინც მის ჯალათ ძმას არ შეუშინდება, უთანაგრძნობს! და რაკი უკრძალავენ, სხვაზე ადრე და იოლად შესცოდავს. მერე, თუ ლეჟავა უარს იტყვის მის შეცდენილ ქალზე, ის გადარეული ღიბრაძე არაფრით არ დაზოგავს. ბიჭის მეგობარი ვინაა, ვინ დაეხმარება მაკას, რომ სიკვდილს გადაურჩინოს დედმამიშვილი? — ვინ და, ჯუმბერ ტყავაძე! ჰო, ჯუმბერ ტყავაძე! თუ არა, ძმა დაეღუპება. მაკას დედ-მამის სიცოცხლე რა სიცოცხლე იქნება, თუ შვილი და მომავალი მოუსპეს ძმა კი არა, ვინ იცის, სხვაც არ მიაყოლოს ზედ; (ვინ? მაკა! — რ. ჩ.) ამ შეშლილისაგან უარესს ელოდება, დის გაბახება ხომ ყანწის გამოცლა არაა!

ჯუმბერი მაშინვე მანქანაში ჩაჯდა და დაჭრილი საავადმყოფოში გადაიყვანა. ექიმებს კარგ საჩუქარს დაპირდა, ცოცხალი გადამირჩინეთო. დაკითხვაზე ღიბრაძის მხარე დაიჭირა, შეურაცხყოფა მიაყენესო".

ეს ადგილი, რომლის ამოხსნას უეჭველად შერლოკ ჰოლმსის საგამომძიებლო უნარი სჭირდება, ფრიად საჭოჭმანო და ნაძალადევად შეთხზული დეტალის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ტყავაძის „ღრმა ჩანაფიქრი" მაკასთან მისასვლელი გზის გამონახვისათვის, ვფიქრობთ, პრიმიტიული, გულუბრყვილო კაცის ჩანაფიქრია, მაგრამ გაკვირვებას იწვევს ამ ჩანაფიქრის ზუსტი პრაქტიკული განხორციელება — პერსონაჟის მოაზრებული გეგმა არავითარ წინააღმდეგობას არ აწყდება, ყველაფერი უმტკივნეულოდ ხდება! მაგრამ ხომ შეიძლებოდა, რო-

ცა ტყავაძე ამ გეგმის განხორციელებას შეუდგებოდა, სინამდვილეში სხვაგვარად წარმართულიყო მოვლენები?! მაგალითად, ხომ შეიძლებოდა ბიჭის, მაკას ძმას, როცა მერის გაიცნობდა, კიდეც შეჰყვარებოდა ლამაზი ქალიშვილი? ან კიდევ: შესაძლოა მართალი იყოს, რომ ვისაც სიყვარულს უკრძალავენ, ის სხვაზე ადრე შეცდეს, მაგრამ ხომ შეიძლებოდა მერი უფრო გონიერი აღმოჩენილიყო და ბიჭის ვერ შეეცდინა? ან რა გარანტია ჰქონდა ტყავაძეს, რომ მერისაც მოეწონებოდა ბიჭი და ამ უკანასკნელის „სიყვარულს“ თანაუგრძნობდა? ანდა, საერთოდ გაუგებარია, რატომ უნდა ყოფილიყო მაკა ლეჟავა ტყავაძის თანამშრომლის ძმის ქორწილში?!

ვიცით, სულსწრაფი მკითხველი ირონიულად გაიღიმებს (თუ არ განრისხდება) და იტყვის: ანალოგიური კითხვების დასმა ხომ ყველა პერსონაჟზე, მოვლენაზე და საგანზე შეიძლებაო, მაგრამ ჩვენი კრიტიკის საგანია ნაწარმოების შემთხვევითი დეტალები, მოვლენის შემთხვევითი განვითარება. ავტორის ჩანაფიქრსა და რომანის მთლიან სიუჟეტურ მიმდინარეობას შორის ლოგიკური კავშირი არ ჩანს, ნაძალადევად მიტმასნილი ეპიზოდები ისეთ შთაბეჭდილებას გვიქმნიან, თითქოს რომანს გარეშე ამბებთან გვქონდეს საქმე, რაც მკითხველს, ცოტა არ იყოს, აბნევს, უსაფუძვლოდ ძაბავს და იმ არარსებულის გახსენებას თხოვს, რის შეთხზვასაც რომანის შინაგანი ბუნება არ საჭიროებს. ტყავაძის თანამშრომლის ძმის ქორწილი არავითარი აუცილებელი ლოგიკის ძალით არაა გაპირობებული. ყოველი დეტალი, პასაჟი თუ სცენა მყარად და ლოგიკურად უნდა იჯდეს სიუჟეტში, მოქმედების განვითარებას ორგანულად უნდა უწყობდეს ხელს.

სწორედ ამიტომ სრულიად ხელოვნური და ნაძალადევი გვეჩვენება ვასასი დეიდახი და მისი ქალიშვილის სახელების მოხსენება, რომლებიც ფიზიკურად არც არსებობენ რომანში. ეს მომენტი მხოლოდ სიუჟეტის გართულებას, უფრო სწორად, გაბუნდოვანებას იწვევს. ჩვენი აზრით, საჭირო იყო სიუჟეტური ქარგის გამარტივება, გაშლა და ლოგიკური განვითარება.

ამ რომანში კი ზედმეტი ადგილები, უფუნქციო მხატვრული დეტალები აშკარად თვალში საცემია. მაგალითად, სრულიად გაუგებარია „ლურჯთვალა ცუცუნიას“ მხატვრული ფუნქცია. რას უწყობს იგი ხელს?! ტყავაძის კომბინატორული ნიჭის მხილებას? ვთქვათ, ასეა, მაგრამ ხომ არ უმხილებიათ ამის გამო ტყავაძე?! ერთი სიტყვით, ცუცუნიას უეცარი შემოყვანა და გაყვანა სრულიად ზედმეტი დეტალია რომანში. ზედმეტი დეტალია აგრეთვე ბიჭის „ორწლიანი თბილისური მივლინების“ ფაქტი და იქ მისი დონჟუანური თავგადასავალი.

ბიჭის მიერ მერის შეცდენა, გასაგებია, ბუნებრივად შეაწუხებს მულის მოყვარულ რძალს — მარგოს, მაგრამ გაუგებარია, ეს უკანასკნელი რატომაა ასე შეშფოთებული იმის შიშით, რომ ქმარი, ეს ამბავი რომ გაიგოს, დასაც მოკლავს და ცოლსაც. რა შუაშია ცოლი?! რატომ ასე საგანგებოდაა ხაზგასმული მარგოს უსაშველო წუხილი?! რით მართლდება მარგოს დეიდის, მაგდანას შიში: „მარგოს მომიკლავს ის უწმინდური (ლიბრაძე — რ. ჩ.). ჩემი ხანდამწვარი დისაგან მაგას ვუყურებ. მომიკლავს, არ იცი?“, კი, მაგრამ რატომ?! ნორმალური, ჯანსაღი აზროვნების კაცი ცოლს რისთვის მოსთხოვს დის გაბახების პასუხს?! ჩვენს ამ ეჭვს იქვე ადასტურებს მწერალი: ლიბრაძემ გაიგო დის მდგომარეობა, მაგრამ არც ცოლი მოუკლავს და, მით უმეტეს, არც და.

დაბოლოს, ამ რომანის ერთ-ერთ არსებით ნაკლად ჩვენ მიგვაჩნია, რომ მასში დასმული პრობლემა — ახალგაზრდა ქალის პრობლემა — მოწყვეტილია სოციალურ გარემოს, იგი განყენებულია, არ ემყარება კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობას, საერთოდ არაა გამოხატული საზოგადოებრივი იდეალი, საერთო ინტერესი, რის გამოც ნაწარმოებში დაკარგულია დროისა და სივრცის გრძნობა. ყოველივე ეს ჭეშმარიტი ხელოვნების აუცილებელი და ორგანული ატრიბუტებია. სწორედ ამ ატრიბუტების უქონლობის გამო ეკარგება ხელოვნებას ესთეტიკური და შემეცნებითი ღირებულება. ეს კი ფრიად დამაფიქრებელი საკითხი გახლავთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მზნანა გვეტაძე

# მრავალგვარობის ერთიანობა

შოთა ნიშნიანიძის პოეზია, აღმოცენებული ქართული პოეზიის ტრადიციებზე, ამავე დროს, არა ერთ ნოვაციას იტევდა, ამიტომაც თავიდანვე დაფიქრებისა და სჯის საბაბს იძლეოდა. ეს პოეზია ყოველთვის იყო თანამედროვეც და სადღეისოც, ამავე დროს, გამიზნული შორეულ მკითხველისთვისაც და ეს, ნამდვილი პოეზიისათვის აუცილებელი პირობა, ზრდიდა მის მნიშვნელობას თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. უნდა ითქვას ისიც, რომ შოთა ნიშნიანიძის პოეზიის მიზანდასახულობაში, მის პოზიციაში, გამოსახვაში, არ ყოფილა ის მაქსიმალიზმი, რომელიც ზოგჯერ ყოველგვარ ფასს უკარგავს არა მარტო ხელოვნების ნიმუშს, არამედ თვით მიზანდასახულობასაც, პოზიციასაც. ნამდვილი მხატვრის უტყუარი ალღოთი პოეტი ზუსტად ახდენს დოზირებას ამ თვალსაზრისით. ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ შოთა ნიშნიანიძის ლექსები მოკლებულნი არიან პათეტიკას — ისინი პათეტიკურნი არიან, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. ყოველივე ეს შოთა ნიშნიანიძის პოეზიის არსებითი და დამახასიათებელი თვისებაა.

შოთა ნიშნიანიძის პოეზიის ტრადიციულობა ქართულ პოეზიისათვის დამახასიათებელ თემებში ვლინდება—პირველ რიგში. ეს არის სამშობლოს თემა. ამ თემის გახსნა ხშირად ფოლკლორთან მონათესავე საწყისებზე ხდება — ეს ტრადიციულია ქართული პოეზიისათვის, არა ერთგზის გამეორებული ბევრი ქართული პოეტის შემოქმედებაში (გიორგი ლეონიძე, ანა კალანდაძე და სხვ.). მაგალითისათვის გავიხსენოთ შოთა ნიშნიანიძის ლექსი „ქართლი“, რომლის ფაქტურა ხალხურ კილოზეა დაფუძნებული:

სანადიროდ წამოსულან ამირან და ძმანი
მისნი,
მთას ირემი აფრენიათ, ცასი წვდება რქანი
მისი.
ჭალა-ჭალა.
კორტოხ-კორტოხ,
მეძებრების ყეფა ისმის.
ვაითუ ირემს მიეწივნენ, ანდა კურდღელს,
ბრალი მისი!
შეშინებულ მწყერჩიტასებრ მიფართხალებს
სერზე ნისლი,
კლანჭიანი აგვისტოს მზე მიმინოსებრ
ცერზე მიზის
— ეს რა ყივის ქარაფიდან?
— კოშკი არის ცამცუმისი!
— კოშკზე ორბი გადაფრინდა
— გული არის დასტურ მისი.

ფოლკლორული პოეზიისათვის დამახასიათებელი ვერც მეტრი და ვერც ტონალობა ვერ შლიან ავტორის ინდივიდუალურ ხელწერას, მის ხედვას: „შეშინებულ მწყერჩიტასებრ მიფართხალებს სერზე ნისლი, კლანჭებიდან აგვისტოს მზე მიმინოსებრ ცერზე მიზის“ — ეს უკვე მხოლოდ და მხოლოდ შოთა ნიშნიანიძეა. პოეტი სავსებით შეგნებულად, გააზრებულად მიმართავს ხოლმე ფოლკლორულ პანთეონსა თუ მელოდიკას ამა თუ იმ ლექსში, როცა ეს მას სჭირდება თავისი ჩანაფიქრის განსახორციელებლად. მეტიც, შოთა ნიშნიანიძე იყენებს ლექსის არქიტექტონიკისათვის ძველ ხალხურ სიმღერებსა თუ საგალობლებს. ასე, მაგალითად, უსათაურო ლექსი, რომელიც ძირითადად აგებულია სიტყვა „გიხაროდეს“ რეფრენზე, ძველ ქართულ საგალობელს „გიხაროდენ“... გვაგონებს. ასევე ლექსი „შენ ხარ ვენახი“ თავისი სათაურითვე მიგვანიშნებს გარკვეულ კავშირს ძველ

საგალობელთან. მაგალითისთვის მოვიყვან ხალხური სიმღერის ტრანსფორმაციის ნიმუშს შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში:

ჩვენი პატარა მდინარეები მორბიან მინდორ-ველად,
მიიჩქარიან, მიიმღერიან: ოდელა-დელა დელა,
ჩვენი პატარა მდინარეები, პატარა წისქვილები ...
სადაც არ უნდა ვიყო ამქვეყნად, სულ თქვენსკენ ვიცქირები
ჩვენი პატარა მდინარეები, პატარა ვენახები ...
სიკვდილის შემდეგ კიდევ მოვკვდები, თქვენ თუ არ მენახვებით.

როგორ არ გავიხსენოთ დიდი დავით გურამიშვილი, რომელიც ლექსებს პირდაპირ აწერდა ამა და ამ ხიმღერის ხმაზე ითქმისო. აი ეს ტრადიციაც ხათანადო გაგრძელებას პოულობს შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში.

შოთა ნიშნიანიძის შემოქმედებაში კიდევ ერთი ტრადიციაა — საქართველოს წარსულის ფრაგმენტების გაცოცხლებისა ქართულ პოეზიაში. პოეტი ხშირად მიმართავს საქართველოს ისტორიას და ჩვენამდე მოაქვს გმირული წარსულის სურათები, წაკითხული ხადღეისოდ, დღევანდელი ტკივილებით დატვირთულნი. ასეთია „თედორე ბერი“ და სხვა საინტერესო ლექსები. უნდა ითქვას, რომ თედორე ბერის სახე არაერთხელ გვხვდება შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში, სრულიად სხვადასხვა განწყობილებების და ხასიათის ლექსებში, როგორც ხიმართლის და თავგანწირულების სიმბოლო. თითქოს მოულოდნელად, მაგრამ ხავსებით ლოგიკურად, გვხვდება იგი ლექსშიც „კომუნისტები“, რომელიც ერთი საუკეთესოთაგანია შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში:

სწორედ დღევანდელ დროს უპატაკებს
და გახლავთ ჩვენი თანამედროვე
ჯორდანო ბრუნო ....
ბულბა ...
სპარტაკი,
ბიჭი გავროში,
ბერი თედორე...

შოთა ნიშნიანიძის პოეტურ წარმოსახვაში ახე ორიგინალურად ერწყმის ერთმანეთს წარსული, აწმყო და მომავალიც და თითქმის ყველაფერი მაინც სამშობლოს თემას უკავშირდება. სამშობლოს თემა მრავალგვარად და მრავალსახოვნად არის წარმოჩენილი შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში, რაც მთავარია, ყოველთვის ჰარმონიულად შემოდის ლექსში;

ადგილის დედაო, შემიფარე, მომე ბედნიერი სიბერე,
ამ მხარეს წყალობას ნუ მოაკლებ, ნურც მშვიდობას და სიმღერებს,
ადგილის დედაო, დამიფარე, გული დამიყენე საგულეს,
შენი ჰირნახული მიწილადე, შენი მყუდროება მარგუნე.
ჩემო საყვარელო ადგილებო, ჩემო მოჰიხვინე რიონო,
როცა დავბერდები — სიბერესთან უნდა შენებურად ვიომო.

შოთა ნიშნიანიძე, ერთი შეხედვით, თითქოს მარტივად წერს, მაგრამ ეს ის ბრძნული სისადავეა, რომელიც გამოცდილ ოსტატებს ახასიათებთ. ამას ადასტურებს ზემოთ მოყვანილი ლექსიც.

ბოლო წლების ქართულ პოეზიაში ერთი საყურადღებო მოვლენა შეინიშნება — ესაა ლირიკულ ლექსში გარკვეული ამბავი, ეპიკურის ელემენტები. რასაკვირველია, ეს მოვლენა საყოველთაო არ არის და მეტ-ნაკლებად ახასიათებს ისეთ პოეტთა შემოქმედებას როგორიცაა, მაგალითად, მუხრან მაჭავარიანი, მურმან ლებანიძე და სხვები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ შოთა ნიშნიანიძის პოეზიისათვისაც ეს ნიშან-თვისება-ეპიკურის ელემენტები ლირიკაში ნიშანდობლივი და დამახასიათებელია. თქმულის დასადასტურებლად არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა. ვთქვათ, ისეთი ლექსისა, როგორიცაა „მზე და ჩრდილები“. ლექსს ჩამოყალიბებული არქიტექტონიკა აქვს პოეტის ჩანაფიქრის განსახორციელებლად. ავტორს პირდაპირ ქვეთავებად დაუყვია ლექსი და ცალკეა გამოყოფილი პატარა ეპილოგიც:

ო, მზეო,
ჩრდილი არ დაგვიკარგო
და სიზმრად დარჩეს, რაც სიზმრად მოხდა.

შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში არა ერთი ლექსი შეგვხვდება ასე პატარა ქვეთავებად დაყოფილი, ასეთ დაყოფას გარკვეული მნიშვნელობა აქვს, რადგან, შ. ნიშნიანიძე ხშირად კომპოზიციურად კრავს ლექსს. ავიღოთ, მაგალითად, ლექსი „გლობუსი“. ლექსის პირველ ნაწილში სკოლის მოგონებებია, მეორეში — უფრო მასშტაბური გააზრება გლობუსისა, ხოლო პატარა ეპილოგი აქაც ცალკეა გამოყოფილი:

მოევლინება მთელ მსოფლიოს განაჩენივით
ჭეშმარიტება მიწის ბრუნვით აღმოჩენილი.

ერთი სიტყვით, ასეთი ხერხებით და ამგვარად არაერთი ლექსია აგებული შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში.

შოთა ნიშნიანიძე თანამედროვე პოეტია და, ბუნებრივია, ბევრი ის ზოგადი ტენდენცია, რომელიც ხაზგასმით ახასიათებს თანამედროვე

პოეზიას, საერთოდ, ახასიათებს შოთა ნიშნიანიძის პოეზიასაც. კერძოდ, ასეთია მისი ზოგიერთი ლექსის მედიტაციური ხასიათი.

ხშირად ლექსში განსჯა ამა თუ იმ საკითხზე გარკვეულ მიზანდასახულობას ატარებს, გამოყენებულია იმისათვის, რომ გამოიკვეთოს ავტორის პოზიცია:

კენჭი ვისროლე მდინარეში
და მიყოლებით
გაჩნდნენ წრეები,
ვით სამიზნე ნიშან-რგოლები,
რგოლები სწრაფად დაისარტყლა და
გაიზარდა
და გაზრდისაგან გაილია ... გაქრა
სრულიად ...
მიზნებისათვის თვალი ხშირად მეც
გამიმართავს, —
მათ ცხოვრებაშიც ასეთივე დასასრული
აქვთ.

ასეთი ხასიათის არა ერთი და ორი ლექსის მოყვანა შეიძლება შოთა ნიშნიანიძის პოეზიიდან, მაგრამ, ვფიქრობ, ისინი ნაკლებ შეესაბამებიან მის პოეტურ სტიქიას, მის პოეტურ ხედვას, ყოველ შემთხვევაში ნაკლებად წარმოაჩენენ იმ ღადებითს, ძლიერს, შთამბეჭდავს, რითაც ხასიათდება შოთა ნიშნიანიძის პოეზია. რასაკვირველია, საქმე სრულებით არ ეხება მცირე ფორმას. ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ ასევე მცირე მოცულობის ლექსი — „ქარი“, რომელიც ჭეშმარიტი შთაგონებითაა დაწერილი, მდიდარია სახეობრიობით და უფრო შეესაბამება შოთა ნიშნიანიძის პოეზიის ბუნებას:

ეს ორი დღეა, მზის მოლოდინში
მთებს მიეძალა ფერები ქარვის,
სახლის კიბეზე, სულ უბოდიშოთ
ბოშა ქალივით ჩამოჯდა ქარი,

ფერად ფოთლებში ურევდა ხელებს
უძინარი და გზებზე ნათრევი
და შემოდგომის ავდრიან დღეებს
მარჩიელობდა ფოთლის კარტებით.

ეს უპრეტენზიო პატარა ლექსი გაცილებით მეტს ამბობს შოთა ნიშნიანიძის პოეტურ პოტენციაზე, ვიდრე ზემოთ მოყვანილი ლექსი.

უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც—მედიტაციური ხასიათის ლექსებში შოთა ნიშნიანიძე ნაკლებ ყურადღებას აქცევს ლექსის მუსიკალურ ჟღერადობას. შეიძლება ეს ერთგვარად გამართლებულიც იყოს—პოეზიაში, სადაც მთავარია აზრი, ნაკლები ყურადღება ეთმობა სხვა აქსესუარებს. მაგრამ სრულიად სხვა პრინციპითაა შექმნილი სხვა ხასიათის ლექსები: მაგალითად ლექსი „ჩქარი მატარებელი“. ამ ლექსში ძირითადად ყურადღება სწორედ ბგერით მხარეზეა გამახვილებული და გარკვეული რიტმული თუ მუსიკალური ერთეულებით, მატარებლის ხმაურის ილუზიაც იქმნება:

ეზო-ეზო, კარიკარ,
ღობე-ღობე, სარისარ,
ეკონება
ბოლი ბოლს ...
გეგონება:
თოვლი თოვს
და მისდევენ ზვრები ზვრებს
უკან-უკან,
ზედიზედ,
შუკა-შუკა
გზები-გზებს და ა. შ.

ეს საკმაოდ მოზრდილი ლექსი, მთლიანად ასეთი პრინციპითაა დაწერილი. ერთიც; იგი უთუოდ გაგვახსენებს ხალხურ „იმერულ მგზავრულს“ და კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ შოთა ნიშნიანიძე ლექსებში იყენებს არა მარტო ფოლკლორულ სახეებს, არამედ ხალხური სიმღერების კილოსაც.

სიმპტომატურია, რომ ის თემები, რომლებიც დღის წესრიგში დგას დღევანდელ ქართულ პოეზიაში საერთოდ, შოთა ნიშნიანიძის პოეზიის ერთ-ერთ ნიშნეულ მხარედ ქცეულა. ასეთია მაგალითად, მიტოვებული სოფლის საკითხი. ეს მტკივნეული საკითხი ბევრი ქართველი პოეტის შემოქმედებაშია წამოჭრილი და, ცხადია, სხვადასხვა პოეტური გზებით გადაწყვეტილი. მიტოვებული სოფლები კი პოეზიაში ცხოვრებისეულ სინათლეს შეესაბამება და ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ყოველგვარი ხელოვნება, ლირიკაც, ასე თუ ისე, ყოველთვის არეკლავს ცხოვრებას. ასეთია ნიშნიანიძის ლექსიც, რომელშიც სიზმრის ასპექტით მოცემულია ის სავალალო მომავალი, რომელიც შეიძლება დატოვებულ სოფელს მოელის.

ლექსი ნიშანდობლივი ფრაზით მთავრდება:

„ღმერთო, ეს სიზმარი ამიხდინე კარგად!“

სიზმრისეული მინიშნებაც შოთა ნიშნიანიძესთან, ეტყობა, ხალხური პოეზიიდან მოვიდა („წუხელ სიზმარი ვნახე, ინით ვღებავდი წვერსა“ და სხვა), თუმცა ეს ხერხი საკმაოდ კარგადაა ცნობილი მოდერნისტული ლიტერატურისათვის.

შოთა ნიშნიანიძის საოცრად ნათელ პოეზიაში, სადაც ყველაფერი ახსნილია და მზამზარეულად მოწოდებული მკითხველისათვის, მაინც აღწევს საგნებისა და მოვლენების განსხვავებული ხედვა და რამდენიმე ლექსი სწორედ ასეთი განსხვავებული მანერითაა შესრულებული. ერთ-ერთი მათგანია მშვენიერი უსათაურო ლექსი, რომელსაც მთლიანად მოვიყვანთ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარავდება მიწა თანდათან,
ზღვაზე წვებიან მწვანე ლანდები,
პატარავდება მიწა თანდათან
და ჩვენც თანდათან ვპატარავდებით.

ნაპირის ზოლი რჩება პირიქით,
წყლის ბალახებით გადანაფარჩი,
შესრიალდებით ცისფერ ბილიკით
წყალქვეშა მღვიმის ცისფერ ზღაპარში...

იძირებიან შორი სივრცენი,
გადასხლეპილნი გზათა შოლტებით
და ერთი რამე აქაც ვიგრძენი —
ის უფრო გიყვარს, რასაც შორდები.

იქ მიცდის ჩემი თავდავიწყება
ჩემი გზები და ჩემი მიზნები...
ნავის კიჩოზე მიწა იზრდება
და მეც მიწასთან ერთად ვიზრდები.

ამ ლექსში ხედვითი, ვიზუალური პლანშია გადაწყვეტილი აღწერილი გასეირნება ნავით. ქვრეტის ასპექტი თან მიჰყვება ნავის მოძრაობას —

პატარავდება მიწა თანდათან,
ზღვაზე წვებიან, მწვანე ლანდები,
პატარავდება მიწა თანდათან
და ჩვენც თანდათან ვპატარავდებით...

ზღვისა და ზეცის უსასრულო სივრცე, „ცისფერი ზღაპარი“ და „მწვანე ლანდები“ არა მარტო დანახულია, განცდილიც არის. მთავარი ლექსში მაინც „მიწის ყივილია“ გრძნობა იმისა, რომ იქ არის პოეტის თავდავიწყება, გზები და მიზნები, რომ უსასრულო სივრცეში პოეტი მხოლოდ „თანდათან პატარავდება“, ხოლო როცა „ნავის კიჩოზე მიწა იზრდება“, პოეტი ამბობს—„და მეც მიწასთან ერთად ვიზრდები“.

განსაკუთრებულ მასშტაბურობასა და ვამომსახველობითობას შოთა ნიშნიანიძე აღწევს ლექსებში, რომლებიც ქართულ მასალაზეა შექმნილი, საქართველოს წარსულს თუ ყოფას ეხება. მისი პოეზიის ჭეშმარიტი და სალი ფესვები სწორედ აქაა. ამ ლექსების სილაღე, სახეობრივი სიმსუყე, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამის დამადასტურებელია:

ჩემმა წინაპარმა ოდესღაც
რიტმი აიტაცა ცულივით,
მინდვრები რიტმებით მოთესა,
მოიკლა ათასი წყურვილი.
. . . . . .
მზე მხარზე გაიდო თოხივით
და მთვარე ნამგლად მოღუნა
და საუკუნეებს მოჰყვის
„ლილეო“
ვარადა“
„ოპუნა“.

შთამბეჭდავია ასეთი ხასიათის ლექსებიდან ლექსი „ხევსური“, რომელიც პოეტმა სამასი არაგველის ხსოვნას უძღვნა. ამ ლექსის ჟღერადობა თითქმის სრულყოფილებამდე აღწევს.

ზაფხულში, აგარაკზე, სალუდე დუქანთან
უკრავდა დაირა და დათვი ბუქნავდა.
ფიცხობდა
სხიოდა მზის ცხელი დაირა
სიცხე გუგუნებდა მთლად დათვისნაირად.
ღრეობდნენ ხევსურნი
და ზორბა ხინკლები
პეშვიდან ხტებოდნენ
როგორც თხის ჯიქნები,
დაჩეხილ ცხვირ-პირზე ეფინათ ხაშხაში
აგვისტოს პირდაპირ ისხამდნენ ხახაში...

ხევსურთა ლხინი მოყვანილ ამონაწერში დახატულია შეუცდომელი ოსტატის მიერ, თითქოს მასტახინით არის შესრულებული, არც არაფერი ზედმეტი და არც არაფერი ნაკლები. ასეთივე ოსტატობით გამოირჩევა შოთა ნიშნიანიძის ცნობილი ლექსი „ხარი“. ლექსი ხარზე თითქოს ნონსენსია, მაგრამ შოთა ნიშნიანიძე დიდ გულწრფელობის და ზომიერების გრძნობის მეოხებით, აღწევს იმას, რომ ლექსი დაუვიწყარი ხდება, ლექსი ჩაფიქრებულია, როგორც თავდადების, კეთილსინდისიერების და თავგანწირვის ოდა, ხაზგასმით ნათქვამია, რომ ეს თვისებები, ზოგჯერ შეუმჩნეველნი და დავიწყებულნიც, გაცილებით მეტს იქმოდნენ, ვიდრე სხვა და შეუცვლელნი იყვნენ ქვეყნისთვის.

ნეტავი ღმერთო, მეც მომცა კანი და მადა
ხარისა,
სიტყვა — ხარივით გამწევი, მამულის
გასახარისად,
ვიყო ხარივით ამტანი, ვიყო ხარივით
მომთმენი,
ჩემი პატარა ქვეყნისთვის მეც შევძლო
ხარისოდენი.

ამბობს პოეტი ლექსის დასასრულს, ხოლო ხარის შესხმა ლექსში იწყება ჯერ კიდევ წარმართობის დროიდან — „და ხარი ღმერთად ვიწამე, გწირე და გწირე ზვარაკი“, შემდეგ —

ძეობა იყო — გლეხკაცი ისევ შენ გდებდა
იმედებს,
ღრეობა იყო, ვაიმე, ისევ შენ
გამოგიმეტეთ.
ქორწილი იყო... ვაიმე, მტკიოდა, კიოდა
გული სალადრე,
წამოგაქციეთ ნაჯაფი და ყელი
გამოგალადრეთ...

შოთა ნიშნიანიძეს აქვს არაერთი მიძღვნითი ხასიათის ლექსი, შთაგონებული ახლობელი ადამიანებით („ბაბუა“), თუ ჩვენი სახელოვანი თანამემამულეებით („მესიზმრა გიორგი შატბერაშვილი“, „მცხეთის ქალაქს მირონი დუღს და სხვა.). ყოველ ასეთი ხასიათის ლექსში, საოცრად მკვეთრადაა გამოკვეთილი ის პიროვნება, რომელსაც ეძღვნება ლექსი. მოძებნილია რაღაც აუცილებელი დეტალები, შტრიხები, რომელნიც ყველაზე უკეთ ახასიათებენ მიძღვნის ობიექტს. კონსტანტინე გამსახურდიასადმი მიძღვნილ ლექსში ხშირად მეორდება სინტაგმა „კონსტანტინე ბატონო“, და ეს, ერთი შეხედვით, უბრალო მიმართვა ქმნის სწორ და ზუსტ განწყობას ლექსში:

მკათათვეში თრიალეთზე ცაა უკაბადონო
იქნებ კვეტარს ესტუმრებით,
კონსტანტინე ბატონო,
ვით დაჭრილი მეციხოვნე ჰირის
ოფლგადასხმული,
შენი სიტყვის მალამოთი ცაამრთელე
წარსული.
გამოდგება ქართულ მთებზე დილა
საიადონო
და ქუდს გიხდის საქართველო,
კონსტანტინე ბატონო!

სულ სხვანაირად აჟღერებს ლექსს უბრალო მიმართვა „ბონდოია ბიჭო“, რომელშიც ავტორი თავის თანატოლს და თანასოფლელს იგონებს. საოცარი ინტიმი ლექსისა, შთამბეჭდავს ხდის მას:

ბონდოია, ბიჭო, მარწყვი დამწიფებულა!
წისქვილებში წყალი მიჩიფჩიფებს
ბებრულად ...
დედაშენი, ბიჭო დარდით გაგიჟებულა
მამაშენი, ბიჭო მხოლოდ გაკვირვებულა ...
გაზაფხულზე მეწყერი მოდის რა
უბედურად!

ფაქტით, რეალური ამბავით, რეალური პირებით, სულ უფრო და უფრო დაყურსული მხატვრული ლიტერატურა. ეს ტენდენცია სულ უფრო და უფრო შესამჩნევი ხდება. სხვაგვარი განსახიერება აქვს მას პროზაში, სხვაგვარი პოეზიაში, მაგრამ მაინც უდავოა, მისი მნიშვნელობა და ხვედრითი წონა დღითიდღე მატულობს. აქ შეიძლებოდა უამრავი მაგალითის მოყვანა დაწყებული ფუჩიკითა და სენტ-ეგზიუპერით, სამამულო ომზე დაწერილი რომანებით დამთავრებული. ის რომ, ცოცხალი ადამიანები თუ რეალური მოვლენები ამაღლებულნი არიან მხატვრულ განზოგადოებამდე და მხატვრული სახეები, დაყვანილნი რეალობამდე, ვიმეორებ, შესამჩნევი ტენდენცია გახდა დღევანდელი ლიტერატურისა, თუმცა მას თავისი ისტორიაც აქვს — ბიოგრაფიული რომანებით დაწყებული, ნარკვევებით დამთავრებული. მაინც დღევანდელობის ლიტერატურა ყველაზე უფრო ნიშნეულად ატარებს ამ ტენდენციას. ქართულ პოეზიაშიც შესამჩნევია იგი. თითქმის არ არსებობს ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ჩვენი თანამედროვე პოეტი, რომლის შემოქმედებაში არ შეხვდებით რეალურ პიროვნებებს. შოთა ნიშნიანიძის პოეზიაც არ არის გამონაკლისი ამ თვალსაზრისით. ხდება ხანდახან ასეც — დიდი განზოგადების ფაქტი, დაკონკრეტებულია ერთ მხატვრულ სახეში და ამის შემთხვევაც არის შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში, ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ მშვენიერი ლექსი „ბიჭო, გოგიაˮ (სათაური, ცხადია, ფოლკლორითაა შთაგონებული):

ოცი წელია დაკარგულა შენი ღიმილი,
სატრფოს კაბაზე ოცი წლის წინ ამწყდარ
ღილივით ...
ვიცი, ჩვენებურ ხვილიფებში წოლა
გერჩია,
შენი საფლავი კი ყურლანზე, სადღაც
ქერჩშია,
ნუთუ ღრუბელი ჯავრიანი და მოწყენილი
არ დაგფენია სამარეზე მამის წვერივით ...

სამამულო ომის თემაზე შოთა ნიშნიანიძეს ბევრი ლექსი აქვს შექმნილი და, უნდა ითქვას, რომ თითქმის ყველა ამ ლექსთაგანი გაცილებით უფრო განზოგადებულია, ვიდრე მხოლოდ სამამულო ომის ფარგლებში მომხდარი ამბავი. ვთქვათ, ლექსი „უავარჯნიანი“. უავარჯნიანი კაცის ტრაგედია ყველა დროის და ყველა ომის ტრაგედიაა, ამიტომაც ასე მკაფიოდ ჟღერს ლექსის ფინალი:

ო, სულო ტყისა,
დედავ ხისა —
ფესვო და ყლორტო,
ნუ გაიზრდებით ნურასოდეს
სახრჩობელებად,
ნურც ნურასოდეს დაითლებით საფლავის
ჯვრებად,
ნურც ნურასოდეს ყავარჯნებად გაგთლიან...
ამინ!

შოთა ნიშნიანიძის რამდენიმე ლექსში („წუთები“, „შემოქმედება“ და სხვ.), გადმოცემულია ავტორის დამოკიდებულება თავის ხელობასთან, თუ შეიძლება ასე ითქვას. პოეტი ხაზგასმით აღნიშნავს თავის კავშირს გარესამყაროსთან, განსაკუთრებით ბუნებასთან. ბუნება მისთვის ქცეულა არა მარტო შთაგონების წყაროდ, არამედ სიმშვიდისა და სულიერი სიმრთელის წყაროდაც.

ფოთოლი, სხივი, ნისლის ნაფლეთი
ფერი თუ სიტყვა ასჯერ ნახმარი,
ძველია, მაგრამ მაინც მაფეთებს —
აღმოჩენაა თითქოს ახალი.

სიტყვა მაცვია ჯაჭვის პერანგად
მუხის ფოთოლი, მზე და მტევანი
და ცხოვრების გზაც ვერ მივერაგებს
გრძელი იქნება თუ უტევანი.
(„წუთები“)

ლექსში „შემოქმედება“ ბუნებასთან დამოკიდებულება, გაცილებით უფრო რთულ ასპექტშია გადაწყვეტილი. ერთგვარი პანთეიზმი შოთა ნიშნიანიძისა, რომელიც მის არაერთ ლექსში გამოსჭვივის, აქ უფრო ჩამოყალიბებულ სახეს ღებულობს.

შოთა ნიშნიანიძეს აქვს ერთი ლექსი, სათაურით „უოლტ უიტმენი“ — „ბალახის ფოთლები“. ეს ლექსი ბევრ რამეს გვეტყვის ქართველი პოეტის შემოქმედების გასათვალისწინებლად, იქნებ ზემოთმოყვანილი ამონაწერიც უფრო გასაგები გახადოს. შოთა ნიშნიანიძე დაუფარავად გამოსთქვამს თავის დამოკიდებულებას დიდი უიტმენისადმი და ამბობს:

მე ის ბწკარები მიწიერი თუ ღვთაებრივი
დამიტეხია იმერეთში ტაროებივით...
ბწკარებს ვეხები,
ბალახებს თუ
ბიბლიურ წვერებს?
ჩვენი გულები ერთი აზრით და სუნთქვით
ძგერენ.
ჩემს გაჩენამდე გიყვარდი და კიდეც
მელოდი,
ბალახის წიგნად მოატანე საქართველომდე.

უიტმენის კეთილისმყოფელი გავლენა შოთა ნიშნიანიძის არაერთ ლექსში იგრძნობა. თქმულის დასადასტურებლად რამდენიმე მაგალითი:

მადლობელი ვარ, გალობავ ჩემო,
მაგემე შენი ტკბილ-მწარე გემო,
მცირე კვირტიდან გამომძალე
ყლორტების სახით,
რტოდ ამომზარდე და ნაყოფიც დამასხი
უხვად!
უბერებელი ფესვი მაქვს სალი —
რკოში მეძინა ბუმბერაზ მუხას
წვეთი ვარ,
მაგრამ ჩემში მარხია
კოკისპირული წვიმების დელგმა.
მე ვარ წერტილი
და
მე ვარ ყველგან

(„იდუმალია გალობა მადლი ...)

ანდა გავიხსენოთ შოთა ნიშნიანიძის ლექსი „ბალახი“

სად არ ჩნდება, ფოთოლს სად არ ამოყრის
ეს სიცოცხლის ყიჟინა და ამბოხი!
მისი ფერი, სიკერპე და სინედლე
დავამყენი ჩემს სიტყვას და იმედებს.
დე, სიცოცხლით მარად გაუქურდავი
იყოს სიტყვა, ბალახივით უკვდავი.

უიტმენისეული კოსმიზმი, მისეული ბუნების შეგრძნება და ბუნებაში, ასე ვთქვათ, განზავება, ქართველი პოეტის შემოქმედებასაც ახასიათებს. საერთოდ, უნდა აღინიშნოს ,რომ უიტმენის ძლიერი გავლენა მსოფლიო ლიტერატურაზე, საკმაოდ ხაზგასმული გამოდგა თანამედროვე ქართულ პოეზიაშიც. შორს რომ არ წავიდეთ, საკმარისი იქნებოდა ისეთი პოეტების დასახელება, როგორნიც არიან მუხრან მაჭავარიანი და შოთა ნიშნიანიძე. ეს სრულიად ხელშესახებად იგრძნობა.

ბუნების განცდა მეტად გამძაფრებულია შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში. თითქმის ყველა ლექსში, ასე თუ ისე, მეტად თუ ნაკლებად, გამოთქმულია მასთან დამოკიდებულება. ხანდახან ეს ამძაფრებს რაღაც ფსიქოლოგიურ მომენტს, ხანდახან ღრმა განსჯის საფუძველი ხდება, ხანდახან უბრალო ჟანრული ჩანახატის დონეზე რჩება. შოთა ნიშნიანიძეს აქვს პატარ-პატარა ლექსები, სულ ერთი-ორი ტაეპის მოცულობისა, რომლებიც მხოლოდ პეიზაჟის დახატვის სურვილითაა შთაგონებული. ასე, მაგალითად:

მთავრეხილები
ნისლებში და ზღაპრებში ყვინთავს,
გადადის ქამი ზღაპრებისგან გაუყოფელი.

აისი წითელქუდასავით გამოდის ტყიდან
და მარწყვივით სავსე კალათივით მოაქვს
სოფელი.

ანდა:

ნისლი ზმორებით ადგა მიწიდან
მოოქროვილი და მოვერცხლილი.
სარზე მამალმა ხმა ჩაიწმინდა, —
მზე გადაყლაპა თოხლო კვერცხივით.

ამ პატარა, უპრეტენზიო ლექსებში კარგად ჩანს ორიგინალური ქვრეტის მხატვარი და მისი მიდრეკილება მეტაფორული აზროვნებისაკენ.

ცალკე შეიძლება გამოიყოს შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში ისტორიულ თემაზე შექმნილი ლექსები. ყოველი მათგანი გამთბარია საქართველოს დიდი სიყვარულით, მათში ცხოველია ისტორიის შეგრძნება და მტკივნეულადაა განცდილი ყველა სატკივარი. ამ ლექსთაგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „მონღოლები“. მონღოლების განსახიერებას, როგორც სტიქიური ძალის, როგორც რბევისა და ნგრევის ძალისა, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში კარგა

ხნის ისტორია აქვს. არა ერთ და ორ ლექსში გამოქროლილა მონღოლთა ცხენების მიერ დამდგარი კორიანტელი. უნდა ითქვას, რომ შოთა ნიშნიანიძის ლექსი თამამად ამოუდგება გვერდში პოეზიის ბევრ შედევრს:

ცხენის ძუაზე გამობმეს მთელი აზია
და ველურ სტვენით მიათრიეს ქვეყნის
კიდემდე ...
მათ ნატერფალებს სიკვდილი და ყვავი
ასხია ...
სამრეკლოებზე ზარს ხსნიან და ჰიხვინს
ჰკიდებენ.

განსაკუთრებით ძნელია მონღოლების გახსენება საქართველოსათვის, ამიტომაც სავსებით ბუნებრივად ჟღერს შოთა ნიშნიანიძის:

ხელში ავიღებ მტევანივით გათქერილ
თარიღს
და ეხლა ვხვდები:
ამ დროს ქართლში მეცა ვარ მკვდარი!

ლექსის დინამიკა განსაკუთრებით მძაფრს ხდის აღქმას. ყოველი ფრაზა ამ ლექსში საოცრად ზოგადია და ამავე დროს საოცრად კონკრეტულიც. თვალსაჩინოა ლექსის სახეობრივი სიმდიდრეც:

ძლივს გამოვდივარ წარსულიდან და
მოგონება
ნაშუბარ ჯაჭვის პერანგივით მერღვევა
ტანზე ...

თითქმის ასეთივე სრულყოფილებას აღწევს ლექსი „მამელუკები"; საოცარი ბედისა და იღბლის ქართველები ამ ლექსში დიდი ტკივილით არიან დახატულნი თუ ლექსში „მონღოლები" პოეტი ჩანს როგორც მომხდარი ამბების თანამხილველი და თითქოს თანამონაწილეც — ასეთია ლექსის პოეტური ჩანაფიქრი, — „მამელუკები" სხვა პრინციპითაა დაწერილი. ლექსის პირველი სტრიქონებიდანვე ავტორი ხაზგასმით მიგვინიშნებს, რომ ის სხვა დროიდან ჭვრეტს მამლუკების ბედს, რომ მას თავისი დამოკიდებულება აქვს მათდამი. ბრეხტისეული „გაუცხოებურების" ეს ერთგვარი ტენდენცია, ნათლად ჩანს ამ სტრიქონებში:

ავიღებ მეგრულ შეცხადებას
და ანძის ჭრთალს ...
ბორკილის ჩხარუნს,
ყრუ ბაიათს
და ბაზრის ყაყანს ...
ბოჩოლა ბიჭთან დავაყენებ საჭურისს
ჩიას,
დავხატავ ოქროსბეჭებიან ჩალმიან ალას;
ავიღებ ისარს, ცხენთა თქარუნს, ხმლების
კაფიას
და ასე დავწერ მამელუკთა ბიოგრაფიას.

ამ ლექსშიც თავს იჩენს ავტორის გრძნობა ისტორიზმისა, რაც მთავარია, ამ ლექსშიც მოცემულია ცდა მოვლენების უფრო დიდი განზოგადებისა, თვალნათლივ ჩანს ავტორის დიდი შესაძლებლობანი:

და მიჰქრის ჟამი სიკვდილივით
დაუურველი,
ქვიშაში ჰყრია ლეგენდები და სულს
ლაფავენ,
მზე კი ტორებს სცემს არაბული
ბედაურივით
მამელუკების დაუტირავ უცხო
საფლავებს.

ცალკე შეიძლება გამოიყოს აგრეთვე შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში იმერეთის თემა. საოცარი კოლორიტით გაშუქებული ეს ლექსები, ერთერთ შთაგონებულ ფურცელს წარმოადგენენ პოეტის შემოქმედებაში.

გიორგობის თვეში
ნუნუა წვიმს ჩვენში,
გალეშილი ოჩოკოჭი დაჩინდრიკობს ტყეში
გარბიან და გამორბიან გზები ალთაბალთას
და ღლაბუცობს ოჩოკოჭი ოქროსთმიან
ალთან.
რა ხანია არღნის ხმები აღარ ესმის
იმერეთს,
დიდ-გარმონით აფიცხებენ მაჭახელა
სიმღერებს.
(„იმერეთი ... გიორგობისთვე").

ამ ლექსებში პოეტი ჭარბად ხმარობს იმერიზმებს („დაჩინდრიკობს", „ეკურკურა" და სხვა), მაგრამ ისინი სრულებით არ გჭრით ყურს ისე არიან ორგანულად ჩამჯდარნი კონტექსტში. არ უნდა გვეგონოს, თითქოს იმერეთის ციკლის ლექსები მარტოოდენ ჟანრულ ჩანახატებს წარმოადგენენ. შოთა ნიშნიანიძისათვის იმერეთის თემა ხშირად ხდება საბაბი თქვას დიდი და მნიშვნელოვანი, მარადი და საყოველთაო, თუნდაც ასეთი:

აქ ტირიფების თეთრი ფეხებით
აპრილმა ბევრჯერ გადაირბინა,
ეს მერამდენედ ყელზე მეხვევა
ჭალიკონი და ჭალა ბიბინა.
გადაირბინა ამ ბონდის ხიდით,
გადაირბინა ჩემმა ბავშვობამ
და მოგონებებს ტანზე რომ ვიხდი
არ უწერია მზეზე გაშრობა.
(„ბონდის ხიდი").

შოთა ნიშნიანიძის მხატვრული სახეები უმთავრესად და ხშირად შენდება გაშლილი მეტაფორის პრინციპით, მაგალითად:

ხარი საკანში ჩატენის ბღავილს
როგორც ჩანჩქერის ხმაურს და ღრუბელს.
(„ათი მოკლული წერო“)
და ემ ხვრეოდა ფეხქვეშ სიჩუმე
როგორც ჩინჩხვარი ან ქვამარილი.
(„თეთრი ფაშატი“ )

პოეტი თვითონაც გრძნობს თავის გატაცებას მეტაფორით — ეს მისი პოეტური ხელწერაა. მას სულ პატარა ლექსიც აქვს, რომელსაც ჰქვია: „ჩემი პირველი მეტაფორა“:

ჯერ სულ ბავშვმა
მზე აღდგომის კვერცხს შევადარე,
ბწკარს მოჰყვა ბწკარი —
მოფათქუნე ფრთებივით მერცხლის...

ღამით კი, როგორც მეტაფორა ელავდა
მთვარე —
ნაჭუჭგაცლილი აღდგომის კვერცხი.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შოთა ნიშნიანიძის შემოქმედებაში, მეტაფორა არასოდეს, ან, უფრო სწორად, იშვიათად ატარებს თვითმიზნურ ხასიათს, თითქმის ყოველთვის იგი ორგანულად ზის კონტექსტში.

შოთა ნიშნიანიძისათვის ჩვეულია ლექსში სხარტი, ლამაზი აფორისტული გამოთქმები ზოგჯერ მთელი ლექსი ჩანს დაწერილია იმიტომ, რომ მწერალმა ის ერთი, მთავარი აზრი, ლამაზ გამონათქვამში ჩამოყალიბებული სთქვას:

სწორი პასუხი სად არის თორემ,
კითხვა ისედაც ყველა სწორია.

მთელი შემოქმედება შოთა ნიშნიანიძისა უამრავ კითხვას შეიცავს. მაგრამ არაიშვიათად არის გაცემული პასუხიც — უფრო სწორად მკითხველი ყოველთვის გრძნობს პოეტის პოზიციას, მაშინაც კი, როცა კითხვა თითქოსდა ღია რჩება:

ქვა ქვაა,
მაგრამ ბედისწერა განაგებს ქვასაც,
ზოგი ჩუქურთმით იფარება და ზოგი
ხავსით,
ზოგი იქნება ობელისკი, ზოგი ბილიწვა,
ზოგი სამსხვერპლო ქვა იქნება ან
ბაზილიკა.
ზოგი ტირილით და ანდერძით
დაიკაწრება...

ქვით, ქვით აშენეს დილეგებიც და ღვთის
ტაძრებიც!
უმრავლესობა მხოლოდ ქვაა,
ქვაა უბრალო...
. . . . .
ესეც ბედია, ბედი უფალო?

პოეტის შესაძლებლობანი განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა პოემაში „აქილევსის ქუსლი და ფარი“. ამ პოემაში დროის საკმაოდ დიდი მონაკვეთია აღებული — ომამდელი, ომისა და მშვიდობიანი ცხოვრების პერიოდები. ამ დროში კი ჩვენს ცხოვრებაში ბევრი რამ მოხდა, ადამიანის სულიერი წრთობის და დავაჟკაცების თვალსაზრისით. პოემის მთავარი გმირი, მხატვარი ჯოკია ლაშხი, რთული ბიოგრაფიის პატრონია. მწერალი თითქოს სპეციალურად გაატარებს მას ცხოვრების ყველა რთულ პერიპეტიაში, აგემებს ბევრ ტანჯვას და ბევრ სიხარულსაც. პოემის სათაური სიმბოლურია — აქილევსის ქუსლი და ფარი, სისუსტისა და სიძლიერის განსახიერებაა, შესაბამისად ავისა და კეთილის განსახიერებაც, რითაც ასე ცვალებადია ადამიანის ცხოვრება. მთავარია ჰპოვო სწორად სავალი გზა, არ უღალატო შენს კეთილშობილ პრინციპებს, იცხოვრო ისე, რომ უფრო მკვეთრად შეიგრძნო ცხოვრების ბრძნული სიმშვენიერე — აი ესაა პოემის დედააზრი. პოემის ეპიგრაფი: „ქალღმერთმა თეტიდამ თავისი პირმშო აქილევსის უკვდავების ემბაზში განბანა. ჩვილის ქუსლს, რომელზედაც ხელი ეკიდა მშობელს, ემბაზი არ შეხებია და აქილევსსაც მხოლოდ მაშინ ეწერა სიკვდილი, თუ ქუსლში დაჰკოდავდნენ.

ღმერთმა ჰეფესტომ აქილევსისათვის გამოჭედილ ფარზე ორი ქალაქი გამოსახა: ერთში ქორწილი და დღესასწაულებია, მეორეში — ომი ... ფარზე გამოსახულია ადამიანთა ცხოვრების მთელი ავ-კარგი და ბრძოლა მისი ღირსებისათვის“.

თანამედროვე ლიტერატურაში, კერძოდ ქართულ ლიტერატურაშიც, მეტად პოპულარული გახდა მითოსის გამოყენება. მითი თანამედროვეობაში, რასაკვირველია, გარკვეულ ტრანსფორმაციას განიცდის, მასთან დაკავშირებული თანამედროვეობისათვის მტკივნეული საკითხებია, უპირველეს ყოვლისა, წინ წამოწეული. ეს ტენდენცია სავსებით აშკარაა და დღევანდელი ლიტერატურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დამახასიათებელ თვისებად იქცა. შოთა ნიშნიანიძეც პოემის წინათქმაში მიგვანიშნებს თავისი ნაწარმოების შინაგან კავშირზე მითთან:

ასე, კუს ზურგზე შევსვი პოემა
როგორც ძველ დროში რწმენა და მითი,
არის მიზანი,
გზაც იპოება,
კუც მიზნისაკენ მიდის და მიდის...
ასე წვეთ-წვეთად და მისხალ-მისხალ
ვთქვი სასურველიც და მოსარიდიც.
. . . . .
მინდა ავუბა მხარი დროებას
და მინდა — მსგავსმა შეიცნოს მსგავსი...

მაგრამ უნდა ვთქვა, რომ „აქილევსის ქუსლი და ფარი“, თავისი დასათაურებისა და ავტორისეული წინათქმის მიუხედავად, მითოსთან შედარებით ზედაპირულადაა დაკავშირებული, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო. რასაკვირველია, ეს ოდნავადაც არ ბღალავს პოემის ღირსებას, უბრალოდ არც სიუჟეტური ქარგა პოემისა, არც პოემის მხატვრული სახეები არ დაკავშირდა მითოსურ სახეებთან, მხატვრული სიმართლის იმ საწყისით, რომელსაც შემოქმედის ინტუიცია ჰქვია; ჯოკია ლაშხის ცხოვრების ეპიკურმა, რეალისტურმა ჟამთაღწერილობამ პოეტს არ მისცა ამის საშუალება. უნდა ითქვას, რომ პოეტს საკმაოდ რთული ჩანაფიქრი ჰქონდა და მისი ღირსეულად განხორციელების სურვილმა, ერთგვარად განაპირობა პოემის არქიტექტონიკის ექსპერიმენტალური ხასიათი. აქ მთავარი სიუჟეტური ხაზის გვერდით, რომელიც წმინდა ეპიკურ პლანშია გადაწყვეტილი, ხშირია ლირიკული ჩანართები, რომელნიც პოემის ლირიკულ კონტრაპუნქტს ქმნიან. გარდა ამისა, პოემის ეპიკურ ნაწილში ავტორი იყენებს პროზაულ ჩანართებს, ვთქვათ ასეთს: „ახლად გაცნობილი კაცი სპორტის ოსტატი, ჩეკისტი აბელ როგავა გახლდათ, მან ჯოკიას დიდი წარმატებები აღუთქვა მძლეოსნობაში და ურჩია მასთან ევარჯიშა სექტემბრიდან „დინამოს“ სტადიონზე. შინ მობრუნებულ ჯოკიას მაგიდაზე ბუბას მოტანილი ორი ბილეთი დახვდა“, და ასე ამგვარად. მეტიც. პოემის ეპიკურ ნაწილში ჩართულია მთელი ნოველა „პროვოკატორი თხა“, სალახის ნაამბობი, რომელშიც მთლიანად დაცულია მთხრობელის სტილი და ჟარგონიც. ანდა გავიხსენოთ პატიმართა მიერ თავისი თავგადასავლის თხრობა ციხეში — პოემაში ჩნდება პატარა ქვეთავები — „აქ ამბავი მუხიანელი გლეხისა და ერთი ფათერაკიანი დღისა“, „ამბავი მართალი ჰიანჭველასი“. ნოველებისა თუ მოთხრობებისათვის ჩვეული კონსტრუქცია — ერთი გამაერთიანებელი ამბავი, ჩარჩო და შიგ ჩართული დამოუკიდებელი ამ?-ბი, ამჯერად პოეზიაშია გამოყენებული და საკმაოდ ეფექტურადაც — პოეტი ახერხებს ყოველ ამბავში შეინარჩუნოს მთხრობელის ინტონაცია, სტილი, ეს კი საკმაოდ რთული ამბავია ლექსში. პოემის ამ ნაწილის ერთ პატარა მონაკვეთს ავტორმა ასეთი სათაური მისცა — „ნოველა-დიალოგი“ მოგვყავს იგი მთლიანად:

— ცოლიანი ხართ?
— დიაღ ბატონო.
— შვილები თუ გყავთ?
— არა ბატონო.
ახლა შევირთე ... სულ ახლა ... მარა,
მგონი დავღუპე ი უპატრონო
მთლად ბალანაა ...
— ლამაზიც, არა!
— რავა, ქე იცნობთ ჩემს ქალს, ბატონო?

ეროვნული

აი, ასეთი გაბედული ავტორისეული ხილვები გვხვდება პოემაში და უნდა ითქვას რომ ყველაფერი ეს ზრდის მის დინამიკას და ეფექტურს ხდის პოემას საკითხავად.

პოემას ეტყობა უკვე გამოცდილი მხატვრის ხელი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „აქილევსის ქუსლი და ფარი“ საკმაოდ დიდი ნაწარმოებია მოცულობის თვალსაზრისით. მაინც, მე ვფიქრობ, შოთა ნიშნიანიძის შესაძლებლობანი გაცილებით მკვეთრად გამოჩნდა პოემის ლირიკულ ნაწილში, რომელიც ერთ-ერთი შთაგონებული ფურცელია პოეტის შემოქმედებაში. შესაძლოა ეს იმიტომ, რომ პირადად ჩემთვის ეპოსს პოეზიაში, ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც მას ანტიკურ ეპოქაში ჰქონდა, შეუმცირდა. მე პოემის გარშემო მოკამათეთა იმ რიცხვს ვეკუთვნი, რომელთაც ცუდ ლირიკულ პოემას, კარგი ეპიკური პოემა ურჩევნიათ, მაგრამ კარგ ეპიკურ პოემას, კარგი ლირიკული პოემა. ცხადია, საკითხი არც ისე მარტივია — არამარტო გემოვნებაზეა საქმე. უბრალოდ, დრომ, ვითარებამ, ბევრი რამ შეცვალა არამხოლოდ მხატვრულ აზროვნებაში, არამედ მის აღქმაშიც. კლასიკა რჩება კლასიკად, დღევანდელობა კი ბევრ ტრადიციას უცვლის იერს, კი არ უკარგავს, უცვლის. მე პირადად დღეს მიჭირს ლირიკით განუზავებელი ეპიკური პოემის წაკითხვა — მხოლოდ მოვლენათა აღმწერლობა პოეზიაში არ მაღელვებს. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეპიკური პოემა კვდება, როგორც წინასწარმეტყველებენ ბევრნი. ყოველ დროს შეიძლება ადამიანმა მიზნად დაისახოს ამა თუ იმ ჟანრის ნაწარმოების შექმნა, ვთქვათ ანბანთქება დაწეროს, საკმაოდ მაღალმხატვრულად (ეს დამოკიდებულია მის უნარზე), დაისახოს მიზნად, თუნდაც უბრალო წინაალმდეგობის სურვილით აღჭურვილმა. მაგრამ ეს არ იქნება დროის ტენდენციის გამოხატვა, არ იქნება ლოგიკური ამა თუ იმ მომენტისათვის. ჩვეულებრივი ფაქტის კონსტატაცია კი ასეთი იქნება — პოეზიაში ლირიკამ დღეს წარმმართველი ადგილი დაიმკვიდრა, სულ უფრო იზრდება ლირიკული ციკლების, ლირიკული პოემების ხვედრითი წონა. პიროვნული საწყისის გაძლიერება, მედიტაცია, ანალიზი, ერთგვარად საზღვრავს ამ მოვლენას. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს, რომ პოეზია დაწვრილმანდა.

შოთა ნიშნიანიძის პოემაში „ლირიკული ინტერმეცოები“ (ც. გამსახურდია), ყოველთვის დიდი სოციალური ჟღერადობით არიან დატვირთულნი. ეს გასაგებიცაა — ისინი პოემაში ჩნდებიან, როგორც გარკვეული პასაჟის, დრო-

ის თუ პიროვნების ერთგვარი დახასიათებანი. ვიმეორებთ, პოემის ლირიკული ნაწილი, ჩვენი აზრით, გაცილებით უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს.

პოემაში საკმაოდ ბევრია სტრიქონები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ განსჯის ხასიათს ატარებენ, ასეთი ხასიათის სტრიქონებს ხშირად ამშვენებს აფორისტული, სხარტი გამონათქვამი, მაგალითად, რეფრენივით არაერთხელ გამეორებული:

მე რაც წამაქცევს
ის ტიტანია,
და რაც აღმადგენს
იგი ღმერთია ...

ან:

დასაბამიდან ხორბლის მარცვლიდან
მხოლოდ და მხოლოდ პური ამოდის!...

ო, რა ძნელია აღიარება
და უარყოფა რარიგ ადვილი!

ეს თითქოს მარტივი, ზოგჯერ ტრივიალური გამონათქვამები, კონტექსტში განსაკუთრებულ ქღერადობას იძენენ და თავისებურ ელფერს აძლევენ შოთა ნიშნიანიძის მედიტაციას. მაგრამ სულ სხვანაირი ხდება ლექსის ფაქტურა, როცა არა განსჯასთან გვაქვს საქმე, არამედ აღწერასთან. პოემაში არის ერთი ასეთი საინტერესო ავტორისეული სვლა, ჯოკია ლაშხია უვება, რომ მან დახატა სურათი „ნახიმოვი" და მერე მთელი პატარა თავი დათმობილი აქვს ამ სურათის აღწერას. თითქოს იშლება სივრცე, ტუდება სურათის ჩარჩო და ჩვენ უკვე ნახიმოვის ბრძოლის თანამონაწილენი ვხდებით:

ზღვაში ეშვება
მზის ჟღება
წითელი დისკო
ზედ გემის ანძა გატეხილი ჯვარივით
მოსჩანს,
დაწყვეტილია ჰორიზონტი ბაგირის სისხო,
ნაპირზე გემი გარიყულა ვეშაპის ჩონჩხად.
მზეს მიშვერილი ზარბაზნები ანთხევენ
დაისს,
თითქოს ჰურვები მინავლებულ მზეში
ცვივიან,
ცეცხლს უმატებენ, ათბობენ და
მზე კვდება მაინც...
მაინც სიკვდილი და სიცივეა...

„აქილევსის ქუსლსა და ფარში" გვხვდება პოეტური რემინისცენციები. ასე, მაგალითად, პირველი წიგნის დასასრულმა არ შეიძლება არ გაგვახსენოს სერგო კლდიაშვილის „ჭინკა ბიჭები":

ბროწეულიან შუკებს მივყვები,
აქ ყველგან, ყველგან მყვანან მოყვრება,
ყოველ ჭიშკართან მინდა ვიჭექო:
— გამოდით გარეთ, სახლისკაცებო!
. . . . . . . .
ჭინკა ბიჭებო,
ვერ დაბერდებით,
მალე გახდებით ქერჩის ბელტები
ჯერ კი ადრეა გარდუვალობა
თუმცა სვასტიკა კრუნჩხავს ევროპას ...

მაგრამ ხანდახან პოეტი სავსებით შეგნებულად მიმართავს პოეტურ აპლიკაციას და ოსტატურად იყენებს მას. ესპანეთისადმი მიძღვნილ სტრიქონებში მთელი მონაკვეთია დაწერილი სვეტლოვის ცნობილი „გრენადას" გამოყენებით, რომელიც თითქმის ხალხური გახდა. მოვიყვანოთ ნაწყვეტი პოემის ამ მონაკვეთიდან:

და ახლა, როდესაც ალისფერ ესპანეთს,
დაეცა ფაშიზმის ჩერო, —
ძველ მეომრებივით შევხვდებით
ერთმანეთს

გრენადა,
გრენადა;
გრენადა ჩემო!

არა იარები, ვაზნები დავთვალოთ
დროშა ცეცხლისფერი ავწიოთ ზემოთ.
ჩემი სიჭაბუკის სიმღერავ მართალო,
გრენადა,
გრენადა,
გრენადა, ჩემო!
ამ სიტყვას გემო აქვს სისხლიან ტუჩების,
ცრემლის და ფორთოხლის ტკბილ-მწარე,
გემო,

შემართე,
შემართე,
შემართე, მუშტები
გრენადა,
გრენადა,
გრენადა ჩემო!

„აქილევსის ქუსლი და ფარი", თავისი აქტუალობით, მახტვრული გადაწყვეტით, უთუოდ ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ნაწარმოებია თანამედროვე ქართულ პოეზიაში.

ასე და ამრიგად ნაწილდება შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში მრავალგვარი და მრავალსახოვანი ცხოვრება. ეს პოეზია იმ პატიოსან თვალს გავს, რომლის ყოველი წახნაგი განსხვავებულ ელვარებას იჩენს და, რაც მთავარია, რომლის ღირსება უთუოდ ცხადია მკითხველისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ გიორგაძე

# „რაჭის ერისთავი როსტომ“ და მისი ისტორიულ-ხალხური წყაროები

აკაკი წერეთლის ისტორიულ მოთხრობებს შორის ერთ-ერთი მაღალმხატვრული თხზულებაა „რაჭის ერისთავი როსტომ“.

თუ ზოგჯერ აკაკი მცირე მოცულობის ცნობიდან, შიშველი ქრონიკიდან შედარებით დიდი მნიშვნელობის ვრცელ მხატვრულ ნაწარმოებს ქმნის, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ბევრისმომცველი შინაარსის მქონე რამდენიმე წყაროს მიხედვით დაწერილ პატარა მოთხრობასთან. არსებული მასალებიდან მწერალი ცხრილავს, აძევებს ყოველგვარ შემთხვევითს, მეორეხარისხოვანს, უმნიშვნელოს, ყველაფერ იმას, რაც მისი იდეური ჩანაფიქრისათვის, მისი ეროვნულ-პატრიოტული მრწამსისათვის ზედმეტი და მიუღებელია. მაგრამ ამას ისე აკეთებს, რომ ოდნავადაც არ სწყდება ისტორიულ ნიადაგს, არ ახდენს მასზე ძალდატანებას. მისი, როგორც ხელოვანის, ოპერაცია ამ შემთხვევაში გულისხმობს ნედლი მასალის მხატვრულ სამოსელში მოქცევას და მისთვის იმნაირი მაღალი აზრის გამომსახველობითი უნარის მინიჭებას, რაც მსჭვალავს მკითხველს მაღალი პატრიოტული სულისკვეთებით.

აკაკის მიზანია გვიჩვენოს იმერეთის მეფისა და რაჭის ერისთავის ის ტრაგიკული კონფლიქტი, რომლის მსგავსი ბევრი იცის „ქართლის ცხოვრებამ“. უნდა ითქვას, რომ, ამ თვალსაზრისით, ძალზე მაღლა დგას ეს პატარა მოთხრობა. მასში მეტად შეკუმშულად, მაგრამ შთამბეჭდავად არის წარმოჩენილი ფეოდალური საქართველოს ყოფა-ცხოვრების, მისი ზნეობრივი უკუსვლის, პოლიტიკური ხოსუსტის ცოცხალი სურათები, რაც ისე დამაჯერებლადაა დახატული, რომ სრულ წარმოდგენას გვაძლევს იმ საერთო განსაცდელსა და ტრაგედიაზე, რის წინაშეც დადგა საქართველო XVII-XVIII საუკუნეებში. მშვენიერად იგრძნობა, რომ, თუ აკ. წერეთლის ისტორიის ფილოსოფიის მიხედვით საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების დიდებული შენობის საფუძველს ერთ დროს ადუღაბებდა მაღალი ზნეობა და გასაოცარი თავშეწირვის გრძნობა სახელოვანი მამულიშვილებისა, ახლა დიდებულ ტაძარს ძირს უთხრის ამავე ქვეყნის შვილების საშინელი გახრწნა და დაქვეითება, ვერაგობა და დაუნდობლობა, პირადი ბედნიერებისა და ძალაუფლების მოპოვებისაკენ ლტოლვა, „შენც წახდი, მეც წამახდინეს“ პრინციპით მოქმედება.

მწერალი პირველი სტრიქონიდანვე გონებამახვილურად შენიშნავს, რომ „ორმოში დამალულ კაცს კატაც ვერ დასჩხავლებს, მაგრამ ხეზე გასულს კი ძაღლებიც უყეფენო“. ასე აღზევებულ კაცებად მიაჩნია მას სოლომონი და როსტომი, რომლებსაც ბლომად ჰყავდათ მტრები. ამ გარემოებამ როსტომი ჯერ ჯაფარ ჯაფარიძეს, თავის ერთგულ ადამიანს, გადამკიდა და თვალები დაათხრევინა, ხოლო შემდეგ სოლომონ პირველს შეაჯახა. მწერალი ქრონიკიდან მხოლოდ იმ ფაქტს იყენებს, რომ როსტომმა თვალები დასთხარა ჯაფარას. დანარჩენი ცნობები მათი ურთიერთობის შესახებ

მწერალს სულ სხვა პლანში აქვს გააზრებული და დამუშავებული, რაც ცოცხალ წარმოდგენას აძლევს მკითხველს იმ ინტრიგანულ ქსელზე, რაც მუდამ გახლართული იყო მსხვილი ფეოდალების ირგვლივ, რაც თესავდა შურსა და მტრობას, ერთმანეთს უსისინებდა ადამიანებს, რომელთაც, რომ სალად ეაზროვნათ, შეეძლოთ ქვეყნის ბედი უკეთესად წარემართათ.

მართალია, ფეოდალური საზოგადოებრიობისათვის დამახასიათებელი ამ უკურნებელი სენის მხილებას აკაკის თხზულებაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს და მისი სამარცხვინო, გულშემზარავი შედეგებიც არის ნაჩვენები, მაგრამ განსაკუთრებულ სიძლიერეს მწერალი აღწევს ნაწარმოების ბოლო ნაწილში, სადაც იგი თითქმის მთლიანად სცილდება ისტორიას და ეძლევა თავის ფანტაზიას. მას სურს ხრულყოფილად გამოხატოს ის ცხოველმყოფელი იდეა, რომლის ფრთების შესხმისა და განხორციელებისათვის ილვწოდა მწერალი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე. ეს არის იდეა ერის მთლიანობის, დაშლილი და ნიადაგმორღვეული ქვეყნის განმტკიცების, ერთობის, ძმობის, სიყვარულის.

აკაკი მომაჯადოებლად ხატავს აღდგომის დღის სამხიარულო განწყობილებას ეკლესიის ეზოში და ამ გარემოცვაში შეახვედრებს ერთმანეთს ორ თვალდათხრილ მოხუცს — როსტომსა და ჯაფარას. „ხალხი სულგანაბული მისჩერებოდა მათ. უცბად მოსხლტა, მოშორდა ჯაფარა როსტომს და უთხრა: „არა, ბატონო ერისთაო, არ შეშვენის, არ ეკადრება დღეის დღეს ტირილი! ქრისტე აღსდგა და აღადგინა მკვდრეთით კაცთა ნათესავიო.

— მართალი ხარ, ჩემო ჯაფარა, ისე, როგორც ყოველთვის; შენ შენი იცი და მე კი სწორედ მაშინ აღმადგინა მკვდრეთით, როცა უბედურება მომივლინა და თვალები დამთხარეს! მანამდი მე ყველაფერს ვუმზერდი და ვერასა ვხედავდი! ყურს ვუგდებდი და არა მესმოდა რა! მაშინ კი პირველად გავახილე გონების თვალი, ჩავიხედე ჩემს გულში და ყოველივე დავინახე: მედიდურობით გაბოროტებული, თურმე ჯოჯოხეთის მონა ვიყავი და ახლა კი ქრისტეს ვემსახურები! და ვუგალობთ მას შვებითა და სიხარულით! აბა, ერთი ჩვენებური, ძველებური, რაჭული „ქრისტე აღსდგა“ დავძახოთ, — უთხრა ერისთავმა.

ამოისვეს ორივემ ხელები ამოთხრილ თვალებში ცრემლების ამოსაწმენდად, გაისწორეს ხმა ჩახველებით და შეხმატკბილდნენ. ახალგაზრდა მხლებელმა დაიწყო, ჯაფარამ მაღალი ბანი მიაყოლა და როსტომ ერისთავმა ზედ დვრინი დააკვერა. გაისმა „ქრისტე აღსდგა“, რომლის მსგავსიც მანამდი საწერეთლოს არა გაუგონია რა. მოხიბლულ მსმენელებს ყრუანტელმა დაუარათ“.[1]

აი, ფაქტიურად რისთვის დაიწერა ეს მოთხრობა. აქ მოტანილი ადგილი, ჩვენი აზრით, ერთ დიდტანიან რომანს უდრის, რომელშიც, შეიძლება, კიდევ ვერ პოვოს ასახვა ისე სრულად და დამაჯერებლად ადამიანთა სულის განწმენდამ ყოველგვარი ბიწიერებისაგან, როგორც ეს აქ არის გადმოცემული. გულზვიადი და მოსისხლე, ეგოისტი და დაუკმაყოფილებელი, ვერაგი და ქვეყნის ორგული ადამიანის თვითმხილება აქ მთელი სიმძაფრითაა გადმოცემული. იგი სცდება ყოველგვარ ეროვნულ საზღვრებსა და ორგანულად შეერწყმის მსოფლიოს კორიფეთა მხატვრულ ნააზრევს ცოდვილთა და ბოროტთა სულიერი სამყაროს გადმოშლის, მონანიების და კათარზისის პრობლემაზე.

ამ პატარა თხზულებიდან არა მარტო საწერეთლოში ისმის „ქრისტე აღსდგას“ მანამდე გაუგონარი ძალით წარმოთქმული ჰანგი, არამედ მთელს ქვეყანას ეფინება იგი და წარმოადგენს ნათელ სიმბოლოს იმ ციაგისა, რომელიც საბურველს ხდის „მედიდურობით გაბოროტებულ“ ადამიანთა ცხოვრებაში არსებულ ბნელეთს და შარავანდედით ჰმოსავს მართალ კაცთა მოღვაწეობას.

მოთხრობაში ისტორიულ პირთაგან გვხვდებიან სოლომონ პირველი, როსტომ ერისთავი და პაპუნა წერეთელი. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ ნაწარმოები XVIII საუკუნის ამბავს შეეხება, მაგრამ, ჩვენი აზრით, თხზულება ისეთი მაღალიდეური და მაღალმხატვრული ქმნილებაა, რომ აუცილებელია ვიცოდეთ, კონკრეტულად როგორ ქრონოლოგიურ ჩარჩოში ზის იგი და რომელი წყაროებით უსარგებლია მწერალს.

აკ. წერეთლის თხზულებათა VIII ტომში (1958 წ. გამოცემა) დამატების სახით შეტანილია მოზრდილი წერილი „სოლომონ პირველი დიდი, იმერეთის მეფე“,[2] რომლის შესახებაც პოეტი შენიშნავს: „ზეპირ-გადმოცემული თანამედროვისაგან, რომელიც იყო სიკო კანდელაკის პაპა და ჩაწერილი მისი შვილიშვილის სიკო კანდელაკისაგან“.

სიკო კანდელაკის ამ ჩანაწერში საკმაო ადგილი უჭირავს სოლომონ პირველისა და როსტომ ერისთავის ურთიერთობას. აქ პაპუნა წერეთელიც არის მოხსენებული, როგორც სახლთუხუცესი და ერთ-ერთი სარდალთაგანი, რომელიც დაუძინებელი მტერი იყო როსტომისა. მეფისაგან განდგომილნი და ოპოზიციური ბანაკის წარმომადგენლები არიან როსტომ ერისთავი და ლევან აბაშიძე. ლევანი მოკლულ იქნა ხრესილის ომში, ხოლო როსტომი და მისი შვილიშვილი, მოტყუებით ჩამოყვანილნი მეფის სასახლეში, სასტიკად იქნენ

დახჭილნი: მამასა და შვილებს თვალები დასთხარეს გეგუთში. მეფემ დაბრმავებული როსტომი პაპუნა წერეთელს უბოძა და უთხრა: „მიჩუქებია შენთვის, როგორც გინდოდეს, ისე მოეპყარიო“.3

მოთხრობაში აღნიშნული აქვს აკაკის, რომ სოლომონ პირველმა, გონიერმა და წინდახედულმა კაცმა, პაპუნა წერეთლისა და სხვათა მიერ როსტომის მხილებას არ მიაქცია პირველ ხანებში ყურადღება, მაგრამ, როცა თავად დარწმუნდა რამდენჯერმე ერისთავის ორგულობაში, „ჩამოაყვანინა გეგუთში, დაათხრევინა თვალები და გადასცა მის მოსისხარ მტერს, პაპუნა წერეთელს“.4

აშკარაა, რომ მწერლისათვის ერთ-ერთი წყარო ს. კანდელაკის მონათხრობია, მაგრამ არსებობს მეორე წყაროც, რომელსაც უფრო ზუსტად მიჰყვება ნაწარმოები. ეს არის „თავად ჯაფარა ჯაფარაშვილის წერილი თ-დ როსტომ ერისთავისადმი მინაწერი“, რომელიც წარმოუდგენია იმავე სიკო კანდელაკს და აკაკის დაუბეჭდავს 1899 წელს თავისი „კრებულის“ VII ნომრის მეორე განყოფილებაში. წერილი შეიცავს თექვსმეტმარცვლიან 72 სალექსო სტრიქონს. ამ ლექსს წინ დართული აქვს ს. კანდელაკის ცნობა-განმარტება სოლომონ მეფისა და როსტომ ერისთავის ურთიერთობის შესახებ.

რადგანაც ეს ცნობა ძალზე საჭიროა ჩვენთვის და ნაკლებად ცნობილიც, მოვიტანთ მოზრდილ ადგილს იქედან:

„როსტომ ერისთავმა, რომელსაც დიდმა მეფე სოლომონმა თვალები დასთხარა შვიდის თავისის შვილებით, ბევრი ცუდი საქმე ჩაიდინა, მოინდომა მეფობა იმერეთისა და ისრე მოაწყო საქმე, კიკიანის ფაშის შემწეობით ხვანთქართან, რომ იმერეთში გვარი ბაგრატიონისა მოესპოთ და მეფობა მისთვის და ლევან აბაშიძისათვის მიეცათ, და მათ ორ სამეფოდ უნდა გაეყოთ, ე. ი. ოსეთის საზღვრიდან ვიდრე დადიანისა და გურიელის საზღვრამდე რიონის წყალი დასდეს სამზღვრად — მარჯვნის მხრით იქნებოდა როსტომ ერისთავის და მარცხნის მხრით ლევან აბაშიძისა. ეს ლევან აბაშიძე იყო მეფე სოლომონის დედის ძმა, რომელიც მოჰკლა გეგელაშვილმა ხრესილის ომში მეფის და თათრების ბრძოლაში. ეს ორი დიდებული თავადი, უკეთუ გამეფდებოდნენ, სამაგიეროდ ჰპირდებოდენ ხვანთქარს, რომ იმერეთში მაჰმადიანობა უნდა გაევრცელებინათ...

როსტომ ერისთავმა დაიჭირა რაჭის თავადი ჯაფარაშვილი, დასთხარა თვალები და წაართვა უწერას მუავე და სხვა საკალმახე წყლები ჯავე ვაკე ადგილები, ჭაობიანი ლაშეები, მთები...

ოდესღაც მან შვიდის თვისის შვილებით მეფემ თვალები დასთხარა ვაკე იმერეთში, ხოფელს ვეგუთში, თავად ლევან იაშვილის ოჯახში, მაშინ მეფემ ერისთავი პაპუნა წერეთელს აჩუქა. რაც გინდა ის უყავიო.

პაპუნამ, რასაკვირველია, დრო იხელთა, შესვა ვირზედ როსტომ და საჩხერეს გაგზავნა წერეთლების ციხეში, რომელიც სახელ-წოდებული იყო მოდინახეს ციხედ. დაამწყვდია შიგ, სასმელ-საჭმელი, ქვეშსაგებელი როგორც ეკადრებოდა როსტომ ერისთავს, ისრე მიუჩინა და ერთი თავისი ფარეშიც ამსახურა. ეკლესიაზედ გამოჰყავდათ თვით პაპუნას სასახლეში. განვლო ზამთარმა, მოაღწია აღდგომის კვირემ, ე. ი. ბზობის დღეს ნაწირვებს უთხრა პაპუნამ როსტომ ერისთავს: შენ გაგიშვებ, მაგრამ მეშინია, ხვალაპუნები რომ დაფარცხოო. როსტომმა უთხრა: პაპუნა, რაც ვქენი, ის ვქენი: იმასაც არ დავფარავ, რომ დრო შემრჩენოდა, მეტიც მინდოდა. პაპუნამ იმავე დღეს თავის ცხენზე შესვა, ათი პირველი აზნაურები აახლა და გაუშვა თავის ოჯახში. რაჭას.

შეიტყო როსტომისაგან თვალებდათხრილმა თავადმა ჯაფარ-ჯაფარაშვილმა როსტომის ბარაკონში მისვლა, მიულოცა აღდგომის დღე და შანისმოგებით შემდეგი მისწერა“...5 (მოტანილია ზემოთ დასახელებული ლექსი, რომელშიც, არსებითად, იგივეა მოთხრობილი, რასაც ს. კანდელაკი იუწყება, აქ, ოღონდ დაცინვისა და სარკაზმის კილოთი, რაც სავსებით მოსალოდნელი იყო ჯაფარასაგან).

აკაკისათვის მთავარი დასაყრდენია სწორედ ეს ლექსი და ს. კანდელაკის ორი ცნობა, რომლებიც ავსებენ ერთმანეთს.

დასტურდება, რომ როსტომი, რომელიც რაჭის ერისთავად იხსენება 1750 წლიდან6, მართლაც, დიდი გავლენით სარგებლობდა როგორც დასავლეთ საქართველოში, ასევე ქართლ-კახეთის სამეფოშიც. მას განსაკუთრებულ ანგარიშს უწევდა არა მარტო სოლომონ პირველი, არამედ ერეკლე მეორეც კი.

ზოგიერთი საბუთის მიხედვით, იგი იმერეთის მეფეზე ბევრად უფრო მდიდარი ყოფილა, რასაც ემყარებოდა მისი პოლიტიკური ძლიერება. მისი სასახლე კულტურის ერთგვარ კერასაც წარმოადგენდა. თვითონ როსტომი თავისი დროისათვის განსწავლულ პიროვნებად ჩანს. მას ზეპირად სცოდნია „ვეფხისტყაოსანი“ და „სახარება“, ჰქონია მდიდარი წიგნსაცავი.7

როსტომ ერისთავს თავისი თავი მეფის თანატოლად და დამოუკიდებელ მფლობელად ჰქონდა წარმოდგენილი, რასაც სოლომონი ვერ ურიგდებოდა. რაჭის ერისთავის ზვიადობამ იქამდეც კი მიაღწია, რომ 1751 წელს მან და მისმა ძმამ ბესარიონ კათალიკოსმა დატოვეს მართლმადიდებლური ქრისტიანობა და მიიღეს კათოლიკობა.8

ჩანს, რომ აკ. წერეთელი, ზემოთ დასახელებული ორი წყაროს გარდა, იცნობდა სხვა მასალებსაც და კარგად იცოდა ყველაფერი ეს და ამიტომაც წარმოადგინა ასეთ დიდ პიროვნებად როსტომი. მწერალმა ისიც შენიშნა, რომ მას ბევრი მტერი ჰყავდა, რომ იგი არ იყო საკეთილოდ განწყობილი სოლომონ პირველისადმი. აკაკი არც აქ სცდება. მრავალი ისტორიული საბუთის მიხედვით ირკვევა, რომ როსტომსა და სოლომონს შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარება არ მოხერხდა. სოლომონის გეგმა მტკიცე ხელისუფლების შესაქმნელად, რასაც ბოლო უნდა მოეღო დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობისათვის, ვერ ითავსებდა რაჭის ერისთავის განდგომით ყოფნას; თავის მხრივ, როსტომ ერისთავიც ცდილობდა გადაებირებინა მეფის უკმაყოფილო თავადები, მოეგო ოსმალთა გული და ჩაეფარცხა სოლომონის გეგმები.

ასეთმა დაძაბულმა სიტუაციამ როსტომსაც გაუჩინა მტრები და სოლომონსაც. აკაკის მოთხრობაში ასახულია ამ მტრულად განწყობილი ადამიანების საქმიანობა. ს. კანდელაკს ეს კონფლიქტები ზოგჯერ გულუბრყვილოდ აქვს ახსნილი.

ახლა დავაზუსტოთ ნაწარმოებში მომხდარ ამბავთა ქრონოლოგიური საზღვრები.

ზემოთ ითქვა, რომ როსტომმა ერისთაობა მიიღო 1750 წელს. ამჯერად საინტერესოა, როდის და სად იძია შური მასზე და მის შვილებზე სოლომონ პირველმა.

არსებულ მასალებში ამ საკითხის ირგვლივ არ ჩანს მთლად გარკვეულობა. თავად მოურავოვის 1769 წლის 12 ოქტომბრის მოხსენებითი ბარათიდან გრაფ პანინისადმი ვტყობილობთ, რომ სოლომონ პირველი და როსტომ ერისთავი 1769 წელს ურთიერთ შორის კეთილად განწყობილნი იყვნენ. მართალია, თარიღს არ ასახელებს, მაგრამ ამ დაზავების შესახებ ს. კანდელაკიც აღნიშნავს.[9]

ისიც ვიცით, რომ სოლომონმა თავისი ფიცი და პირობა მალე დაარღვია, ჩამოიტყუა ერისთავი თავისი ოჯახით და სასტიკად დასაჯა, ყველაფერი ჩამოართვა, მის სამფლობელოთა დიდი ნაწილი თვითონ შემოიერთა, ხოლო ნაწილი წერეთლებს მისცა.[10] ეს ყველაფერი გარკვეულია, მაგრამ, როგორც ვთქვით, თუ რომელ წელს დასთხარეს თვალები როსტომსა და მის შვილებს (გიორგის, თევდორეს) და სად, ამის შესახებ წყაროები განსხვავებულ ცნობებს გვაწვდიან.

ბაგრატ ბატონიშვილის ისტორიითა და ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემული მასალების მიხედვით ეს მოხდა 1768 წელს,[11] ხოლო ზოგიერთ ცნობას თუ დავუჯერებთ, 1769 წელს.[12]

ო. სოსელია აღნიშნავს, რომ ამ ორი თარიღიდან უფრო სწორია 1769 წელი.[14] ვფიქრობთ, არსებული მასალების საფუძველზე ძალზე ძნელია სასწორის რომელიმე თარიღისაკენ გადახრა, მაგრამ ჩვენთვის ამას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგანაც აღნიშნული წლებითაც თითქმის მთელი სიზუსტითაა განსაზღვრული ნაწარმოებში ასახული მოქმედების დრო.

აღსანიშნავია, რომ ამ მოქმედების ადგილად ზოგიერთი წყარო ვარციხეს ასახელებს, ნაწილი კი — გეგუთს. არ არის საეჭვო, რომ აკ. წერეთელი ამ შემთხვევაში ს. კანდელაკის მონათხრობსა და ჯაფარა ჯაფარაშვილის წერილს ეყრდნობა, რადგანაც ამათ მიხედვით ერისთავთა წამება მოხდა გეგუთში.

მართალია, როსტომის დასჯა თხზულების ერთ-ერთი ცენტრალური ადგილია, მაგრამ სიუჟეტი კვლავ საინტერესოდ ვითარდება შემდეგ: რაჭის ერისთავი, მეფის მიერ წერეთლისათვის ნაბოძები, საჩხერეში, მოდინახეს ციხეში, აგრძელებს ნაწამებ და შეურაცხყოფილ სიცოცხლეს, ხშირად ხდება ქირდვისა და დაცინვის საგანი. ნაწარმოებში მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებზე არაფერია ნათქვამი.

ჯაფარა ჯაფარაშვილის „წერილის“ მიხედვით, პაპუნა წერეთელმა თვალების დათხრიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ გაათავისუფლა როსტომი. რაკი ნაწარმოებში ჯაფარა და როსტომი ერთმანეთს საწერეთლოში ხვდებიან, გამოდის, რომ რაჭის ერისთავი 1770 წელს (თუ მისი დასჯის თარიღად 1769 წელს მივიჩნევთ) პაპუნას განკარგულებაში იმყოფება.

ამრიგად, ის დრო, რომელსაც მოიცავს მოთხრობა, თავსდება 1750-1770 წლებს შორის.[15]

## შენიშვნები

1 აკაკი, თხზულებანი, ტ. VIII, გვ. 16-17.

2 პირველად გამოიცა ცალკე წიგნაკად 1895 წელს, „კვალის“ რედაქციის მიერ. ჟურ. „მოამბეში“ რეცენზიაც გამოქვეყნდა მის შესახებ („მოამბე“, 1895, № 8); 1898 წელს „აკაკის კრებულის“ მე-9 ნომერშიც დაიბეჭდა. 1936 წელს კვლავ გამოცა გ. ქიქოძემ სახელწოდებით: „სოლომონ მეფე და როსტომ ერისთავი“.

3 ს. კანდელაკი, სოლომონ პირველი დიდი,

იმერეთის მეფე, ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებ., ტ. VIII, 1958, გვ. 334.

4 „რაჭის ერისთავი როსტომ“, ტ. VIII, გვ. 15.

5 „აკაკის კრებული“, 1899, № 7, განყოფ. II, გვ. 1-3.

6 ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიიდან, 1973, გვ. 91-92.

7 იქვე, გვ. 93. მ. თამარაშვილის წიგნში დასახელებული ერთ-ერთი ცნობის მიხედვით კი „ერისთავმა როსტომ წიგნი არ იცოდა“ (იხ. „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, 1902, გვ. 366).

8 მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 366-367.

9 ს. კანდელაკი, სოლომონ პირველი დიდი, იმერეთის მეფე, აკაკის თხზ. ტ. VIII, გვ. 328-329.

10 ნ. დადიანის „ქართველთ ცხოვრების“, ს. კანდელაკის აღნიშნული წყაროებისა და ცაგარელის „სიგელების“ გარდა ამ ფაქტის შესახებ ცნობებს გვაწვდიან: ბ. ბატონიშვილი, „ახალი მოთხრობა“, თ. ლომოურის გამოცემა, 1941, გვ. 54, „მასალები საქართველოს ისტორიისათვის“, მ. ჯანაშვილის გამოცემა, 1905, გვ. 19. „გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში“, I, 1962, გვ. 109-111, 293, გ. გელაშვილის გამოცემა.

11 ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 54. ე. თაყაიშვილი, მასალები საქართველოს ისტორიისათვის (რუს. ენაზე) 1895, გვ. 16. აქ ვკითხულობთ: „ერისთავი წაახდინა მეფე სოლომონ“ — 1768 წ.

12 გ. ბოჭორიძე, ფურცელანთეული ქრონიკა, საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 179.

13 ო. სოსელია, დასახ. წიგნი, გვ 103.

14 პროფ. ო. სოსელიას გამოკვლევის მიხედვით როსტომი 1790 წლის 9 აპრილამდე ცოცხალია, ხოლო შემდეგი ხანის საბუთები მას აღარ იხსენიებენ.

## ფიქრები, მოგონებანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პაატა გუგუშვილი

# კონსტანტინე გამსახურდია

ვინ არ მამხკვდარა, სიკვდილი
ვის არ გადუჭრის შარასა,
მარამ შენ ძნელ გზებ ვილია,
ის არ ჰხგავ წარა-მარასა.
შენ სხვა ნათელი აგინთავ,
შუქს ჰხფენდი ხევს და ყანასა.

ხალხური

ამთავითვე ვაცხადებ: ვერ შეველევი იმედს, რომ კონსტანტინე გამსახურდიაზე კიდევ დავწერო. ორმოცი წლის ფრიად ახლობლური მეგობრობის მანძილზე ბევრი რამ არის დავიწყების მორევში გაუმქრალი, ღირსი მოგონებისა და ცვა-ფარვისა; ისეთი, რასაც მნიშვნელობა აქვს არა თუ იმდენად ლიტერატურული ცნობიერებისა და ინტერესის, რამდენადაც უოფიერების მორალური ასპექტების, ადამიანური ვნებების, მისწრაფებათა და წადილთა, შემოქმედებითი ენერგიის აალებისა და მიმქრალობის, ჩქერალის აცინცხლებისა და დაშრობის გზებზე, გამარჯვებულის ზეიმსა და დამარცხებულის მწუხარებაში, აღმაფრენის სიხარულსა და დახუთულობის სიმძიმილში რომ აისახება.

ახლა ისე აეწყო, რომ მისი დიდი ცხოვრების თითქმის მხოლოდღა მინორულ წუთებს შევეხები; მათ როგორც დაშორებულ კედელზე მოლივლივე ლანდებს გავეკარები და იმას ვწუხვარ, რომ ამიერიდან მარტოოდენ გულიხხმიერი ჭვრეტა შემიძლია იმისა, რასაც ყოველთვის დიდი სიხარულისა და ნდომის ძალით ვეახლებოდი და ვუერთდებოდი.

დღეს ენით გამოუთქმელ კმაყოფილებას მგვრის, რომ დიდი ხნის მანძილზე სისტემატურად ვიწერდი და ვინიშნავდი კონსტანტინეს იმ სიტყვებს, სენტენციებს, გამოთქმებს, ნაწყვეტნაწყვეტად წარმოთქმულ ლექსებს, უკეთა ვთქვათ რითმიან თუ ურითმო გახმიანებულ ნაფიქრალსა თუ ნააზრევს, ხშირად საოხუნჯო ნათქვამებსაც, ვინიშნავდი მის ხაქმეთა ვითარებას, ერთი სიტყვით, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების იმ ნაპერწკლებს, რომელთაც ზოგჯერ სულ შემთხვევით და მოულოდნელად წარმოთქვამდა და თვითონ, ცხადია, არ იწერდა და რომელთა უდიდესი ნაწილი სხვარიგად უკვალოდ აორთქლდებოდა თვით მისი და მსმენელთა მისთა მეხსიერებიდან.

თავისი ხანგრძლივი ქარტეხილებიანი ცხოვრების ზოგიერთ მეტად მრუმე წუთებში, ნაცვლად იმისა თავისთავში ჩაკეტილი ან გარიდებული ყოფილიყო, იგი ხშირად უფრო ფართოდ აღებდა თავისი მე-ს კარებს, მაგრამ არა იმისთვის, რათა ახლობლებთან დროის სათუვლად ემასლაათა, დრო მას თითქოს არასოდეს არ ყოფნიდა, არამედ იმ მიზნით, რათა ადამიანთა სულიერი ცხოვრების მთელ სამყარო უფრო ღრმად ჩასწვდებოდა. მან თავისი უებრო წარმოსახვის უნარით მკვდრეთით გააცოცხლა და თვალნათლივ წარმოგვიდგინა შორეულ ადამიანთა ცხოვრებისეული ურთიერთობანი და იმდენად გაგვიტაცა ჩვენი წინაპრების ცხოვრებით, მათი საქმეებით და სიტყვებით, რომ უკეთ დაგვანახა და გაგვაგებინა თანამედროვეობის სიკეთე და ამ გზით კიდევ უფრო დაგვაახლოვა მომავალს და დაგვაუფლა მისი უკეთ ჭვრეტის ნიჭიერებას.

მწერალი თავის ეპოქის ღირსეული შვილი იყო და თავისი ხალხის ჭირსა და ლხინს არც თვითონ ივიწყებდა და არც სხვას ავიწყებდა... რაც შეეხება მის მიზანსა და მიმართულებას, იგი მხარში edga თავისი ქვეყნის მშრომელებს, ახალი სოციალისტური სამყაროს მშენებლებს.

ასეთი ენერგიის უშრეტი წყარო იყო ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი და თვითმყოფური დიდი კულტურის და საერთოდ თანამედროვე ცივილიზაციის მწვერვალზე ამაღლებული კონსტანტინე გამსახურდიას ბრწყინვალე ნიჭიერება, რომელიც თავის ზენიტზე ისეთი სიძლიერით აენთო, რომ მარად იმნათობებს, როგორც მხატვრული სიმართლისა და ჭეშმარიტების მომასწავებელი, როგორც სინათლისა, სიკეთისა და ბედნიერებისათვის მებრძოლ ძალთა გზის მაჩვენებელი შუქურა.

კონსტანტინე გამსახურდია იყო თანამედროვე ქართული მხატვრული აზროვნების უებრო, ნამდვილად სწორუპოვარი გენიოსი, რომელმაც საოცარი ძალა მიანიჭა ქართულ მხატვრულ სიტყვას, რომელმაც არა მარტო დიდად გააგანიერა, გააფართოვა ქართული სიტყვის მიმოქცევის ფარვატერი, არამედ ფრიად გაამდიდრა ახალი ქართული ლიტერატურული ენა და იგი აზიდა ახალ სიმაღლეზე.

ეს დიდი ადამიანური ბრძოლების, უაღრესად მტკივნეულ დამარცხებათა, უცნაურ შემთხვევითობათა და ბრწყინვალე გამარჯვებების გზა იყო. მახსენდება მისი ნათქვამი:

ჩვენი სიცოცხლე როგორც ფოსტის
ამანათია,
ზოგი შორს მიდის, ზოგიც მოკლე გზაზე
ადგია...
ჩვენ შუქურა ვართ: ვინ მალე იწვის და
ვინ კიდევ დიდხანს ანთია...
ჩიტ-ბეღურა ვართ... ცხოვრება კი კაკანათია
და ჩვენს სულშიაც დიდი ღამის ცეცხლი
ანთია...

ლოგინად ჩავარდნილი კონსტანტინე ხშირად მაინც სოფლის ბინდისფერობის, განუხორციელებელ ოცნებათა, მიუწვდომელ მისწრაფებათა, მიუთხრობელ ჩანაფიქრთა და გაუკეთებელ საქმეთა ჩვენთა თაობაზე საუბრობდა.

უკანასკნელი წლები... ჩვენი მეგობრობა ამ სიტყვის პირველსაწყისებს ზოგჯერ სწორედ მაშინ შეერწყმოდა, როდესაც, მასთან ან ჩემთან, მარტონი ვრჩებოდით. ჩაღდებოდა ღიღინი, ხშირად უსიტყვო... მაგრამ ზარხოშში შესული კონსტანტინე იწყებდა: სიტყვებს, ფრაზებს აწყობდა, ჩაურთავდა. ძველს იგონებდა. ახლებს სთხზავდა... დუდუნებდა. მე მივყვებოდი, თუ ავყვებოდი მას.

ფიზიკურად დაუძლურებულს ხშირად მონოსული ჰანგები იპყრობდა, სიბერეში შესულს სულ უფრო მიეძალა ავადმყოფობა და უგუნებობის ჟამს წამდაუწუმ — ჩიოდა ამაოებისათვის ამა ქვეყნისა.

დავლიოთ სანამ ერთად ვართ,
სანამ ერთმანეთს ვხედავთო,
დარდი მაშინაც გვეყოფა
შავს ლოდს რომ ამოვხედავთო...

და დაასხამდა... მხოლოდ საუკეთესო ღვინოებს და კონიაკს ეტანებოდა. არაყი არ უყვარდა — ხაშს რომ მიირთმევდა, მაშინაც არ ეწყობოდა მას.

ხაში უყვარდა. ათეული წლების მანძილზე ორ-სამ კვირაში ერთხელ ჩვენ, მორიგეობით, ვაკეთებდით ხაშს და როგორც ხუმრობით თვითონ ეძახდა, „ხაშოლოგიურ შტუდიებზე“ არაიშვიათად მეგობრებსაც ვიწვევდით. აქ მოდიოდნენ, ფილიპე გოგიჩაიშვილი, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, აკაკი ბელიაშვილი, გიორგი ნატროშვილი, აკაკი შანიძე, ბესარიონ ჟღენტი, კარლო კალაძე, რევაზ ჯაფარიძე... „ხაშოლოგიური შტუდიები“ ჩვეულებრივ კვირა დილაობით რომ იმართებოდა, ეს მარტოოდენ პურობა როდი იყო. აქ ჩაღდებოდა მსჯელობა, ხშირად ცხარე კამათიც, მწერლობის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების, საერთოდ საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების საკითხებზე. მაშინ შეიძლებოდა ისეც მომხდარიყო, რომ დილაადრიან შეკრებილნი ნაშუადღევს დავიშლებოდით ხოლმე, მეტადრე თუ კონსტანტინე კარგ გუნებაზე იყო და მისი ლიტერატურული გმირების, ანდა კიდევ მისი კრიტიკოსების დამახასიათებელი მორალური და ეთიკური ფასეულობანი შეიქმნებოდა პაექრობის საგანი.

* * *

ერთხელ ჩემთან მოულოდნელად შემოიარა.

— ტელეფონით ვერ დაგიკავშირდი და ნუ მიწყენ, რომ გაუფრთხილებლად გეწვიეო.

საერთოდ არ უყვარდა არც მოულოდნელი და არც დაუპატიჟებელი სტუმარი. და ასეთი სახით თვითონაც სხვასთან არ მიდიოდა: დამირეკეთ, გაიგეთ თუ შემიძლია თქვენი მიღება და მერმე მობრძანდითო, ეტყოდა ხოლმე ზოგიერთს და იტყოდა უმისამართოდაც...

— მომენატრე ფრიად და არ შემეძლო არ მოვსულიყავ...

ჩემს სამუშაო ოთახში კარგა ხანი დავყავით. მისი წიგნების გამოცემის პროცესის ზოგიერთი საკითხი აღელვებდა. დიდად კმაყოფილი იყო თხზულებათა რუსული გამოცემა რომ იბეჭდებოდა... ქართველი მკითხველი, საერთოდ ჩემი მკითხველი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა, საბჭოთა ხელისუფლე-

ბა ესოდენ მაფასებენ. ზოგჯერ მანებივრებენ კიდევაც. მაგრამ ზოგიერთი ჩემი კოლეგა, განსაკუთრებით ერთი მათგანი... ფრიად მოწადინებულია ყოველმხრივ ხელი შემიშალოს... რა უნდათ ჩემგან. რა დამიშავებია მათთვის... ის დღენიადაგ ახალ-ახალი ცილისწამებით სულს მიშფოთებს, გონებას მიმღვრევს... წარმოიდგინე, ჩემი ოჯახური ცხოვრების დანგრევასაც ლამობენ...

— როგორ შეიძლება შურმა, — განაგრძობს ახლა უკვე აღელვებული კონსტანტინე, — შურმა ისე გააფუჭოს ადამიანი, მას ეგონოს, რომ ჩემი წიგნი, ახლა რომ უნდა გამოიცეს, თითქოს მის ტყავზე იბეჭდებოდეს; — ჰონორარი, რაც მე უნდა მომცენ, მისი ჯიბიდან იყოს ამოსაღები; — სახელი, ჩემს წიგნზე რომ დაიწერება, მისი სახელის გახლუს სამარე...

დიასახლისმა სუფრაზე მიგვიწვია... საღამოვდებოდა. ნელა შევუყევით. ჩქარი პურობა არ უყვარდა. ნება-ნებაზე შეექცეოდა. სასმელს საერთოდ ცოტას, ზოგჯერ კიდევ სულ ცოტას მიირთმევდა, როგორც იტყვიან მიეკარებოდა მხოლოდ და ის იყო მისი ჭამა. სუფრას თითქოს იმისთვისღა მიუჯდაო, რომ ისაუბროს, თამაქო მოსწიოს და ლაპარაკის დროს, დაზოგვით პირი გაისველოს...

სასმელს კი მაინც საკმაოდ ეტანებოდა, მაგრამ მეტადრე ეშხისა და გართობისათვის. დათრობამდე არ სვამდა. უსაზღვროდ ეზიზღებოდა მთვრალი ადამიანი. სიმთვრალე ყველა კეთილი ადამიანური და საზოგადოებრივი მორალის და უწინარეს თვით ღვინის, ამ ღვთაებრივი სასმელის, წაბილწვად მიაჩნდა.

კონსტანტინეს განსაკუთრებით უყვარდა კარგად დაყენებული დაძველებული ქართული ღვინო. ერთ დროს თავის ეზოში ვენახი გააშენა. ვაზის მოვლამ, ღვინის დაყენებამ გაიტაცა იგი. მაინც გახსვლის ოპერაცია ყველაზე უფრო იზიდავდა. ეს მუშაობა, რაკი სანადიროდ და ცხენოსნობაზე უკვე არ დადიოდა. მოცალეობაში მისი გართობის საუკეთესო ფორმა შეიქნა. ოღონდ ეს იყო: ლერწებს ვერ იმეტებდა მოსაჭრელად. ეცოდებოდა. ამის ახალმა ამონაყარმა ხომ საოცარი ნაყოფი — ყურძენი უნდა მოისხასო...

ქართული ღვინოების წარმოების (დაყენების), მოხმარების და ექსპორტის თაობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი. მაშინ კონსტანტინე ვაზისა და ღვინის პინდარად იქცა. ჩვენი საუბრის შინაარსი ის იყო, რომ ღვინის გემოვნება, ბუკეტი, სურნელება, არომატი ეს ნამდვილად მთელი გამაა და ისე რთულია ასათვისებლად, როგორც გამოჩენილი მუსიკოსის სიმფონია; — ღვინის ფერადოვნებას მხოლოდ ის გაიგებს, ვისაც დიდხანს და დაკვირვებულად უთვალიერებია დიდ მხატვართა ფერწერული შედევრები.

კონსტანტინემ გადაჭრით განაცხადა: ღვინოში მე მიყვარს ხელოვნება ქართველი კაცისა, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში თავის მშობლიურ მიწაზე დაუცხრომელი შრომით ვაზის, ყურძნისა და ღვინის დიდებული სიმფონია შეუქმნია და დაუმღერებია...

ნელნელა დაიწყო ღიღინი, ხმადაბლა. ოდნავ გასაგონად... ზოგჯერ კი ხმას აუწევდა და ომახიანად იჭექებდა:

— მომენატრე, შენთან მიტომ მოველი...
დარდები მკლავს, შავთა ფიქრთა მთოველი...
სათქმელი მაქვს, პასუხს შენგან მოველი...

მერმე თანდათან შეზარხოშებულს აღმაფრენის ენერგია ამაღლებდა და სულ სხვა ჰანგები ეუფლებოდა...

ერეკლე ბატონიშვილი ერთი პატარა კახია...
ჯაჭვის პერანგი ჩააცვეს... თითები ჰკრა და
გახია...

უკანასკნელ ხანებში თითქმის სულ ნაღვლიან რამეებს ამბობდა. ოპერაციის შემდეგ უმეტესად იწვა. ნამეტანი მივეჩვიეთ ლოგინს. საავადმყოფოში, სახლშიც შეძლებისამებრ ხშირად ვნახულობდი. თუ შემაგვიანდებოდა, ტელეფონით მიწვევდა, მიწვევდა კი არა, მიბრძანებდა, რომ მისულიყავი... დაგვიანებისათვის ზოგჯერ წამეჩხუბებოდა კიდევაც... მე მაოცებდა, რომ ფიზიკურად ძლიერ დაძაბუნებულს და მილეულს მეხსიერება ოდნავადაც არ ღალატობდა!

ჩვენი მარტოობა უაღრესად გულღია და დანდობილ საუბარში მიდიოდა. იგი უახლესი ამბებით იწყებოდა. სიცოცხლის უკანასკნელ ხანებშიც შეუნელებელ ინტერესს იჩენდა ქართული და საერთოდ საბჭოთა და მსოფლიო მწერლობის, ლიტერატურის საკითხებისადმი. ძველებურადვე უყვარდა მსჯელობა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე კულტურულ-ეკონომიკური მშენებლობის თაობაზე; საერთაშორისო პოლიტიკური ვითარების შესახებ; აინტერესებდა მისი მეგობრების, მტერ-მოყვარეთა ცხოვრების ამბები...

მერე წარსულის მოგონებები იღვრებოდა...

— ჩემი ცხოვრება, თუ გინდა ორი სიტყვით სთქვა, ეგ არის: სიყვარული და სიძულვილი. ყველაფერს ეს ორი ფენომენი მაკეთებინებდა, იტყოდა ხოლმე.

— მრავალი ჩემი მისწრაფება და შეხედულება ნათქვამი მაქვს ჩემს ესეებში. ჩემს ლიტერატურულ გმირებსაც ამ მხრივ ჩემთვის მცირედი დახმარება როდი გაუწევიათ. როგორც ადამიანი ღმერთებს, ისე ვქმნიდი მე მათს სახეებს, ხოლო ისინი მეხმარებოდნენ მე შემესხმოდა და გამეშალა ფრთები, რათა ზეამაღლებულს დამენახა და დამეხატა ვნებანი, ოცნებანი, მისწრაფებანი და მოძრაობანი მათი.

და ეს იყო არა მხოლოდ ის რაც იყო, არამედ ისიც, რაც არის და შეიძლება მერმისშიაც იყოს... წარსულში ჩადგმული თანამედროვეობის ქვრეტა მომავლიდან უფრო უპრიანია და ამიტომ იმ ფრთებით მე მყოფადიდანაც ვაკვირდებოდი მათ და ეს, ვითარცა მეწცარს, მხოლოდ და მხოლოდ ჩემმა გმირებმა შემაძლებინეს...

უნდა გვახსოვდეს მუდამ, რომ ჩვენი ცხოვრება საბოლოოდ ლაბას ბედია. ყველაფერს ვერ იტყვი და არა მხოლოდ იმიტომ, რომ არ იტყვი და ვერ იტყვი, არამედ იმიტომაც, რომ სიტყვა არ გეყოფა, რადგან ხშირად იმისთვის, რასაც განიცდი და გინდა სხვას გააგებინო, სიტყვის გამომთქმელობის უნარი უძლურია და სწორედ ესაა, რომ მეტყველს და თვით მწერალსაც ალაბავებს, და კიდევ ისიც, რომ ჯანი არ შეგწევს, სიცოცხლე არ გეყოფა, იმდენად რთულია და მრავალმხრივი ესოდენ არასრულყოფილი ჩვენი ცხოვრება. მაინც, რა თქმა უნდა, ერთი ქართველი პოეტის პრეტენზია „ქართული ენის სულ გალექსვის“ თაობაზე, ისევე როგორც ფრანგი დრამატურგის პროსპერ კრებილიონის ტრაბახი: ჩემს შემდეგ ტრაგედიებისათვის სიუჟეტი უკვე არ მოინახებაო, — მართოოდენ ზღაპარია და ჩმახია.

მართალია, დიდ ხელოვნებაში ჩნდება აბსოლუტური თავისუფლების ილუზია, მაგრამ ნამდვილი ხელოვნების ყველა დარგში ადამიანის მისწრაფებას ზღუდავს მასალა: მოქანდაკეს — ქვა, ბრინჯაო, ფერმწერალს — საღებავები, ტილო; მუსიკოსს — ვიოლინო, როიალი; მსახიობს — სცენა, დეკორაცია... მაგრამ ადამიანის ფანტაზიის აღმაფრენა მაინც ყველგან ნახულობს ახალ-ახალი წარმატების საფეხურებზე ამაღლების საშუალებას. მაინც ადამიანის ემოციურ სამყაროში ყველაზე უსასრულო და უკიდეგანო სარბიელი მხატვრული სიტყვის ოსტატს ეკუთვნის.

ენა ყველაზე მასობრივი, მრავალშინაარსიანი და გამძლე ფორმაა ტანჯვისა და სიყვარულის, დამარცხებისა და გამარჯვების, სიმახინჯისა და მშვენიერების, მწუხარებისა და სიხარულის, ინდივიდისა და კოლექტივის სანუკვარ ოცნებათა გამომთქმელობისა, მატერიალიზაციისა (დაწერისა) და, მაშასადამე, როგორც თანამედროვე, ისე მომავალ თაობებზე გადაცემისათვის.

ენა წარმოსახვისა და მეცნიერული ცნობიერების გაზიარების უმნიშვნელოვანესი და ყველაზე უნივერსალური იარაღია.

მოქანდაკე ებრძვის უშინაარსო მარმარილოს, ბრინჯაოს, რათა ის მის წარმოსახვაში დაბადებული ფორმით აამეტყველოს, გააშინაარსიანოს; პოეტი ებრძვის უკვე ფორმირებული და შინაარსიანი სიტყვების არმიას და მისი გადაჯგუფებისა და დაჯგუფების სპეციფიკური ხერხებით ქმნის მხატვრული მეტყველების ფორმისა და აზრის ახალ და საოცარ სამყაროს. ასეთი სამყარო აჩუქეს ხალხებს ჰომეროსმა, კალიდასამ, ფირდოუსმა, რუსთაველმა, დანტემ, შექსპირმა, დოსტოევსკიმ...

პოეტი სიტყვაზე, იმთავითვე ეროვნულ მასალაზე, ხოლო მოქანდაკე მარმარილოზე, ყოველგვარი ეთნიკური ნიშნისაგან განყენებულ, გამოთიშულ ბუნებრივ მასალაზე მუშაობს; ამდენადვე გაგებინების, გავრცელებადობის თვალსაზრისით იდეა (შინაარსი) ხელოვნების ენობრივი ქმნილებისა განსაზღვრულ ორბიტაში, ხოლო პლასტიკური, სახვითი ქმნილებისა უსასრულო არეალში მოძრაობს.

სიტყვასთან ბრძოლაში გამარჯვება მით უფრო ძნელია, რაც უფრო დიდი და განვითარებული კოლექტივის გამომთქმელობის ხელოვნებას (იარაღს) წარმოადგენს იგი. დიდი კოლექტივის სიტყვაქმნადობის ვრცელ და ღრმა მორევში მილიონობით რიგითი ინდივიდუალური თავისებურება შეუმჩნევლად, უკვალოდ დაინთქმის და მხოლოდ გიგანტების ხვედრია დაბზილებული ცვილივით საკუთარი მეტყველების, თავისი თითების, თავისი სტილის (კალმის) მოძრაობას, როგორც არმია დიდი მხედართმთავრის ბრძანებას, დაუმორჩილოს მთელი ნაციის ენობრივი სიმდიდრე და მისი მოძრაობის ფარვატერიც შესამჩნევად გააგანიეროს.

კონსტანტინე გამსახურდია უდავოდ იყო თავისი ეპოქის ქართული მხატვრული სიტყვის უებრო მთავარსარდალი.

პირუტყვი რომ კვდება, ის მთლიანად ქრება, მიწაში გაიქნება. ადამიანი რომ კვდება, ის გარდაიცვლება. მისი ინდივიდუალობა, მისი საქმეები, მისი ნაკეთობანი მაინც დიდხანს რჩება მიწაზე, საზოგადოებაში. მაგრამ შეიძლება იგი ისეთი იყოს, რომ მისი კვალი საუკუნეების მანძილზე წარუშლელი დარჩეს და მაშინ იგი უკვდავთა შორის აღირიცხება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე სიგუა

# მწერალი და გამომცემელი

## მოგონება ნიკოლოზ მიწიშვილზე

ნიკოლო მიწიშვილს 1928 წლიდან ვიცნობდი, იგი პოეტმა ვალერიან გაფრინდაშვილმა გამაცნო. ნიკოლო მაშინ ჟურნალ „ქართული მწერლობის“ რედაქტორად მუშაობდა და ხწორედ ვ. გაფრინდაშვილის რეკომენდაციით რედაქციაში რეპორტიორად მიმიღო...

ადამიანთა ცხოვრებაში ზოგჯერ არის ისეთი შემთხვევა, რომელიც არასოდეს არ დაგავიწყდება და მთელი ცხოვრების მანძილზე მუდამ ნათელ სურათად გეხატება, როდესაც ამ სტრიქონებს ვწერ, ჩემს თვალწინ დგას მუდამ ცოცხალი, მოძრავი, მეგობრული გრძნობებითა და სიყვარულით ალხავსე ნიკოლო მიწიშვილი.

1933 წელს, უმაღლესი სასწავლებელი რომ დავამთავრე და მუშაობა ჯერ არ დამეწყო, კვლავ ნიკოლო მიწიშვილმა გამიწოდა დახმარების ხელი. ამჯერად, ის ქუჩაში შემხვდა. ცოტა ხანს ვისაუბრეთ. საუბრის დროს მან მკითხა, სადმე თუ მუშაობ. „არა, ბატონო ნიკოლო, თქვენ უნდა გთხოვოთ დახმარება სამსახურში მოსაწყობად“. ცოტა ჩაფიქრდა და მკითხა, როგორ გაქვთ უმაღლესში საქმეო. უმაღლესი დავამთავრე-მეთქი. „ჰო, ეს ძალიან კარგია, ხვალ სამ საათზე სახელგამში მოდიო“. აღნიშნულ დროზე მართლაც მივედი, კაბინეტში მასთან ცნობილი პოეტი ალ. აბაშელი იჯდა, რომელსაც მე ადრეც ვიცნობდი. ნიკოლომ თავისი მდივანი გამოიძახა და ბრძანება უკარნახა: „ალექსანდრე აბაშელის შვებულებაში წასვლის გამო მხატვრული ლიტერატურის განყოფილებაში რედაქტორად მოწვეული იქნეს ალექსანდრე სიგუა“. ჩემთვის ეს დაუჯერებელი და მოულოდნელი ამბავი იყო.

ნიკოლო მიწიშვილი არა მარტო შესანიშნავი მწერალი და მოაზროვნე, არამედ ბრწყინვალე გამომცემელი და წიგნის გამოცემის ტექნიკის იშვიათი მცოდნეც იყო. მის მიერ გამოცემული წიგნები ტექნიკური შესრულებითა და გაფორმებით უნაკლო იყო. აი რა უპასუხა ნიკოლო მიწიშვილმა იმათ, ვისაც მხატვრული წიგნის გამოცემის საქმე არ მიაჩნდათ მომგებიან საქმედ:

„კულტურული ღირებულებანი ყოველთვის ემყარებოდნენ გარკვეულ მატერიალურ ბაზისს. მაგრამ თავისთავად ხელოვნების ნაწარმოები ბევრ შემთხვევაში კომერციულად გამართლებული არაა და მასზე დახარჯულ თანხას ვერ ანაზღაურებს.

ჩვენ, მაგალითად, შეგვიძლია ვიანგარიშოთ, თუ რა ფული დაიხარჯა რენესანსის დროის მხატვრობაზე, მაგრამ რომ ვიკითხოთ, თუ რა ფული მისცა მედიჩებსა და ბორჯიებს მათ მიერ შეძენილმა სურათებმა, ან ხელოვნების სხვა ნიმუშებმა, — უნდა ვთქვათ, რომ არაფერი.

ფრანცისკო პირველმა, თუ რა დახარჯა, რომ ლეონარდო „შეეძინა“, ან რა დაუჯდა მას ჯიოკონდა, — ეს ჩვენ ვიცით, მაგრამ ჯიოკონდა არც მამული იყო, არც ქარხანა, არც რაიმე წარმოება, რომ დაბანდებული თანხა „მწარმოებლისათვის“ დაებრუნებინა, თუ მოგებით არა, თავნად მაინც.

კერძოდ არც მწერლობისა და წიგნის გამოცემის საქმეში შეიძლება გავატაროთ ზუსტი კომერციული პრინციპი, მაგრამ მაინც ხშირად ისმის ლაპარაკი, რომ მხატვრული წიგნის გამოცემა „საქმე“ არაა, რომ წამგებიანია, რომ მატერიალურად ეს საქმე ვერ ხეირობს.

ეს გარემოება მწერალს რაღაც „ღარიბი ნათესავის“ მდგომარეობაში აყენებს და მის საქმესაც ზოგჯერ სამადლო საქმედ ხდის“. მიუხედავად ყოველივე ამისა, ნიკოლო ამტკიცებდა, რომ გამომცემლობა, თუ კი მას კარგი მეურნე— გამომცემელი ეყოლება, რენტაბელურია, და ამის დასადასტურებლად მოჰყავდა ციფრობრივი დამამტკიცებელი საბუთები.

ნიკოლოს სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის ისტორია. ის განუწყვეტლივ ზრუნავდა საქმე მტკიცედ დაეყენებია ფეხზე, იბრძოდა სიტყვითა და საქმით ქართული წიგნის გამოცემისათვის, რომ ავტორს, მწერალს შემოსავალი ჰქონოდა და, ამავე დროს, ეროვნული საგამომცემლო საქმეც აღორძინებულიყო. ამიტომ მან თავის გარშემო შემოიკრიბა ქართველი მწერლების, მეცნიერების, მხატვრების, სტილისტების მთელი თაობა. განყოფილებაში მან მოიწვია ლადო გუდიაშვილი, ლ. ქუთათელაძე, ლ. გრიგოლია, ირინე შტენბერგი, ვილნიუსიდან ჩამოსული მხატვარი და გრაფიკოსი კოლია ჩერნიშკოვი; მასთან მუშაობდნენ სტილისტები და მთარგმნელები — გობრონ ციცქიშვილი (მწერლობაში ცნობილი იყო აგარელის ფსევდონიმით), ქრისტეფორე რაჭველიშვილი, პავლე საყვარელიძე (ფსევდონიმი — საქარელი), ძველი სტამბის მუშა და ასოთამწყობი ლუარსაბ ხელაძე, გიორგი იაშვილი და სხვები. ნიკოლო მიწიშვილმა სახელგამის საგამომცემლო განყოფილებაში დააყენა საკითხი, რომ სახელგამთან ჩამოყალიბებული ყოფილიყო სემინარი სტილისტებისათვის, რედაქტორებისა და კორექტორებისათვის. მართლაც მისი დაჟინებითი მოთხოვნით ჩამოყალიბდა სემინარი, სადაც ლექციებს კითხულობდნენ პროფესორები — არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, ვუკოლ ბერიძე და სხვები.

როდესაც ნიკოლო მიწიშვილი სტამბაში შედიოდა, სტამბის ყველა მუშაკს უხაროდა მისი დანახვა. მე მინახავს, თუ როგორ ეხვეოდნენ მას ასოთამწყობები, მბეჭდავები და წიგნის მკინძავები, რა მოწიწებით და პატივისცემით ეპყრობოდნენ. ერთხელ ასოთამწყობმა რომანოვმა მითხრა — ნეტავი გამომცემლობის ყველა მუშაკი ასეთი იყოსო.

როდესაც წიგნი ყდაში ჩაისმებოდა და გასავრცელებლად უკვე მზად იყო, მას ნიკოლო დიდხანს ატრიალებდა ხელში, თითქოს საკუთარი პოეტური შემოქმედების ნაყოფი ყოფილიყო. ამ დროს თვალები ისე უბრწყინავდა, როგორც არქეოლოგს, რომელსაც გათხრების დროს რაღაც ძვირფასი განძეულობა უპოვია. არ უყვარდა ისეთი კაცი, სტამბის მუშა იქნებოდა ეს თუ სხვა მუშაკი, რომელსაც არ აინტერესებდა თავისი საქმე, თავისი პროფესია. ერთხელ მან მომიტანა ცუდად გამოცემული რამდენიმე წიგნი და მითხრა, ამ წიგნებზე წერილი დაწერეო. წერილი დავწერე, ნიკოლოს მივუტანე, მან ჩაასწორა ცალკეული ფრაზები და მერე წავიღე „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქციაში. წერილი სულ მალე დაიბეჭდა.

ნიკო ლორთქიფანიძის პატარა ფორმატის ოთხი წიგნი გამოდიოდა — „იმერი“, „დანგრეული ბუდეები“, „ბილიკებიდან ლიანდაგზე“ და „რაინდები“. დამთავრდა თუ არა ამ წიგნების გამოცემა, ნიკოლო მიწიშვილმა მითხრა, ეს წიგნები სანიმუშოთ კარგად არის გამოცემული, მოდი, ოსტატებს ამაგი დავუფასოთ, სურსათ-სანოვაგე უნდა ვიყიდოთ და სტამბის მუშები მოვიწვიოთო. ვიყიდეთ სურსათ-სანოვაგე, მწერალთა კავშირში მივიტანეთ და სუფრა გავშალეთ, იქ, სადაც შემდგომში მწერალთა კავშირის პოლიკლინიკა იყო. სუფრას ბევრი ასოთამწყობი და მბეჭდავი დაესწრო, იყო აგრეთვე წიგნის ავტორი ნიკო ლორთქიფანიძე. ჩვეულებრივ წყნარი და მშვიდი, ნიკო ლორთქიფანიძე მაგიდაზე სულ სხვა იყო — მომლხენი, არაჩვეულებრივი მახვილი სიტყვის პატრონი; შემდეგში, როდესაც მე ილია ზურაბიშვილის მოგონება წავიკითხე ნიკო ლორთქიფანიძეზე — „რაინდი, უშიშარი და უმწიკვლო“, მართლაც ნათლად წარმომიდგა მისი მხიარული და რაინდული სახე.

ერთხელ ნიკოლო მიწიშვილმა განყოფილებაში შემოიტანა ჯერ კიდევ საღებავშეუმშრალი, მაგარ მუყაოს ყდაში ჩასმული კონსტანტინე გამსახურდიას წიგნი „გოეთეს ცხოვრების რომანი“; იქვე იყო მიხეილ ჯავახიშვილიც. ის თითქმის ყოველ დღე შემოდიოდა განყოფილებაში ნიკოლო მიწიშვილთან. ის ძალიან ახლოს იყო ნიკოლო მიწიშვილთან და მის სარედაქციო და სამრეწველო მოღვაწეობას უაღრესად დიდ პატივს სცემდა და თვალყურს ადევნებდა. მას მოსწონდა ნიკოლო მიწიშვილის წიგნი „ეპოპეა“, „ფიქრები საქართველოზე“ და ამბობდა, ახალი ჟანრის ნაწარმოებია, ცოცხალი და კარგი ქართული ენით დაწერილიო.

იმ დღეს კი მათ ფრიად საინტერესო საუბარი ჰქონდათ გოეთეზე და კერძოდ გამსახურდიას ახალ რომანზე, რომელშიც სრულყოფილად იყო გადმოცემული დიდი გერმანელი მწერლის მთელი ცხოვრება.

1934 წელს კონსტანტინე გამსახურდია „გოეთეს ცხოვრების რომანის“ ბოლოსიტყვაობაში წერდა: „ეს ნაშრომი საქართველოს სახელგამმა შემიკვეთა გასულ წელს გოეთეს იუბილეს გამო“. ვინ იყო ამ საქმის ინიციატორი და შემკვეთი, თუ არა ნიკოლო მიწიშვილი? თედო სახოკიამ ნიკოლო მიწიშვილის დახმარებითა და თხოვნით თარგმნა „დეკამერონი“, კ. ბოროზდინის „სამეგრელო“, მოპასანის „ფუნთუშა“ და მრავალი სხვა. ასევე ნიკოლო მიწიშვილი დაეხმარა ვახტანგ კოტეტიშვილს „ხალხური პოეზი-

ის“ პირველი ტომის დაბეჭდვაში. თბილისის სტამბების გადატვირთვის გამო ნიკოლომ წიგნი ქუთაისში გადაგზავნა ასაწყობად. ამასთან დაკავშირებით ერთი ამბავი მაგონდება. დილით მხატვრული ლიტერატურის განყოფილებაში შემოვიდა ვახტანგ კოტეტიშვილი და ნიკოს საყვედური უთხრა, ქუთაისში ჩემი წიგნის აწყობა ჯერ არ დაწყებულაო. ნიკოს ოდნავ ჩაეცინა და უთხრა, აწყობა კი არა, ჩემო ვახტანგ, წიგნი დაბეჭდილია და ალბათ შრიფტებიც კი ჩაშალეს, წიგნი ამ დღეებში ბაზარზე გამოვა, თუ არა გჯერა მოდი და ქუთაისში გავისეირნოთო. მართლაც, მეორე დილით ქუთაისში ვიყავით და სტამბაში „ხალხური პოეზიას“ ვფურცლავდით. ნიკოლო მიწიშვილი და ვახტანგ კოტეტიშვილი სწორედ ქუთაისში შეთანხმდნენ, რომ ქართულ ხალხურ პოეზიას ხუთ ტომად გამოსცემდნენ და მას ლადო გუდიაშვილი გააფორმებდა.

ერთხელ ნიკოლო მიწიშვილის კაბინეტში ყავარჯნით ხელში შემოვიდა დიდი თეატრალური მოღვაწე და მწერალი ვალერიან გუნია, რომელსაც გოგოლის „რევიზორი“ ეთარგმნა. ცოტა ხანს იმუსაიფეს, შემდეგ ნიკომ ხელშეკრულება დაუდო ვ. გუნიას და იქვე მისცა ჰონორარი.

მხატვრული ლიტერატურის განყოფილებაში ხშირად შემოდიოდა წყნარი და მშვიდი არაქელ ოქუაშვილი, რომელსაც პირში მუდამ მოვერცხლილი დიდი ჩიბუხი ჰქონდა გაჩრილი. მის ბრგე და ვაჟკაცურ სახეს გრძელი ჭაღარა წვერი ამშვენებდა. მე მას ვასილ ბარნოვს ვამსგავსებდი. ის ხშირად ჰყვებოდა თავის რევოლუციურ წარსულის ლეგენდარულ ამბებს. ერთხელ ნიკოლო მიწიშვილმა უთხრა არაქელას: მე სტენოგრაფისტს მოგცემთ, მას უამბეთ ყველაფერი, რაც თქვენ აქ მოჰყევით, და დიდებული ეპოპეა გამოვაო. — არა, არა, ჩემო ნიკო, სტენოგრაფისტი კი არა, მწერალი დამახმარეო, ვინმე ისეთი პიროვნება, რომელსაც კალამი კარგად უჭრის, ყველაფერს მას ვუამბობ და ის დაწერსო. — კარგი, კარგი ბატონო არაქელ, ამის შესახებ მოვიფიქრებ და ვინმეს დავავალებო. ნიკოლომ მე მკითხა ვის უნდა ვთხოვოთ, რომ არაქელას ამბები ჩაიწეროსო. ჯერ პავლე საყვარელიძეზე შეჩერდა, მაგრამ ის ძალზე გადატვირთულია, ამიტომ არა მგონია შეძლოს ჩვენი თხოვნის შესრულებაო. ამის შემდეგ ნიკოლომ გერონტი ქიქოძეს სთხოვა ჩაეწერა არაქელ ოქუაშვილის მოგონება. თავის გვერდით პატარა კაბინეტი გამოუყო, სადაც არაქელ ოქუაშვილი მიდიოდა. და წარსულის ამბებს უყვებოდა გერონტი ქიქოძეს. რამდენიმე ხნის შემდეგ გერონტი ქიქოძემ განყოფილებაში წარმოადგინა არაქელ ოქუაშვილის წიგნი „ჩემი რევოლუციური წარსულიდან“. წიგნი შეიცავდა დაახლოებით ოთხმოც გვერდს, მე ის მემანქანეს გადავაბეჭდინე, შევადარე და განყოფილებაში მქონდა. წიგნი ისე იკითხებოდა, როგორც მხატვრული ნაწარმოები და ძალზე საინტერესო ამბები იყო მოყოლილი ჩვენი რევოლუციური წარსულიდან; წიგნი რატომღაც არ გამოცემულა და არ ვიცი შემდეგ რა ბედი ეწია.

მხატვრული ლიტერატურის განყოფილებაში აგრეთვე ხშირად შემოდიოდა დინჯი და წყნარი აპოლონ წულაძე, რომელსაც ხელში მუდამ ჩიბუხი ეჭირა. განსაკუთრებით საინტერესო იყო, როდესაც გამომცემლობაში ერთმანეთს შეხვდებოდნენ არაქელ ოქუაშვილი და აპოლონ წულაძე, ვინ იცის რა საინტერესო ამბებს იგონებდნენ ისინი, მთელს საქართველოსა და რუსეთს მოივლიდნენ და არც ევროპელ რევოლუციონერებს ტოვებდნენ გახსენების გარეშე. ეხ, დღეს როგორ ვნანობ, რომ არ ჩავიწერე მათი საუბარი და მოგონებები.

აპოლონ წულაძეს ჩვენთან გამოსაცემად ჰქონდა „გურია“ (ეთნოგრაფიული აღწერა), რომელიც დაახლოებით 250 გვერდს შეიცავდა.

1933 წელს ნიკოლო მიწიშვილმა შეადგინა ქართული მწერლების ნაწარმოებთა ანთოლოგიის ხუთ ტომად გამოცემის გეგმა. ანთოლოგიის მდივნად მე დამნიშნა. დავიწყე მასალების შეგროვება პირველი ტომისათვის. პირველი ტომის მასალა ძირითადად შევაგროვე, და მიწიშვილმა დაიწყო მისი რედაქტირება და გამოსაცემად მომზადება. ანთოლოგია გათვალისწინებული იყო ხელმომწერლებისათვის, და, პერიოდსექტორმა (პერიოდსექტორი ავრცელებდა ჟურნალ-გაზეთებს და აგრეთვე წიგნებს და ექვემდებარებოდა სახელგამს). მთლიანად ჩაატარა პირველ ტომზე ხელის მოწერა, მაგრამ ნიკოლო მიწიშვილის ხხვა სამუშაოზე გადასვლის გამო ანთოლოგია არ დაბეჭდილა.

ნიკოლო მიწიშვილს ჰქონდა ორგანიზატორული და პრაქტიკული მოღვაწეობის განსაცვიფრებელი უნარი და ნიჭი. დაუცხრომელი კაცი იყო, მოუსვენარი. ხშირად გამიგონია მიხ. ჯავახიშვილისაგან :საიდან აქვს ამ ტანმორჩილ კაცს ამდენი ენერგია, გამოცდილება და ცოდნა, ჩემთვის დღესაც გამოუცნობიაო. ასეთივე მკლავმაგარი ვაჟკაცი იყო იგი, თუ საქმე მოითხოვდა ჩხუბში ჩარევას. ერთი ეპიზოდი მაგონდება: ორთაჭალაში, ჩოფურაშვილის დუქანში თავი მოიყარეს პაოლო იაშვილმა, ტიციან ტაბიძემ, ნიკოლო მიწიშვილმა, ვალერიან გაფრინდაშვილმა, ლადო გუდიაშვილმა, ზოზო ნანეიშვილმა. ნიკოლომ მეც წამიყვანა. დავსხედით. ჩვენთან ახლოს სამი ახალგაზრდა იჯდა, ეტყობოდათ, შეზარხოშებული იყვნენ. ერთი მათგანი ადგა, ტიციან ტაბიძესთან მივიდა და მკერდზე გაკეთებული ყვავილი თავხედურად ამოართვა, ყელა თავის ამხანაგს ცხვირთან მიუტანა და აყნოსა. შემდეგ უკან უნდა დაებ-

რუნებინა პოეტისათვის, მაგრამ მან უარი უთხრა. ახალგაზრდა ყვავილი დაგლიჯა და გადაყარა. ყველა სახტად დარჩა, პასუხი არავის გაუცია, მაგრამ მოულოდნელად ნიკოლო მიწიშვილი წამოდგა, ჩქარი ნაბიჯით მივიდა შეზარხოშებულ ახალგაზრდებთან, ჩაჯდა შუაში და მტკიცე ხმით უთხრა –– ყმაწვილებო, თქვენ არ იცით, ვინ არის ის, ვისაც ახლა შეურაცხყოფა მიაყენეთ, ახლავე მიდით და პოეტს ბოდიში მოუხადეთო. ჩვენ გვეგონა მიწიშვილის ადგომა და საქმეში ჩარევა ალიაქოთს გამოიწვევდა, მაგრამ როგორ გავოცდით, როცა ის ახალგაზრდა ადგა, ტიციანთან მოვიდა და ბოდიში მოუხადა. შემდეგ იგი უხმოდ გავიდა რესტორნიდან და რამდენიმე წუთის შემდეგ დაბრუნდა და მთელი თაიგული გადასცა ტიციან ტაბიძეს.

ახლოვდებოდა 1934 წლის აგვისტო, საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობა. ქართველი მწერლებიც ემზადებოდნენ ამ ყრილობისათვის, იწერებოდა ვრცელი მოხსენება ქართული ლიტერატურის შესახებ V საუკუნიდან XX საუკუნის 30-იან წლებამდე. ყრილობაზე წასვლა და დასწრება დიდად მაინტერესებდა, მაგრამ ჩემთვის, ცხადია, ეს ძალიან ძნელი იყო. ერთ დღეს ნიკოლო მიწიშვილმა მითხრა, შეიძლება ყრილობაზე დასწრება მოგიხერხო, ამიტომ გაადვორმე მივლინება მოსკოვში. მიწიშვილი როგორც დელეგატი გაემგზავრა, და მე სახელგამის საგამომცემლო განყოფილების უფროსს ვთხოვე მოსკოვში მივლინება, მან მითხრა — სახელგამის თანამშრომლები საექსკურსიოდ მიდიან მოსკოვში და თქვენც მათთან გაემგზავრეთო. მართლაც ასე მოხდა, ჩავედი მოსკოვში და მიწიშვილი ვნახე მწერალთა კავშირში, მან გადმომცა მოსაწვევი ბარათი. რაოდენი სიხარული და აღფრთოვანება გამოიწვია ამან ჩემში! მიხაროდა, მეც ვნახავდი მაქსიმ გორკის, დიდ მწერალსა და შემოქმედს, ვნახავდი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ მწერლებს, საზოგადო მოღვაწეებს, პრესის მუშაკებსა და მთავრობის წარმომადგენლებს.

17 აგვისტოს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიხსნა საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობა. აქ თქვენ ნახავდით მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ დელეგატებს, დიდ მწერლებსა და თავისუფლებისათვის მებრძოლ ადამიანებს. მაგრამ ყველაზე დიდი სასიხარულო ამბავი ის იყო, რომ დიდ დარბაზის ერთ სვეტზე ჩამოკიდებული იყო შოთა რუსთაველის უზამაზარი სურათი.

აი, მწერალთა კავშირის პრეზიდიუმში გამოჩნდა მაქსიმ გორკი, მისი თანამებრძოლები, მთავრობის წარმომადგენლები, მწერლები. დარბაზში ტაშის გრიალი და ოვაცია არ წყდება. უცებ სიჩუმე ჩამოვარდა, ყრილობა გახსნილად გამოაცხადეს და პირველი სიტყვა მოხსენებისათვის მაქსიმ გორკის მისცეს. თავის მოხსენებაში მან, სხვათა შორის, თქვა: „უძველეს დროიდან ნამდვილ ხალხურ შემოქმედებას — ფოლკლორს, ზეპირშემოქმედებას, მითებს, ზღაპრებს — ყოველივე ამას ფესვები აქვს შრომაში და უძველეს დროის ადამიანთა ოცნებაში — მოაშინაურონ ცხოველები, მიაღწიონ სწრაფ მოძრაობას — მიწაზე. წყალზე, ჰაერში, „უჩინმაჩინის ქუდებით“, „მფრინავ ხალიჩებით“. ხალხური, შემოქმედების ეს ნამდვილი საფუძველი დაამახინჯეს და შერყვნეს ბურჟუაზიულმა ისტორიკოსებმა და ფილოსოფოსებმა, მღვდელ-მსახურებმა და ექსპლოატატორული ბნელეთის მოციქულებმა. ბურჟუაზიული საზოგადოების მესვეურებმა და წინამძღოლებმა შეკვეცეს, ფრთები შეაჭრეს ყოველგვარ კულტურას“. ამის შემდეგ მაქსიმ გორკი გადადის საბჭოთა ლიტერატურის მიმოხილვაზე, იგი ღრმად აანალიზებს საბჭოთა ლიტერატურის დიდ მიღწევებს. მაქსიმ გორკიმ დაამთავრა თავისი მოხსენება და ამის შემდეგ გაიმართა გაცხოველებული კამათი.

დარბაზში რაღაც გამოცოცხლებაა, თავმჯდომარე სიტყვას აძლევს პარიზის კომუნის ვეტერანს გუსტავ ინარის. იგი საკაცით შემოიყვანეს დარბაზში და ტრიბუნასთან მიიყვანეს. — „მიუხედავად მოხუცებულობისა, — თქვა მან, — მე ხომ 88 წლისა ვარ, — მიუხედავად ფიზიკური სისუსტისა, ახალგაზრდა და გულით მტკიცე ვარ, — მეც თქვენთან მიგულეთ ახალი ქვეყნის მშენებლობაში, სოციალიზმის მშენებლობაში“. დარბაზში ტაშმა იგრიალა, ხალხი ოვაციას უმართავს პარიზის კომუნის ვეტერანს.

ქართული მწერლობაზე მოხსენება წაიკითხა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მალაქია ტოროშელიძემ. მან ფართოდ წარმოიხილა ქართული მწერლობის მთელი ისტორია. ყრილობის მონაწილეებს მომხსენებელმა დაანახვა, თუ რა ძველი და დიდი ლიტერატურა აქვს ქართველ ხალხს. ცურტაველი და იოანე საბანისძე, პეტრიწი და შავთელი, რუსთაველი და საბა ორბელიანი, გრ. ორბელიანი და ნ. ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი და მრავალი სხვა. — აი, ისინი ვინც შექმნა დიდი ქართული ლიტერატურა.

ყრილობაზე საინტერესო სიტყვით გამოვიდა ნიკოლო მიწიშვილი. განსაკუთრებით ვრცლად შეეხო ის თარგმანის საკითხებს.

იმ დღეს, როდესაც ყრილობაზე ნიკოლო მიწიშვილი სიტყვით გამოვიდა, მე ვიჯექი პასტერნაკისა და გერონტი ქიქოძის გვერდით. მახსოვს პასტერნაკმა გ. ქიქოძეს უთხრა: რა ბრწყინვალე რუსული ენით ლაპარაკობსო.

ყრილობიდან დაბრუნების შემდეგ ნ. მიწიშვილმა აქტიურად მოჰკიდა ხელი ქართული

მწერლობისა და მემუარული ლიტერატურის გამოცემის საქმეს. მან გამართა მოლაპარაკება სეით დევდარიანთან, მის მიერ ოთხ ტომად დაწერილი ქართული ლიტერატურის ისტორიის გამოცემის შესახებ, ვალერიან გუნიას სთხოვა ვრცელი მოგონება დაეწერა ქართულ თეატრზე და ოთხ დიდ მწერალზე — ილია ჭავჭავაძეზე, აკაკი წერეთელზე, ვაჟა ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგზე, რომლებთანაც ვალერიან გუნიას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. დავით კასრაძეს დაავალა დაეწერა ქართველი მწერლების პორტრეტები, კოტე გორდელაძეს ხელშეკრულება დაუდო ნაშრომზე „ილია ჭავჭავაძის სოციალ-პოლიტიკური შეხედულებანი“ და ჩარლზ დარვინის თარგმანის რედაქციაზე. ილია აგლაძეს ემუდარებოდა ტოლსტოის თხზულების თარგმნას, ივანე მაჭავარიანს ათარგმნინებდა ალექსი ტოლსტოის „პეტრე პირველს“, და ვინ იცის კიდევ, რა არ ჰქონდა მას ჩაფიქრებული...

სახელგამის მხატვრული ლიტერატურის განყოფილება ერთგვარი შტაბი და თავშესაყრელი ადგილი იყო არა მარტო ქართველი ინტელიგენციისა, არამედ რუსი და ევროპელი მწერლებისა. ვინც თბილისში განიზრახავდა ჩამოსვლას, უსათუოდ სახელმწიფო გამომცემლობაში მოდიოდა ნიკოლო მიწიშვილთან და მასთან ჰქონდა საუბარი და მოლაპარაკება, ლიტერატურული ნაშრომის გამოცემა იქნებოდა ეს თუ სხვა რამე. მე მახსოვს როგორ მოდიოდნენ ნიკოლოსთან ბ. პასტერნაკი, მ. ბაჟანი, ა. კორნეიჩუკი, ვ. გოლცევი. პ. პავლენკო „ვეფხისტყაოსანის“ მთარგმნელი პოეტი პეტრენკო და სხვები.

**1934** წელი იყო, ნიკოლო მიწიშვილის კაბინეტის კარები შეაღო ახალგაზრდა კაცმა. ეს იყო გამოჩენილი სომეხი პოეტი ეღიშე ჩარენცი. ნიკოლომ რაღაც განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით მიიღო. მათი გულთბილი საუბარი დიდხანს არ შეწყვეტილა.

ეღიშე ჩარენცი ძალზე ორიგინალური და თავისებური გარეგნობის ადამიანი იყო და მნახველის ყურადღებას პირველი წუთებიდანვე იპყრობდა. მშვიდსა და წყნარს, ლაპარაკის დროს სახეზე რაღაც სევდა ეფინა. მაგრამ როდესაც გაიცინებდა და ლამაზი თეთრი კბილები გამოუჩნდებოდა, ჩვენს წინ სრულიად სხვა ადამიანი იდგა. ცოცხალი, ენერგიული, დიდი იმედებით აღსავსე, ნაზი და ხათრიანი.

საშუალო სიმაღლის კაცი იყო. მისი ბრინჯაოს ფერი ლამაზი სახე ძველ ქანდაკებას მოგაგონებდათ. ჭკვიანი, გონივრული, მიმნდობი შავი თვალები თითქოს შორეულ საუკუნეებში იხედებოდნენ. როგორ შვენოდა ხშირი შავი თმა და ოდნავ ბავშვური და უბრალო გამოხედვა! იმ ხანებში მისი წიგნი „ნაირის ქვეყანა“ ქართულ ენაზე უნდა გამოცემულიყო და ნიკოლოც ამ თემაზე ესაუბრებოდა. ერთი საათის შემდეგ ეღიშე დაგვემშვიდობა და წავიდა.

მეორე დღეს, დილით ადრე, ნიკოლო მიწიშვილთან გამომცემლობაში მოვიდნენ ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, გიორგი ლეონიძე და ეღიშე ჩარენცი.

— აბა, ნიკო, წავიდეთ ახლა საკალმახოდ, — უთხრა პაოლომ ნიკოლოს, კოჯრისაკენ წავედით. გზაზე, ტაბახმელასთან, სასადილოში მშვენიერი სუფრა გაიშალა, სუფრა კი არა, ეს იყო უფრო ლიტერატურული შეხვედრა მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეებისა. ტიციან ტაბიძემ ლაპარაკი დაიწყო სომხური ლიტერატურის ისტორიაზე, გაიხსენა როგორც ძველი ძეგლები, ისე ახალი ნაწარმოებები, ძველი სომხური აღორძინების მოთავეები — გრიგოლ ნარეკაცი და ნერსეს შნორალი, მომდევნო დროის ოსტატი — ოვნათან ნაღაში და ნააპეტ ქუჩაკი, კავკასიის სამივე ერის საერთო მგოსანი — არუთინა საიათნოვა, ახალი დროის ოსტატები — ვაჰან ტერიანი და ავეტიკ ისააკიანი. ჩარენცმა განცვიფრებით ჰკითხა — საიდან იცნობთ ასე ზუსტად მთელს ჩვენს ეროვნულ საუნჯესო. სომეხი პოეტი უზომოდ გახარებული იყო — ის მიხვდა, რომ უსაყვარლეს მეგობართა შორის იმყოფებოდა, რომელთაც იციან რა არის ძმობა და მეგობრობა და რას გავალებს იგი.

სუფრას ღვინის ძალა დაეტყო, ეღიშე წამოდგა და ბარათაშვილის „მერანის“ რუსული თარგმანი ბრწყინვალედ და მართლაც ჟრუანტელის მომგვრელად წაიკითხა, ნიკოლომ იქვე სთხოვა მას ეთარგმნა სომხურ ენაზე ბარათაშვილის ყველა ლექსი და პირადი წერილები. — მე დიდი ხანია გადაწყვეტილი მქონდა ეს, მაგრამ დღემდე ვერ მოვახერხე, — უპასუხა ეღიშემ. — ახლა კი გარწმუნებთ, მეგობრებო, რომ ამ საქმეს მტკიცედ მოვკიდებ ხელს და ვთარგმნიო. ნიკოლო მიწიშვილმა იქვე დამავალა მომენახა იოსებ გრიშაშვილი და ეღიშე ჩარენცისათვის შემეხვედრებინა.

მეორე დღეს, დილით გავსწიე ხარფუხისაკენ, სადაც იოსებ გრიშაშვილი ცხოვრობდა და ვუთხარი, რაზედაც ვიყავი მისული. სოსოს ძალიან გაუხარდა და მითხრა: ეღიშე ჩემი ძველი მეგობარია და ხვალვე მოვალ გამომცემლობაშიო.

მესამე დღეს, დილით ადრე ეღიშე და სოსო თითქმის ერთდროულად მოვიდნენ გამომცემლობაში. ნიკოლო მიწიშვილიც მოვიდა, სოსომ ხოხოვა სიტყვასიტყვით ეთარგმნა სომხურად ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები და წერილები და გადაეცა ეღიშესათვის (სამწუხაროდ ჩარენცს აღარ დასცალდა ამ საქმის დასრულება). ეღიშე და სოსო ერთად გავიდნენ გამომცემლობიდან, ნიკოლო მიწიშვილი კი მწერალთა კავშირში წავიდა, სადაც მის ერთ-ერთ მდივნად მუშაობდა. ეღიშე ისევ შემოვიდა კაბინეტში და გავაგრძელეთ საუბარი ჩვენი ერთ-

ბის ძველ მეგობრობაზე. პოეტმა მითხრა, რომ დიდად აინტერესებს კახეთის, განსაკუთრებით კი წინანდლის ნახვა. მას, როგორც მითხრა, ჩაფიქრებული ჰქონდა დაეწერა საქართველოზე ლირიკული ლექსები...

მეგობრები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ჩოფურაშვილის დუქანში. მაგიდასთან ისხდნენ ეღიშე ჩარენცი, ნიკოლო მიწიშვილი, გიორგი ლეონიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი და ჩვენი გამომცემლობის მხატვარ-გრაფიკოსი ნ. ჩერნიშკოვი; აღგზნებული იყო ეღიშე, გახარებული, ფრთაშესხმული. მედუდუკეებს თვითონ აძლევდა შეკვეთებს, ისეთი სამხიარულო ატმოსფერო იყო, მიწაზე აღარ გეგონებოდა თავი, და ჩვენ ყველანი ვფიქრობდით, თუ რა დიდი ძალა აქვს სიყვარულსა და როგორ აახლოებს ის სხვადასხვა ერის ადამიანებს.

იყო არა მარტო დუდუკის ტკბილი ღუღუნი, იყო ლექსებიც, დავა, კამათი ქართულ და მსოფლიო ლიტერატურაზე. თვითონაც სიტყვის უბადლო ოსტატები იხსენიებდნენ ძველ ოსტატებს. ვალერიან გაფრინდაშვილი გატაცებით კითხულობდა ბლოკის, ბრიუსოვისა და ხლებნიკოვის ლექსებს, ტიციან ტაბიძე იხსენებდა ბოდლერსა და რემბოს, პაოლო იაშვილი სიმღერას წამოიწყებდა და სხვები ბანს აძლევდნენ.

ეღიშე ჩარენცი უკანასკნელად მოსკოვში ვნახე, 1934 წელს, მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე. კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზის ფოიეში იდგა, ნიკოლო მიწიშვილსა და ვალერიან გაფრინდაშვილს ესაუბრებოდა, მეც მივედი, ხელი ჩამოვართვი. მითხრა — შემოდგომაზე თბილისში ჩამოვალ და კახეთში ერთად წავიდეთო.

სამწუხაროდ აღარ დასცალდა მას თავისი ჩანაფიქრის განხორციელება.

ეღიშე ჩარენცი კვლავ ცოცხალივით დგას ჩემს თვალწინ ეს უბრწყინვალესი ვარსკვლავი სომხური საბჭოთა პოეზიისა იყო ცოცხალი განსახიერება იმ დიადი, კეთილშობილური გრძნობისა, რომელსაც ხალხთა ძმობა და მეგობრობა ჰქვია.

ნიკოლო მიწიშვილი სულ იმის ცდაში იყო, რომ ქართული ლიტერატურა და ხელოვნება გაეტანა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ და ამიტომ ის უკავშირდებოდა მოძმე ხალხთა მწერლებს, ზოგიერთს პირდაპირეუბნებოდა, თუ რა უნდა ეთარგმნა, რა იყო მის ლიტერატურულ გემოვნებასთან უფრო ახლო და ამიტომ იყო, რომ მან ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების თარგმნა შესთავაზა ეღიშე ჩარენცს, რომელიც ქართველი პოეტის სულიერ სამყაროსთან ახლოს იყო.

ნიკოლო მიწიშვილი იყო თავისი ერის დიდი პატრიოტი, მეგობრისათვის თავდადებული, ნიჭიერი მწერალი და მოაზროვნე, ფართო გაქანების საზოგადო მოღვაწე, მსგავსი ჩვენი დიდი წინაპრებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზამთრის ელეგიები

თედო ბექიშვილი ერთ თავის ლექსში ფერწერულად აღწერს თოვლში ჩაძინებულ სოფელს, როცა გამომწყვდეული ხარ ოთახში და ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლს უზიარებ შენს ფიქრებს. „ღუღუნებს ცეცხლი, ქრება, იალებს. ქეა ტყვრება გარეთ... ვით გალიაში — მყუდრო ოთახში დავბორიალებ..." და ამ სიმარტოვეში იქმნება პატარა, ლამაზი ელეგიები გაზაფხულზე, მთებზე ყვავილებზე, ბავშვობაზე, მდინარეებზე, სიხარულზე, მწუხარებაზე; იქმნება ელეგიები პატიოსნებაზე, სიმართლეზე, სიკეთეზე. თედო ბექიშვილის ლექსებს, — არიან ისინი მხატვრულად სრულყოფილნი თუ არ არიან, — შინაგანად ანათებს ერთი ბედნიერება: სიკეთე.

თედო ბექიშვილის პოეტური დებიუტი სუსტი იყო. საეჭვოც. შესძლებლა თუ არა აემაღლებინა მხატვრული და პოეტური ხარისხი. პოეტმა დასძლია ეს მიჯნა. ეს დაამტკიცა მეორედ და, განსაკუთრებით, მესამე წიგნმა.

პირველი წიგნიდან მიღებული ზოგადი შთაბეჭდილება ასეთია: ლექსების უმრავლესობას აკლია სიღრმე, განცდის სიძლიერე, მოვლენათა არსში წვდომა. ინერტულობისა და ფლეგმატიზმის დაღი აზით; ისეთი შეგრძნება გეუფლებათ, თითქოს წინასწარ დასწავლილი გრძნობებითა და იმპულსებით წერდეს! პოეტი, მხოლოდ გარეგან, უეცარ ემოციებს დამორჩილებული. ან ეს მართლაც ასეა, ან პოეტი ვერ ახერხებს თავისი შინაგანი ცხოვრების პოეტურ რეალიზებას, მის მოქცევას შესატყვის მხატვრულ ფორმაში. ეს წინააღმდეგობა პოეტის სურვილსა და მხატვრულ გაფორმებას შორის, ჩემი აზრით, გამოწვეულია იმით, რომ თედო ბექიშვილმა ცხოვრებისეული იმპულსები და შეგრძნებები ვერ გარდასახა თვითშემეცნების მაორგანიზებელ ფაქტორებად; ეს ერთი ურთულესი და დაუსრულებელი პროცესია ადამიანის ცხოვრებაში. ალბათ ამის მიზეზია, წიგნი რომ ერთი მიზანსწრაფვით არ არის შეკრული, არ იგრძნობა ერთი მსოფლაღქმის გამოაშკარავების ცდები. სამყაროსთან (ადამიანის ცხოვრება, ბუნება) მისი მიმართება დანაწევრებულია, თითქმის ყოველი ცალკეული ლექსი ეპიზოდურია, განცალკევებული, მოკლებული პოეტურ აბსტრაგირებას. თითქოს პოეტი მსუბუქი კონვულსიებით შეპყრობილიყოს: სწადია თქმა და ძალი არ შესწევს.

თავი რომ დავანებოთ იმას, რომ თედო ბექიშვილის ლექსების უმრავლესობა ტექნიკურადაც არასრულყოფილია, ხშირად მოვლენების, ნივთების აღქმაც და მათი პოეტურ კატეგორიებად გარდაქმნაც გულუბრყვილოა, ზოგჯერ პრიმიტიულიც, ან საერთოდ მიუღებელი. პოეტი „გიორგობისთვეში" ამბობს: „შვებაა ირგვლივ ფოთოლცვენის, გაკრეფილ ბაღის"; ხოლო ქვემოთ: „და მოდის შვება ფოთოლცვენის, გაკრეფილ ბაღის". ძნელი წარმოსადგენია, რომ ფაქიზი ადამიანის სულში ფოთოლცვენა და შემოდგომის გაკრეფილი ბაღი შვებას აღძრავდეს და არა სევდას. ამით იმას კი არ ვამბობ, რომ პოეტი სიფაქიზით არ იყოს დაკავშირებული ბუნებასთან. არა. იგი პირველივე შთაბეჭდილებით ქმნის მხატვრულ სახეს და არა სულიერი ცხოვრების კარნახით. ამავე ლექსშია ასეთი პროზაული ადგილი: „ფოთოლბალახი მოილია, მოაწყდა სოფელს და დამშეული ნახირი ბღავის. გაშიშვლებულ ვაშლის ტოტზე ორიოდ ფოთოლს გამწარებული აწვალებს ქარი". პოეტის პოზიცია გასაზიარებელია ლექსში „ვმღერი", მაგრამ თვითონ იდეასთან მისასვლელი გზებია მიუღებელი, აზრობრივი გაფორმებაა აუხსნელი. პოეტი წერს: „ვიცი, რომ ბევრით ნაკლებაა ცოცხლებზე მკვდრები". თუ ეს პოეტს მართლა გულწრფელად სჯერა, ასეთი კატეგორიული ტონით მა-

---

*** თედო ბექიშვილი, დღის გაგრძელება, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", 1975 წ.**

ინც არ უნდა გამოეთქვა. არც ცრემლია ყოველთვის სათაკილო („ხოლო ცრემლებს ჩუმად ვიკავებ“), ცრემლი, რომელიც შინაგანი ტკივილებით არის ნაშობი და სულის სიღრმიდან მოდის, სიძლიერის ნიშანი უფროა, ვიდრე სენტიმენტალიზმისა. სწორედ ასეთი ცრემლია, შვებას რომ გვანიჭებს და გრძნობებს გვიფაქიზებს.

ხშირია შემთხვევა, როცა მწერალი გონებით, საღი რაციონალური მსჯელობისას არ იზიარებს ამა თუ იმ დებულებას, შინაგანი მდგომარეობის რომელიმე აქტს, მაგრამ იმდენად თვისებრივია ეს მისთვის, ფსიქოლოგიურად მაინც გაჟონავს ხოლმე მის ნაწერში. მსგავს მოვლენას აქვს ადგილი თედო ბექიშვილის ლექსებშიც. პოეტი ხშირად ლაპარაკობს დათმენის, შეკავების, გრძნობების დაურვების შესახებ. არა მგონია თავად შემგუებლობის რომელიმე ფორმის მომხრე იყოს (საშინელი სენია შემგუებლობა), მაგრამ გაუცნობიერებლად მაინც აირეკლა მის სტრიქონებში. მოვიყვან რამდენიმე ნიმუშს (ციტატები მოტანილია მეორე წიგნიდან): „გამძლე და მყუდრო არის შენი ნიაღვარი, ჩემი მოთმენის ვამძლეობას რომ ეტოქება“ („ნიაღვარი“); იგივე ლექსში: „მხოლოდ და მხოლოდ დიდი მოთმენა გამოგიტყუებს მაგ საფარიდან!“ „ჟამია თმენის და სინანულის“ („მოლოდინი“); „ღვინობისთვეა, ფრთხილად იარე, ჯერ ისევ ღვიძავთ ულრანში დათვებს!“ („მონადირე“); „ბროლის კოშკები დაქცეული კვლავაც იგება — მოგვყვება შველად მოთმინება და შერიგება“ („კარი, რომელიც ჩვენ შევაღეთ“); „ამ მარადიულ ლტოლვა-დინებას რა ჰქვია? სწრაფვა თუ მოთმინება?..“ („გარდავლილ დღეთა დასაბრუნებლად“). ბოლო ციტატაში პირდაპირ ღიად უპირისპირდება ერთმანეთს ორი პოლუსი: სწრაფვა (ქმედება, და მოთმენა (პასიურობა). იქნებ არც ღირდა ამაზე ყურადღების გამახვილება, მაგრამ ეს ფსიქოლოგიური ფაქტორი ერთგვარ ბარიერად იქცევა ხოლმე ადამიანის სულიერი სამყაროს გასახსნელად.

თედო ბექიშვილის მხატვრული სახეები სუსტია და პროზაულნი, სტრიქონები ვერ ქმნიან პოეტურ განწყობილებას. იგი ცდილობს შექმნას ფერწერული სახეები, ფერწერული სურათები, სუბიექტური მზერა მიაპყრობს პეიზაჟს. ზოგჯერ ახერხებს ამას პოეტი („თ. გაზაფხულის მთიენთილობავ“, „კოცონი“, „ქარი“, „დღეები მშვიდი“, „იდგა ტყის პირას პატარა სახლი“); ზოგჯერ ნაძალადევი გამოდის. ნაძალადევია ასეთი სახე: „მთებზე ზეცა ლურჯი ფრთებით დაფრინდა“ („ნარიყალა“). პოეტური აზრი ერთგანზომილებიანია, შედარებები — არაზუსტი და ტრადიციული. პოეტი ნარიყალას მიმართავს: „ვინ აგაგო, როგორ აღიმართე, ნათელია, კმარა! მღერის მტკვარი ძლიერი და ფართე—ნანობს რამეს“ — არა!“ ნუთუ მტკვარს არაფერი აქვს სანანებელი!?). შემდეგ: „ვიღაც მხატვარს გაუშლია მოლბერტი, გამალებით ხატავს... როგორ მინდა ის ნახატი გამოვიდეს ამ ცასავით სადა!“ ქვემოთ: „უძნელესი და შორეულ ფრენით არასოდეს დამელლება ფრთები“. პოეტს უნდა თქვას, მარად პოეზიით ვიცოცხლებო, მაგრამ ფრაზა ზერელეა და შინაგანად განუცდელი, იოლად ვერ ერწმუნებით.

თედო ბექიშვილი ზოგჯერ პირდაპირ, პოეტური წარმოსახვის გარეშე წერს ლექსებს, ცალკეულ სტრიქონებს მიამიტური ჩანაწერია (არ შეიძლება ამას ლექსი უწოდო-: „ჟამიჟამს მოდის ფიქრი მამულზე და გულთან თბილად მეფოფინება“... ლექსი „ბედნიერი წყარო“ ბუნებასთან თანაზიარობის განცდით არის დაწერილი. ლექსში ასახულია ბუნების პირველქმნადობა და სიწმინდე, მისი ხელშეუხებლობა და ჰარმონია: სიკეთე და სიმშვენიერე ბუნებისა. მაგრამ მხატვრულობის თვალსაზრისით ლექსი შესრულებულია სუსტად, პრიმიტიულად. მოვიხმობ პირველ სტროფს:

ტყეში ჩანდა ბედნიერი წყარო,
ბანაობდა ბედნიერი ჩიტი.
იქვე, ბარდზე დამჯდარიყო მეორე
და ბედნიერ ხმაზე ჰიკჰიკებდა.

მკითხველისათვის ასეთი სტრიქონების მიწოდება, ვფიქრობ, უხერხულია. ძალზე მარტივი რითმებია გამოყენებული ლექსში „გადაიხიზნენ ჭრელი ჩიტები“: ჩიტები — მინდვრები — გუშინდელნი; ფერთა — ხეთა — ხედავ, გლეხი — ხერხი.

მშობლიური კუთხის ხილვა სანეტარო და საამოა. ამ სიყვარულით გამთბარ პოეტს არაერთი ლექსი დაუწერია, რომლებშიც ბავშვობის სევდიანი წლებიც აირეკლა („აქ მირბენია“, „ბავშვობა“, „გათენდა“, „გადაუქროლა გაზაფხულმა“). ლექსები შესრულებულია უშუალობითა და გულწრფელობით. ისინი გარკვეული ემოციის აღმძვრელია. მაგრამ ყველა ეს ლექსი ერთი პატარა სარკმელია, მცირე მონაკვეთებია ყოფიერების გააზრებაში, უშუალობითა და გულწრფელობით გამოწვეული ემოცია ესთეტიკური ტკბობის მომნიჭებელია; მაგრამ თუ ემოცია ურთულესი განცდებიდან არ არის დაბადებული (მხოლოდ უშუალობითა და გულწრფელობით თანამედროვე მკითხველს ვეღარ გავაკვირვებთ), ყოფიერების ღრმა მოაზრების შედეგი არ არის, ისე მძლავრი ზეგავლენის მოხდენა მკითხველზე შეუძლებელია.

მართალია, პირველ წიგნში თავმოყრილი ლექსების უმრავლესობა არ გვხიბლავს განსა-

კუთრებული მხატვრული სახეებით, შედარებებით, მეტაფორებით, მაგრამ ისინი სადაა, რადგანაც თვით სათქმელია სადა, უპრეტენზიო. ხოლო ეს სისადავე ნდობას აღძრავს მკითხველში. არსებითად ხომ ეს ლექსები გულის კარის გაღებაა, იმ ფიქრების გაშხელაა, რაც ალალად უძრძვნია და განუცდია პოეტს. მათი ღირსება, მხატვრული განუსრულებლობის მიუხედავად, როგორც უკვე ითქვა, არის პ ა ტ ი ო ს ნ ე ბ ა, ს ი მ ა რ თ ლ ე, ს ი კ ე თ ე. ეს კი ბევრს ნიშნავს. როცა სიმართლეს ვამბობ, ვგულისხმობ არა სტილისტურ დამაჯერებლობას, არა ცალკეულ ტროპულ სახეებს, თუნდაც ცალკეულ ლექსებს, არამედ ზოგადად ს ი მ ა რ თ ლ ე ს, რომელიც ფორმალური კი არ არის, — გულწრფელია, შინაგანად განცდილი. ლექსის „გასროლა ღამით“ ამის დასტურია. ლექსში არის ადგილები, სადაც ორიგინალურად არის გააზრებული პოეტისა და პოეზიის ხიზანი. წინ არის წამოწეული ძმობა და მოყვასეობა. ღამეა. პოეტი წერს ლექსებს, რომლებმაც ერთ კაცში მაინც უნდა აღანთოს სიკეთის სანთელი, ერთ კაცს მაინც უნდა დააზრევინოს ძ მ ი ს ა დ მ ი სასიკვდილოდ ხმალამართული ხელი, ერთ კაცს მაინც გაუნელოს მოყვასისადმი შურისგების წადილი და უეცრად თოფი გავარდა. პოეტის წარმოსახვაში მყისვე გაიელვა: მოკლეს. ამ ფსიქოლოგიურ დეტალს განმაზოგადებელი მნიშვნელობა ენიჭება: უაზრო ომები, კაცის კვლა. ერთი ერის მიერ მეორის გაპარტახება, მონობა, ძალმომრეობა. შენ კი შეთბუნებულხარ მყუდრო ოთახში და ლექსებს წერ. რაღა ფასი აქვს რაიმეს. შეშფოთებული პოეტი ამბობს: „ახლა ამ ლექსებს რაღა აზრი აქვს? ახლა ისინიც მკვდრებივით ყრია!“ შესანიშნავი მხატვრული სახეა.

წიგნში შესული ლექსებიდან განსაკუთრებით მომეწონა „კოცონი“, „უცხო ქალაქი“, „როგორ თოვს, ჩემო თეთრო დედილა“. ამ ლექსებში შეფარულია ის პოეტური მარცვლები, რომლებიც მეორე წიგნში აღმოცენდებიან და მეტ მხატვრულ გარდაქმნას მიაღწევენ, მეტი სიღრმით წამოგვიჩენენ პოეტის სულიერ ცხოვრებას. ისინი, გარდა თემატური განსხვავებულობისა, მხატვრული სრულყოფითაც გამოირჩევიან. „კოცონში“ შეიმჩნევა ფილოსოფიური მიდგომა სამყაროსთან, მისი კოსმიური შეგრძნება, ვრცეულობა, როგორიღაც ჭვრეტა იდუმალისა, მაგიური კავშირი ბუნებასა და ადამიანს შორის. ხოლო „უცხო ქალაქში“ აღძრული შიში და იჭვი, ვაითუ ბუნებას გამორიდებულმა კაცმა ქალაქში დაკარგოს პირველსახე, ინდივიდუროობა, ჩაინთქას და განზავდეს უფორმო ზღვაში, არცთუ უსაფუძვლოა. ბუნებაში მაცხოვრებელი კაცი უშუალო აღმქმელია სამყაროსი, ცხოვრების უშუალო [illegible]ლია. პიროვნული ინდივიდუალობაც შენარჩუნებული აქვს. თავად ბუნება უბიძგებს გააღვიძოს მასში მითვლემილი ინტუიცია და დაანახოს მთელი სამყარო. პოეტი კრძალვით უახლოვდება მისთვის უცხო სამყაროს. ლექსში ჩნდება სიტყვა კრამიტი. კრამიტის პოეტური სიმბოლო ზუსტად არის მიგნებული, რადგანაც ასევე ზუსტად გადმოგვცემს პოეტის მხატვრულ ჩანაფიქრს: „მზერას ეძახდა ათასი რამე, თითქოს ქალაქი მიმახსოვრებდა და დიდ სახლებზე გაფენილ კრამიტს, მგონი, როგორღაც ჰგავდა ცხოვრება. გრძნობდა, ბუნდოვნად გრძნობდა სხეული დაექვებული მზერის შეხებას და ვაბიჯებდი ძალიან ფრთხილად, რომ კრამიტები არ ჩამეტეხა“.

თედო ბექიშვილის მეორე წიგნში ფერიცვალება დაეტყო როგორც პოეტის სულში არსებულ წარმოსახულ მოვლენებს, ისე მათს მხატვრულ შესრულებასაც. მხატვრული ფორმა რამდენადმე გართულდა; პოეტური ტექნიკა დაიხვეწა, ლექსი პოეტური საშუალებებითა და სახეებით გამდიდრდა, გამრავალფეროვნდა. ტროპული აზროვნება გაღრმავდა, ლექსი განერიდა სწორხაზობრიობას, გაიძულებთ იფიქროთ, სხვადასხვა მხრიდან შეხედოთ. ლექსს პოეტური იდუმალებაც დაეტყო, რაც ასე აუცილებელია პოეზიისათვის. მხოლოდ, პოეტური განწყობილება, რომელიც წინანდელ ლექსებსაც აკლდა, კვლავ არ ჩანს (იშვიათი გამონაკლისის გარდა). ლექსი, რაგინდ ღრმა აზრობრივი მხატვრული სახეებით იყოს ვადატვირთული, გარკვეულ განწყობილებებსა და ასოციაციებს უნდა აღძრავდეს. ეს მიუცილებელი თვისებაა ლირიკული პოეზიისა. ლექსის ევფონია, რასაც მანამდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა, მის შინაგან არსს ასახავს.

ზემოთ ითქვა, რომ თედო ბექიშვილი მშობლიური ადგილისადმი სიყვარულს ზომიერად ამჟღავნებს. ეს ბუნებრივი აქტია. ადამიანი თუ ხარ, არ შეიძლება დაგავიწყდეს ის ადგილი, სადაც ფეხშიშველს გირბენია და ბავშვობა გაგიტარებია არ შეიძლება ხანდახან სიზმრებში მაინც არ დალანდო მშობლიური გარემო. და რა უსაზომოდ დამამწუხრებელია, როცა ეს ადგილები ცარიელდება, უკაცურდება, სახლი ნასახლარად იქცევა, ყოველივეს ხავსი ეუფლება. ამ საკითხს ცოტა ვრცლად შევეხები. ეს საერთო მოვლენაა. უკანასკნელი ხანის პოეზიაში, განსაკუთრებით „ახალგაზრდათა“ წიგნებში (ასე ვუწოდოთ პირობითად ბოლო თაობის პოეტებს), მძაფრად, პირდაპირ დისკუსიურად აისახა ქართული სოფლის ბედი. ეს იმ-

ტომ, რომ სწორედ იმ დროს, როცა ეს ახალგაზრდები გამოვიდნენ პოეტურ ასპარეზზე, აქტიური სახე მიიღო ამ პროცესმა. და მართლაც, ვისაც თავისი სამშობლო უყვარს, ვისაც ნამდვილად შესტკივა გული მშობელი ხალხისა და ქვეყნის ბედზე, არ შეიძლება არ დაამწუხროს ამ საბედისწერო ფაქტმა: უკაცურდება ქართული სოფელი (ამ შემთხვევაში ჩემს მიზანს არ შეადგენს ამ პროცესის მიზეზების კვლევა). და არც არის გასაკვირი, რომ ეს მთელი სიმწვავით აირეკლა იმ პოეტთა ლექსებში, რომლებმაც უშუალოდ, საკუთარი ბედით განიცადეს ეს. მაგრამ ისე მომრავლდა ამ „თემაზე" ლექსები, რომ ზოგჯერ ლექსს ვალის მოხდის აშკარა დაღი აზის. პოეტი ამით თავის შინაგან სიცარიელეს ფარავს (უფრო სწორად—სურს დაფაროს). რა თქმა უნდა, ამ პროცესს თავისი ღრმა საფუძვლები და მიზეზები აქვს. უპირველესად მათი მოხილვა და მხატვრული გარდასახვაა აუცილებელი (პოეტის სუბიექტურ პრიზმაში რომ იქნება გარდატეხილი) და არა მათი დაქუცმაცება. ეს საყვედური მხოლოდ თედო ბექიშვილს არ ეკუთვნის. იგი ეხება ყველას, ვინც ათხელებს და ამცირებს პოეზიის უმაღლეს სავანს.

თედო ბექიშვილს აქვს სამშობლოსადმი მიძღვნილი ლექსები. ეს ლექსები, უმთავრესად, ხატბითი სტილისა და ტრადიციულ ჩარჩოებშია მოქცეული. პოეტის გულწრფელობაში ეჭვი არავის ეპარება, მხოლოდ ეს ლექსები ახალს არაფერს ეუბნება მკითხველს. ასეთებია: „სიმშვიდე", „არა ყოფილხარ მამულო", „სამშობლო", „მივდივართ", „სანამ ფეხზე დგახარ". მამულის სიყვარული მხოლოდ პოეტს როდი ამშვენებს. ყველა მოქალაქის შინაგანი ღირსება, მაგრამ თედო ბექიშვილს აქვს ლექსები, რომლებიც შორდება შემუშავებულ მოდელს და სამშობლოს ორიგინალურ კუთხით „გვაკითხებს". ერთი ასეთი ლექსია „ჯვარი". ლექსი ერთ მთლიან მეტაფორად აღიქმება. ჯვრის მონასტრის სიმბოლიური სახე ისეთი ზუსტი მხატვრული სახეებით არის შესრულებული, რომ საქართველო და ამ ტაძრის სახე სინონიმებად წარმოგვიდგებიან. სამშობლო და თანამედროვეობის განცდა ერთმანეთს ერწყმის და პოეტი მკითხველის ყურადღებას გარკვეული მხრით წარმართავს.

თედო ბექიშვილის მხატვრული სტილისათვის უმთავრესად დამახასიათებელია ქვეტექსტი და სიმბოლიურობა. ამ დროს უფრო ღრმად გვახედებს პოეტი თავის სულში, ააშკარავებს თავის პოეტურ პოტენციას („ნოემბერი", „უცხო სტუმარო", „ზამთრის ელეგიები", „ღამე", „ზმანება"). ამ ლექსთა არქიტექტონიკა ჰერმეტულია, მათი „შიგა აზრი" ღრმად დაფარული. ეს სტილი მიმზიდველს ხდის ლექსებს და მკითხველს მათი აზრის ამოცნობის ინტერესს უღვიძებს. ეს არ არის ხელოვნური სირთულე, არც გაბუნდოვანება. ეს არის სადა სირთულე, რომელიც ყველა კარგ ლექსს თან უნდა ახლდეს. თედო ბექიშვილს აქვს ისეთი ლექსებიც, სადაც ღია პოეტურ მეტყველებას მიმართავს, არც ქვეტექსტები ახლავს, არც სიმბოლოები. მაგრამ პოეტი უფრო დიდ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე, ვიდრე ზემოთ ჩამოთვლილი ლექსებით. ეს მიღწეულია დიდი შინაგანი ტემპერამენტით, განცდის სიმართლით, სადა, ჩამოქნილი სტრიქონით, დაურღვეველი გრძნობათა რომანტიკით. ამ მხრივ გამოსარჩევი ლექსია „ნისლო, მთით გადმომავალო". გამოსარჩევია არა მხოლოდ აღნიშნულ კრებულში, არამედ თედო ბექიშვილის პოეზიაში. ჩემი აზრით, პოეტმა მთელი თავისი პოეტური სტიქია ამ ლექსში გამოავლინა.

თედო ბექიშვილის ლექსებში არის რომანტიზმი. ისევე როგორც ყოველი კაცის ცხოვრება, მისი ცხოვრებაც იმედით, მომავლის რწმენით, სიკეთის გამარჯვების იდეით სულდგმულობს. ამ იდეას მრავალი სახედველი აქვს. მთავარია, რომ სინათლისაკენ, სიკეთისაკენ, მიილტვის. იდეა უხილავია, უსხეულოა, მაგრამ, იმავე დროს, ხილულია, წარმოსახული. ასეთივე რომანტიკული განწყობილებით არის აღვსებული წარსულისადმი პოეტის დამოკიდებულება. წარსულის სინანულიანი განცდა (რომელშიც წარმავლობის ზოგადი იდეაც დევს) იმდენად ადამიანური და ბუნებრივი განცდაა, რომ ვერცერთ ადამიანს (მით უფრო პოეტს) ვერ დასწამებ ამ გრძნობის ხელოვნურ გამოვლინებას. ხოლო თუ ეს გრძნობა ადამიანის მთელ არსებას გვიხსნის, მით უფრო დამაჯერებლია და შესატყვისი ემოციების აღმძვრელი. ასეთი ასოციაციები იბადება „ნაზირის" კითხვისას. ლექსი საინტერესოა, რამდენადაც მასში მხოლოდ დროისა და სივრცის განზომილებებში ფიზიკურად მოქცეული ადამიანის წარსულის დაუბრუნებლობაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ ზოგადად ადამიანის ცხოვრების აზრზე, მისი წარმავლობის ტრაგიზმზე.

როგორც ვხედავთ, თედო ბექიშვილის ლექსებში შეიჭრა ახალი მოტივი: სამყაროს მარადიულობის მხატვრული აღქმა, დაფიქრება ყოფიერებაზე, ადამიანის არსებობაზე, სამყაროს უსასრულობაზე, ბუნების სასწაულთქმედებაზე, მის იდუმალზე. ამნაირი შეგრძნებების დროს პეიზაჟი, ან რაიმე მოვლენა მოცემულია არა პირდაპირი სახით, არამედ ფერშეცვლილია, გარდასხეულებულია სამყაროს შემეცნების იარაღად. ერთი ასეთი ლექსია „ცაზე" ლექსი მცირე მოცულობისაა, მაგრამ პოეტური ჩანაფიქრი გასრულებულია და ბოლომდე გააზრებული. აქ ერთმანეთს ენივთება ისტორიული

წარსული და ყოფიერების მარადიულობის განცდა. მეტაფორები და მხატვრული სახეები ზუსტად ესადაგებიან დაშლილი ციხის სიმბოლიურ სურათს: „აცხუნებს კედლებს ხავსი ბიბინა. და ისე, კრუხს რომ წიწილები დაეფანტება— დაბლა გარბიან ურჩი ლოდები... ჩამორღვეული ციხის კარიდან ძვლების ჩხრიალით გადის წარსული და ქვიშადქცეულ ლოდების კვალზე ნიავის ფრთებით მისდევს ხეობა... ჩადგა ნიავიც... მაგრამ იმ ფოთოლს, იმ მოცახცახე მუხის ფოთოლს რა ძალა არხევს?...“ მარადიულობის ასპექტშია გადაწყვეტილი ადამიანის, შემოქმედებითი მოღვაწეობაც, კერძოდ პოეტური მოღვაწეობა „სირინოზში“ გადმოცემულია პოეტური შთაგონების პროცესი, როცა ჩაძირული ხარ საკუთარ სამყაროში და ათასნაირად ილანდება შენს წინაშე ეს მაგიური პროცესი. პოეტი ესწრაფვის საკუთარ ვნებებს სიმბოლიური განზოგადება მოუძებნოს, ყველაფერი პოეტურ ხარისხში წარმოგვიჩინოს. ეს აძლიერებს მკითხველის მიერ შემოქმედებითი აქტის შეგრძნებას, თუ რა უმძიმესია იგი წუთები, და ვით არის შესაძლებელი ყველამ თავისებურად შეიმეცნოს. მუზა წარმოსახულია სირინოზის — ღვთაებრივი მომღერალი ფრინველის სახით, რომელსაც ძალუძს ღრმად შეიყვანოს ადამიანი პოეტური შემეცნების ლაბირინთებში.

თედო ბექიშვილის ახალი ლექსების წიგნის პირველივე ლექსი სამშობლოს ეძღვნება („სამშობლო“):

რას შევადარო?
არაფერი არაფრეს არ ჰგავს.
ერთადერთი სიტყვა,
რომლითაც შეიძლება
შენი არსი გამოიხატოს
ს ა ო ც რ ე ბ ა ა!
მაგრამ იგიც გაცვეთილია...

როგორც ვხედავთ, ლექსი მაქსიმალურად გარიდებულია სამშობლოსადმი მიძღვნილი ლექსების სტერეოტიპულ მოდელს. ის შემთხვევით არ უძღვის წიგნს; ერთდაგვარი განცხადებაც არის; პოეტმა გამიჯნა და გამოკვეთა ახალი ლექსების მხატვრული და სტილისტური სპეციფიურობა, მისი განსხვავებულობა წინა ლექსებთან შედარებით. მან თითქმის უარყო ძველი ინვენტარი და მისთვის ახალ ფორმაში სცადა ბედი. ეს ფაქტი თავისთავად საგულისხმოა. წიგნი მართლაც გამსჭვალულია პოეტის ცდით, თვისობრივი ცვლილება შეიტანოს თავის მხატვრულ აქსესუარებში. ნაწილობრივ აღწევს კიდეც ამას.

კრებულში არის ლექსები, რომლებიც თავისი მხატვრული აღნაგობით და თემატურობით არ განსხვავდება ადრინდელი ლექსებისაგან. ამიტომ მათ აღარ შევეხები. მხოლოდ იმ ლექსებზე გავამახვილებ ყურადღებას, სადაც პოეტმა შესძლო ახალი სათქმელისათვის მხატვრული ფორმაც ახალი მიესადაგებინა.

რაღა თქმა უნდა, ლექსის გარეგნული ფორმის ცვლილებას (პოეტმა თავისუფალ ლექსში გადაინცვლა) თან მოჰყვა მხატვრული მეტყველების ცვლილებაც. ფორმის ცვლილება ცვლის შინაარსსაც და პირიქით—შინაარსის ცვლილება იწვევს ფორმის ცვლილებას. ამ შემთხვევაში, საბედნიეროდ, მეორე მოვლენასთან გვაქვს საქმე. შინაარსის (და არა მსოფლმხედველობის) ცვლილებამ ფორმის შეცვლა გამოიწვია. ეს ისეთი მომენტია, როცა შინაარსი უკვე ფორმად იქცევა და ძალაუნებურად თხოულობს განსხვავებულ ჩარჩოებს. ამ მხრივ იშვიათი დამაჯერებლობით არის აღბეჭდილი თედო ბექიშვილის ახალი წიგნი. ვისაც ამ პოეტის შემოქმედებითი გზისათვის თვალი მიუდევნებია, დამერწმუნება, რომ ის შინაარსი, რომელიც ახალი ფორმით არის შესრულებული, წინა კრებულებში თითქმის არ გვხვდება, ან ფრაგმენტულად, ემბრიონების სახით არიან. მათი გახსნა ახალ ფორმას მოითხოვდა. ხოლო რამდენად სრულყოფილად ფლობს პოეტი ახალ ფორმას, ეს სხვა საქმეა; ცდა, ე ქ ს პ ე რ ი მ ე ნ ტ ი არ უნდა ჩაეთვალოს მწერალს მკრეხელობად (როგორც ზოგჯერ თვლიან ხოლმე). რამდენი უგვანი ლექსი იწერება კლასიკური ლექსთწყობით, — ვინ შეაჩვენა ისინი!?.. ქრესტომატიული ჭეშმარიტებაა: ე ქ ს პ ე რ ი მ ე ნ ტ ი ს გარეშე წარმოუდგენელია ახალი ფორმების მოძიება; ხოლო ლიტერატურაში მათი არსებობა ისევე აუცილებელია, როგორც ჰაერი. ახალი ფორმების ძიებისათვის, თუნდაც პირველხანად სრულყოფილი არ იყოს ეს ფორმები, მხოლოდ მადლობის ღირსია მწერალი, არა გაკიცხვისა. ახალი ფორმებისადმი წინ აღდგომა კონსერვატიზმია და არა ლიტერატურული პოზიცია.

უფრო კონკრეტული რომ იყოს ჩვენი საუბარი, შევეცდები ცალკეული ლექსის მხატვრულ-ესთეტიკური და სტილისტური ანალიზი მოვახდინო. ზემოთ ვსაყვედურობდით პოეტს გარკვეული სულიერი ინერტულობისა და ფლეგმატიზმისათვის, რომელიც ტრადიციულ ლექსში უფრო შენიღბული იყო, ლამაზად გამოიყურებოდა მელოდიაში, რიტმში, ინტონაციაში; მისი შემჩნევა არ იყო ადვილი. თავისუფალ ლექსში, სადაც აზრი და განცდა შიშვლდება, ეს საფრთხე მოსალოდნელია (ეს კარგად უწყოდა თავად პოეტმა). პოეტმა დასძლია ზერელე, განუპირობებელი სახეებისა და ფრაზების ნიველირება და მხატვრულად ზუსტი, შინაგანად — ენერგიული ლექსები შემოგვთავაზა. ამ ლექსების მარეგულირებელია პოეტუ-

რი სიზუსტე და კონკრეტულობა. თუმცა ეს არ გამორიცხავს მათს განზოგადებისა და აბსტრაგირების უნარს; სამყაროს ესთეტიკური აღქმა, მოვლენებისა და ნივთების პოეტურ კატეგორიებში აყვანა შეპირობებულია ერთი მთლიანი იდეით. მაგრამ პოეტს აქვს თავისუფალი ლექსები, რომლებიც ვერ იცავენ ამ ფორმისთვის თვისებრივ სტრუქტურულ აგებულებას; მათ არა აქვთ შინაგანი სტილი, არა აქვთ აბსტრაგირების უნარი, მხოლოდ შიშველი აზრის რეალიზაციას ვღებულობთ. თუ აზრი ძლიერია, მას ძალუძს აღძრას ემოცია, თუ ნატურალისტურია — უბრალო ინფორმაციას ვღებულობთ, ყოფითი მსჯელობის საგანი რომ არის. ასეთებია: „ლიტერატურული საღამო“, „შეხვედრა“, „გარეუბანი“. მაგრამ იქმნება საპირისპირო მოვლენაც, როცა ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი, მარტივი და გასაგები აზრია (ან ამბავი) გადმოცემული და მხატვრული მიზანი მაინც მიღწეულია მაგალითად, ლექსი „პოეტი“. შევახსენებთ: „ნუ გალიზიანდება მავანთა თავმოყვარეობა: პოეტი—მეცხვარის ძაღლივით მუდამ თეოზეა... ზოგი მთვარეს უყეფს გაავებული, ზოგი საკუთარ ლანდს უღრენს, ზოგი მთელი ღამე ყეფს უმიზეზოდ.. ხოლო ისეთი, ნადირის სუნს უცებ რომ იცემს, ათასში ერთი გამოერევა და მეცხვარეებს შვილივით უყვართ“. სათქმელი მაქსიმალურად ზუსტია და დასრულებული არავითარი კომენტარი. მხოლოდ პარალელი პოეტსა და მეცხვარის ძაღლს შორის (სწორედ მეცხვარის ძაღლს შორის). პოეტის პოზიცია, რომელიც შეიძლება ბევრმა არ გაიზიაროს (და არც იზიარებს), ნათელია. მთელი ლექსი არის თეზა და სწორედ ამაშია მისი პარადოქსულობა; ლექსის კომენტარი, რომელიც მკითხველმა უნდა დაასრულოს, მოცემული აზრის ანტითეზაა (ლექსი მხატვრული კონტრასტის პრინციპით არის შესრულებული): ზოგჯერ მეცხვარეს არ უყვარს ხოლმე ასეთი ძაღლი. ასეთივე ორიგინალობით არის გააზრებული „რა ეშველება იმ ხეს“, რომელშიც უნაყოფობისა და უმომავლობის სიმბოლო ჰქვივის. აქ განწყობილება ერწყმის მხატვრულ სახეს (ხშირად ფერწერულს); მეტაფორისა და განწყობილების გაერთმნიშვნელიანება გვაძლევს ზუსტ პოეტურ აღმქმელობას. „დედამიწაში ძალით ჩაჭედილი ტელეფონის ნაღვლიანი ბოძების“ ხილვა განწყობილებასაც აღძრავს და შესაბამის სიმბოლოსაც მოიცავს.

თედო ბექიშვილს შემუშავებული მხატვრული პრინციპი შეაქვს თავის პოეტურ აზროვნებაში. ხშირად მისი ლექსი აგებულია პოეტური კონტრასტის პრინციპზე (ეს გაკვრით აღვნიშნეთ კიდეც), როცა ორი საგნის ან მოვლენის შეპირისპირების შედეგად იკვეთება მხატვრული აზრი, პოეტის მსოფლმხედველობა; ეს ყოველთვის ხილვად, სახიერ ფორმაში ვლინდება. ერთ ლექსში დახატულია ხევისბერის სტატიკური პორტრეტი, და ამ სტატიკურ პორტრეტში ძლიერი შინაგანი დინამიკა და ენერგია იმალება. ხევისბერის სახემ დატოვა კონკრეტული პიროვნების ჩარჩოები და განზოგადებულ სიმბოლურ მხატვრულ სახედ იქცა. ასეთივე პოეტური შინაარსით წარმოგვიდგება ბებერი ვაშლის ხე („ზამთრისპირი“). საინტერესოა, რომ პოეტი ისეთ არანივთიერ, ხელშეუხებად მოვლენას, როგორიც სიბნელეა, ასაგნებს, სახიერს ხდის („თანდათანობით“). თანაც სიბნელეს ჩამოცილებული აქვს ტრადიციული მეტაფორის ელფერი. აქ ისე ზუსტად არის გამოკვეთილი ქვეტექსტი, აღარ საჭიროებს ემოციითა და რომანტიკული გრძნობებით გადატვირთვას (რაც ადრინდელი ლექსებისათვის იყო ნიშანდობლივი). ზოგჯერ თედო ბექიშვილი პოეტური კონტრასტის მერე თავისებურ დასკვნას გვთავაზობს; და ეს კომენტარი კი არ არის, ზედმეტად რომ გამოიყურება ხშირად, პირიქით — ლექსის დედააზრის გამხსნელია. პოეტური კონტრასტის პრინციპით არის შესრულებული „თანაგრძნობა“ და „მცირე შეგონება“. კარგად მიგნებული მხატვრული სახეა: „თქვენი მზერა ღია კარია, რომელშიც ქრიან გაუთავებლად სუსხიანი, ცივი ქარები“.

პოეტს ძველი გამოცდილებიდან ახალ ფორმაში გადმოაქვს პეიზაჟის სურათოვანი აღწერა (როცა ვამბობ „ახალ ფორმას“, ვგულისხმობ თავად პოეტისათვის ახალ ფორმას და არა საერთოდ). მაგრამ ეს არ არის ბუნების სტატიკური აღწერა; პეიზაჟი გარდასახულია ფერწერულ სამოსელში, ბუნების ატრიბუტები მომარჯვებულია სიმბოლოებად, რომელთა მეოხებითაც ყალიბდება ლექსის პოეტური აზრი. ბუნების ნატურალისტური სურათიდან ნელნელა გადავდივართ პოეტურად გარდასახულ პეიზაჟზე და ერთმანეთს უპირისპირდება კონტრასტულად განსხვავებული მოვლენები, რომლის საფუძველზე იკვეთება საბოლოო აზრი, ასეა შესრულებული „შემოდგომა მამადავითზე.“ ლექსი ასე თავდება: „კაცის წილი ამ სამყაროში ჭვრეტაა მხოლოდ და არა ტკბობა, რადგან პირველი სინათლეა, მეორე კი თვალის დახუჭვა... ამ სიმაღლიდან მაყურებინე შენს სინათლეს, ჩემო ქალაქო.“ ყველაფერი, რაც მანამდე იკითხება, ამ დასკვნის სახიერად წარმოჩენისთვის არის დაწერილი. ამიტომ ლექსი კითხვის დროს კი არ ახდენს ზემოქმედებას (როგორც ტრადიციული ლექსის კითხვისას), არამედ მისი წაკითხვის, სრული გააზრების მერე. იგი იძლევა ფიქრის, განსჯის, დისკუსიის საშუალებას. ზემოთ ვთქვი, რომ თედო ბექიშვილის ლექსების სპეციფიკური თვისებაა მხა-

ტვრული სიზუსტე და მხატვრული კონკრეტულობა. საგნები და მოვლენები, მათთან პოეტის მიმართება კონკრეტულიც არის და გადატანითიც, ანუ ქვეტექსტობრივი ლექსის კითხვის დროს მიღებული ინფორმაცია განსხვავდება ლექსის სრული გააზრების მერე გაცნობიერებული პოეტური აზრისაგან. ფიზიკური საგნები მასალაა უხილავი ქანდაკების გამოსაძერწად (ლექსი: „დამშვიდება“).

პოემა „როცა არავინ ცას არ უყურებს“ იდუმალ განცდებს გვაზიარებს, გვაზიარებს პოეტის სულის ტკივილს, წმინდა ადამიანურ ვნებებზე დაფუძნებულს. ეს ვნება სიყვარულია, მაგრამ არა ვიწრო გაგებით; სიყვარული, მშვენიერებას რომ შერწყმია, ადამიანურ ტანჯვასთანაა გადაკვანძული. პოეტის შემეცნების არეალი გაფართოვდა, გაღრმავდა. გარესინამდვილისადმი მიმართება გამძაფრდა, დრამატული ინტონაციები გამრავლდა. გამოსასახავი პოეტური ამბავი (ამბავი პირობითი გამოთქმაა, — მასში განზავებულია პოეტის სულიერი სამყარო) და მხატვრული ფორმა მიესადაგა ერთმანეთს; პოემა სუბიექტური ხედვის ანარეკლია. საგნებისა და მოვლენების მხატვრული ფორმა განზავებულია პოეტურ განწყობილებასთან.

მშვენიერების წვდომის სურვილი არ არის თვითმიზნური, — ცხოვრების შემეცნების, მის ლაბირინთებში შეხედვის პირობაა. პოემაში სუბიექტური განცდა განზოგადებულია და დამორჩილებულია საყოველთაო ადამიანურ ვნებებს. ლექსების მერე, სადაც უმთავრესად სოციალური მომენტების უკუფენაა, პოემის კითხვისას თითქოს ისვენებთ; ისვენებთ, რადგანაც სხვა გარემოში ექცევით. ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ლექსების მაორგანიზებელი ზნეობრივი ფაქტორები სხვა იყოს, პოემისა სხვა. ისინი ერთ პოეტურ იდეას ემორჩილებიან.

როგორც ვთქვით, პოემა პირადულ განცდებს ეფუძნება, მაგრამ სოციალური მომენტები ერწყმის სიყვარულის ინტიმურ განცდას და პირიქით. ეს მჟღავნდება ქალაქისადმი პირად—ინტიმური ვნებების კონტრასტული დაპირისპირებით („სიყვარულისკენ წასულ ნაკვლევს არ შეინახავს ეს ფართო ქუჩა“) ამავე ასპექტში იკითხება ბაღისა და ტყის მსგავსებაგანსხვავებულობის დაპირისპირება.

პოემას შინაგან ხაზად გასდევს ადამიანის მიერ ბედის (თუ ბედისწერის) მიღება-არმიღების საკითხი. ბედი, როგორც გარდუვალობა და დამორჩილება მასზე, თუ დაძლევა და გადალახვა!? რომელია ადამიანური? რომელი ეწინააღმდეგება ადამიანურ ბუნებას? ეს კი სიყვარულის ფორმით გვევლინება; სიყვარული, როგორც ფატუმი. ზოგჯერ ადამიანის ქვეცნობიერება (და არა გონი,) გრძნობს, რომ ზეგარდმო უნდა მოევლინოს რაღაც; გრძნობს და ელის გაუცნობიერებლად. როცა მო[illegible] მაშინ ყოველივე გაცხადდება, გამო[illegible] გაცნობიერდება ქვეცნობიერებაში ადრე მფეთქავი აზრი, რომელსაც სულის გარდა სხეულიც გრძნობდა ფიზიკურად. თითქოს მთელი სიცოცხლე ამ გარდუვალობასთან .შეხვედრის შემზადება იყო („როგორ ველოდი ამ შეხვედრას! მთელი ცხოვრება, მთელი სიცოცხლე აქეთ მომყავდა“). ეს გარდუვალობა, რომელიც მწუხარებასთან ერთად სიხარულის მომნიჭებელიც არის, წამიერად გაიელვებს ადამიანის ცხოვრებაში. მასზე უარის თქმა შეუძლებელია, ეს ეწინააღმდეგება ადამიანური ცხოვრების საზრისს. ხელოვნურად მისი არიდება მკრეხელობაა, რადგანაც ეს წამია ბედნიერების მომნიჭებელი („თითოოროლა ბედნიერი წამისთვის ვცხოვრობთ, თითოოროლა, ვით ქაობში ნამის წვეთები“). ამ წამმა უნდა დაიხსნას ადამიანი უკეთურებისაგან, უნდა განწმინდოს, განანათლოს. ზოგჯერ ბედის წინაშე მდგარი ადამიანის ფსიქიკიდან ამოტივტივდება შიში. ესეც სავსებით ადამიანურია. შიში იწვევს პიროვნების გაორებას: მოვლენილი ბედი მის სუბსტანციას ეკუთვნის, თუ მის მეორე „მეს“. ეს კონფლიქტი ადამიანს მოაქცევს გაურკვევლობის, კომმარისა და ბურანის, სიზმრების სამყაროში. ბუნებრივად იბადება ასეთი კითხვა: „ყველაზე ცხადი რა არის ნეტავ, რასაც ვფიქრობდი, თუ რაც ხდება ცხადად?“ ცხადი და სიზმარი („სამოთხე“ და „ჯოჯოხეთი“) ენაცვლება ერთმანეთს, რაც სულიერ ტკივილებს იწვევს. სიყვარული ბედნიერების წყაროა, მაგრამ მტანჯველიცაა. ხან გაცისკრდება შენს სულში მზე (ბედის სრულფასოვანი მიღება), ხან ჩაქრება (იჭვი, დაბნეულობა, სკეპსისი). სიყვარული რწმენით მიიღება; განსჯა მისი დამთრგუნველია („როდესაც ვფიქრობ, მაშინ ფიქრი წვება ჩვენს შორის.., მაგრამ ვინ იტყვის, ხეობაში ჩამდგარი ნისლი აერთებს თუ თიშავს ხეობას?“).

სიტყვებს არ ძალუძს გრძნობათა გამოხატვა. ჭეშმარიტი სიყვარული უტყვია. დუმილი უფრო მრავლისმთქმელია ხშირად. შინაგანი გახსნა, სულიერი სიახლოვე, ორი ადამიანის ბედის შერწყმა, თანატანჯვა — ეს არის სიყვარულის სრულფასოვანი განცდა. ამ სულიერ მდგომარეობებზე დანდობილი სიყვარული ჭეშმარიტია, მართალია. სულთა შორის მექანიკური კავშირი უღღეურია და უსუსური, მსხვრევადი. პოეტი ერთი წუთით უშვებს, რომ უნდა დაიურვო ვნებები, მოთოკო შენი თავი, რათა არ იქცე შემუშავებული მორალის მსხვერპლი („ზოგჯერ ვიფიქრებ—უმჯობესი იქნება სულაც არ გავიხსენებთ თუკი ერთმანეთს: როცა არო-

ვინ ცას არ უყურებს, მაშინ ჩვენც თავი უნდა დავილოთ და მივყვეთ შარას, რომლის გასწვრივაც გადაჭეკილი მინდვრები მიდის. ნუ გავიხედავთ მობიბინე მდელოებისკენ"–. მაგრამ ამ დროს იკარგება მშვენიერი განძი ადამიანური ცხოვრებისა. ეს კი ეწინააღმდეგება ადამიანის შინაგან ბუნებას. პოეტი ლებულობს ბედს („ზღვის სიღრმეში ავილოთ გეზი"); თუმცა ისიც ცნობილია, რომ ამ გზაზე მხოლოდ შეჩვენება და გაკიცხვა ელის („გაგულისებულ კულისების ჩურჩული, ჭორი დაედევნება ჩვენს ნაკვალევს"). თუმცა შენ თავთანაც და ღმერთთანაც მართალი ხარ. ეს გიბიძგებს მისწვდე მშვენიერებას („და რომ არ ვიყო მოწმე შენი მარტოობისა—ვეწაფებით გათოშილ ბაგეს, მხუბუქ სხეულს, როგორც სხივებს ვეპოტინები").

პოემა კიდევ ერთი ცდაა პოეტის მიერ ცხოვრების სიღრმისეული შემეცნებისა.

ასე წარმოგვიდგება თედო ბექიშვილის პოეზია.

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

# „МНАТОБИ"

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ